ეკა სეფაშვილი

ევროკავშირის ეკონომიკა

ლექციების კურსი

(მოდული: საერთაშორისო ეკონომიკა)

თბილისი

2021

წინათქმა

ლექციების კურსი მომზადებულია სხვადასხვა სახელმძღვანელოების მიხედვით, ასევე გამოყენებულია საქართველოს მთავრობის და ევროკავშირი ოფიციალური ორგანოების მასალები, გამოქვეყნებული პუბლიკაციები და სამეცნიერო ნაშრომები. კურსში მოცემულია ევროკავშირის წარმოშობის ისტორია ეკონომიკურ ჭრილში, განხილულია ტეორიული მასალები და პრაქტიკული მაგალითები, გაანალიზებულია ევროკავშირის ადგილი და როლი მსოფლიო ეკონომიკაში; დახასიათებულია საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან და ამთანამსრომლობის განვითარების ინსტიტუციური საფუძვლები, ეკონომიკური ეფექტები და თანამედროვე მდგომარეობა.

კურსი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და ევროკავშირის ეკონომიკით დაინტერესებული პირებისთვის.

თავი 1.

რეგიონული თანამშრომლობა, ეკონომიკური ინტეგრაციის თეორია და რეგიონული პროცესები დასავლეთ ევროპაში

რეგიონული თანამშრომლობა როგორც ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველი

§1. რეგიონული თანამშრომლობის ადგილი და როლი თანამედროვე მსოფლიოში

თანამშრომლობა სახელმწიფოთა ურთიერთობების ორ უკიდურესობას: კონლიქტსა და თანამშრომლობას შორის უფრო მისაღები ფორმაა. თანამშრომლობა სახემწიფოთა საერთო ინტერესების არსებობის შემხთვევაში იქმნება. არსებობს თანამშრომლობის მრავალგვარი ფორმა:მაგალითად, რომელიმე კონკრეტული პრობლემის გადაჭრის, ან გრძელვადიანი საერთო ინტერსების განხორციელების, ან რომელიმე სფეროში კოოპერირების მიზნით შექმნილი თანამშრომლობა. რეგიონული თანამშრომლობა რეგიონის ნიშნით გაერთიანებულ სახემწიფოებს შორის მყარდება (რა თქმა უნდა, საერთო ინტერესების არსებობის შემთხვევაში).

თანამედროვე საერთაშორისო საზოგადოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი რეგიონალური თანამშრომლობის დამყარება და გაძლიერება გახდა. დღესდღეობით ფრიად გაძნელებულია მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ცენტრალიზებული მართვა გაერო-ს მიერ, ამიტომ საგრძნობლად გაძლიერდა რეგიონალიზაციის ტენდენცია. შვედი პროფესორი ბიორნ ჰეტნე მიიჩნევს, რომ გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია გლობალური სტრუქტურული პროცესის შემადგენელი ნაწილები არიან. გლობალიზაციის თანამედროვე პროცესს შრომის საერთაშორისო დანაწილების, ფინანსური ურთიერთობების და სასაქონლო ვაჭრობის ცვლილებები ახლავს თან. ახალი რეგიონალიზმი საკმაოდ განსხვავდება ჩვენი საუკუნის 50-60-იან წლებში მიმდინარე რეგიონული ინტეგრაციისაგან.

ხშირად მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო სისტემაში რეგიონალიზმისა და რეგიონული გაერთიანებების განვითარება გლობალიზაციისადმი სწრაფვის ტენდენციას საგრძნობ ზიანს აყენებს. რეგიონალიზაციის ზრდა სულაც არ ხდება გლობალიზაციის ხარჯზე. უფრო მეტიც, რეგიონები საერთაშორისო სისტემის შემადგენელი ნაწილებია და მათში მომხდარი ცვლილებები გარკვეულწილად აისახება თვით სისტემაზეც და მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესზეც. გლობალიზაცია გახლავთ იმ რეგიონების პოლიტიკური განვითარების ტენდენცია, რომლებიც ტრადიციულად ნაკლებად განვითარებულნი და

ორგანიზებულნი იყვნენ (ან არიან) და რომელთა გავლენაც საერთაშორისო სისტემაში მეტად მცირე იყო (ან არის) (შავი ზღვის რეგიონი სწორედ ასეთ რეგიონთა რიცხვს მიეკუთვნება).

იელის უნივერსიტეტის პროფესორი, ბრუს რუზეტი , მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები კონკრეტული მიზნის მისაღწევად იქმნება, მაგ.:საგარეო უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება და ა. შ. სხვადასხვა პრობლემების მოგვარების მიზნით, საჭიროა მათი დღის წესრიგში დასმა როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე. ზოგჯერ რეგიონულ სახელმწიფოებს შორის არსებული პრობლემის გადაწყვეტა რეგიონულ დონეზეა მიზანშეწონილი. ზოგიერთი პრობლემა კი მხოლოდ გლობალურ დონეზე უნდა გადაწყდეს. საერთაშორისო ორგანიზაციების საჭიროება ნათელია. მათ ბევრი ისეთი პრობლემის გადაწყვეტა შეუძლით, რასაც ცალკეული სახელმწიფოები ვერ შეძლებენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს გაერო-სა და მის ორგანიზაციებს. თუმცა ეს საკმარისი სრულებითაც არ არის.

საერთაშორისო სისტემაში თანამშრომლობას ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ რეალისტები , რომლებიც მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო სისტემა ფუნდამენტურად ანარქიულია და სუვერენულ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა არარაციონალური გადაწყვეტილებაა; მათი აზრით, თუკი ქვეყნები თანამშრომლობენ, ეს ხდება სხვების ხარჯზე დაუყოვნებელი სარგებლის მიღების მიზნით. ამ მოსაზრების საპირისპიროდ ნეოლიბერალი ინსტიტუციონალისტები ფიქრობენ, რომ თანამშრომლობა მოსალოდნელი კონფლიქტის საფრთხის შეგრძნების ნაყოფია. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყანა ცდილობს თავისი ინტერესების დაცვას და ამასთან გააზრებული აქვს, რომ სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა უფრო ეფექტურად დაეხმარება მას საკუთარი ინტერესების განხორციელებაში. ნეოლიბერალი ინსტიტუციონალისტები ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ქვეყნებს შორის ურთიერთსასარგებლო გარიგებების დადებას.

არსებობს საკითხისადმი რეალისტების კრიტიკული მიდგომაც, რომ არ ასებობს არავითარი იძულების მექანიზმი, რომელიც აიძულებდა სახელმწიფოს მოცემულ ინსტიტუტში დადგენილი წესებისადმი დამორჩილებას. ნეოლიბერალი ინსტიტუციონალისტები კი თვლიან, რომ სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმებისადმი უპატივცემულობა თვით ამ სახელმწიფოს რეპუტაციასა და იმიჯს აყენებს ზიანს. ეს გარემოება საგრძნობლად გაართულებს მის შესაძლებლობას, დაშვებულ იქნას შემდგომ (როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ) შეთანხმებებზე. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით ქვეყნები მეტ-ნაკლებად ემორჩილებიან საერთაშორისო ინსტიტუტებში დადგენილ ნორმებს, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ რეჟიმიდან გარიცხვა ემუქრებათ, რასაც შესაძლოა სავალალო შედეგები მოჰყვეს. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოების გრძელვადიან ინტერესებში მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება საერთაშორისო თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს იერარქიული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა ურჩი სახელმწიფოების

დასჯას. ამდენად, ნეოლიბერალები საერთაშორისო ინსტიტუტებს აღიქვამენ როგორც თავისუფალ სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია ბევრი რამ შესთავაზოს `კანონმორჩილ~ სახელმწიფოებს.

თანამშრომლობის მიზეზები

სანამ გავიზიარებდეთ მოსაზრებებს რეგიონული ან გლობალური ინსტიტუტების შესაძლებლობებისა და სარგებლიანობის შესახებ, შევჩერდეთ იმის გასარკვევად, თუ რატომ იქმნებიან საერთაშორისო ორგანიზაციები. ალბათ, ერთ-ერთი პირველი მიზეზად ეკონომისტების მიერ დაფუძნებული ცნება კოლექტიური ანუ საზოგადოებრივი კეთილდღეობა უნდა მივიჩნიოთ. კოლექტიური კეთილდღეობა არ შეიძლება ცალკეულ სახელმწიფოს ძალისხმევის შედეგი იყოს. ეს არის სახელმწიფოთა გარკვეული გაერთიანებისა და საერთო თანამშრომლობის ნაყოფი.

სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით კოლექტიური კეთილდღეობის უზრუნველყოფა მთავრობის ძირითადი მიზანია. საზოგადოებრივი წესრიგი და თავდაცვა, აგრეთვე, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვა კოლექტიურ ქმედებას საჭიროებენ. საერთაშორისო დონეზე აღნიშნული საკითხი არცთუ დიდად განსხვავდება შიდა სახელმწიფოებრივისგან. ინფექციურ დაავადებების, გარემოს დაბინძურებისა და სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების გლობალური კონტროლი კოლექტიური კეთილდღეობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ძალადობის წინააღმდეგ უსაფრთხოების მექანიზმის შექმნაც შეგვიძლია მივაკუთვნოთ კოლექტიურ კეთილდღეობას, განსაკუთრებით ისეთ რეჟიმებში, რომლებიც მხარს უჭერენ მრავალი სუსტი, მაგრამ სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას. მაგრამ ყოველივე ეს შეუძლებელია ხდებოდეს იმპულსურად, გარკვეული ინსტიტუტის არსებობის გარეშე, რომელიც დაარეგულირებდა საერთაშორისო ურთიერთობებს რეგიონულ თუ გლობალურ დონეებზე.

საერთაშორისო სისტემაში თანამშრომლობა მეტნაკლებად განსაზღვრავს ქვეყნების ქცევას ერთმანეთის მიმართ. მათ გაანალიზებული აქვთ, რომ ურთიერთდახმარება გაცილებით მეტ სარგებელს მოუტანთ და რეგიონულ ორგანიზაციებში გაერთიანებაც ამ წარმატების საწინდარია.

რისი გაკეთება შეუძლიათ საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციებს? გამოვყოფთ ექვს ძირითად მიმართულებას:

1. როგორც წესი, საერთაშორისო ორგანიზაციები უზრუნველყოფენ გაერთიანების ნორმათა შესრულებას, ზოგჯერ ძალის მეშვეობითაც. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ, როგორც ძალადობის გამოყენება. იძულების მექანიზმი მხოლოდ ეკონომიკურ სანქციებს მოიცავს.

2. საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციები კისრულობენ კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის შუამავლობას და შედარებით აადვილებენ კონფლიქტის მოგვარებას. ამ შემთხვევაში ისინი არბიტრის ფუნქციებს ასრულებენ.

3. სხვა ინსტიტუტების მსგავსად, ისინი ემსახურებიან თავიანთი წევრი სახელმწიფოების საქმიანობის, პრიორიტეტებისა და მოთხოვნილებების შესახებ ინფორმაციის გაცვლას.

4. ხელს უწყობენ ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდას. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი სახელმწიფოს ინტერესების განხორციელება მეორეს ინტერესებსაც ემსახურება და რაც ყველაზე ნიშანდობლივია, გრძელვადიან პერიოდში.

5. საერთაშორისო ორგანიზაციები ადგენენ ნორმებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოცემულ ინსტიტუტში არსებული სახელმწიფოების თუ ცალკეული პიროვნებების ქცევაზე. მათ შორის არსებობს საორგანიზაციო პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ საერთაშორისო ორგანიზაციაში ქვეყნების გაწევრიანების საკითხს. ერთ-ერთი უმთავრესი აქედან სუვერენიტეტი გახლავთ. გაერო-მ კოლონიალიზმის რღვევის პერიოდში მტკიცედ დაუჭირა მხარი სახელმწიფოთა უფლებას სუვერენიტეტის გამოცხადებაზე. (ბოლო ხანებში ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტებმა თავისუფალი ბაზრის ნორმების შექმნის თვალსაზრისით დიდი დახმარება გაუწიეს იმ ქვეყნებს, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის განვითარების კურსს დაადგნენ.)

6. და ბოლოს, საერთაშორისო ორგანიზაციები, განსაკუთრებით კი გაერო, მხარს უჭერენ გლობალური ინტერესების განხორციელებას. ამ მხრივ, საინტერესოა ევროკავშირის მცდელობა ევროპის მოქალაქეობისა და ევროპასპორტების შემოღებისათვის.

თანამეგობრულმა რეჟიმებმა, შესაძლოა, გარკვეული გავლენა იქონიოს ქვეყნების მიღწევებზე და საბოლოოდ შეცვალოს ის გზები, რის მიხედვითაც ქვეყნები თავიანთ ინტერესებს განსაზღვრავდნენ. ჩვეულებრივ, სახელმწიფოები, პირველ რიგში, არჩევენ თავიანთ მეზობლებთან თანამშრომლობას, რომლებთანაც მათ გააჩნიათ საერთო ან მსგავსი კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფასეულობები, რომლებიც მათ თანამშრომლობას მნიშვნელოვნად გააადვილებდა.

რეგიონული თანამშრომლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა წარმოადგენს, სადაც ეკონომიკური ინტეგრაცია სრულიად ახალ და განსხვავებულ პრინციპებზე ვითარდება. აქვე დავძენთ, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს შორის ინტეგრაციას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამას მოწმობს ევროპის კავშირის, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის და სხვათა გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ინტეგრაციის პროცესის ტემპი ყოველწლიურად იზრდება.

ინტეგრაცია და რეგიონალიზაცია, რომელიც გლობალიზაციის პროცესის ნაწილია, EU-ში მიმდინარე პროცესების ორი ურთიერთდაკავშირებული მხარეა. სანამ EU-ში მიმდინარე კონკრეტული მოვლენებისა და პროექტების დახასითებას შევუდგებით, მოკლედ მიმოვიხილოთ ინტეგრაციისა და რეგიონალიზაციის თეორიული ასპექტები.

50-60-იან წლებში მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი ახალი, ანუ თანამედროვე რეგიონალიზაციის წინამორბედი გახლავთ. ამიტომ ინტერესმოკლებული არ იქნება თუ რეგიონალიზმის თეორიული ასპექტების გაანალიზებამდე მოკლედ მიმოვიხილოთ ინტეგრაციის რაობა, ფორმები და თეორიის ევოლუცია.

სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის არსი, ეტაპები და ეფექტები

თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელია გლობალიზაციის მრავალმხრივი პროცესი, რაც გულისხმობს ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების გაძლირებას, საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ზრდას, რაც თავის მხრივ საქონლის და მომსახურების, კაპიტალის და სამუშაო ძალის მოძრაობაში ქვეყნებს შორის ბარიერების შემცირებას გულისხმობს. ამასთან, თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში ვრცელდება ისეთი მოვლენა, როგორიცაა რეგიონალიზმი, რაც ნიშნავს რეგიონული პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებების გავრცელებას, რომლებიც შემოიფარგლება ცალკეულ ქვეყანათა დაჯგუფების ჩარჩოებში ბარიერების შესუსტებით ან მოხსნით.

რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის არსი

ქვეყანათაშორისი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია – ესაა ეკონომიკურ-პოლიტიკური სახელმწიფოთაშორისი ქვეყნების გაერთიანება მდგრადი ურთიერთკავშირის განვითარებისთვის, რომელიც ეფუძნება ეროვნულ მეურნეობებს შორის შრომის დანაწილებას. იგი წარმოიშობა პრეფერენციულ შეთანხმებათა დადების შედეგად ქვეყნებს შორის, რომლებიც საინტეგრაციო ბლოკს (დაჯგუფებას) ქმნიან. რეგიონალიზმის მიზეზები ძირითადად პოლიტიკური ხასიათისაა. ჯერ ერთი, ესაა სწრაფვა პოლიტიკური გავლენის განსამტკიცებლად, რაც განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი, რომელთათვისაც ინტეგრაციულ ბლოკში მონაწილეობა ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა თავიანთი ინტერესების დასაცავად მრავალმხრივ მოლაპარაკებებში. მეორე, ესაა უსაფრთხოება: უფრო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა საიმედო საშუალებაა სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. ამჟამად მსოფლიოში 300-მდე რეგიონული სავაჭრო შეთანხმებაა.

ეკონომიკური ინტეგრაცია განისაზღვრება როგორც ეკონომიკური საზღვრების წაშლა ორ ან მეტ ეკონომიკას შორის. თავის მხრივ, ეკონომიკური საზღვარი არის დემარკაცია, რომლის მიღმა საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების მოძრაობა შეზღუდულია გარკვეული ბარიერებით. ეკონომიკური საზღვარი, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ ემთხვევა პოლიტიკურ საზღვარს. ამდენად, რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკა ამავდროულად ვერ იქნება რეგიონული ეკონომიკა, თუ სხვადასხვა ადგილობრივ საზოგადოებებს ერთმანეთისგან ეკონომიკური საზღვარი ყოფს.

ევროპული ინტეგრაცია მიზნად ისახავდა მეზობლებს შორის ეკონომიკური საზღვრების მნიშვნელობის შემცირებას ან მათ გაუქმებას, მაგრამ ეს არ არის ეკონომიკური ინტეგრაციისთვის საკმარისი პირობა, რადგან დემარკაცია ეროვნულ ეკონომიკებს შორის შეიძლება მაინც შენარჩუნებული იყოს, მაგალითად ბუნებრივი ბარიერების (მთები, ზღვა) სახით, განვითარების დონეში მკვეთრი განსხავებების არსებობით. ინფორმაციული ნაკადების შეზღუდულობა დროის ან ხარისხის თვალსაზრისითაც კი შეიძლება წარმოადგენდეს ეკონომიკურ საზღვარს.

ეკონომიკური ინტეგრაციისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა კონკურენციის რეალური ან პოტენციური ზრდა. კონკურენცია იზრდება ბაზრის მონაწილეთა მხრიდან ან ქვეყნების ჯგუფის მხრიდან (რეგიონთაშორისი ინტეგრაციის შემთხვევაში). ბაზრის მონაწილეთა მხრიდან კონკურენციის ზრდა გამოიხატება მსგავს საქონელსა და მომსახურებაზე ფასების შემცირებით და მომხმარებლებისთვის უფრო ფართო არჩევანით, მაგრამ, მეორე მხრივ რეგიონული ან ნაციონალური ეკონომიკა უფრო მზარდი კონკურენციული ზეწოლის ქვეშ ექცევა, რასაც ასევე, თავისი შედეგები აქვს.

ურთიერთმიმართება ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტეგრაციას შორის განსხვავდება ინტეგრაციული დაჯგუფებებისა და ვითარების მიხედვით. ევროკავშირის შემთხვევაში ის თავიდანვე მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული იყო. ისტორიული მიზეზების გარდა კომუნიზმის საფრთხე და ცივი ომი ასრულებდა გადამწყვეტ როლს ეკონომიკისა და პოლიტიკის ურრთიერთგადაჯაჭვულობაში. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ეკონომიკური საშუალებებით პოლიტიკური ინტეგრაციის მიღწევის ფარული სურვილი, რაც გამოხატული იყო რომის ხელშეკრულებაში, იყო მიზეზი იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი, დანია, ნორვეგია და ზოგიერთი ნეიტრალური ქვეყანა არ მონაწილეობდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის შესახებ 1956 წლის მოლაპარაკებებში.

ტერმინი ეკონომიკური ინტეგრაცია მოიცავს როგორც საბაზრო ინტეგრაციას, ასევე, პოლიტიკის ინტეგრაციას. საბაზრო ინტეგრაცია ცნება გულისხმობს, რომ რეგიონში ბაზრის მონაწილეთა ქცევა წარიმართება მიწოდება-მოთხოვნის პირობების შესაბამისად. ეს გამოვლინდება საზღვრებს მიღმა საქონლის, მომსახურებისა და ფაქტორების ნაკადების მოძრაობაში.

სრულიად ერთგვაროვანი საქონლის, ან ერთი ტიპის ფინანსური კაპიტალის ბაზრის შემთხვევაში საბაზრო ინტეგრაცია შეიძლება გაიზომოს ფასების კონვერგენციით. პოლიტიკის ინტეგრაცია შედარებით დაუზუსტებელი ცნებაა. ის მოიცავს ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა სახესა და ინსტრუმენტს. მათი სავალდებულო ხასიათიც შეიძლება განსხვავებული იყოს, დაწყებული კონსულტაციებით, კოოპერაციით, კოორდინაციით, წესების დაახლოებით, ერთიანი პოლიტიკის მიღწევით, რომელიც შეიძლება გაღრმავდეს სრული ცენტრალიზაციამდე. ამიტომ მისი გაზომვა ერთგვაროვანი მეთოდით არ ხდება.

ინტეგრაციის მიზნები

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკაში აღმოცენებული ინტეგრაციული დაჯგუფებები მიზნად ისახავენ მსგავსი ამოცანების გადაჭრას:

1. ეკონომიკური მასშტაბის უპირატესობებით სარგებლობა, რაც ნიშნავს ბაზრის მასშტაბების გაფართოებას, დანახარჯების შემცირებას და სხვა უპირატესობების გამოყენებას ეკონომიკის მასშტაბის თეორიის საფუძველზე;

2. ხელსაყრელი საგარეო-პოლიტიკური გარემოს შექმნა. უმრავლესი ინტეგრაციული დაჯგუფების მიზანია ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შენარჩუნება წევრ ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და სხვა არაეკონომიკურ სფეროებში. პოლიტიკური პრიორიტეტები ინტეგრაციული დაჯგუფების ფარგლებში მყარდება ეკონომიკური ვალდებულებებით;

3. სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტა. რეგიონული ინტეგრაცია ხშირად გვევლინება, როგორც მონაწილე ქვეყნების პოზიციათა გამყარების საშუალება ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სავაჭრო შეთანხმების ფარგლებში. რეგიონული ბლოკის საშუალებით იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები ურთიერთშორის ვაჭრობაში, ვიდრე მრავალმხრივი სავაჭრო შეთანხმებების დროს;

4. ეკონომიკის სტრუქტურულ გარდაქმნაზე ზემოქმედება. ქვეყნებს, რომელნიც ქმნიან საბაზრო ეკონომიკას, საბაზრო განვითარების მაღალი დონის მქონე ქვეყნებთან ინტეგრირებისას ხელი მიუწვდებათ საბაზრო გამოცდილების მიღებაზე. განვითარებული ქვეყნები დაინტერესებულნი არიან ინტეგრაციაში ჩართული სხვა ქვეყნების საბაზრო რეფორმების დაჩქარებით და სრულფასოვანი ტევადი ბაზრების შექმნით;

5. ეროვნული მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მხარდაჭერა. ინტეგრაციული დაჯგუფებების შექმნა არ ითვალისწინებს მესამე ქვეყნების მიმართ დისკრიმინაციული ზომების გატარებას. იგი განიხილება, როგორც ეროვნული მრეწველობის ახალგაზრდა დარგების მხარდამჭერი საშუალება, რადგანაც მათთვის იქმნება უფრო ფართო რეგიონული ბაზარი.

საერთაშორისო რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი ფორმები

საერთაშორისო რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის რამდენიმე ფორმა არსებობს. ამასთან, არსებობს ინტეგრაციის კლასიფიკაციისადმი სხვადასხვა მიდგომებიც. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის 4 ძირითად ფორმას. ესენია: თავისუფალი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი.

თავისუფალი ვაჭრობის ზონა _ ქვეყნების რეგიონული დაჯგუფებაა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება უბაჟო ვაჭრობა. ინტეგრაციის ეს ფორმა სპობს შიდა ბარიერებს და ქმნის სასურველ წანამძღვრებს ბლოკის მონაწილე ქვეყნების სპეციალიზაციისთვის იმ საქონლის და მომსახურების წარმოებაზე, რომლებშიც გააჩნიათ შეფარდებითი უპირატესობა და აიოლებენ იმ საქონლის და მომსახურების შემოტანას, რომელთა წარმოებისთვის მათ გააჩნია შედარებითი უპირატესობა. ეკონომიკური ინტეგრაცია თავისუფალი ვაჭრობის ზონის ფორმით, როგორც წესი, ქმნის ხელსაყრელ გარემოებას ჯგუფის ყველა მონაწილესათვის, ვინაიდან თითოეულს შეუძლია დასპეციალდეს იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელთათვისაც აქვთ ყველაზე ხელსაყრელი წანამძღვრები, დანარჩენში კი შეუძლია დაეყრდნოს მის სხვა მონაწილეებს. ამასთანავე, ყოველი ქვეყანა ინარჩუნებს დამოუკიდებლობას სავაჭრო და სხვა სახის ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ასეთი ტიპის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი შეთანხმება - თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (თვეა), რომელიც 1960 წელს შეიქმნა (http://www.efta.int/about-efta/the-european-free-trade-association.aspx).მეორე მაგალითია თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული შეთანხმება (NAFTA - http://www.ustr.gov/trade-agreements/free-trade-agreements/north-american-free-trade-agreement-nafta), რომელმაც 1989 წელს გააერთიანა აშშ და კანადა; შემდგომში მას შეუერთდა მექსიკაც (1994 წ.).

საბაჟო კავშირი _ ორი ან მეტი ქვეყნის საერთო საბაჟო ტერიტორიაა ერთიანი საბაჟო ტარიფით იმ საქონლისათვის, რომელიც გააქვთ ან შემოაქვთ მესამე ქვეყნებიდან. საბაჟო კავშირი განაპირობებს ქვეყანა-მონაწილეების მიერ საერთო სავაჭრო პოლიტიკის მიღებას. ყოველი წევრი მართვის ფუნქციათა ნაწილს გადასცემს სავაჭრო პოლიტიკით დაკავშირებულ ჯგუფს მთლიანობაში. მესამე ქვეყნები, რომლებიც არ შედის საინტეგრაციო ჯგუფში და რომელთა მიმართაც შენარჩუნდება სავაჭრო შეზღუდვა, შეიძლება აღმოჩნდნენ არახელსაყრელ მდგომარეობაში, ვინაიდან საბაჟო კავშირის ტერიტორიაზე სავაჭრო ბარიერების გამო მათი საქონელი ნაკლებკონკურენტიანი ხდება, რის გამოც მათ შესაძლოა დაკარგონ საბაზრო წილი და შემოსავლები. თუმცა ინტეგრაციული დაჯგუფების შიგნით მწარმოებელ ქვეყანა-მონაწილეთა მზარდი კონკურენცია იწვევს ეკონომიკური ეფექტიანობის მატებას, ფასების შემცირებას და ექსპორტის ზრდას მესამე ქვეყნებში. ასეთი ფორმის ინტეგრაციის მაგალითად გამოდგება ანდის თანამეგობრობა

(http://www.comunidadandina.org/en/index2.aspx) და კარიბის თანამეგობრობა (http://www.caricom.org/) რომელიც კარიბის რეგიონის 15 ქვეყნისაგან შედგება.

საერთო ბაზარი _ ესაა სივრცე, რომელიც მოიცავს გარკვეული რაოდენობის ქვეყნებს, რომელთათვისაც დაწესებულია თანაბარი პირობები; ეს პირობები უზრუნველყოფს საქონლის და მომსახურების, ასევე, წარმოების ფაქტორების (შრომის და კაპიტალის) თავისუფალ გადაადგილებას. ახორციელებენ რა ერთიან სავაჭრო პოლიტიკას, ქვეყნები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკაში, თუმცა ახორციელებენ მათ შეთანხმებას. საერთო ბაზრის ძირითადი ნიშნებია სავაჭრო ბარიერის არარსებობა ქვეყნებს შორის, საერთო სავაჭრო პოლიტიკა სხვა ქვეყნების მიმართ, წარმოების ფაქტორების თავისუფალი მოძრაობა კავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის. საერთო ბაზრის მთავარი სარგებელი ისაა, რომ ქმნის ხელსაყრელ პირობებს წარმოების ისეთი ფაქტორების მოძრაობისთვის, როგორებიცაა: კაპიტალი, შრომა, ტექნოლოგია, ასევე, შედარებითი უპირატესობების სრული რეალიზაციისთვის. ინტეგრაციის ასეთი ფორმის მაგალითად გამოდგება სამხრეთ ამერიკის ქვეყნების საერთო ბაზარი (http://www.mercosur.int/), რომელიც მოიცავს 4 ლათინოამერიკულ ქვეყანას.

ეკონომიკური კავშირი (თანამეგობრობა) _ ესაა ქვეყნების ეკონომიკათა გაერთიანება, რომელთაც აქვთ ერთიანი საბაჟო ტარიფები და ახორციელებს ერთიან სავაჭრო, ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკას. ეს ყველაზე ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმაა, რომელიც ხასიათდება საქონლის, მომსახურების, წარმოების ფაქტორების თავისუფალი მოძრაობით ქვეყანა-წევრებს შორის და ეკონომიკური პოლიტიკის სრული ჰარმონიზაციით. ეს ეკონომიკური კავშირი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის უნიფიცირებას ახდენს; იღებს საერთო ვალუტას (ან ფიქსირებულ სავალუტო კურსს); აწესებს ერთიან საგადასახადო განაკვეთებს და დაბეგვრის სტრუქტურას. ეკონომიკური კავშირის ქვეყანა-წევრები კარგავენ დამოუკიდებლობას გადაწყვეტილებების მიღებაში ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად საკითხებზე, რამაც შეიძლება წარმოშვას რიგი წინააღმდეგობები. ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი ფორმის მაგალითია ევროპული კავშირი (ევროკავშირი).

რეგიონულ ინტეგრაციას შეიძლება ჰქონდეს ზედაპირული ხასიათი, თუკი იგი შემოიფარგლება მხოლოდ ბარიერების შემცირებით ვაჭრობაში ქვეყანა-მონაწილეებს შორის, ან ღრმა ხასიათი, თუკი ფორმალური ბარიერების მოსპობა წინაპირობაა სხვადასხვა სახის ეროვნული რეგულირების ტვირთის შემცირებისთვის, ურთიერთაღიარების და ჰარმონიზაციის მეშვეობით. ურთიერთაღიარება დაკავშირებულია ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის მხრიდან დაპირების მიღებაში, რომ დაიცავს ხარისხის მისაღებ სტანდარტებს, უსაფრთხოებას და ა.შ. ჰარმონიზაცია ნიშნავს სახელმწიფო რეგულირების და მისი მეთოდების შეცვლას სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო შეთანხმების შედეგად მათი

მსგავსების ან თავსებადობის მიღწევის მიზნით. ღრმა ინტეგრაცია (deep integration) გულისხმობს ქვეყნების ეროვნული პოლიტიკის საფუძველთა ინტეგრაციას; იგი, უპირველეს ყოვლისა, ეხება კონკურენციის პოლიტიკას, ტექნიკურ სტანდარტებს, სუბსიდიებს, მონეტარულ და ფინანსურ პოლიტიკას, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირებას, გარემოს საკითხებს.

რეგიონული ინტეგრაციის ეკონომიკური შედეგი არაერთგვაროვანია: ეკონომიკის ზოგიერთი სექტორი ბაზრების გაერთიანების შედეგად შეიძლება გაფართოვდეს, სხვები, პირიქით, დაიხუროს. ეკონომიკათა გაერთიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ქვეყანა-მონაწილეთა შემოსავლების ისეთი გათანაბრება, რომ ამ დროს ზოგიერთი ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესება მოხდეს სხვა ქვეყნების ხარჯზე. ინტეგრაციის შედეგების შესწავლისას აუცილებელია გამოვყოთ ეფექტების ორი მთავარი ჯგუფი:

1) კონკურენციის ეფექტი და მასშტაბის ეფექტი;
2) ვაჭრობის და ალოკაციის (განთავსების) ეფექტი.

კონკურენციის ეფექტი და მასშტაბის ეფექტი. კონკურენციის ეფექტი და მასშტაბის ეფექტი (წარმოების მასშტაბზე ეკონომია) ჩნდება იმიტომ, რომ ცალკეული ეროვნული ბაზრები ერთიანდება მთლიან ბაზრად. უფრო მსხვილი ბაზარი საშუალებას აძლევს გაერთიანებული ქვეყნების კომპანიებს მიიღონ დადებითი უკუგება საქმიანობის მასშტაბიდან, აგრეთვე დაამყარონ უფრო მჭიდრო ურთიერთქმედება, მათ შორის კონკურენტული ურთიერთობები, რომელიც პოზიციებს ურყევს მონოპოლიებს და იწვევს ეფექტიანობის ზრდას.

მასშტაბის ეფექტი (economies of scale) წარმოების საშუალო დანახარჯთა გრძელვადიანი შემცირებაა ერთეულ პროდუქციაზე გამოშვებული პროდუქციის მოცულობათა გაზრდის შედეგად. ინტეგრაციული ბლოკის წევრებს შეუძლიათ მიიღონ როგორც შიდა, ასევე გარე ეკონომია წარმოების მასშტაბიდან. კომპანიის შიდა ეკონომიას იღებენ ერთეულ პროდუქტზე დანახარჯთა შემცირების შედეგად წარმოების მოცულობათა გაზრდის ხარჯზე. ვთქვათ, ფირმა ბელგიიდან ეკონომიკური კავშირის შექმნამდე აწარმოებდა თავისი ქვეყნის მოსახლეობისთვის 1000 ერთეულ საქონელს, ახლა კი აწარმოებს მთელი ეკონომიკისთვის 4000-ს. მან გააფართოვა თავისი წარმოება, რამაც საშუალება მისცა შეემცირებინა პროდუქციის თვითღირებულება. გარდა ამისა, ტარიფების და სხვა სავაჭრო ბარიერების მოხსნის ხარჯზე მას შეუძლია მიიღოს გარე ეკონომია უფრო იაფ კაპიტალთან, სამუშაო ძალასთან და პროგრესულ ტექნოლოგიასთან დაშვების გაიოლებული შესაძლებლობების წყალობით.

ბაზრების გაერთიანების შედეგად მიღებული ეკონომია წარმოების მასშტაბზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პატარა ქვეყნებისთვის, ვინაიდან მათი ეკონომიკების ზომა და საქონლის და წარმოების ფაქტორების შიდა ბაზრის სივიწროვე ფირმებს საშუალებას არ

აძლევს გაზარდონ წარმოების მოცულობა. პატარა შიდა ბაზრებზე ძნელია პროდუქციის ერთეულზე დანახარჯების შემცირება წარმოების გაზრდის და საქმიანობის მასშტაბიდან დადებითი უკუგების მიღების ხარჯზე. პატარა ქვეყნების ის დარგები, სადაც მსხვილი საწარმოები მაინც წარმოიშობა, ხშირად მონოპოლიზებულია, რადგან კონკურენციის შედეგად დარგში რჩება მხოლოდ ერთი-ორი მწარმოებელი. მონოპოლიზმი განაპირობებს მაღალ ფასებს, წარმოების მოცულობათა შემცირებას და შედარებით მაღალ დანახარჯებს. მაგალითად, განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში, რომლებიც ხასიათდება ეკონომიკათა მცირე ზომით და შიდა ბაზრების სივიწროვით, ფირმების რიცხვი მცირეა, კონცენტრაციის მაჩვენებლები ამა თუ იმ სექტორში 50%-ს აღწევს, რაც 2-ჯერ აჭარბებს კონცენტრაციის დონეს განვითარებულ ქვეყნებში.

რეგიონული ინტეგრაცია ბაზრების გაერთიანებით საშუალებას იძლევა, შემცირდეს მონოპოლისტური ძალაუფლება, ვინაიდან სხვადასხვა ქვეყნის ფირმები აღმოჩნდება ხოლმე უფრო ინტენსიური კონკურენციის პირობებში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი დადებითი შედეგები. უპირველეს ყოვლისა, ესაა კონკურენციის ზრდის შედეგი – გამოხატული ფასების შემცირებასა და გაყიდვების ზრდაში. მეორე, ესაა შესაძლებლობა, ბაზრის გაფართოების პირობებში უფრო ეფექტიანად გამოიყენოს წარმოების მასშტაბზე ეკონომია. ბაზრის გაფართოება საშუალებას იძლევა ერთდროულად გაიზარდოს წარმოების მასშტაბზე ეკონომიაც და კონკურენციაც. ამასთან, ინტეგრაცია აიძულებს მწარმოებლებს შეამცირონ შიდა არაეფექტიანობა.

შიდა არაეფექტიანობა მნიშვნელოვანი კატეგორიაა ფირმის ქცევით თეორიებში. იგი გამოიხატება ერთეული პროდუქციის წარმოებაზე მკვეთრი სხვაობით ფაქტობრივსა და მინიმალურ ეფექტიან საშუალო დანახარჯებს შორის. თეორიულად ყოველ ფირმას შეუძლია მიაღწიოს თვითღირებულების მინიმალურ დონეს. თუმცა, როგორც წესი, ფირმები მოქმედებენ უფრო მაღალი დანახარჯებით. ეს შეიძლება გამოიწვიოს ბევრმა მიზეზმა, მაგალითად, შრომის ორგანიზაციის არასრულყოფილებამ, საწარმოო საქმიანობის არაეფექტიანმა კოორდინაციამ, რაც განაპირობებს რესურსების არაეფექტიან გამოყენებას და მათ არაეფექტიან მართვას. აღნიშნული შეიძლება განაპირობოს ბიუროკრატიამ, მომუშავეთათვის სტიმულის უკმარისობამ და ა.შ. ასეთი არაეფექტიანობა დამახასიათებელია დიდი ორგანიზაციებისთვის (განსაკუთრებით მონოპოლიებისთვის), რომლებიც არ განიცდის ეფექტიანი კონკურენციის წნეხს, რომელსაც შეეძლო მათი მუდმივ დინამიკაში ყოფნა გამოეწვია.

კონკურენციის უქონლობისას ფირმას უჩნდება ჭარბი მარაგი, რომელიც იზომება პროდუქციის ფაქტობრივი თვითღირებულების გადაჭარბებით მინიმალურ ეფექტიან დონეზე. იგი ყალიბდება ზეჭარბი რესურსებით, რომელთაც აგროვებს კომპანია არახელსაყრელ პირობებში გამოსაყენებლად, ხოლო მისი ზომა დამოკიდებულია კომპანიის მონოპოლიურ ძალაუფლებაზე. კონკურენციის ზრდის კვალობაზე კომპანია იწყებს ჭარბი

მარაგის შემცირებას, სრულყოფილი კონკურენციის პირობებში იგი ნულის ტოლი ხდება. ვინაიდან კონკურენცია ზრდის გაკოტრების, განთავისუფლებების და შემცირებების ალბათობას, ეს თანამშრომლებისთვის ქმნის მოტივაციას, გაზარდოს შრომის მწარმოებლურობა და საკუთარი მობილურობა.

კონკურენციის ეფექტს და მასშტაბის ეფექტს აქვს დადებითი მნიშვნელობა ინტეგრაციული ბლოკისათვის, თუმცა ისინი ავტომატურად კი არ ჩნდება, არამედ იმ ქვეყნების მთავრობების დაბალანსებული და გააზრებული პოლიტიკის წყალობით, რომლებიც აერთიანებენ თავიანთ ეკონომიკებს.

ვაჭრობის და ალოკაციის ეფექტი. კონკურენციის ეფექტი და მასშტაბის ეფექტი შესაძლებელია მიღწეულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, როცა დარგობრივი სტრუქტურა ბაზრების და ეკონომიკების გაერთიანების შედეგად თითოეულ ქვეყანაში რჩება უცვლელი. ვაჭრობის და ალოკაციის ეფექტი კი დაკავშირებულია ინტეგრაციის შედეგად ვაჭრობის სასაქონლო და გეოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებასთან.

ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურა შეიძლება შეიცვალოს იმის შედეგად, რომ სავაჭრო ბარიერების მოხსნისას ქვეყანა-პარტნიორებიდან იმპორტი ხდება იაფი, რაც ხელს უწყობს ამ პროდუქტებით ადგილობრივი წარმოების საქონლის ჩანაცვლებას და იმავდროულად ხდება ვაჭრობის გაფართოებაც და მისი ხელახალი ორიენტაციაც.

ვაჭრობის გაფართოება ნიშნავს საერთაშორისო ვაჭრობის და ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდას სავაჭრო ბარიერების შემცირების შედეგად, მაგალითად, იმპორტზე ბაჟების და კვოტების მრავალმხრივი მოლაპარაკებების მეშვეობით, აგრეთვე ინტეგრაციული შეთანხმებების შექმნით, ისეთების, როგორებიცაა: თავისუფალი ვაჭრობის ზონა ან საბაჟო კავშირი. ვაჭრობის გაფართოება ხდება მაშინ, როცა ინტეგრაციული ჯგუფის ყველა წევრი თავის ძალისხმევას წარმართავს იმ საქონლის და მომსახურების წარმოებაზე, რომლებშიც გააჩნია შედარებითი უპირატესობა, შემდეგ კი იწყებს უფრო ინტენსიურად ერთმანეთთან ვაჭრობას. იგი ვლინდება იმაში, რომ უფრო ეფექტიანი მწარმოებლები, რომელთაც აქვთ ყველაზე მცირე დანახარჯები ქვეყანა-მონაწილეებს შორის, ართმევენ საბაზრო წილებს მაღალდანახარჯიან ქვეყანა-მწარმოებლებს და ზრდიან ექსპორტს. ეს ხდება იმიტომ, რომ უფრო ეფექტიან რეგიონულ მწარმოებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ დაბალი ფასები და წარმოების დიდი მოცულობა კონკურენტებთან შედარებით ინტეგრაციული ბლოკის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. მაგალითად, მექსიკა _ მწარმოებელი, რომელსაც დაბალი დანახარჯები აქვს ჩრდილოამერიკულ შეთანხმებაში თავისუფალ ვაჭრობაზე, დღეისათვის აწარმოებს მეტ ავტომობლის აშშ-სთვისაც და ლათინური ამერიკისთვისაც, ვიდრე NAFTA - ში შესვლამდე.

ვაჭრობის ხელახალი ორიენტაცია _ ესაა საერთაშორისო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურის ცვლილება, რომელიც ხდება საბაჟო კავშირის ან თავისუფალი ვაჭრობის ზონის წარმოქმნის შედეგად. სავაჭრო ბარიერების მოხსნა ან შემცირება ინტეგრაციული

შეთანხმების წევრებს შორის იწვევს ვაჭრობის ზრდას მათ შორის ხშირად მესამე ქვეყნების ხარჯზე. ეს ხდება იმ შემთხვევებში, როცა ინტეგრაციულ დაჯგუფებაში გაერთიანებას თან სდევს შედარებით მაღალი სავაჭრო შეზღუდვების დაწესება მესამე ქვეყნებისთვის, რის გამოც მათი იმპორტი გამოიდევნება საბაჟო კავშირის ან თავისუფალი ვაჭრობის ზონის ტერიტორიიდან.

დაჯგუფების წევრები ამცირებენ თავიანთ ვაჭრობას მესამე ქვეყნებთან ერთმანეთთან ვაჭრობის სასარგებლოდ. ეს ხდება იმიტომ, რომ სავაჭრო ბარიერების მოხსნა ქვეყანა-მონაწილეებს შორის აიაფებს პროდუქტებს, რომლებიც წარმოებულია კომპანიების მიერ დაჯგუფების შიგნით, ხოლო ბარიერების შენარჩუნება სხვა ქვეყნების კომპანიების მიმართ ხელს უშლის კონკურენციას. ვაჭრობის ხელახალმა ორიენტაციამ შეიძლება გამოიწვიოს დანაკარგები წარმოების მოცულობაში და ექსპორტის შემცირება უფრო ეფექტიანი ქვეყნებისთვის ინტეგრაციული ბლოკის ფარგლებს გარეთ. ასეთ შემთხვევაში მთელი მსოფლიოს კეთილდღეობის თვალსაზრისით რეგიონული ინტეგრაცია შეიძლება აღმოჩნდეს ნაკლებხელსაყრელი, ვიდრე ვაჭრობის ლიბერალიზაცია მთლიანად მსოფლიოში.

ვაჭრობის გაფართოების ეფექტი და მისი ხელახალი ორიენტაცია იწვევს როგორც მომხმარებლების, ისე მწარმოებლების რეალური შემოსავლების ცვლილებას, ასევე სახელმწიფო შემოსავლების ცვლილებასაც. ვაჭრობის მიმართულების შეცვლისას შეიძლება შეიცვალოს საწარმოო საქმიანობის განლაგებაც გაერთიანებულ ქვეყნებში, რასაც შეუძლია გამოიწვიოს ეკონომიკის დარგთა (სექტორთა) ერთი ნაწილის გაფართოება, მეორესი კი _ შემცირება. ამავე დროს, ცვლილებებს შეიძლება ჰქონდეს არადაბალანსებული ხასიათი და ზოგი ქვეყანა აღმოჩნდეს უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში, ვიდრე სხვები. ეს შედეგები დამოკიდებულია იმაზე, რა შედარებით უპირატესობებს ფლობენ ისინი. მოკლევადიან პერიოდში ზოგიერთი ქვეყანა შეიძლება დაზარალდეს ინტეგრაციული ბლოკის შექმნისგან, მაშინ, როცა მისი სხვა წევრები ეფექტიანობის დიდ ზრდას აღწევენ და ამგვარად წამყვან პოზიციებს იკავებენ ზოგიერთ დარგსა და ბაზარზე. ასეთ შემთხვევაში ჩნდება ადაპტაციური პერიოდის აუცილებლობა, რაც საშუალებას აძლევს ინტეგრაციული ბლოკის ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს, აითვისონ მოწინავე ტექნოლოგიები, გადაამზადონ თავიანთი შრომითი რესურსები და მოახდინოს მათი ეკონომიკების ხელახალი ორიენტაცია ახალი ბაზრებისათვის.

საბაჟო კავშირის საბაზისო თეორია

საბაჟო კავშირის ან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნამ შეიძლება ქვეყნის კეთილდღეობა გააუმჯობესოს ან გააუარესოს კიდეც. ეს, ერთი შეხედვით, პარადოქსულად ჟღერს, რადგან ვიცით, რომ სავაჭრო ბარიერების გაუქმება კეთილდღეობის დონეზე დადებითად მოქმედებს.

სავაჭრო ბარიერების გაუქმების გავლენა პარტნიორი ქვეყნების კეთილდღეობაზე შეიძლება წარმოვადგინოთ მოდელის სახით, რომელიც დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში გაწევრიანებას ასახავს. სიმარტივისთვის ვუშვებთ, რომ მიწოდების მრუდები აბსოლუტურად ჰორიზონტალურია. სატარიფო ბარიერების არარსებობის პირობებში დიდი ბრიტანეთისთვის ყველაზე იაფი იქნება იაპონური ავტომობილები, რომლებიც ღირს 3000 ფუნტი სტერლინგი, მათ კი ფასის მიხედვით მოსდევს გერმანული ავტომობილები (3400 ფუნტი სტერლინგი). თავისუფალი ვაჭრობის არსებობის პირობებში C წერტილში დიდი ბრიტანეთი განახორციელებს მხოლოდ იაპონური ავტომობილების იმპორტს.

ვიდრე დიდი ბრიტანეთი შეუერთდებოდა ევროკავშირს, ტარიფი ავტომობილებზე იყო ერთნაირი 1000 ფუნტი სტერლინგი - ყველა ქვეყნისათვის, რაც იაპონურ ავტომობილს აძვირებდა 4000 ფუნტამდე. ასეთ პირობებში აღარივინ იყიდდა გერმანულ ავტომობილს, რადგან მისი ფასი იქნებოდა 4400 ფუნტი. ამდენად, ჩვენი მსჯელობისთვის ამოსავალია A წერტილი, სადაც ბრიტანეთი ტარიფიდან შემოსავლის სახით იღებს 1000X M0 -ის ტოლ თანხას.



ნახ. 1. სავაჭრო ბარიერების გაუქმების გავლენა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების კეთილდღეობაზე.

ახლა დავუშვათ, რომ დიდი ბრიტანეთი შედის ევროკავშირში, სადაც პარტნიორ ქვეყნებთან ყველა სახის სატარიფო ბარიერი გაუქმებულია, ხოლო მესამე ქვეყნებთან უწინდელ დონეზეა შენარჩუნებული. ამდენად, გერმანული ავტომობილი უფრო მისაღები ხდება მომხმარებლისთვის, რომელიც 3400 ფუნტი ღირს, ვიდრე იაპონური, რომელიც 4000 ფუნტი ეღირება. მომხმარებლები უფრო მეტ იმპორტს შეიძენენ, ამჯერად გერმანულს, ხოლო ფასების შემცირებით გამოწვეული მომხმარებლის სარგებელი a და c ფართობის ტოლი იქნება. სამაგიეროდ ბრიტანეთი იმ შემოსავალს კარგავს, რასაც ადრე ტარიფის სახით იღებდა (a+b). თუ შედეგებს შევაჯამებთ, დიდი ბრიტანეთისთვის ასეთი რეზულტატი გვექნება:

1. კეთილდღეობის ზრდა იმპორტის ზრდის გამო(M1-M0);

2. კეთილდღეობის შემცირება ვაჭრობის შეკვეცის გამო (M0)

ამდენად, საბაჟო კავშირის შექმნის სარგებელი დაკავშირებულია სავაჭრო ნაკადების ზრდასთან, ხოლო დანაკარგები - სავაჭრო ნაკადების შემცირებასთან. სარგებელი იქნება მით უფრო დიდი, რაც:

1. უფრო ელასტიკურია იმპორტზე მოთხოვნის მრუდი;

2. რაც უფრო დიდია სხვაობა სამამულო წარმოების დანახარჯებსა და პარტნიორი ქვეყნის დანახარჯებს შორის (ანუ მიწოდების მრუდებს შორის);

3. უფრო ნაკლებია სხვაობა პარტნიორი ქვეყნის წარმოების დანახარჯებსა და მესამე ქვეყნის წარმოების დანახარჯებს შორის;

შესაბამისად, ვაჭრობის ზრდისთვის საუკეთესო პირობები იქმნება იმპორტზე მოთხოვნის მაღალი ელასტიკურობისა და ერთ-ერთ პარტნიორ ქვეყანაში წარმოების ისეთი დანახარჯების არსებობისას, რომელიც ახლოსაა მსოფლიო დონესთან; და პირიქით, ვაჭრობის ზრდისთვის არახელსაყრელი იქნება, როცა იმპორტზე მოთხოვნა არაელასტიკურია და პარტნიორ ქვეყნებში მაღალია წარმოების დანახარჯები.

დასავლეთევროპული საბაჟო კავშირის შექმნამ ევროკავშირის სახით ეკონომისტებს ინტეგრაციის შედეგების პრაქტიკული შეფასების შესაძლებლობა მისცა. უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ვაჭრობის ზრდა ვაჭრობის შეკვეცის ეფექტს გადააჭარბებდა. მაგალითად, მ. კრეინინის გამოკვლევების მიხედვით, საბაჟო კავშირის შექმნის შემდეგ ახალმა სავაჭრო ნაკადებმა შეადგინა 8,4 მლრდ დოლარი, ხოლო მესამე ქვეყნებიდან ვაჭრობა შეჩერდა 1,1, მლრდ დოლარით. მაგრამ მხოლოდ ვაჭრობის ზრდის ეფექტის გადაჭარბება მისი შეკვეცის ეფექტზე არ მიგვანიშნებს პარტნიორ ქვეყნებში კეთილდღეობის ზრდას. როგორც გრაფიკიდან ჩანს, მოგება საბაჟო კავშირიდან (c) ბევრად მცირეა, ვიდრე მთლიანი იმპორტის მოცულობის ცვლილება. დანაკარგები ვაჭრობის შეკვეცის გამო (b) იმპორტის მთლიან შემცირებულ მოცულობას კი არ ასახავს, არამედ მხოლოდ მსოფლიო ფასსა და ახალ შიდა ფასს შორის სხვაობას (ჩვენს მაგალითში ის ტოლია 3400-3000 = 400 ფუნტი). ამ სიდიდეებს შორის სხვაობა კეთილდღეობის ცვლილებას ასახავს და წინასწარ გაურკვეველია, რა ნიშნის მატარებელი შეიძლება იყოს. მართალია, ევროკავშირის შექმნამ სარგებელი მოუტანა მთლიანად მსოფლიო ეკონომიკას, მაგრამ ზოგიერთი ქვეყანა დაზარალდა, მაგალითად აშშ-მა და კანადამ დაკარგეს თავიანთი ევროპული ბაზრების ნაწილი.

თანამედროვე რეგიონალიზმი

რეგიონალიზმი - როგორც ინტეგრაციის
პროცესის ლოგიკური გაგრძელება

ტერმინი `რეგიონალიზმი~ ხშირად იხმარება, მაგრამ იშვიათად არის სწორად განსაზღვრული. გამუდმებით მიიჩნევენ, რომ იგი გლობალიზაციის ტენდენციისათვის გაურკვეველ საფთხეს წარმოადგენს და ძირითადად უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელია. რეგიონალიზმის შესწავლა წარმოადგენს როგორც საერთაშორისო სისტემების შემსწავლელი მეცნიერებების, ისე პოლიტიკური მეცნიერებების საგანს.

რეგიონალიზმის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამოვლინება რეგიონული მრავალმხრივი ინსტიტუტების განვითარება გახლავთ. ამასთან რეგიონული ინსტიტუტების განვითარება და მათი ფუნქციონირების ხარისხი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია ურთიერთქმედება რეგიონსა და საერთაშორისო სისტემას შორის. ამის დადასტურებად შეიძლება მივიჩნიოთ რეგიონის მიმართ სისტემის ან მასში წარმოდგენილი სახელმწიფოს პოლიტიკის მრავალფეროვნება, რომელიც იცვლება რეგიონული ორგანიზაციის დონის ზრდის შესაბამისად.

კავშირი რეგიონალიზმსა და გლობალიზაციას შორის

თანამედროვე რეგიონალიზმი, მისი ფართო გაგებით, გახლავთ იმ პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების გლობალიზაცია, რომლებშიც რეგიონები არიან გაერთიანებულნი.

თუ მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო იდეოლოგიური და სტრატეგიული ბიპოლარობა, დღევანდელი მსოფლიოს ცხოვრება შეიცვალა მრავალპოლუსური სამყაროს შექმნის ტენდენციებით. ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება რეგიონული ინსტიტუტების რიცხვისა და მასთან კავშირში მყოფი რეგიონული ორგანიზაციის დონეების ზრდა მივიჩნიოთ.

გლობალიზაციის პროცესმა განვითარების ახალ საფეხურს მიაღწია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ქვეყნებს შორის გეოგრაფიულმა დაშორებამ თავისი პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა. თავისი არსით გლობალიზაცია ინტეგრაციის პროცესის

ხარისხობრივ გაღრმავებას, ფუნქციონალურ გაძლიერებას და განვითარების ტერიტორიული განზომილების შემცირებას ასახავს.

გლობალიზაცია `ეროვნულ ეკონომიკებზე~ დომინირებით მსოფლიო ბაზრის გაფართოებას გულისხმობს, რამაც, შესაძლოა, მათ საკუთარი `ეროვნულობის~ გარკვეული მნიშვნელობა დააკარგვინოს. ეს ლოკალურ წარმოებებზე მსოფლიო ბაზრის სტრუქტურების დომინირებას ნიშნავს. ამის გამო, არ არის გამორიცხული, რომ გაჩნდეს გლობალიზაციის შეფერხების, ან ამ პროცესის საპირისპირო მიართულებით შემოტრიალების პოლიტიკური სურვილები, რათა გარკვეულწილად ტერიტორიული კონტროლისა და კულტურული მრავალფეროვნების რაღაც დონე დაცული იქნას. ამგვარი ცვლილებების ერთ-ერთი გზა სწორედ ახალი რეგიონალიზმი გახლავთ.

რეგიონალიზმიც და გლობალიზაციაც ერთი მასშტაბური პროცესის, გლობალური სტრუქტურული ტრანსფორმაციის, შემადგენელი ნაწილებია. ამ პროცესის განვითარება დამოკიდებულია რეგიონალიზაციისა და გლობალიზაციის დიალექტიკურ ურთიერთობაზე და არა მათ სწორხაზოვან განვითარებაზე. რეგიონალიზმთან შედარებით, რომელსაც შთამბეჭდავი თეორიული წარსული გააჩნია, გლობალიზმი ახალი კონცეპციაა.

ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, რეგიონალიზმის ტენდენცია მრავალმხრივი სისტემისათვის საფრთხეს წარმოადგენს, ხოლო ენთუზიასტებისათვის რეგიონალიზმი გაუმჯობესებული მრავალმხრივი სისტემისათვის საფუძველს ქმნის. რეგიონალიზმის განხილვისას, ენდრიუ ჰარელი გლობალიზაციის საკმაოდ სრულ განსაზღვრებას გვთავაზობს. მისი აზრით, `გლობალიზაცია მრავალი უნივერსალური პროცესის ერთობლივი ქმედებაა, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნებსა და საზოგადოებებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთკავშირის ზრდას~. თუკი დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ რეგიონალიზმიც შესაბამისი პროცესების ერთობლიობაა, მხოლოდ შედარებით ლოკალურ დონეზე. ამდენად, ჰარელი, რეგიონალიზმს მიიჩნევს გლობალიზაციის ურღვევ ნაწილად და არა საზიანო მოვლენად. ჩვენს შემთხვევაში რეგიონალიზმი განსაზღვრულია, როგორც აღნიშნული პროცესების განვითარება ქვესისტემურ დონეზე.

რეგიონალიზმის მიერ წარმოდგენილი შესაძლო საფრთხე გახლავთ ის, რომ რეგიონულმა ტენდენციებმა შეიძლება გამოიწვიონ საერთაშორისო სისტემის დანაწევრება და არა მისი უნიფიცირება. ერთ-ერთი მკვლევარის აზრით,

რეგიონალიზმის განვითარებამ შესაძლოა მიგვიყვანოს ორიდან ერთ-ერთ მიმართულებამდე: სეგმენტაციამდე და დიფერენციაციამდე. სეგმენტაცია გახლავთ საერთაშორისო სისტემის მცირე ნაწილებად დაყოფა, რომელშიც საერთაშორისო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იქნება რიგი განსხვავებული საერთაშორისო სისტემებისა და ბლოკების არსებობა. ამისაგან განსხვავებით, დიფერნციაცია წარმოდგენილია, როგორც ნაწილობრივ მსგავსი ქსელების მქონე სისტემის განვითარება, სადაც ქვეყნებს შორის ურთიერთობები ერთ სფეროში იგივე ქვეყნების ურთიერთობებს სხვა სფეროში არ შეესაბამება.

განვიხილოთ ერთ-ერთი მკვლევარის, მათაია ალაგაპას მოსაზრებაც. იგი თვლის, რომ რეგიონალიზმი, ეს არის `გეოგრაფიულად ახლო და ურთიერთდამოკიდებულ სამ ან მეტ ქვეყანაში მთავრობებსა და არასამთვარობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა, რომლის მთავარი მიზანიცაა ერთ ან რამოდენიმე სფეროში საერთო სარგებელის მოპოვება~. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საუბარი გვექნება მხოლოდ მთავრობათა შორის თანამშრომლობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა, მართალია, რეგიონული განვითარების თანაბრად მყარი ასპექტია, მაგრამ ის ჩვენი კვლევის სფეროს მიღმა დგას.

რეგიონალიზმის განვითარება შეიძლება რამდენიმენაირად იქნას წარმოდგენილი. ეს მოითხოვს იმის გააზრებას, რომ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ზრდა რეგიონალიზმის წარმოქმნის ძირითადი და აუცილებელი პირობაა. ამ საკითხის გარშემო ნაშრომში განხილული ხედვის გაანალიზება ნათელს გახდის, თუ რატომ მიიჩნევენ რეგიონულიზმს როგორც გლობალიზაციის საფრთხედ, ისე ამ პროცესის განვითარებისათვის ხელსაყრელ მოვლენად.

რეგიონალიზმის დახასიათება

რას ნიშნავს მცნება `ახალი რეგიონალიზმი~? ახალი რეგიონალიზმი `ძველისაგან~ რამდენიმე ნიშნან-თვისებით განსხვავდება. ბიორნ ჰეტნე გამოყოფს ხუთ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს, რომელიც მიჯნავს ახალ და ძველ რეგიონალიზმს :

1. თუკი ძველი რეგიონალიზმი ბიპოლარული ცივი ომის პერიოდში წარმოიშვა, ახალი რეგიონალიზმი მრავალპოლუსური თანამედროვე მსოფლიოს ფენომენია. ფაქტობრივად, ახალი რეგიონალიზმი და მულტიპოლარულობა ერთი მონეტის ორი მხარეა. ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიის შემცირებამ და კომუნისტური

სისტემის რღვევამ რეგიონალიზმის განვითარებისათვის საკმაოდ კარგი მანევრირების საფუძველი შექმნა. ჰეგემონური რეგიონალიზმის ძველი ნიმუში ყველაზე ნათლად გამოკვეთილი იყო ევროპაში 1989 წლამდე, მაგრამ ცივი ომის პერიოდში იგი თითქმის ყველა რეგიონასთვის იყო დამახასიათებელი.

2. მაშინ, როდესაც ძველი რეგიონალიზმი `ზემოდან~ (ხშირად სუპერძალების ინტერვენციის შედეგად) იქმნებოდა, ახალი - შედარებით სპონტანური პროცესია, რომელშიც ქვეყნები მიისწრაფვიან თანამშრომლობისაკენ გლობალური ცვლილებების მისაღწევად.

3. თუ ძველი რეგიონალიზმის მთავარი გეზი ეკონომიკურ პროტექციონიზმზე იყო მიმართული, ახალი გაცილებით ღიაა და ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიო ეკონომიკასთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება.

4. თუკი ძველი რეგიონალიზმისათვის დამახასიათებელი იყო მიზნობრივი განვითარება (ზოგიერთი რეგიონი ორიენტირებული გახლდათ ეკონომიკაზე, ზოგიერთი - უსაფრთხოების საკითხებზე), ახალი შედარებით მრავალფეროვანი და მრავალგანზომილებიანი პროცესი გახლავთ. ეს პროცესი მოიცავს არა მარტო ვაჭრობისა და ეკონომიკის სფეროებს, არამედ გარემოს დაცვას, სოციალურ უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და სხვა მრავალ პრობლემასაც. იგი უბიძგებს ქვეყნებსა და გაერთიანებებს ახალი ტიპის რეგიონულ სტრუქტურებში თანამშრომლობისათვის.

5. მაშინ, როდესაც ძველი რეგიონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს გულისხმობდა, ახალი გლობალური სტრუქტურული ტრანსფორმაციის ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც არასახელმწიფოებრივი სტრუქტურები (სხვადსხვა ინსტიტუტები, ორგანიზაციები, მოძრაობები) მონაწილეობენ და გლობალური სისტემის სხვადსხვა დონეებზე მოქმედებენ.

საბოლოო ჯამში, ახალი რეგიონალიზმი პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებს მოიცავს და გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ თავისუფალი ვაჭრობა. რეგიონული შეკავშირებულობისა და რეგიონული იდენტურობის ჩამოყალიბების პოლიტიკური ამბიციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ. ახალი რეგიონალიზმი გლობალიზაციასთან მჭიდრო კავშირშია და არ შეიძლება მისი განხილვა მხოლოდ ერთი რეგიონის პრიზმიდან. უფრო მეტიც, იგი უნდა განისაზღვროს როგორც მსოფლიო წესრიგის კონცეფცია, რადგან მსოფლიოს რომელიმე ნაწილში რეგიონალიზმის ნებიესმიერი კერძო პროცესი გავლენას ახდენს სხვა რეგიონებზეც. ამგვარად ყალიბდება ახალი

მსოფლიო წესრიგის ფორმირების გზა. ასე რომ, ახალი გლობალური ძალის სტრუქტურა განისაზღვრება რეგიონებით და ამასთან, განსხვავებული ტიპის რეგიონებით.

ენდრიუ ჰარელის აზრით, ის, რაც საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი რეგიონალიზმის სახელწოდებითაა ცნობილი, შეიძლება ხასიათდებოდეს რამოდენიმე განსხვავებული მიმართულებით.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონული სქემების რიცხვებსა და ტიპებში მრავალი განსხვავება არსებობს. განსხვავებული რეგიონული ოგანიზაციების ტიპებს შორის თანამშრომლობა და მათი ურთიერთქმედება გლობალურ სისტემასთან თანამედროვე რეგიონალიზმის პოლიტიკის ძირითადი დებულებაა. თანამედროვე რეგიონალიზმის განვითარების გასაგებად, ასევე მნიშვნელოვანია, `ჩრდილოეთი-სამხრეთის რეგიონალიზმის განვითარება, რეგიონული ორგანიზაციებს შორის სხვაობა ინსტიტუციონალიზაციის დონეების მიხედვით და ბოლოს, მსოფლიოში რეგიონული ორგანიზაციების თანმიმდევრული ზრდა ~. რეგიონალიზმი, დღევანდელი გაგებით, ზემოთ ანიშნული ტენდენციების შერწყმა გახლავთ.

ჰარელი გვთავაზობს, აგრეთვე, რეგიონალიზმის მცნების კატეგორიებს. პირველ კატეგორიას იგი უწოდებს `რეგიონალიზაციას~ (ღეგიონალიზატიონ). იგი უკავშირდება რეგიონის შიგნით საზოგადოებრივი ინტეგრაციის ზრდას და სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ხშირად უმართავ პროცესებს. ეს უფრო საქონლისა და მომსახურების, კაპიტალის, ტექნოლოგიების, ინფორმაციისა და ხალხის მოძრავი ნაკადებია, ვიდრე სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ინტეგრაცია. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა ფირმებისა, თუ რეგიონული ბიზნეს-ქსელების მოღვაწეობას, რათა მიღწეულ იქნას მოცემულ გეოგრაფიულ რეგიონში ეკონომიკური სპეციალიზაციისა და ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონეები.

მეორე კატეგორია რეგიონული იდენტურობა (ღეგიონალ Iდენტიტყ) გახლავთ. ეჭვსგარეშეა, რომ რეგიონული იდენტურობის გაცნობიერება ხელს უწყობს რეგიონალიზმს. რეგიონები, ისევე როგორც ერები, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ როგორც მენტალურ რუკებზე არსებული გაერთიანებები. რეგიონები და რეგიონული იდენტურობა სოციალური კონსტრუქციებია.

არსებობს რეგიონალიზმის კიდევ ერთი კატეგორია, რომელსაც სახემწიფოთა შორის რეგიონული თანამშრომლობა (ღეგიონალ Iნტერ-სტატე ჩოოპერატიონ) ეწოდება. რეგიონალიზმის ეს კონკრეტული პროცესი გულისხმობს სამთავრობათაშორისო

(ფორმალური და არაფორმალური) ინსტიტუტების მშენებლობას (ეს სწორედ BშEჩ-ის შემთხვევაა, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს სამთავრობათაშორისო ინსტიტუტების დაფუძნება თუ ფუნქციონირება). ეს ფართო კატეგორია გვთავაზობს გაერთიანებულ რეჟიმებში გაწევრიანების მოტივაციის თეორიულ ახსნას. თავისი არსით, რეგიონალიზმი ნეოლიბერალი ინსტიტუციოანლისტების მიერ ჯერ გამოთქმული, ხოლო შემდგომ კი დამტკიცებული მოსაზრებების ერთობლიობა გახლავთ.

საბოლოოდ, ჰარელი აღნიშნავს რეგიონულ გადაბმულობას (გადაჯაჭვულობა) (ღეგიონალ ჩოჰესიონ). ეს არის რეგიონალიზმის მახასიათებლების სრული განვითარების შედეგი და გულისხმობს, რომ რეგიონალიზაციის, რეგიონული იდენტურობისა და სახელმწიფოთა შორის რეგიონული თანამშრომლობის ურთიერთშერწყმა მიგვიყვანს რეგიონული ერთეულის - რეგიონული სახელმწიფოს განვითარებამდე. ამ მხრივ, აღსანიშნავია ევროპა, თავისი წამყვანი ინსტიტუტით - ევროკავშირით, რომელიც ყველაზე ახლოს დგას რეგიონული კავშირის ამ დონის მიღწევასთან.

რეგიონალიზმის ფენომენის შემსწავლელ მკვლევართა უმრავლესობა ევროპას იყენებს, როგორც რეგიონული ერთეულის განვითარებისა და რეგიონული სახელმწიფოს მიღწევის თვალსაჩინო მაგალითს. წინამდებარე ნაშრომი თავის არჩევანს აჩერებს განვითარებად ქვეყნებზე მსოფლიოს იმ რეგიონში, რომლებზედაც ნაკლები ყურადღებაა მისი სიახლის გამო და რომელშიც ცივი ომის პირობებში თანამშრომლობა ნაკლებად იყო განვითარებული. იმისათვის, რომ სწორედ იქნას გაგებული რეგიონალიზმი და რეგიონული ორგანიზაციების დონეების ცვლილებები, აუცილებელია რეგიონალიზმის შესწავლა საწყის სტადიებზე.

`რეგიონულობის~ ხარისხების განსაზღვრა

რეგიონალისტური ტენდენციების განხილვას ე.წ. `რეგიონულობის~ ხარისხების შესწავლამდე მივყავართ. მათ შორის არსებული განსხვავებები წარმოდგენილი აქვს ბიორნ ჰეტნეს. რეგიონული ორგანიზაციის დონეების მახასიათებლების ჰეტნესეული გაგება გვთავაზობს, რომ რეგიონის ევოლუცია ხანგრძლივი პროცესია და მსოფლიოს განსხვავებული რეგიონები უბრალოდ განვითარების სხვადსხვა საფეხურებზე იმყოფებან. ის, რომ ორგანიზაციის განსხვავებული დონეები არსებობს,

ნაჩვენებია კონკრეტული შემთხვევის შესწავლისას, რომელიც სპეციფიკურ რეგიონს ეხება.
ჰეტნე, რეგიონული ორგანიზაციის პირველ სტადიაზე, რეგიონს მიიჩნევს სპეციფიკური გეოგრაფიული და ეკოლოგიური ნიშნების მქონე უბრალო ერთეულად. მაგალითად, ინდოეთის სუბკონტინენტი, ან ევროპა ურალიდან ატლანტის ოკეანამდე, ან თუნდაც შავი ზღვის აუზი. მეორე საფეხურზე რეგიონი წარმოადგენს სოციალურ სისტემას, რომელიც რეგიონის შიგნით სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ურთიერთობებს მოიცავს. აქვე შეგვიძლია დავამატოთ რეგიონში ძალთა ბალანსის სისტემა, რომელიც, მართალია, თვით სახელმწიფოების მიერ არაა შექმნილი, მაგრამ მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მათზე. Mმესამე სტადიაზე რეგიონი ხდება პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის სისტემა. (შავი ზღვის რეგიონი განვითარების მესამე სტადიაზე ჯერ არ გადასულა, მაგრამ ნაშრომის შემდგომი გაცნობა დაგვარწმუნებს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს). ბოლოს კი, ჰეტნეს აზრით, რეგიონი იქცევა სამოქალაქო საზოგადოებად, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას და იმავდროულად, კულტურული ფასეულობების თანხვედრასაც. საერთო კულტურა რეგიონული ორგანიზაციის უკანასკნელი სტადიის - რეგიონული სახელმწიფოს შექმნის წინაპირობა გახლავთ.
რეგიონული ორგანიზაციის დონეებში ცვლილებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი ქვეყნების ექსპორტის სტატისტიკური მონაცამები გახლავთ. საექსპორტო ინდიკატორებს სამართლიანად იყენებენ რეგიონული ორგანიზაციის დონის შესაფასებლად. იგი ზუსტად ასახავს იმ ცვლილებებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქვეყნებს შორის (ჩვენს შემთხვევაში ეკონომიკურ) ურთიერთობებში. ამ მხრივ, სავსებით კარგი მაგალითია რუგის მიერ წარმოდგენილი საყოველთაო თანამშრომლობის თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ ერთი ქვეყნის მიერ მიღწეული წარმატება სხვათა ზარალის ხარჯზე არ ხდება. საექსპორტო მაჩვენებლები ზუსტად გვიჩვენებენ რეგიონული ორგანიზაციის დონეების ცვლილებების ეკონომიკურ ასპექტებს. მიიჩნევენ, რომ რაც უფრო მეტია შიდარეგიონული ექსპორტის ღირებულება, მით უფრო კარგი ურთიერთობები მყარდება მეზობელ ქვეყნებს შორის და შესაბამისად ორგანიზაციის დონეც იზრდება.
ამ შემთხვევაში ეკონომიკურ თანამშრომლობას შესაძლოა მოჰყვეს ნებისმიერი სხვა სახის თანამშრომლობა, ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ეს ქვეყნები, ბუნებრივი

რესურსების დონის უკმარისობიდან გამომდინარე, დამუკიდებლად ვერ განვითარდებიან; და მეორეც, ეკონიკური განითარება მომავალში რეგიონში უფრო მყარი კავშირის გარანტიებს იძლევა; ეკონომიკური განვითარება ქმნის ისეთ სტრუქტურას, რომელშიც შემდგომი, ეკონომიკური თუ სხვა სახის თანამშრომლობა გახდება შესაძლებელი.

გამოთქმული შენიშვნები პარალელს ჰპოვებს ჰარელის მოსაზრებასთან. ჩვენს მიერ განხილული არგუმენტები რეგიონალიზმის კონცეპტუალიზაციისა და რეგიონული განვითარების გზების სრულ სურათს გვიხატავს. Yყოველივე ეს ქმნის იმ დინამიკის საფუძველს, რომელსაც კონკრეტული შემთხვევის (ამ შემთხვევაში BშEჩ-ის) შესწავლისას განვიხილავთ.

თავი 2.

ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპები, მექანიზნები და ეკონომიკური შედეგები დასავლეთ ევროპაში

დასავლეთევროპული ინტეგრაციის პერიოდიზაცია (მოკლე მიმოხილვა)

1920-1940-იან წლებში ევროპაში ნაციონალიზმი და პროტექციონიზმი ბატონობდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მარშალი გეგმის განსახორციელებლად, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკის აღსადგენად, შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია; ამ ორგანიზაციის საქმიანობამ საშუალება მისცა ევროპულ ქვეყნებს, მიეღო მჭიდრო თანამშრომლობის პირველი გამოცდილება საერთო ამოცანის გადასაჭრელად. 1961 წელს იგი გარდაიქმნა ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციად.

1952 წელს ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ (ბელგიამ, გარმანიამ (გფრ), იტალიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, საფრანგეთმა) ხელი მოაწერეს შეთანხმებას ნახშირის და ფოლადის ევროპული გაერთიანების შექმნაზე საერთო დარგობრივი ბაზრის ჩამოყალიბების მიზნით, რომელიც საშუალებას მისცემდათ, გამოეცოცხლებინათ ეს დარგები და გაზრდიდა მათ კონკურენტუნარიანობას. 1956 წელს ხელმოწერილ იქნა ანალოგიური შეთანხმება ატომური ენერგეტიკის განვითარების მიზნით (ატომური ენერგიის ევროპული საზოგადოება).

ევროპულ ინტეგრაციაში მნიშვნელოვან მოვლენად იქცა ამ ქვეყნების მიერ 1957 წელს რომის ხელშეკრულების ხელმოწერა ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნაზე (European Economic Community), რომელიც გახდა ევროპულ თანამეგობრობათა (1967) და ევროპული კავშირის (ეკ) (1992) წინამორბედი. რომის ხელშეკრულება მოიცავდა ეკონომიკათა ინტეგრაციის შემდეგ მიმართულებებს:

- ვაჭრობის თავისუფალი ზონის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემდათ თანდათანობით მოეხსნათ ტარიფები, კვოტები და სხვა სავაჭრო ბარიერები;
- სამუშაო ძალის და კაპიტალის მოძრაობის გზაზე ბარიერების თანდათანობითი მოხსნა;
- სოფლის მეურნეობის განვითარების სფეროში საერთო პოლიტიკის ჩამოყალიბება;

- საინვესტიციო ფონდის შექმნა კაპიტალის გადაადგილების წასახალისებლად შედარებით განვითარებული რეგიონებიდან ნაკლებგანვითარებულებში;
- ტარიფების უნიფიცირებული სისტემით საბაჟო კავშირის შექმნა სხვა ქვეყნებიდან იმპორტის მიმართ.

რომის ხელშეკრულება აწესებდა „ოთხი თავისუფლების" (four freedoms) პრინციპს, რომელიც გულისხმობდა ***კაპიტალის, საქონლის, მომსახურების და სამუშაო ძალის თავისუფალ გადაადგილებას***, იგი განაპირობებდა საერთო ბაზრის შექმნას და ევროპულ ეკონომიკათა ინტეგრაციის გაღრმავებას. იმ პერიოდში ევროპულ ქვეყანათა უმეტესობამ უარი თქვა, მონაწილეობა მიეღო ღრმა ინტეგრაციაში; 1960 წელს სტოკჰოლმის კონფერენციაზე მათ (ავსტრია, დანია, ფინეთი, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი) შექმნეს თავიანთი დაჯგუფება – თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია. თუმცა დროთა განმავლობაში ზოგიერთი მისი ყოფილი წევრი შეუერთდა ევროკავშირს.

1970-90-იან წლებში გრძელდებოდა ინტეგრაციული ბლოკის გაფართოება. 1973 წელს მას შეუერთდა დანია, ირლანდია და დიდი ბრიტანეთი, 1982 წელს – საბერძნეთი, 1986 წელს – პორტუგალია და ესპანეთი, 1995 წელს – ავსტრია, ფინეთი და შვედეთი.

ევროპული ინტეგრაციის არა მარტო გაფართოება ხდებოდა, არამედ გაღრმავებაც. 1967 წელს ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის შერწყმით ნახშირის და ფოლადის ევროპულ კავშირთან და ევროატომთან მას მიენიჭა სახელწოდება „ევროპული თანამეგობრობა" (European Communities), რომელიც გამოიყენებოდა თითქმის 1992 წლამდე, სანამ იგი არ შეიცვალა სახელით „ევროპული კავშირი".

1987 წელს ლუქსემბურგსა და ჰააგაში ხელი მოეწერა ერთიან ევროპულ აქტს (Single European Act), რაც ნიშნავდა ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების დასრულებას. ეკონომიკურ კავშირში შემდგომი ინტეგრაციის და გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება მიიღეს 1991 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების დადების დროს. მასში ჩამოყალიბებული იყო ევროპული კავშირის შექმნის და საერთო ევროპულ ვალუტაზე გადასვლის ამოცანა. სავალუტო ზონა (ევროს ზონა) ჩამოყალიბდა 1999 წელს.

1994 წელს ხელმოწერილ იქნა ევროპული შეთანხმება (European Agreement) ათ აღმოსავლეთევროპულ ქვეყანასთან, რომელთაც ისურვეს ეკ-თან შეერთება, თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნასა და პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის დამატებითი ფორმების დაწესებაზე ამ ქვეყნების ეკ-ში

შესვლისთვის მომზადებაზე. 2004 წელს მოხდა 8 ქვეყნის შემოერთება (გარდა ბულგარეთისა და რუმინეთის, რომლებმაც ვერ შეძლეს შეესრულებინათ ევროპული კავშირთან შესაერთებლად აუცილებელი მოთხოვნები).

ცხრილი 1

ევროპული კავშირის გაფართოება 1973-2004 წლებში, %-ში

ქვეყნები	შეერთების წელი	მოსახლეობა	ტერიტორია	მშპ	ექსპორტი
ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი	1952	–	–	–	–
დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია	1973	25	22	20	21
საბერძნეთი	1982	18	31	9	3
ესპანეთი, პორტუგალია	1986	–	–	–	–
ავსტრია, ფინეთი, შვედეთი	1995	6	27	7	9
უნგრეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი	2004	15	19	5	6

წყარო: World Trade Report 2003. WTO. P.16

მოკლე ცნობები ევროკავშირის შესახებ

ევროპის კავშირი (ინგლ. European Union, ფრანგ. Union européenne), შემოკლებით - ევროკაშირი, ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიკურ-პოლიტიკური გაერთიანებაა, რომელსაც 1993 წლამდე ეწოდებოდა ევროპული თანამეგობრობა (ინგლ. European Community, - ფრანგ.Communauté européenne). ორგანიზაციის წევრია ევროპის 28 სახელმწიფო (ბრექსითის მიმდინარე პროცესები არ დასრულება, ამიტომ მოცემულ სალექციო მასალაში დიდი ბრიტანეთის წევრობა გათვალისწინებულია), რომელთა საერთო ფართობი 4 324 782 კმ²-ია. 2016 წლის შეფასებით მოსახლეობა 510 056 011 კაცია (მე-3 ადგილი მსოფლიოში); მოსახლეობის სიმჭიდროვეა 116,4 კაცი/კმ².

ევროკავშირში მოქმედებს ერთიანი შიდა ბაზარი, რომელსაც წევრი სახელმწიფოების კანონთა სისტემა არეგულირებს. ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკის მიზანია ადამიანების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან, შიდა ბაზარზე; იურისპუდენციული კანონმდებლობისა და საშინაო საქმეების გამოცემა; საერთო პოლიტიკის შენარჩუნება ვაჭრობაში, სოფლის მეურნეობაში, თევზის რეწვასა და რეგიონულ განვითარებაში. შენგენის ზონაში გაუქმებულია საპასპორტო კონტროლი. 1999 წელს გადაწყდა ერთიანი ვალუტის (ევროზონა) შემოღება, რაც ძალაში 2002 წელს შევიდა; ამჟამად ევროზონა 19 სახელმწიფოს აერთიანებს, რომლებშიც ევრო მოქმედებს.

ევროკავშირი მოქმედებს გადაწყვეტილების მიღების სუპერეროვნული და მთავრობათშორისი სისტემების ჰიბრიდის პრინციპით. შექმნილია გადაწყვეტილების მიმღები შვიდი ძირითადი ორგანო, რომელთაც ევროკაშირის ინსტიტუტებს უწოდებენ: ევროპული საბჭო, ევროპარლამენტი, ევროკომისია, ევროპულ თანამეგობრობათა სასამართლო, ევროპის ცენტრალური ბანკი და ევროპის აუდიტორთა სასამართლო.

ევროკავშირი სათავეს იღებს ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებისა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისგან, რომლებიც 1951 და 1958 წელს ექვსმა სახელმწიფომ შექმნა. გაერთიანებები ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შედეგად ტერიტორიულად გაიზარდა, ძალაუფლება კი სხვადასხვა პოლიტიკის დამატების შედეგად. 1993 წელს, მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად, შეიქმნა ევროპის კავშირი, რომელმაც ასევე შემოიღო ევროპის მოქალაქეობის ინსტიტუტი.

2009 წელს ძალაში შევიდა ევროკავშირის კონსტიტუციური საფუძვლის ბოლო, ძირითადი შესწორება – ლისაბონის ხელშეკრულება.

2016 წლის 23 ივნისს, გაერთიანებულმა სამეფომ რეფერენდუმზე მხარი დაუჭირა ევროკავშირიდან გასვლას.

ევროკავშირი, რომელშიც მსოფლიო მოსახლეობის 7,3 % ცხოვრობს, 2014 წელს აწარმოებდა 18,495 ტრილიონ დოლარ მთლიან შიდა პროდუქტს (GDP), რაც გლობალური

GDP-ის 24 %-ია და [მსყიდველობითი უნარის პარიტეტის](#) გათვალისწინებით - 17 %. 2017 წლის შეფასებით მშპ 20.75 ტრლნ აშშ დოლარია, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით - 40 600 აშშ დოლარი.

გარდა ამისა, გაეროს განვითარების პროგრამის თანახმად, ევროკავშირის 28 ქვეყნიდან 26-ის ადამიანის განვითარების ინდექსი არის ძალიან მაღალი. 2012 წელს, ევროკავშირს გადაეცა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შედეგად, ევროკავშირს განვითარებული აქვს საგარეო ურთიერთობები და თავდაცვა. ევროკავშირს მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჰყავს მუდმივი დიპლომატიური მისიები და წარმოდგენილია გაეროში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში, დიდ რვიანსა და დიდ ოცეულში. დიდი გლობალური გავლენის გამო, ევროკავშირს ხშირად უწოდებენ ზესახელმწიფოს ან პოტენციურ ზესახელმწიფოს.

ევროკავშირის წევრი შეიძლება გახდეს ევროპის ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც აღიარებს პლურალისტურ დემოკრატიას, კანონის უზენაესობას, იცავს საკუთარი მოქალაქეების კონსტიტუციურ უფლებებს, გააჩნია გამართული და კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა, იზიარებს ევროკავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზნებს.

ევროკავშირის დედაქალაქებია: ბრუსელი, სტრასბურგი, ლუქსემბურგი, ჰააგა, მაინის ფრანკფურტი.

რუკა 1. ევროკავშირის წევრი და კანდიდატი ქვეყნები

ევროკავშირის დამფუძნებელი სახელმწიფოები:

1950: ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საფრანგეთი

ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოებია:

1973: დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია

1981: საბერძნეთი

1986: ესპანეთი, პორტუგალია

1995: ავსტრია, ფინეთი, შვედეთი

2004: ესტონეთი, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, უნგრეთი, ჩეხეთი

2007: ბულგარეთი, რუმინეთი

2013: ხორვატია

ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფოები:

თურქეთი, მაკედონია, ისლანდია, სერბეთი, ჩერნოგორია, ალბანეთი

ევროკავშირის ისტორიული განვითარება

მოკლე აღწერა: ინტეგრაციის დასაწყისი; შუმანის გეგმა; 50-იანი წლები და ინტეგრაციული პროცესები; დიდი ბრიტანეთის დამოკიდებულება ევროგაერთიანებების მიმართ; 60-იანი წლები და გოლისტური პოლიტიკა ევროპაში; ცარიელი სკამის კრიზისი და ლუქსემბურგის კომპრომისი; 70-იანი წლების სტაგნაცია; ევროგაერთიანებების პირველი გაფართოებები; 80-იანი წლების დინამიკა; ევროპული ინსტიტუტების გაძლიერება; ახალი ხელშეკრულებები; 90-იანი წლების გაფართოებები; ამსტერდამის ხელშეკრულება.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა წამოაყენა იდეა გაერთ-იანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები. შედეგად, 1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (Eუროპეამ Ϲოალ ანდ Sტეელ Ϲომმუნიტყ), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო — ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ

შექმნილიყო დამოუკიდებელი სუპრაეროვნული (ზეეროვნული) ორგანო, ე.წ. "უმაღლესი ხელისუფ- ლება" (Hიგჰ Aუტჰორიტყ), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. უმაღლესი ხელისუფ- ლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც.

ორი წლის შემდეგ, იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ განეგრძოთ ინტეგრაციის პროცესი (ცნობილია მესინის ინიციატივის სახელით). შეიქმნა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი ხელშეკრულებისათვის, რომელიც 1957 წელს გაფორმდა და 1958 წელს შევიდა ძალაში. ეს ხელშეკრულება ცნობილია რომის ხელშეკრულების სახელით. მესინის ინიციატივა წარმოადგენდა იმ დროს ევროპაში, კერძოდ კი, ევროპული გაერთიანებების შემქმნელ ექვს ქვეყანაში არსებული დამოკიდებულების ნათელ გამოვლინებას. ამ დროს ევროპაში გავრცელებული იყო ე.წ. ნეოფუნქციონალისტური თვალთახედვა, რაც გულისხმობდა რწმენას იმისა, რომ ევროპული ინტეგრაციის პროცესი კიდევ უფრო უნდა გაღრმავებულიყო. ნეოფუნქციონალიზმის თეორია ეფუძნება ე.წ. "გადაღვრის" (შპილლოვერ) იდეას, რაც გულისხმობდა იმას, რომ ინტეგრაციის პროცესები ერთ რომელიმე სფეროში (ფოლადი, ნახშირი) გამოიწვევდა ინტეგრაციის პროცესების დაწყებას (გადაღვრას) სხვა სფეროებში (საერთო ბაზარი, საბაჟო ტარიფების შემცირება, საერთო სოფლის მეურნეობა და ა.შ.). ჟან მონეს და მის მიმდევრებს ასევე სჯეროდათ, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია საწინდარი იყო მომავალი პოლიტიკური ინტეგრაციისა, რისი მიღწევის შემთხვევაშიც გამოირიცხებოდა ევროპის კონტინენტზე მომავალი სისხლისღვრა და ომები.

შუმანის გეგმის უმთავრესი მიზანიც სწორედ ევროპაში ომების თავიდან აცილება

იყო. სუპრაეროვნული ორგანიზაციისათვის უმნიშვნელოვანესი რესურსების — ნახშირის და ფოლადის ჩაბარება ემსახურებოდა ერთ მიზანს — უზრუნველყოფილი ყოფილიყო გერმანიის და საფრანგეთის მშვიდობიანი თანაცხოვრება და გაღრმავებულიყო ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური და შემდგომში პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება.

ამგვარი იდეალური დამოკიდებულება 50-იანი წლების დასაწყისში არ იქნა გაზიარებული დიდ ბრიტანეთში. გაერთიანებულ სამეფოში 50-იანი წლების ბოლომდე სჯეროდათ, რომ ევროპის გაერთიანება უტოპიური იდეა იყო, ამიტომ ექვსი ქვეყნის ინიციატივას დიდი ბრიტანეთი არ შეუერთდა. სხვათა შორის, დიდი ბრიტანეთის მხრიდან თავის შეკავება საკმაოდ დიდ უარყოფით მუხტს აძლევდა ევროპის გაერთიანების იდეას და საბაბს იძლეოდა სკეპტიკურად შეგვეხედა შუმანისა და მონეს ინიციატივებისათვის. აღსანიშნავია, რომ პოლ ჰენრი სპააკი, რომელიც რომის ხელშეკრულების (1958 წლის ხელშეკრულება, რომელმაც შეცვალა 1951 წელს პარიზში ხელმოწერილი საწყისი ხელ- შეკრულება) მოსამზადებელ სამთავრობათაშორისო კომისიას ხელმძღვანელობდა გა- დადგა ევროსაბჭოს კონსულტაციური ასამბლეის პრეზიდენტობიდან დიდი ბრიტანეთის გულგრილობისადმი პროტესტის ნიშნად.

მიუხედავად იდეალისტური მიზნებისა, შუმანის გეგმაში გათვალისწინებული იყო

ინტეგრაციის პროცესებზე და ექვსი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე კონტროლის შენარჩუნების მექანიზმი — ე.წ. მინისტრთა საბჭოს სახით. მინისტრთა საბჭო შეიქმნა იმ მიზნით, რომ არ მომხდარიყო საფრანგეთის და გერმანიის სახელმწიფოების ინტერესთა შელახვა კონფლიქტური საკითხის წამოჭრის შემთხვევაში. საბჭოს მთავარ ფუნქციად ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების მიზნით მაღალ ავტორიტეტთან თანამშმრომლობა რჩებოდა. შედეგად უნდა მომხდარიყო ნახშირის, კოქსის და ფოლადის წარმოება მინიმალურ ფასებში და მათი მიტანა მაღალი მოხმარების ობიექტებში ყოველგვარი სავაჭრო ბარიერების გარეშე. ექვსი სახელმწიფოს მთავრობებს უნდა უზრუნველეყოთ ამ პროცესების შეუფერხებელი მიმდინარეობა და ეროვნული კანონმდებლობების შეცვლა ისე, რომ დისკრიმინაციული ხასიათის სავაჭრო ბარიერებს ხელი არ შეეშალათ ინტეგრაციული პროცესებისათვის. სახელმწიფოებს ასევე აეკრძალათ ინტეგრაციის სფეროში მოქმედი სახელმწიფო, თუ სხვა საწარმოებისათვის სუბსიდიების მიცემა. ყველა შემთხვევაში მარეგულირებელ და გადაწყვეტილების მიმღებ მთავარ ორგანოდ ითვ- ლებოდა უმაღლესი ხელისუფლება. მასვე ჰქონდა უფლება გამოეძია იმ კერძო კომპანიების საქმიანობა, რომლებიც მოქმედებდნენ ბაზარზე და ხელს უშლიდნენ ინტეგრაციის პროცესს.

აქვე უნდა შევეხოთ ბრიტანეთის მთავრობის სკეპტიკურ დამოკიდებულებას შუმანის

გეგმისადმი. ამგვარ დამოკიდებულებას რამდენიმე მიზეზი გააჩნდა, რაც კარგად არის აღწერილი საიმონ ბერჯესის სტატიაში. ინტეგრაციის იდეის არაპოპულარობის მიზე- ზებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ბრიტანეთის მთავრობის მაშინდელი მოუქნელი სტრუქტურა, ისე ბრიტანეთის მთავრობის სიფრთხილე ახალი ინიციატივის მიმართ. გარდა ამისა ბერჯესი ყურადღებას ამახვილებს ევროპის საკითხების არაპრიო- რიტეტულობაზე ბრიტანეთის საგარეო საქმეთა დღის წესრიგში და ბრიტანეთის სურვილზე არ გამხდარიყო წევრი ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურისა, რომელიც მიიჩნეოდა ეუთოს (მაშინ - ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონ- ფერენცია) და ევროსაბჭოს ფუქნციების მადუბლირებელ ორგანიზაციად. გარდა ამისა ბრიტანეთის პოლიტიკურმა კულტურამ, რომელიც მეტწილად ეფუძნება ეროვნულ სუვერენიტეტს მნიშვნელოვნად განაპირობა ბრიტანელ პოლიტიკოსებში ახალი სახის ევროპის ჩამოყალიბების მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება. აქვე აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის მთავრობას დიდად არ ანაღვლებდა ბრიტანელების სკეპტიკური დამოკიდებულება. ამის ნათელი მაგალითია 1950 წელს ბრიტანელებისათვის გადაწყვეტილების მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე გაგზავნილი შეტყობინება "უმაღლესი ხელისუფლების" შექმნის შესახებ.

უმაღლესი ხელისუფლება თავდაპირველად ძალზედ მცირე რაოდენობის პერსო-

ნალით იყო დაკომპლექტებული, შესაბამისად აუცილებელი იყო მისი ეფექტიანობის გასაზდრელად ეროვნულ მთავრობებთან მჭიდრო ურთიერთობების შენარჩუნება. ყვე- ლაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ უმაღლესი ხელისუფლება არ გამხდარიყო კერძო სტრუქტურა და არ მოეხდინა ფოლადისა და ნახშირის იმპორტ-ექსპორტიორი სხვა კერძო სტრუქტურების ჩანაცვლება. დიდი იყო სურვილი იმისა, რომ შექმნილიყო მარეგულირებელი ორგანო, რომელიც საფუძველს დაუდებდა თავისუფალ კონკურენ- ციას, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა ტრესტების და მონოპოლიური პრაქტიკების ჩამოყალიბებას და ხელს შეუწყობდა ეკონომიკურ წინსვლას.

პარალელური პროცესი, რომელიც დაიწყო 50-იანი წლების დასაწყისში და უფრო გამძაფრდა კორეის ომის მსვლელობასთან ერთად, იყო დებატები გერმანიის რემილიტარიზაციის შესახებ. ისევე როგორც, შუმანი და მონე მიილტვოდნენ

გერმანიის რეინდუსტრიალიზაციისაკენ, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პლევენი მიისწრაფოდა გერმანიის ხელახლა შეიარაღებისაკენ. შუმანის გეგმამ და ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების შექმნამ საფუძველი დაუდო ახალ იდეას — ევროპის თავდაცვის გაერთიანების შექმნას. ევროპული თავდაცვის გაერთიანება შეიქმნა 1952 წელს ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, როდესაც პარიზში ხელი მოეწერა დამფუძნებელ ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების ხელმოწერამ საფუძველი დაუდო ახალი იმედების აღმოცენებას ევროპული ფედერალიზმის და მომდევნო ინტეგრაციის გაღრმავების შესახებ. დაიწყო პოლიტიკური კავშირის მოსამზადებელ ხელშეკრულებაზე მუშაობა, რომელიც ითვალისწინებდა საგარეო ურთიერთობების, ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის კოორდინაციას და გაერთიანებას. აღსანიშნავია, რომ ამ ხელშეკრულების მოწერის შემთხვევაში მივიღებდით უფრო მეტად ინტეგრირებულ ევროპას, ვიდრე ეს მივიღეთ 1991 წელს მაასტრიხტში მოწერილი ხელშეკრულების შემდეგ.

ევროპული თავდაცვის გაერთიანების შექმნის ინიციატივა მალე დავიწყებას მიეცა.

ამ პროცესს ხელი შეუწყო 1954 წელს გოლისტების მიერ საფრანგეთის პარლამენტში ამ ხელშეკრულების დენონსაციამ. შედეგად, საერთო თავდაცვის პოლიტიკის შექმნის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა.

პარალელურად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა იდენმა აიტაცა გერმანიის შეიარაღების იდეა და მოუწოდა გერმანიას შესულიყო დასავლეთ ევროპულ კავშირში (ჭესტერნ Eუროპეან Uნიონ – ჭEU), სადაც საფრანგეთის, ბენილუქსის ქვეყნების და იტალიის გარდა, ასევე დიდი ბრიტანეთიც იყო გაერთიანებული. ამგვარი ქმედებით გერმანია იღებდა გარანტიას, რომ მალე შევიდოდა ნატოში რაც საბოლოოდ ასეც მოხდა. შესაბამისად გერმანიის შეიარაღების იდეის გამოყენება ევროპის საერთო თავდაცვის პოლიტიკის შექმნისათვის წარუმატებლად დასრულდა.

აღსანიშნავია, რომ ამ ინიციატივის დასამარებამ ბევრს დასწყვიტა გული. დღესაც კი

ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მაშინ, 50-იან წლებში, ევროპის თავდაცვის კავშირის გაფორმებას შეეძლო სხვაგვარი გეზი მიეცა ევროპული ინტეგრაციისათვის. ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ ევროპული თავდაცვის გაერთიანების არაპოპულარობამ სხვა მხრივ შეუწყო ხელი ევროპის ინტეგრაციას. საქმე ისაა, რომ ამ საკითხის გარშემო დებატებმა მთლიანად გადაფარა ფოლადის და ნახშირის გაერთიანების გარშემო წარ-მართული დებატები. შესაბამისად ამ კავშირის შესახებ ხელშეკრულების

რატიფიკაცია უმტკივნეულოდ მოხერხდა ეროვნული პარლამენტების მიერ. 1952 წელს უმაღლესმა ხელისუფლებამ დაიწყო ფუნქციონირება ქალაქ ლუქსემბურგში, რომელიც შეირჩა შტაბბინის განსალაგებლად.

1952 წელს ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანმა სერ ენტონი იდენმა გამოთქვა

მოსაზრება, რომ ევროსაბჭოს, ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების და თავდაცვის ერთიანი სისტემის გაერთიანებით შეექმნათ რაღაც ახალი სტრუქტურა, თუმცა მაშინ ეს წინადადება არ იქნა მიღებული. 1955 წელს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელი მოეწერა მესინის ინიციატივას, რომელმაც ახალი ძალით დაძრა ინტეგრაციის პროცესები დასავლეთ ევროპაში. ბრიტანეთი თვალყურს ადევნებდა მოლაპარაკებების პროცესებს, თუმცა არასოდეს გამოუთქვამს სურვილი ჩართულიყო მოლაპარაკებებში ან შეერთებოდა ექვსი ქვეყნის ინიციატივას. ბრიტანეთის ვაჭრობის სახელმწიფო მდივნის მოადგილე რასელ ბრეზერტონი, რომელიც ესწრებოდა მესინაში მოლაპარაკებების პროცესს, ცნობილი გახდა თავისი პესიმიზმით. მასვე ეკუთვნის ცნობილი ფრაზა, რომელიც მან წარმოთქვა უკანასკნელი შეხვედრის დროს 1955 წლის 5 ნოემბერს — "ჯენტლმენებო, თქვენ ცდილობთ მოილაპარაკეთ იმაზე, რაზეც ვერასოდეს მოილაპარაკებთ, მაგრამ თუ მოილაპარაკეთ, ვერასოდეს მიაღწევთ მის რატიფიცირებას, ხოლო თუ რატიფიცირება მაინც მოახერხეთ, ვერასოდეს მოახერხებთ მის ამუშავებას". საბოლოოდ, 1957 წელს ხელი მოეწერა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების ხელშეკრულებას, ქალაქ რომში. ეს ხელშეკრულება ძალაში

1958 წლის 1 იანვარს შევიდა. რეალურად შეიქმნა საბაჟო კავშირი, რომელიც მიზნად ისახავდა საბოლოო ტარიფების ნულამდე დაყვანას და სხვა ქვეყნების მიმართ ერთიანი ტარიფის შემოღებას. რეალურად კი არ არსებობდა არც პანევროპული ინსტიტუტი და არც გეოგრაფიულად, ეკონომიკურად თუ პოლიტიკურად ჩამოყალიბებული ევროპის კავშირი. გარდა ამისა, მოხდა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებებად ევროპის ნახშირისა და ფოლადის ხელშეკრულების და ევრატომის, ანუ ევროპის ატომური ენერგეტიკის საკითხებში თანამშრომლობის ორგანიზაციის გაერთიანება. რომის ხელშეკრულებამ მოახდინა საფრანგეთის და გერმანიის ინტერესების ინსტიტუციონალიზაცია. საფრანგეთმა მიაღწია მიზანს შეუძლებელი გაეხადა გერმანიის მხრიდან აგრესია, ხოლო გერმანიამ შეძლო მოეხდინა დასავლეთ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია. 1958 წელს ასევე შეიკრიბა ევროპარლამენტის

პირველი სხდომა. მაშინ ევროპარლამენტს ეწოდებოდა ევროპული გაერთიანების ასამბლეა

ბრიტანეთის დატოვებამ გაერთიანების გარეთ ხელი შეუწყო ახალ მოძრაობას

ევროპაში, რომელიც დაგვირგვინდა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ზონის (EFთA) შექმნით. 1959 წელს დიდი ბრიტანეთის თაოსნობით, კერძოდ კი, ედენზე უფრო პროევროპული მიმდინარეობის პრემიერ-მინისტრ მაკმილანის ინიციატივით შეიქმნა შვიდი სახელმწიფოს ეკონომიკური გაერთიანება, რომელშიც ბრიტანეთის გარდა შევიდნენ ავსტრია, დანია, ნორვეგია, პორტუგალია, შვედეთი და შვეიცარია. ამ გაერთიანების ერთ-ერთი უპირველესი მიზანი იყო ექვსი ურჩის (ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების წევრი ქვეყნების) შთანთქმა. რა თქმა უნდა, ბრიტანეთის სიმპათიები ასეთი ორგანიზაციის მხარეს უფრო იყო, რადგან თავისუფალი ვაჭრობის სფერო, სხვა არაფერი იყო თუ არა ეკონომიკური კავშირი, რომელიც არავითარსაფრთხეს არ უქადდა ბრიტანეთის სუვერენიტეტს და პოლიტიკურ ინტერესებს. 1960-74 წლებში დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი იყო. ამ ხნის განმავლობაში მომხმარებლების მსყიდველობითი უნარი გაიზარდა თითქმის ორჯერ. ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებებმა ამ ხნის მანძილზე რამდენიმე სახის რეფორმა განახორციელა; დაიწყო საერთო აგრარული პოლიტიკის განვითარება და სხვა ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები. ასეთმა წარმატებამ, თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთიც დააინტერესა, რომელმაც დაიწყო სურვილის გამოთქმა შეერთებოდა ეკონომიკურ გაერთიანებებს. პირველი განაცხადი გაერთიანებებში შესვლაზე პრემიერ- მინისტრმა მაკმილანმა 1961 წელს შეიტანა. მიუხედავად საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ პომპიდუს დადებითი დამოკიდებულებისა, საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ვეტო დაადო ბრიტანეთის მიღებას ევროპულ გაერთიანებებში. ამგვარი ქმედება გამოწვეული იყო 1963 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ბრიტანეთისათვის პოლარისის ტიპის წყვალქვეშა რაკეტის მიყიდვით.

დე გოლი მთელი ამ ხნის განმავლობაში აცხადებდა, რომ ბრიტანეთი არ იქცეოდა

როგორც ჭეშმარიტი ვეროპელი. სხვათა შორის, დე გოლის სიჯიუტეს შეეწირა მაკმილანის პოლიტიკური კარიერა, რომელმაც დაკარგა რეიტინგი და პრემიერ-მინისტრის პოსტი დე გოლის უარის შემდეგ.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების წარმატება ძირითადად ეფუძნებოდა მუდმივ

კომპრომისებს წევრ-სახელმწიფოებს შორის. შესაბამისად, 60-იანი წლების დასაწყისში მომწიფდა საჭიროება ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღებაზე გადასვლისა. დე გოლისათვის ეს საფრანგეთზე სხვა ქვეყნების ინტერესების თავზე მოხვევის და სუვერენიტეტის შელახვის ტოლფასი იყო, ამიტომ მან შეიმუშავა ე.წ. “ცარიელი სკამის” პოლიტიკა, რის შედეგად 1965 წლის ყველა შეხვედრაზე საფრანგეთის სკამი მინისტრთა საბჭოს სხდომაზე ცარიელი იყო. შესაბამისად, შეუძლებელი გახდა მთელი რიგი საკითხების განხილვა და მიღება, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა ინტეგრაციის პროცესი. ეს კრიზისი საბოლოოდ გადაწყდა 1966 წელს, როდესაც მიღწეული იქნა ე.წ. ლუქსემბურგის კომპრომისი, რომლის შედეგად ევროპული გაერთიანებების წევრ სახელმწიფოებს მიენიჭათ უფლება ვეტო დაედოთ ისეთი საკითხებისათვის, რომლებიც უშუალოდ ლახავდა მათ ეროვნულ ინტერესებს.

ბრიტანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ უილსონმა მეორედ შეიტანა წევრობის განაცხადი 1967 წელს, თუმცა ორი დღის შემდეგ დე გოლმა ექსკლუზიურად ამ

საკითხისათვის მიძღვნილ პრეს კონფერენციაზე განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებებში შესვლა დიდ სიძნელეებთან იქნებოდა დაკავშირებული. მიუხედავად ასეთი განცხადებისა ბრიტანეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ფორმალური განაცხადის შეტანას, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო დე გოლმა ვეტო დაადო ბრიტანეთის აპლიკაციას. ამასთან, საფრანგეთის პრეზიდენტმა მოხაზა ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც ბრიტანეთს უნდა შეესრულებინა კავშირში შესვლისათვის. ამ კრიტერიუმებში შედიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან განსაკუთრებული ურთიერთობების მოშლა, ფუნტი სტერლინგის არეალის დატოვება და დემონსტრირება, რომ ბრიტანეთი მართლაც “კეთილსინდისიერი ევროპელი” იყო. ბუნებრივია, რომ ეს მოთხოვნები ბრიტანეთმა არ შეასრულა.

დამოკიდებულება დიდი ბრიტანეთის მიმართ შეიცვალა მას შემდეგ, რაც საფრან-გეთის და გერმანიის სათავეში 1969 წელს მოვიდნენ ჟორჟ პომპიდუ და ვილი ბრანდტი. ამის შემდეგ ბრიტანეთის ევროპის გაერთიანებებში ინტეგრაციის პროცესი

დაჩქარდა. ხელშეკრულებას დიდ ბრიტანეთთან, დანიასთან, ირლანდიასა და ნორვეგიასთან ხელი მოეწერა 1972 წელს და ეს ქვეყნები 1973 წლიდან ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც რეფერენდუმზე არ დაუჭირა მხარი გაერთიანებებში შესვლას იყო ნორვეგია. ნორვეგია დღესაც არ არის ევროკავშირის წევრი, ხალხის აზრი კი კვლავაც ევროკავშირის წინააღმდეგია, რისი დასტურიც გახდა 1994 წელს კიდევ ერთი რეფერენდუმის ჩაგდება.

1970-იანი წლები ევროპის ეკონომიკური გაერთიანებებისათვის კრიზისების ხანად

არის ცნობილი. ამ პერიოდში აღმოცენდა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა "ევრო-სკლეროზი" და "ევროპესიმიზმი". როდნი ლიჩი ევროსკლეროზს განმარტავს, როგორც ევროპის ეკონომიკური არტერიების გატლანქებას. როგორც წესი ევროსკლეროზი აღნიშნავს ევროპის შენელებულ და არადინამიურ შრომით ბაზარს, რაც გამოწვეული იყო ხისტი შრომითი კანონმდებლობით, მაღალი სოციალური ხარჯებით, მძიმე დაბეგვრით და ზერეგულირებით გამოწვეული სტაგნაციით. რაც შეეხება ევროპესიმიზმს, ეს ტერმინი აღნიშნავს ევროპული იდეის მიმართ სკეპტიკურ განწყობას და რწმენას იმისა, რომ ინტეგრაცია არც ისეთი გარდაუვალი და კეთილდღეობის მომტანია, როგორც ესზოგადად აღიქმება. აღსანიშნავია, რომ ევროსკეპტიკოსები საკმაოდ აქტიურები არიან ევროპულ არენაზე, მათ შორის არიან ევროპარლამენტშიც. აქვე აღსანიშნავია, რომ ჟაკ შირაკი, რომელიც დღეს ერთ-ერთ ყველაზე პროევროპეისტულ პოლიტიკოსად ითვლება,

1979 წელს გამოუსწორებელ ევროსკეპტიკოსად მიიჩნეოდა. ამაზე მეტყველებს 1979 წელს მის მიერ გამოქვეყნებული პამფლეტი — "კოშენის მოწოდება", სადაც შირაკმა ხმამაღლა განაცხადა უარი ეუპრაეროვნულ ევროპაზე, ეკონომიკურ ინტეგრაციასა და საფრანგეთის საერთაშორისო იმიჯის შელახვაზე, ჟისკარ დ'ესტენის მთავრობას კი უცხოელების მთავრობა უწოდა.

პრობლემები, რომელთა წინაშეც ევროპული გაერთიანებები აღმოჩნდა 70-იან

წლებში განსხვავდებოდა 60-იანი წლების პრობლემებისაგან, როდესაც ინტეგრაციის პროცესი ძირითადად ფერხდებოდა შარლ დე გოლის პოლიტიკის გამო. ამჯერად ევროპის ქვეყნები აღმოჩნდნენ ცვალებადი საერთაშორისო გარემოს და ცივი ომის დაძაბული წლების მსხვერპლი. ამ წლების განმავლობაში ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების მდგრადობა და გადარჩენა მეტწილად განაპირობა საფრანგეთის და

გერმანიის მეთაურების ვალერი ჟისკარ დ'ესტენის და ჰელმუტ შმიდტის პირადმა მეგობრობამ და კარგმა ურთიერთობებმა (ცნობილია, როგორც პარიზი-ბონის ღერძი). მიუხედავად ასეთი ურთიერთობებისა, ამ ორმა ადამიანმა ბევრი ვერაფერი გააკეთა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების გასაძლიერებლად. 70-იან წლებში ნათლად წარმოჩინდა, რომ ევროკომისია ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი იყო. 1975 წლიდან უკვე რეგულარულად იწყება ევროპული საბჭოს შეხვედრები, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები განიხილება სახელმწიფოს მეთაურთა დონეზე. შესაბამისად შესუსტდა ევროკომისიის და პარლამენტის როლი. ამ ორი ინსტიტუტის გამოცოცხლება მხოლოდ 1979 წელს მოხდა, როდესაც პირველად ისტორიაში დაინიშნა ევროპარლამენტის პირდაპირი არჩევნები და როდესაც ევროკომისიამ შეძლო გაეტანა ევროპის სავალუტო სისტემის შექმნის იდეა.

1975 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანებები კრიზისის წინაშე დადგა, მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა მოითხოვა მოლაპარაკებების თავიდან დაწყება და გაწევრიანების ხელშეკრულების გადახედვა. 1975 წლის ივნისში დიდ ბრიტანეთში ჩატარდა რეფერენდუმი, გაეგრძლებინა თუ არა დიდ ბრიტანეთს თავისი წევრობა გაერთიანებებში, სადაც 67.2 პროცენტმა მხარი დაუჭირა ბრიტანეთის დარჩენას ევროგაერთიანებაში.

1977 წელს ევროპული კომისიის პრეზიდენტი გახდა როი ჯენკინსი, რომელმაც შემო-

იტანა ევროპის სავალუტო სისტემის იდეა. მსგავსი პროექტი 1972 წელს დამუშავებული იქნა პომპიდუს მიერ, მაგრამ მისი იმპლემენტაცია ვერ მოხერხდა 70-იანი წლების შუაში დაწყებული ნავთობკრიზსის გამო. ევროპის სავალუტო კავშირის მარდასაჭერად როი ჯენკინსმა გადმოიბირა საფრანგეთის პრეზიდენტი ჟისკარ დ'ესტენი და ჰელმუტ შმიდტი, თუმცა ვერ მოახერხა ბრიტანეთის პრემიერის ჯეიმს კალაჰანის გადმობირება. მიუხედავად ამისა, ევროპის სავალუტო კავშირი ძალაში შევიდა 1979 წლიდან და მისი განვითარება დაიგეგმა საფეხურების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის მესამე საფეხური, რაც ერთიან ვალუტაზე გადასვლას ისახავდა მიზნად ძალაში შევიდა 1999 წელს, როდესაც ევროზონის ტერიტორიაზე ეროვნული ვალუტები ევროთი შეიცვალა.

ამავე პერიოდში მოხდა ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების გაფართოება ახალ

წევრ სახელმწიფოებზე. საბერძნეთმა, რომელთანაც 1969-74 წლებში ევროპას ურთიერთობები გაყინული ჰქონდა, მოახერხა დემოკრატიის აღდგენა ქვეყანაში და პირველი ოფიციალური განაცხადიც მალევე შეიტანა ევროკავშირის წევრობაზე. ევროკომისიამ თავდაპირველად უარი განაცხადა საბერძნეთის მიღებაზე, რადგან საბერძნეთი ვერანაირ ეკონომიკურ კრიტერიუმს ვერ აკმაყოფილებდა. მიუხედავად ამისა, მინისტრთა საბჭო და ევროპული საბჭო მხარს უჭერდნენ საბერძნეთის გაერთიანებებში მიღებას პოლიტიკური მოსაზრებების გამო, რათა არ მომხდარიყო აღორძინებული დემოკრატიის დაკარგვა და ქვეყანაში კომუნიზმის გავრცელება. ამასთან, საბერძნეთის შესვლა გაერთიანებებში დაემთხვა ესპანეთის და პორტუგალიის მისწრაფებებსაც მოეხდინათ უფრო მჭიდრო ინტეგრაცია ევროპულ გაერთიანებასთან. ესპანეთიც და პორტუგალიაც, საბერძნეთის მსგავსად სამხედრო დიქტატურისაგან ახლად გათავისუფლებული ქვეყნები იყვნენ, ამიტომ ევროპული სახელმწიფოები არ ჩქარობდნენ მათთვის უარის თქმას. აღსანიშნავია, რომ საბერძნეთმა უმალ მოახდინა თავისი მისწრაფებების შორს დაჭერა ესპანეთის და პორტუგალიის ინტერესებისაგან, რადგან საფრანგეთი ეჭვის თვალით უყურებდა ესპანეთის გაწევრიანების პერსპექტივას, იმის გამო, რომ საფრთხე ექმნებოდა საფრანგეთის აგრარულ პროდუქციას ბაზარზე ახალი მწარმოებელის გამოჩენის შედეგად.

მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლითაც 70-იანი წლების ბოლო აღინიშნა, იყო ევროპარლამენტის არჩევითობის შემოღება. მიუხედავად იმისა, რომ რომის ხელშეკრუ- ლება ითვალისწინებდა ასამბლეის წევრების არჩევითობას, წევრი სახელმწიფოები ამჯო- ბინებდნენ თავად წარეგზავნათ პარლამენტარები ევროპულ ფორუმში. თუმცა, 1974 წელს პარიზის დადგენილების შემდეგ, რომელმაც ევროპული საბჭოს ინსტიტუციო- ნალიზაცია მოახდინა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საბოლოოდ დაეშვათ პარლამენტარების არჩევითობა, რათა არ დაკარგულიყო ბალანსი ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებებს შიგნით. აღსანიშნავია, რომ საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი პარლა- მენტარების წარგზავნის მომხრე იყვნენ, ხოლო ეეგ-ის მცირე წევრი-სახელმწიფოების უმრავლესობა, მათ შორის იტალიაც, მხარს უჭერდა ევროპარლამენტარების არჩე- ვითობას. ამავე პოზიციას იზიარებდა ევროკომისიაც, რომელსაც სურდა პარლამენტის სახით ახალი პარტნიორი შეეძინა მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ ბრძოლაში. საბოლოოდ პირველი არჩევნები 1979 წელს ჩატარდა და საფუძველი დაედო ახალი

პარლამენტარიზ- მის აღმოცენებას ევროპულ გაერთიანებებში. აღსანიშნავია, რომ არჩევითობის პირველი შედეგები უმალვე თვალნათელი არ გამხდარა, თუმცა პარლამენტის გაზრდილი როლი აშკარა გახდა ერთიანი ევროპული აქტის და ევროკავშირის დამფუძნებელი მაასტრიხტის ხელშეკრულების მიღების შემდეგ.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც 70-ანი და 80-იანი წლების მიჯნაზე წარმოიშვა

დაკავშირებული იყო დიდი ბრიტანეთის მიერ ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების ბიუჯეტში გადახდილ უზარმაზარ თანხებთან. მარგარეტ ტეთჩერი პრემიერ-მინისტრად გახდომის პირველივე დღიდან ეწინააღმდეგებოდა ბრიტანეთის მიერ თანხების ამგვარ ფლანგვას, რადგან ფაქტი იყო, რომ დიდი ბრიტანეთი გერმანიასთან ერთად ევროპული გაერთიანებების ბიუჯეტის ყველაზე დიდი შემავსებლი იყო, უკან კი თანხების მხოლოდ მცირე ნაწილს იღებდა. ტეთჩერის მოთხოვნა მიეღწიათ ახალი საბიუჯეტო შეთანხმებისათვის ყველასათვის გასაგები იყო, თუმცა ტეთჩერის მოთხოვნის მანერა და დიპლომატიის წარმოების თავისებური ხერხები ანელებდა კომპრომისის მიღწევას. საბოლოოდ, 1980 წელს ევროპის სახელმწიფოების ლიდერებმა მიაღწიეს კომპრომისულ შეთანხმებას, თუმცა მისი ამოწურვის შემდეგ 1983 წელს პრობლემამ ხელახალი სიძლიერით იჩინა თავი. 80-იანი წლების დასაწყისში რამდენიმე სამიტის ჩაშლამ დაარწმუნა ევროპის მთავრობები, რომ ბრიტანეთის ინტერესები უნდა დაეკმაყოფილებინათ. 1984 წელს ფონტენბლუში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლიც მიხედვითაც დიდი ბრიტანეთის ფინანსური კონტრიბუცია ევროპული გაერთიანებების ბიუჯეტში საგრძნობლად შემცირდა (დიდმა ბრიტანეთმა დაზოგა 10 მილიარდ გირვანქა სტერლინგზე მეტი 1984-1990 წლებში). ამასთან, ბრიტანეთის საბიუჯეტო ინტერესების დაკმაყოფილებამ გზა გაუხსნა ახალ ინიციატივებს, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანს

— ერთიანი ბაზრის შექმნას.

1979 წელს ევროპარლამენტის არჩევნების ჩატარებამ წარმოშვა შესაძლებლობა

ევროპული გაერთიანებების მომავალი რეფორმირებისათვის. ევროპარლამენტის ფუნქციების გაფართოება მჭიდროდ უკავშირდება ალტიერო სპინელის სახელს. სპინელი, რომელიც 1970 წელს იტალიის მიერ კომისიაში იქნა მივლენილი უეცრად გადადგა 1976 წელს და ევროპულ პარლამენტში არჩია მოღვაწეობის გაგრძელება. სპინელიმ 1980 წელს ჩამოაყალიბა ე.წ. ნიანგის კლუბი, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის გაერთიანებების გაძლიერებას და პარლამენტის როლის გაფართოებას.

კლუბს სახელი ეწოდა სტრასბურგში არსებული ნიანგის რესტორანის გამო, სადაც სპინელი და მისი თანამოაზრეები ხვდებოდნენ 1980 წელს. სპინელიმ მიაღწია, რომ ევროპარლამენტში შექმნილიყო ინსტიტუციონალური საკითხების კომიტეტი, სადაც დაიწყო ევროპის გაერთიანებებისათვის აქტუალური საკითხების წამოჭრა. 1983 წელს ამ კომიტეტმა შეიმუშავა ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულების პროექტი, რომელსაც უნდა შეეცვალა ყველა სხვა დამფუძნებელი ხელშეკრულება. 1984 წლის თებერვალში ევროპარლამენტმა მიიღო ეს ხელშეკრულება 237 ხმით 31 ის წინააღმდეგ, 43

თავშეკავებით. მიუხედავად იმისა, რომ ცხადი იყო, რომ წევრი ქვეყნების მთავრობები

არავითარ შემთხვევაში არ დაამტკიცებდნენ ამ პროექტს, ევროპარლამენტმა აჩვენა თავისი ძალა და დაუმტკიცა სკეპტიკოსებს, რომ იგი ევროპული ინტეგრაციის მომხრე და ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა იყო.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში ევროპის თანამეგობრობამ მნიშვნელოვანი

ტრანსფორმაცია განიცადა. პირველ რიგში ეს დაკავშირებული იყო ევროპული ეკონომი- კური გაერთიანებების რაოდენობრივ ზრდასთან, ანუ მასში ესპანეთის და პორტუგალიის შესვლასთან. გაფართოებასთან ერთად ევროპას ახალი ტიპის პრობლემებთან მოუწია შეჯახება, კერძოდ კი, დადგა საფრთხე ევროპის გაერთიანებებში ნაჭარბი პროდუქტების ზრდისა, შესაბამისად ესპანეთს მოუხდა ბევრ კომპრომისზე წასვლა, რათა დაეკმა- ყოფილებინა საფრანგეთის და სხვა ქვეყნების აგრარული ინტერესები.

1980-იანი წლების მეორე ნახევარში ერთიანი ბაზრის განვითარება მჭიდროდაა

დაკავშირებული კომისიის პრეზიდენტ ჟაკ დელორთან. დელორის კომისიამ უდიდესი წვლილი შეიტანა ევროგაერთიანების განვითარებაში და მისი ეკონომიკური პოტენცი- ალის ზრდაში. დელორი, რომელიც თავად ყოფილი ფინანსთა მინისტრი იყო და რომლის კომისიაშიც ასევე რამდენიმე ფინანსთა მინისტრი შედიოდა, ცდილობდა წინა პლანზე ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის პრიორიტეტები წამოეწია. დელორი, როგორც ამბიციური ევრობიუროკრატი, ცდილობდა ის მიმართულებები გაეხადა პრიორიტეტუ- ლად, რომლებიც თავად მიაჩნდა მნიშვნელოვნად. შესაბამისად, სწორედ მის მონდომებას უკავშირდება ერთიანი ბაზრის შესახებ მოლაპარაკებების წარმატებით გამართვა და ეკონომიკური და სავალუტო პოლიტიკის შექმნისათვის საფუძველის მომზადება.

ამავდროულად მომწიფდა ინსტიტუციური რეფორმების გატარების აუცილებლობაც.

პარლამენტის მიერ მომზადებული ხელშეკრულების პროექტმა, ისევე როგორც სპეციალურად შექმნილი დუჯის კომისიის მოხსენებამ დაძრა მოლაპარაკებები ახალი ინსტიტუციური რეფორმების და ევროგაერთიანებების შიგნით ძალთა ბალანსის ახალი გადანაწილების შესახებ. სამთავრობათაშორისო კონფერენცია გაიხსნა ლუქსემბურგში

1985 წლის სექტემბრის დასაწყისში და გაგრძელდა 1986 წლის იანვრამდე. ევროპარლამენტარებმა მოითხოვეს გაზრდილი როლი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თუმცა ამ მოთხოვნაზე მათ უარი ეთქვათ. მიუხედავად ამისა, პარლამენტმა კარგად ისარგებლა ხელშეკრულებაში არსებული 236-ე მუხლით, სადაც წერია, რომ ევროგაერთიანებების საკითხებზე სამთავრობათაშორისო კონფერენციის მოსაწვევად საჭირო იყო ყველა ინსტიტუტის თანხმობა. პარლამენტმა გააჭიანურა თანხმობის მიცემა და შესაბამისად მიიღო გარკვეული კონცესიები, რომლებიც ძრითადად პარლამენტის, როგორც საკონსულტაციო ორგანოს ფუნქციების გაზრდით გამოიხატა. გარდა ამისა, გაიზარდა პარლამენტის როლი კანონმდებლობის მიღების პროცესში, განსაკუთრებით კი ერთიან ბაზართან დაკავშირებულ საკითხებში. და ბოლოს, პარლამენტს მიეცა უფლება განეხილა მომავალი წევრი ქვეყნების წევრობის ხელშეკრულებების მართებულობა და მისაღებობა. საბოლოოდ შეიქმნა ერთიანი ევროპული აქტი, რომელსაც 1986 წლის თებერვალში ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი. აღსანიშნავია, რომ საერთო ევროპული აქტით დელორმა მოახერხა ეკონომიკური და მონეტარული ინტეგრაციისათვის საფუძვლის ჩაყრა, რადგან ხელშეკრულებაში მისი ინიციატივით ჩაემატა თავი, სადაც ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკის კონვერგენცია გაერთიანების მომავალი განვითარების უმთავრეს საწინდარად იყო გამოცხადებული.

ერთიანი ევროპული აქტის შემდეგ დღის წესრიგში დადგა საერთო ბაზრის საბოლოო ფაზაში შეყვანა. ევროპის გაერთიანებების რამდენიმე ქვეყანამ და, განსაკუთრებით, საფრანგეთმა პრიორიტეტად დაისახეს ერთიანი ბაზრისათვის საბოლოო სახის მიცემა. აქვე გაჩნდა ტერმინი “შეუქცევადი”, რომელიც მეტწილად გამოიყენებოდა საერთო ბაზრის საბოლოოდ ჩამოყალიბების პროცესის დასახასიათებლად. კვალიფიცირებული უმრავლესობით ხმის მიცემა იმთავითვე იქნა გამოყენებული საბჭოს მიერ, მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი ევროპული აქტი ჯერ რატიფიცირებული არ იყო ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. ასევე სწრაფად დაიწყო

ერთიანი ბაზრის მისაღებად აუცილებელი რეფორმების გატარება. ერთიანი ბაზრის ეკონომიკური წარმატების იდეა ეფუძნებოდა ე.წ. ცეჩინის (ჩეცცჰინი ღეპორტ) მოხსენებას. ცეჩინიმ, რომელიც ასევე ყოფილი კომისარი იყო, ექსპერტების ჯგუფთან ერთად დაწერა მოხსენება, სადაც აჩვენა ზარალი, რომელსაც ევროპა ნახულობდა ფრაგმენტირებული ბაზრის გამო. ევროპული აქტის მიღების შემდეგ დელორის კომისიამ (ამ პერიოდში დელორის კომისია ცნობილისა დელორ I-ის სახელით, რათა განვასხვავოთ იგი მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდგომ პერიოდში მოქმედი დელორის მეორე კომისიისაგან) ყველა ზომა მიიღო იმისათვის, რომ საერთო ბაზარი რაც შეიძლება მალე ჩამოყალიბებულიყო. ამ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გათანაბრების პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო ევროპის შედარებით ჩამორჩენილი ქვეყნების და რეგიონების განვითარებისაკენ. ამ მიზნით სპეციალური გათანაბრების ფონდიც შეიქმნა, საიდანაც ფინანსდებოდა ადგილობრივი განვითარების ხელშემწყობი პროექტები. შესაბამისად, დელორმა წარადგინა პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა სტრუქტურული და გათანაბრების ფონდის დაფინანსების გაზრდას, საბიუჯეტო წესრიგის დამყარებას და საერთო აგრარული პოლიტიკის გარდაქმნას. აღსანიშნავია, რომ ემ პაკეტის მიღების პროცესი თითქმის ორი წელი გაჭიანურდა, რაც მეტწილად დაკავშირებული იყო მარგარეტ ტეთჩერის პოზიციასთან, რადგან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს არ სურდა დათმობაზე წასულიყო და მეტი ფული გადაეხადა ევროპის ბიუჯეტში. მიუხედავად ასეთი პოზიციისა, ტეთჩერი წავიდა დათმობებზე, რადგან დელორის პაკეტის მიღების გაჭიანურება, თავის მხრივ, საერთო ბაზრის საბოლოო ჩამოყალიბებასაც აჭიანურებდა, რაც დიდი ბრიტანეთის ინტერესებში არ შედიოდა.

ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების შემდეგი ეტაპი 1989 წელს დადგა,

როდესაც მადრიდის სამიტზე დელორის კომისიამ შესთავაზა წევრ სახელმწიფოებს ევროპული სავალუტო კავშირის პირველი ეტაპის დაწყება, რაც გულისხმობდა ვალუტის კურსის მექანიზმისადმი მიერთებას. მიუხედავად იმისა, რომ დიდი ბრიტანეთი შეუერთდა ამ სისტემას, ორ წელიწადში ფუნტი-სტერლინგი გამოეყო ევროპულ სავალუტო კავშირს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია სხვა სახელმწიფოებისათვის მიეღოთ გადაწყვეტილება

2000 წლისათვის გადასულიყვნენ ერთიან სავალუტო სისტემაზე.

1991 წელი და მაასტრიხტის ხელშეკრულება ევროკავშირის განვითარების ახალი ეტაპი გახდა. მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად არა მარტო ჩამოყალიბდა ევროკავშირი, არამედ რომის ფუძემდებლური ხელშეკრულების საფუძვლიანი რევიზიაც მოხდა. საბოლოოდ მაასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ საყრდენს, საიდანაც მხოლოდ პირველი საყრდენი (ევროპის ეკონომიკური გაერთიანებები) იქნებოდა საზოგადოებრივი (ანუ რეგულირდება სუპრაეროვნულ დონეზე) და დარეგულირდებოდა ევროპულ დონეზე. რაც შეეხება მეორე (მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები) და მესამე (საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა) საყრდენებს, გადაწყდა, რომ მათი ადმინისტრირება ეროვნულ დონეებზე მომხდარიყო, კომისიის და ევროკავშირის სხვა ინსტიტუტების ჩარევის გარეშე. მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება, შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი და დაიწყო სერიოზული მზადება ერთიანი ვალუტის შემოსაღებლად. მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ასევე იყო საუბრები ერთიანი სოციალური პოლიტიკის შექმნის შესახებ, თუმცა ეს თავი საბოლოოდ ამოღებულ იქნა, რადგან სოციალური პოლიტიკა, ისევე როგორც საგარეო პოლიტიკა და დაბეგვრის პოლიტიკა წევრმა სახელმწიფოებმა ქვეყნის შინაგან საქმეებად მიიჩნიეს. აღსანიშნავია, რომ მაასტრიხტის ხელშეკრულება რამდენიმეჯერ გადაურჩა ჩავარდნას რატიფიკაციის პროცესის დროს. დანიის რეფერენდუმის შედეგად მაასტრიხტის ხელშეკრულება ჩავარდა კიდეც და მხოლოდ განმეორებითმა რეფერენდუმმა გადაწყვიტა დადებითად ხელშეკრულებაზე დანიის მიერთების საკითხი. რაც შეეხება საფრანგეთს, სხვაობა მომხრეებს და მოწინააღმდეგეებს შორის სულ რაღაც 0.5 პროცენტი იყო.

1995 წელს ევროკავშირში მორიგი გაფართოება მოხდა. ევროპის თავისუფალი ვაჭრობის არეალის სამი ქვეყანა — შვედეთი, ავსტრია და ფინეთი ევროკავშირის მეცამეტე, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე წევრები გახდნენ. ეს გაფართოება, ალბათ, ყველაზე უმტკივნეულო იყო ევროკავშირისათვის, რადგან მისი ახალი წევრები მაღალგანვითარებული ქვეყნები იყვნენ, რომლებსაც შესწევდათ ძალა უფრო მეტი თანხები გაეღოთ ევროპული ბიუჯეტისათვის, ვიდრე მიეღოთ. მნიშვნელოვანი დებატები ამ გაფართოების შედეგად მხოლოდ მინისტრთა საბჭოში კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებით წარმოიშვა. საქმე ის იყო, რომ კვალიფიცირებული უმრავლესობით კენჭისყრის დროს ხმების საერთო რაოდენობა გაფართოების

შედეგად 76 დან 90-მდე გაიზარდა. შესაბამისად საუბრები იყო დამბლოკველი უმცირესობის რაოდენობის გაზრდაზეც. ბრიტანეთი და ესპანეთი მოითხოვდნენ, რომ დამბლოკველი უმცირესობა დარჩენილიყო 23 ხმაზე. საბოლოოდ კომპრომისი მიღწეული იქნა საბერძნეთის ქალაქ იოანინაში, სადაც შეთანხმდნენ, რომ "თუ საბჭოს წევრები, რომელთაც 23-25 ხმა აქვთ გამოთქვამენ სურვილს, რომ არ შეუერთდნენ გადაწყვეტილებას და მის წინააღმდეგ მისცენ ხმა, საბჭომ უნდა აიღოს ვალდებულება და მიაღწიოს ისეთ კომპრომისს, რომელიც საბჭოში გავა მინიმუმ 65 ხმის მქონე კვალიფიცირებული უმრავლესობის გადაწყვეტილებით." ამ დისპუტებმა ხაზი გაუსვა ინსტიტუციური მოწყობის მნიშვნელობას ევროკავშირის სახელმწიფოებისათვის.

1995 წლის გაფართოება სხვადასხვაგვარად აისახა ახალ წევრ ქვეყნებზე. შვედეთის მოსახლეობას მალე გაუცრუვდა იმედი ევროკავშირით და შვედეთის მთავრობამ მალევე მიიღო გადაწყვეტილება არ მიეღო მონაწილეობა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის III ეტაპში. რაც შეეხება ნორვეგიას, რომელიც თავიდან განიხილებოდა წევრობის კანდიდატად, მან მეორედ თქვა უარი კავშირში გაწევრიანებაზე, მას შემდეგ რაც 1994 წელს მოსახლეობის 53-მა პროცენტმა უარი განაცხადა ევროკავშირში შესვლაზე. Fფიინეთი და ავსტრია კი, თავის მხრივ, ძალზედ კმაყოფილნი დარჩნენ გაფართოებით, რადგან, პირველ რიგში, განამტკიცეს საკუთარი უსაფრთხოების გარანტიები და მეორე რიგში, უზრუნველყვეს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპი. აქვე აღსანიშნავია, რომ ნორვეგია, კავშირში გაწევრიანებაზე უარის თქმის მიუხედავად, მაინც რჩება ყველაზე განვითარებულ ქვეყნად ევროპის კონტინენტზე.

ინტეგრაციის პროცესი 90-იან წლებში არ შეჩერებულა. უფრო მეტიც, მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ჩადებული იყო ახალი სამთავრობათაშორისო კონფერენციის მოწვევა

1996-1997 წლებში. შესაბამისად შეიძლება ვთქვათ, რომ 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულება მაასტრიხტში მოუთავებელი საქმეების დასრულება იყო. ამ დროისათვის აღსანიშნავია ისიც, რომ ევროკავშირში გაწვერიანებაზე უკვე სურვილი ჰქონდათ გამოთქმული 10 აღმოსავლეთ ევროპულ ქვეყანას, თურქეთს, მალტას და კვიპროსს. ევროკავშირის ლიდერებმა იმთავითვე აღიარეს, რომ ევროკავშირის მომდევნო გაფართოება აუცილებლად მოხდებოდა, თუმცა არ დაუკონკრეტებიად როდის და რა პირობებში. სამთავრობათაშორისო კონფერენცია ძირითადად მიზნად

ისახავდა ისეთი ინსტიტუ- ციონალური სისტემის შექმნას, რომელიც უპრობლემოდ უზრუნველყოფდა ევროკავშირის მომავალ გაფართოებას და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციას. მიუხედავად ამისა ძირითადი თემები, რომელთა გარშემოც დებატები გაიმართა ამსტერდამის ხელშეკრულების მიღების პროცესში ეხებოდა "ფლექსიბელურო- ბის" ინსტიტუციონალიზაციას და "თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების" არეალის შექმნას. ფლექსიბელურობა გულისხმობდა ევროკავშირის ინსტიტუტების და მიმდინარე პროცესების დინამიურობის გაზრდას და მოქნილობის გაუმჯობესებას. ეს დებატები დაკავშირებული იყო ჯონ მეიჯორის საკმაოდ ჯიუტ პოლიტიკასთან, განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხებოდა ბრიტანეთის ინტერესებს, ასევე ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შემდგომ განვითარებას და ევროზონის საბოლოოდ შექმნას. ისე ჩანდა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნები აღარ აპირებდნენ უფრო მჭიდრო პოლიტიკურ ინტეგრაციას. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო გერმანიის კონსერვატორული მთავრობის წევრების მიერ გამოცემული დოკუმენტი ევროპის საზოგადოებრივი პოლიტიკის შესახებ. ეს დოკუმენტი, რომელიც ცნობილია ლამერს/შაუბლეს დოკუმენტის სახელით, პირდაპირ მოუწოდებდა ინტეგრაციონისტ ქვეყნებს, რომ უფრო გაძლიერებულიყვნენ. ინტეგრაციონისტ ქვეყნებში იგულისხმებოდა დამაარსებელი ექვსი ქვეყანა, იტალიის გარდა. ასევე გაკრიტიკებული იყო ბრიტანეთი, ხოლო ბრიტანეთის ზუსტი პოზიციის გასარკვევად დოკუმენტი მოუწოდებდა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, რომ უფრო გაეღრმავებინათ ინტეგრაცია. ბრიტანეთი თავის მხრივ მომხრე იყო "გადახტომის" პოლიტიკისა, ანუ ზოგიერთ საკითხებზე და პოლიტიკის ზოგიერთ მიმართულებებზე გადახტომისა, რაც ნიშნავდა, რომ სხვა ქვეყნებს შეეძლოთ მოეხდინათ ინტეგრაცია, მაგრამ ბრიტანეთი იტოვებდა უფლებას არ შეერთებოდათ მას. ამგვარი პრაქტიკა, როგორც მაშინ ბევრი მიიჩნევდა, ძირს უთხრიდა ევროპის ინტეგრაციის იდეას. მიუხედავად ამისა, ფლექსიბელურობის იდეა მაინც გავიდა და ჩართული იქნა ამსტერდამის ხელშეკრულებაში.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ ხელშეკრულებაში იქნა წამოწეული იყო თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების საკითხებში თანამშმრომლობის გაღრმავება. გარეთა საზღვრების კონტროლი, სავიზო რეჟიმები, თავშესაფრის მიცემის და იმიგრაციის პოლიტიკა და თანამშმრომლობა საშინაო და

იუსტიციის საკითხებში სწორედ ის საკითხებია, რომლებიც ძალზედ ახლოს დგანან ეროვნულ სუვერენიტეტთან. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ დადგინდა ამ სფეროებში ინტეგრაცია, შემოღებუ- ლი იქნა ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდი, რომელიც მიუთითებდა, რომ სამ საკითხებ- თან დაკავშირებით კვალიფიცირებული უმრავლესობით ხმის მიცემა არ უნდა მომხდარი- ყო მომდევნო ხუთი წლის მანძილზე. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ ამსტერდამის ხელ- შეკრულება ეხება საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებს და მომხმარებელთა უფლებე- ბის უზრუნველყოფის საკითხებს. ამასთან ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩაიდო პირვე- ლი მექანიზმები, რომლებიც მიმართული იყო ევროპაში უმუშევრობის დონის შემცირებისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამსტერდამის ხელშეკრულება ძალზედ რთული წასა- კითხია ჩვეულებრივი მოქალაქეებისათვის, რადგან 50-გვერდიანი ტექსტი მოიცავს წინა ხელშეკრულებების მუხლებზე უამრავ მითითებას. გარდა ამისა, ენა, რომელიც გამოყენებული იქნა ტექსტის შედგენის დროს პრობლემებს უქმნის არა მარტო მოქალაქეებს, არამედ ევროკავშირის ექსპერტებსაც.

თავი 3.

ევროკავშირის სტრუქტურა და ფუნქციონირების სფეროები

ევროკავშირის შექმნის ისტორია და ინსტიტუტები

ერთიანი ევროპის იდეა თავდაპირველად მხოლოდ ფილოსოფოსებისა და მოაზროვნეების ოცნებას წარმოადგენდა. ვიქტორ ჰუგო ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოების საერთო იდეად ჰუნამიზმს მოიაზრებდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქვეყნებმა, რომლებიც ტოტალიტარიზმით ხასიათდებოდნენ, გადაწყვიტეს ეთანამშრომლათ ევროპაში მშვიდობის დასაცავად. კავშირი მიზნად ისახავდა ხელშეკრულებების საფუძველზე სახელმწიფოთა გაერთიანებას, რაც კანონის უზენაესობის და ერთა თანასწორობის გარანტად მოიაზრებოდა.

1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა ევროპის

ქვანახშირის მომპოვებელი და ფოლადის მწარმოებელი ქვეყნების გაერთიანების (ECSC) შექმნის იდეა წამოაყენა. შუმანის გეგმა 1951 წელს განხორციელდა ჟან მონესა და ალტიერო სპინელის ძალისხმევით. ეს გაერთიანება, რომელიც პარიზის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა, შედგებოდა ექვსი დამაარსებელი ქვეყნისაგან, ესენია: ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. ძალაუფლება გადაწყვეტილეის მიღების თაობაზე, ქვანახშირის მოპოვებისა და ფოლადის წარმოების შესახებ, დამოუკიდებელი ორგანოს, .უმაღლესი ხელისუფლების. მოვალეობას წარმოადგენდა. ECSC-ს წარმატებული საქმიანობის შედეგად რამდენიმე წელიწადში ამ ექვსმა სახელმწიფომ გადაწყვიტა ეკონომიკის სხვა სფეროებშიც ეთანამშრომლათ. შედეგად, 1957 წელს მათ ხელი მოაწერეს რომის ხელშეკრულებას და ატომური ენერგიის დარგში ევროპის თანამშრომლობის (EURATOM) და ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (EEC) დაარსეს. რამდენიმე წლის შემდეგ ექვსმა დამაარსებელმა სახელმწიფომ მუშახელის, საქონლისა და მომსახურების გადაადგილების გასაადვილებლად გადაწყვიტა ეკონომიკური თანამეგობრობის შექმნა. 1968 წლის 1 ივლისს მათ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის შედეგად გაუქმდა საბაჟო გადასახადი სამრეწველო საქონელზე, 60-იანი წლების ბოლოს კი შემოიღეს ერთიანი პოლიტიკა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და კომერციის სფეროში. პირველი ექვსი წევრის წარმატებამ დანიას, ირლანდიას და გაერთიანებულ სამეფოს სტიმული მისცა,

მათ თანამეგობრობაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით დაესვათ საკითხი. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად 1973 წელს კავშირში სამივე ქვეყანა მიიღეს. პირველ გაფართოებას, რომლის შედეგად წევრი ქვეყნების რაოდენობა ექვსიდან ცხრამდე გაიზარდა, ევროკავშირის კომპეტენციის სფეროს გაზრდა მოჰყვა; მას პასუხისმგებლობა სოციალურ, რეგიონულ და გარემოსდაცვით საკითხებზე დაეკისრა. ეკონომიკური კონვერგენციისა და საერთო ვალუტის შემოღების აუცილებლობა აშკარა

გახდა 1970-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეაჩერა დოლარის კონვენტირება. ამ დროს დაიწყო მსოფლიო მასშტაბით ფულადი არასტაბილურობის პერიოდი. ეს არასტაბილურობა 1973 და 1979 წლის ნავთობკრიზისებით გაღრმავდა. 1979 წელს ევროპული მონეტარული სისტემის შემოღებამ ხელი შეუწყო გაცვლითი კურსის სტაბილიზებას და უბიძგა წევრ სახელმწიფოებს გაეტარებინათ მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც საშუალებას მისცემდა მათ, დახმარება გაეწიათ ერთმანეთისათვის და ესარგებლათ იმ პრივილეგიებით, რომლებსაც მათ ღია ეკონომიკური ზონის შექმნა მიანიჭებდა.

1981 წელს ევროგაერთიანება სამხრეთის მიმართულებით გაფართოვდა, როდესაც მის შემადგენლობაში საბერძნეთი შევიდა, ხოლო 1986 წელს ესპანეთი და პორტუგალია. ამ გაფართოებამ აუცილებელი გახადა სტრუქტურული პროგრამების განხორციელება თორმეტი წევრი სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში არსებული უთანასწორობის შესამცირებლად. ამ პერიოდში გაიზარდა ევროგაერთიანების როლი საერთაშორისო მასშტაბით - დაიდო ახალი ხელშეკრულებები სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირა და აფრიკის, კარიბის ზღვისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებთან, რომლებიც ევროგაერთიანებას დაუკავშირდნენ 1975-1989 წლების ლომენის კონვენციებით. მსოფლიო კრიზისმა და შიდა უთანხმოებებმა ფინანსური .ტვირთის. განაწილების თაობაზე 1980 წლიდან .ევროპესიმიზმის. აღმოცენება გამოიწვია. 1985 წლიდან შეიმჩნეოდა ევროგაერთიანების გამოცოცხლების იდეისადმი უფრო ოპტიმისტური დამოკიდებულება. ევროკომისიის მიერ 1985 წელს გამოცემული .თეთრი წიგნის. საფუძველზე ევროგაერთიანებამ მიზნად დაისახა 1993 წლის 1 იანვრისათვის საერთო ბაზრის დაარსება. 1986 წლის თებერვალში ხელმოწერილმა ერთიანმა ევროპულმა აქტმა დაადასტურა ეს მიზანი და შემოიღო ახალი პროცედურები შესაბამისი კანონმდებლობის მისაღებად. ეს კანონმდებლობა ძალაში 1987 წლის 1 ივლისს შევიდა.

1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევამ, (რასაც 1990 წლის 3 ოქტომბერს გერმანიის გაერთიანება მოჰყვა), ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გათავისუფლებამ საბჭოური კონტროლისაგან და მათმა შემდგომმა დემოკრატიზაციამ, აგრეთვე 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლამ შეცვალა ევროპის პოლიტიკური სტრუქტურა. ევროგაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა თავიანთი კავშირების გაღრმავება გადაწყვიტეს და მოილაპარაკეს, დაედოთ ახალი ხელშეკრულება, რომლის მთავარ ასპექტებზე მაასტრიხტში გამართულ საბჭოს სხდომაზე შეთანხმდნენ 1991 წლის 9 და 10 დეკემბერს. მაასტრიხტის ანუ ევროკავშირის დამფუძნებელ ხელშეკრულებას, ხელი 1992 წელს მოეწერა, ხოლო ძალაში 1993 წელს შევიდა. მან მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ევროგაერთიანების ხელშეკრულებაში და ევროპული ინტეგრაციის განვითარების ახალი მოდელი შექმნა ევროკავშირის სახით. მაასტრიხტის ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის დაარსების ვალდებულება, რომელიც ევროგაერთიანებას დაეკისრა. კერძოდ შეიქმნა პროგრამა, რომელმაც მიზნად დაისახა საერთო ევროპული ვალუტის შემოღება 1999 წლისათვის (2002 წლის 1 იანვარს ევრო ევროკავშირის 12 წევრი ქვეყნის ოფიციალური ვალუტა გახდა), ახალი ერთიანი პოლიტიკა, ევროპის მოქალაქეობა, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და შიდა უსაფრთხოება.

1995 წლის 1 იანვარს ევროკავშირს კიდევ სამი ქვეყანა შეუერთდა. ესენია ავსტრია,ფინეთი და შვედეთი. 1996 წლის 29 მარტს ტურინის ევროპული საბჭოს მიერ გახსნილი მთავრობათაშორისი კონფერენციის შედეგად გაფორმდა ამსტერდამის ხელშეკრულება. ხელშეკრულება ამსტერდამის ევროპულ საბჭოზე მიიღეს 1997 წლის ივნისში. მასზე ხელი 15 წევრი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მოაწერა 1997 წლის 2 ოქტომბერს. ხელშეკრულება ძალაში 1999 წლის 1 მაისს შევიდა. ამსტერდამის ხელშეკრულებამ ცვლილებები შეიტანა ევროგაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში, ევროკავშირის ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, გადაწყვეტილებების მიღების პროცედურასა და პირთა თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებულ საკითხებში. ეს უკანასკნელი განამტკიცა შენგენის შეთანხმებამ, რომლის საფუძველზეც გაუქმდა საბაჟო კონტროლი ევროკავშირის შიდა საზღვრებზე და გაძლიერდა გარე საზღვრების დაცვის დონე. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთი და ირლანდია შენგენის სისტემას არ შეუერთდა. 1990 წლიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის ექვსმა ქვეყანამ, ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკამ

და ორმა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყანამ ევროკავშირში გაერთიანების თაობაზე გამოთქვა სურვილი. გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები გაიმართა ლუქსემბურგში 1997 წელს (დეკემბერი) და ჰელსინკში 1999 წელს (დეკემბერი). 10 კანდიდატი ქვეყნისთვის მოლაპარაკებები კოპენჰაგენში 2002 წლის 13 დეკემბერს დასრულდა. 2004 წელს ევროკავშირი უკვე 25 წევრი ქვეყნისაგან შედგებოდა. ესენია: ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი,საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, პოლონეთი, პორტუგალია, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, ჰოლანდია, გაერთიანებული სამეფო.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები დამოუკიდებელ სუვერენულ ქვეყნებს წარმოადგენენ, რომელთა მიზანია მიაღწიონ ისეთ ძლიერებას, რომელსაც ცალ-ცალკე ვერც ერთი მათგანი ვერ მიაღწევდა.

ევროკავშირის ინსტიტუტები

დღესდღეობით ევროკავშირი შედგება რამდენიმე ძირითადი ინსტიტუტისაგან. მათ შორის აღსანიშნავია ევროკომისია, ევროპარლამენტი, ევროკავშირის საბჭო, ევროპული საბჭო, ევროპის ცენტრალური ბანკი და სხვ. ყველაზე დიდ გაუგებრობას, როგორც წესი იწვევს ევროკავშირის ორგანოების აღრევა ევროსაბჭოსა და მის ორგანოებში. ასე მაგალითად, ხშირად ზოგიერთს ერთმანეთში ერევა ევროპარლამენტი, რომელიც ევროკავშირის ორგანო არის და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. განსაკუთრებით გაუგებარია ბევრისათვის ევროპაში არსებული სხვადასხვა საბჭოების რაოდენობა და ფუნქციები. შესაბამისად ხშირად ხდება ევროსაბჭოს, ევროკავშირის საბჭოს და ევროპული საბჭოს ერთმანეთში არევა. თავიდანვე უნდა განვასხვავოთ, რომ ევროსაბჭო ეს არის საერთოევროპული ორგანიზაცია, რომელიც 1949 წელს შეიქმნა და რომლის წევრიც არის საქართველო. რაც შეეხება ევროკავშირის საბჭოს და ევროპულ საბჭოს, ისინი ევროკავშირის ოფიციალურ ინსტიტუტებს წარმოადგენენ და არაფერი აქვთ საერთო ევროსაბჭოსთან.

ევროკავშირის საბჭო (მინისტრთა საბჭო)

ევროკავშირის საბჭო, რომელსაც ასევე მინისტრთა საბჭო ეწოდება, არის ევროკავშირის ძირითადი საკანონმდებლო ორგანო. მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან წევრი სახელმწიფოების მინისტრები. იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხი განიხილება საბჭოს სხდომაზე, შესაბამისი მინისტრი წარმოადგენს თითოეულ ქვეყანას (საგარეო საქმეთა, ფინანსთა, სოციალური საკითხების, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, და ასე შემდეგ).

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოში წევრი სახელმწიფოების აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები შედიან, იგი ევროკავშირის ძირითად საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს.

საბჭოს ექვსი თვის ვადით ხელმძღვანელობს ერთი წარმომადგენელი თითოეული წევრი სახელმწიფოდან. როტაცია მიმდინარეობს ლათინური ალფაბეტის მიხედვით. თუ ევროპის კონსტიტუცია მიღებული იქნება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ, მაშინ როტაციის პრინციპი შეიცვლება ერთი თავმჯდომარით, რომელიც აირჩევა ორწელიწადნახევრით.

საბჭო იკრიბება ცხრა ძირითად კონფიგურაციაში, იმისდა მიხედვით, თუ რა საკითხი განიხილება. მაგალითად, გენერალური საკითხების და საგარეო ურთიერთობების საბჭოში მონაწილეობენ საგარეო საქმეთა მინისტრები, ხოლო იუსტიციისა და შინაგან საქმეთა საბჭოში მონაწილეობენ იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრები.

საბჭოს საქმიანობას ამზადებს მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი, ე.წ. კორეპერი (COREPER) რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების მიერ ბრიუსელში წარგზავნილი სპეციალური წარმომადგენლებისა და მათი დამხმარეებისაგან. თავად კომიტეტის საქმიანობა მზადდება 250-ზე მეტი კომიტეტისა და სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლებიც შედგებიან წევრი სახელმწიფოების დელეგატებისაგან.

ყველა კომიტეტს აქვს თავისი როლი კოორდინაციის და ექსპერტიზის მიწოდების სფეროში. მაგალითად, ეკონომიკური და ფინანსური კომიტეტი, პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი და კოორდინაციის კომიტეტი შესაბამის საკითხებზე ექსპერტიზის მიმწოდებლებად ითვლებიან კორეპერისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭო 9 კონფიგურაციით იკრიბება, გადაწყვეტილებები, რომლებსაც ის იღებს, ქვეყნდება საბჭოს სახელით და არ არის დაკონკრეტებულ,ი თუ რომელმა კონკრეტულმა კონფიგურაციამ მიიღო ეს გადაწყვეტილება. 1990-იან წლებში საბჭოში არსებობდა 22 კონფიგურაცია, 2000 წლის ივნისში მათი რიცხვი 16-მდე შემცირდა, ხოლო 2002 წლის ივნისიდან საბჭო 9 კონფიგურაციით იკრიბება. ეს კონფიგურაციებია:

- ეკონომიკური და ფინანსური საკითხები,
- თანამშმრომლობა მართლმსაჯულების და საშინაო საქმეების სფეროში,
- კონკურენცია,
- ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები და ენერგეტიკა,
- სოფლის მეურნეობა და მეთევზეობა,
- გარემოს დაცვა,
- განათლება, ახალგაზრდობა და კულტურა,
- დასაქმება, სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა და მომხმარებელთა საკითხები.

საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ხდება მინისტრების მიერ ხმის მიცემის პროცედურის შედეგად. არის ხმის მიცემის სამი პროცედურა, იმის მიხედვით, თუ რომელ საკითხზე

მიმდინარეობს კენჭისყრა: უბრალო უმრავლესობა (პროცედურული საკითხებისათვის), კვალიფიცირებული უმრავლესობა (ხმის მიცემის დაბალანსებული სისტემა, სადაც ყველა ქვეყანას აქვს შესაბამისი ხმების რაოდენობა მისი მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით. ძირითადად გამოიყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა შიდა ბაზარი, ეკონომიკური საკითხები, ვაჭრობა) და ერთსულოვნება (საგარეო პოლიტიკა, თავდაცვა, იურიდიული და პოლიციური თანამშმრომლობა და საგადასახადო პოლიტიკა). ხშირად საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ევროკომისიის მიერ გაკეთებული მოხსენების ან წინადადების საფუძველზე ევროპარლამენტთან ერთად. ეს ხდება ან კონსულტაციების პროცედურის სახით (მაგალითად, ისეთ საკითხებში, რომლებიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, იურიდიულ და პოლიციურ თანამშმრლობასთან და გადასახადებთან), ან გადაწყვეტილებებში თანამონაწილეობის (codecision) სახით (შიდა ბაზართან დაკავშირებული საკითხები).

საბჭოს აღმასრულებელი ფუნქციები:

მიუხედავად იმისა, რომ საბჭო ძირითადად საკანონდმებლო საქმიანობით არის დაკავებული მას აღამსრულებელი ფუნქციებიც აქვს. თავის აღმასრულებელ ფუნქციებს მინისტრთა საბჭო ახორციელებს ოთხი ფორმით.

1) ხელშეკრულებების რეფორმის დროს საბჭო ისახავს გრძელვადიან მიზნებს ევროკავშირისათვის და შემდეგ ამ მიზნების განხორციელების დელეგირებას ახდენს ევროკომისაზე:

მაგალითებად აქ გამოდგება შუმანის და მონეს ინიციატივა შეექმნათ სუპრაეროვნული ორგანო, რომელიც არ დაექვემდებარებოდა მთავრობებს, მაგრამ გაატარებდა იმ კურსს, რომელიც გერმანიის და საფრანგეთის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა 1951 წელს ქვანახშირის და ფოლადის რეგულირების სფეროში.

სხვა მაგალითებიდან აღსანიშნავია 1958 წლის რომის ხელშეკრულება და საერთო აგრარული პოლიტიკის შექმნა, რომლის განხორცილებაც ასევე კომისიას დაევალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1991 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულება, სადაც საბჭომ საკმაოდ დიდი ფუნქციების დელეგირება მოახდინა ევროკომისიაზე, განსაკუთრებით ევროპის მონეტარული პოლიტიკის სფეროში, თუმცა უარი განაცხადა კომისიისათვის იუსტიციის და საშინაო საქმეებზე და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე აღმასრულებელი ფუნქციების დელეგირებაზე.

2) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო ისახავს საშუალო ხანგრძლივობის მიზნებს ევროკავშირისთვის და ახდენს ეროვნული მაკროეკონომიკური პოლიტიკის მონიტორინგს “კოორდინაციის ღია წესის სახით”: მინისტრთა საბჭოს აქვს მუდმივი კავშირი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების

სახელმწიფოს მეთაურთა საბჭოსთან,ეროვნული ადმინისტრაციების და ხელისუფლების გავლით. შესაბამისად, ხშირად მინისტრები გამოიყენებენ სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრებს და მათ სამიტებს კონკრეტული საკითხების შესრულების უზრუნველსაყოფად. ევროპული საბჭოს ძირითადი აღმასრულებელი როლი გამოიხატება კომისიისათვის ძირითადი მიზნების და მითითებების დასახვით, კომისიის მუშაობის მონიტორინგით, კომისიაზე მოკლე ვადიანი ვალდებულებების დელეგირებით, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, იუსტიციის და შინაგანი საქმეების და ევროპის მონეტარული პოლიტიკის იმპლემენტაციის ზედამხედველობით და ევროკავშირის ახალი კომპეტენციების და პოლიტიკის მიმართულებების შემუშავებით (მუხლი 308). ეს ფუნქციები არის ძირითადად პოლიტიკური და არა იურიდიული ხასიათის.

სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო იკრიბება წელიწადში ოთხჯერ, პრეზიდენტობის პერიოდის შუაში და ბოლოს (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრეზიდენტობა არის ექვსთვიანი და მას მორიგეობით იჭერენ წევრი სახელმწიფოები). ამ შეხვედრებზე, რომლებიც სამიტის სახელითაა ცნობილი მიიღება მთავარი პოლიტიკური გადაწყვეტილებები. რაც მთავარია ამ გადაწყვეტილებების უმრავლესობა წინასწარ მზადდება მინისტრთა საბჭოების მიერ, მაგრამ იმის გამო, რომ მათი უმრავლესობა მნიშვნელოვანია და არ შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს მხოლოდ მინისტრების დონეზე, საჭირო ხდება მათი დამოწმება უფრო მაღალ დონეზე - სახელმწიფოს მეთაურთა სამიტებზე.

სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი ახალი მეთოდი და “მმართველობის ახალი ფორმა” არის “კოორდინაციის ღია მეთოდი”, რომელიც მიღებული იქნა ლისაბონის ევროპულ საბჭოზე 2000 წლის მარტში. ამ მეთოდის მიხედვით, წევრი-სახელმწიფოების მთავრობები ახდენენ ერთმანეთის საშინაო პოლიტიკის მონიტორინგს, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში. ლისაბონის ევროპულმა საბჭომ მოახდინა ამ მეთოდის ფორმალიზება და შეიმუშავა გაფრთხილების სისტემა, თუ რომელიმე მთავრობა ეკონომიკურ კურსს გადაუხვევს. დღესდღეობით ღია მეთოდი მოიცავს სხვა სფეროებსაც, როგორებიცაა მაკროეკონომიკა, დასაქმება, კვლევა, სოციალური პოლიტიკა, მეწარმეობა, განათლება, საპენსიო რეფორმები.

3) წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ევროპული კანონმდებლობის იმპლემენტაცია მოახდინონ ეროვნულ კანონმდებლობებში: ეროვნული ადმინისტრაციები პასუხისმგებელნი არიან ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავების პროცესის კოორდინაციაზე ევროპულ და საშინაო დონეებზე. ევროპულ დონეზე სახელმწიფო მოხელეები ვალდებულნი არიან მიიღონ მონაწილეობა და პრე და პოსტ საკანონმდებლო ეტაპებზე. საკანონდებლო ინიციატივების შემუშავების დროს ეროვნული ხელისუფლებების წარმომადგენლები შედიან ექსპერტთა და კონსულტაციურ კომიტეტებში, რომლებიც იქმნება კომისიის მიერ, ხოლო ეროვნული ადმინისტრაციის საჯარო მოხელეები და სახელმწიფო მოღვაწეები ჩართულნი არიან კორეპერის სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც

განიხილავენ კომისიის შემოთავაზებას. იმ შემთხვევაში თუ კანონმდებლობა მტკიცდება ეროვნული ადმინისტრაციების მიერ სახელმწიფო მოღვაწეები მონაწილეობენ ევროპული კანონმდებლობის იმპლემენტაციის მონიტორინგში. ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები ასევე აქტიურ მონაწილეობას იღებენ კომიტოლოგიის კომიტეტებში. ვესელსის და რომეტშის მიერ 1996 წელს ნაჩვენები იქნა, რომ 1994 წელს კანონ- მდებლობის შემუშავების პროცესში მონაწილეობდა 25000-ზე მეტი საჯარო მოხელე ეროვნული ადმინისტრაიცებიდან.

აქ აღსანიშნავია ორი თეზისი: პირველი თეზისი, რომელიც “შერწყმის თეზისის” სახელით არის ცნობილი პირველად გამოყენებული იქნა ვოლფგანგ ვესელსის მიერ. ეს თეზისი ამბობს, რომ მოხდა ადმინისტრაციული ვალდებულებების შერწყმა ეროვნულ და ევროპულ დონეზე და ამასთან ეროვნულ ადმინისტრაციებს შორის. შერწყმის თეორიის მიხედვით ეროვნულმა ადმინისტრციებმა შექმნეს ევროპული ინსტიტუტები და გადაწყვეტილებების მიღების ევროპული არენა იმისათვის, რომ თავი დაეღწიათ ეროვნულ პარლამენტების კონტროლისაგან და გაეტარებინათ თავიანთთვის მისაღები პოლიტიკური კურსები.

მეორე თეზისი, არის ე.წ. “ევროპეიზაციის თეზისი”, რომელიც ამბობს, რომ ევროკავშირის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი მომენტი არის ევროპეიზაცია, ანუ საერთო სტანდარტული სტილისადმი მიყოლა. ეს გასაგებიცაა, რადგან ევროკავშირი ხშირად მხარს უჭერს კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის კონკრეტულ მეთოდს, შესაბამნისად, იმისათვის რომ ეს პრობლემა გადაიჭრას ეროვნული ადმინისტრაციები იძულებულნი არიან მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უკვე მიღებული იქნა სხვა ეროვნული ადმინისტრაციების მიერ. გარდა ამისა არის ინსტიტუციონალური კონვერგენციის, ანუ იზომორფიზმის თეზისი, რომელიც ამბობს, რომ ინსტიტუტები, რომლებიც იქმნება ევროკავშირის დაკვეთის ან ჩარევის შედეგად მეტ-ნაკლებად ერთმანეთს ჰგავს, რაც ასევე განპირობებულია ევროკავშირის მიერ ინსტიტუტების საქმიანობის მიმართ სტანდარტული მიდგომით;

3) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობები ახორციელებენ ევროკავშირის პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებების ყოველდღიურ ადმინისტრაციას ევროკომი-სიასთან ერთად კომიტოლოგიის პრინციპზე დაყრდნობით: ევროკომისია არ არის მთლიანად დამოუკიდებელი ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაციის პროცე- სის დროს. საბჭომ შექმნა კომიტეტების სისტემა, რომლებიც დაკომპლექტებულნი არიან ეროვნული ადმინისტრაციების წარმომადგენლების მიერ. ეს სისტემა ცნობილია კომიტოლოგიის პრინციპით. კომიტოლოგიის პრინციპის ძირითადი მიზანია აკონტროლოს ევროკომისია კანონმდებლობის იმპლემენტაციის პროცესში. კომიტოლოგიის ზოგიერთი პროცედურის დროს გვხვდება ძალაუფლების დაყოფა, სადაც კანონმდებლებს (მთავრობა) აქვთ უფლება გააკონტროლონ აღმასრულებელი (კომისია). სხვა პროცედურების დროს კი, ხდება

კომპეტენციების აღრევა. ასეთ შემთხვევაში მთავრობებს შესწევთ ძალა თავიანთი სურვილი თავს მოახვიონ კომისიას, შესაბამისად, ისინი ახორციელებენ, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ ფუნქციებს.

კომიტოლოგიის სისტემა შეიქმნა 1987 წელს საბჭოს გადაწყვეტილებით, მისი რეფორმირება კი მოხდა 1999 წლის ივნისში საბჭოს სხვა გადაწყვეტილებით. ამ გადაწყვეტილებების მიხედვით, შეიქმნა სამი ტიპის კომიტეტები — მრჩეველი, მენეჯ- მენტის და მარეგულირებელი; ასევე ჩამოყალიბდა წესების სისტემა, რომელიც არეგულირებდა ამ კომიტეტების მოქმედებას. თუ ვინ შედის კომიტეტში, დამოკიდებულია კომიტეტის როლზე. ეროვნული ადმინისტრაციების წარმომადგენლები შედიან კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგისათვის შექმნილ კომიტეტებში; ხშირად ხდება კერძო სექტორიდან კონსულტანტების შეყვანას, განსაკუთრებით კი, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევა, რომ ფართო კონსულტაციები სასარგებლო იქნება საბოლოო გადაწყვეტილებისათვის. გარდა ამისა, ხშირად მოიწვევა მეცნიერების და ექსპერტების კომიტეტები, რომლებიც რჩევებს იძლევიან ტექნიკურ საკითხებზე.

საბჭოს საკანონმდებლო ფუნქციები:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭო შედგება მინისტრებისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ აგრარული საკითხების საბჭო შედგება სოფლის მეურნეობის მინისტრებისაგან, ხოლო ეკონომიკური და ფინანსთა საკითხების საბჭო ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებისაგან. ის ფაქტი, რომ საბჭო დაკომპლექტებულია მინისტრებისაგან და ასრულებს საკანონმდებლო ფუნქციებს, დიდ პრობლემებს უქმნის თავად საკანონ- მდებლო პროცესს. შესაბამისად არის საფრთხე იმისა, რომ საბჭოს მუშაობა პარა- ლიზებული იქნეს, სხვადასხვა საკითების საბჭოებმა მიიღონ ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებები, ან საბჭოზე ამა თუ იმ მინისტრის მიერ დაფიქსირებული პოზიცია არ გამოხატავდეს ქვეყნის მმართველი ძალის პოზიციას. მსგავსი შემთხვევები სავსებით შესაძლებელია მოხდეს, რადგან ხშირად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობები კოალიციური ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზოგიერთი მინისტრი ოპოზიციური პარტიიდან არის და მისი კურსი ხშირად არ ემთხვევა მმართველი პარტიის კურსს. მეორე მხრივ, ხშირად ხდება, რომ ერთი ქვეყნის სხვადასხვა მინისტრებს სხვადასხვა მისწრაფებები აქვთ; თუ ბუნების დაცვის მინისტრებს სურთ გაიზარდოს ამ სფეროს დაფინასება, ხშირად ფინანსთა მინისტრები, სრულადაც არ იზიარებენ ამ პოზიციას.

მიუხედავად ამგვარი პრობლემებისა, საბჭომ შეიმუშავა რამდენიმე მექანიზმი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოს მუშაობის ეფექტიანობის გაზრდას. პირველ რიგში, საბჭოს პრეზიდენტის ინსტიტუტი განვითარდა 1970-იანი წლებიდან როგორც ცენტრალური მაკოორდინერებელი მექანიზმი.

ქვეყანა, რომელიც პრეზიდენტის როლს ასრულებს საკმაოდ დიდი ძალაუფლებით არის აღჭურვილი. თითოეულ პრეზიდენტ ქვეყანას აქვს თავისი პრიორიტეტების ნუსხა,

რომლებზეც მას მიაჩნია რომ აუცილებელია ყურადღების გამახვილება. ეს პრიორიტე- ტები ამ ქვეყნის პრეზიდენტობის დროს მოწვეულ საბჭოს ყველა შეხვედრაზე პრიორიტეტულად არის მიჩნეული, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული სიტყვა პრეზიდენტს მხოლოდ იმ საკითხებზე აქვს, რომლებიც მას დღის წესრიგში აქვს შეტანილი. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ევროკომისია გამოდის საკანონმდებლო ინიციატივით, რომელიც არ არის შეტანილი საბჭოს დღის წესრიგში, პრეზიდენტ ქვეყანას, უბრალოდ შეუძლია უარი თქვას ამ წინადადების განხილვაზე. როგორც წესი პრეზიდენტობა გამოიყენება საკუთარი მიზნების მისაღწევად. თუმცა ამასთან ყველა წევრს სურს, რომ მისი პრეზიდენტობის დროს რამე განსაკუთრებულად კარგი მოხდეს. ასე მაგალითად, ირლანდია სამუდამოდ შევა ისტორიაში, როგორც 2004 წლის გაფართოების პოლიტიკის დამაგვირგვინებელი, ხოლო ირლანდიის პრემიერ-მინისტრი ბერტი აჰრენი, როგორც კარგი დიპლომატი და ევროკავშირის ინტეგრაციის მომხრე.

პრეზიდენტობა არ არის ყოველთვის უმტკივნეულო და დადებითი ქვეყნებისათვის. შეგვიძლია გამოვყოთ ორი მომენტი, როდესაც ქვეყანა შეიძლება არ იყოს პრეზიდენტობის მსურველი. პირველ რიგში, ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც ევროკავშირის პრეზიდენტი პატარა ქვეყანა ხდება, რადგან ამ შემთხვევაში, მას ხშირად არ ჰყოფნის ადამიანური და სხვა სახის რესურსები, რასთანაც აუცილებლად არის დაკავშირებული პრეზიდენტობის ამოცანების (ყველა შეხვედრის წაყვანა, პრიორიტეტების შედგენა, ევროკავშირის მსოფლიო ასპარეზზე წარმოჩენა) დიდი ნაწილი. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ მალტის ან ლუქსემბურგის პრეზიდენტობა ისეთი ეფექტური არ არის ხოლმე, როგორც საფრანგეთის ან, თუნდაც, ნიდერლანდების.

მეორე პრობლემა თავს იჩენს ხოლმე მაშინ, როდესაც რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტობის დროს ისეთი საკითხი განიხილება, რომელიც ამ ქვეყნისათვის მიუღებელია და, რომელზეც მას დანარჩენი სახელმწიფოებისაგან განსხვავებული პოზიცია გააჩნია. ასეთ დროს პრეზიდენტი ქვეყანა დილემის წინაშე აღმოჩნდება ხოლმე: ერთი მხრივ, მისი მოვალეობაა საკუთარი პრეზიდენტობის განმავლობაში ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მოაგვაროს, მეორე მხრივ, კი რომელიღაც საკითხზე თავად არის მთავარი პრობლემის შემქმნელი. ზემოთთქმულის კარგ მაგალითად გამოგვადგება დიდი ბრიტანეთი, რომელიც 2005 წლის დეკემბრის ბრიუსელის ევროპული საბჭოს წინ ითვლებოდა ევროკავშირის ბიუჯეტის მიღების მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად, რადგან მისი პოზიცია იყო, რომ დიდი ბრიტანეთისათვის უკან დასაბრუნებელი ფული (რასაც თავის დროზე ტეთჩერმა მიაღწია) არ უნდა შემცირებულიყო, ხოლო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შემცირება სტრუქტურული ფონდების და სხვა საბიუჯეტო თავების შემცირების ხარჯზე უნდა მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ დიდ ბრიტანეთს დათმობა არ სურდა, მას მაინც მოუწია კომპრომისზე წასვლა, რადგან, როგორც პრეზიდენტ ქვეყანას ევალებოდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც ბიუჯეტის, კონსენსუსის მიღწევა. შესაბამისად, დიდმა

ბრიტანეთმა დათმო საკუთარი პოზიციები საერთო ინტერესების გადასარჩენად, რითაც, მართალია განარისხა ქვეყნის შიგნით ოპოზიცია, მაგრამ შეინარჩუნა პრესტიჟი.

სხვათა შორის, ბევრი ქვეყანა განგებ ცდილობს სწორედ საკუთარი პრეზიდენტობის დროს მოაგვაროს მისთვის აქტუალური საკითხები, განსაკუთრებით ისეთები, სადაც მის მიერ დათმობის გარეშე გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია. მოკლედ რომ ვთქვათ, ევროკავშირის ქვეყნებს ხშირად ურჩევნია დათმოს, მაშინ როცა პრეზიდენტია, და პრესტიჟი მაინც აიმაღლოს ამ დათმობის ხარჯზე, ვიდრე დათმოს მაშინ, როდესაც სხვა ქვეყანაა პრეზიდენტი და ეს დათმობა, მხოლოდ წაგებად და სისუსტედ შეიძლება შეფასდეს. კონსტიტუციის მიერ გათვალისწინებული ცვლილებები: კონსტიტუტციის ძალაში შესვლის შემდეგ როტაციული ხასიათის პრეზიდენტობა შეიცვალა მუდმივი თავმჯდომარის პოსტით, რომელიც ამ პოსტზე იქნება ორნახევარი წელიწადის განმავლობაში. ეს არის კომპრომისი, რომელსაც მიაღწიეს პატარა და დიდმა ქვეყნებმა მოლაპარაკებების დროს. დიდ ქვეყნებს სურდათ უფრო მუდმივი ხასიათის პრეზიდენტის ინსტიტუტი, ხოლო პატარებს კი, სურდათ თავიანთი სიტყვა ეთქვათ და მოითხოვდნენ გუნდურ პრეზიდენტობას. შედეგად მივიღეთ კომპრომისული ვარიანტი.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ სექტორული საბჭოების შეკრების გამო დღის წესრიგი გახდა ძალზედ სპეციალიზებული. ეს დაკავშირებულია საერთო ბაზრის მოცულობის ზრდასთან (საჭიროებს სკრუპულოზურ რეგულირებებს) და საერთო ვალუტაზე გადასვლასთან. თუ აქამდე ძირითად საბჭოდ გეენრალური საქმეების საბჭო ითვლებოდა, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრები იყვნენ წარმოდგენილი, ახლა საქმე სხვაგვარადაა. მიუხედავად ამისა, შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში საკითხები მაინც გენერალური საქმეების საბჭოს გადაეცემა. თუმცა აღსანიშნავია, რომ დღის წესრიგში სულ უფრო ნაკლებად არის საკითხები, რომლებიც საგარეო საქმეთა მინისტრების კომპეტენციაში შედის.

სექტორულად საბჭოების მუშაობის დანაწილება დაახლოებით პარლამენტში კომიტეტების მოქმედების მსგავსია. იზრდება შანსი მოლაპარაკებების ეფექტიანობის გაზრდისა და კომპრომისების მიღწევისა. ხშირია შემთხვევები, როცა ერთი მინისტრი თმობს პოზიციებს, იმისათვის, რომ სხვა მინისტრმა სხვა საბჭოში ასევე დათმოს პოზიციები.

წინა საკანონმდებლო შეთანხმების მისაღწევად, ასევე, მოქმედებს საბჭოს კომიტეტების და სამუშაო ჯგუფების მთელი ქსელი, ისევე როგორც საბჭოს სამდივნო. მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (კორეპერი) საბჭოს მამოძრავებელ ძრავად ითვლება, რადგან სწორედ აქ წყდება საკითხთა უმრავლესობა საბჭოს შეხვედრამდე.

კორეპერი იკრიბება ყოველ კვირას ორ დონეზე, კორეპერ I-ში იკრიბებიან მუდმივ წარმომადგენელთა მოადგილეები, ხოლო კორეპერ II-ში მუდმივი წარმომადგენლები. დაახლოებით 70 პროცენტი იმ საკითხებისა, რაც განიხილება საბჭოს სხდომებზე წინას- წარ გვარდება და თანხმდება კორეპერების ქვემოთა დონეზე, სადაც სამუშაო ჯგუფები არის შექმნილი. შედეგად რჩება 30 პროცენტი საკითხებისა, რომლებიც არ განიხილება სამუშაო

ჯგუფების დონეზე. აქედან უმრავლესობას აგვარებს კორეპერ II-ის შეხვედრა, თუმცა ხშირად რჩება საკითხები, რომელთა შეთანხმება არ ხერხდება მუდმივ წარმო- მადგენელთა დონეზე, შესაბამისად ეს საკითხები განიხილიება უკვე საბჭოს სხდომაზე.

კორეპერის შემადგენლობაში მოქმედებს სხვადასხვა დარგობრივი კომიტეტი, რომლებშიც შედიან სპეციალისტი საჯარო მოხელეები. ამ დარგობრივ კომიტეტებს ემსახურება საბჭოს სამდივნო, რომელშც დაახლოებით 2000 კაცი მსახურობს. ისინი გაერთიანებულნი არიან 170 სამუშაო ჯგუფში. ყოველდღე, დაახლოებით 300-400 ოფიციალური პირი ეროვნული ბიუროკრატიებიდან იკრიბება საბჭოს შენობაში სხვა- დასხვა და მართავს შეხვედრებს სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს და ევროკომისიის ურთიერთობები: თავდაპირველად საბჭოს და კომისიას შორის საკმაოდ კარგი ურთიერთობები იყო, მაგრამ ევროკავშირის განვითარების უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, კერძოდ კი, ევროპარლამენტის როლის ზრდამ და გადაწყვეტილებების მიღების ახალი მეთოდების შემოღებამ შეცვალა საბჭოსა და კომისიის ურთიერთობების დინამიკა. 80-იანი წლების დასაწყისიდან საბჭო უფრო მეტ ყურადღებას უთმობს კვალიფიცირებული უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღებას. თუმცა ბევრი მეცნიერი ამბობს, რომ საბჭოში კონსენსუსის ტრადიციის დარღვევას მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათი აქვს და სინამდვილეში იგი ისევ რჩება ერთსულოვნებაზე დაფუძნებულ ინსტიტუტად. კომისიის და საბჭოს ურთიერთობებზე ასევე გავლენას ახდენს კიდევ ერთ ფაქტორი — ევროკავშირის გაფართოება. რაც მეტი წევრი მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მით უფრო რთულია მინისტრთა საბჭოსათვის საერთო ენა გამონახოს კომისიასთან.

თავისი წვლილი კომისიის და საბჭოს ურთიერთობებში შეიტანა ე.წ. “მაღალი პოლიტიკის” საკითხების გააქტიურებამ, ანუ ისეთი საკითხების წინა პლანზე წამოწევამ, როგორიცაა მონეტარული პოლიტიკა, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, თავდაცვის პოლიტიკა და სხვა, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული წევრი სახელმწიფოების სუვერენიტეტთან. შესაბამისად ამ საკითხების გადაწყვეტაში კომისიის როლი შედარებით სუსტი და უმნიშვნელოა. ამ საკითხებზე აქცენტირებამ გამოიწვის კომისიის როლის გარკვეული შემცირება და მისი დატოვება თამაშგარე მდგომარეობაში. დისბალანსი კომისიას და საბჭოს შორის კიდევ უფრო აქტიური გახდა, როდესაც ეროვნულ დონეზე პოლიტიკის შემუშავების პროცესში უფრო მეტი აქტორები ჩაერთვნენ და პოლიტიკის შემუშავების პროცესის გაფართოება მოხდა. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ კომისიისა და საბჭოს ტანდემი მნიშვნელოვანია ევროკავშირის პოლიტიკის კარგად გასაგებად, მარტო ამ ორი აქტორის შესწავლა არ არის საკმარისი მთლიანი სურათის კარგად აღსაქმელად.

მთავრობების კლუბი: საბჭო შედგება მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებისაგან, იმისდა მიხედვით თუ რა საკითხთან დაკავშირებით იკრიბება იგი.

შესაბამისად ე.წ. კლუბური განწყობა ძალიან დიდია მთავრობის მოხელეებს შორის. ხშირად ეს წარმომადგენლები მიიჩნევიან უფრო პრივილეგირებულად ვიდრე თავად წევრი სახელმწიფოების მთავრობებში მოღვაწე სხვა პიროვნებები. ძალიან ხშირად გადაწყვეტილებების მიღების ევროპული არენა გამოიყენება როგორც საბაბი კონკრეტული პოლიტიკის გასატარებლად. ხშირია არგუმენტები, რომ კონკრეტული პოლიტიკის პრიორიტეტები აუცილებელი განსახორციელებელია, იმის გამო, რომ ეს აუცილებელია სხვა პოლიტიკის პრიორიტეტის განსახორციელებლად ევროპულ არენაზე. ამ მიზეზების გამო, საბჭოს წევრ მინისტრებს ხშირად უვითარდებათ ე.წ. საკლუბო სოლიდარობა. ეს სოლიდარობა თავს იჩენს არა მარტო ქვეყნის შიგნით არსებულ სხვა სახელისუფლო ინსტიუტების, არამედ ევროკავშირის ინსტიტუტების, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და ქვეყნების მიმართაც.

ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც შეიძლება დადგეს საბჭოს წინაშე, დღესდღეობით არის ახალი წევრების სოციალიზაცია, ანუ მათი ინტერესების დაკმაყოფილება და ახალი ქცევის წესების მორგება საბჭოს ტრადიციებისა და ქცევის წესებისადმი. მსგავსი საკლუბო ატმოსფერო შეიძლება საფრთხის ქვეშ დადგეს ახალი წევრი სახელმწიფოების შესვლის შემდეგ, რადგან მსგავსი ტიპის პრობლემები ადრეც წარმოშობილა გაერთიანებული სამეფოს, დანიის, საბერძნეთის და პორტუგალიის კავშირში შესვლის დროს.

კონკურენცია მთავრობებს შორის: საბჭოს იმიჯი, როგორც წესი, იქმნება მუდმივი დაპირისპირების შედეგად ევროკომისიასთან ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა ვეტოს გამოყენება, კვალიფიცირებული უმრავლესობის შესახებ დებატები და ასე შემდეგ. განსაკუთრებით საინტერესო და აღსანიშნავია საბჭოს დამოკიდებულება თურქეთის მიმართ, რომელიც, იმ შეთხვევაში, თუ შევა ევროკავშირში, გახდება ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახემლწიფო კავშირის შემადგენლობაში. კონკურენცია და ინტერესთა კონფლიქტი აქამდეც საბჭოს ყოველდღიური ცხოვრების წესი იყო, და სავარაუდოა, რომ მსგავსი პრაქტიკა კიდევ უფრო გაღმრავდება ახალი წევრების შესვლის შემდეგ.

ქსელური მმართველობა: გარდა ამისა საბჭოს შეიძლება შევხედოთ, როგორც რამდენიმე ინსტიტუტის ან ადგილის ერთობლიობას, რომელთა თანხვედრი მუშაობით და ფუნქციონირებით ხორციელდება ქსელური მმართველობა ევროკავშირში. ზოგიერთის აზრით, ევროკავშირის ინსტიტუტების ფორმალური როლი და ვალდებულებები ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის სხვადასხვა გზა, რომლითაც ხდება ამ ინსტიტუტეის გამოყენება საზოგადოებრივი პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად. ეს მიდგომა არის მნიშვნელოვანი რადგანაც იგი აქცენტს გადასწევს პროცესსზე და ფუნქციებზე და არა გადაწყვეტილებების მიღების ფორმალურ წესებზე. მსგავს მიდგომას რამდენიმე შედეგი აქვს: პირველ რიგში იგი არ არჩევს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ ინსტიტუტებს და ევროკავშირის ტრანსეროვნულ ინსტიტუტებს. მეორე რიგში, საბჭო არ განიხილება, როგორც ურთიერთობების ერთადერთი მონოპოლისტი მთავრობასა და ევროკავშირის ინსტიტუტებს

შორის. გარდა ამისა, ამ მიდგომის მიხედვით, ლეგიტიმურობა და ანგარიშვალდებულება განსხვავებული ცნებებია და ერთმანეთისაგან ძალზედ შორს დგას. მოკლედ, ამ შეხედულების მიხედვით, საბჭო არ არის ერთადერთი წამყვანი ორგანო ევროკავშირში, არამედ განიხილება როგორც პოლიტიკის წარმოების ერთ-ერთი გზა ევროპულ დონეზე.

ინტენსიური ტრანსგოვერნმენტალიზმი:

ტრანსგოვერნმენტალიზმი აქ გამოიყენება ცნება ინტერგოვერნმენტალიზმის საწინააღმდეგოდ (ეს უკანასკნელი არის რეალიზმზე დაფუძნებული თეორია, რომელიც ამბობს, რომ ევროკავშირში ყველაფერი ხდება წევრი სახელწიფოების მთავრობების ინტერესებში და არაფერი მათი ნებართვის გარეშე). ეს მიდგომა ასევე ეწინააღმდეგება სუპრანაციონალიზმს (კიდევ ერთი მიდგომა ევროკავშირისადმი, რომელიც ეფუძნება ლიბერალიზმს, ინსტიტუტციონალიზმს და ნეფოქციონალიზმს და რომელიც ამბობს, რომ ევროკავშირში ყველაზე დიდ როლს ასრულებენ სუპრაეროვნული ინსტიტუტები, როგორიცაა ევროკომისია და ევროპის მართლსმსაჯულების სასამრთლო). ჰელენ უოლასი თავის მხრივ ამტკიცებს, რომ არც ერთი ამ მიდგომათაგანი არ ხსნის სრულად ევროკავშირის პოლიტიკას, და რომ აქ ჩამოყალიბებულია განსხვავებული ტიპის რეჟიმი, რაღაც საშუალო ინტერგოვერნმენ- ტალიზმს და სუპრაეროვნულ რეალობებს შორის. უოლასი ამტკიცებს, რომ ამგვარი ტრანსეროვნული ნიშნები შეიძლება შეიმჩნიოს სამ სხვადასხვა სფეროში, როგორებიცაა ახალი საერთო ვალუტა, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და იუსტიციისა და საშინაო საქმეები. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ამ სფეროთაგანი მტკივნეულად შეეხო ეროვნულ სუვერენიტეტს, არც ერთ მათგანის შემთხვევაში არ მომხდარა ძალაუფლების სრული დელეგაცია ევროპულ დონეზე.



ცხრილი 1. საქმის წარმოება საბჭოში

ევროპული საბჭო

ევროკავშირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტად, რომელიც მეტწილად არაფორმალურია, თუმცა აქვს გამორჩეული მნიშვნელობა, არის ევროპული საბჭო, ანუ ევროკავშირის სახელმწიფოს მეთაურთა საბჭო. თავდაპირველ ხელშეკრულებებში, კერძოდ კი, რომის ხელშეკრულებაში, არ იყო საუბარი მსგავსი ინსტიტუტის შექმნის შესახებ, თუმცა 60-იან და 70-იან წლებში ევროპის წვეყნების მეთაურები რამდენიმეჯერ შეიკრიბნენ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად. მთავარი მიზეზი მათი შეკრებისა იყო რწმენა, რომ ევროკომისიის როლი სუსტდებოდა იმის გამო, რომ ხშირად ვერ ხერხდებოდა წევრი სახელმწიფოების მთავრობების მიერ კონსენსუსის მოძებნა მთელ რიგ საკითხებზე. შესაბამისად 1974 წელს პარიზში ხელი მოეწერა კომუნიკეს, რომელმაც იფიციალური სახე მისცა საბჭოს არაოფიციალურ შეხვედრებს. ამ კომუნიკეს მიხედვით შეიქმნა ე.წ. "ევროგაერთიანებების საბჭო", რომელიც უნდა შეკრებილიყო სახელმწიფოს მეთაურთა და საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე წელიწადში სამჯერ "პოლიტიკური თანამშმრომლობის" გასაღრმავებლად.

აღსანიშნავია, რომ საბჭოს შექმნა იყო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება, რაც ნიშნავდა, რომ არ არსებობდა მისი არსებობის არც ფორმალური და, არც ინსტიტუციონალური საფუძველი. კერძოდ, არ მომხდარა საბჭოს ლეგალიზაცია ახალი ხელშეკრულების გაფორმებით, თუმცა მომდევნო წლების მანძილზე საბჭოს "კონსტიტუციონალიზაცია" მაინც მოხდა.

განვითარების სხვადახვა ეტაპზე ევროპის საბჭოს განსხვავებული როლი და ფუნქციები ჰქონდა. თუ დასაწყისში იგი "ბუხრისპირა მოლაპარაკებების" ფორუმს წარმოადგენდა, 80-იან წლებში მოგვევლინა მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ ინსტიტუტად და ხელშეკრულებების მომმზადებელ უპირეველეს ორგანოდ, სადაც ფორმდებოდა მნიშვნელოვანი კომპრომისები და მიიღწეოდა ევროკავშირის მომდევნო განვითარების განმსაზღვრელი შეთანხმებები.

პრეზიდენტობის დასასრულს, შესაბამისად ყოველ ექვს თვეში. იმის გამო, რომ პრეზიდენტობის მქონე სახელმწიფოები, როგორც წესი, თვლიან, რომ მათ უნდა მოახდინონ თავიანთი მიღწევების აფიშირება, ყოველი პრეზიდენტობის დროს ტარდება დამატებით ერთი სამიტი მაინც. შესაბამისად აღმოჩნდა, რომ 90-იანი წლების შუიდან მსგავსი სამიტები იმართება წელიწადში ოთხჯერ. მსგავსი პრაქტიკა პრინციპში ინსტიტუციონალიზებულ იქნა სევილიის სამიტის შემდეგ, სადაც ოფიციალურად შეთანხმდნენ, რომ თითოეული პრეზიდენტობის განმავლობაში ევროპული საბჭო ორჯერ მაინც შეკრიბებოდა. როგორც წესი სამიტები ტარდებოდა პრეზიდენტობის მქონე ქვეყანაში, თუმცა 2001 წლიდან გადაწყდა, რომ ერთი სამიტი მაინც თითოეული პრეზიდენტობის პერიოდში ჩატარებულიყო ბრიუსელში. რაც შეეხება სამიტების ხანგრძლივობას, ისინი გრძელდება რამდენიმე დღე, თუმცა ამ ბოლო დროს მათი შეხვედრების ხანგრძლივობა შემცირდა ერთ დღემდე.

ევროპული საბჭოს ფუნქციებში შედის როგორც ზოგადი სახის მითითებების მიცემა ევროკავშირის განვითარებსიათვის, ასევე კონკრეტულ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება. მართალია, ზოგჯერ ევროპული საბჭოს როლი ევროკავშირის განვითარების და ინტეგრაციის ახალი გეზების მოძებნაში დიდია, მისი საქმიანობა ხშირად ძირს უთხრის მინისტრთა საბჭოს საქმიანობას.

ევროკომისია

ევროკომისია მოიაზრება როგორც ევროკავშირის საჯარო სამსახური, თუმცა წლების განმავლობაში მან აჩვენა, რომ მისი როლი ევროკავშირის განვითარებაში ძალიან დიდია. ევროკომისია მიიჩნევა ევროკავშირის ინტეგრაციის მთავარ მამოძრავებელ ძალად.

კომისიის შემადგენლობა:

კომისია შედგება 25 კომისრისგან, რომელთაც წარადგენენ მთავრობები. პრეზი- დენტი აირჩევა კონსენსუსის შედეგად. წესით, კომისრები არ უნდა წარმოადგენდნენ მთავრობებს და უნდა მოქმედებდნენ საერთო ევროპული იდეის დაწინაურების მიზნით, მაგრამ ხელშეკრულების ამ მუხლის ინტერპრეტირება ყოველთვის რბილად ხდება.

ახალი კომისიის არჩევას ყოველთვის თან სდევს პრობლემები. განსაკუთრებით ეს წარმოჩინდა უკანასკნელი არჩევნების დროს, როდესაც ვერ მოხერხდა ჯერ პრეზიდენტის და შემდეგ ზოგიერთი კომისრის პოსტზე შესაბამისი კანდიდატურის შერჩევა. ანალოგიური პრობლემები ახლდა კომისიას 1999 წელს, როდესაც ლუქსემბურგის პრემიერი ჟაკ სანტერი არჩეული იქნა როგორც კომპრომისული ვარიანტი, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ გადადგა კორუფციის სკანდალის გამო.

იმის გამო, რომ კომისია არის გუნდური პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებული, არ შეიძლება ერთი რომელიმე კომისრის გადაყენება ან მოხსნა. კომისიის იმპიჩმენტის შემთხვევაში თანამდებობას ტოვებს ყველა კომისარი. ასეთი რამ მოხდა სანტერის კომისიის დროს, როდესაც ედით კრესონის (კვლევის კომისარი) კორუფციაში მხილებას მოჰყვა მთელი კომისიის გადადგომა. გუნდური პასუხისმგებლობის მომენტი ხშირად გამოიყენება პარლამენტის მიერ, განსაკუთრებით დამტკიცების დროს. 2004 წელს პარლამენტი იმუქრებოდა, რომ უარს ეტყოდა მთელს კომისიას იტალიელი კომისრის როკო ბუტილიონეს გამო, თუმცა ბოლო მომენტში ბუტილიონეს კანდიდატურა ჩანაცვლებულ იქნა.

ევროპული საბჭო, კვალიფიცირებული უმრავლესობის გამოყენებით ირჩევს კომისიის პრეზიდენტს, რომელიც უნდა დამტკიცდეს ევროპარლამენტის მიერ. შემდეგ საბჭო, ასევე კვალიფიცირებული უმრავლესობით და პრეზიდენტის თანხმობით (იგივეა რაც ვეტოს იფლება) ამტკიცებს კომისრების სიას. ამის შემდეგ პრეზიდენტი და მთლიანად კომისია წარდგება პარლამენტის წინაშე და პარლამენტი ამტკიცებს მათ.

კომისიის პრეზიდენტი

კომისიის პრეზიდენტი არის ევროკომისიის და ხშირ შემთხვევაში მთელი ევროკავშირის სახე. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის კომისიის პრეზიდენტი:

- არის ყველაზე ცნობილი კომისარი;

- არის კომისიის წარმომადგენელი სხვა ინსტიტუტებთან და სახელმწიფოებთან;

- არის წამყვანი ფიგურა და დირექტივების მიმცემი;

- ურჩევს პორტფელებს სხვა კომისრებს;

- უფლებამოსილია მოთხოვოს გადადგომა კომისარს;

- ხელმძღვანელობს კომისიის გენერალურ სამდივნოს, რომელიც თავის მხრივ ურთიერთობს პარლამენტთან და საბჭოსთან;

- შეუძლია პოლიტიკის ინიციატივების წამოყენება;

- ყოველთვის არის კომპრომისის შედეგი, რაც ნიშნავს, რომ იგი მეტ-ნაკლებად მისაღებია ევროკავშირის ყველა ქვეყანასთვის.

ევროკომისიის შემადგენლობაში შემავალი კომისრები ფლობენ სხვადასხვა პორტფელებს. როგორც წესი, პორტფელების გადანაწილების რამე მოცემული წესი არ არსებობს და ეს ხდება სპონტანურად, კომისრების ინტერესების და მათი სამშობლოების ინტერესების გათვალისწინებით. შესაძლებელია პორტფელების ვარირება, ანუ რამდენიმე პორტფელის ერთად გაერთიანება ან დაშლა, ასევე კომისიის ერთი ვადის პერიოდში რამდენიმე კომისრისთვის ადგილების შეცვლა. როგორც წესი, პორტფელების განაწილება ხდება დიდი სახელმწიფოების ინტერესების გათვალისწინებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ინდუსტრია, საგარეო საკითხები და ა.შ. როგორც წესი დიდი სახელმწიფოების მიერ წარდგენილ კომისრებს ხვდება.

კომისრებს აქვთ კაბინეტები. თითო კომისარს კაბინეტში ჰყავს ექვსი კაცი, ხოლო კომისიის პრეზიდენტს ჰყავს ცხრა მუშაკი. დაუწერელი წესის მიხედვით, პერსონალი უნდა იყოს მინიმუმ სამი სხვადასხვა სახელმწიფოდან, ხოლო კაბინეტის ხელმძღვანელი და მოადგილე (chef de cabinet da deputy chef de cabinet) უნდა იყვნენ სხვადასხვა ეროვნების. ეს ხდება პარაშუტინგის — ადრე გავრცელებული პრაქტიკის მოეყვანათ საკუთარი ხალხი საკუთარი ქვეყნებიდან — თავიდან ასაცილებლად.

ხალხის მიღება ევროკომისიაში ხდება ღია კონკურსით. როგორც წესი არჩევა ხდება ორი კრიტერიუმით — ეროვნული ბალანსი და პროფესიონალიზმი.

კომისიის ბიუროკრატიის უდავო პლიუსებია:

- გამოცდილება და ექსპერტიზა;

- ქვეყნებმა იციან, რომ მათი თანემემამულეები იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში;

- ლობირების დროს გამოიყენება ეროვნული კუთვნილება;

კომისიის ბიუროკრატიის მინუსებია:

- პარაშუტინგი აღარ ხდება, თუმცა ეროვნულ ბალანსს არაფორმალურად მაინც იცავენ;

- მოხელეების დიდი ნაწილი მთლად პროევროპული აზროვნების არ არის, რაც ხშირად გამოწვეულია მათი ლოიალობით სამშობლოებისადმი;

- ხშირად რთულია მოხელეების ერთმანეთთან შეწყობა განსხვავებული ეროვნული პრაქტიკების და სამუშაო გამოცდილების გამო.

კომისიის ორგანიზაცია

გენერალური დირექტორატები

კომისია შედგება გენერალური დირექტორატებისა და სამსახურებისაგან. ეს სტრუქტურა დაახლოებით წააგავს სახელმწიფო უწყებებში არსებული დეპარტამენტების სტრუქტურას. სამსახურებს და დირექტორატებს შორის განსხვავება არ არის, უბრალოდ განსხვავებული სახელები აქვთ. თითოეული ქვეუწყება შედგება 150-500 ადამიანისგან, რაც დამოკიდებულია მათ სიდიდეზე და მნიშვნელობაზე.

იერარქიული სტრუქტურა

- ყველა საკითხი განიხილება კომისრების ყოველკვირეულ შეხვედრებზე. გადაწყვეტილება მიიღება უმრავლესობით, მაგრამ, როგორც წესი, ცდილობენ საკითხების ერთხმად გადაჭრას.
- ყველა პრობლემა გადაიჭრება შესაბამისი კომისრის ინიციატივით;
- გენერალურ დირეატორატებს ხელმძღვანელობენ გენერალური დირექტორები;
- დირექტორატებს ხელმძღვანელობენ დირქტორები, რომლებიც ან გენდირექტორს ან მის მოადგილეს აბარებენ ანგარიშს;
- არის განყოფილებები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ მმართველები.

მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით კომისიის შიდა სტრუქტურა მკაფიოდ განსაზღვრული ჩანს, სინამდვილეში მთლად ასე არ არის, რადგან არ ხდება სხვადასხვა უწყებებს შორის კომპეტენციების მკვეთრი გამიჯვნა. ამის გამო, ხშირად ვხვდებით მაგალითებს, როდესაც ერთი და იგივე განყოფილება შედის ორ ან მეტ დირექტორატში.

- მოხსენების მომზადება ხდება შესაბამის დირექტორატში. ინტენსიური კონსულ-ტაციები იწარმოება კომპანიებთან, წევრ სახელმწიფოებთან, სამეცნიერო წრეებთან და სხვ. დაინტერესებულ უწყებებთან. როდესაც იწყება კანონპროექტზე მუშაობა აუცი- ლებლად მიიღება მხედველობაში საბჭოს და კომისიის რეკომენდაციები და დირექტივები, რადგან კომისიას, როგორც წესი, არ სურს წავიდეს წევრი სახელმწიფოების და ზოგადად საბჭოს წინააღმდეგ.

- მოხსენების დამუშავების შემდეგ ხდება მისი გადაცემა ვერტიკალურად ზემოთ; მოხსენება ჯერ მიდის შესაბამისი კომისრის კაბინეტში, შემდეგ განიხილება ყოველ-კვირეული ცჰეფ დე ცაბინეტ-ების შეხვედრაზე, რის შემდეგ უკვე გადაეცემა კომისრების კოლეგიას.

- კომისიას აქვს უფლება ისე მოექცეს ამ მოხსენებას, როგორც მოესურვება. შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომ დაიწყოს საქმის მსვლელობა; ასევე შესაძლებელია, რომ კანონპროექტი იმთავითვე ჩავარდეს, თუმცა ხშირად მას უკან უბრუნებენ დეპარტამენტს, რომელიც თავიდან იწყებს მის დამუშავებას, ხვეწს მას ან ელის უკეთეს დროს მის წარსადგენად.

ამ წესიდან გადახვევა მისაღებია, განსაკუთრებით, როცა რამდენიმე ირექტორატის

საქმე ემთხვევა ერთმანეთს. მაგალითად, ახალი ენერგიის წყაროების გამოგონებაზე რომ მიდგება საქმე, საქმეში ერევა ენერგეტიკის დირექტორატი, მაგრამ მასთან ერთად, გამოკვლევების, ბიუჯეტის და მეწარმეობის დირექტორატებიც, ამიტომ ხდება ყველა დირექტორატის ინტერესების გათვალისწინება.

ჰორიზონტალური კოორდინაციის გასაუმჯობესებლად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდები:

✓ ხშირად იქმნება სამუშაო ჯგუფები, საპროექტო ჯგუფები, ინდივიდუალური კავშირები და ასე შემდეგ, რაც ხელს უწყობს მაქსიმალურად მეტი დაინტერესებული უწყების ჩართვას პროცესში;

✓ კომისიის გენერალური სამდივნო ასრულებს მნიშვნელოვან როლს ჰორიზონტალური კოორდინაციის საკითხებში;

✓ კომისიის პრეზიდენტს აქვს მართალია ცუდად განსაზღვრული, მაგრამ მაინც საკოორდინაციო პასუხისმგებლობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომისარ ჟაკ დელორის როლი კოორდინაციის დროს, როდესაც კომისია იყო ერთიანი და შეკრული;

✓ კომისრები ყოველკვირეული შეხვედრის მთავარი მიზანი სწორედ კოორდინაციის გაუმჯობესებაა.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ:

- ხშირად ტარდება არაფორმალური შეხვედრები შესაბამის კომისრებს შორის;

- chefs de cabinets ხვდებიან საკმაოდ ინტენსიურად. როგორც წესი, მათ სხდომას უძღვება გენერალური მდივანი და ეს ხდება კომისიის შეხვედრამდე ორი დღით ადრე;

- კაბინეტების შეფების შეხვედრისას ხდება პოზიციების შეჯამება და აზრების გაცვლა-გამოცვლა;

- კაბინეტი, როგორც წესი, არ ერევა საკითხის განხილვაში, სანამ ესა თუ ის

საკითხი პროექტის სახით ოფიციალურად არ იქნება წამოყენებული შესაბამისი დირექტორატის მიერ.

მიუხედავად ამგვარი მექანიზმებისა, მაინც არსებობს გარკვეული პრობლემები კოორდინაციასთან დაკავშირებით. ჰორიზონტალური კოორდინაცია მაინც არ არის საკმარისი მთელი რიგი ბიუროკრატიული მიზეზების გამო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ გენერალური დეპარტამენტები იცავენ თავიანთ ფუნქციებს და დღის წესრიგს და ხშირად არ სურთ თავიანთ საკითხებში სხვა

დირექტორატების ჩარევა. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა გენერალურ დირექტორატს თავისი საკუთარი დღის წესრიგი აქვს, რომელიც ხშირად უაღრესად გადატვირთულია, რაც ავტომატურად ანელებს მათ ინტერესს სხვა დირექტორატების საქმეებისადმი.

კომისიის ფუნქციები და ძალაუფლება

კომისია არის პოლიტიკის და წინადადებების შემომთავაზებელი კომისიას აქვს უფლება წამოაყენოს ევროკავშირის განვითარების და წინსვლის ინიციატივები, ანუ დაგეგმოს ინტეგრაციის ახალი მიმართულებები. როგორც წესი, კომისია ფლობს ექსკლუზიურ უფლებას დაგეგმოს პოლიტიკა და შეიმუშაოს კანონპროექტები პირველი საყრდენის ქვეშ. კომისიას ასევე აქვს უფლება მეორე და მესამე საყრდენების ქვეშ შემოიტანოს კანონპროექტი მაგრამ ეს უფლება ძალზედ შეზღუდულია და, როგორც წესი, მისი გამოყენება ხდება სახელმწიფოებთან შეთანხმებით, რადგან, როგორც ცნობილია, ამ საყრდენების ქვეშ კანონმდებლობის წარმოება არ ხდება.

მნიშვნელოვანია ის, რომ კომისიის გადაწყვეტილება მარტო სასურველი კი არა, შესაძლებელიც უნდა იყოს. ამიტომ კომისია ყოველთვის ცდილობს ისეთი კანონები მიიღოს, რომლებიც ხვდება საბჭოს მიერ განსაზღვრულ ჩარჩოებში და მეტ-ნაკლებად მისაღებია ყველა სახელმწიფოსათვის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ევროპული საბჭოს ნება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია და ავალდებულებს კომისიას. კომისიამ კარგი ურთიერთობა დაამყარა ევროპულ საბჭოსთან. ამ კარგი ურთიერთობების მაგალთებია, 1985 წლის თეთრი წიგნი საერთო ბაზრის შესახებ და ერთიანი ევროპული ხელშეკრულება, სადაც კომისიის და ევროპული საბჭოს პოზიციები საკმაოდ ახლოს იდგა ერთმანეთთან. ასევე, აღმოსავლეთ ევროპის გაფართოების დროს კომისია არამარტო ხელმძღვანელობდა ევროპული საბჭოს ზოგადი დირექტივებით, არამედ პრაქტიკულად დამოუკიდებლად ატარებდა მის მიერ დასახულ ხაზს. ანალოგიური ჰარმონიული ურთიერთობების გამოძახილია 1997 წლის გაფართოების კომუნიკე, და “დღის წესრიგი 2000”, სადაც ნათქვამი იყო, რომ გაფართოება უნდა დაწყებულიყო, ხოლო ხუთ სახელმწიფოს უნდა მოეცადა მცირე ხნით და შემდეგ შესულიყვნენ კავშირში.

კომისია ხშირად უშვებს ე.წ. მწვანე და თეთრი წიგნებს, რაც ასევ მნიშვნელოვნად

განსაზღვრავს ევროკავშირის შიგნით მიმდინარე პოლიტიკას: მწვანე წიგნი არის ინდივიდების ან ორგანიზაციებისთვის საკითხების მიმართვის ფორმა, რაც, როგორც წესი, გამოიყენება დებატების დასაწყებად ამა თუ იმ საკითხის გარშემო. თეთრი წიგნები კი არის კონკრეტული მოქმედებების და კავშირის განვითარების წინადადებები, რომლებიც ქვეყნდება ევროკავშირის ინსტიტუტებისთვის და წევრი სახელმწიფოებისთვის და აჩვენებს მათ მიმართულებას, საითკენაც უნდა წავიდეს კავშირი.

კომისია ხშირად მიმართავს ექსპერტების რჩევას, იქნებიან ეს ექსპერტები სახელმწიფოებიდან, თუ სხვადასხვა პანევროპული, თუ ტრანსევროპული კავშირებისა და ორგანიზაციებისგან. ამ მიმართვას რამდენიმე ფორმა აქვს:

1) ექსპერტთა კომიტეტები: შედგება ეროვნული მოხელეების, ექსპერტების და სპეციალისტებისგან, რომლებიც წევრი-სახელმწიფოების მიერ არიან მივლენილნი. ეს ექსპერტები წარმოადგენენ ეროვნულ პოზიციებს, მაგრამ მეტ-ნაკლები მოქნილობით და კონსენსუსის მიღწევისაკენ სწრაფვით გამოირჩევიან, რადგან საბოლოო გადაწყვეტილებები მათ მიერ არ მიიღება, ამიტომ ისინი ცდილობენ მაქსიმალურად წარმოაჩინონ თავიანთი ქვეყნის პოზიცია, ხოლო დეტალებზე მოლაპარაკება უფრო მაღალი დონის ექსპერტებს და სახელმწიფო მოხელეებს მიანდონ.

ექსპერტთა კომიტეტებს სამი გამორჩეული თვისება აქვთ:

ა. მათთან მოლაპარაკება სავალდებულოა

ბ. არ შემოიფარგლებიან მხოლოდ ტექნიკური რჩევებით

გ. იკრიბება საკმაოდ ხშირად

2) საკონსულტაციო კომიტეტები: ამ კომიტეტებს არ აქვთ კავშირი ეროვნულ მთავრობებთან; მათი წევრები არიან საერთო ევროპული ბიზნეს და სხვა ინტერესების წარმომადგენლები: მაგალითად, Union of Industrial and Employers' Confederation (UNICE), European Trade Union Confederation (ETUC) და სხვ.

3) ჰიბრიდული კომიტეტები. ეს კომიტეტები შერეული წარმომადგენლობისაა და მასში მონაწილეობენ როგორც სახელმწიფოების, ისე არასამთავრობო და საერთო ევროპული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ევროკომისიის აღმასრულებელი ფუნქციები

1. წესების შემქმნელი ძალაუფლება (rule-making powers)

ევროკავშირის კანონმდებლობა იქმნება რამდენიმე სახის საკანონმდებლო აქტით, რომელთა შორის მნიშვნელოვანია დირექტივები, რეგულაციები და გადაწყვეტილებები

ა. ***რეგულაციები:*** რეგულაციები შეიძლება იყოს აბსტრაქტული და ესადაგებოდეს კონკრეტულ პირებს და გარემოებებს. შეიძლება ვრცელდებოდეს კონკრეტულ ვალდებულებას სახელმწიფოს და შეიძლება მოქმედებდეს ყველა სახელმწიფოზე. რეგულაციებს, როგორც წესი, იმუშავებს კომისია.

ბ. ***დირექტივები:*** დირექტივა არის სავალდებულო, მაგრამ ანიჭებს ფლექსიბელურობას ეროვნულ მთავრობებს. სავალდებულოა მხოლოდ საბოლოო შედეგი. დირექტივა, როგორც წესი, ყველა სახელმწიფოს ავალდებულებს. კომისია იძლევა და შემდეგ უნდა მიიღოს პასუხი მისი იმპლემენტაციის მიმდინარეობის შესახებ.

გ. *გადაწყვეტილებები:* გადაწყვეტილებებს ძირითადად იღებს საბჭო, მაგრამ კომისია იღებს მათ პირველ საყრენში. ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს, მაგალითად ხელშეკრულების ჩამსწორებელი გადაწყვეტილებები, ე.წ. - decisions amending the treaty.

დ. *რეკომენდაციები და მოსაზრებები:* რეკომენდაციები და მოსაზრებები არ არის სავალდებულო, თუმცა ხშირად ხდება მათი გათვალისწინება საბჭოს და შემდეგი მოწვევის კომისიების მიერ.

2. ევროკავშირის ფინანსების მენეჯმენტი:

ევროკომისიას აქვს ძალაუფლება დანახარჯების და შემოსავლების სფეროში, თუმცა შემოსავლებს ძირითადად მაინც საბჭო განაგებს.

3. მოწინავე პოლიტიკის განხორციელებაზე ზედამხედველობა (Supervision of front-line policy implementation)

როგორც წესი, ევროკომისია არ არის ამა თუ იმ პოლიტიკური მიმართულების უშუალო შემსრულებელი, თუმცა ისეთ სფეროებში, როგორიც არის კონკურენციის პოლიტიკა, მას კონტროლის განხორციელების ექსკლუზიური უფლება აქვს. აღსრულების უფლება, როგორც წესი, მინიჭებული აქვს სხვადასხვა სახელმწიფოების აღმასრულებელ ხელისუფლებას, განსაკუთრებით, ადგილობრივ ორგანოებს, მაგალითად სააქციზო და საბაჟო ადმინისტრაციებს. კომისიის აღმასრულებელ ფუნქციებზე საუბრის დროს გასათვალისწინებელია, რომ კომისიას არ აქვს საკმარისი რესურსი დიდი მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად, ამიტომ, მეტწილად, კომისიის ამ ფუნქციის ეფექტური შესრულება დამოკიდებულია წევრი სახელმწიფოების მთავრობებზე.

აქვე ყურადსაღებია ის ფაქტორიც, რომ ეროვნული მთავრობები ყოველთვის ვერ ახორციელებენ ამა თუ იმ დირექტივას და გადაწყვეტილებას, რასაც ობიექტური და სუბიექტური მიზეზები აქვს. ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი დირექტივა საკმაოდ ძნელი შესასრულებელია, განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოებისათვის, რომელთაც არ აქვთ საკმარისი ადამიანური რესურსი, გამოცდილება და ექსპერტიზა მსგავსი სამუშაოების შესასრულებლად. გარდა ამისა, ზოგიერთ სახელმწიფოს არ სურს ევროკავშირის კანონმდებლობის ბოლომდე გადმოტანა, რადგან ეს ხშირად დაკავშირებულია არა-პოპულარულ გადაწყვეტილებებთან, ამიტომ ქვეყნები ხშირად აჭინაურებენ კანონების გადმოტანას. როგორც წესი, სანამ მთავრობა იძულებული არ შეიქმნება, რომ სანქციების მუქარის ქვეშ განახორციელოს ესა თუ ის პოლიტიკა, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ დროის მოგებას და კანონის მიღების გადადებას.

4.კომიტოლოგია

კომისიის მუშაობა ხშირად კონტროლდება წევრი სახელმწიფოების მიერ, რადგან ბევრ სახელმწიფოს ეშინია, რომ საბჭო გაუშვებს პოლიტიკის სადავეებს ხელიდან კომისიის სასარგებლოდ. ამისათვის შექმნილია ე.წ. კომიტოლოგიის ინსტიტუტი, რაც ნიშნავს

კომისიასთან სხვადასხვა ტიპის მაკონტროლებელი კომიტეტების არსებობას. კომიტოლოგიის კომიტეტები მუშაობენ კომისიასთან ერთად და გავლენას ახდენენ კომისიის გადაწყვეტილებებზე. კომიტოლოგიის კომიტეტები დაკომპლექტებულნი არიან წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კომიტოლოგია მოქმედებს მხოლოდ კომისიის მიერ მისი აღმასრულებელი ფუნქციების ამოყენებისას და არა კანონპროექტის შემუშავების შემთხვევაში.

5. იურიდიული ჩარჩოს დამცველი

ევროკომისია მართლმსაჯულების სასამართლოსთან ერთად ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებების უპირველეს დამცველს წარმოადგენს. ინფორმაციის მიღება ხელშეკრულების ამა თუ იმ მუხლის დარღვევის შესახებ ხდება შემდეგნაირად:

- ტრანსპოზიციის უხარისხობა თავს იჩენს, მიუხედავად იმისა დამალავს თუ არა მთავრობა ამას, რადგან მთავრობა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია კანონის იმპლემენტაციის შესახებ. კომისია ყოველთვის ხვდება ესა თუ ის კანონი რეალურად ხორციელდება თუ არა;
- თვითშეტყობინება (self-notification). ქვეყნები, როგორც წესი, კომისიას წინასწარ უთანხმებენ თავიანთ რეგულაციებს და ამა თუ იმ კანონის იმპლემენტაციის გზებს, ასევე სხვადასხვა სტანდარტების დაწესებას. ისეთ საკითხზეც კი, რომელიც მუდამ საჩოთირო საგანი იყო — სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი საწარმოების დახმარება — წინასწარ უთანხმდება კომისიას, რათა მან მიიღოს გადაწყვეტილება ხდება თუ არა ბაზრის დამახინჯება კონკურენციის მოშლის შედეგად.
- სხვა სუბიექტების, სახელმწიფოების და ასე შემდეგ მიერ შეტანილი საჩივრები. გერმანია, მაგალითად, ხშირად ჩივის სუბსიდიებზე სხვა ქვეყნების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად წესებს არღვევს საბერძნეთი, იტალია და საფრანგეთი. როგორც წესი ამ ქვეყნებიდან დაახლოებით 150 საქმე ეგზავნება ყოველწლიურად ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს. კომისიას აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები ურჩი სახელმწიფოს მიმართ. თუ რისი გაკეთება შეუძლია კომისიას დაუმორჩილებლობის შემთხვევაში განისაზღვრება ოთხი სიტუაციით.

- დაუმორჩილებლობა წევრი-სახელმწიფოს მხრიდან: მაასტრიხტის ხელშეკრულებამდე კომისიას არ ჰქონდა უფლება დაეწესებინა რაიმე სანქცია. თუ რომელიმე ქვეყანა სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ასრულებს, კომისიას შეუძლია დააბრუნოს საქმე სასამართლოში და დაასახელოს ჯარიმა, რომელიც უნდა გადაიხადოს სახელ- მწიფომ. ხშირად ეს ჯარიმა საკმაოდ სოლიდურია. დაზღვევის კანონმდებლობის დარღვევის გამო საბერძნეთს დიდი ჯარიმების გადახდა მოუწია. 2000 წ. ის დაჯარიმებული იქნა 20.000 ევროთი დღეში, 2002 წელს კი 242.000 ევროთი.

- კომპანიების მხრიდან ევროკავშირის სამართალის დარღვევა: რამდენიმე წლის წინ კომისიამ ხუთი ბანკი დააჯარიმა გერმანიაში, რომლებმაც ერთმანეთში დადეს არალეგალური შეთანხმება და საკმაოდ დიდი მოგება ნახეს ევროს შემოღებისას. ასევე, სულ

მცირე ხნის წინ 2005 წელს ევროკომისიამ სარჩელი შეიტანა მაიკროსოფტ კორპორაციის წინააღმდეგ, რომელსაც ბრალი დასდეს კონკურენციის წესების დარღვევაში, რადგან მაიკროსოფტმა უინდოუსის ოპერაციულ სისტემაში დაამატა უინდოუს მედია პლეერი, რამაც მედია პლეერების გამომშვები სხვადასხვა კომპანიების (მათ შორის, რეალ ნეთუორქს) გაღიზიანება გამოიწვია.

- სახელმწიფო დახმარების მიღების დროს კანონის დარღვევა კომპანიების მხრიდან: თუ კომისიამ დაადგინა, რომ ევროკავშირის ბაზარზე კონკურენცია დაირღვა, იგი მოთხოვს კომპანიას, რომ უკან დაუბრუნოს თანხა, რომელიც მან მიიღო კონკურენციის დარღვევის დროს, ასევე შეიძლება ჯარიმა ანაზღაურებულ იქნას იმ კომპანიებისთვის, რომლებმაც ამის გამო წაგება ნახეს.

- კომპანიის შერწყმის დროს დარღვევები: ყველა ოპერაცია კომპანიების

შეწყმასთან დაკავშირებით კომისიის ექსკლუზიურ კომპეტენციაში შედის. თუ შერწყმის დროს რომელიმე კომპანიამ დამალა რამე დეტალი ან დაარღვია კონკურენცია, მას შეიძლება ყოველწლიური გაყიდვების ათ პროცენტამდეც კი დაეკისროს ჯარიმის სახით.

კომისიის სხვა ფუნქციებს შორის აღსანიშნავია მისი ფუნქცია, როგორც საგარეო წარმომადგენელი და მომლაპარაკებელი. ამის შედეგად კომისიას შეუძლია მოლაპარაკებები გამართოს შემდეგ სფეროებში:

- საგარეო ვაჭრობა;
- ფინანსური პოლიტიკის და პოლიტიკური დახმარების ხელშეკრულებებში მონაწილეობა;
- გაერო, ევროსაბჭო და OECD;
- ევროკავშირის წევრებს და არაწევრებს შორის შუამავლობა;
- ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით კომისიას დიდი როლი ენიჭება.

იგი იძიებს და აკეთებს მოხსენებას ამა თუ იმ სახელმწიფოს მზადყოფნის შესახებ. უკანასკნელი გაფართოების დროს კომისია ყოველ წელს ამზადებდა ე.წ. მოხსენებებს (ე.წ. progress report), სადაც დეტალურად იყო აღწერილი, თუ როგორ ასრულებდნენ სახელმწიფოები ევროკავშირისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს.

გარდა ზემოთხსენებული ფუნქციებისა, მნიშვნელოვანია ევროკომისიის როლი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარების დროს. კომისია მხარს უჭერს საბჭოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარებაში და ძალიან ხშირად გვევლინება ამ პოლიტიკის უპირველეს დამცველად საერთაშორისო არენაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომისიის საერთაშორისო როლი, რომელიც მან მოიპოვა დიდი ექსპერტიზის და დიპლომატიის შედეგად.

სულ ბოლოს შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კომისია არის ე.წ. esprit communautaire-ის (საზოგადოებრივი სული) დამცველი და ევროინტეგრაციის მთავარი მამოძრავებელი.

ევროპარლამენტი

ევროპარლამენტი შეიქმნა პარიზის ხელშეკრულებასთან ერთად, თუმცა სახელი ევროპარლამენტი ეწოდა მხოლოდ 1962 წელს. 1979 წლიდან ევროპარლამენტი არის არჩევითი და მის არჩევაში მონაწილეობს ევროკავშირის ყველა მოქალაქე. არჩევნების სისტემა ყველა სახელმწიფოში განსხვავებულია, თუმცა არჩევნები დროის ერთ მონაკვეთში ტარდება და ყველა ქვეყანაში შედეგებიც ერთდროულად ქვეყნდება.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპარლამენტი საკონსულტაციო ორგანოს წარმოაგენს, უკანასკნელ ხანებში გაიზარდა მისი გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პარლამენტის კონტროლი ევროკომისიაზე:

1) კომისიის პრეზიდენტი უნდა დამტკიცებულ იქნას პარლამენტში ხმათა უმრავლესობით;

2) მთელი კომისია უნდა წარსდგეს პარლამენტის წინაშე. გუნდური პრინციპის

მიხედვით პარლამენტი ვერ დაითხოვს ერთ რომელიმე კომისარს და მთლიანად განიხილავს კომისიის შემადგენლობას;

3) ცენზურის პროცედურა (Motion of Censure); პარლამენტს შეუძლია ევროკომისიის დაშლა, თუ ამას ხმას მისცემს პარლამენტარების 2/3, თანაც ისე, რომ გადაწყვეტილებას ხმა მისცეს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. ამ პროცედურის მიხედვით პარლამენტს შეუძლია დაითხოვოს ევროკომისია, თუმცა მსგავსი რამ ისტორიაში არ მომხდარა. ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც პარლამენტი დაემუქრა კომისიას ამ უფლების გამოყენებით და კომისია გადადგა, რადგან პარლამენტის მიერ ცენზურის გატარება სერიოზულად დააზარალებდა კომისიის რეპუტაციას(სანტერის კომისია);

4) პარლამენტი განიხილავს კომისიის ყოველწლიურ გეგმას (იხ. ზემოთ)

5) პარლამენტს წარედგინება გასული წლის ფინანსური გეგმა და ბიუჯეტის შესრულების რაპორტი, რომელიც აუდიტორთა სასამართლოს მოხსენებასთან ერთად განიხილება პარლამენტის მიერ. ამის შემდეგ პარლამენტი აძლევს კომისიას დისცჰარგე-ს საბჭოს კვალიფიცირებული უმრავლესობის თანხმობით, რაც საშუალებას აძლებს კომისიას დაიწყოს მუშაობა ახალ გეგმაზე და ჩაითვალოს წინა წლის გეგმა შესრულებულად;

6) პარლამენტის მუდმივ კომიტეტებს (მაგალითად საბიუჯეტო კონტროლის კომიტეტი) აქვთ შესაძლებლობა აკონტროლონ კომისია, თუმცა ექსპერტიზის ნაკლებობის გამო ამ უფლებას ძალზედ იშვიათად იყენებენ;

7) პარლამენტს აქვს უფლება შექმნას დროებითი კომიტეტები, რომ გამოიძიოს

გაერთიანების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე უკვე არის აღძრული მართლმსაჯულების სასამართლოში;

8) პარლამენტს აქვს უფლება კითხვები გაუგზავნოს კომისიას. კითხვების ფორმები და მათზე გაცემული პასუხების ფორმატი სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარია.

პარლამენტის კონტროლი საბჭოზე: საბჭოზე კონტროლი არის ნომინალური და პრაქტიკულად არ არსებობს. ამას აქვს სამი მიზეზი:

1) პარლამენტს რომ საბჭოს გაკონტროლების უფლება ჰქონდეს, მოხდება სუპრანაციონალიზმის დამკვიდრება, რასაც შეიძლება არაერთგვაროვნანი რეაქცია მოჰყვეს ევროსკეპტიკოსებს შორის.

2) მთელი რიგი საკითხებისა, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკაში და სავალუტო საქმეებში მიიღება საბჭოს მიერ კონფიდენციალურად, სუპრანაციონალური ორგანოების ჩარევის გარეშე.

3) საბჭოს მობილურობის და კომპლექსურობის გამო ძნელია დამყარდეს განგრძობადი კავშირი საბჭოს და პარლამენტს შორის. მიუხედავად ამისა, პარლამენტს და საბჭოს შორის არის არაფორმალური კავშირები. ასე მაგალითად, ყოველი პრეზიდენტობის დასაწყისში და დასასრულს პრეზიდენტი ქვეყანა ანგარიშს აბარებს პარლამენტს, ჯერ პრიორიტეტების, ბოლოს კი მათი შესრულების შესახებ. ასევე პრეზიდენტი სახელმწიფოს მინისტრები ხშირად ესწრებიან პარლამენტის სხდომებს.

კონტროლი ევროპულ საბჭოზე: პარლამენტის მხრიდან კონტროლი ევროპულ საბჭოზე პრაქტიკულად არ არსებობს. როდესაც ევროპული საბჭოს სამიტი იხსნება ევროპარლამენტის პრეზიდენტი გამოდის სიტყვით და მიმართავს ევროპულ საბჭოს, თუმცა შემდეგ ტოვებს შეხვედრას. სამიტის დასრულების შემდეგ პრეზიდენტი ქვეყანა, როგორც წესი, წარდგება პარლამენტის წინაშე და აბარებს მოხსენებას ევროპარლამენტს

ევროკავშირის სხვა ინსტიტუტები და სტრუქტურები

მართლმსაჯულების სასამართლო

ევროპის თანამეგობრობათა მართლმსაჯულების სასამართლოს შემადგენლობაში შედის თითო მოსამართლე ყოველი წევრი სახელმწიფოდან, რომელსაც დახმარებას უწევს რვა ე.წ. ,,გენერალური ადვოკატი.“ მათი დანიშვნა ხდება წევრი სახელმწიფოების მთავრობების ერთობლივი თანხმობის საფუძველზე ექვსწლიანი ვადით (ამ ვადის გაგრძელება შესაძლებელია). მოსამართლეთა დამოუკიდებლობა ეჭვს არ იწვევს. სასამართლო უზრუნველყოფს ევროკავშირის კანონმდებლობის შესრულებას, ხელშეკრულებათა სწორ ინტერპრეტირებას და შესრულებას. მართლმსაჯულების სასამართლო ლუქსემბურგში მდებარეობს.

აუდიტორთა სასამართლო

აუდიტორთა სასამართლო 1975 წელს ლუქსემბურგში ჩამოყალიბდა. სასამართლოს შემადგენლობაში შედის თითო წევრი ევროკავშირის ყოველი სახელმწიფოდან. სასამართლოს წევრები წევრი სახელმწიფოების თანხმობით და ევროპარლამენტთან ხელშეკრულების თანახმად აუცილებელია ევროკავშირის საბჭოსთან და ევროკომისიასთან კონსულტირება იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება რეგიონებს. თავის მხრივ, კომიტეტს შეუძლია დასკვნების საკუთარი ინიციატივით მომზადება და გამოქვეყნება.

ევროპის საინვესტიციო ბანკი

ევროპის საინვესტიციო ბანკი, რომელიც ლუქსემბურგში მდებარეობს, გასცემს სესხებსა და გარანტიებს, რითაც ევროკავშირის უფრო ნაკლებად განვითარებულ რეგიონებს ეხმარება, ასევე ეხმარება ბიზნესს, გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი.

ევროპის ცენტრალური ბანკი

ევროპის ცენტრალური ბანკი ფრანკფურტში მდებარეობს. ის პასუხისმგებელია ევროს და ევროკავშირის მონეტარული პოლიტიკის მართვაზე კონსულტაციების შემდეგ ექვსწლიანი ვადით ინიშნებიან. აუდიტორთა სასამართლოს დანიშნულებაა იმის მეთვალყურეობა, რომ ევროკავშირის შემოსავალი და გასავალი კანონიერი და პატიოსანი გზით იყოს მიღებული, გარდა ამისა, რომ ევროკავშირის ბიუჯეტი სწორად იმართებოდეს.

ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპული კომიტეტი

პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებამდე ევროკავშირის საბჭო და ევროკომისია კონსულტაციებს გადიან ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა ევროპულ კომიტეტთან. მისი წევრები წარმოადგენენ სხვადასხვა ეკონომიკურ და სოციალურ ინტერესთა ჯგუფებს, რომლებიც ერთობლივად ქმნიან ,,ორგანიზებულ სამოქალაქო საზოგადოებას“ და ინიშნებიან საბ ჭოს მიერ ოთხწლიანი ვადით.

რეგიონული კომიტეტი

რეგიონული კომიტეტი ევროკავშირის შესახებ (მაასტრიხტის) ხელშეკრულების საფუძველზე დაარსდა და ევროპის ქვეყნების რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლებისაგან შედგება. კომიტეტის წევრებს ევროკავშირის სახელმწიფოები წარადგენენ და საბჭო ნიშნავს ოთხწლიანი ვადით.

თავი 4.

ევროპული ინტეგრაციის ინსტიტუციური საფუძვლები, გაწევრიანების კრიტერიუმები და ევროკავშირიდან გასვლის პროცედურები

ევროკავშირი მუდმივად ავითარებდა და დღესაც ავითარებს სტრუქტურას, რომელსაც ისტორიული პრეცედენტი არ გააჩნია. ევროკავშირის ფუძემდებლურ კანონმდებლობას წარმოადგენს წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებები, რომლებიც საფუძველს უყრის ევროკავშირის პოლიტიკას, აფუძნებს მის ინსტიტუციურ სტრუქტურას, საკანონმდებლო პროცედურებსა და ძირითად უფლებამოსილებებს.

ასეთი ხელშეკრულებებია, მაგალითად: რომის ხელშეკრულება, ერთიანი ევროპული აქტი, მაასტრიხტის, ამსტერდამისა და ლისაბონის ხელშეკრულებები.

რომის ხელშეკრულებიდან ერთიან ევროპულ აქტამდე

„ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში“ შემავალ ექვს ქვეყანას შორის ურთიერთობამ იმდენად სტაბილური და პროგრესირებადი ხასიათი მიიღო, რომ ცოტა ხანში გადაწყვიტეს, შეექმნათ „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“, რომელსაც 1957 წელს რომის ხელშეკრულება დაედო საფუძვლად. ასევე, რომის ხელშეკრულების ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა, აგრეთვე, საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

რომში ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა, აგრეთვე, ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერგიის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერგიის ინდუსტრიის განვითარება, ენერგიის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელ- მწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.

1967 წელს ბრიუსელის ხელშეკრულებით მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა

(შემდგომში ევროგაერთიანება) და „ევრატომის" აღმასრულებელი ორგანოების - კომისიისა (შემდგომში ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები" ეწოდა. სახელწოდება შეიცვალა 1992 წელს ხელმოწერილი მაასტრიხტის ხელშეკრულებით და ევროგაერთიანებები ევროკავშირად გარდაიქმნა.

1968 წელს ამოქმედდა ევროკავშირის საბაჟო კავშირი, რომელსაც რომის ხელშეკრულებით ჩაეყარა საფუძველი და რომლის თანახმადაც გაუქმდა სავაჭრო ტარიფები წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე დაწესდა საერთო ტარიფები გაერთიანების არაწევრ ქვეყნებთან მიმართებაში.

70-იან წლებში დაიწყო საგარეო პოლიტიკის სფეროში სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის განვითარება. 1970 წლიდან წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრები კვარტალში ერთხელ იკრიბებოდნენ საგარეო პოლიტიკური საკითხების განსახილველად. შეიქმნა მუდმივმოქმედი პოლიტიკუ- რი სამდივნო. მოგვიანებით მოხდა ამ თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია და ჩამოყალიბდა ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობა.

1974 წელს მოხდა წევრი სახელმწიფოების მეთაურთა უმაღლეს დონეზე შეხვედრების ფორმალიზება; თუ 1969 წლიდან ის წელიწადში ერთხელ იმართებოდა, 1974 წლიდან ასეთი შეხვედრების მინიმუმ ორჯერ გამართვა გადაწყდა. ევროპული საბჭოს ფარგლებში ხდება ინტეგრაციის მთავარი ორიენტირების განსაზღვრა. მისმა შექმნამ, ძირითადად, ინტეგრაციის მთავრობათაშორისი ხასიათის ელემენტის გაძლიერება გამოიწვია.

შენგენის შეთანხმება

1985 წლის 14 ივნისს ხელი მოეწერა შენგენის შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები შეთანხმდნენ, თანდათანობით გაეუქმებინათ საერთო სასაზღვრო კონტროლი და შემოეღოთ გადაადგილების თავისუფლება ხელმომწერი წევრი სახელმწიფოების, სხვა წევრი სახელმწიფოების ან მესამე სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის.

დღეისათვის შენგენის ხელშეკრულება 26 ქვეყანას აერთიანებს:

• ევროკავშირის წევრ 22 ქვეყანას: ავსტრიას, ბელგიას, ჩეხეთის რესპუბლიკას, დანიას, ესტონეთს, ფინეთს, საფრანგეთს, გერმანიას, საბერძნეთს, უნგრეთს, იტალიას, ლატვიას, ლიტვას, ლუქსემბურგს, მალტას, ნიდერლანდების სამეფოს, პოლონეთს, პორტუგალიას, სლოვაკეთს, სლოვენიას, ესპანეთსა და შვედეთს;

• ევროკავშირის 4 არაწევრ ევროპულ ქვეყანას: შვეიცარიას, ნორვეგიას, ისლანდიასა და ლიხტენშტეინს. აღნიშნული ქვეყნები ერთად ქმნიან შენგენის ზონას. შენგენის ზონის 4 კანდიდატი ქვეყანაა: ბულგარეთი, კვიპროსი, ხორვატია და რუმინეთი.

• ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან დიდი ბრიტანეთი და ირლანდია არ არიან შენგენის ზონის წევრები.

შენგენის ზონის გარე საზღვრები მკაცრად კონტროლდება, ხოლო მის შიგნით საპასპორტო შემოწმება არ ხორციელდება. შენგენის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ შენგენის ზონაში შემავალ სახელმწიფოებს შორის საზღვრები უნდა გაუქმებულიყო, ხოლო გარე საზღვრები – გამაგრებულიყო. ქვეყნები ვალდებულნი არიან, ერთიანი პოლიტიკა აწარმოონ მიგრანტების მიმართ, რაც მოითხოვს მონაცემთა საერთო ბაზისა და საერთო საპოლიციო-სასამართლო სისტემის ფუნქციონირებას.

„საპასპორტო საბაჟო კონტროლის გაუქმების შესახებ ევროპის კავშირის ქვეყნებს შორის" შეთანხმებას ხელი მოეწერა შენგენში, ლუქსემბურგის პატარა სოფელში, სადაც ლუქსემბურგის, გერმანიისა და საფრანგეთის საზღვარი იკვეთება.

ერთიანი ევროპული აქტი

1986 წლის 28 თებერვალს ევროპული გაერთიანების წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ე.წ. ერთიან ევროპულ აქტს, რომლითაც ცვლილებები და დამატებები შევიდა ევროპული გაერთიანებების დამფუძნებელ ხელშეკრულებებში. ერთიანი ევროპული აქტი გახდა პირველი ყოვლისმომცველი სარევიზიო აქტი, რომლითაც ევროპული პოლიტიკური თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზება განხორციელდა, კერძოდ: ევროპული საბჭო ევროკავშირის ერთ-ერთ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა; შეიქმნა პირველი ინსტანციის სასამართლო; საპარლამენტო ასამბლეას ოფიციალურად ეწოდა ევროპული პარლამენტი; შემოიღეს ახალი ნორმაშემოქმედებითი პროცედურა - თანაგადაწყვეტილების პროცედურა, რომლითაც გაძლიერდა პარლამენტის როლი; გაიზარდა კომისიის უფლებამოსილებებიც; ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა გავრცელდა ბევრ ისეთ სფეროზე, სადაც მანამდე გადაწყვეტილება მხოლოდ ერთხმად მიიღებოდა.

დღის წესრიგში დადგა საერთო ბაზრის საბოლოო ფაზაში შეყვანა და დაიწყო შიდა ბაზრის შესაქმნელად აუცილებელი რეფორმების გატარება, რაც გულისხმობდა არსებული ბარიერებისა (კვოტები, ტარიფები) და ეკონომიკუ- რი დაბრკოლებებისგან თავისუფალ ეკონომიკურ სივრცეს, სადაც თავისუფლად უნდა მომხდარიყო ე.წ. „ოთხი სახის თავისუფლების": საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილება. შიდა ბაზრის შექმნა 1992 წლის 31 დეკემბრისთვის უნდა დასრულებულიყო.

მაასტრიხტის ხელშეკრულება

ბერლინის კედლის დანგრევამ, რასაც გერმანიის გაერთიანება მოჰყვა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბჭოთა კონტროლიდან გა- თავისუფლებამ, აგრეთვე, 1991

წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლამ და მნიშვნელოვანმა დემოკრატიულმა პროცესებმა ევროპის პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა განაპირობა.

1992 წლის 7 თებერვალს ჰოლანდიის ქალაქ მაასტრიხტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ, რომელიც ცნობილია, როგორც მაასტრიხტის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების გაფორმებით, ევროგაერთიანებები გარდაიქმნა ევროკავშირად და ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ასპექტიც შეიძინა. მაასტრიხტის ხელშეკრულებით შესწორდა და ერთ დოკუმენტში გაერთიანდა ყველა მანამდე არსებული ხელშეკრულება - პარიზის (1950 წ.) და რომის (1957 წ.) ხელშეკრულებები და ერთიანი ევროპული აქტი (1986წ.).

მაასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად მდგენელს: პირველ მდგენელში გაერთიანდა ევროპის არსებული გაერთიანებები (ევროპის გაერთიანება, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანება). მეორე მდგენელში შევიდა საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო მესამე მდგენელში – თანამშრომლობა მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში.

პირველ მდგენელში შემავალ საკითხებად განისაზღვრა: საბაჟო კავშირი, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, ერთიანი ბაზარი, სავაჭრო პოლიტიკა. ამ მდგენელს ამსტერდამის ხელშეკრულებით შემდგომში სხვა საკითხებიც დაემატა;

მეორე მდგენელი შემდეგ საკითხებს არეგულირებდა: თანამშრომლობა საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე, სამშვიდობო მისიები, დახმარება არაწევრი ქვეყნებისათვის, ევროპის უსაფრთხოების, განიარაღებისა და თავდაცვის დაფინანსების საკითხები;

მესამე მდგენელში შემავალი საკითხები იყო: წევრი ქვეყნების პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამოქალაქო სისხლის სამართლის საკითხებში, საპოლიციო თანამშრომლობა, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკომანიის, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა.

ხელშეკრულების თანახმად, პირველ მდგენელში საკითხები გადაწყდებოდა ზეეროვნულ (ანუ ევროპულ) დონეზე, ხმათა უმრავლესობით და აქ გადამწყვეტი როლი დაეკისრა ევროკომისიას და ევროპარლამენტს, საბჭოსთან ერთად. დანარჩენ ორ მდგენელში წამყვანი როლი მიენიჭა საბჭოს და გადაწყვეტილებები მიიღებოდა ეროვნულ დონეზე, წევრი ქვეყნის ხელმძღვანელებისა და მინისტრების მიერ. აქ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო ყველა ქვეყნის თანხმობა და არა უმრავლესობის. მეორე და მესამე სვეტის საკითხებში, ანუ საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის, ასევე მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში, კომისია და პარლამენტი ვერ ჩაერეოდნენ.

ამის მიზეზი გახდა ის, რომ სახელმწიფოებს არ სურდათ, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხები - ქვეყნების უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საშინაო საქმეები და იუსტიციის საქმეები მიენდოთ კომისიისა და პარლამენტისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორგანოების მოვალეობას წარმოადგენდა საერთო ევროპული ინტერესების მიხედვით მოქმედება და არა ეროვნული ინტერესების დაცვა, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები ვერ შეძლებდნენ, თავიანთი ინტერესების შესაბამისად, მოეხდინათ ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე (ანუ, ევროკომისიის ან ევროპარლამენტის წევრს, რომელიც ეროვნებით შეიძლება იყოს ფრანგი, არ აქვს უფლება, საფრანგეთის სახელით იმოქმედოს და მარტო საფრანგეთისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას დაუჭიროს მხარი).

მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება. კერძოდ, თანაგადაწყვეტილების პროცედურის შემოღებით, ევროპარლამენტს მიენიჭა თანაბარი უფლება, საბჭოსთან ერთად მიეღო მონაწ- ილეობა საკანონმდებლო პროცესში, გარკვეულ სფეროებში. კომისიის მთლიანი შემადგენლობის დამტკიცებისთვის აუცილებელი გახდა ევროპარლამენტის თანხმობა. ევროპარლამენტთან შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც მიეცა უფლება, შეემოწმებინა ევროკავშირის სამართლის დარღვევის ფაქტები.

მაასტრიხტის ხელშეკრულებით დაისახა ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნა, რომლის განხორციელებაც უნდა მომხდარიყო ეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაციისა და ერთიანი სავალუტო ერთეულის – ევროს შემოღების გზით. ამ მიზნით შეიქმნა ევროპის ცენტრალური ბანკი. გადაწყდა ევროპის მოქალაქეობის შემოღება. მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ასევე იყო საუბარი ერთიანი სოციალური პოლიტიკის შექმნის შესახებ, თუმცა ეს თავი საბოლოოდ ამოიღეს, რადგან სოციალური პოლიტიკა, ისევე როგორც საგარეო და დაბეგვრის პოლიტიკა, წევრმა სახელმწიფოებმა ქვეყნის საშინაო საქმეებად მიიჩნიეს. მაასტრიხტის ხელშეკრულება 1993 წელს შევიდა ძალაში.

ამსტერდამის ხელშეკრულება

1997 წელს ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულების სახელითაა ცნობილი. ამსტერდამის ხელშეკრულება მოიცავს იმ საკითხებს, რომელზეც ვერ შეთანხ- მდნენ მაასტრიხტში. სამთავრობათაშორისო კონფერენცია, ძირითადად, მიზნად ისახავდა ისეთი ინსტიტუციური სისტემის შექმნას, რომელიც უპრობლემოდ უზრუნველყოფდა ევროკავშირის მომავალ გაფართოებას და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ევროპულ ინსტიტუტებში ინტეგრაციას. მიუხედავად ამისა, ძირითადი თემები, რომელთა გარშემოც დებატები გაიმართა ამსტერდამის ხელშეკრულების მიღების პროცესში, ეხებოდა ევროკავშირის მმართველი

სისტემის „მოქნილობის“ გაზრდას და „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და იუსტიციის“ არეალის შექმნას.

მოქნილობის გაზრდა გულისხმობდა ევროკავშირის მმართველი ორგანოების სტრუქტურების დახვეწას, რათა უკეთ მორგებოდა იმ პერიოდისთვის 15 წევრამდე გაზრდილ ევროკავშირს, სადაც ისევ იგეგმებოდა ახალი წევრების მიღება.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ამ ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს, იყო მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობის გაღრმავება. სავიზო რეჟიმები, სასაზღვრო კონტროლი, თავშესაფრის მიცემისა და იმიგრაციის პოლიტიკა, პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომ- ლობა სამოქალაქო საკითხებში, ზოგადად ადამიანის უფლებათა და არაწევრი ქვეყნების უფლებების დაცვა ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ფარგლებში გადაიტანეს და ევროკავშირის კომპეტენციათა პირველ სვეტში (მდგენელში) მოექცა.

მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობის მდგენელში დარჩა პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხებში.

გაფართოვდა ევროპული გაერთიანების კომპეტენციები, აგრეთვე, სოციალური პოლიტიკისა და დასაქმების სფეროში.

საპოლიციო თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით, შეიქმნა ევროპული პოლიცია - ევროპოლი.

მნიშვნელოვანი თანამდებობა, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულებით შემოიღეს, არის – ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, რომელიც, იმავდროულად, საბჭოს გენერალური მდივანიც იყო.

პარლამენტის უფლებამოსილებები გაიზარდა თანაგადაწყვეტილების პროცედურის მოქმედების საკმაოდ მრავალი კომპეტენციის ნორმაზე გავრცელების გზით. გარდა ამისა, აუცილებელი გახდა კომისიის პრეზიდენტის კანდიდატურაზე პარლამენტის თანხმობა.

ევროს შემოღება

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის განხორციელება 1999 წლის 1 იანვრისთვის მოხერხდა, რაც მაასტრიხტის ხელშეკრულებით იყო დადგენილი. კერძოდ, ევრო, როგორც ერთიანი ევროპული სავალუტო ერთეული, ამ დღიდან უნაღდო ანგარიშსწორებაში უკვე გამოიყენებოდა, 2002 წლის 1 იანვრიდან კი მან ეროვნული ვალუტები ნაღდ ანგარიშსწორებაშიც შეცვალა.

ევროზონაში დღეისათვის გაერთიანებულია (2015 წლის დეკემბერი) ევროკავშირის წევრი 28 სახელმწიფოდან მხოლოდ 19. დანარჩენ ცხრა ქვეყანაში დღემდე მიმოქცევაშია ეროვნული ფულადი ერთეული. ევროზონაში გაერთიანებულია შემდეგი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, ირლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პორტუგალია,

სლოვაკეთი, სლოვენია და ესპანეთი. ევროკავშირის სხვა წევრი ქვეყნები (გარდა დანიისა და დიდი ბრიტანეთისა) ვალდებულნი არიან, შეუერთდნენ ევროზონას მას შემდეგ, რაც დააკმაყოფილებენ არსებულ კრიტერიუმებს, მათ შორის: ევროზონაში გაერთიანებამდე ქვეყანა 2 წელი უნდა იყოს ჩართული ევროპულ გაცვლითი კურსის მექანიზმში (European Exchange Rate Mechanism (ERM II)).

რაც შეეხება დანიასა და დიდ ბრიტანეთს, მაასტრიხტის ხელშეკრულების თანახმად, მათ მიეცათ უფლება, რომ არ შეერთებოდნენ ევროზონას, სანამ მათი მთავრობები არ მიიღებ-დნენ ამის შესახებ გადაწყვეტილებას, საპარლამენტო კენჭისყრის ან რეფერენდუმის საფუძველზე.

ამასთანავე, ანდორას, მონაკოს, სან მარინოსა და ვატიკანს ფორმალური შეთანხმებები აქვთ გაფორმებული ევროკავშირთან მასზედ, რომ გამოიყენონ ევრო, როგორც თავიანთი ოფიციალური ვალუტა. კოსოვომ და მონტენეგრომ ევრო შემოიღეს ცალმხრივად, მაგრამ ოფიციალურად არ წარმოადგენენ ევროზონის ნაწილს და არ გააჩნიათ წარმომადგენლობა ევროპის ცენტრალურ ბანკსა და ევროჯგუფში, რომელიც შედგება ევროზონის ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისაგან და ევროზონასა და ევროსთან მიმართებაში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს.

ნიცის შეთანხმება

მთავრობათაშორისმა კონფერენციამ 2000 წლის დეკემბერში საფრანგეთის ქალაქ ნიცაში ხელშეკრულება შეიმუშავა. მას ხელი მოეწერა 2001 წლის თე- ბერვალში, ხოლო ძალაში 2003 წლის თებერვალში შევიდა. მისი ძირითადი მიზანი იყო გაფართოების ახალი ტალღისათვის ინსტიტუციური საფუძვლის მომზადება. ნიცის ხელშეკრულებით განისაზღვრა ახალი დებულებები ორგანოების შემადგენლობისა და საბჭოში კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღებისას თითოეული წევრი სახელმწიფოსთვის მინიჭებული ხმათა რაოდენობების შესახებ, სადაც განსაკუთრებით იქნა გათვალისწინებული დემოგრაფი- ული ელემენტი (აღნიშნული სისტემა შეიცვალა ლისაბონის ხელშეკრულებით). კიდევ უფრო გაიზარდა ევროპული პარლამენტის უფლებამოსილებები, კერძოდ, თანაგადაწყვეტილების პროცედურამ სულ უფრო მეტი კომპეტენციის ნორმა მოიცვა. ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პროცედურა გავრცელდა ბევრ ისეთ კომპეტენციის ნორმაზე, რომელთა ფარგლებში ადრე გადაწყვეტილება ერთხმად უნდა ყოფილიყო მიღებული.

ნიცის სამიტის ერთ-ერთი შედეგი იყო ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის ერთსულოვანი მიღება - 50 პუნქტისაგან შემდგარი კრებული ევროპის სამართალში ადამიანის თავისუფლების, ეკონომიკური და სოციალური უფლებების შესახებ.

საკონსტიტუციო ხელშეკრულება

ნიცის სამიტზე გადაწყდა, რომ 2004 წლისთვის მოეწვიათ შემდეგი კონფერენცია და მის ფარგლებში მომხდარიყო ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებისა და ევროპულ გაერთიანებათა დამფუძნებელი ხელშეკრულებების გადახედვა.

2001 წლის 15 დეკემბერს ლეიკენში (ბელგიის სამეფო) ევროპული საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაციის საფუძველზე შეიქმნა ე.წ. „ევროპული კონვენტი“, რომელიც წევრი სახელმწიფოების მეთაურთა 15 წარმომადგენლისგან (1 წარმო- მადგენელი თითო სახელმწიფოდან), ეროვნული პარლამენტების 30 წევრისგან (2 წარმომადგენელი თითოეული პარლამენტიდან), ევროპული პარლამენტის

16 წევრისა და კომისიის 2 წარმომადგენლისგან შედგებოდა. კონსულტაციებში მონაწილეობდნენ იმ ქვეყნების წარმომადგენლებიც, რომლებიც უახლოეს ხანში ევროკავშირის წევრები უნდა გამხდარიყვნენ. კონვენტის თავმჯდომარედ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარდ დ’ესტენი დაამტკიცეს. ევროპულ კონვენტს დაევალა დოკუმენტის შემუშავება, რომელიც მოიცავდა რეკომენდაციებს წევრ სახელმწიფოებსა და ევროპულ გაერთიანებებს შორის კომპეტენციების განაწილების, ძირითადი უფლებების ქარტიის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის, ეროვნული პარლამენტების სტატუსის დადგენისა და არსებული ორგანიზაციული სტრუქტურისა და მექანიზმების გამარტივების შესახებ. 2004 წლის 17-18 ივლისს ბრიუსელის სამიტზე გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდეგ შედგა შეთანხმება საკონსტიტუციო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტზე, 2004 წლის 29 ოქტომბერს კი რომში მას საზეიმოდ მოეწერა ხელი. სა- კონსტიტუციო ხელშეკრულება, სამართლებრივი ბუნებით, საერთაშორისო ხელშეკრულება იყო, თუმცა ძალაში არ შესულა, რადგანაც საფრანგეთსა და ნიდერლანდებში გამართულ რეფერენდუმებზე მოსახლეობის უმრავლესობამ მის წინააღმდეგ მისცა ხმა. ექსპერტთა აზრით, გარკვეული უარყოფითი როლი ამ პროცესში შეასრულა ტერმინმა „კონსტიტუცია“, ვინაიდან იგი სახელმწიფოსთან ასოცირდებოდა და, შესაბამისად, მისი ძალაში შესვლა ევროკავშირის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად გადაქცევას დაუკავშირდა. ამ სიახლისთვის ზოგიერთი წევრი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მზად არ აღმოჩნდა.

ლისაბონის შეთანხმება

ე.წ. „რეფორმის ხელშეკრულებას“, რომლის სრული სახელწოდებაა „ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 2007 წლის 13 დეკემბერს ხელი მოეწერა ლისაბონში (პორტუგალია) და იგი ძალა- ში 2009 წლის 1 დეკემბერს შევიდა. ხელშეკრულება შინაარსობრივად საკონსტიტუციო ხელშეკრულების ტექსტს შეესაბამება, თუმცა არ ჩაიდო ისეთი ცნებები, რომლებიც, როგორც წესი, სახელმწიფოსთან ასოცირდებოდა, მაგალითად: კონ- სტიტუცია, დროშა, ჰიმნი, ევროპული კანონი და ა.შ.

ხელშეკრულების საფუძველზე ევროკავშირს სამართალსუბიექტობა მიენიჭა. გარდა ამისა, იგი, ძირითადად, ითვალისწინებდა ცვლილებებს ევროკავშირის ინსტიტუციურ სისტემასთან მიმართებაში.

აღნიშნული ხელშეკრულების მიზანი იყო ევროკავშირისათვის უფრო ძლიერი, ერთიანი მმართველობის შექმნა, ეფექტიანი საგარეო პოლიტიკისა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის გადაწყვეტილების მიღების შედარებით მარტივი სისტემის ჩამოყალიბება.

ლისაბონის შეთანხმების მიხედვით, შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტისა და ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის თანამდებობები.

ლისაბონის ხელშეკრულება მიზნად ისახავდა გადაწყვეტილებების მიღების გაადვილებას ევროკავშირის დონეზე, რაც მისი წევრი ქვეყნების სიმრავლესთან ერთად, დროთა განმავლობაში სულ უფრო რთულდებოდა. ამ მიზნით, ახალი ხელშეკრულება ვეტოს უფლების შემცირებას ითვალისწინებდა, სამაგიეროდ, ზრდიდა ევროპარლამენტისა და ეროვნული პარლამენტების უფლებებს. ცვლილებები შევიდა ხმის მიცემის პროცედურებში: 45-ზე მეტ სფეროში ერთსულოვნების პრინციპი შეიცვალა კვალიფიციური უმრავლესობის პრინციპით.

ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოს მიერ თანაგადაწყვეტილების პროცედურა გავრცელდა პირველი სვეტის (მდგენელის) 83 სფეროზე და გადაწყვეტილების მიღების ამ ფორმას ევროკავშირის ნორმატიული აქტების მიღებისას ჩვეულებრივი პროცედურა (Ordinary procedure) ეწოდა.

სხვა სიახლეებთან ერთად, ლისაბონის შეთანხმება ევროპელ მოქალაქეებს საკანონმდებლო ინიციატივის (European Citizens' Initiative) უფლებასაც ანიჭებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირის მილიონ მოქალაქეს, რომლებიც წარმოადგენენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების ერთ მეოთხედს, უფლება აქვთ, პირდაპირ მოუწოდონ ევროკომისიას კანონმდებლობის ინიცირებისკენ იმ სფეროებთან მიმართებაში, რომლებზეც წევრ ქვეყნებს კომპეტენცია ევროკავშირისთვის აქვთ გადაცემული.

ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის დატოვების უფლებას აძლევს ყველა იმ ქვეყანას, რომელსაც ამის სურვილი ექნება.

ევროკავშირში გაწევრიანების კრიტერიუმები
(კოპენჰაგენის კრიტერიუმები) და პროცედურა

ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლის I პუნქტის მიხედვით, ევროპულ კავშირში გაწევრიანების შესახებ განაცხადის შეტანა შეუძლიათ იმ ევროპულ სახელმწიფოებს, რომლებიც პატივს სცემენ ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლში ჩამოთვლილ ღირებულებებს და მხარს უჭერენ მათ. აღნიშნული მუხლის დებულება

მოიცავს ევროპულ კავშირში გაწევრიანების როგორც გეოგრაფიულ, ასევე პოლიტიკურ კრიტერიუმებს.

1993 წლის ივნისში ევროპულმა საბჭომ კოპენჰაგენის (დანია) სამიტზე აღიარა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უფლება, შეუერთ- დნენ ევროპის კავშირს, თუ დააკმაყოფილებენ შემდეგ სამ კრიტერიუმს:

- პოლიტიკური _ აქვს სტაბილური ინსტიტუტები, რომლებიც დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე აგებენ პასუხს;
- ეკონომიკური _ აქვს მოქმედი ეკონომიკური ბაზარი და ძალუძს, თავი გაართვას კონკურენტულ წნეხსა და საბაზრო ფასებს ევროკავშირის შიგნით.
- სამართლებრივი _ იღებს ევროკავშირში დაწესებულ კანონებსა და პრაქტი- კას, კონკრეტულად კი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ძირითად მიზნებს.

კოპენჰაგენის კრიტერიუმს მიეკუთვნება, აგრეთვე, ევროკავშირის ე.წ. „მონაპოვრის“ (Acquis Communautaire) განხორციელება, რაც ნიშნავს იმას, რომ გაწევრიანების შემდეგ ევროკავშირის მთელი სამართალი ახალ სახელმწიფოებშიც გამოიყენება. ევროკავშირის სამართლის სისტემა, გარდა ხელშეკრულებებისა და მეორადი სამართლისა, ასევე ეყრდნობა განცხადებების, პრაქტიკისა და გადაწყვეტილებების ერთობლიობას, რაც მთლიანობაში არის ევროკავშირის „მონაპოვარი“.

ევროკავშირში მიღების პროცესს მრავალი საფეხური აქვს და ყველა მათგანი სანქცირებული უნდა იყოს ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის მიერ. თავდაპირველად გაწევრიანების მსურველი სახელმწიფო ოფიციალურად მიმართავს განცხადებით ევროკავშირის საბჭოს, რის შემდეგაც ხდება ევროპული და ეროვნული პარლამენტების ინფორმირება აღნიშნულის შესახებ. საბჭო მოუწოდებს ევროპულ კომისიას, შეიმუშაოს დასკვნა გაწევრიანების შესახებ განცხადების თაობაზე. მას შემდეგ, რაც კომისია შეისწავლის ქვეყნის პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ მდგომარეობას, მიღებულ დასკვნას უგზავნის საბჭოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე; დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, იხსნება გადაწყვეტილების შესახებ მოლაპარაკებები. მოლაპარაკებების ფორმალურად დასრულების შემდეგ საჭიროა ევროპარლამენტის ფორმალური თანხმობა. როდესაც განხილვა და თანმდევი რეფორმები წარმატებით დასრულდება, კანდიდატი ქვეყნის ევროპულ კავშირში გაწევრიანების შესახებ გადაწყვეტილება საბჭომ ერთხმად უნდა მიიღოს. პროცესი დასრულებულად მიიჩნევა, როდესაც გაწევრიანების შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირებას მოახდენს ჯერ კანდი- დატი, ხოლო შემდეგ ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო.

ევროპული კავშირიდან გასვლა

ევროპული კავშირის სამართალი ლისაბონის ხელშეკრულებამდე არ ითვალისწინებდა წევრი სახელმწიფოს მიერ ევროპული კავშირის დატოვების საკითხს, თუმცა, თეორიულად, ასეთი შესაძლებლობა საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძველზე მაინც არსებობდა. კერძოდ, წევრ სახელმწიფოს შეეძლო, ევროპული გაერთიანება დაეტოვებინა გარემოებათა შეცვლის საფუძველზე. ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის კავშირიდან წევრი სახელმწიფოს გასვლა, თავისი საკონსტიტუციო მოთხოვნის შესაბამისად, რეგულირდება ხელშეკრულების 50-ე მუხლით.

ევროპის კავშირიდან გასვლის მსურველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა გაიაროს შემდეგი პროცედურები: გადაწყვეტილების შესახებ შეატყობინოს ევროპულ საბჭოს, თუმცა არ არის ვალდებული, გადაწყვეტილება დაასაბუთოს. ამის შემდგომ ევროპული კავშირი, ევროპული საბჭოს სახელმძღვანელო მითითე- ბების გათვალისწინებით, მოლაპარაკებებს გამართავს ევროპული კავშირიდან გასვლის მსურველ სახელმწიფოსთან, შეთანხმების დადების შესახებ, რომლის შედეგადაც უნდა დარეგულირდეს ყველა მნიშვნელოვანი დეტალი და დაისახოს სამომავლო თანამშრომლობის ჩარჩო. გასვლის მსურველ წევრ სახელმწიფოსთან შეთანხმებას დებს საბჭო, რომელიც მოქმედებს ევროპული კავშირის სახელით. გადაწყვეტილება მიიღება კვალიფიციური უმრავლესობით, თუმცა მანამდე აუცილებელია აღნიშნულ საკითხზე ევროპული პარლამენტის თანხმობა. წევრი სახელმწიფო ევროპული კავშირიდან გასულად მიიჩნევა გასვლის შესახებ შეთანხმების ძალაში შესვლის დღიდან. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმების დადება ვერ მოხერხდა, ევროპული საბჭოსთვის გასვლის შესახებ სურვილის შეტყობინებიდან 2 წლის შემდეგ წევრი სახელმწიფო ავტომატურად ტოვებს ევროპულ კავშირს (თუმცა ამ ორწლიანი ვადის გაგრძელება ევროპულ საბჭოს შეუძლია ევროკავშირის დატოვების მსურველი სახელმწიფოს თანხმობის შემთხვევაში). ორწლიანი ვადის დაწესება მიუთითებს იმაზე, რომ, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, დატოვოს კავშირი, ევროპულ კავშირს გადაწყვეტილების დაბლოკვის უფლება არ აქვს.

თავი 5.

ევროპის ერთიანი ბაზარი და მისი ეკონომიკური ანალიზი

ისტორიული რაკურსი:

საერთო ბაზრის იდეა წარმოიშვა რომის ხელშეკრულების დროს. მაშინ საუბარი იყო ოთხი თავისუფლების მოძრაობაზე, კანონმდებლობის დაახლოებაზე და კონკურენციის საერთო პირობების შექმნაზე. თუმცა, ევროგაერთიანების თავდაპირველი მიზანი იყო საბაჟო კავშირის დამყარება და არა საერთო ბაზრის შექმნა, რადგან 1950-იან წლებში წევრი სახელმწიფოები არ იყვნენ დაინტერესებულნი ვაჭრობისთვის ხელისშემშლელი ტექნიკური ბარიერების მოშორებით და უფრო მეტად აინტერესებდათ ტარიფების შემცირების და გაუქმების საკითხი. მას შემდეგ, რაც სავაჭრო ბარიერები შემცირდა, მოხდა სხვა სახის ბარიერების აღმოცენება და, უფრო მეტიც, მათი გაძლიერება. ძირითადად ხდებოდა პროდუქციის, უსაფრთხოების და პროცესის სტანდარტებით მანიპულირება, რაც უფრო მეტად ართულებდა ევროგაერთიანების ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას, ვიდრე სავაჭრო ბარიერების არსებობა.

ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპები

თავისუფალი ვაჭრობის ზონა — არ არსებობს ხილული შეზღუდვები ვაჭრობაზე;

საბაჟო კავშირი — თავისუფალ სავაჭრო ზონას დამატებული საერთო საგარეო სავაჭრო ტარიფი;

შიდა ნაწარმის ბაზარი — საბაჟო კავშირს დამატებული საქონლის თავისუფალი გადაადგილება;

საერთო ბაზარი — შიდა ნაწარმის ბაზარს დამატებული მომსახურების, კაპიტალის და მუშახელის თავისუფალი გადაადგილება;

სავალუტო კავშირი — საერთო ბაზარს პლუს საერთო ვალუტა;

ეკონომიკური კავშირი — სავალუტო კავშირს პლუს საერთო ეკონომიკური პოლიტიკა.

ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაცია ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან:

ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაცია იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო საერთო ბაზრის იდეის წარმოშობას და განხორციელებას. სულ თავიდან მოქმედებდა დირექტივები, რომელიც წევრ სახელმწიფოებს უტოვებდა ლავირების საშუალებას. თავდაპირველად ჰარმონიზაცია განიხილებოდა ევროკომისიის მიერ, როგორც ინტეგრაციისათვის აუცილებელი წინაპირობა, თუმცა 1970-იანი წლებიდან, კონკრეტულად კი — პირველი გაფართოების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ

უფრო მიზანშეწონილი იყო ზოგიერთ სფეროში ჰარმონიზაციის დაჩქარება, და არა ყველა სფეროში თანაბარი პროგრესი.

კომისიამ საერთო ბაზრის შექმნის პროცესი დაიწყო 1973 წელს ე.წ. დაბალი ვოლტის დირექტივით, თუმცა ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ ეს არ იყო საკმარისი. საბჭო ხშირად ეწინააღმდეგებოდა კომისიას, მით უმეტეს, რომ საერთო ბაზართან დაკავშირებული კანონპროექტების მისაღებად აუცილებელი იყო კონსენსუსი წევრ სახელმწიფოებს შორის, რაც პრაქტიკულად აუქმებდა ამ სფეროში სწრაფი ნაბიჯების გადადგმის შანსს.

საერთო ბაზრის შექმნის მხრივ 70-იან წლებში გააქტიურდა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო. 1974 წელს სასამართლომ მიიღო დაშონვილის გადაწყვეტილება, რომელმაც შექმნა იურიდიული პრეცედენტი და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ყველა ის ეროვნული კანონი, რომელიც დააწესებდა ახალ არასატარიფო ბარიერს. მნიშვნელოვანი იყო ასევე კასის დე დიჟონის საქმე, რომელშიც გადაწყდა, რომ ერთი ქვეყნის ბაზარს აუცილებლად უნდა მიეღო სხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი.

გავიხსენოთ სახელმწიფოთაშორისი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპები: თავისუფალი ვაჭრობის ზონა — არ არსებობს ხილული შეზღუდვები ვაჭრობაზე; საბაჟო კავშირი — თავისუფალ სავაჭრო ზონას დამატებული საერთო საგარეო სავაჭრო ტარიფი; შიდა ნაწარმის ბაზარი — საბაჟო კავშირს დამატებული საქონლის თავისუფალი გადაადგილება; საერთო ბაზარი — შიდა ნაწარმის ბაზარს დამატებული მომსახურების, კაპიტალის და მუშახელის თავისუფალი გადაადგილება; სავალუტო კავშირი — საერთო ბაზარს პლუს საერთო ვალუტა; ეკონომიკური კავშირი — სავალუტო კავშირს პლუს საერთო ეკონომიკური პოლიტიკა.

საერთო ბაზრის იდეა წარმოიშვა რომის ხელშეკრულების დროს. მაშინ საუბარი იყო ოთხი თავისუფლების მოძრაობაზე, კანონმდებლობის დაახლოებაზე და კონკურენციის საერთო პირობების შექმნაზე. თუმცა, ევროგაერთიანების თავდაპირველი მიზანი იყო საბაჟო კავშირის დამყარება და არა საერთო ბაზრის შექმნა, რადგან 1950-იან წლებში წევრი სახელმწიფოები არ იყვნენ დაინტერესებულნი ვაჭრობისთვის ხელისშემშლელი ტექნიკური ბარიერების მოშორებით და უფრო მეტად აინტერესებდათ ტარიფების შემცირების და გაუქმების საკითხი. მას შემდეგ, რაც სავაჭრო ბარიერები შემცირდა, მოხდა სხვა სახის ბარიერების აღმოცენება და, უფრო მეტიც, მათი გაძლიერება. ძირითადად ხდებოდა პროდუქციის, უსაფრთხოების და პროცესის სტანდარტებით მანიპულირება, რაც უფრო მეტად ართულებდა ევროგაერთიანების ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას, ვიდრე სავაჭრო ბარიერების არსებობა.

საერთო ბაზრის მიმართ თავდაპირველად დამოკიდებულება სახვადასხვაგვარი იყო. მაგალითად, გერმანელი მრეწველები მიიჩნევდნენ, რომ საერთო ბაზრის შექმნის შედეგად

მათ შესაძლებლობა მიეცემოდათ გასულიყვნენ უფრო ფართო ევროპულ ბაზარზე, ხოლო ფრანგებს ეშინოდათ, რომ გერმანული პროდუქცია წალეკავდა ფრანგულ ბაზარს.

ისტორიული რაკურსი:

ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაცია ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან:

ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაცია იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო საერთო ბაზრის იდეის წარმოშობას და განხორციელებას. სულ თავიდან მოქმედებდა დირექტივები, რომელიც წევრ სახელმწიფოებს უტოვებდა ლავირების საშუალებას. თავდაპირველად ჰარმონიზაცია განიხილებოდა ევროკომისიის მიერ, როგორც ინტეგრაციისათვის აუცილებელი წინაპირობა, თუმცა 1970-იანი წლებიდან, კონკრეტულად კი — პირველი გაფართოების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ უფრო მიზანშეწონილი იყო ზოგიერთ სფეროში ჰარმონიზაციის დაჩქარება, და არა ყველა სფეროში თანაბარი პროგრესი.

კომისიამ საერთო ბაზრის შექმნის პროცესი დაიწყო 1973 წელს ე.წ. დაბალი ვოლტის დირექტივით, თუმცა ძალიან მალე ნათელი გახდა, რომ ეს არ იყო საკმარისი. საბჭო ხშირად ეწინააღდმეგებოდა კომისიას, მით უმეტეს, რომ საერთო ბაზართან დაკავშირებული კანონპროექტების მისაღებად აუცილებელი იყო კონსენსუსი წევრ სახელმწიფოებს შორის, რაც პრაქტიკულად აუქმებდა ამ სფეროში სწრაფი ნაბიჯების გადადგმის შანსს.

საერთო ბაზრის შექმნის მხრივ 70-იან წლებში გააქტიურდა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო. 1974 წელს სასამართლომ მიიღო დაშონვილის გადაწყვეტილება, რომელმაც შექმნა იურიდიული პრეცედენტი და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ყველა ის ეროვნული კანონი, რომელიც დააწესებდა ახალ არასატარიფო ბარიერს. მნიშვნელოვანი იყო ასევე კასის დე დიჟონის საქმე, რომელშიც გადაწყდა, რომ ერთი ქვეყნის ბაზარს აუცილებლად უნდა მიეღო სხვა ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი.

რეფორმის საჭიროება

ქვეყნებმა მალე აუღეს ალღო ჰარმონიზაციით ნაკარნახევ გამოწვევებს და დაიწყეს სხვადასხვა ეკონომიკური რეგულაციების და არასატარიფო ბარიერების პრაქტიკის გამოყენება, რათა შეენარჩუნებინათ ეროვნული წარმოება და არაპირდაპირი გზით მიენიჭებინათ უპირატესობა ეროვნული კომპანიებისათვის. ამან გამოიწვია სასამართლოში წარმოებული საქმეების რაოდენობის სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით კი საქონელის თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისი სახეზე იყო, ევროგაერთიანებების წევრებმა არ უპასუხეს მას დროულად, რადგან ამჯობინეს თავადაც დაეწესებინათ სხვადასხვა ტიპის ბარიერები და შეგუებოდნენ სიტუაციას. 1980-

იანების დასაწყისში ევროპული საბჭოს კომუნიკეებმა ნათელი გახადეს, რომ ერთიანი ბაზრის სიტუაცია ძალიან ცუდი იყო.

1980-იან წლებში ქვეყნების დამოკიდებულება არასატარიფო ბარიერების მიმართ რადიკალურად შეიცვალა. თავაპირველად, კომისიამ მისცა რეკომენდაცია ევროპულ საბჭოს, რომელმაც შექმნა შიდა ბაზრის საბჭო, რომელიც რეგულარულად უნდა შეკრებილიყო. წევრი სახელმწიფოების მთავრობებში შეიცვალა დამოკიდებულება და უფრო ლიბერალური გახდა. მაგალითად, საფრანგეთში მიხვდნენ, რომ სავაჭრო დეფიციტი ჰქონდათ გერმანიასთან, შესაბამისად, დეფიციტის გამოსასწორებლად აუცილებელი იყო ბაზრის კიდევ უფრო ლიბერალიზაცია. სახელმწიფოებში ამ საკითხების მიმართ პოზიციების ცვლილება მნიშვნელოვნად განაპირობა კასის დე დიჟონის საქმემ, რომელშიც ნათქვამი იქნა, რომ წევრი სახელმწიფოების პროდუქციის ორმხრივი აღიარება სავალდებულო იყო. ეს ნიშნავდა, რომ ერთ სახელმწიფოში ნაწარმოები პროდუქტი უნდა გაყიდულიყო მეორე სახელმწიფოშიც.

ორმხრივი აღიარება (*Mutual recognition*), როგორც პრინციპი, აქტუალური გახდა მხოლოდ კასის დე დიჟონის შემდეგ. 1985 წლამდე საფრანგეთი, გერმანია და სხვა ქვეყნები არ მოქმედებდნენ ამ პრინციპის მიხედვით, თუმცა კასის დე დიჟონის შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოეყვანათ ეროვნული კანონმდებლობა. რომის ხელშეკრულების გაფორმების დროს მიზნად იყო დასახული ერთიანი ბაზრის შექმნა (common market). ამ მიზანს განაპირობებდა ორი მიზეზის არსებობა:

(1) პროტექციონიზმის თავიდან აცილება, რათა არ მომხდარიყო უკან დაბრუნება პროტექციონისტური ტრადიციებისადმი, რამაც გაანადგურა ევროპის ეკონომიკა 1950-იან წლებამდე. აქვე ქვეყნები აანალიზებდნენ, რომ პროტექციონისტური პრაქტიკის გამოყენება ნიშნავდა შეჯიბრებას წევრ-სახელმწიფოებს შორის და ბაზრის პრინციპების შეუსაბამოდ ეკონომიკურ განვითარებას;

(2) ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ისეთი დიდი ევროპული ბაზრის შექმნით, რომელიც შეეწინააღმდეგებოდა და კონკურენციას გაუწევდა ამერიკულ ბაზარს.

რეაქციები თავდაპირველად შემოთავაზებული საერთო ბაზრის შესახებ არაერთგვაროვანი იყო. მაგალითად, გერმანელი სამრეწველო ძალები მიიჩნევდნენ, რომ საერთო ბაზრის შექმნის შედეგად ისინი გავიდოდნენ ევროპულ ბაზარზე, ხოლო ფრანგებს ეშინოდათ, რადგან მიაჩნდათ, რომ გერმანული პროდუქცია წალეკავდა ფრანგულ ბაზარს. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის პოლიტიკური ელიტა წავიდა ამ რისკზე, მით უმეტეს, რომ მოახერხა სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკის გატანა გაერთიანების დონეზე.

1960-იანი წლები და საერთო ბაზარი

1980-იან წლებში გამოითქვა შეშფოთება იმის გამო, რომ ევროკავშირის ექვსი დამფუძნებელი წევრის მიერ 15 წლის წინათ შიდა ვაჭრობაზე არსებული გადასახადებისა და შეზღუდვების გაუქმების მიუხედავად, გაერთიანებას ჯერ კიდევ დიდი პრობლემები ჰქონდა „საერთო ბაზრად ჩამოყალიბებისთვის". საზღვრების ფორმალური პროცედურები აფერხებდა ერთი წევრი ქვეყნიდან მეორეში საქონლის ტრანსპორტირებას და ზრდიდა მის ღირებულებას.

ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო ევროკავშირის მოქალაქეებისათვის სხვა წევრ–ქვეყანაში მათი დასაქმება, მიუხედავად რომის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული თავისუფალი გადაადგილებისა; დაზღვევის მომსახურების დარგი ვერ ფუნქციონირებდა გაერთიანების მასშტაბით; განსხვავებული არაპირდაპირი საგადასახადო ტარიფები ხელს უშლიდა გაერთიანების შიდა ვაჭრობას; საზოგადოებრივი მიწოდების კონტრაქტებში ეროვნული მიმწოდებლებს ანიჭებდნენ უპირატესობას და არ ხდებოდა მათი გამოტანა ღია ტენდერზე. ზოგიერთი გაანგარიშებით ამგვარი ბარიერები გაერთიანების თითოეული დასაქმებულზე იწვევდა დანაკარგს ერთი კვირის საშუალო ხელფასის ეკვივალენტური თანხის ოდენობით. ევროგაერთიანება ვერ ახერხებდა იმ ოდენობის მოგების მიღებას, რისი მოცემაც შეეძლო 321 მლნ ადამიანისგან შემდგარ ერთიან ბაზარს (1986 წელს პორტუგალიის და ესპანეთის გაწევრიანების შემდეგ) მის ძირითად კონკურენტებთან, აშშ-სა და იაპონიასთან შედარებით.

ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბების პრობლემა მუდმივად განიხილებოდა ევროსაბჭოს სხდომებზე 1982-85 წლებში. მიუხედავად იმისა, რომ სხდომებზე მთავრობათა მეთაურები პირობას დებდნენ შიდა ბაზრის სრულყოფის თაობაზე, დიდი შედეგები არ მოჰყოლია ამ დაპირებებს. მინისტრთა საბჭოში დაგროვდა ევროკომისიაში შემოტანილი დირექტივებისა და კანონპროექტების მთელი გროვა, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილების მიღება ხშირად ფერხდებოდა მხოლოდ ერთი წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგობის ან ორჭოფობის გამო. 1985 წელს ევროსაბჭოს სხდომებზე გადაწყდა კომისიისათვის ინსტრუქციების მიცემა, რომლითაც დაევალა 1992 წლისათვის ერთიანი ბაზრის სრულქმნის დეტალური პროგრამის და კონკრეტული განრიგის შემუშავება. გადაწყდა მთავრობათაშორისი კონფერენციის მოწვევა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განიხილავდა რომის ხელშეკრულებაში შესწორებების შეტანას, რაც ითვალისწინებდა ხმათა კვალიფიციური უმრავლესობის გამოყენებას შიდა ბაზართან დაკავშირებული ისეთი საკითხების განხილვისას, რომლებიც ადრე საჭიროებდნენ გადაწყვეტილების ერთხმად მიღებას. ამ ინიციატივამ საფუძველი დაუდო საგანგებო ერთიან (საერთო) ევროპულ აქტს, რომელიც ძალაში 1987 წლის 1 ივლისს შევიდა.

საერთო ბაზრის შექმნასთან დაკავშირებული მცირე პროგრესიდან გამომდინარე, ნეოფუნქციონალისტები ვერ იზეიმებდნენ მათი თეორიის სიძლიერეს (რომელიც ამტკიცებს, რომ ეკონომიკის ერთ სფეროში დაწყებული ინტეგრაცია იწვევს ინტეგრაციის "გადაღვრას"

სხვა სფეროში და ასე შემდეგ, სანამ არ მოხდება ეკონომიკური ინტეგრაციიდან პოლიტიკურ ინტეგრაციაში “გადაღვრა”), რადგან ამ პერიოდში პოლიტიკური ელიტების და წევრი-სახელმწიფოების მთავრობების როლი ევროგაერთიანების საქმეებში ძალიან დიდი იყო, ხოლო მათზე ინტერესთა ჯგუფების გავლენა - ცოტა. მიუხედავად ამისა, 60-იან წლებში დაიწყო ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. 1960 წელს მინისტრთა საბჭოზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაეუქმებინათ შიდა ტარიფები და კვოტები და შემოეღოთ საერთო საგარეო ტარიფი. რომის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ტარიფების ეტაპობრივი შემცირება, რაც მთლიანად შემცირებას მოახდენდა 8 წელიწადში. როგორც ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, როდესაც რომის ხელშეკრულება დაიდო, კომპანიებმა ისე დაიწყეს მოქმედება და ბიზნესის წარმოება, ვითომ ტარიფები აღარ არსებობდა და რომის ხელშეკრულება უკვე ძალაში იყო შესული. კომპანიებმა დაიწყეს სხვა კომპანიების შეძენა სხვა ქვეყნებში, გაფართოება და ასე შემდეგ. ამგვარად, ნეოფუნქციონალისტების იდეა გამართლდა. 1960 წლის ხელშეკრულებამ დააჩქარა გადაწყვეტილების მიღება საერთო ბაზრის დასრულების შესახებ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ბაზრის დასრულება დაკავშირებული იყო საერთო აგრარულ პოლიტიკასთან და მის წარმატებასთან. ამ დროს ინსტრუმენტალური იყო კომისიის გაზრდილი როლი. როგორც ნეოფუნქციონალისტები ამტკიცებდნენ უმაღლესი ავტორიტეტი, ამ შემთხვევაში კომისია, მოქმედებდა ინტეგრაციის დასაწინაურებლად და გასაღრმავებლად.

1970-იანი წლები და საერთო ბაზარი

1965 წლის ცარიელი სკამის კრიზისმა და გოლიზმის პოლიტიკამ შეაჩერა საერთო ბაზრის მიღწევის იდეა 60-იან წლებში, თუმცა დე გოლი არ ეწინააღმდეგებოდა საბაჟო კავშირს, რომელიც დასრულდა 1968 წლისთვის. მას შემდეგ რაც პომპიდუ მოვიდა ხელისუფლებაში ერთიანი ბაზრის შექმნისათვის საჭირო მომენტი დაიკარგა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო 50-იან და 60-იან წლებში არსებული ეკონომიკური ზრდის შემცირებით და 70-იანი წლების ეკონომიკური დეპრესიის და ნავთობკრიზისით. ამის გამო, 70-იან წლებში გაიზარდა პროტექციონისტული ეკონომიკის ელემენტები და ე.წ. მოკლევადიანი პოლიტიკა. ამ დროს მოდური გახდა არასატარიფო ბარიერები, კერძოდ კი მრეწველობის დარგებისთვის სახელმწიფო დახმარების გაწევა და ისეთი უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავება რაც ზღუდავდა უცხოური კონკურენტების შესვლას ბაზარზე. ამ დროს კომისიამ ბევრჯერ შეიტანა საქმე წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ სასამართლოში, თუმცა ყველა შემთხვევაში წევრები აჭიანურებდნენ სასჯელის აღსრულებას და ახალ გზებს ეძებდნენ თავიანთი გადაწყვეტილებების ბოლომდე გასატანად.

საერთო ევროპული აქტი, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება და 1992 წლის პროექტი:

საერთო ბაზარი და საერთო ევროპული აქტი, რომელიც გაერთიანებაში 1985 წელს მიიღეს ითვლება ევროპულ ინტეგრაციაში მნიშვნელოვან მომენტად, რადგან ამ დროიდან ევროგაერთიანებაში იწყება საერთო ბაზარის ამოქმედება. საერთო ბაზრის შესახებ საუბარი დაიწყო ჯერ კიდევ 1960-იან წლებში, თუმცა 1970-იან წლებში მის შესახებ საუბრები შეწყდა, რისი მიზეზიც იყო ეკონომიკური რეცესია. 1980-იან წლებში შემუშავებული იქნა თეთრი წიგნი (1985 წელს), ხოლო შემდეგ კი საერთო ბაზრს შექმნის იდეა გააქტიურდა დელორის კომისიის მოღვაწეობის შედეგად. დელორის კომისიამ 1985 წელს შეიმუშავა თეთრი წიგნი, რომელიც მიზნად ისახავდა საერთო ბაზარის დასრულებას 1992 წლისთვის.

მართლაც, ამ დროისთვის დაგეგმილი ღონისძიებების უმრავლესობა შესრულდა. 1984 წლის ფონტენბლუს სამიტიდან იწყება ახალი ეპოქა, რადგან ამ ევროპულ საბჭოზე გადაიჭრა ორი მნიშვნელოვანი საკითხი - ბრიტანეთის შენატანები გაერთიანების ბიუჯეტში და ევროგაერთიანების სტრუქტურის განახლება და გადაწყვეტილების მიღების ახალი მეთოდების შემუშავება, ისევე როგორც ინსტიტუციონალური განახლება. ამ დროიდან, შეიძლება ითქვას, რომ დასრულდა უმოძრაობის, ანუ ***immobilisme***-ის პოლიტიკა.

1985 წელს ახალი კომისია მოვიდა ჟაკ დელორის ხელმძღვანელობით, ხოლო 1985 წელს ლორდ კოკფილდმა, რომელიც იყო ვაჭრობის და მრეწველობის კომისარი ბრიტანეთიდან, წარმოადგინა თეთრი წიგნი, რომელიც ქადაგებდა ბაზრის გათავისუფლებას არასატარიფო ბარიერებისგან. აქ მოხსენიებული იყო დაახლოებით 300-მდე ცალკეული ღონისძიება, რომელიც უნდა განხორციელებულიყო საერთო ბაზრის მისაღწევად; მათ შორის იყო ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა ტექნიკური სტანდარტების ჰარმონიზაცია, შესყიდვების სისტემის გაღება შიდაევრპული კონკურენციისთვის, კაპიტალის გადაადგილების გათავისუფლება, ბარიერების მოხსნა მომსახურების გადაადგილების დროს, არაპირდაპირი დაბეგვრის ჰარმონიზაცია და ასე შემდეგ.

1985 წლის მილანის სამიტზე ევროპულმა საბჭომ მოიწონა კომისიის მიერ შემოთავაზებული იდეა და მიზნად დაისახა თეთრი წიგნის განხორციელება 1992 წლისთვის. ამასთან გადაწყდა, რომ მოწვეულიყო სამთავრობო კონფერენცია, რომელიც მოიფიქრებდა, თუ როგორ მიესადაგებინათ გადაწყვეტილების მიღების ახალი წესები გათავისუფლებული ბაზრისთვის. ამის შედეგად მიღებული იქნა ერთიანი ევროპული აქტი, რომელიც 1985 წლის დეკემბერში იქნა დამტკიცებული ევროპული საბჭოს მიერ, და რომელიც ძალაში შევიდა 1987 წელს. ამის შედეგად მინისტრთა საბჭოში შემოღებული იქნა კვალიფიცირებული უმრავლესობის წესით კენჭისყრა, მაგრამ მხოლოდ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა თავისუფალი ბაზარის შემოღებას. აქ ბრიტანელების პროტესტის გამო ამოღებული იქნა ისეთი საკითხები, როგორიცაა არაპირდაპირი გადასახადების ჰარმონიზაცია და საზღვარზე ფიზიკური წინააღმდეგობის მოშორება.

საერთო ევროპული აქტის მნიშვნელობა:

- სეა-მ ერთ პაკეტში მოაქცია და ერთმანეთთან დააკავშირა ინსტიტუციონალური ცვლილებები და პოლიტიკის მიზნები.
- საერთო ბაზრისაკენ წინსვლა უფრო მეტ საკითხს და პოლიტიკის სფეროს მოიცავდა; კერძოდ — ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა რედისტრიბუციული პოლიტიკა, გაფართოება და საბიუჯეტო საკითხები.

1992 წლის პროგრამის წარმოდგენის შემდეგ, რომელიც შედგენილ იქნა ლორდ კოკფილდის, ხოლო მომზადებული ნარიესის მიერ, ბევრი ცვლილება მოხდა: კომისიამ უფრო მალე დაიწყო დირექტივების გამოშვება, შიდა ბაზრის საბჭო უფრო აქტიურად და სწრაფად იკრიბებოდა, კვალიციფირებული უმრავლესობით ხმის მიცემა უფრო ხშირიიყო. ასევე გახშირდა ცალკეული ქვყენების იზოლირება, რაც იმას ნიშნავდა, რომ თუ რომელიმე ქვეყანა არ ასრულებდა მასზე ადკისრებულ ვალდებულებებს, მას აკრიტიკებდნენ ყველა ერთად, კომისიით დაწყებული და სხვა წევრი სახელმწიფოებით დასრულებული (გერმანია და კაბოტაჟის საქმე).

1992 წელს გამოქვეყნდა ჩეკინის მოხსენება, - “The cost of non Europe”, სადაც გამოთვლილი იქნა, რომ მთლიანი ინტეგრაციის შედეგად მიღებული მოგება შეადგენდა მთლიანი შიდა პროდუქტის 4-4.5 პროცენტით მეტს ვიდრე მანამდე არსებული სიტუაციისას მიღებული მოგება.

ვინ წააგო და ვინ მოიგო შიდა ბაზრის შექმნით?

ძნელია იმის თქმა, თუ ვის, რომელი სექტორის, ან სახელმწიფოს ხარჯზე მოხდა შიდა ბაზრის წარმატებით დასრულება და თუ ვინ დარჩა მოგებული და დამარცხებული 1992 წლის პროგრამის შესრულების შემდეგ, რადგან ამ საკითხის შესახებ ბევრი გამოკვლევა არ არსებობს. 1996 წელს ევროკომისიამ ჩაატარა გამოკვლევა, სადაც ნათქვამი იყო, რომ 1987-93 წლებში იმ რეგიონებმა ნახეს ყველაზე მეტი ეკონომიკური მოგება საერთო ბაზრის შექმნის შედეგად, რომლებიც ევროგაერთიანებების სტრუქტურული ფონდების პირველ მიზანში იმყოფებოდნენ. ამავე გამოკვლევაში ასევე ნათქვამი იყო, რომ ამ რეგიონების ეკონომიკური ზრდის პირდაპირი დაკავშირება თავისუფალი ბაზრის შექმნასთან ვერ მოხერხდა, რადგან საკითხი ძალიან კომპლექსური იყო და უფრო ღრმა გამოკვლევას საჭიროებდა. მეორე მხრივ, შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ ყველაზე დიდი მოგება საერთო ბაზრის შექმნისგან მიიღო მყიდველმა, რომელსაც გაუფართოვდა არჩევანის საშუალება; გარდა ამისა, გაიაფდა ზოგიერთი პროდუქტი, რაც გამოიწვია მიწოდების დივერსიფიკაციამ და ჯანსაღი საბაზრო კონკურენციის დამკვიდრებამ. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ბაზრის შექმნას მოჰყვა სამუშაო ადგილების დაკარგვა და ზოგიერთი ეროვნული პროდუქტის ბაზრიდან გამოძევება.

რამ გამოიწვია 1992 წლის პროგრამის აღმოცენება?

სტრუქტურული ფაქტორები: 80-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა იმის სერიოზული საფრთხე, რომ ევროპა სამუდამოდ აღმოჩნდებოდა დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატების და იაპონიის ტექნოლოგიებზე. სწორედ ამ დროს პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა წარმოადგინა წინადადება შეექმნათ ინიციატივა EUღEKA, რომელიც ითვალისწინებდა თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას. მაგრამ ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მრეწველებს უფრო მეტად აღარდებდათ საერთო ბაზრის არარსებობა და ის არაპირდაპირი ზეწოლის მექანიზმები, რომლებიც იცავდა სახელმწიფოების შიდა ბაზრებს სხვა ქვეყნების პროდუქციისაგან. დღის წესრიგში დადგა მოკლევადიანი პერსპექტივების გადახედვა, ანუ ე.წ. სჰორტტერმისმ-ის აღმოფხვრა და უფრო გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება.

სუპრაეროვნული აქტორების როლი: კომისიის როლი საერთო ბაზრის ინტეგრაციის პროცესში მართლაც აღსანიშნავი და შესანიშნავი იყო. განსაკუთრებული როლი ამ პროცესებში ითამაშა ჟაკ დელორმა და მისმა პაკეტმა. სტენლი ჰოფმანიც კი, რომელიც ცნობილია, როგორც ინტერგოვერნმენტალიზმის უპირველესი ადვოკატი, აღიარებდა, რომ ჟაკ დელორმა დიდი როლი შეასრულა საერთო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში. ამავე დროს მნიშვნელოვანი იყო სუპრაეროვნული ბიზნესების როლი საერთო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში, რადგან ბიზნესები ყოველგვარად ცდილობდნენ მოეხდინათ თავიანთი ინტერესების ლობირება სუპრაეროვნულ დონეზე.

ეროვნული აქტორები: ბრიტანეთის მაშინდელი მთავრობა ზოგადად ემხრობოდა ლიბერალიზაციას, ხოლო ტეთჩერის საშინაო პოლიტიკა მთლიანად აგებული იყო ეკონომიკური ლიბერალიზაციის იდეაზე. ეს იყო ერთი-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჟაკ დელორმა საერთო ბაზრის მიღწევის იდეა აქცია თავისი პრეზიდენტობის მთავარ ფლაგმანად. ჰელენ უოლესი მიიჩნევდა, რომ ლიბერალიზაცია ნიშნავდა მოქმედების სხვა სფეროების ინტეგრაციასაც, თუმცა ბრიტანელებს ამ არგუმენტთან ძალიან დიდი პრობლემები ჰქონდათ. ბრიტანელები ზოგადად მხარს უჭერდნენ მნიშვნელოვან საინტეგრაციო პროცესს, თუმცა ეშინოდათ, რომ ამას მოჰყვებოდა ინსტიტუციონალური რეფორმები, რის გამოც ბოლო მომენტებში თავს იკავებდნენ საერთო ბაზართან თუ სხვა სფეროებთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუ საქმე ეხებოდა ახალ სფეროში ინტეგრაციის დაწყებას. მიუხედავად ასეთი სკეპტიციზმისა, ბრიტანეთის მთავრობამ, ევროკომისიამ და სხვა ევროპული სახელმწიფოების ლიდერებმა მოახერხეს ტეთჩერის დარწმუნება, რომ აუცილებელი იყო იურიდიულად საერთო ბაზრის შექმნის გაფორმება, და სავალდებულო ხასიათის ხელშეკრულების ან რამე დოკუმენტის მიღება. ევროკომისიის აზრით, სავალდებულო დოკუმენტის არარსებობის პირობებში აზრი ეკარგებოდა ბაზრის შექმნის ყველა მცდელობას.

გერმანიამ მხარი დაუჭირა საერთო ბაზრის შექმნას, რადგან დასავლეთ გერმანიას გააჩნდა ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა და მისი ექსპორტის ნახევარზე მეტი

ევროპაში გადიოდა. ასევე, გერმანიას მიაჩნდა, რომ ბაზრის გახსნა კარგი იქნებოდა ადგილობრივი ბიზნესისთვის, რაც საშუალებას მისცემდა მათ გაფართოებულიყვნენ მთელი ევროპის მასშტაბით. გერმანიის ინდუსტრიალისტთა ფედერაცია გამოვიდა საერთო ბაზრის თეთრი წიგნის მხარდაჭერის ინიციატივით, თუმცა, ინტერესთა სხვაობა გერმანიის სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს და პროფკავშირებს შორის აშკარად შეიმჩნეოდა.

გერმანიაში სახალხო მხარდაჭერა ინტეგრაციის მიმართ მაღალი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობამ წლების მანძილზე საკმაოდ მაღალი სახალხო მხარდაჭერა მოიპოვა. შესაბამისად, გერმანიის მთავრობის დამოკიდებულება საერთო ბაზრის შექმნის მიმართ ემთხვეოდა ამომრჩევლების ინტერესებს, ამიტომ ეს იყო საკმაოდ პოპულარული პოლიტიკური პლატფორმა (ვოტე-წინნინგ პლატფორმ). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ახალი სამთავრობო კოალიცია მომხრე იყო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდის და სურდა ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც, სავარაუდოდ, არაპოპულარული იქნებოდა მოსახლეობაში, რადგან დაიკარგებოდა სამუშაო ადგილები, რასაც პროფკავშირების წინააღმდეგობა მოყვებოდა. კოალიციას იმედი ჰქონდა, რომ ინტეგრაციის ნიღბის ქვეშ მოახერხებდნენ ამ რეფორმების გატარებას, უარყოფით შედეგებს კი ბრიუსელს დააბრალებდნენ.

საფრანგეთის მთავრობაც მომხრე იყო ბაზრის სრული ლიბერალიზაციის. 80-იანი წლებისთვის საფრანგეთის ექსპორტი გაიზარდა და მთავრობა უკვე ღელავდა არასატარიფო ბარიერების გამო, განსაკუთრებით გერმანიასთან ვაჭრობასთან დაკავშირებით. გერმანიის მსგავსად, საფრანგეთიც იმედოვნებდა, რომ არაპოპულარულ რეფორმებს ევროინტეგრაციას დააბრალებდა. ამ პოლიტიკამ საფრანგეთში უფრო მეტად გაამართლა, ვიდრე გერმანიაში, რადგან მიტერანის ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრიუსელისთვის უარყოფითი შედეგების დაბრალებით.

ერთიანი ბაზრის „თეთრი წიგნი“

ევროკომისიამ შეიმუშავა განსახორციელებელ ღონისძიებათა პაკეტი ე. წ. „თეთრი წიგნი“. (გვხვდება თარგმანი „თეთრი ფურცლების“ სახითაც, წარადგინა კომისარმა ლორდ კოკფილდმა) ეს დოკუმენტი მოიცავდა 300-მდე ღონისძიებას, რომელიც უნდა განხორციელებულიყო ერთიანი ბაზრის მისაღწევად. ისინი იყოფოდა შემდეგ კატეგორიებად:

- ფიზიკური ბარიერების მოხსნა;
- ტექნიკური ბარიერების მოხსნა;
- ფისკალური ბარიერების მოხსნა.

ფიზიკური ბარიერები: „თეთრი წიგნის“ მთავარ მიზნად მიჩნეული იყო 1992 წლისათვის სასაზღვრო კონტროლის არა უბრალოდ შემსუბუქება, არამედ მთლიანად გაუქმება. მიღებულ იქნა ზომები, რომლებიც შეასუსტებდა და გაამარტივებდა არსებულ კონტროლს. ეს პროცესი დაიწყო ერთიანი ადმინისტრაციული დოკუმენტის შემოღებით, რომელიც ჩაენაცვლა ევროკავშირის შიდა საზღვრის გადაკვეთისას სატვირთო მანქანის მძღოლებისათვის ადრე საჭირო ფორმას. ამით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგმებოდა საქონელსა და ინდივიდუალურ მგზავრებზე პერიოდის ბოლოსათვის ყოველგვარი შეზღუდვების გასაუქმებლად.

ტექნიკური ბარიერები. „თეთრი წიგნის“ მეორე ნაწილის დანიშნულება იყო სხვადასხვა ეროვნული კანონებით და სტანდარტებით შექმნილი ბარიერების მოხსნა. კომისიის წინადადებით ათასობით განსხვავებული საწარმოო პროცესის ეროვნული სტანდარტების ჰარმონიული შეთანხმების პროგრამა უნდა შეცვლილიყო ეროვნული სტანდარტების ცნობის სისტემით, რაც დაგვირგვინდებოდა ევროპული სტანდარტების მიღებით. სანაცვლოდ ევროგაერთიანებას ყურდღების კონცენტრაცია უნდა გაეკეთებინა ყველა წევრ ქვეყანაში ჯანდაცვისა და უსაფრთხოების მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებზე.

სხვა წინადადებები მოიცავდა: საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების მიწოდების ლიბერალიზაციას; ისეთი მომსახურებებისათვის, როგორიცაა: ტრანსპორტი, საბაჟო საქმე, დაზღვევა და ინფორმაცია, ერთიანი ბაზრის შექმნას; გაერთიანების შიგნით კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებას; ევროგაერთიანების მასშტაბის კომპანიების ფორმირებაზე იურიდიული შეზღუდვების მოხსნას; გაერთიანების სავაჭრო ნიშნების სისტემის მიღებას.

ფისკალური ბარიერები. „თეთრი წიგნის“ მესამე ნაწილი ძირითადად შეეხებოდა გაერთიანებაში სააქციზო გადასახადებისა და დღგ-ის ურთიერთდაახლოების საკითხს. კომისიას შიდა ბაზრის სრულქმნისათვის საჭიროდ არ მიაჩნდა სრული ჰარმონიის მიღწევა. დამაკმაყოფილებლად მიიჩნეოდა გეგმიური / ნორმირებული ტარიფიდან +/–25%–იანი გადახრის არსებობა.

შიდა ბაზრის სრულყოფის განრიგში დაგენილ იქნა თარიღები 300–ვე ღონისძიების განხორციელებისათვის, როგორც კომისიის მიერ დირექტივებისა და წესების პროექტების წარდგენისათვის, ასევე მინისტრთა საბჭოს მიერ მათი მიღებისათვის. მიუხედავად მთავრობათა მეთაურების დიდი ენთუზიაზმისა, შეიმჩნეოდა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობებისადმი ძლიერი სკეპტიციზმი. თუმცა პროგრამამ მალე აიღო ტემპი, რაც ნაწილობრივ განპირობებული იყო ჟაკ დელორისა და ლორდ კოკფილდის ,,თეთრი წიგნის" წინადადებების შესრულებისათვის გაწეული ძალისხმევით.

ერთიანი ბაზრის ფორმირების წინააღმდეგობრივი საკითხები

1992 წლისათვის დათქმულმა ვადამ დიდი ინტერესი გამოიწვია როგორც წევრ–სახელმწიფოთა, ისე დანარჩენ ქვეყნებს შორის, რომელთა მთვრობებსა და ბიზნეს–სუბიექტებსაც ეშინოდათ კიდევ უფრო ინტეგრირებული ევროპული ბაზრის შედეგების, საიდანაც ისინი შეიძლება განდევნილიყვნენ. საგანგებო ერთიანი ევროპული აქტით გათვალისწინებული კენჭისყრის ახალმა პროცედურებმა საკმაოდ დააჩქარა პროგრესი მინისტრთა საბჭოში. მოგვიანებით 300 ღონისძიება გააერთიანეს 282 დირექტივასა და კანონპროექტში. 1992 წლის 31 დეკემბრისთვის – დაგეგმილი თარიღისთვის, მათგან დაახლოებით 90–95% მიღებულ იქნა მისნისტრთა საბჭოს მიერ, ხოლო 79% უკვე გამოიყენებოდა წევრ ქვეყნებში. ზოგიერთ შემთხვევაში, მათ შორის არაპირდაპირი დაბეგვრის ჰარმონიზაციის საკითხებში, თავდაპირველი წინადადებები აშკარად არ შესრულდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ პროგრამის უმეტესი ნაწილი გეგმის თანახმად განხორციელდა.

მიუხედავად ამისა, ძნელია იმის თქმა, რომ საერთო ბაზარი მუშაობდა და სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა. ამას გააჩნდა რამდენიმე მიზეზი:

- ტრანსპოზიცია (transposition) და აღსრულება (enforcement) არ ხორციელდებოდა მაღალ დონეზე;

- 5–10% პროცენტი, რომელიც არ იყო შეთანხმებული, მოიცავდა საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებს;

- თეთრი წიგნი, რომელსაც დაეყრდნო საერთო ბაზრის დასრულების პროცესი, არ მოიცავდა საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებს (მაგ., ენერგეტიკა), რადგან ისინი არ შეიტანეს ზოგიერთი სახელმწიფოს და ბიზნესების მხრიდან მწვავე ოპოზიციის გამო. შესაბამისად, მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა, აღმოჩნდა საერთო ბაზრის მიღმა.

საერთო ბაზარი 1992 წლის შემდეგ

1992 წლისთვის შეთანხმებული იყო ლორდ კოკფილდის მიერ წარმოდგენილი ღონისძიებების 95 %. მიუხედავად ამისა, ძნელია იმის თქმა, რომ საერთო ბაზარი მუშაობდა და სრული დატვირთვით ფუნქციონირებდა. ამას გააჩნდა რამდენიმე მიზეზი:

- ტრანსპოზიცია (ტრანსპოსიტიონ) და აღსრულება (ენფორცემენტ) არ ხორციელდებოდა მაღალ დონეზე;

- ის ხუთი პროცენტი, რომელიც არ იყო შეთანხმებული, მოიცავდა საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებს;

- თეთრი წიგნი, რომელსაც დაეყრდნო საერთო ბაზრის დასრულების პროცესი არ მოიცავდა საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხებს (მაგ., ენერგეტიკა), რადგან ისინი არ შეიტანეს ზოგიერთი სახელმწიფოს და ბიზნესების მხრიდან მწვავე ოპოზიციის გამო.

შესაბამისად, ა პრიორი მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა აღმოჩნდა საერთო ბაზრის მიღმა.

ტრანსპოზიცია: ტრანსპოზიცია ნიშნავს საზოგადოებრივ (გაერთიანებების) დონეზე მიღებული კანონების გადატანას ეროვნულ კანონმდებლობაში. კომისია აკეთებდა კანონმდებლობის გადატანის პროგრესის აღნუსხვას და პერიოდულად აქვეყნებდა ამ შედეგებს. 1997 წლამდე გერმანიას ძალიან ცუდი შედეგი ჰქონდა ამ მხრივ, რადგან იგი უარს აცხადებდა გადაეტანა ეროვნულ კანონმდებლობაში ევროკავშირის მთელი რიგი კანონები. მხოლოდ გააქტიურებული კრიტიკის შემდეგ მოახერხა გერმანიამ ამ უარყოფითი ტენდენციის შეცვლა და 1997 წლიდან ევროკავშირის ბევრი კანონი გადაიტანა თავის ეროვნულ კანონმდებლობაში. ასევე სუსტი პროგრესი ჰქონდათ, ამ მხრივ, ბელგიას და ავსტრიას. საკვირველია ის, რომ დანია და ბრიტანეთი საკმაოდ მაღლა იდგნენ ტრანსპოზიციის მხრივ პროგრესის მქონე სახელმწიფოების სიაში. მარიო მონტიმ, რომელიც 1999 წლისთვის საერთო ბაზრის კომისარი იყო, მოუწოდა ქვეყნებს, რომ 1999 წლისთვის დაესრულებინათ ტრანსპოზიცია, სანამ ევრო შევიდოდა ძალაში. ამ მოწოდების შემდეგ ბევრი სახელმწიფო მოეგო გონს, რადგან მიხვდნენ, რომ ევროკავშირის კანონმდებლობის გადატანის გარეშე ვერ ნახავდნენ იმ მოგებას, რომელსაც ელოდნენ ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნისგან.

აღსრულება: ტრანსპოზიციის შემდეგ აუცილებელი იყო ამ კანონმდებლობის აღსრულება, რაც, როგორც წესი, წევრი სახელმწიფოების მხრიდან ძალიან რთულად ხდება. ბრიტანელები, განსხვავებით სხვა სახელმწიფოებისგან, ძალიან სკრუპულოზურად ასრულებდნენ საერთო ბაზართან დაკავშირებული კანონმდებლობის აღსრულებას, მაშინ, როდესაც საბერძნეთი, გერმანია და სხვა ქვეყნები ცდილობდნენ მხოლოდ კანონების გადატანით შემოფარგლულიყვნენ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ეროვნული კანონმდებლობების ჰარმონიზაცია იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელმაც ხელი შეუწყო საერთო ბაზრის იდეის განხორციელებას. თავდაპირველად მოქმედებდა დირექტივები, რომელიც წევრ სახელმწიფოებს უტოვებდა ლავირების საშუალებას. ჰარმონიზაცია განიხილებოდა ევროკომისიის მიერ, როგორც ინტეგრაციისათვის აუცილებელი წინაპირობა, თუმცა 1970-იანი წლებიდან, კონკრეტულად

კი – პირველი გაფართოების შემდეგ, ნათელი გახდა, რომ უფრო მიზანშეწონილი იყო ზოგიერთ სფეროში ჰარმონიზაციის დაჩქარება, და არა ყველა სფეროში თანაბარი პროგრესი.

საერთო ბაზრის შექმნის პროცესის დაწყებისთანავე ნათელი გახდა, რომ საერთო ბაზართან დაკავშირებული კანონპროექტების მისაღებად აუცილებელი იყო კონსენსუსი წევრ სახელმწიფოებს შორის, რაც პრაქტიკულად აუქმებდა ამ სფეროში სწრაფი ნაბიჯების გადადგმის შანსს. ქვეყნებმა მალე აუღეს ალღო ჰარმონიზაციით ნაკარნახევ გამოწვევებს და დაიწყეს სხვადასხვა ეკონომიკური რეგულაციების და არასატარიფო ბარიერების პრაქტიკის გამოყენება, რათა შეენარჩუნებინათ ეროვნული წარმოება და არაპირდაპირი გზით მიენიჭებინათ უპირატესობა ეროვნული კომპანიებისათვის. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია სასამართლოში წარმოებული საქმეების რაოდენობის სწრაფი ზრდა, განსაკუთრებით კი საქონელის თავისუფალ გადაადგილებასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ კრიზისი ვითარება იყო, ევროგაერთიანებების წევრებმა არ უპასუხეს მას დროულად. თავადაც აწესებდნენ სხვადასხვა ტიპის ბარიერებს და ეგუებოდნენ სიტუაციას. 1980-იან წლებში ქვეყნების დამოკიდებულება არასატარიფო ბარიერების მიმართ რადიკალურად შეიცვალა. თავდაპირველად კომისიამ რეკომენდაცია მისცა ევროსაბჭოს, შექმნილიყო შიდა ბაზრის საბჭო, რომელიც რეგულარულად უნდა შეკრებილიყო. წევრი სახელმწიფოების მთავრობებში შეიცვალა დამოკიდებულება ლიბერალური მიდგომების სასრგებლოდ. პოზიციების ცვლილება მნიშვნელოვნად განაპირობა წევრი სახელმწიფოების პროდუქციის ორმხრივი აღიარების სავალდებულო მოთხოვნამ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ერთ სახელმწიფოში ნაწარმოები პროდუქტი თავისუფლად უნდა გაყიდულიყო მეორე სახელმწიფოშიც (ორმხრივი აღიარება –**Mutual –recognition –** როგორც პრინციპი). 1985 წლამდე საფრანგეთი, გერმანია და სხვა ქვეყნები არ მოქმედებდნენ ამ პრინციპის მიხედვით, თუმცა შემდეგ ისინი იძულებულნი გახდნენ ერთმანეთთან შესაბამისობაში მოეყვანათ ეროვნული კანონმდებლობა.

საერთო ბაზრის შექმნასთან დაკავშირებული მცირე პროგრესიდან გამომდინარე, კრიტიკულად განიხილებოდა ინტეგრაციისადმი ნეოფუნქციონალისტური მიდგომა. ამ მიდგომით ეკონომიკის ერთ სფეროში დაწყებული ინტეგრაცია იწვევს ინტეგრაციის ,,გადაღვრას'' სხვა სფეროში და ასე შემდეგ, სანამ არ მოხდება ეკონომიკური ინტეგრაციიდან პოლიტიკურ ინტეგრაციაში ,,გადაღვრა''. მცირე წარმატება ნაწილობრივ უკავშირდებოდა იმ რეალობას, რომ ამ პერიოდში პოლიტიკური ელიტების და წევრი-სახელმწიფოების მთავრობების როლი ევროგაერთიანების საქმეებში ძალიან დიდი იყო, ხოლო მათზე ინტერესთა ჯგუფების გავლენა – მცირე. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ 60-იან წლებში დაიწყო ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა. 1960 წელს მინისტრთა საბჭოზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაეუქმებინათ შიდა ტარიფები და კვოტები და შემოეღოთ საერთო საგარეო ტარიფი (რომის ხელშეკრულებით

გათვალისწინებული იყო ტარიფების ეტაპობრივი შემცირება, რაც მთლიანად უნდა გაუქმებულიყო 8 წელიწადში).

ერთიანი ბაზრის შექმნას გარკვეულწილად ხელი შეუშალა წინა პერიოდში – 50-იან და 60-იან წლებში შექმნილმა გარემოებებმა: 1965 წლის ცარიელი სკამის კრიზისმა და გოლიზმის პოლიტიკამ შეაჩერა საერთო ბაზრის ფორმირების საკითხი, თუმცა დე გოლი არ ეწინააღმდეგებოდა საბაჟო კავშირს, რომელიც დასრულდა 1968 წლისთვის; ამ პერიოდში ეკონომიკური ზრდის შემცირებამ; 70-იანი წლების ეკონომიკურმა დეპრესიამ და ნავთობკრიზისმა, რამაც 70-იან წლებში გაზარდა პროტექციონისტული დამოკიდებულებები პოლიტიკაში. გააქტიურდა არასატარიფო ბარიერები, განსაკუთრებით მრეწველობის დარგებისთვის სახელმწიფო დახმარების გაწევა და ისეთი უსაფრთხოების სტანდარტების შემუშავება, რაც ზღუდავდა უცხოური კონკურენტების შესვლას ბაზარზე. კომისიამ ბევრჯერ შეიტანა საქმე წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ სასამართლოში, თუმცა ყველა შემთხვევაში წევრები აჭიანურებდნენ სასჯელის აღსრულებას და ახალ გზებს ეძებდნენ თავიანთი გადაწყვეტილებების ბოლომდე გასატანად.

ძნელია იმის თქმა, თუ ვის, რომელი სექტორის, ან სახელმწიფოს ხარჯზე მოხდა შიდა ბაზრის წარმატებით დასრულება და ვინ დარჩა მოგებული და დამარცხებული 1992 წლის პროგრამის შესრულების შემდეგ, რადგან ამ საკითხის შესახებ ბევრი გამოკვლევა არ არსებობს. 1996 წელს ევროკომისიამ ჩაატარა გამოკვლევა, სადაც ნათქვამი იყო, რომ 1987-93 წლებში იმ რეგიონებმა ნახეს ყველაზე მეტი ეკონომიკური მოგება საერთო ბაზრის შექმნის შედეგად, რომლებიც ევროგაერთიანებების სტრუქტურული ფონდების პირველ სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენდნენ. ამავე გამოკვლევაში ასევე ნათქვამი იყო, რომ ამ რეგიონების ეკონომიკური ზრდის პირდაპირი დაკავშირება თავისუფალი ბაზრის შექმნასთან ვერ მოხერხდა, რადგან საკითხი ძალიან კომპლექსური იყო და უფრო ღრმა გამოკვლევას საჭიროებდა.

მეორე მხრივ, ზოგადი დაკვირვებით ნათლად ჩანს, რომ ყველაზე დიდი მოგება საერთო ბაზრის შექმნისგან მიიღო მყიდველმა, რომელსაც გაუფართოვდა არჩევანის საშუალება; გარდა ამისა, გაიაფდა ზოგიერთი პროდუქტი, რაც გამოიწვია მიწოდების დივერსიფიკაციამ და ჯანსაღი საბაზრო კონკურენციის დამკვიდრებამ. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ბაზრის შექმნას მოჰყვა სამუშაო ადგილების დაკარგვა და ზოგიერთი ეროვნული პროდუქტის ბაზრიდან განდევნა.

1992 წლის პროგრამის შემუშავების აუცილებლობა:

სტრუქტურული ფაქტორები: 80-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა სერიოზული საფრთხე, რომ ევროპა სამუდამოდ აღმოჩნდებოდა დამოკიდებული ამერიკის შეერთებული შტატების და იაპონიის ტექნოლოგიებზე. სწორედ ამ დროს პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა წარადგინა EUREKA–ს შექმნის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებდა

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებას, მაგრამ ამის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მრეწველებს უფრო მეტად აფიქრებდათ საერთო ბაზრის არარსებობა და ის არაპირდაპირი ზეწოლის მექანიზმები, რომლებიც იცავდა სახელმწიფოების შიდა ბაზრებს სხვა ქვეყნების პროდუქციისაგან. დღის წესრიგში დადგა მოკლევადიანი პერსპექტივების გადახედვა, ანუ ე.წ. shorttermism-ის აღმოფხვრა და უფრო გრძელვადიანი პროგრამის შემუშავება.

ზენაციონალური აქტორები: კომისიის როლი საერთო ბაზრის ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი იყო. განსაკუთრებული როლი ამ პროცესებში ითამაშა ჟაკ დელორმა და მისმა ღონისძიებების პაკეტმა. აღსანიშნავია იმ ბიზნესის როლი საერთო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში, რომელიც სცდებოდა ერთი ქვეყნის ფარგლებს, რადგან ბიზნესი (ფირმები) ყოველთვის ცდილობდა მოეხდინა საკუთარი ინტერესების ლობირება ზეეროვნულ დონეზე.

ეროვნული აქტორები: ბრიტანეთის მაშინდელი მთავრობა ზოგადად ემხრობოდა ლიბერალიზაციას, ხოლო ტეტჩერის საშინაო პოლიტიკა მთლიანად აგებული იყო ეკონომიკური ლიბერალიზაციის იდეაზე. ეს იყო ერთი-ერთი მიზეზი იმისა, რომ ჟაკ დელორმა საერთო ბაზრის მიღწევის იდეა აქცია თავისი პრეზიდენტობის მთავარ ლოკომოტივად. ბრიტანელები ზოგადად მხარს უჭერდნენ მნიშვნელოვან საინტეგრაციო პროცესს, თუმცა ეშინოდათ, რომ ამას მოჰყვებოდა ინსტიტუციური რეფორმები, რის გამოც თავშეკავების პოლიტიკას ამჯობინებდნენ. მიუხედავად ასეთი სკეპტიციზმისა, ბრიტანეთის მთავრობამ, ევროკომისიამ და სხვა ევროპული სახელმწიფოების ლიდერებმა, მოახერხეს ტეტჩერის დარწმუნება, რომ აუცილებელი იყო იურიდიულად საერთო ბაზრის შექმნის გაფორმება, და სავალდებულო ხასიათის ხელშეკრულების ან რამე დოკუმენტის მიღება. ევროკომისიის აზრით, სავალდებულო დოკუმენტის არარსებობის პირობებში აზრი ეკარგებოდა ბაზრის შექმნის ყველა მცდელობას.

გერმანიამ მხარი დაუჭირა საერთო ბაზრის შექმნას, რადგან დასავლეთ გერმანიას გააჩნდა ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა და მისი ექსპორტის ნახევარზე მეტი ევროპაში გადიოდა. ასევე, გერმანიას მიაჩნდა, რომ ბაზრის გახსნა კარგი იქნებოდა ადგილობრივი ბიზნესისთვის, რაც საშუალებას მისცემდა მათ გაფართოებულიყვნენ მთელი ევროპის მასშტაბით. გერმანიის ინდუსტრიალისტთა ფედერაცია გამოვიდა საერთო ბაზრის თეთრი წიგნის მხარდაჭერის ინიციატივით, თუმცა, ინტერესთა სხვაობა გერმანიის სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს და პროფკავშირებს შორის აშკარად შეიმჩნეოდა.

გერმანიაში სახალხო მხარდაჭერა ინტეგრაციის მიმართ მაღალი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობამ წლების მანძილზე საკმაოდ მაღალი სახალხო მხარდაჭერა მოიპოვა. შესაბამისად, გერმანიის მთავრობის დამოკიდებულება საერთო ბაზრის შექმნის მიმართ ემთხვეოდა ამომრჩევლების ინტერესებს, ამიტომ ეს იყო საკმაოდ პოპულარული პოლიტიკური პლატფორმა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ახალი სამთავრობო კოალიცია მომხრე იყო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდის და სურდა ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც, სავარაუდოდ, არაპოპულარული იქნებოდა მოსახლეობაში, რადგან

დაიკარგებოდა სამუშაო ადგილები, რასაც პროფკავშირების წინააღმდეგობა მოყვებოდა. კოალიციას იმედი ჰქონდა, რომ ინტეგრაციის ნიღბის ქვეშ მოახერხებდნენ ამ რეფორმების გატარებას, უარყოფით შედეგებს კი ბრიუსელს დააბრალებდნენ.

საფრანგეთის მთავრობაც ბაზრის სრული ლიბერალიზაციის მომხრე იყო. 80-იანი წლებისთვის საფრანგეთის ექსპორტი გაიზარდა და მთავრობა უკვე ღელავდა არასატარიფო ბარიერების გამო, განსაკუთრებით გერმანიასთან ვაჭრობის მიმართ. გერმანიის მსგავსად, საფრანგეთიც იმედოვნებდა, რომ არაპოპულარულ რეფორმებს ევროინტეგრაციას დააბრალებდა. ამ პოლიტიკამ საფრანგეთში უფრო მეტად გაამართლა, ვიდრე გერმანიაში, რადგან მიტერანის ადმინისტრაცია მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბრიუსელისთვის უარყოფითი შედეგების დაბრალებით.

შენგენის შეთანხმება

უდიდესი წარუმატებლობა იყო ის, რომ 1993 წლის 1 იანვარს, ევროკავშირის შიდა საზღვრებზე საქონლის ტრანსპორტირებაზე დაწესებული საბაჟო კონტროლის მთლიანად მოხსნის მიუხედავად, მრავალ საზღვაო პორტსა თუ აეროპორტში, კვლავაც წარმოებდა პასპორტების სისტემატიური შემოწმება. მთავრობათა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, მათ შორის გაერთიანებული სამეფოს მთვრობა, რომ სასაზღვრო შემოწმებების მოხსნა გამოიწვევდა ტერორიზმის, არალეგალური იმიგრაციისა და ცხოველური ავადმყოფობების კონტროლთან დაკავშირებულ პრობლემებს. სწორედ ასეთი დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით 1990 წლის ივნისში ზოგიერთმა წევრმა სახელმწიფომ გადაწყვიტა გაეუქმებინა მათი ევროგაერთიანების შიდა საზღვრები და ამასთანავე, გაეძლიერებინა კონტროლი გარე საზღვრებზე. ამრიგად: ბელგიას, საფრანგეთს, გერმანიას, ლუქსემბურგსა და ნიდერლანდს შორის ხელი მოეწერა შენგენის ხელშეკრულებას, რომელსაც ეს სახელი ეწოდა ლუქსემბურგის იმ სოფლის მიხედვით, სადაც შედგა ზემოთხსენებული შეთანხმება. ეს ხელშეკრულება მოიცავდა გარე საზღვრებთან დაკავშირებულ და იურიდულიულ საკითხებს.

მთავარ მიზანს წარმოადგენდა ვიზის მოთხოვნათა ჰარმონიზაცია და ისეთი ვიზების გაცემა, რომელიც მოქმედი იქნებოდა შენგენის ხელშეკრულების ყველა ქვეყნისთვის. უნდა მომხდარიყო 100–მდე ქვეყნის სიის შედგენა, რომელთაც დასჭირდებოდათ შესასვლელი ვიზები. შემუშავდებოდა, აგრეთვე, საეჭვო პირთა სია და დაწესდებოდა მათზე მეთვალყურეობა გარე საზღვრებზე. გათვალისწინებული იქნებოდა პოლიტიკური თავშესაფრის პროცედურებიც.

გათვალისწინებულ იქნა მჭიდრო თანამშრომლობა დაბეგვრის, სააქციზო და საბაჟო გადასახადების სფეროში გაუგებრობების წამოჭრის შემთხვევაში. ამასთან, ერთი წევრი სახელმწიფოს სასამართლოში გამოტანილი განაჩენი ძალაში რჩება იმ ქვეყანაში, სადაც იმყოფება სამართალდამრღვევი. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მიმართონ მჭიდრო

თანამშრომლობას, მათ ეძლევათ უფლება დევნისას გადაჭრან საზღვრები, თუმცა საფრანგეთი არ აძლევს მის ტერიტორიაზე დაპატიმრების უფლებას. სტრასბურგში დაარსებული შენგენის საინფორმაციო სამსახური ადარებს მონაცემებს ყოველ წევრ სახელმწიფოში პოლიციის მიერ ძებნილი პირებისა და საქონლის შესახებ. შეთანხმებულ იქნა ამ მონაცემების კონფიდენციალურობის დამცველი სისტემა. შენგენი ქვეყნები ახდენენ კანონების ჰარმონიზაციას იარაღის ფლობასა და გამოყენებაზე და მჭიდროდ ითანამშრომლებენ ნარკოტიკებსა და კონტრაბანდასთან ბრძოლაში.

შეთნხმება ძალაში 1992 წლის დასაწყისში უნდა შესულიყო, მაგრამ გარკვეული შეფერხებების გამო იგი 1994 წლის ბოლოს ამოქმედდა. 1997 წლისათვის 15 წევრი ქვეყნიდან ამ ხელშეკრულებას შეუერთდა 13 ქვეყანა, ასევე, ევროკავშირის გარეთ მყოფი ნორვეგია და ისლანდია. ერთ–ერთი წევრი სახელმწიფო, რომელსაც არ სურდა სასაზღვრო კონტროლის გაუქმება, გაერთიანებული სამეფო იყო. მასთან ერთად ირლანდიაც არ შეუერთდა შენგენის შეთანხმებას, რადგან ირლანდიის მოქალაქეები არ გადიან საპასპორტო შემოწმებას გაერთიანებული სამეფოს საზღვრის გადაკვეთისას. 1997 წლის ივნისში ხელმოწერილი ამსტერდამის ხელშეკრულებით შენგენის შეთანხმება ჩართული იქნა ევროკავშირში, თუმცა მასში არ შევიდნენ გაერთიანებული სამეფო და ირლანდია.

ჩეკინის მოხსენება: 1992 წლის პროგრამის განხორციელება დაიწყო იმ რწმენით, რომ იგი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა გაერთიანების ქვეყნებსა და ხალხებს. ამ სარგებლის აღრიცხვისას კომისიამ 1988 წელს შექმნა ექსპერტთა კომისია იმ დროისათვის ახლად გადამდგარი ევროკავშირის უფროსი მოხელის პაოლო ჩეკინის მეთაურობით. მისი მოხსენების თნახმად, რომელიც ეყრდნობოდა 11000 მსხვილი საწარმოს ეკონომეტრიკული მოდელირების მიმოხილვას, მიღებული ზომების კუმულაციური ზემოქმედება 5–6 წელიწადში წევრი ქვეყნების მშპ–ის 4,5%–ით გაზრდიდა, ფასებს 6%–ით შეამცირებდა, შექმნიდა 2 მლნ სამუშაო ადგილსა და ევროპას გაიყვანდა მომავალ საუკუნეში ეკონომიკური ზრდის ,,მაღალ ტრაექტორიაზე“. 1996 წლის ოქტომბერში კომისიამ გამოსცა პროგრეს–მოხსენება, რომლის თანახმადაც პირველ სამ წელიწად–ნახევარში მშპ გაიზარდა 1,1%–დან 1,5%–მდე, ინვესტიციები – 2,7%–ით აღემატებოდა ადრინდელ მაჩვენებლებს და შექმნილი იყო 900 000 ახალი სამუშაო ადგილი. ინფლაცია მნიშვნელოვნად შემცირდა, მაგრამ არსებობდა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც გამოწვეული იყო ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს წარუმატებლობით ადეკვატურად შემოეღოთ ერთიანი ბაზრის კანონმდებლობა. ეს განსაკუთრებით საზოგადოებრივ მომარაგებას შეეხებოდა. დღგ–ის აკრების ერთიანი სისტემის შემოღების წარუმატებელი მცდელობა ნიშნავდა იმას, რომ მომწოდებელს კვლავაც მოუწევდა მომქანცველ დოკუმენტაციათან შეხება, ხოლო დაბეგვრის ჰარმონიზაციის საკითხში პროგრესის ნაკლებობამ ნამდვილად შეზღუდა ვაჭრობა.

1997 წლის მარტში, შიდა ბაზარზე პასუხისმგებელმა კომისარმა მარიო მონტიმ განაცხადა, რომ 1999 წლის 1 იანვრისათვის დაგეგმილი სავალდებულო და სავალუტო და

ეკონომიკური კავშირის დასაწყებად საჭირო იყო მძლავრი ბიძგი. ამ პროცესის დასასრულებლად მონტის მიზნები სრულად ვერ შესრულდა, თუმცა მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი, განსაკუთრებით დაბეგვრის სფეროში, სადაც წარმატებით დამარცხდა დაბეგვრის მავნე კონკურენცია, ინელექტუალური საკუთრების დაცვის, მეკობრეობისა და ფალსიფიკაციის აღკვეთის, მათ შორის ფინანსური მომსახურების სფეროში, რაც განაპირობა საკანონმდებლო ზომების ერთიან ჩარჩოებში მოქცევამ. ბოლოს და ბოლოს თუ გამოვრიცხავთ რამდენიმე ხარვეზს, ერთიანი ბაზრის ფორმირება ფაქტობრივად დასრულდა.

ევროპის ერთიანი ბაზრის ეკონომიკური ანალიზი

ვაჭრობასთან დაკავშირებული ეფექტები

მარტივი თეორია თავისუფალი ვაჭრობის ზონებისა და საბაჟო კავშირების შესახებ ინტეგრაციის ორ ეფექტს განასხვავებს - **ვაჭრობის შექმნისა და ვაჭრობის შეკვეცის ეფექტებს.** როგორც წინა თემებში განვიხილეთ, ვაჭრობის შექმნა ნიშნავს ძვირი ადგილობრივი წარმოების პროდუქტის ჩანაცვლებას სხვა წევრი ქვეყნიდან უფრო იაფი იმპორტული პროდუქტით. ვაჭრობის შეკვეცა ნიშნავს არაწევრი ქვეყნიდან იმპორტირებული იაფი პროდუქტის ჩანაცვლებას უფრო ძვირი იმპორტით წევრი ქვეყნიდან. იგი ტარიფის დისკრიმინაციული ხასიათიდან გამომდინარეობს, რაც აუარესებს რესურსების გლობალურ განაწილებას და წარმოადგენს პროტექციონიზმისკენ გადადგმულ ნაბიჯს.

ეკონომიკურმა ინტეგრაციამ სხვა გავლენაც შეიძლება მოახდინოს ვაჭრობაზე. იქ, სადაც თავისუფალი ვაჭრობის ზონა ან საბაჟო კავშირი ქმნის დანარჩენი მსოფლიოს მიმართ ტარიფის ან სხვა სავაჭრო შეზღუდვის უფრო დაბალ დონეს, ვიდრე იყო ინტეგრაციამდე, შედეგი შეიძლება იყოს ***გარე ვაჭრობის შექმნა,*** რომელიც რეგიონში უფრო სწრაფ ეკონომიკურ ზრდას უწყობს ხელს, რადგან დანარჩენი მსოფლიოდან ხდება უფრო მეტი საქონლის იმპორტირება.

კიდევ ერთი ეფექტია ***ვაჭრობის ჩახშობა.*** იგი გარკვეულწილად ჰგავს ვაჭრობის შეკვეცას, მაგრამ მისგან მაინც განსხვავდება. ამ შემთხვევაში გარკვეული საქონლის წარმოება ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში (A ქვეყანა) მთლიანად ქრება საბაჟო კავშირის შექმნის შედეგად და მისი წარმოება გადაინაცვლებს სხვა წევრ ქვეყანაში (B ქვეყანაში), სადაც დანახარჯები უფრო დაბალია. საბაჟო კავშირის შექმნამდე, B ქვეყანა ამ პროდუქტის იმპორტს ახორციელებდა დანარჩენი მსოფლიოდან. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა ის იყო, რომ საბაჟო კავშირის შექმნამდე A ქვეყანაში არსებული მაღალი ტარიფი მომგებიანს ხდიდა ამ საქონლის წარმოებას და მისი იმპორტირება არ ხდებოდა. მეორე ქვეყანაში. ტარიფი იყო დაბალი, რაც ადგილობრივ წარმოებას ხელს უშლიდა და ხდებოდა საქონლის იმპორტირება. რადგან რესურსების გადანაწილების ეფექტები ისეთივეა, როგორც ვაჭრობის შეკვეცის შემთხვევაში, ვაჭრობის ჩახშობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ვაჭრობის შეკვეცის კერძო შემთხვევა.

და ბოლოს, ინტეგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს *ვაჭრობის მიწოდებისმხრივი შეკვეცა.* ეს მოხდება რაიმე მიწოდებისმხრივი შეზღუდვების არსებობის შემთხვევაში (მაგალითად, როგორიცაა საწარმოო სიმძლავრეების უკმარისობა), როცა ინტეგრაციის გამო წევრ ქვეყანაში ექსპორტის ზრდის პარალელურად ხდება ექსპორტის შემცირება არაწევრ ქვეყნებში. მაგრამ ამ ეფექტს მხოლოდ ხანმოკლე პერიოდში უნდა ველოდეთ, რადგან ხანგრძლივ პერიოდში ფირმები გაზრდიან საწარმოო სიმძლავრეებს და უპასუხებენ გაზრდილ მოთხოვნას.

შემოსავლის ეფექტი

ვაჭრობასთან დაკავშირებული ეფექტები საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ვაჭრობა გავლენას ახდენს ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. გლობალური თვალსაზრისით, ვაჭრობის შექმნა დადებითად მოქმედებს კეთილდღეობაზე, ხოლო ვაჭრობის შეკვეცა მას ამცირებს. საბაჟო კავშირის წევრი ქვეყნებისათვის, ვაჭრობის შეკვეცა ზრდის ექსპორტიორი ქვეყნების რეალური შემოსავლებს, ხოლო იმპორტიორი ქვეყნების კეთილდღეობას ამცირებს. თუ ცნობილია ვაჭრობის შექმნის მოცულობა, ტარიფების დაწევით მიღებული სარგებელი შეიძლება შეფასდეს ტრადიციულად, ტარიფის შემცირების სიდიდის ნახევრის გამრავლებით დამატებით შექმნილი ვაჭრობის მოცულობაზე. ვაჭრობის შეკვეციდან მიღებული ეკონომიკური დანაკარგი შეიძლება შეფასდეს ვაჭრობის შეკვეცის მოცულობის გამრავლებით მსოფლიო ფასს, თავისუფალი ვაჭრობის ფასსა და საბაჟო კავშირის ფასების სხვაობაზე. ექსპორტის შემთხვევაში კეთილდღეობის სარგებელი არის ერთიანი საგარეო ტარიფის დაწესებით გამოწვეული ფასის ზრდის ნახევარი გამრავლებული ექსპორტის მოცულობის ზრდის სიდიდეზე, რაც ინტეგრაციის შედეგად ხდება.

ასეთი ნაწილობრივ წონასწორული მიდგომა მისაღებია სექტორების მიხედვით ტარიფების შემცირების ეფექტის დასათვლელად, მთელი ეკონომიკისთვის იგი არ გამოდგება. ეს იმიტომ, რომ იგი უგულებელყოფს ცალკეულ პროდუქტზე ტარიფების შემცირების უკუეფექტებს, რომელიც მთელ ეკონომიკაზე ნაწილდება. ეს ეფექტები უკეთესად ფასდება ზოგადი წონასწორობის მოდელების გამოყენებით, რომლებიც აფასებს ურთიერთკავშირებს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორს შორის. გაზომვის კიდევ ერთი სირთულე დიფერენცირებულ საქონელს უკავშირდება. ტარიფების ლიბერალიზაცია დიფერენცირებული საქონლის დარგებში იწვევს შიდადარგობრივი ვაჭრობის განვითარებას, რაც მომხმარებელებს დამატებით სარგებელს აძლევს უფრო მრავალფეროვანი არჩევანის სახით. შიდადარგობრივი ვაჭრობა დიფერენცირებული საქონლით სარგებელს იძლევა საშუალო ხარჯების შემცირებისა და გაზრდილი კონკურენციიდან გამომდინარე. როგორც შიდადარგობრივი, ასევე, დარგთაშორისი ვაჭრობა იწვევს სხვა დამატებით დადებით გრძელვადიან ეფექტებს რეგიონის გამოშვებაში. მაგალითად, ფირმებს უჩნდებათ დამატებითი ინვესიტრების სტიმულები ინტეგრაციის გამო გაზრდილი ბაზრისა და გაზრდილი კონკურენციის საპასუხოდ. გაზრდილი კონკურენცია მათ ასევე, მეტ

ტექნოლოგიურ ინოვაციებში ჩაბმისკენ უბიძგებს. ეს დინამიკური ეფექტები რაოდენობრივად ყოველთვის ვერ ფასდება, მაგრამ ინტეგრაციის სარგებელზე მსჯელობისას გათვალისწინებული უნდა იყოს.

გავლენა საგასახდელო ბალანსზე

საგადასახდელო ბალანსზე ინტეგრაციის გავლენა დამოკიდებულია იმაზე, ექსპორტი მეტად ფართოვდება თუ იმპორტი. ევროკავშირის შექმნის თავდაპირველ ეტაპზე ფიქრობდნენ რომ იტალიის საგადასახდელო ბალანსი გაუარესდებოდა, რადგან ქვეყანას არ ჰქონდა სამრეწველო კონკურენტუნარიანობის საკმარისი დონე, მაგრამ ეს შიშები უსაფუძვლო აღმოჩნდა, რადგან იტალიის ეკონომიკამ წარმატებას მიაღწია. ანალოგიური მოლოდინი იყო დიდი ბრიტანეთის მიმართ, ფიქრობდნენ, რომ მისი ბალანსი გაუარესდებოდა, რადგან ბრიტანეთს ჰქონდა სამრეწველო საქონელზე შედარებით მაღალი ტარიფები ევროკავშირის ქვეყნებიდან, ვიდრე ის ტარიფები, რომელითაც მისი ექსპორტი იბეგრებოდა, ასე, რომ ბრიტანეთის იმპორტი მეტად უნდა გაზრდილიყო, ვიდრე ექსპორტი, ამასთან, იგი დაკარგავდა იმ უპირატესობებს, რომელიც ჰქონდა EFTA–ში მონაწილეობით. ასევე, მას უწევდა საკმაოდ დიდი ფინანსური წვლილის შეტანა ევროკავშირის ბიუჯეტში.

ბალანსზე უარყოფითი გავლენა არ იქნება პრობლემატური, თუ ქვეყანა დაუშვებს რეალური ვალუტის კურსის გაუფასურებას. ეს მიიღწევა ან ნომინალური კურსის დაწევით, ან ქვეყნის ფასების დონის შემცირებით მსოფლიო დონესთან შედარებით. როცა კურსი მცურავია, ნომინალური კურსი თვითონ შეიძლება დაეცეს, როცა ბალანსი უარესდება, მაგრამ ეს არ მოხდება თუ უცხოეთიდან დიდი მოცულობის კაპიტალი შემოდის და ქმნის მოთხოვნას ეროვნულ ვალუტაზე. ფასების დონის შემცირება უფრო ძნელადმისაღწევი ამოცანაა, როცა ფასები ნელა ეცემა მკაცრი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის დროს. მაგრამ ორივე ეს ზომა რესურსების თვალსაზრისით ხარჯიანია ქვეყნისათვის. იქ, სადაც სავალუტო კურსი იღებს კორექტირების ტვირთს, ეს ხარჯი იზომება ინტეგრაციის გამო ვაჭრობის პირობების გაუარესების მიხედვით. ხოლო სადაც კორექტირება მიიღწევა ადგილობრივი ინფლაციის დაშვებით, ხარჯი იზომება გამოშვებისა და დასაქმების მოკლევადიანი დანაკარგით, რაც ერთობლივი მოთხოვნის დაცემის შედეგია. პრაქტიკაში ამ ხარჯების გაზომვის სირთულე უკავშირდება იმას, რომ ძნელია განასხვავო რომელი ეფექტებია უშუალოდ ინტეგრაციით განპირობებული და რომელი - გარე ფაქტორებით. მიუხედავად ამისა, ეს ეფექტები მნიშვნელოვანია ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ისეთ რეგიონულ ბლოკთან შეერთებას ისახავს მიზნად, როგორიცაა ევროკავშირი.

ეკონომიკური ზრდა

ინტეგრაცია ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებზეც ახდენს გავლენას. ურთიერთკავშირი ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას შორის საკმაოდ კომპლექსური საკითხია. ნეოკლასიკური ზრდის თეორია ვარაუდობს, რომ ინტეგრაცია გაზრდის ეკონომიკური ზრდის ტემპს ქვეყანაში კაპიტალის აკუმულირების გამო. ეკონომიკური ეფექტიანობის გაუმჯობესება, რაც ინტეგრაციას ახლავს, რეგიონში მეტ ინვესტიციას წაახალისებს. კაპიტალისა და გამოშვების ფიქსირებული თანაფარდობის პირობებში, შედეგი იქნება გამოშვების უფრო სწრაფი ზრდა, რაც გაზრდის დანაზოგებს და შესაბამისად, ინვესტიციებს. მაგრამ, რადგან კაპიტალის მარაგის შრომასთან თანაფარდობა იზრდება, კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობა დაიკლებს, რაც დამატებითი ინვესტირების სტიმულებს ამცირებს. საბოლოოდ, იგი დაეცემა იქამდე, სადამდეც ფირმებისთვის სარგებლიანია დამატებითი ინვესტირება. როცა კაპიტალის აკუმულირების სიდიდე ნულამდე დავა, ეკონომიკური ზრდის ტემპი შემცირებას დაიწყებს, ვიდრე ის საწყის დონეს არ დაუბრუნდება. ევროკავშირის ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ ასეთი აღმავლობა განიცადა კავშირთან შეერთების შემდეგ (მაგ. ესპანეთმა 1986 წლის შემდგომ). ზრდის ნეოკლასიკური თეორიის მიხედვით პერმანენტული გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მიღწევა შეუძლებელია, რადგან ამას უწყვეტი დაგროვება სჭირდება. მაგრამ ზრდის ახალ თეორიებში ეს შესაძლებელია, რადგან კაპიტალის დაგროვება ზრდის პროცესში განიხილება როგორც ენდოგენური ცვლადი. კაპიტალის აკუმულირებად შეიძლება ჩავთვალოთ ინვესტირება ფიზიკურ კაპიტალში, ადამიანურ კაპიტალში ან ცოდნის კაპიტალში. ფირმებს მოტივაციას აძლევს ინვესტიციებიდან უკუგების საკუთარი (კერძო) დონე, რომელიც მაშინ მცირდება, როცა კაპიტალის მარაგი იზრდება. მაგრამ უკუგების საერთო სახელმწიფო დონე, რომელიც განსაზღვრავს მთლიანად ფირმების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას, შეიძლება არ დაეცეს. ამის შედეგად, განსხვავება იქმნება ინვესტიციებიდან უკუგების კერძო და სახელმწიფო განაკვეთებს შორის. ამის მიზეზი ისაა, რომ ცოდნის დაგროვება ენდოგენური ცვლადია. როცა ფირმები ინვესტიციებს დებენ ცოდნის კაპიტალში, იქმნება გადადინების ეფექტები სხვა ფირმებში, რაც აბათილებს კლებადი უკუგების ტენდენციას. ინტეგრაცია სტიმულს ძლევს ინვესტიციებს ცოდნის კაპიტალში და ქმნის წინაპირობებს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის.

თავი 6.

ევროკავშირის საერთო აგრარული პოლიტიკა და მისი ეკონომიკური შედეგები (საპ)

აგრარული პოლიტიკის წარმოშობა და თავისებურებები:

საერთო აგრარული პოლიტიკა იყო თავდაპირველ ოთხ საერთო პოლიტიკას შორის, რომლებიც 50-იანი წლებიდან საფუძვლად უდევს ევროგაერთიანებების განვითარებას. ეს ოთხი პოლიტიკაა - საქონლის, ადამიანების, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. გარდა ამისა, ტრანსპორტი და საერთო აგრარული პოლიტიკა ასევე იყო ჩართული რომის ხელშეკრულებაში მოხსენებულ პოლიტიკურ მიმართულებებს შორის.

ორმოცდაათიან წლებში **საფრანგეთს ჰქონდა დიდი აგრარული სექტორი**, რომელიც
მუდმივ სუბსიდირებას მოითხოვდა. შესაბამისად, საფრანგეთის ინტერესში იყო დაცული ბაზრის არსებობა. გერმანიასაც გააჩნდა დაცული ბაზარი, რომელიც აგრარული სექტორის სუბსიდირებას ახდენდა, ამიტომ ეს ორი ქვეყანა უპრობლემოდ თანხმდებოდა იმაზე, რომ თავისუფალი ბაზრის პრინციპების შემოტანა აგრარულ ბაზარში მოიტანდა სავალალო სოციალურ და ეკონომიკურ შედეგებს. პრობლემა ის იყო, რომ თუ აგრარულ სექტორში იარსებებდა თავისუფალი ბაზარი, რეალურად გამოვიდოდა **კონკურსი რომელი მთავრობა უფრო მეტს გადაიხდიდა** თავისი აგრარული სექტორისთვის, რაც არც ერთ სახელმწიფოს არ აწყობდა. მეორეს მხრივ, აუცილებელი იყო აგრარულ პროდუქციაზე **ფასების ეკვალიზაცია**, რომ მომხდარიყო სამრეწველო პროდუქტებში ჭეშმარიტი კონკურენციის პირობების შექმნა. ლოგიკა შემდეგი იყო: მაღალი ფასები განაპირობებდა მაღალ ხელფასებს, რაც თავის მხრივ განაპირობებდა სამრეწველო წარმოების ხარჯების ზრდას.

ანალოგიური ლოგიკით მოხდებოდა **ენერგიის ღირებულების და გადასახადების სისტემის ეკვალიზაცია**. გერმანიას ეს აწყობდა, რადგან გადასახადები და ენერგიის წარმოების ღირებულება გერმანიაში დაბალი იყო, ფასები კი მაღალი, რადგან ფერმერებს დიდი პოლიტიკური გავლენა გააჩნდათ. ასე რომ ამ საკითხზე კონსენსუსი გერმანიას და საფრანგეთს შორის მიღწეულ იქნა.

საფრანგეთს სურდა **ინდუსტრიული ზრდის შენარჩუნება**, ისე რომ არ დაეკარგა
აგრარულ სექტორში დასაქმებული ელექტორატი. აქედან კონსენსუსი — **ფრანგებმა მიიღეს სუბსიდია**, რომ შეენარჩუნებინათ სოფლის მოსახლეობა, ხოლო **გერმანიამ მიიღო საკვების ფასების ეკვალიზაცია** მთელ
ბაზარზე.

გერმანია უკმაყოფილო იყო ექსპორტის სუბსიდირებაზე, რადგან არ სურდა დაეკარგა თავისი ექსპორტ პოზიციები არგენტინასთან. ანუ, თუ არ შემოიტანდა არგენტინულ ხორცს და სხვა საკვებ პროდუქტებს, ეს ცუდად იმოქმედებდა მის ექსპორტზეც არგენტინასთან. შესაბამისად არ სურდა ევროპული ნაწარმის შემოსვლა. აქ როლი ითამაშა ნიდერლანდების და საფრანგეთის ერთობამ. გერმანიამ დათმო, რადგან არ სურდა გაებრაზებინა პატარა ქვეყნები და აღედგინა ტრადიციული შუღლი ევროპის სხვა სახელმწიფოებთან.

საპ-ის თავდაპირველი იდეა იყო ფასების შენარჩუნება ბაზარში ჩარევით, ისე რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ყველა ფერმერის და აგრარულ სექტორში დასაქმებული პირის ინტერესები.

პირველ წლებში ყოველ წელს მინისტრების შეხვედრაზე თანხმდებოდა ფასები, ანუ მინიმალური ფასი, რომლადაც უნდა გაყიდულიყო ესა თუ ის პროდუქცია. **კომისიის ჩარევის შედეგად** ხდებოდა ფასების რეგულირება, რას იმას ნიშნავდა, რომ კომისიას შეეძლო ან შეესყიდა ან გაეყიდა პროდუქცია, იმისათვის, რომ დაერეგულირებინა ფასები. თუ ფასები ძალიან ვარდებოდა კომისია გაყიდდა შესყიდულ პროდუქტს და ფასი დარეგულირდებოდა. ამგვარი პოლიტიკა დასაწყისში წარმოადგენდა უდიდეს სტიმულს სოლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის.

ევროგაერთიანებებში ამგვარი პოლიტიკის შედეგად გაჩნდა საკვების მთები და ღვინის ტბები (**ოოდ ოუნტაინს ანდ ჭინე აკეს**), რომლებიც წარმოიშვა იმის შედეგად, რომ კომისია მუდმივად ყიდულობდა სასოფლო პროდქციას, რათა ფასი აეწია და მწარმოებლებისათვის ზარალი შეემცირებინა. საბოლოოდ, იმის გამო, რომ ნაჭარბი პროდუქცია ძალიან დიდი იყო და კომისიამ აღარ იცოდა როგორ გაერთვა თავი ამდენი პროდუქტის შენახვისთვის, კომისიამ მოძებნა გამოსავალი და დაიწყო ექსპორტის სუბსიდირება. ექსპორტის სუბსიდირება ნიშნავდა, რომ ევროკომისია უხდიდა სხვაობას მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასს და ევროკავშირში არსებულ ფასს შორის

მწარმოებლებს, რითაც საშუალებას აძლებდა მათ, გაეტანათ პროდუქტები მსოფლიო ბაზარზე შედარებით დაბალ, დემპინგურ ფასებში. ასეთი პოლიტიკა იწვევდა მსხვილი ექსპორტიორი ქვეყნების, განსაკუთრებით კი, ამერიკის შეერთებული შტატების გაღიზიანებას.

აგრარული საკითხების კომისრის **სიკო მენსჰოლტის** შეხედულება ამ პრობლემასთან დაკავშირებით საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის რეფორმებს, რომლებიც დაიწყო 70-იან წლებში, მაგრამ ბოლომდე დღეისთვისაც არ განხორციელებულა. მანსჰოლტის აზრით, აუცილებელი იყო ნელ-ნელა გადასვლა ფასების მხარდაჭერის სისტემიდან ფერმების ინდუსტრიალიზაციისა და მათი ეფექტურობის გაზრდისკენ. ამის შედეგად მოხდებოდა ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნება და კომისიისთვის ძალიან მძიმე ფინანსური ტვირთის მოცილება.

მანსჰოლტის გეგმა და სოფლის მეურნეობის გარდაქმნა:

1967 წლის ოქტომბერში საბჭომ სთხოვა კომისიას რომ შეესწავლა და გამოსავალი

ეპოვნა აგრარული პოლიტიკის დაფინანსების შედეგად არსებული მძიმე ფინანსური სიტუაციიდან. ფასების მხარდაჭერის სისტემა მთავრობებს ძალიან ძვირი უჯდებოდათ, შესაბამისად პოლიტიკური ნება რეფორმასთან დაკავშირებით პრაქტიკულად მომწიფებული იყო. 1967 წელს გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტი დაეცა 2 პროცენტით. 1968 წელს საფრანგეთში შემოვიდა **ვიდალის გეგმა**, რომელიც ასევე ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის გარდაქმნას.

1968 წელს შეიქმნა **მანსჰოლტის გეგმა**, ანუ ე.წ. **"სოფლის მეურნეობა 1980"**., რომელიც ხელს უწყობდა მცირე ფერმერებს, რომ დაეტოვებინათ მიწები და ახდენდა დიდი ამალგამაციების სუბსიდირებას. მასნჰოლტის გეგმა ასევე ითვალისწინებდა გრანტებს. პენსიებს და სხვა სახის ფინანსურ დახმარებას მათთვის, ვინც 55 წელზე მეტი ასაკის იყო. გეგმის მიხედვით ასევე უნდა მომხდარიყო ახალგაზრდების მხარდაჭერა სხვა სამსახურის მოსაძებნად. ამასთან, ისე უნდა შემცირებულიყო ფასი, რომ არაეფექტური ფერმერები იძულებულნი გამხარიყვნენ დაეტოვებინათ ფერმები. ევროპის ფერმერთა გაერთიანებამ, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ორგანიზაციამ - ჩ-მ მიიჩნია, რომ ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება ფსიქოლოგირი შეცდომა იყო, რადგან გერმანელი და ფრანგი ფერმერები ერთმანეთს გადაამტერა. ბუნებრივია, რომ გერმანელი ან ფრანგი ფერმერი, რომლებიც სამუშაოს კარგავდნენ, მთავარ დამნაშავედ ამაში სხვა სახელმწიფოს ფერმერებს ხედავდნენ.

იმ დროს ძალიან აქტუალური და პოპულარული გახდა ლოზუნგი "გადაარჩინე ოჯახის ფერმა" (შავე ტჰე ამილყ არმ). ეს იყო ლოზუნგი, რომელიც ნიშნავდა, რომ ფერმერები ითხოვდნენ დამატებითი შემოსავლის შენარჩუნებას.

საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლს მოსწონდა მანსჰოლტის გეგმა, მაგრამ მოითხოვდა, რომ მისი შესრულება ყოფილიყო მთავრობის და არა კომისიის ხელში. ამით დე გოლს სურდა უზრუნველეყო საფრანგეთის კონტროლი გეგმის განხორციელებაზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა თუ გეგმის განხორციელებას კომისია შეუდგებოდა. ეს იყო ნათელი გამოვლინება დე გოლის რეალისტური, სუვერენიტეტის შენარჩუნებაზე ორიენ-ტირებული პოლიტიკისა, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის გაძლიერებისკენ.

მასნჰოლტის გეგმას ასევე მოჰყვა წინააღმდეგობა გერმანიის მხრიდან: გერმანიაში 1969 წელს არჩევნები იყო დაგეგმილი, რაც გამორიცხავდა მთავრობის მხრიდან საოფლის მეურნეობის რეფორმის გატარებას, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევდა სამუშაო ადგილების დაკარგვას, რაც მთავრობას არ სურდა არჩევნების წინა პერიოდში. შარლ დე გოლს ეს პრობლემა აღარ ჰქონდა, რადგან საფრანგეთში არჩევნები უკვე ჩატარებული იყო და პოზიციის შეცვლა სოფლის მეურნეობის რეფორმასთან დაკავშირებით მტკივ-ნეულად არ იმოქმედებდა პოლიტიკურ სიტუაციაზე. გერმანიის მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ არ სურდა აგრარული რეფორმის სასწრაფოდ განხორციელება, მაინც მოსურნე იყო რგორღაც მოეგვარებინა "ღვინის მდინარეების და კარაქის მთების" პრობლემა, რადგან 60-იანი წლებისთვის ევროგაერთიანების ბიუჯეტში ყველაზე მეტ თანხებს გერმანია იხდიდა, ამ ფულის უდიდესი ნაწილი კი აგრარული ბაზრის რეგუ- ლირებისთვის იხარჯებოდა. ამიტომ გერმანიამ წამოაყენა ალტერნატიული ვარიანტი, სადაც გათვალისწინებული იყო შესყიდვის ინტერვენციის დროს კვოტების დაწესება, რათა არ მომხდარიყო დიდი რაოდენობით პროდუქციის შესყიდვა და გაერთიანების ფინანსური

სახსრების ფლანგვა.

სიკო მანსჰოლტს იმედი ჰქონდა, რომ აგრარული პოლიტიკის რეფორმირების საკითხში ბრიტანელებს მიიმხრობდა და გაფართოების ერთ-ერთ პირობად ბრიტანეთი საპ-ის გარდაქმნას დაასახელებდა, მაგრამ დიდ ბრიტანეთს ისე ძალიან სურდა ევროგაერთიანებებში შესვლა, რომ ეს არ გააკეთა. 1971 წლის სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭოს, რომელზეც მანჰოლტმა თავისი გეგმა წამოაყენა, მოჰყვა დიდი არეულობები და 80.000-იანი დემონსტრაცია, რომელზეც ფერმერები მათი უფლებების დაცვას ითხოვდნენ. მანსჰოლტის თავხედობამ და გადაწყვეტილებამ მაინც გაეტანა განსახილველად საკითხი, რომელიც აშკარად არ სარგებლობდა პოპულარობით ევროპულ სახელმწიფოებს შორის ძალიან ცუდად იმოქმედა მანსჰოლტის მომავალ კარიერაზე. ამ საკითხმა განსაკუთრებით განარისხა საფრანგეთი, რომელმაც მტკივნე- ულად მიიღო კომისიის მხრიდან ეროვნული სუვერენიტეტის მორიგი მცდელობა სიკო. მანსჰოლტი გადადგა შემდეგ წელს, თუმცა შემდეგ იგი ამბობდა, რომ მისი იდეები აგრარული რეფორმის შესახებ იყო "წარმატებული დასაწყისი". საფრანგეთმა მიაღწის იმას, რომ რეფორმა დაიწყო ნელა, ბევრი თანხები არ დაიხარჯა რესტრუქტურიზაციაზე და რეფორმის იმპლემენტაცია აღმოჩნდა ეროვნული მთავრობების ხელში.

70-იან წლებში მსოფლიოში აგრარულ პროდუქციაზე ფასები გაიზრდას, რამაც აზრი დაუკარგა ფასების შემცირებას ევროგაერთიანებაში. ამის მიზეზი იყო ცუდი ამინდები, ცუდი მოსავალი და მსოფლიო მოთხოვნის გაზრდა. შემდეგ დაიწყო ნავთობის კრიზისი, რამაც გამოიწვია უმუშევრობის ზრდა, შესაბამისად, მანსჰოლტის იდეამ, რომ ფერ-მერებს დაეტოვებინათ თავიანთი სამუშაო ადგილები და სხვა სფეროებში დასაქმე-ბულიყვნენ აზრი დაკარგა. ამის გამო, მანსჰოლტის გეგმა 70-იან წლებში დავიწყებას მიეცა.

სოფლის მეურნეობა 1970-იან წლებში.

პრობლემა ბრიტანეთსა და გერმანიაში.

70-იანი წლების რეცესიამ გამოიწვია ის, რომ გერმანია ყველაზე მეტს იხდიდა ევროგაერთიანების ბიუჯეტში, თუმცა გაცილებით ნაკლები შემოსავალი გააჩნდა ევროგაერთიანების პროგრამებისა და პოლიტიკური მიმართულებებისგან, რადგან ამ პერიოდში გერმანიაში მკვეთრად შემცირდა გადასახადები. ასევე, გერმანიას დიდი დანახარჯები ჰქონდა ქვეყნის შიგნით გაზრდილი სოციალური შეღავათების გამო. 1974 წელს, როდესაც შმიდტი გახდა დასავლეთ გერმანიის კანცლერი, მან ვეტო დაადო ფერმების ფასების შეთანხმებას, რომელსაც სოფლის მეურნეობის მინისტრმა იოზეფ ერტლმა ხელი მოაწერა. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ შმიდტმა ვეტო გააუქმა, მისი კანცლერობის დროს დასავლეთ გერმანიას არასოდეს მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მეურნეობის რეფორმისთვის.

ევროგაერთიანებაში შესვლისთანავე სოფლის მეურნეობის სფეროში რეფორმირების ლიდერომა ხელთ იგდო დიდმა ბრიტანეთმა. ეს დაკავშირებული იყო იმასთან, რომ დიდი

ბრიტანეთი დიდ ფულს კარგავდა საერთო აგრარული პოლიტიკის გამო, რადგან დიდი ბრიტანეთის აგრარული პროდუქციის იმპორტი ძირითადად სხვა ქვეყნებიდან იყო. ამის გამო, დიდ ბრიტანეთს სურდა აგრარული პოლიტიკის დაფინანსების სისტემის შეცვლა, რათა ბრიტანელი გადასახადების გადამხდელების მიერ ევროგაერთიანების ბიუჯეტში შეტანილი ფული არ დახარჯულიყო ისეთი ინიციატივებზე და პოლიტიკაზე, რომელსაც დიდი ბრიტანეთისთვის მოგება არ მოჰქონდა. ამ პრობლემის გადაჭრის მეორე გზა, შეიძლება მისაღებიც ყოფილიყო სხვა ქვეყნებისთვის, მაგრამ არა ბრიტანეთისათვის. საქმე იმაშია, რომ ბრიტანეთის დანაკარგის ანაზღაურება შეიძლება კომპენსირებულიყო, თუ მოხდებოდა საერთო ბიუჯეტის გაზრდა და ამის ხარჯზე ბრიტანეთისათვის სხვა სფეროებში დაფინანსების გაზრდა. ამ მიდგომასთამ დაკავშირებით პრობლემა ის იყო, რომ დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულ მთავრობას ბიუჯეტის გაზრდის და ახალი პროგრამების დაწყების გაგონებაც კი არ სურდა, რადგან ეს "გადაღვრად" ჩაითვლებოდა და ბრიტანეთის ტრადიციულ სუვერენიტეტს შელახავდა.

გარდა ზემოთ ნახსენებისა, იყო კიდევ ერთი პრობლემა, რის გამოც დიდი ბრიტანეთი ვერ ახერხებდა საკითხის მკვეთრად დაყენებას. საქმე იმაშია, რომ სოფლის მეურნეობის რეფორმირებისადმი გერმანიის ორჭოფული და დანიის და ირლანდიის მკვეთრად უარყოფითი პოზიციების გამო დიდი ბრიტანეთი ვერ მოახერხებდა გაერთიანებაში მხარდამჭერების მოპოვებას. სხვათა შორის, ანალოგიური არჩევანის წინაშე იდგა მარგარეტ ტეთჩერის მთავრობაც რამდენიმე წლის შემდეგ და ტეთჩერიც წინააღმდეგი იყო დიდი ბრიტანეთის დანახარჯების დაბალანსებისა ევროგაერთიანების საერთო ბიუჯეტის ზრდის ხარჯზე. განსხვავება უბრალოდ ის იყო, რომ ტეთჩერს, გარდა პოლიტიკური არგუმენტისა, ეკონომიკური არგუმენტიც გააჩნდა, რაც განპირობებულიი იყო ტეთჩერის ეკონომიკური დოქტრინით, რაც საბიუჯეტო დანახარჯების მკვეთრ შემცირებას ითვალისწინებდა.

საერთო აგრარული პოლიტიკა 1980-იან წლებში

1980-იანი წლების დასაწყისში საპ-ის ფასი ძალზედ გაიზარდა, რამაც დღის წესრიგში კიდევ ერთხელ დააყენა რეფორმირების აუცილებლობა. სწორედ ამის შედეგად, 1980-იან წლებში ევროგაერთიანებებში საერთო აგრარულ პოლიტიკაში განხორციელდა ორი რეფორმა. 1974-79 წლებში საპ-ის ფასი (დაფინანსება გაერთიანების მხრიდან) გაიზარდა 23 პროცენტით, მაშინ როდესაც შემოსავლები იგივე პერიოდის განმავლობაში მხოლოდ 10 პროცენტით გაიზარდა. 1980-82 წლებში აგრარულ პროდუქციაზე ფასების მეტ-ნაკლები სტაბილიზაცია მოხდა, რაც გამოწვეული იყო დოლარის დიდი ღირებულებით, რამაც, თავაც მხრივ, გამოიწვია საკვებზე მსოფლიო ფასების გაზრდა, შესაბამისად შემცირდა ექსპორტის სუბსიდირების ხარჯები და ინტერვენციის შესყიდვების საჭიროება.

1983 წელს, როდესაც დოლარის კურსი კვლავ დაეცა საპ-ის ფასი ისევ გაიზარდა, ამჯერად - 30 პროცენტით. ამ პერიოდისათვის გაერთიანების ბიუჯეტმა მიაღწია ლიმიტს, როდესაც მას უკვე აღარ შეეძლო დაეფინანსებინა საკუთარი ბიუჯეტიდან აგრარული პოლიტიკა და ფასების მხარდაჭერის სისტემა. შესაბამისად, ცხადი გახდა, რომ

კონსენსუსი აუცილებელი იყო რეფორმების გასატარებლად.

1984 წლის რეფორმა: ევროგაერთიანების სახელმწიფოები შეთანხდნენ 1984 წლიდან რამდენიმე რეფორმის გატარებაზე: დაწესდა კვოტები რძის პროდუქტებზე და საბიუჯეტო დისციპლინის წესები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბიუჯეტი უნდა განსაზღვრულიყო წინასწარ და მხოლოდ შემდეგ უნდა განსაღვრულიყო აგრარული სექტორის ბიუჯეტი, რომ გადახარჯვა არ მომხდარიყო. აღსანიშნავია, რომ ამ სისტემამ არ იმოქმედა. 1985-87 წლებში 18 პროცენტით გაიზარდა საპ-ის დაფინანსება. ამ დროს ფასები მეტ-ნაკლებად დარეგულირებული იყო რძის პროდუქტებზე, განსხვავებით სხვა აგრარული პროდუქციისაგან. ამავე დროს გაერთიანების პრობლემებს თან დაერთო გაფართოება და მასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც საბოლოო ჯამში გაერთიანების 1987 წლის ბიუჯეტზე 4-5 მილიონი ეკიუს დეფიციტით აისახა.

ეკოლოგიური ზეწოლა

1980-იანი წლებიდან ევროგაერთიანებებში ეკოლოგიური პრობლემები გაჩნდა. აგრარულ პროდუქტებზე ფასების ზრდამ განაპირობა სასუქების რაოდენობის ზრდა. ამან გამოიწვია მოსახლეობაში სიმპათიის შემცირება საპ-ის მიმართ, რამაც, თავის მხრივ, გააიოლა რეფორმის განხორციელება.

გადმოღვრა საერთო ბაზრის პროგრამიდან

1985 წელს ევროკომისიის ინიციატივით და ძალისხმევით გაერთიანების სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ 1992 წლისთვის საერთო ბაზარი საბოლოოდ უნდა დასრულებულიყო. ამავდროულად, გაერთიანების ახალი სახელმწიფოები - ესპანეთი, საბერძნეთი და პორტუგალია მოითხოვდნენ სტრუქტურული ფონდების გაზრდას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსურად ზარალდებოდნენ, რადგან ევროგაერთიანების ბიუჯეტიდან შედარებით მცირე თანხებს იღებდნენ. შესაბამისად, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ 1992 წლისთვის გაორმაგებულიყო სტრუქტურული ფონდების მოცულობა. ამ ყველაფერს აზრი ეკარგებოდა, აგრარული პოლიტიკის რეფორმის გარეშე, რადგან აგრარული სექტორის დაფინანსების ფაზობრივი შემცირების გარეშე, ევროგაერთიანების ბიუჯეტი ვერ აუდიოდა სხვა პროგრამების დაფინანსებას, ამიტომ პოლიტიკური ნება აგრარული სექტორის გარდაქმნასთან დაკავშირებით 80-იანი წლების ბოლოსთვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა. ეს საკითხი მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ ევროგაერთიანებამ სერიოზულად დაისახა მიზნად 1992 წლისთვის საერთო ბაზრის შექმნა.

საგარეო ზეწოლა

1986 წლის ურუგვაის რაუნდისთვის ევროგაერთიანების სახელმწიფოებმა დაიწყეს პაკეტის შემუშავება, რომელიც ხელს შეუშლიდა გაერთიანების აგრარული პროდუქტის

დემპინგს მსოფლიო ბაზარზე. ამ რეფორმება გამოიწვია ზემოთ აღნიშნული 1984 წლის რეფორმები (რძის პროდუქტებზე კვოტების დაწესება და საბიუჯეტო დისციპლინის შემოღება), თუმცა ამას დიდი გავლენა არ ჰქონია მსოფლიო ბაზარზე, რადგან წინადადება შეიმუშავა VI-მა და კომისიამ, ხოლო საბჭოს სხდომაზე მონაწილეობდნენ მინისტრები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო ინტერესთა ჯგუფების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. აქედან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ კომისიის მცდელობა გადაჭრილ იქნეს ესა თუ ის პრობლემა გაერთიანებაში, შეიძლება სრული წარუმატებლობით დასრულდეს, თუ მინისტრებზე არის კომისიის იდეებთან დაპირისპირებული ჯგუფების გავლენა.

1988 წლის სტაბილიზატორი რეფორმის პაკეტი:

1987 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმის შესახევ ორ დონეზე — ევროპულ და საერთაშორისო ასპარეზზე. საერთაშორისო მასშტაბით 1987 წელს მიმდინარეობდა ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებები, ხოლო ევროპის მასშტაბით გააქტიურდა აგრარული პოლიტიკის შიდა რეფორმის გატარების საკითხი. ორივე ამ პროცესს განაპირობებდა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოება და, შესაბამისად, დანახარჯების საოცარი ზრდა, რაც, თავის მხრივ, იწვევდა მსოფლიო ბაზარზე აშშ-ის და ევროგაერთიანების ექსპანსიონისტური აგრარული პოლიტიკების შეჯახებას: აქ ჩვენ შევხედავთ, თუ როგორ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები აგრარული პოლიტიკის რეფორმის გარშემო 1988 წელს და დავეყრდნობით ან პატერსონის “სამმაგი თამაშების” და რობერტ პუტნამის “ორმაგი თამაშების” თეორიებს. ორმაგი თამაშების თეორია ხსნის მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს ორ დონეზე კონცენტრირებით. პირველი დონე, არის ქვეყნებს შორის მიმდინარე მოლაპარაკებები, ანუ საერთაშორისო ასპარეზე, ხოლო მეორე დონე აღნიშნავს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესებს. ან პატერსონის შემთხვევაში პირველ დონეს წარმოადგენს ევროგაერთიანებას და აშშ-ს შორის მიმდინარე მილაპარაკებები ურუგვაის რაუნდის ეგიდის ქვეს, მეორე დონეა — ევროგაერთიანების შიგნით მიმდინარე მოლაპარაკებები, ხოლო მესამე დონე კი ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესს აღნიშნავს.

პირველი დონის შეთანხმებები 1988 წელს

1986 წელს არც ევროპას და არც აშშ-ს საკუთარი პოზიციები ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული რეფორმასთან დაკავშირებით. თავდაპირველად თთ-ის (ენერალ გრეემენტ ონ თრადე ანდ თარიფფს) მოლაპარაკებებში აგრარული პოლიტიკა არ იყო ჩართული, თუმცა კრიზისამდე მისულმა სიტუაციამ აიძულა ევროპის ქვეყნები რომ გადაწყვეტი- ლებისთვის გადაეხედათ და აგრარული პოლიტიკა პაკეტში ჩაერთოთ. ამერიკას სჯე- როდა, რომ ევროპული სოფლის მეურნეობის სრული რეფორმა, ანუ ფასების მხარდაჭერის სისტემის გაუქმება შესაძლებელი იქნებოდა 2-3 წელიწადში. აშშ-ის მიერ შემოთავაზებული ზერო-2000 პროგრამის მიხედვით კი ყველა სუბსიდია უნდა

აღმოფხვრილიყო 2000 წლისთვის. ევროპის პოზიცია ამ შემთხვევაში ცალსახა იყო — ევროპულ სახელმწიფოებს და ასევე აშშ-ს უნდა გაეყინათ სუბსიდიები იმ მომენტისათვის არსებულ დონეებზე, რაც ნიშნავდა მსოფლიო ბაზარზე სტატუს კვოს შენარჩუნებას. პოზიციების მკვეთრი განსხვავების გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა.

მეორე დონის შეთანხმებები 1988 წელს

1988 წლისთვის საპ-ის რეფორმა აუცილებელი გახდა, რადგან დანახარჯები კატასტროფულად გაიზარდა. 1986 წლისთვის ბიუჯეტის ხარჯვითმა ნაწილმა შეადგინა 59 მილიარდ ეკიუ. 1984 წლის ფონტენბლუს შეთანხმებამ შეამცირა აგრარული დანახარჯების ზრდა 2 პროცენტამდე, თუმცა ზრდის პარამეტრი მაინც 18 პროცენტამდე იზრდებოდა ყოველწლიურად. ეს პრობლემა თითქოს მოგვარდა საბიუჯეტო წესრიგის შემოღებით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველი შვიდი წლით ისაზღვრებოდა ევროგაერთიანების ბიუჯეტი, ხოლო შვიდწლიანი ხარჯვითი პარამეტრის შიგნით დგინდებოდა ე.წ. ყოველწლიური ხარჯვითი გეგმა. ეს გაკეთდა იმისათვის, რომ არ აწეულიყო საერთო აგრარული პოლიტიკის დანახარჯები და მისი არაპროპორციული ზრდის გამო არ დაზარალებულიყო მთლიანად გაერთიანება. 1987 წელს ჭკვიანური ბუღალტრული აღრიცხვებით მოგვარდა წინა წლის საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემა, თუმცა ნათელი გახდა, რომ საბიუჯეტო დეფიციტის დამალვას კარგი შედეგი არ მოყვებოდა, ამიტომ 1988 წლის ბიუჯეტის გადასარჩენად მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმირება და ეფექტურად ამოქმედება იყო.

მესამე დონის შეთანხმებები 1988 წელს

გერმანიაში და საფრანგეთში 1988 წელს მიმდინარეობდა არჩევნები, რომელშიც ფრანსუა მიტერანსაც და ჰელმუტ კოლსაც მხარს უჭერდნენ აგრარული სექტორების ინტერესების გამომხატველი ინტერესთა ჯგუფები. ჰელმუტ კოლს ჰქონდა ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი უარყოფითი გავლენა შეიძლებოდა ჰქონოდა არჩევნებზე არაპოპულარულ რეფორმებს. 1984 წლის რძის კვოტების შემოღების შედეგად ქრისტიან- დემოკრატებმა 700.000 ხმაზე მეტი დაკარგეს. 1985 წლისთვის ქრისტიან-დემოკრატებს უკვე დაბლოკილი ჰქონდათ მარცვლეულის ფასების შემცირების შესახებ გადაწყვეტილება, რაც იმას ნიშნავდა, რომ კოლს შიდა პოლიტიკური და გერმანიის აგრარული სექტორის ინტერესები უფრო მნიშვნელოვნად მიაჩნდა, ვიდრე ევროგაერთიანების ინტერესები.

1988 წლისთვის საფრანგეთშიც თითქმის ანალოგიური სიტუაცია იყო. 1988 წელს საფრანგეთში დაგეგმილი იყო საპრეზიდენტო არჩვენები და საუბარი იმაზე, რომ ტრადიციული სოფლის მეურნეობა, რომელიც სოციალური ეფექტის მატარებელ სექტორად ითვლებოდა, უნდა შეცვლილიყო - დამღუპველი იქნებოდა ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის. შესაბამისად, საფრანგეთიც არ იყო დიდად მოწადინებული რადიკალური რეფორმა გაეტარებინა 1988 წელს.

ბრიტანეთში შედარებით განსხვავებული სიტუაცია იყო. ტეთჩერისთვის მნიშვნელოვანი იყო სტატუს-კვოს შენარჩუნება, ან, უკეთეს შემთხვევაში, ფასების სისტემის გარდაქმნა, ისე რომ მის მიერ გადახდილი ფული არ მოხმარებოდა ბრიტანელი ფერმერების კონკურენტების განვითარებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ამასთან, სოფლის მეურნეობა არ იყო

იმდენად მნიშვნელოვანი ბრიტანეთის მთავრობისთვის, რამდენადაც საბიუჯეტო კონტრიბუციების საკითხი. ბრიტანეთს სურდა სასწრაფოდ მოეგვარებინა სოფლის მეურნეობასთან და საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებული დაპირისპირება, რათა გაადსულიყო მისთვის უფრო მნიშვნელოვან საკითხზე - საერთო ბაზრის ჩამოყალიბების დასრულებაზე. საერთო ბაზრის მოკლე ვადებში დასრულება საშუალებას აძლევდა მოგება ენახათ ბრიტანელ მრეწველებს და მომსახურების მიმწოდებლებს. შესაბამისად, ბრიტანელების ვინსეტი[1] უფრო ფართო იყო ვიდრე დანარჩენი ორის.

საბოლოო შეთანხმება: გამოსავალს 1988 წელს მიღებული დილემიდან მეტწილად განაპირობებდა ფილოსოფიური კითხვა, თუ როგორი იყო პრობლემის არსი — საფინანსო/ბიუჯეტური ხასიათის, თუ სოციალური აქცენტის მქონე. ზოგიერთი ქვეყნისთვის ამ პრობლემას მხოლოდ სოციალური დატვირთვა გააჩნდა და კომპრომისის მოძებნა მათთვის ძნელი იყო, ხოლო სხვა ქვეყნებს, მაგალითად დიდ ბრიტანეთს ამ პრობლემის მხოლოდ საბიუჯეტო ხედვა გააჩნდა. დიდმა ბრიტანეთმა შემოიტანა წინადადება შეემცირებინათ ფასები 15 %-ით, იმ შემთხვევაში, თუ ბაზარზე არსებული პროდუქცია გადააჭარბებდა დაშვებულ ზღვარს (- მაქსიმალურად გარანტირებული რაოდენობა); ამასთან დიდი ბრიტანეთი ითხოვდა დაწესებულიყო ე.წ. თანაპასუხისმგებ- ლობის გადასახადი (ცორესპონსიბილიტყ ლევყ), რომელიც უნდა გადაეხადა ფერმერს, თუ ის დასაშვებზე მეტ რაოდენობა პროდუქციას აწარმოებდა. ამ გადასახადის მიზანი იყო გაეიოლებინა შენახვის და ექსპორტის სუბსიდიის ხარჯები. მაქსიმალურად გარანტირებული რაოდენობა ბურღულეულზე დაწესდა 155 მილიონი მეტრული ტონა (ეს რაოდენობა შერჩეულ იქნა იმის გამო, რომ 1987 წელს სწორედ 155 მილიონი ტონა ბურღულეული იქნა ნაწარმოები).

საფრანგეთი და გერმანია ბოლომდე არ ეთანხმებოდნენ ამ წინადადებას. მათი აზრით, მისაღები იყო ფასის მხოლოდ 3 %-იანი შემცირება, ხოლო კვოტის განსაზღვრა 165 მილიონი მეტრული ტონით.

გადაწყვეტილების მიღების სასწრაფოობაზე მეტყველებდა ისიც, რომ ბრიტანეთი და ჰოლანდია უარს ამბობენ გაეგრძელებინათ ევროგაერთიანების ბიუჯეტის დაფინანსება, თუ არ მოგვარდებოდა საერთო აგრარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ ორი ქვეყნის ხისტი პოზიციის გამო 1988 წლის ბიუჯეტი ვერ შეთანხმდა, რის გამოც კომისიამ მინისტრთა საბჭოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა მართლმსაჯულების სასამართლოში. მინისტრთა საბჭომ საბოლოოდ მოახერხა ბიუჯეტის დამტკიცება, მანამ სანამ მართლმსაჯულების სასამართლო მის გამამტყუნებელ ვერდიქტს გამოიტანდა. საბჭოს მიერ ბიუჯეტის მიღება და აგრარული პოლიტიკის რეფორმასთან დაკავშირებით კომპრომისის მოძებნა განაპირობა 1988 წლის იანვრიდან გერმანიის გაპრეზიდენტებამ.

[1] წინსეტ, ანუ ვინსეტი, არის ტერმინი, რომელიც შემოიტანა რობერტ პუტნამმა. ეს ტერმინი აღნიშნავს საერთაშორისო დონეზე მიმდინარე მოლაპარაკებისას ამა თუ იმ მთავრობის ხელთ არსებუ- ლი იმ შესაძლო შეთანხმებების ერთობლიობას, რომლებიც მოწონებული იქნება ქვეყნის შიგნით.

გაპრეზიდენტების შემდეგ გერმანია წავიდა დათმობაზე, რადგან სურდა საკუთარი პრეზიდენტობის დროს მიეღწია შეთანხმებისთვის და, შესაბამისად, აემაღლებინა საკუთარი პრესტიჟი.

საბოლოოდ მიღწეულ იქნა შემდეგი შეთანხმება: დაწესდა, რომ ფასების 3 %-იანი შემცირება უნდა მომხდარიყო მხოლოდ მაშინ, თუ წარმოება გადააჭარბებდა 160 მილიონ ტონას. გერმანიამ გადაწყვიტა 5 მილიარდი ეკიუთი მეტი გადაეხადა ევროგაერთიანების ბიუჯეტში რათა ეს გადაწყვეტილება ფინანსურად გაემაგრებინა. დიდმა ბრიტანეთმა მიაღწია ფასის შემცირებას და დამატებით გადასახადს, თანაც არა საკუთარი საბიუჯეტო დანახარჯების, არამედ გერმანიის ფულის ხარჯზე. რაც შეეხება ხმელთაშუაღვისპირეთის ქვეყნებს — პორტუგალიას, ესპანეთს და საბერძნეთს, მათ მიიღეს გაზრდილი დახმარება სტრუქტურული ფონდებისგან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება განაპირობა ე.წ. შეუთანხმებლობის დანახარჯმა, (ნო აგრეემენტ ცოსტს), რომელიც ძალიან გაიზარდა მას შემდეგ, რაც ვერ იქნა მიებული წლიური ბიუჯეტი, გერმანიის პრესტიჟი დადგა სასწორზე და საბჭოს წინააღმდეგ დაიწყო საქმე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში.

საერთო აგრარული პოლიტიკა 1990-იან წლებში

მაკშარის რეფორმა:

მომდევნო რეფორმა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმად ითვლება საერთო აგრარული პოლიტიკის ისტორიაში, იყო 1992 წელს განხორციელებული მაკშარის რეფორმა. ამ რეფორმამ სახელი მიიღო დელორის კომისიაში სოფლის მეურნეობის კომისრის რეი მაკშერის სახელისგან. 1992 წელს ევროგაერთიანების სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ბურღულეულზე გარანტირებული ფასები შეემცირებინათ 29 %-ით მომდევნო სამ წელიწადში და ასევე მოეხდინათ სხვა აგრარული ნაწარმის ფასების შემცირება. ამავდროულად, დაიწყო პარალელური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და ხელს უწობდა ადრე პენსიაზე გასვლას, რეფორესტაციას და ფერმინგის უფრო ორგანული ფორმების განვითარებას.

1992 წლის რეფორმაზე გავლენა მოახდინა შემდეგმა საგარეო ფაქტორებმა:

- გაიზარდა ევროგაერთიანების საბიუჯეტო დანახარჯები; ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მსოფლიო ბაზარზე დაეცა დოლარის ფასი, შესაბამისად, დაეცა მსოფლიო ფასებიც, რამაც იძულებული გახადა ევროგაერთიანება გაეზარდა ექსპორტის სუბსიდირება;

- გადამეტებული წარმოების პრობლემა გაიზარდა, რადგან გერმანიის გაერთიანების შემდეგ დასავლეთ გერმანიას დაემატა მარცვლეულის და რძის პროდუქტების მწარმოებელი აღმოსავლეთ გერმანია;

- დემოკრატიის და კაპიტალიზმის განვითარება აღმოსავლეთ ევროპაში პრიორიტეტულად იქცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, თუმცა ამ პრიორიტეტის წარმატებით შესრულებისთვის მთავარ ბარიერს წარმოადგენდა საერთო აგრარული პოლიტიკა. საქმე იმაშია, რომ აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებს შეეძლოთ მხოლოდ აგრარული პროდუქტების ექსპორტი, რაც შეუძლებელი ხდებოდა საერთო აგრარული პოლიტიკის პირობებში;

- 1992 წელს ურუგვაის რაუნდმა კრიტიკულ მომენტს მიაღწია. უკვე აუცილებელი იყო პაკეტში სოფლის მეურნეობის ჩართვა. თუ აქამდე ყველა სახელმწიფო მზად იყო

იგნორირება მოეხდინა სოფლის მეურნეობის საკითხებისთვის, 1992 წელს ევრო-გაერთიანება უკვე მზად იყო საერთოდ ჩაეგდო რეფორმების პაკეტი, თუ მასში სოფლის მეურნეობა არ იქნებოდა შეტანილი;

მაკშარის რეფორმების შედეგად მნიშვნელოვნა შემცირდა მარცვლეულის და ხორცის ფასი და ისინი გაუთანაბრდა მსოფლიო ფასებს. ფერმერებს აუნაზღაურეს დაკანარგები, იმ პირობით, თუ ისინი დატოვებდნენ ფერმებს და სხვა სფეროში გააგრძელებდნენ საქმიანობას. შემუშავებული იქნა ნაადრევი პენსიების სისტემა, ასევე დაიწყო ეკო-ლოგიურად სუფთა ფერმერული პრაქტიკის ხელშეწყობის პროგრამები. ევროკომისიის მაშინდელი პრეზიდენტის ჟაკ დელორის აზრით, ეს რეფორმა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მისი კარიერის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ დელორის ეპოქა კომისიის საქმიანობაში ზოგადად ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ეპოქად ითვლება.

პირველი დონის მოლაპარაკებები

ისევე როგორც 1988 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდა აგრარულ პროდუქციაზე სუბსიდიების სრული გაუქმება, რასაც კატეგორიულად ეწინაღმდეგებოდა ევროგაერთიანების სახელმწიფოები, რომლებიც, თავის მხრივ, მომხრე იყვნენ შეემცირებინათ სუბსიდიები. როგორც აშშ-ს, ისე ევროგაერთიანებას, კარგად ესმოდათ, რომ კომპრომისის გარეშე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდოდა, რაც საფრთხეს მიაყენებდა ურუგვაის რაუნდის წარმატებულობას.

საბოლოო გადაწყვეტილებაზე დიდი გავლენა მოახდინა, როგორც ევროპის შიგნით მიმდინარე მოვლენებმა, ისე აშშ-ში მიმდინარე პროცესებმა. 1993 წლისთვის აშშ-ში იცვლებოდა მთავრობა, რადგან ჯორჯ ბუში დამარცხდა საპრეზიდენტო არჩევნებში ბილ კლინტონთან. ბუშის ადმინისტრაციის მუშაობის დასრულებამდე ხელშეკრულების ვერ მიღწევის შემთხვევაში პროცესი კიდევ უფრო გაჭიანურებოდა, რადგან ბუშის ადმინისტრა-ციას გააჩნდა, ე.წ. ფასტ ტრაცკ მოლააპრაკებების წარმოების უფლება. ასტ თრაცკ არის პროცესი, როდესაც კონგრესი ანიჭებს მთავრობას საგანგებო შემთხვევაში სასწრაფო მოლაპარაკების უფლებას და თავისთვის მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება/არმიღების უფლე- ბას იტოვებს. მოლაპარაკების წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში დიდი იყო რისკი, რომ აშშ კონგრესი არ მისცემდა ანალოგიურ უფლებას კლინტონის ადმინისტრაციას. შესა- ბამისად, ორივე მხარე დაინტერესებული იყო უმოკლედ ვადებში მიეღწია შეთანხმებისთვის.

მეორე დონის მოლაპარაკებები

1990 წლისთვის ევროგაერთიანებაში საბიუჯეტო კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა, მიუხედავად იმისა, რომ 1988 წელს მიღებული იქნა სტაბილიზაციის რეფორმები. ევროგაერთიანების დანახარჯები კვლავ იმატებდა და ზოგიერთი პროგონიზით, მომდევნო წლებში 30 %-ით მოიმატებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბიუჯეტო დანახარჯების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მსოფლიო ბაზარზე ფასების დაცემით და ევროგაერთიანების მიერ ექსპორტის სუბსიდირების გაზრდით.

გარდა ამისა, მოლაპარაკებებზე გავლენას ახდენდა ევროგაერთიანებაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესები. 1992 წელს დაგეგმილი იყო სავალუტო კავშირის შესახებ მოლაპარაკებების დაწყება და საერთო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესის ბოლომდე მიყვანა, რაც შეუძლებელი იქნებოდა აგრარული პოლიტიკის სრულყოფილი რეფორმირების გარეშე. ამავე დროს 1992 წელს კომისიაში იყო დაპირისპირება სხვადასხვა გენერალურ დირექტორატებს შორის. ყველა გენერალურ დირექტორატს სურდა თავად ყოფილიყო წარმატებული აგრარული და სხვა სახის რეფორმების ავტორი. შესაბამისად, დაპირისპირება და კომპრომისების ძიება ახასიათებდა არა მარტო ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, არამედ კომისიის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულებსაც.

1992 წლის რეფორმების მთავარი იდეა იყო ზღვრული მწარმოებლებისათვის კომპენსაციის სისტემის შემოღება და მათი თანდათანობით განდევნა ბაზრიდან. გარდა ამისა, უნდა გაზრდილიყო აგრარულის სექტორის დაფინანსება, რაც მიმართული იქნებოდა ფერმებში დასაქმებული მოსახლეობის რიცხვის შემცირებისა და სხვა სექტორებში მათი დასაქმებისკენ. ეს ნიშნავდა, რომ საერთო აგრარული პოლიტიკის დაფინანსება გაიზრდებოდა, ანუ გაიზრდებოდა საბიუჯეტო დანახარჯებიც, მაგრამ ეს ზრდა იქნებოდა უფრო ნაკლები, ვიდრე რეფორმის განხორციელების გარეშე დანახარჯების ზრდა. ასე მაგალითად, 1997 წლისთვის, გამოთვლების თანახმად, საერთო აგრარული პოლიტიკის ფასი უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე 1992 წელს, თუმცა გაცილებით ნაკლები, ვიდრე ეს რეფორმის გაუტარებლობის შემთხვევაში იმავე 1997 წელს იქნებოდა.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო ბურღულეულზე ფასების შემცირება, რასაც ჯაჭვური რეაქცია უნდა გამოეწვია. სამი წლის მანძილზე ბურღულეულის ფასები უნდა შემცირებულიყო 29 %-ით, რაც იწვევდა შინაური ცხოველების საკვების გაიაფებას, რაც, თავის მხრივ, დაწევდა ფასებს საქონლის, ღორის და ფრინველის ხორცზე, ასევე კარაქსა და პურზე.

მესამე დონის მოლაპარაკებები

1992 წლისთვის გერმანიის ეკონომიკა დასუსტებული იყო, რაც გამოწვეული იყო აღმოსავლეთ გერმანიასთან გაერთიანებით. ამავე დროს, აღმოსავლეთ გერმანიის მუშები ითხოვდნენ ხელფასების გაზრდას, მაშინ, როდესაც კოლი გეგმავდა მთელი გერმანიის მასშტაბით ანაზღაურების შემციებას. კოლის სოციალური პოლიტიკის გამო გერმანიას გადაურბინა პროტესტების დიდმა ტალღამ, რასაც გენშერის გადადგომა მოყვა.

ჰელმუტ კოლისთვის უკვე მნიშვნელოვანი იყო სოფლის მეურნეობის ახალი სისტემის შემოღება, რადგან გერმანიაში უკვე არსებობდა მსხვილი ფერმები, რომელთაც შეეძლოთ კონკურენცია გაეწიათ ფრანგული და ხმელთაშუაზღვისპირა აგრარული პროდუქციისთვის. გერმანია ასევე დათანხმდა ბურღულეულზე ფასების შემცირებას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროგაერთიანების ბიუჯეტის გაზრდილი დაფინანსება პირდაპირ იმოქმედებდა გერმანიის ბიუჯეტზე. 1990-იან წლებამდე გერმანია მზად იყო დამატებითი თანხები ეხადა საერთო აგრარული პოლიტიკის დასაფინანსებლად, თუმცა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ გერმანიასთან გაერთიანდა და ქვეყნის შიგნით რესურსები დასჭირდა, იძულებული გახდა დათანხმებოდა საპ-ის რეფორმას.

საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმას ასევე დათანხმდა საფრანგეთი შემდეგი

მიზეზების გამო:

1) მუდმივი საბიუჯეტო დეფიციტები დიდ კრიზისებს იწვევდა ევროგაერთიანების და საფრანგეთის მასშტაბით, რაც სოციალური უკმაყოფილებისთვის ნიადაგს ქმნიდა;

2) საფრანგეთს ერჩივნა ფასების შემცირება, ვიდრე კვოტების შემოღება, რადგან კვოტის შემოღება არაკონკურენტუნარიანს გახდიდა ბევრ ფრანგულ ფერმას.

საფრანგეთს კარგად ესმოდა, რომ მნიშვნელოვანი იყო რაღაც გადაწყვეილების მიღება, რადგან რეფორმის ჩავარდნის შემთხვევაში, სავარაუდოდ, მოხდებოდა აგრარულ პროდუქციაზე კვოტების დაწესება, რაც ძალიან უარყოფით გავლენას ახდენდა საფრანგეთის ფერმერების კონკურენტუნარიანობაზე.

დღის წესრიგი 2000 (გენდა 2000)

კიდევ ერთი რეფორმა საერთო აგრარულმა პოლიტიკამ განიცადა 2000 წლიდან, როდესაც მიღებული იქნა ძალიან ამბიციური პროგრამა — "დღის წესრიგი 2000", რაც ითვალისწინებდა გაერთიანების მომზადებას გაფართოებისადმი. გაფართოების დღის წესრიგში დადგომამ 90-იანი წლების შუაში კიდევ ერთხელ წამოწია საპ-ის რეფორმა, რადგან ნათელი გახდა, რომ ახალი, მეტწილად აგრარული ქვეყნების, ევროკავშირში შესვლა გამოიწვევდა გადაუჭრელ პრობლემებს.

1995 წელს გერმანიამ, საფრანგეთმა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებმა განაცხადეს, რომ არ დაუშვებდნენ ახალი ხუთი სახელმწიფოს (ჩეხეთი, პოლონეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და ბულგარეთი) აგრარული ექსპორტის წოველწლიურ 10-პროცენტიან ზრდას და მხოლოდ 5%-ზე იყვნენ ყაბულს. ამ განცხადების დაფიქსირების შემდეგ აშკარად გამოჩნდა, რომ ამ ქვეყნებს არ სურდათ თავიანთი ფერმერების გაბრაზება.

1999 წელს ევროკავშირმა მიაღწია შეთანხმება ამერიკასთან, რომ ორივე გააგრძელებდა მარცვლეულის და მესაქონლე ფერმერების სუბსიდირებას 2003 წლამდე. ეს დახმარება უნდა ყოფილიყო იმ ფერმერებისთვის, რომლებიც არ დაარღვევდნენ წარმოების და კონკურენციის წესებს. ასევე მოქმედებას იწყებდა ნაადრევი პენსიების სისტემა, მიწის გამოსყიდვა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ფერმერების რაოდენობის შემცირებისკენ.

გენდა 2000 შემუშავებული იქნა 1999 წლის 26 მარტს ბერლინის ევროპული საბჭოს მიერ. იგი წარმოადგენს სამოქმედო გეგმას, რომლის მთავარი მიზანია გაძლიერდეს გაერთიანების სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებები შეიქმნას ახალი, უფრო ეფექტური ფინანსური ინსტრუმენტი. გენდა 2000 ეხება ევროკავშირის პოლიტიკის თითქმის ყველა მიმართულებას, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით გაგრძელებული იქნა მოქმედება იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც გამოიყენეს 1988 და 1992 წლებში. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეკოლოგიურ საკითხებს. დღის წესრიგი 2000-ის მიხედვით აგრარული პოლიტიკის რეფორმა შემდეგი მთავარი საკითხების გარშემო აიგო:

- ფასების მომდევნო შემცირება;
- სოფლის განვითარების და პირდაპირი გადახდების სისტემა შენარჩუნება;.
- სოფლის განვითარების გარდაქმნა საერთო აგრარული პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენად (გახდა მეორე საყრდენი);
- სტრუქტურული და შერწყმის ფონდების ეფექტურობის ზრდა;

- გაწევრიანების წინა სტრუქტურული ინსტრუმენტის (ISპ - პრე-აცცესსიონ სტრუცტურალ ინსტრუმენტ) და გაწევრიანების წინა აგრარული ინსტრუმენტის (შღ - პრე- აცცესსიონ აგრიცულტურალ ინსტრუმენტ) სრული ამოქმედება;
- ახალი ფინანსური ინსტრუმენტის მიღება 2000-2006 წლებისთვის.

საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმის თეორიები

საინტერესო საკითხია აგრარული პოლიტიკის რეფორმების თეორიულ ჩარჩოებში მოქცევა და განზოგადების შემდეგ დასკვნების გამოტანა იმის თაობაზე, თუ რომელი ფაქტორები და მოქმედი პირები (აქტორები) უფრო მეტ გავლენას ახდენენ აგრარული პოლიტიკის რეფორმაზე. შევეხოთ ორ ასეთ თეორიულ მონახაზს — ინტერესთა ჯგუფების გავლენის თეორიას და ინსტიტუციონალურ თეორიას.

ინტერესთა ჯგუფების გავლენა საპ-ის რეფორმაზე

ეს თეორია აგებულია შემდეგი პოსტულატების გარშემო:

- ამომრჩევლები, როგორც წესი, ვერ ახდენენ თავიანთი ინტერესების ორგანიზებას. ამომრჩევლები არიან “რაციონალურად უმეცრები”. იმისათვის, რომ მოსახლეობამ, უფრო კონკრეტულად კი რაღაც საერთო საქმეში დასაქმებულმა მოსახლეობის ნაწილმა უკეთ ჩამოაყალიბოს საკუთარი ინტერესები, აუცილებელია ინტერესთა ჯგუფების არსებობა;

- ინტერესთა ჯგუფები მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ მათ ხელი მიუწვდებათ სახელმწიფო და ევროპულ ინსტიტუტებზე. სახელმწიფო და ევროპულ დონეზე ლობირებით მათ შეუძლიათ გაატარონ ის ინტერესები, რომელთაც ჩვეულებრივი ამომრჩევლები ვერ დაიცავენ;

- ინტერესთა ჯგუფი ქმნის ე.წ. *პოლიცყ ცომმუნიტყ*-ს: ამ ერთობის წევრობა შეზღუდულია, რადგან სოფლის მეურნეობის საკითხებში ექსპერტების რაოდენობა შემოიფარგლება რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტით და პროფესიული გაერთიანებით, რომლებიც ქმნიან კიდეც ამ ერთობას; პოლიცყ ცომმუნიტყ-ს წევრებს ხშირი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, რაც ამყარებს მათ შორის ურთიერთნდობას და იძლევა საშუალებას მოლაპარაკების დროს იოლად იქნეს კონსენსუსი მიღწეული;

- ინტერესთა ჯგუფებს შეუძლია ლობირება ორ დონეზე: სახელმწიფო და ევროპულ დონეებზე;

- მნიშვნელოვანია ისეთი პან-ევროპული ორგანიზაციის როლი, როგორიცაა აგრარული პროფესიონალური ორგანიზაციების კომიტეტი — (ჩ - ჩომიტე დეს რგანისატიონს როფესიონელლეს გრიცოლეს). ეს კომიტეტი ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს თავისი ექსპერტიზის და ლობირების ინსტრუმენტების სიძლიერის გამო.

ინსტიტუციური სისტემის გავლენა საპ-ის რეფორმაზე

- აგრარული პოლიტიკის სფეროში ჩართული მთავარი აქტორების ქცევას და საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმას განაპირობებს ევროკავშირის ინსტიტუციური მოწყობა. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება ინსტიტუტების და არა

ინტერესთა ჯგუფების მიერ, შესაბამისად, აგრარული პოლიტიკის რეფორმა ინსტიტუციური თეორიით უკეთ აიხსნება;

- გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანო ევროკავშირში არის სოფლის მეურნეობის მინისტრთა საბჭო. მის ქვემოთ მდებარეობს სოფლის მეურნეობის სპეციალური კომიტეტი, რომელიც დაახლოებით იგივე ფუნქციებს ასრულებს, რასაც კორეპერი სხვა საბჭოებისთვის;
- კომისია აკონტროლებს საბჭოს დღის წესრიგს; ასევე მნიშვნელოვანია კომისიის როლი რეფორმების ინიცირებისას;
- მნიშვნელოვანია ევროპული საბჭოს როლი აგრარული პოლიტიკის რეფორმირებისას. სხვადასხვა საბჭოებს შორის კოორდინაციის ნაკლებობის გამო ევროპული საბჭო 1984 და 1988 წლებში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ინსტიტუტი იყო. ევროპული საბჭოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმის გათვალისწინებით, რომ 80-იან წლებში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება, როგორიც სოფლის მეურნეობის პოლიტიკაა, შესაძლებელი იყო მხოლოდ მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების — პრეზიდენტების და მთავრობის მეთაურების მიერ;
- ამ მიმდინარეობის სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სოფლის მეურნეობის რეფორმა, როგორც წესი, იწყება კომისიაში (კანონპროექტის ინიცირება) და მთავრდება მინისტრთა საბჭოში (იღებს საბოლოო კანონს);

გარდა ინსტიტუტებისა, ცალკე შეიძლება გამოიყოს წევრი-სახელმწიფოების როლი რეფორმირების საკითხების დროს. სამთავრობათაშორისო, ანუ რეალისტური თეორიის მთავარ არგუმენტებაც შეიძლება გამოყენებული იქნეს შემდეგი ორი:

1. აგრარული პოლიტიკის ნებისმიერი რეფორმის დროს საფრანგეთის და გერმანიის ტანდემი გადამწყვეტ როლს თამაშობდა;
2. მინისტრთა და ევროპულ საბჭოებში შედიან წევრი-სახელმწიფოების წარმომადგენლები, შესაბამისად, ეს ინსტიტუტები წარმოადგენენ ეროვნული ინტერესების ჭიდილის პოლიგონს.

ინტეგრაცია ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში: ერთიანი აგრარული პოლიტიკა

ევროკავშირის სოფლის მეურნეობა საკმაოდ მრავალგვარია, რაც განისაზღვრება ცალკეულ ქვეყნებში დიდი კლიმატური სხვაობებით. ჩრდილოეთის ქვეყნები (გერმანია, ჰოლანდია, დანია, დიდი ბრიტანეთი და სხვა) საკმაოდ ინტენსიურად აწარმოებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, ძირითადად მეცხოველეობის სპეციალიზაციით. სამხრეთის ქვეყნებში შედარებით ნაკლები ინტენსიურობით მისდევენ მემცენარეობას, მეხილეობას და მევენახეობას. ევროკავშირში სოფლის მეურნეობის წილად მოდის 5%[1].

ევროკავშირი ახორციელებს ერთიან აგრარულ პოლიტიკას (EU Common agricultural policy), რომლის ფარგლებში გატარებული ღონისძიებებიც ევროკავშირის ერთიანი ბიუჯეტიდან ფინანსდება. ერთიანი აგრარული პოლიტიკის მიზნები განსაზღვრულია ევროკავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებაში. ესენია[2]:

1. **აგრარულ სექტორში შრომის პროდუქტიულობის ზრდა და ტექნიკური პროგრესის ხელშეწყობა;**
2. **სოფლის მეურნეობის პირველადი პროდუქციისა და საკვები პროდუქტების ხარისხის განუხრელი გაუმჯობესება;**
3. **შიდა და გარე ბაზრებზე ევროპული აგრარული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდა;**
4. **სოფლად ცხოვრების მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფა, მათ შორის, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდის მეშვეობით;**
5. **აგრარული პროდუქციის ბაზრების სტაბილურობის უზრუნველყოფა;**
6. **წარმოებული პროდუქციის მომხმარებლებისათვის გონივრულ ფასად მიწოდების უზრუნველყოფა.**

ევროკავშირის ერთიანი აგრარული პოლიტიკა განსაზღვრავს და არეგულირებს აგროსექტორის ოთხ ძირითად სფეროს: სოფლის მეურნეობის ბაზრისა და პროდუქტების ფასებს, მის სტრუქტურას, სოციალური სფეროსა და ლანდშაფტს. ბაზარი და პროდუქტების ფასები, ასევე ლანდშაფტის მოვლა რეგულირდება ევროკავშირის დონეზე, ხოლო სოფლის მეურნეობის სტრუქტურასა და სოციალურ სფეროს ინდივიდუალურად არეგულირებენ კავშირის წევრი სახელმწიფოები ბრიუსელთან შეთანხმებით.

საერთო აგარარული პოლიტიკა (საპ) ჩართული იყო რომის ხელშეკრულებაში მოხსენიებულ პოლიტიკურ მიმართულებებს შორის.

საერთო აგრარული პოლიტიკის თავდაპირველი იდეა იყო **ფასების შენარჩუნება ბაზარში ჩართვით** ისე, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო ყველა ფერმერის და აგრარულ სექტორში დასაქმებული პირის ინტერესები. პირველ წლებში მინისტრების ყოველწლიურ შეხვედრაზე თანხმდებოდა ფასები ანუ მინიმალური ფასი, რომლადაც უნდა გაყიდულიყო ესა

[1] ვეშაპიძე შ., ლეკაშვილი ე., გრიშიკაშვილი ა., ასლამაზიშვილი ნ. მსოფლიო ეკონომიკა თბ 2008

[2] Ali M. El-agraa The European union Economics and Policies. Eighth Edition. 2007

თუ ის პროდუქცია. კომისიის ჩარევის შედეგად ხდებოდა ფასების რეგულირება, რაც იმას ნიშნავდა, რომ კომისიას შეეძლო შეესყიდა ან გაეყიდა პროდუქცია, იმისათვის, რომ დაერეგულირებინა ფასები. თუ ფასები ძალიან ვარდებოდა, კომისია გაყიდდა შესყიდულ პროდუქტს და ფასი დარეგულირდებოდა. ამგვარი პოლიტიკა დასაწყისში წარმოადგენდა უდიდეს სტიმულს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისათვის.

ევროგაერთიანებაში ამგვარი პოლიტიკის შედეგად წარმოიქმნა ჭარბი პროდუქტი (,,კარაქის მთები და ღვინის ტბები“), რაც განაპირობა იმ გარემოებამ, რომ კომისია მუდმივად ყიდულობდა სასოფლო სამეურნეო პროდუქციას ფასის ასაწევად და ზარალის შესამცირებლად. იმის გამო, რომ კომისია ვეღარ ინახავდა ამ ნაჭარბ პროდუქციას, დაიწყო ექსპორტის სუბსიდირება. ქსპორტის სუბსიდირება კი თავის მხრივ ნიშნავდა, რომ ევროკომისია უხდიდა სხვაობას მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასსა და ევროკავშირში არსებულ ფასს შორის მწარმოებლებს, რითაც საშუალებას აძლევდა მათ, პროდუქცია გაეტანათ მსოფლიო ბაზარზე შედარებით დაბალ, დემპინგურ ფასებში. ასეთი პოლიტიკა იწვევდა მსხვილი ექპორტიორი ქვეყნების განსაკუთრებით კი, აშშ-ს გაღიზიანებას.

აგრარული საკითხების კომისრის მენსჰოლტის შეხედულება ამ პრობლემასთან დაკავშირებით საფუძვლად დაედო სოფლის მეურნეობის რეფორმებს, რომლებიც დაიწყო 70-იან წლებში. მენსჰოლტის აზრით, აუცილებელი იყო ნელ-ნელა გადასვლა **ფასების მხარდაჭერის სისტემიდან ფერმების ინდუსტრიალიზაციისა და მათი ეფექტიანობის გაზრდისკენ.** ეს კი ბაზრის სტაბილურობის შენარჩუნებას შეუწყობდა ხელს.

1967 წლის ოქტომბერში საბჭომ სთხოვა კომისიას, შეესწავლა და გამოსავალი ეპოვა აგრარული პოლიტიკის დაფინანსების შედეგად არსებული მძიმე ფინანსური სიტუაციიდან. **ფასების მხარდაჭერის სისტემა მთავრობებს ძალიან ძვირი უჯდებოდათ. შესაბამისად, პოლიტიკური ნება რეფორმასთან დაკავშირებით პრაქტიკულად მომწიფებული იყო.**

1968 წელ შეიქმნა მენსჰოლტის გეგმა, ანუ ე.წ. ,,სოფლის მეურნეობა 1980’’, რომელიც ხელს უწყობდა ფერმერებს, დაეტოვებინათ მიწები და მიეღოთ დიდი სუბსიდირებას. ეს გეგმა ასევე ითვალისწინებდა პენსიებსა და ფინანსურ დახმარებებს 55 წელზე მეტი ასაკის ადამიანებისთვის. გეგმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდების მხარდაჭერა სხვა სამსახურის მოსაძებნად. ევროპის ფერმერთა გაერთიანებამ, მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ორგანიზაციამ-COPA-მ მიიჩნია, რომ ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება ფსიქოლოგიური შეცდომა იყო, რადგან გერმანელი და ფრანგი ფერმერები ერთმანეთს გადაამტერა. ბუნებრივია, რომ გერმანელი ან ფრანგი ფერმერიები, რომლებიც სამუშაოს კარგავდნენ, მთავარ დამნაშავედ ამაში სხვა სახელმწიფოს ფერმერებს ხედავდნენ. ამ დროს პოპულარული გახდა ლოზუნგი ,,გადაარჩინე ოჯახის ფერმა’’, რომელიც ნიშნავდა, რომ ფერმერები ითხოვდნენ დამატებითი შემოსავლის შენარჩუნებას.

საფრანგეთის პრეზიდენტ შარლ დე გოლს მოსწონდა მენსჰოლტის გეგმა, მაგრამ მოითხოვდა, რომ მისი შესრულება ყოფილიყო მთავრობის და არა კომისიის ხელში. ამით დე გოლს სურდა უზრუნველეყო საფრანგეთის კონტროლი გეგმის განხორციელებაზე, რაც შეუძლებელი იქნებოდა, თუ გეგმის განხორციელებას კომისია შეუდგებოდა. მასნჰოლტის

გეგმას ასევე მოჰყვა წინააღმდეგობა გერმანიის მხრიდან: გერმანიაში 1969 წელს არჩევნები იყო დაგეგმილი, რაც გამორიცხავდა მთავრობის მხრიდან საოფლის მეურნეობის რეფორმის გატარებას, რადგან ეს აუცილებლად გამოიწვევდა სამუშაო ადგილების დაკარგვას, რაც მთავრობას არ სურდა არჩევნების წინა პერიოდში.

1970-იან წლებში მსოფლიოში აგრარულ პროდუქციაზე ფასები გაიზარდა, რამაც აზრი დაუკარგა ფასების შემცირებას ევროგაერთიანებაში. ამის მიზეზი იყო ცუდი ამინდები, ცუდი მოსავალი და მსოფლიო მოთხოვნის გაზრდა. ასევე, დაიწყო ნავთობის კრიზისი, რამაც გამოიწვია უმუშევრობის ზრდა. აქედან გამომდინარე, მანსჰოლტის იდეამ, რომ ფერმერებს დაეტოვებინათ თავიანთი სამუშაო ადგილები და სხვა სფეროებში დასაქმებულიყვნენ, აზრი დაკარგა. ამის გამო მასჰოლტის გეგმა 70-იან წლებში დავიწყებას მიეცა.

70-იანი წლების პროცესები გახდა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ გერმანია ყველაზე მეტს იხდიდა ევროკავშირის ბიუჯეტში, თუმცა ნაკლებს იღებდა. ამის ძირითადი მიზეზი იყო გერმანიაში გადასახადების შემცირება და ქვეყნის შიგნით გაზრდილ სოციალურ შეღავათებზე გაზრდილი დანახარჯები. 1974 წელს, როდესაც შმიდტი გახდა დასავლეთ გერმანიის კანცლერი, მან ვეტო დაადო ფერმების ფასების შეთანხმებას, რომელსაც სოფლის მეურნეობის მინისტრმა იოზეფ ერტლმა ხელი მოაწერა. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ შმიდტმა ვეტო გააუქმა, მისი კანცლერობის დროს დასავლეთ გერმანიას არასოდეს მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება სოფლის მეურნეობის რეფორმისთვის.

1980-იან წლებში ევროგაერთიანებაში საერთო აგრარულ პოლიტიკაში განხორციელდა ორი რეფორმა. 1974-79 წლებში საერთო აგრარული პოლიტიკის დაფინანსება გაერთიანების მხრიდან გაიზარდა 23%-ით, მაშინ როდესაც შემოსავლები იგივე პერიოდის განმავლობაში მხოლოდ 10% გაიზარდა. 1980-82 წლებში აგრარულ პროდუქციაზე ფასების მეტ-ნაკლები სტაბილიზაცია მოხდა, რაც გამოწვეული იყო დოლარის დიდი ღირებულებით, რამაც, თავაც მხრივ, გამოიწვია საკვებზე მსოფლიო ფასების გაზრდა, შესაბამისად შემცირდა ექსპორტის სუბსიდირების ხარჯები და ინტერვენციის შესყიდვების საჭიროება. 1983 წელს დოლარის კურსი კვლავ დაეცა და შესაბამისად საერთო აგრარული პოლიტიკის დაფინანსება კვლავ გაიზარდა 30 %-ით. ამ პერიოდისათვის გაერთიანების ბიუჯეტმა მიაღწია ლიმიტს, როდესაც მას უკვე აღარ შეეძლო დაეფინანსებინა საკუთარი ბიუჯეტიდან აგრარული პოლიტიკა და ფასების მხარდაჭერის სისტემა.

ევროგაერთიანების სახელმწიფოები შეთანხმდნენ 1984 წლიდან რამდენიმე რეფორმის გატარებაზე: დაწესდა კვოტები რძის პროდუქტებზე და საბიუჯეტო დისციპლინის წესები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბიუჯეტი უნდა განსაზღვრულიყო წინასწარ და მხოლოდ შემდეგ უნდა განსაზღვრულიყო აგრარული სექტორის ბიუჯეტი, რათა გადახარჯვა არ მომხდარიყო. მიუხედავად ამისა, ამ სისტემამ არ იმოქმედა. 1985-87 წლებში 18%-ით გაიზარდა ერთიანი აგრარული პოლიტიკის დაფინანსება. ამ დროს ფასები მეტ-ნაკლებად დარეგულირებული იყო რძის პროდუქტებზე, განსხვავებით სხვა აგრარული პროდუქციისაგან. ამავე დროს გაერთიანების პრობლემებს თან დაერთო გაფართოება და მასთან დაკავშირებული

პრობლემები, რაც საბოლოო ანგარიშით გაერთიანების 1987 წლის ბიუჯეტზე 4-5 მილიონი ეკიუს დეფიციტით აისახა.

1985 წელს ევროკომისიის ინიციატივით სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ 1992 წლისთვის საერთო ბაზრის ჩამოყალიბება საბოლოოდ უნდა დასრულებულიყო. ამავდროულად, გაერთიანების ახალი სახელმწიფოები ესპანეთი, საბერძნეთი და პორტუგალია მოითხოვდნენ სტრუქტურული ფონდების გაზრდას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ფინანსურად ზარალდებოდნენ, რადგან ევროგაერთიანების ბიუჯეტიდან მცირე თანხებს იღებდნენ. შესაბამისად, ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებთან მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ 1992 წლისთვის გაორმაგებულიყო სტრუქტურული ფონდების მოცულობა. აუცილებელი იყო ერთიანი აგრარული პოლიტიკის გარდაქმნა, რადგან აგრარული სექტორის დაფინანსების ფაზობრივი შემცირების გარეშე, ევროგაერთიანების ბიუჯეტი ვერ აუდიოდა სხვა პროგრამების დაფინანსებას, ამიტომ 80-იანი წლების ბოლოსათვის საბოლოოდ გადაწყდა აგრარული სექტორის გარდაქმნა.

1986 წლის ურუგვაის რაუნდისთვის ევროგაერთიანების სახელმწიფოებმა დაიწყეს პაკეტის შემუშავება, რომელიც ხელს შეუშლიდა გაერთიანების აგრარული პროდუქტის დემპინგს მსოფლიო ბაზარზე.

1987 წელს მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმის შესახებ ორ დონეზე - **ევროპულ და საერთაშორისო** ასპარეზზე. **საერთაშორისო მასშტაბით 1987 წელს მიმდინარეობდა ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებები, ხოლო ევროპის მასშტაბით გააქტიურდა აგრარული პოლიტიკის შიდა რეფორმის გატარების საკითხი. ორივე ამ პროცესს განაპირობებდა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების გაფართოება და დანახარჯების ზრდა, რაც თავის მხრივ იწვევდა მსოფლიო ბაზარზე აშშ-სა და ევროგაერთიანების აგრარული პოლიტიკის დაპირისპირებას.**

1986 წელს არც ევროპასა და არც აშშ-ს საკუთარი პოზიციები ჯერ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული რეფორმასთან დაკავშირებით. თავდაპირველად GATT-ის (General Agreements on trade and Tariffs) მოლაპარაკებებში აგრარული პოლიტიკა არ იყო ჩართული, თუმცა კრიზისამდე მისულმა სიტუაციამ აიძულა ევროპის ქვეყნები რომ გადაწყვეტილებისთვის გადაეხედათ და აგრარული პოლიტიკა პაკეტში ჩაერთოთ. **ამერიკას სჯეროდა, რომ ევროპული სოფლის მეურნეობის სრული რეფორმა, ანუ ფასების მხარდაჭერის სისტემის გაუქმება შესაძლებელი იქნებოდა 2-3 წელიწადში. აშშ-ის მიერ შემოთავაზებული ზერო-2000 პროგრამის მიხედვით კი ყველა სუბსიდია უნდა აღმოფხვრილიყო 2000 წლისთვის.** ევროპის პოზიცია ამ შემთხვევაში ცალსახა იყო - ევროპულ სახელმწიფოებს და ასევე აშშ-ს უნდა გაეყინათ სუბსიდიები იმ მომენტისათვის არსებულ დონეებზე, რაც ნიშნავდა მსოფლიო ბაზარზე სტატუს კვოს შენარჩუნებას. პოზიციების მკვეთრი განსხვავების გამო შეთანხმება ვერ მოხერხდა.

1988 წლისთვის საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმა აუცილებელი გახდა, რადგან დანახარჯები კატასტროფულად გაიზარდა. 1986 წელს ბიუჯეტის ხარჯებმა შეადგინა 59 მილიარდი ეკიუ. 1984 წლის ფონტენბლუს შეთანხმებამ შეამცირა აგრარული დანაზარჯების

ზრდა 2%–მდე. თუმცა, ზრდის პარამეტრი მაინც 18%-მდე იზრდებოდა ყოველწლიურად. ეს პრობლემა თითქოს მოგვარდა **საბიუჯეტო წესრიგის შემოღებით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ყოველი შვიდი წლით ისაზღვრებოდა ევროგაერთიანების ბიუჯეტი,** ხოლო შვიდწლიანი ხარჯვითი პარამეტრის შიგნით დგინდებოდა ე.წ. ყოველწლიური ხარჯვითი გეგმა. ეს გაკეთდა იმისათვის, რომ არ აწეულიყო საერთო აგრარული პოლიტიკის დანახარჯები და მისი არაპროპორციული ზრდის გამო არ დაზარალებულიყო მთლიანად გაერთიანება. 1987 წელს ჭკვიანური ბუღალტრული აღრიცხვებით მოგვარდა წინა წლის საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემა, თუმცა ნათელი გახდა, რომ საბიუჯეტო დეფიციტის დამალვას კარგი შედეგი არ მოყვებოდა, ამიტომ 1988 წლის ბიუჯეტის გადასარჩენად მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმირება და ეფექტურად ამოქმედება იყო.

გერმანიასა და საფრანგეთში 1988 წელს მიმდინარეობდა არჩევნები, რომელშიც ფრანსუა მიტერანსაც და ჰელმუტ კოლსაც მხარს უჭერდნენ აგრარული სექტორების ინტერესების გამომხატველი ინტერესთა ჯგუფები. ჰელმუტ კოლს ჰქონდა ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორი უარყოფითი გავლენა შეიძლებოდა ჰქონოდა არჩევნებზე არაპოპულარულ რეფორმებს. ამავე წელს საფრანგეთშიც იგივე სიტუაცია იყო. 1988 წელს დაგეგმილი იყო საპრეზიდენტო არჩევნები და საფრანგეთიც არ იყო დიდად მოწადინებული რადიკალური რეფორმა გაეტარებინა 1988 წელს.

ბრიტანეთში შედარებით განსხვავებული სიტუაცია იყო. ტეტჩერისთვის მნიშვნელოვანი იყო სტატუს-კვოს შენარჩუნება, ან, უკეთეს შემთხვევაში, ფასების სისტემის გარდაქმნა, ისე რომ მის მიერ გადახდილი ფული არ მოხმარებოდა ბრიტანელი ფერმერების კონკურენტების განვითარებას და კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ამასთან, სოფლის მეურნეობა არ იყო იმდენად მნიშვნელოვანი ბრიტანეთის მთავრობისთვის, რამდენადაც საბიუჯეტო კონტრიბუციების საკითხი. ბრიტანეთს სურდა სასწრაფოდ მოეგვარებინა სოფლის მეურნეობასთან და საბიუჯეტო საკითხებთან დაკავშირებული დაპირისპირება, რათა გადასულიყო მისთვის უფრო მნიშვნელოვან საკითხზე საერთო ბაზრის ჩამოყალიბების დასრულებაზე. საერთო ბაზრის მოკლე ვადებში დასრულება საშუალებას აძლევდა მოგება ენახათ ბრიტანელ მრეწველებს და მომსახურების მიმწოდებლებს.

მომდევნო რეფორმა, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ რეფორმას წარმოადგენს საერთო აგრარულ პოლიტიკაში, იყო 1992 წელს განხორციელებული **მაკშარის რეფორმა.** ამ რეფორმამ სახელი მიიღო დელორის კომისიაში სოფლის მეურნეობის კომისრის რეი მაკშარის სახელისაგან. 1992 წელს ევროგაერთიანების სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ **ბურღულეულზე გარანტირებული ფასები შეემცირებინათ 29%-ით მომდევნო სამ წელიწადში და ასევე მოეხდინათ სხვა აგრარული ნაწარმის ფასების შემცირება.** ამავე პერიოდში დაიწყო პარალელური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას და ხელს შეუწობდა ადრე პენსიაზე გასვლას.

1992 წლის რეფორმაზე გავლენა მოახდინა შემდეგმა საგარეო ფაქტორებმა:

- **გაიზარდა ევროგაერთიანების საბიუჯეტო დანახარჯები;** ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მსოფლიო ბაზარზე დაეცა დოლარის ფასი, შესაბამისად, დაეცა მსოფლიო ფასებიც, რამაც იძულებული გახადა ევროგაერთიანება გაეზარდა ექსპორტის სუბსიდირება;
- **გადამეტებული წარმოების პრობლემა გაიზარდა,** რადგან გერმანიის გაერთიანების შემდეგ დასავლეთ გერმანიას დაემატა მარცვლეულის და რძის პროდუქტების მწარმოებელი აღმოსავლეთ გერმანია;
- **დემოკრატიის და კაპიტალიზმის განვითარება აღმოსავლეთ ევროპაში პრიორიტეტულად იქცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის,** თუმცა ამ პრიორიტეტის წარმატებით შესრულებისთვის მთავარ ბარიერს წარმოადგენდა საერთო აგრარული პოლიტიკა. საქმე იმაშია, რომ აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შეეძლოთ მხოლოდ აგრარული პროდუქტების ექსპორტი, რაც შეუძლებელი ხდებოდა საერთო აგრარული პოლიტიკის პირობებში;
- 1992 წელს ურუგვაის რაუნდმა კრიტიკულ მომენტს მიაღწია. უკვე აუცილებელი იყო პაკეტში სოფლის მეურნეობის ჩართვა. თუ აქამდე ყველა სახელმწიფო მზად იყო იგნორირება მოეხდინა სოფლის მეურნეობის საკითხებისთვის, 1992 წელს ევროგაერთიანება უკვე მზად იყო საერთოდ ჩაეგდო რეფორმების პაკეტი, თუ მასში სოფლის მეურნეობა არ იქნებოდა შეტანილი;

1992 წლის რეფორმის მთავარ ელემენტებს წარმოადგენდა:

1. სასოფლო–სამეურნეო პროდუქციაზე ფასების შემცირება;
2. კომპენსაციის გადახდა ფერმერებისათვის;
3. ახალი საბაზრო მექანიზმები;
4. გარემოს დაცვის საკითხებზე გარკვეული ზომების მიღება.

მაკშარის რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა მარცვლეულის და ხორცის ფასები და ისინი გაუთანებრდა მსოფლიო ფასებს. ფერმერებს აუნაზღაურეს დაკანარგები, იმ პირობით, თუ ისინი დატოვებდნენ ფერმებს და სხვა სფეროში გააგრძელებდნენ საქმიანობას. შემუშავებული იქნა ნაადრევი პენსიების სისტემა, ასევე დაიწყო ეკოლოგიურად სუფთა ფერმერული პრაქტიკის ხელშეწყობის პროგრამები. ევროკომისიის მაშინდელი პრეზიდენტის ჟაკ დელორის აზრით, ეს რეფორმა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მისი კარიერის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ დელორის ეპოქა კომისიის საქმიანობაში ზოგადად ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ეპოქად ითვლება.

1990 წლისთვის ევროგაერთიანებაში საბიუჯეტო კრიზისი კიდევ უფრო გამწვავდა, მიუხედავად იმისა, რომ 1988 წელს მიღებული იქნა სტაბილიზაციის რეფორმები. ევროგაერთიანების დანახარჯები კვლავ იმატებდა და ზოგიერთი პროგონიზით, მომდევნო წლებში 30 %-ით მოიმატებდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბიუჯეტო დანახარჯების ზრდა ძირითადად განპირობებული იყო მსოფლიო ბაზარზე ფასების დაცემით და ევროგაერთიანების მიერ ექსპორტის სუბსიდირების გაზრდით.

გარდა ამისა, მოლაპარაკებებზე გავლენას ახდენდა ევროგაერთიანებაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესები. 1992 წელს დაგეგმილი იყო სავალუტო კავშირის შესახებ

მოლაპარაკებების დაწყება და საერთო ბაზრის ჩამოყალიბების პროცესის ბოლომდე მიყვანა, რაც შეუძლებელი იქნებოდა აგრარული პოლიტიკის სრულყოფილი რეფორმირების გარეშე. ამავე დროს, 1992 წელს კომისიაში იყო დაპირისპირება სხვადასხვა გენერალურ დირექტორატებს შორის. თითოეულ გენერალურ დირექტორატს სურდა თავად ყოფილიყო წარმატებული აგრარული და სხვა სახის რეფორმების ავტორი. შესაბამისად, დაპირისპირება და კომპრომისების ძიება ახასიათებდა არა მარტო ქვეყნებს შორის ურთიერთობებს, არამედ კომისიის დაქვემდებარებაში მყოფ სტრუქტურულ ერთეულებსაც.

1992 წლის რეფორმების მთავარი იდეა იყო ზღვრული მწარმოებლებისათვის კომპენსაციის სისტემის შემოღება და მათი თანდათანობით განდევნა ბაზრიდან. გარდა ამისა, უნდა გაზრდილიყო აგრარულის სექტორის დაფინანსება, რაც მიმართული იქნებოდა ფერმებში დასაქმებული მოსახლეობის რიცხვის შემცირებისა და სხვა სექტორებში მათი დასაქმებისკენ. ეს ნიშნავდა, რომ საერთო აგრარული პოლიტიკის დაფინანსება გაიზრდებოდა, ანუ გაიზრდებოდა საბიუჯეტო დანახარჯებიც, მაგრამ ეს ზრდა იქნებოდა უფრო ნაკლები, ვიდრე რეფორმის განხორციელების გარეშე დანახარჯების ზრდა. ასე მაგალითად, 1997 წლისთვის, გამოთვლების თანახმად, საერთო აგრარული პოლიტიკის ფასი უფრო მეტი იქნებოდა, ვიდრე 1992 წელს, თუმცა გაცილებით ნაკლები, ვიდრე ეს რეფორმის გაუტარებლობის შემთხვევაში იმავე 1997 წელს იქნებოდა.

რეფორმის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო ბურღულეულზე ფასების შემცირება, რასაც ჯაჭვური რეაქცია უნდა გამოეწვია. სამი წლის მანძილზე ბურღულეულის ფასები უნდა შემცირებულიყო 29 %-ით, რაც იწვევდა შინაური ცხოველების საკვების გაიაფებას, რაც, თავის მხრივ, დაწევდა ფასებს საქონლის, ღორის და ფრინველის ხორცზე, ასევე კარაქსა და პურზე.

1992 წლისთვის გერმანიის ეკონომიკა დასუსტებული იყო, რაც გამოწვეული იყო აღმოსავლეთ გერმანიასთან გაერთიანებით. ამავე დროს, აღმოსავლეთ გერმანიის მუშები ითხოვდნენ ხელფასების გაზრდას, მაშინ, როდესაც კოლი გეგმავდა მთელი გერმანიის მასშტაბით ანაზღაურების შემცირებას. კოლის სოციალური პოლიტიკის გამო გერმანიას გადაურბინა პროტესტების დიდმა ტალღამ, რასაც გენშერის გადადგომა მოყვა.

ჰელმუტ კოლისთვის უკვე მნიშვნელოვანი იყო სოფლის მეურნეობის ახალი სისტემის შემოღება, რადგან გერმანიაში უკვე არსებობდა მსხვილი ფერმები, რომელთაც შეეძლოთ კონკურენცია გაეწიათ ფრანგული და ხმელთაშუაზღვისპირა აგრარული პროდუქციისთვის. გერმანია ასევე დათანხმდა ბურღულეულზე ფასების შემცირებას, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, ევროგაერთიანების ბიუჯეტის გაზრდილი დაფინანსება პირდაპირ იმოქმედებდა გერმანიის ბიუჯეტზე. 1990-იან წლებამდე გერმანია მზად იყო დამატებითი თანხები ეხადა საერთო აგრარული პოლიტიკის დასაფინანსებლად, თუმცა მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ გერმანიასთან გაერთიანდა და ქვეყნის შიგნით რესურსები დასჭირდა, იძულებული გახდა დათანხმებოდა საპ-ის რეფორმას.

საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმას ასევე დათანხმდა საფრანგეთი შემდეგი მიზეზების გამო:

1) მუდმივი საბიუჯეტო დეფიციტები დიდ კრიზისებს იწვევდა ევროგაერთიანების და საფრანგეთის მასშტაბით, რაც სოციალური უკმაყოფილებისთვის ნიადაგს ქმნიდა.

2) საფრანგეთს ერჩივნა ფასების შემცირება, ვიდრე კვოტების შემოღება, რადგან კვოტის შემოღება არაკონკურენტუნარიანს გახდიდა ბევრ ფრანგულ ფერმას.

საფრანგეთს კარგად ესმოდა, რომ მნიშვნელოვანი იყო რაღაც გადაწყვეტილების მიღება, რადგან რეფორმის ჩავარდნის შემთხვევაში, სავარაუდოდ, მოხდებოდა აგრარულ პროდუქციაზე კვოტების დაწესება, რაც ძალიან უარყოფით გავლენას ახდენდა საფრანგეთის ფერმერების კონკურენტუნარიანობაზე.

კიდევ ერთი რეფორმა საერთო აგრარულმა პოლიტიკამ განიცადა 2000 წლიდან, როდესაც მიღებული იქნა ძალიან ამბიციური პროგრამა - ,,დღის წესრიგი 2000" ანუ ,,agenda 2000'', რაც ითვალისწინებდა გაერთიანების მომზადებას გაფართოებისადმი. გაფართოების დღის წესრიგში დადგომამ 90-იანი წლების შუა პერიოდში კიდევ ერთხელ წამოწია საერთო აგრარული პოლიტიკის რეფორმა, რადგან ნათელი გახდა, რომ ახალი, მეტწილად აგრარული ქვეყნების, ევროკავშირში შესვლა გამოიწვევდა პრობლემების გამწვავებას.

1999 წელს ევროკავშირმა მიაღწია შეთანხმებას ამერიკასთან, რომ ორივე გააგრძელებდა მარცვლეულის და მესაქონლე ფერმერების სუბსიდირებას 2003 წლამდე. ეს დახმარება უნდა ყოფილიყო იმ ფერმერებისთვის, რომლებიც არ დაარღვევდნენ წარმოების და კონკურენციის წესებს. ასევე მოქმედებას იწყებდა ნაადრევი პენსიების სისტემა, მიწის გამოსყიდვა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ფერმერების რაოდენობის შემცირებისკენ.

,,agenda 2000'' შემუშავებული იქნა 1999 წლის 26 მარტს ბერლინის ევროპული საბჭოს მიერ. იგი წარმოადგენს სამოქმედო გეგმას, რომლის მთავარი მიზანია გაძლიერდეს გაერთიანების სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებები, შეიქმნას ახალი, უფრო ეფექტური ფინანსური ინსტიტუტი. ,,agenda 2000'' ეხება ევროკავშირის პოლიტიკის თითქმის ყველა მიმართულებას, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით გაგრძელებული იქნა მოქმედება იმ პრინციპების მიხედვით, რომლებიც გამოიყენეს 1988 და 1992 წლებში. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ეკოლოგიურ საკითხებს. ევროკომისიის 2000 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ **ერთიანი აგრარული პოლიტიკის მთავარი სტრატეგია დაყოფილია ორ ძირითად განშტოებად - პროდუქციის მხარდაჭერა და სოფლის მეურნეობის განვითარება. დღის წესრიგი 2000-ის მიხედვით აგრარული პოლიტიკის რეფორმა შემდეგი მთავარი საკითხების გარშემო აიგო:**

1. **ფასების მომდევნო შემცირება;**
2. **სოფლის განვითარების და პირდაპირი გადახდების სისტემა შენარჩუნება;**
3. **სტრუქტურული და შერწყმის ფონდების ეფექტურობის ზრდა;**
4. **გაწევრიანების წინა სტრუქტურული ინსტრუმენტის (ISPA-pre-accession structural instrument) და გაწევრიანების წინა აგრარული ინსტრუმენტის (SAPARD-pre accession agricultural instrument) სრული ამოქმედება;**
5. **ახალი ფინანსური ინსტრუმენტის მიღება 2000- 2006 წლებში.**

2000 წლის რეფორმა ვერ უმკლავდებოდა იმ სირთულეებს, რომელსაც ევროკავშირის სოფლის მეურნეობა აწყდებოდა, ამიტომ საჭირო იყო კვლავ განხორციელებულიყო ერთიანი აგრარული პოლიტიკის რეფორმირება .

2001 წელს ევროკავშირის საბჭოს გიოტებორგის სხდომაზე საბჭო შეთანხმდა, რომ ერთიანი აგრარული პოლიტიკა მის მომავალ განვითარებაში, სხვა მიზნებთან ერთად, წვლილს შეიტანს მდგრადი განვითარების მიღწევაში ჯანსაღ, მაღალი ხარისხის პროდუქტებზე, ეკოლოგიურად მდგრად წარმოების მეთოდებზე (ორგანული წარმოების ჩათვლით), განახლებად ნედლეულსა და ბიომრავალფეროვნების დაცვაზე ზრუნვის გაძლიერების გზით. ეს ტენდენცია ერთიან აგრარულ პოლიტიკაში ინოვაციური მიდგომის გაძლიერებას ნიშნავდა.

2003 წლის 26 ივნისს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრების მიერ მიღებულ იქნა ერთიანი აგრარული პოლიტიკის ახალი ფუნდამენტური რეფორმა.

2003 წლის რეფორმების შედეგად შემოიტანეს ახალი ერთიანი საგადასახადო სისტემა და სუბსიდირების ახალი მექანიზმი, რომლის თანახმადაც ყველა ფერმერი წარმოებული პროდუქციის სახეობისა და მოცულობის მიუხედავად, სახელმწიფოსაგან დახმარებას მიიღებს. ფერმერს შეუძლია მიიღოს სუბსიდია, რათა შეინარჩუნოს მიწების კარგი სასოფლო-სამეურნეო მდგომარეობა და დააკმაყოფილოს ევროკავშირის რეგულაციებში მითითებული მოთხოვნები. ფერმერი, რომელიც არ შეასრულებს ამ მოთხოვნებს, შემცირებულ დახმარებას მიიღებს ან საერთოდ გამოირიცხება სუბსიდირების მექანიზმიდან. რეფორმა ერთიანი ბაზრის მოწყობის პოლიტიკასაც შეეხო. მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სექტორის გარდაქმნა.

პირველ რიგში, ფერმერებისთვის პირდაპირი ფულადი დახმარება გაიმიჯნა (decoupling) პროდუქციის წარმოებისგან ანუ ფერმერს დახმარება კონკრეტული პროდუქტის წარმოებისთვის აღარ ეძლევა. დაიწყო დახმარების გაცემა ფერმის გარკვეული სტანდარტებით (გარემოსდაცვითი და სხვა) მოვლისა და შენახვისთვის, რამაც ფერმერების გარემოსდაცვითი აქტივობა გააძლიერა. გაძლიერდა ფერმერების მცდელობა ეწარმოებინათ ინოვაციური პროდუქტები, რადგანაც მათი გადაწყვეტილებები ბაზრის მოთხოვნილებაზე გახდა დამოკიდებული და არა ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების ფულად სტიმულირებაზე. ერთიანი აგრარული პოლიტიკაში გაძლიერდა, აგრეთვე, ხარისხიანი წარმოებისა და სტანდარტების გაუმჯობესების მხარდაჭერა. 2007 წლიდან პირდაპირი დახმარების შეკვეცის შედეგად გამოთავისუფლებული 1 მლრდ ევრო წელიწადში გადაირთო სოფლის განვითარების ამოცანებზე (მიწის მართვა, სოფლის ეკონომიკა, კონკურენტუნარიანობა).

2003 წლის რეფორმის შედეგად შემუშავდა ე. წ. "ერთი გადახდის სქემა" რომლის თანახმად, ფერმერი თანხას მიწისა და, საზოგადოდ, გარემოს გარკვეული მოთხოვნების შესაბამისად მოვლა-პატრონობის სანაცვლოდ ღებულობს.

ერთიანი აგრარული პოლიტიკის მიზნების უკეთ განხორციელებისათვის 2003 და 2005 წლების გადაწყვეტილებებით ერთიანი აგრარული პოლიტიკისთვის განკუთვნილი სახსრების ნაწილი იხარჯება სავალდებულო ფერმების კონსულტაციების სისტემის შექმნაზე, რომელიც ფერმერებს აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ტექნოლოგიებით შეუძლიათ მათ შეასრულონ მოთხოვნილი პირობები. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების თანახმად

კონსულტაციების სამსახურების შექმნა ეროვნული მთავრობების სავალდებულო ამოცანაა, რომელსაც ევროკომისია მხოლოდ აფინანსებს. ამავე დროს, ეს სამსახურები როგორც ქვეყნისა და რეგიონის, ასევე ევროკავშირის საინოვაციო სისტემების ნაწილია. ფერმერებისთვის საკონსულტაციო სამსახურების განვითარება, თუმცა არ არის ცენტრალური საკითხი ევროკავშირის დონეზე (ამ სამსახურების განვითარება უპირატესად ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკების საზრუნავია), უყურადღებოდ იგი არც ამ დონეზეა დატოვებული.

2003 წლის ანგარიშში დიდი ყურადღება დაეთმო აგრარული სექტორის წილს ევროკავშირის მთლიან ბიუჯეტში. კერძოდ იმ ფაქტს, რომ ამ სექტორზე საკმაოდ დიდი მოცულობის თანხები მოდის. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ უნდა მოხდეს თანხების ეფექტური გადანაწილება უფრო მეტად მნიშვნელოვან სფეროებში, თუმცა ერთიან აგრარულ პოლიტიკას მაინც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს, რათა ადმინისტრაციული თვალსაზრისით გაუმჯობესდეს ფერმერთა დახმარებების არსებული სისტემა.

1992 წლამდე ერთიანი აგრარული პოლიტიკის დანახარჯები სოფლის მეურნეობაზე ევროკავშირის საერთო ბიუჯეტის 61%–ს შეადგენდა. 2013 წლისთვის კი განსაზღვრულია ერთიანი აგრარული პოლიტიკის დანახარჯების 32%–მდე შემცირება.[3]

ერთიანი აგრარული პოლიტიკის რეფორმირება კვლავ გაგრძელდა. 2008 წლის 20 ნოემბერს ევროკავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრებმა მიაღწიეს შეთანხმებას ერთიანი აგრარული პოლიტიკის სანიტარულ შემოწმებაზე. 2008 წლის რეფორმის მთავარი ამოცანები იყო 2003 წლის რეფორმის განხორციელების შეფასება და გარემოსდაცვითი და საურსათო უსაფრთხოების ღონისძიებების განვითარება.

განახლებული ერთიანი აგრარული პოლიტიკის სოფლის განვითარების პროგრამის (Rurul Development programmes, Rural Development policy 2007-2013) თანახმად, 2007–2013 წლებისათვის გამოყოფილი დაახლოებით 350 მლრდ ევროდან 96 მლრდ ევრომდე უნდა დაიხარჯოს სოფლის განვითარების პროგრამებზე, რომლის მიზანია დაეხმაროს ადამიანებს[4]:

1. ბაზარზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობისადმი ადაპტაციაში;
2. კონკურენტულ ბაზრებზე გაყიდვების/დილერობის ახალი გზების შემუშავებაში;
3. ეკონომიკური და დასაქმებითი აქტივობის დონის ამაღლებაში;
4. მიკრო–ბიზნესების განვითარებაში;
5. ინოვაციისა და კვლევების შედეგების გამოყენებაში;
6. დინამიკური მეწარმეობის გაძლიერებაში;
7. აგრო–სასურსათო ჯაჭვში მიმდინარე პროცესების მართვის გაუმჯობესებაში;
8. საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაში.

2007 წელს სოფლის მეურნეობამ, მეტყევეობასთან და მეთევზეობასთან ერთად, აწარმოა დაახლოებით 400მლრდ ევროს პროდუქცია, მოახდინა 70 მლრდ ევროს ექსპორტი. მან, კვების მრეწველობასთან (900 მლრდ ევრო) ერთად, ევროკავშირის მშპ–ს 12% აწარმოა[5].

---

[3] www.bec.ge/subsides in agriculture.ntml

[4] Rural Development programme – Rural development policy(//ec.europa.eu/agriculture/rurdev/index_enhtm

[5] www.ciaa.be/asp/index.asp

ერთიანი აგრარული პოლიტიკის რეფორმირება კვლავ გაგრძელდა. 2007 წლის ნოემბერში ევროკომისიამ წარმოადგინა ერთიანი გეგმა აგრარული პოლიტიკის მოდერნიზაციისათვის და შესაბამისად 2008 წლის 21 ნოემბერს გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც ასახავდა წევრ ქვეყნებს შორის შეთანხმებას სანიტარიულ შემოწმებაზე. ერთიანი აგრარული პოლიტიკის 2008 წლის რეფორმა მიმოიხილავს 2003 წლის რეფორმას და ასევე ითვალისწინებს გარემოსდაცვით და სასურსათო უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებას ასევე უხსნის შეზღუდვებს ფერმერებს და ეხმარება მათ უპასუხონ ბაზრის ახალ გამოწვევებს.

2008 წლის რეფორმის შედეგად მიღებული ღონისძიებები[6]:

• **რძის კვოტების თანდათანობითი გაუქმება –** 2015 წლისთვის ასევე უზრუნველყოფლია რძის კვოტების მდგრადი ზრდა 2009/10 და 2013/14 წლებში ყოველწლიურად 1%–ით;

• **გატარდა ღონისძიებები ფასების მხარდასაჭერად.** პირდაპირი დახმარებები ანუ გადასახადები ფერმერებს აღარ დაუწესდებოდათ კონკრეტული პროდუქციის წარმოებისათვის. თუმცა ზოგიერთმა ქვეყანამ არ შეცვალა წარმოებასთან დაკავშირებული გადასახადების სისტემა. ეს გადასახადების სისტემა გარდაიქმნა ერთიანი გადასახადების სისტემად;

• გატარდა **განსაკუთრებული ღონისძიებები** აგრარულ სექტორებში პრობლემების აღმოსაფხვრელად. **წევრ ქვეყნებს შეუძლიათ ეროვნული ბიუჯეტიდან 10% მოახმარონ საკუთარ მეურნეობას.** კერძოდ, პირდაპირი გადასახადების გამოყენებას, გარემოს დაცვით ან ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს ეს უფრო მოქნილს ხდის მათ აგრალურ სექტორებს. ეს თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნას ფერმერთა დასახმარებლად, დაუცველი მეურნეობების დასაცავად, რისკის მართვის მხარდასაჭერად, ბუნებრივი კატასტრფებისაგან დასაცავად და ცხოველთა დაავადებების თავიდან ასაცილებლად.

• **გადასახადების ერთიანი სქემის გაფართოვება,** რომლის მიხედვითაც წევრი ქვეყნები იყენებენ გამარტივებულ ერთიან გადასახადების სქემას 2013 წლამდე.

• **დამატებითი დაფინანსება ევროკავშირის 12 წევრისათვის,** რომელიც გულისხმობს რომ 90 მლნ ევრო გამოიყოფა ევროკავშირის 12 წევრი ქვეყნისათვის.

• სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის **გამოყოფილი თანხები გაიზარდა** 55.000–დან 70.000 ევრომდე.

• გატარდა გარკვეული ღონისძიებები გარემოსა და ცხოველთა დასაცავად. ასევე კვების სტანდარტების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

დღეისათვის რეფორმების ძირითად საკითხებს აგრარულ სფეროში მიეკუთვნება: ფასების შემცირების სტრატეგია, სურსათის ხარისახისა და უვნებლობის უზრუნველყოფა, ფერმერთა შემოსავლების სტაბილურობის გარანტია. ამჟამად მიმდინარეობს ერთიანი აგრარული პოლიტიკის განხილვა და დებატები, რათა მოხდეს მისი დამყარება შემდეგ პრინციპებზე[7]: სურსათით საყოველათაო უზრუნველყოფა; პრიორიტეტის მინიჭება ევროპისათვის საკვების და სურსათის წარმოებისთვის და ცვლილებების შეტანა

---

[10] www. http://ec.europa.eu/agriculture/healthcheck/index_en.htm

[7] http://www.europeanfooddeclaration.org/files/evpouli-deklaracia-sursaTis-Shesaxeb.pdf

საერთაშორისო სასოფლო–სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის საქმეში თანასწორობის, სოციალური სამართლიანობისა და ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპებზე დაყრდნობით; ჯანსაღი კვების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობა; მცენარეულ საკვებზე დაფუძნებული კვების ჩვევების შემოტანა; ხორცის მოხმარების შემცირება; სწორად გადამუშავებული, ენერგიითა და ცხიმიანი უჯრედებით გამდიდრებული საკვების მიღების მოდელის დანერგვა. თუმცა ეს ყოველივე უნდა განხორციელდეს რეგიონულ კულტურული სამზარეულო ჩვევებისა და ტრადიციების პატივისცემის პირობებში.

ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა პროდუქციაზე სამართლიანი ფასების დაწესების მიმართულებით, რაც წარმოადგენს, ერთი მხრივ, ფერმერებისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის სამართლიანი შემოსავლის მიღების, ხოლო, მეორე მხრივ, მომხმარებლებისათვს სამართლიანი ფასების გადახდის წინა პირობას; მიმდინარეობს მუშაობა, რომ ფერმერები და სოფლის მეურნეობის მუშაკები უზრუნველყოფილი იყვნენ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში სამართლიანი, არადისკრიმინაციული პირობებით და ჰქონდეთ მიწის თანაბარი და სამართლიანი ხელმისაწვდომობის გარანტია; უზრუნველყონ გამჭირვალობა საკვების წარმოების მთელი ჯაჭვის პროცესში, რაც დაეხმარება მოსახლეობას იცოდეს თუ როგორ და საიდან არის საკვები წარმოებული, რას შეიცავს იგი და რა შედის მომხმარებლების მიერ გადახდილ ფასში და ა.შ.

თავი 7

მიგრაციის პოლიტიკა, მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები: ევროკავშირის კოორდინაციის მექანიზმები და პოლიტიკა

მართლმსაჯულების და საშინაო საქმეები მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ აღმოცენდა, როგორც საყრდენი, რომელიც მიმართული იყო კანონის დაცვის საკითხებზე და შინაგან საქმეებში თანამშრომლობაზე. ევროკავშირის ხელშეკრულების მეექვსე თავი, რომელიც მოიცავს მუხლებს 1-დან 9-მდე ეხება თანამშრომლობას შემდეგ სფეროებში:

ა) თავშესაფრის პოლიტიკა

ბ) საგარეო საზღვრების კონტროლი

ც) იმიგრაციის პოლიტიკა

დ) მესამე ქვეყნების მოქალაქეები ევროკავშირში

ე) ნარკოტიკები და საერთაშორისო ყალთაბანდობა

ფ) სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში თანამშრომლობა,

გ) საბაჟო თანამშრომლობა

ჰ) საპოლიციო თანამშრომლობა

მაასტრიხტის ხელშეკრულებაზე ასევე დართული იყო საპოლიციო თანამშრომლობის დეკლარაცია, რაც გულისხმობდა წევრი სახელმწიფოების პოლიციებს და კანონის-დამცველ ორგანოებს შორის თანამშრომლობას.

აღსანიშნავია, რომ რომის ხელშეკრულებაში ეწერა, რომ გაერთიანება მიზნად ისახავდა "წევრ სახელმწიფოებს შორის საქონლის, ადამიანების, მომსახურების და კაპიტალის გადაადგილებას ყველანაირი შეზღუდვის გარეშე". მიუხედავად ამისა 30 წლის შემდეგაც კი ამ მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა. განსაკუთრებით ნელი იყო პროგრესი ადამიანების თავისუფალი გადაადგილების საკითხთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ 1980-იანი წლებისთვის საერთო ბაზარი რაღაც დონეზე უკვე იყო ინტეგრირებული, 80-იანი წლების შუიდან კი ინტეგრაციული პროცესები კიდევ უფრო გაღრმავდა. შედეგად, რა თქმა უნდა, გაიზარდა ადამიანების გადაადგილება, რაც ბუნებრივად მოჰყვა ბაზრების ლიბერალიზაციას. ადამიანების გადაადგილების ზრდამ, გადაადგილებაზე შეზღუდვის მოხსნების გარეშე გამოიწვია **ტრანსსასაზღვრო დანაშაულების გაძლიერება და ზრდა,** ისევე, როგორც დამნაშავეების გადაადგილება გაერთიანების სასხელმწიფოებს შორის.

მსგავსი პრობლემების წინააღმდეგ ბრძოლა საკმაოდ ადრე, ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო. ეს პროცესები მიმდინარეობდა არა მარტო ევროგაერთიანებაში, არამედ ევროსაბჭოშიც. ევროსაბჭოს ფარგლებში 1972 წელს შეიქმნა "**პომპიდუს ჯგუფი**", რომელიც მუშაობდა ნარკოტიკების წინააღმდეგ. მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ მოხდა ამ ჯგუფის გადატანა ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის ფარგლებში.

1975 წლის დეკემბერში შეიქმნა **"ტრევის ჯგუფი"** რომის ევროპული საბჭოს მიერ,
რომელსაც ევალებოდა ანტიტერორისტული საქმიანობის კოორდინაცია ევროპაში. მისი მიზანი იყო ბრძოლა ტერორიზმის წინააღმდეგ, ინფორმაციის გაცვლა ტერორისტული ორგანიზაციების შესახებ, საპოლიციო ორგანიზაციების აღჭურვა და წვრთნა.

მართლმსაჯულების საკითხებთან დაკავშირებით ევროპულ გაერთიანებებში შექმნილი იყო სამი სამუშაო ჯგუფი. **პირველი ჯგუფი** 1977 წელს შეიქმნა და პასუხისმგებელი იყო ანტიტერორიზმზე, ინფორმაციის და სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლაზე. **მეორე ჯგუფის** შექმნა დაკავშირებული იყო პირველმა ჯგუფის მიერ 1985 წელს მანდატის გაფართოებასთან, რის შედეგად ამ ჯგუფმა მოიცვა პოლიციის ტაქტიკა, ორგანიზაციები და აღჭურვა, მანდატის გაფართოების შემდეგ მის ფუნქციებში შევიდა ტრანსსაზღვრო საზოგადოებრივი წესრიგი, საფეხბურთო ვანდალიზმი და ა.შ. **მესამე სამუშაო ჯგუფი** 1980-იან წლებში შეიქმნა და დაიწყო მუშაობა სერიოზულ საერთაშორისო დანაშაულებებსა და ნარკოტრეფიკინგზე. მომდევნო წლებში ამ სამუშაო ჯგუფებს დაემატა სხვადასხვა ჯგუფებიც. ესენი იყო: ერთობლივი დახმარების ჯგუფი (1992), ორგანიზებული დანაშაულის დროებითი ჯგუფი, იმიგრაციის დროებითი ჯგუფი, სასამართლო თანამშრომლობის ჯგუფი და სხვ.

**1988 წელს როდოსის საბჭომ შექმნა კოორდინატორების ჯგუფი, რომელსაც უნდა
კოორდინაცია გაეწია წინადადების განხილვებისთვის.** 1989 წელს ამ ჯგუფმა წარმოადგინა ე.წ. **პალმას დოკუმენტი**, რომელშიც ჩამოთვლილი იყო ღონისძიებები, რომელთა მიღწევა აუცილებელი იყო შინაგან ბაზარზე უსაფრთხოების შესანარჩუნებ-ლად. 1990 ელს შეიქმნა **ევროპის ნარკოტიკების დაზვერვის ერთეული**, რომელიც

ევროპოლის წინამორბედი იყო. 1991 წლისთვის განვითარდა სხვადასხვა სამუშაო ჯგუ- ფების ექსტენსიური ქსელი, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა მუდმივი სამდივნო.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ სფეროებში წამოწყებული თანამშრომლობა განპირობებული იყო დანაშაულებების ტრანსსასაზღვრო ხასიათით.

მეორე მიზეზი, რომელმაც გამოიწვია მართლმსაჯულების და საშინაო საქმეების, როგორც პოლიტიკის ჩამოყალიბება იყო მიგრანტების და თავშესაფრის მსურველების დიდი რაოდენობა. 1970-იანებიდან წელიწადში 100.000 ადამიანი აწყდებოდა ევროპას. 1986 წელს 200.000 ითხოვდა თავშესაფარს ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში, 1989-ში კი - 300.000. თავშესაფრის მსურველთა შორის სჭარბობდნენ თურქები, ქურთები და აღმოსავლეთ ევროპელები. ასევე არსებობდა სხვა განმაპირობებელი ინტერესებიც, მათ შორის სხვადასხვა ეროვნებებს შორის შერეული ქორწინებების რიცხვის ზრდა, იურისდიქციების გაერთიანება და ასე შემდეგ.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ინტერესები

გერმანიას ჰქონდა საკუთარი ინტერესები მართლმსაჯულების სფეროში ინტეგრაცი-

ისათვის. ამის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის აღსანიშნავია გერმანიაში ეთნიკური წარმომავლობის მოქალაქეობის არსებობა, ლიბერალური კანონი თავშესაფრის მიცემის შესახებ მესამე რეიხის შემდეგ, გასტერბაიტერების დიდი რაოდენობის არსებობა და სუვერენიტეტზე გაურკვეველი შეხედულება. გერმანიის ხელისუფლებას ასევე ეშინოდა მის ტერიტორიაზე აღმოსავლეთ ევროპული. იტალიური და ახლო აღმოსავლეთის ტერორისტული ქსელების გავრცელების. 1990-იან წლებში გერმანიას 2 მილიონზე მეტი უცხოელი ეწვია, რომლებმაც გერმანიის მოქალაქეობის მიღება მოისურვეს. რა თქმა უნდა, ამგვარი პრობლემების გადასაჭრელად გერმანია დაინტერესებული იყო სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობით. ანალოგიური პრობლემები არსებობდა ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც, შესაბამისად კომპრომისი ბევრ საკითხზე ადვილად იქნა მიღწეული.

მართლმსაჯულების და საშინაო საქმეების შექმნასთან დაკავშირებით არსებობდა რამდენიმე **გადამფარავი ფაქტორი**, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ სფეროში ინტეგრაციას. ეს ფაქტორები იყო:

- ევროპული ინტეგრაციის შესახებ რიტორიკის გააქტიურება და პრეამბულაში ნახსენები უფრო ახლო კავშირი (ევერ ცლოსერ უნიონ);
- საერთო ბაზრის მოთხოვნები, მათ შორის ადამიანების გადაადგილება;
- სასაზღვრო გადასვლების ინტენსიფიკაცია;
- იმიგრაციის ზრდა;
- არალეგალური გადასვლების ზრდა;
- ლეგალური და არალეგალური ეკონომიკური ინტეგრაცია;
- 1992 წლის წარმატებამ დამატებითი სტიმული მისცა.

1996-97 წლებში შეიქმნა ტერმინი — თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლ-მსაჯულების ევროპა (**უროპე ოფ ფრეედომ, სეცურიტყ ანდ ჯუსტიცე**), რომელიც დაფიქსირებულ იქნა ამსტერდამის ხელშეკრულებაში. აღსანიშნავია, რომ ყველა მცდელობას გაღრმავე- ბულიყო ინტეგრაცია ამ სფეროში თან ახლდა ბრალდებები რომ ევროპული სახელ- მწიფოები ცდილობდნენ შეექმნათ ე.წ. — ორტრესს უროპე, ანუ ჩაკეტილი ციხესიმაგრის მსგავსი ევროპა, რომელშიც არაევროპელების შესვლა შეზღუდული იქნებოდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მართლმსაჯულების ერთიანი სივრცის შექმნის პარალელურად მიმდინარეობდა **შენგენის პროცესები**, რაც საბოლოო ჯამში ერთიანი ევროპული სივრცის — შენგენის ზონის შექმნით დაგვირგვინდა.

1980-იანი წლების შუისათვის საზღვრები გახსნილი იყო მხოლოდ სამგან, ბენელუქსის ქვეყნებს შორის, ირლანდიას და ბრიტანეთს შორის და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის.

შენგენის პროცესის დასაწყისი დაკავშირებული იყო საფრანგეთს და გერმანიას შორის არსებულ მცირე პრობლემებთან, რომლებმაც 1980-იან წლებში მძლავრ მოძრა-ობას დაუდეს სათავე. ფრანგებს დაწესებული ჰქონდათ მთელი რიგი შეზღუდვებისა შემოსულ ტვირთებზე; ამ შეზღუდვების შედეგად, რომლებიც ძირითადად არასატარიფო ხასიათის იყო და ტექნიკური და ადმინისტრაციული ბარიერებით შემოიფარგლებოდა ზარალდებოდნენ გერმანული კომპანიები და ფრანგი გადამზიდავები, რადგან პირველები დაგვიანებით ღებულობდნენ იმ ტვირთებს, რომლებიც ხშირად სასწრაფოდ სჭირდებოდათ. რაც შეეხება ფრანგ ტვირთმზიდავებს, ისინი პროტესტს გამოთქვამდნენ

იმის გამო, რომ დღეების განმავლობაში უხდებოდათ საზღვარზე ცდა, რის შედეგადაც კარგავდნენ დიდ თანხებს. ეს უკმაყოფილება გადაიზარდა მძღოლების ათდღიანპროტესტში (1983-84 ზამთარი), რომელსაც მოჰყვა გერმანიას და საფრანგეთს შორის მოლაპარაკებების დაწყება და 1985 წელს გერმანიას და საფრანგეთს, ასევე ბენელუქსის ქვეყნებს შორის საზღვრის გახსნა. ამ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა შენგენში, შესაბამისად პროცესი ცნობილი გახდა შენგენის პროცესის სახელით.

შენგენის პროცესები და ტრევის გაერთიანებების განვითარება პარალელურად მიმდინარეობდა 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებამდე.

შენგენის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ აუცილებელი იყო მისი რატიფიკაცია, რასაც ოთხი წელი დასჭირდა. ტექნიკურმა პრობლემებმა კი ხელი შეუშალა 1995 წლამდე ამ ხელშეკრულების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული პოზიცია გააჩნდა შენგენის პროცესებთან. ფრანგები უტევდნენ ჰოლანდიის ლიბერალურ რეჟიმს ნარკოტიკებზე, რადგან ეშინოდათ ნარკოტიკების მასიური გადასვლის საფრანგეთის ტერიტორიაზე, ჰოლანდიას ეჭვი ეპარებოდა, რომ ინფორმაცია, რომელიც გაიცვლებოდა ერთიანი საზღვრის შექმნის შემდეგ დაცული იქნებოდა, შესაბამისად არ სურდა დაესუსტებინა თავისი საკმაოდ დაცული საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემა. შენგენის პროცესს მალე შეუერთდა იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და საბერძნეთი, შედეგ ავსტრია, ფინეთი და შვედეთი, ასევე დანია. ამ ქვეყნების შესვლა შენგენში ასევე გახდა სხვადასხვა სახელმწიფოს შორის დაპირისპირების საგანი. საფრანგეთს ეეჭვებოდა იტალიის საზღვრების დაცულობა, რის გამოც იტალია 1997 წლამდე ვერ შეუერთდა შენგენის სისტემას. საბერძნეთი 2000 წლამდე არ შეიყვანეს კონტროლის პრობლემების და ალბანეთთან საზღვრის გამო.

დიდი ბრიტანეთი მიუხედავად ამ პროცესებისა, ამჯობინებდა ამ პროცესებიდან შორს დაეჭირა თავი. ბრიტანეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ მათი სახელმწიფოს კუნძულოვანი მდებარეობის გამო არ იყო აუციებელი მისი ინფრასტრუქტურის სისტემატიური შემოწმება სხვა სახელმწიფოების მიერ, რადგან ყველა შემოწმება მანამ ხდებოდა, სანამ მიგრანტები ბრიტანეთის ტერიტორიაზე შევიდოდნენ. საბოლოო ჯამში დიდმა ბრიტანეთმა უარი განაცხადა შენგენში შესვლაზე, თუმცა ბოლოს მაინც გაამარტივა პროცედურები, თუმცა ბოლომდე არ შერთებია შენგენს. მას შემდეგ, რაც დანიამაც გახსნა საზღვრები ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს მოლაპარაკებები ისლანდიასთან და ნორვეგიასთან რომ მათთანაც მომხდარიყო საზღვრის თავისუფალი გადაკვეთა.

მესამე საყრდენი მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ

1991 წელს გერმანიას სურდა მართლმსაჯულების და საშინაო საქმეების ინტეგრაცია ევროკავშირის საქმეებში. ბრიტანელები არ იზიარებდნენ ამ მოსაზრებას, ხოლო ფრანგებს ჩამოყალიბებული პოზიცია არ გააჩნდათ. ჰოლანდიამ თავდაპირველად შესთავაზა საგარეო პოლიტიკის და მართლმსაჯულების და საშინაო საკითხების გაერთიანება, თუმცა ეს წინადადება უარყოფილ იქნა სხვა სახელმწიფოების მიერ. შედეგად, მაასტრიხტის ხელშეკრულებამ მოახდინა კომიტეტების არსებული სისტემის ინსტიტუციონალი-

ზიაცია, მისთვის რამე ახალის დამატების გარეშე. ამ კომიტეტების ერთობლიობას ეწოდა — მართლმსაჯულება და საშინაო საქმეები, რომელიც შევიდა ევროკავშირის საქმეებში მესამე საყრდენის სახით.

მართლმსაჯულების და საშინაო საქმეებში, გარდა არსებული საკომიტეტო სისტემის გაერთიანებისა, ასევე შემოვიდა ინოვაციები:

- შეხვედრების მენეჯმენტი და მომზადება დაევალა საბჭოს სამდივნოს ახალ გენერალურ დირექტორატს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოქმედი პრეზიდენტობა;
- კომისიას იქვე ჰყავდა მივლენილი მცირე სამუშაო ჯგუფი, რათა ყოფილიყო მესამე საყრდენში მომხდარი საქმეების კურსში;
- მესამე საყრდენის საქმის კურსში იყო XV, ანუ შიდა ბაზრის გენერალური დირექტორატი, რომელიც მონიტორინგის უფლებებით სარგებლობდა. პროცესებში ასევე ირიბად მონაწილეობდა სოციალური პოლიტიკის დირექტორატი;
- პარლამენტიდან მესამე საყრდენის საკითხებში ჩართული იყო სამოქალაქო თავისუფლებების კომიტეტი;
- პარალელურად მიმდინარეობდა საუბრები გავრცელდებოდა თუ არა მართლმსაჯულების სასამართლოს იურისდიქცია ჟ კონვენციებზე. საბოლოოდ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ მართლმსაჯულების სასამართლოს მესამე საყრდენზე იურისდიქცია არ გაევრცელებინა.

გადაწყვეტილების მიღების პროცესი მართლმსაჯულების და საშინაო საქმეებში

გადაწყვეტილების მიღების პროცესი შეიძლება შევადაროთ არქიპელაგს, სადაც თანამშრომლობა დამოკიდებული იყო მაკოორდინერებელ 4 კომიტეტზე. არსებობდა თანამშრომობის სხვადასხფა ფორმატები, მათ შორის საბაჟოებზე, ასევე პოლიციებს შორის, თუმცა მოსამართლეები და პროკურორები მაინც პრობლემების წინაშე იდგნენ, რადგან ყველა ქვეყანაში განსხვავდებული იყო დანაშაულის ცნება. ამასთან საკმაოდ რთული იყო შინაგან საქმეთა მინისტრების დაინტერესება სხვა ქვეყნების ანალოგიურ უწყებებში მიმდინარე პროცესებით, რადგან მათ, როგორც წესი ნაკლებად აღელვებდათ საერთაშორისო პრობლემები.

მესამე საყრდენში შესულ საკითხებზე კონტროლის ექსკლუზიური უფლება გააჩნდა აღმასრულებელ ხელისუფლებას, შესაბამისად, პარლამენტების როლი შესამჩნევად შეზღუდული იყო. მინისტრები, როგორც წესი, იყვნენ ყველაზე მეტად ინფორმირებულნი ამ სფეროში მიმდინარე მოვლენების შესახებ, თუმცა ისინი არ იყვნენ მოსურნე გაემხილათ ინფორმაცია სხვა ორგანოებისათვის. ისევ პრობლემატური იყო ვერტიკალური კოორდინაცია და ინფორმაციის გაცვლა სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. ამასთან უჩვეულოდ დუმდა მასმედია, რადგან მასაც არ ჰქონდა ინფორმაცია კავშირის შიგნით მართლმსაჯულების საკითხების ირგვლივ მიმდინარე პროცესებზე. თუმცა, ეს უკანასკნელი პრობლემა შედარებით მოიხსნა შენგენის პროცესის აქტუალიზაციის შემდეგ.

მესამე საყრდენში აქტივობა გაიზარდა 1990-იანი წლების პირველ ნახევარში. 1992 წლის პროგრამის დასრულების შემდეგ სამდივნოს ყურდაღება გადავიდა სწორედ ამ სფეროზე. 1997 წელს მინისტრთა საბჭოში სხდომების საერთო რაოდენობის ერთი მესამედი სწორედ მართლმსაჯულების და შინგან საქმეთა სფეროებში მიმდინარეობდა.

ამასთან, გაიზარდა ყურადღება მესამე საყრდენის სფეროების მიმართ ეროვნული ადმინისტრაციებისგან. მაგალითად, ბრიტანეთის შიდა საქმეების სამინისტრო ამბობდა, რომ 1998 წლისთვის დაახლოებით 68 ოფიცერი მუშაობდა ევროპულ საქმეებზე, მაშინ როდესაც 80-იანი წლების დასაწყისში ასეთ ოფიცერთა რიცხვი 10-ს არ აღემატებოდა.

საქმის წარმოება (ლოწ ოფ პოლიცყ)

ინიციატივების უფლება. ამ სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების უფლება, ისევე როგორც მეორე საყრდენში, აქვს პრეზიდენტობას, რომელსაც ეხმარება საბჭოს სამდივნო. ყოველ ექვს თვეში პრიორიტეტები იცვლება. მაგალითად, თუ ერთ დროს ტრეფიკინგია მოდაში, მერე ნარკოტიკები შემოდის და ასე შემდეგ. იმისათვის რომ ასეთი პრობლემები აეცილებინათ და უზრუნველეყოთ საქმისწარმოების განგრძობადობა შემოღებული იქნა რამდენიმეწლიანი გეგმები.

1998 სექტემბერში ავსტრიამ წარმოადგინა თავშესაფრის და იმიგრაციის პოლიტიკის სტრატეგიის მონახაზი, რომელიც საკმაოდ აგრესიული იყო და მოიცავდა ქსენოფობიურ მომენტებს, რის გამოც ეს ინიციატივა გაკრტიკებულ იქნა. მსგავსი ინიციატივები ბევრის მიერ განიხილებოდა, როგორც ევროპის ციხესიმაგრის შექმნის მცდელობა. იმავე წლის დეკემბერში ვენის საბჭოს სხდომაზე მიღებული ტექსტი გაცილებით რბილი იყო, იმის გამო რომ გაიარა მოლაპარაკებები კ4 კომიტეტთან, კორეპერთან და ჟ საბჭოსთან.

საბჭოს სამდივნოს დიდი როლი ჰქონდა ამ პროცესში და საკმაოდ მაღალი დონის ექსპერტები იყვნენ იქ დასაქმებული. ორი დირექტორატი მონაწილეობდა (მართლმსაჯულების და შიდა საქმეების და იურიდიული საქმეების). 1998-99 წლებში მეტი ხალხი დაიმატეს, რადგან შენგენის სამდივნოც შევიდა ამ სამდივნოს შემადგენლობაში. ასევე ჩართულნი იყვნენ კორეპერის წარმომადგენლები.

მას შემდეგ, რაც ინიციატივა წამოვიდოდა, ხდებოდა მისი განაწილება დაახლოებით 20 სამუშაო ჯგუფში, რომლებიც შედგებოდნენ საშუალო დონის ან უმცროსი ეროვნული მოხელეებისაგან. აქ მთავარი მიზანი იყო საერთო იდეის აღმოცენება და საერთო გეგმის შემუშავება. ასევე მონაწილეობას იღებდნენ ექსპერტები ევროკავშირის სხვადასხვა სააგენტოებიდან და უწყებებიდან. სამუშაო ჯგუფების რაოდენობა იცვლებოდა საკითხებიდან გამომდინარე.

1997 წლის ლუქსემბურგის პრეზიდენტობის დროს შეიქმნა ორი სამუშაო ჯგუფი, რომელთაც დაევალათ შენგენის ხელშეკრულების შეტანა ხელშეკრულებაში და ნორვეგიასთან და ისლანდიასთან ასოცირების ხელშეკრულების დადება. როგორც წესი, პირველი სამი თვე იკრიბებიან სამუშაო ჯგუფები, რადგან თუ ამ ხნის განმავლობაში არ მოხერხდა ტექსტის შეთანხმება მომავალში მისი მიღების შანსი მინიმალურია, რადგან პროცედურა შეუშლის ხელს.

როგორც წესი, სამუშაო ჯგუფები შედგება საჯარო მოხელეებისგან და არა აღმასრულებელი ორგანოების წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფების ეფექტურობა დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი ქვეყნიდან არიან წარმომადგენლები. შესაბამისად განსხვავდება ამა თუ იმ დელეგატის შენატანი და მათ გადაწყვეტილებებზე ეროვნული ინტერესების გავლენა.

ტრევიდან მოყოლებული მესამე საყრდენში იყო საკმაოდ მკაცრი იერარქიული ინსტიტუციური სტრუქტურა.

საორგანიზაციო ჯგუფები **(შტეერინგ როუპს)** უწევენ მონიტორინგს სამუშაო ჯგუფების მუშაობის პროგრესს. თავის მხრივ, ისინი უმზადებენ ყოველწლიურ სამუსაო პროგრამას კ4-ის კომიტეტს, რომელიც უნდა გადახედულ იქნეს ექვსი თვის შემდეგ. შემდეგ ისევ აბარებენ ანგარიშს კომიტეტს წლის ბოლოს. ბევრს მიაჩნდა, რომ საორგანიზაციო ჯგუფები საკმაოდ უფუნქციოდ იყვნენ ისედაც გადატვირთულ იერარქიულ სტრუქტურაში. ამსტერდამის ხელშეკრულებამ ისინი არ გააუქმა, თუმცა იმის გამო, რომ მათი ფუნქცია მალე აღმოიფხვრა, ისინი თავისით გაუქმდნენ. თუმცა უფრო აქტუალური გახდა ჰორიზონტალური ჯგუფების შექმნა, რომლებიც ასევე ცნობილია “მაღალი დონის ჯგუფების” სახელით. მათ ფუნქციებში შედიოდა დეტალური და ტექნიკური მოლაპარაკებების წარმოება სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებს შორის და ყოველწლიური სამოქმედო გეგმების წინწაწევა.

ინსტიტუციურ სტრუქტურაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საკოორდინაციო კომიტეტს, ანუ, იგივე 4 კომიტეტს. ამსტერდამის ხელშეკრულების შემდეგ მას სახელი შეეცვალა და დაერქვა 36 მუხლის კომიტეტი. ამ კომიტეტში შედიან მაღალი რანგის წარმომადგენლები სხვადასხვა ეროვნული სამინისტროებისგან თვეში მინიმუმ ერთხელ. წინააღმდეგობა კორეპერტან, რომელიც თავად იყო ვალდებული საკითხების შეთანხმებაზე. პრობლემა აღმოიფხვრ ამას შემდეგ რაც კორეპერში მიავლინეს ექსპერტები, რამაც კორეპერი უფრომეტად გახადა ეროვნული ადმინისტრაცის წარმომადგენლობად და არა დიპლომატიურ მისიად.

საბჭომ, რომელიც წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ (საჭიროების შემთხვევაში პლუს ორჯერ) არაფორმალურად იკრიბებოდა ხელი შეუწყო გენერალური საქმეების საბჭოს როლის შემცირებას.

მაასტრიხტისა და ამსტერდამის ხელშეკრულებებით საქმის წარმოების სისტემებს შორის განსხვავებები იხილეთ ქვემოთ მოყვანილ I და II ცხრილებში.

ცხრილი I: გადაწყვეტილების მიღების პროცესი მაასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ



ცხრილი II: გადაწყვეტილების მიღების პროცესი ამსტერდამის ხელშეკრულების შემდეგ

საბჭო

კორეპერი

მსს მრჩევლები

იმიგრაციის, საზღვრების და თავშესაფრის სტრატეგიული კომიტეტი

სამოქალაქო საქმეების საკითხების კომიტეტი

36 მუხლის კომიტეტი

სამუშაო ჯგუფები

1. საპოლიციო საკითხები
   პოლიცია
   ევროპოლი
   ნარკოტიკები
   ტერორიზმი
2. საბაჟო საკითხები
   საბაჟო თანამშრომლობა
3. სისხლის სამართლის
   -ორგ. დანაშაულის მულტიდისც. ჯგუფი
   -ნარკოტიკების

imigracia	gaZeveba	sazRvrebi
vizebi	TavSesafari	CIREFI
		CIREA

მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფი

-კოლექტიური შეფასება

-შენგენის კომიტეტი

ჰორიზონტალური ჯგუფი

-თავშესაფრის და მიგრაციის

ჯგუფი

სისხლის სამართლის

თან.

სუსბსტანციური

სის. სამ.

4.

საინფორმაც

იო სისტემები

მონაცემების

უსაფრთხოებ

ა

საინფორმაცი

ო სისტემები

საინფ.

სისტემების

ტექნოლ.

შლ

მესამე საყრდენის სისუსტეები

ითვლება, რომ მართლმსაჯულების და საშინაო საქმეები არის ევროკავშირის ის საყრდენი, რომელსაც ყველაზე მეტი პრობლემა და სისუსტე გააჩნია. ამის ასახსნელად საკმარისია გავიხსენოთ, როგორ შეიქმნა ეს საყრდენი. იმის გამო, რომ საყრდენი წარმოადგენდა კომპრომისს სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის და გააჩნია როგორც სამთავრობათაშორისო, ისე სუპრაეროვნული ხასიათი, მას აქვს ბევრი პრობლემა, რომლებიც ძირითადად არამდგრადობასთან და არატრანსპარენტულობასთანაა დაკავშირებული.

იმ სისუსტეებს შორის, რომლებიც მესამე საყრდენს აქვს, შეგვიძლია ხაზი გავუსვათ სამს:

1) იურიდიული და კონსტიტუციური ჩარჩოს გაურკვეველი ხასიათი

2) დაბალი პოლიტიკური ხედვადობა და მასმედიისგან ყურადღების ნაკლებობა; ასევე მკაცრად განსაზღვრული ბიუროკრატიული ხასიათი

3) წევრი სახელმწიფოების მხრიდან დაუმორჩილებლობის შემთხვევაში იძულების მექანიზმების არარსებობა

თავი 8.

ევროკავშირის მონეტარული პოლიტიკის უნიფიკაცია და სავალუტო კავშირზე გადასვლა

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის (ესკ) გზა: 1957 წლიდან 1999 წლამდე

ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნის იდეა ევროკავშირში წარმოიშვა გვიანი 1960-იანი წლებისათვის. ესკ-ის შექმნა იძლეოდა სავალუტო სტაბილიზაციის, მაღალი ზრდისა და დასაქმების ხელშემწყობი გარემოს შექმნის შესაძლებლობებს. თუმცა, სხვადასხვა სახის პოლიტიკური და ეკონომიკური წინააღმდეგობები იყო 1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების (შეთანხმება ევროკავშირის შესახებ) ხელმოწერამდე. სხვადასხვა დროს, სუსტმა პოლიტიკურმა ვალდებულებებმა, ეკონომიკური პრიორიტეტების ცვლილებამ, ეკონომიკური კონვერგენციის ნაკლებობამ და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო სავალუტო ბაზრების განვითარებამ გარკვეული როლი ითამაშა ესკ-ის განვითარებაში. მიუხედავად ამისა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში აღინიშნა წევრი ქვეყნების მუდმივი ძიება ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებისათვის, რომელიც ხელს უწყობდა მათ შორის პოლიტიკური კავშირების გაძლირებას და გაერთიანების ბაზრების დაცვას.

რომის ხელშეკრულება მცირედ ითვალისწინებდა ერთიანი სავლუტო სივრცის შექმნის საკითხებს, მაგრამ, საქონლის, მომსახურების, ადამიანთა თავისუფალ გადაადგილებათან ერთად აღნიშნული იყო კაპიტალის თავისუფალი მიგრაცია. ამასთან, აღნიშნული იყო, რომ, როგორც წესი, შენარჩუნებული იქნებოდა სტაბილური ვალუტები.

ევროპის სავალუტო სისტემა (ესს) თავდაპირველად შეიქმნა როგორც ევროგაერთიანების ფარგლებში ვალუტათა მერყეობის სტაბილიზაციის საშუალება. 1970-იან წლებში კრახი განიცადა 1944 წელს ბრეტონ ვუდსის შეთანხმებით შექმნილმა სავალუტო სისტემამ. 1968-69 წლებში სავალუტო არასტაბილურობა მკვეთრად გამოვლინდა. გერმანული

მარკა მყარდებოდა, ფრანკი უფასურდებოდა, რაც არყევდა ერთიანი აგრარული პოლიტიკის საფასო სისტემას, რაც იმ დროისათვის ევროგაერთიანების მთავარი მიღწევა იყო.

1969 წელს ჰააგის სამიტზე ფორმალურად მიზნად დაისახეს ევროპის სავალუტო სისტემის შექმნა. 1970 წელს პიერ ვერნერის (ვერნერი იმ დროისათვის ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი იყო) ანგარიშში მოცემული იყო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ეტაპობრივი (3 ეტაპი) შექმნის გეგმა, რომელიც მოიცავდა 10-წლიან პერიოდს, ანუ 1980 წლისთვის უნდა მიღწეულიყო ესს-ის შექმნა. აღნიშნული პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა მსოფლიო სანავთობო კრიზისმა. მიუხედავად ამისა, 1972 წელს შემოღებულ იქნა ვალუტის გაცვლის კურსის ევროპული სისტემა, რომელსაც „სნაკე" (გველი) უწოდეს. 1974 წელს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ეროვნული ეკონომიკური სისტემების ურთიერთდაახლოების შემდგომი გაღრმავება და სტაბილურობის, ეკონომიკური აღმავლობისა და დასაქმების პროცესების გააქტიურება.

ევროპის ვალუტების კურსების დარეგულირების პირველი მცდელობა ე. წ. „გველის" სისტემით, ითვალისწინებდა ნებადართულ მერყეობას +/– 2,25 %-ის ფარგლებში. ეს სისტემა მეტად წარუმატებელი გამოდგა. ამ მარჟის ფარგლებში დარჩენა შეძლო მხოლოდ დასავლეთ გერმანიამ, დანიამ და ბენილუქსის ქვეყნებმა. მზარდმა ეკონომიკურმა არასტაბილურობამ თანდათანობით შეარყია სისტემის საფუძველი. ფრანგული ფრანკი, გირვანქა სტერლინგ და იტალიური ლირა სავალუტო „გველის" მიღმა აღმოჩნდნენ.

ესს, რომლის პროექტიც როი ჯენკინსმა (ჯენკინისი იყო ევროკომიის პრეზიდენტი 1977-81 წწ.) წამოაყენა 1977 წლის ოქტომბერს, უფრო ამბიციურ პროექტს წარმოადგენდა, რომელშიც გაცვლითი კურსის (ვალუტის კურსის) მექანიზმი (ვკმ) განმტკიცებული იყო სხვადასხვა ფინანსური სიდიდეების მექანიზმებით და ერთიანი სავალუტო ერთეულით (ეკიუთი).

1978 წლის 6-7 ივლისს ბრემენში შემდგარ ევროპული საბჭოს სხდომაზე ევროპის სახელმწიფოთა და მთავრობათა ხელმძღვანელების მიერ ხელმოწერილ იქნა შეთანხმება ევროპის მონეტარული სისტემის შექმნის შესახებ. სისტემა ამოქმედდა 1979 წლის 13 მარტს. ევროპის მონეტარული სისტემის დაარსებას მოჰყვა ევროპაში ფულადი სტაბილურობის ისეთი ზონის შექმნა, რომელიც ეკონომიკურ განვითარებას და ინვესტიციების მოზიდვას უზრუნველყოფდა.

ევროპის მონეტარული სისტემა სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგებოდა:

ეკიუ – საკვანძო ელემენტი ფულად სისტემაში;

ვალუტის გაცვლითი კურსის მექანიზმი;

ინტერვენციის მექანიზმი.

ვკმ-ის თანახმად, მონაწილე ვალუტას გააჩნდა ცენტრალური კურსი ეკიუს მიმართ. ის გამოიყენებოდა ორი სხვადასხვა ვალუტის ერთიმეორის მიმართ კურსის განსასაზღვრად. თავდაპირველად მონაწილეობდა მხოლოდ 8 სხვადასხვა ქვეყნის ვალუტა. გაერთიანებულმა სამეფომ გადაწყვიტა, დროებით განზე გამდგარიყო 1979 წლის მარტში დამტკიცებული სისტემიდან. ევროგაერთიანების სამი მოგვიანებით გაწევრიანებული ქვეყანა საბერძნეთი, ესპანეთი და პორტუგალია ჯერ არ თვლიდნენ თავს საამისოდ მზად. 1989 წელს სისტემას შეუერთდა ესპანეთი, 1990 წლის ოქტომბერში კი გაერთიანებული სამეფო, რასაც წინ უსწრებდა მარგარეტ ტეტჩერის მხრიდან ადრე მიღებული გადაწყვეტილების მუდმივი დაბლოკვა. ტეტჩერმა მხოლოდ თანამდებობის დატოვებამდე ერთი თვით ადრე შეცვალა თავისი პოზიცია. 1992 წელს სისტემას შეუერთდა პორტუგალიაც და საბერძნეთი თამაშგარეთ აღმოჩნდა. თითოეული ვალუტის ცენტრალური კურსის „გადახალისება“ შეიძლებოდა მხოლოდ მონაწილე ქვეყნების ერთობლივი შეთანხმების შემდეგ. ეკიუს ცენტრალური კურსიდან გამოითვლებოდა ორმხრივი ცენტრალური კურსები. მონაწილე ქვეყნების ვალუტებს შორის თითოეული ვალუტისთვის დაშვებული იყო გადახრა ცენტრალური კურსიდან +/– 2,25 %-ის, ხოლო გირვანქა სტერლინგისა და პესეტას შემთხვევაში +/-6%-ის ფარგლებში.

თუ ვალუტა მიაღწევდა კურსის ქვედა ან ზედა ზღვარს, ცენტრალური ბანკები მოვალენი იყვნენ ჩარეულიყვნენ სავალუტო ბირჟების ოპერაციებში, რათა შეენარჩუნებინათ კურსი შეთანხმებული ლიმიტის ფარგლებში. პრაქტიკაში ეს ხდებოდა იმ ვალუტის გაყიდვით, რომელმაც მიაღწია უმაღლეს ზღვარს და იმ ვალუტის შესყიდვით, რომელიც დაეცა მინიმალურ ზღვრამდე. ასეთ სიტუაციაში ესს-ის შიგნით იქმნებოდა სხვადასხვა სახის საკრედიტო მექანიზმები, რომლებიც მოკლევადიან დახმარებას უწევდნენ რთულ ვითარებაში მყოფ ქვეყნებს. თუ ვალუტა დიდხანს ჩერდებოდა მინიმალურ ან მაქსიმალურ ზღვარზე, ან, თუ მოსალოდნელი იყო ამგვარის სიტუაცია, მაშინ ნათელი ხდებოდა, რომ აუცილებელი იყო ცენტრალური კურსის შეცვლა. ასეთ შემთხვევებში ევროკავშირის

ფინანსთა მინისტრები ბრიუსელში ხვდებოდნენ ერთმანეთს ჩვეულებრივ კვირის ბოლოს, რათა დაემტკიცებინათ კურსის შეცვლა. ეს არ ნიშნავდა მხოლოდ ერთი კონკრეტული ვალუტის კურსის შეცვლას რომელიმე მიმართულებით, არამედ ხდებოდა მთელი რიგი მარჟინალური (ზღვრული) შესწორებების შეტანა ორივე მიმართულებით სხვა ვალუტების კურსებშიც. შედეგად თავიდან იცილებდნენ წარსულში არსებულ უეცარ, ხშირად კონკურენტულ დევალვაციას და სისტემაში გაერთიანებული ვალუტების მერყეობა სხვა, სისტემაში არ მონაწილე ვალუტებთან შედარებით (გირვანქის ჩათვლით) გაცილებით სუსტი გახდა.

ესს-ის მნიშვნელობას გარკვეული ზიანი მიაყენა გაერთიანებული სამეფოს გადაწყვეტილებამ, არ მოეხდინა გირვანქა სტერლინგის შეყვანა ესს-ში დიდი ხნის განმავლობაში. ამ გადაწყვეტილებამ, ეკონომისტთა უმრავლესობის აზრით, ზიანი უფრო გაერთიანებულ სამეფოს მიაყენა, ვიდრე ევროგაერთიანებას. მიუხედავად ამისა, გაერთიანებული სამეფოს მუდმივი წარმომადგენლის სერ მაიქლ ბატლერის სიტყვებით, თუმცა გაერთიანებული სამეფო „ერთი მეოთხედით ესს-ის შიგნით და სამი მეოთხედით მის გარეთაა“, ესს-მ მაინც მოიტანა მრავალი სარგებელი, გარდა ვალუტის სტაბილიზაციისა. მან ხელი შეუწყო წევრი ქვეყნების ეკონომიკის უფრო მჭიდრო კონვერგენციას და სისტემაში მოწესრიგების ღონისძიებებმა ნდობა მოიპოვეს წევრ ქვეყნებში 1980-იანი წლების დასაწყისში ინფლაციის საგრძნობლად შემცირებაში მნიშვნელოვან როლის შესრულებით. საშუალოდ ინფლაცია 1980 წლის 12%-იდან 1985 წლისთვის 5%-მდე დაეცა, ხოლო ქვეყნებს შორის საშუალო დივერგენცია 6,2%-დან 2,8%-მდე შემცირდა. ევროგაერთიანების გარეთ მყოფმა ქვეყნებმა აღიარეს ესს-ის მნიშვნელობა იმ აზრით, რომ იგი აძლევდა მყარ რეკომენდაციებს მათი ეკონომიკური პოლიტიკისათვის. ჩრდილოეთის სამმა ქვეყანამ – ფინეთმა, ნორვეგიამ და შვედეთმა 1990-91 წლებში მათი ვალუტა ეკიუს დაუკავშირეს.

1992 წელს ესს-ის წინაშე პრობლემები წარმოიქმნა, რაც ნაწილობრივ განაპირობა რეცესიამ, ნაწილობრივ კი ფინანსური კონტროლის გაუქმებამ, რის გამოც ვალუტის დიდი მოცულობა ყოველდღიურად ბრუნვაში იყო და ამით სპეკულანტებს მანიპულაციის შესაძლებლობა ეძლეოდათ. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა იმ ფაქტმა, რომ ესს-ში გირვანქა არარეალურად მაღალი კურსით იქნა შეტანილი და გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ეწინააღმდეგებოდა ზეწოლას დათანხმებულიყო რეგულირებულ დევალვაციას.

შედეგად 1992 წლის სექტემბერში მასობრივმა სპეკულაციურმა ოპერაციამ გამოიწვია რამდენიმე ვალუტის დევალვაცია. ესს ერთდროულად დატოვეს გირვანქამ და ლირამ, რომლებმაც თავისუფალი კურსით დაიწყეს არსებობა. 1993 წლის ივლისში ანალოგიურად სპეკულაციური შეტევა მოგერიებულ იქნა ესს-ში მერყეობის ზღვრის დროებით 15%-მდე გაზრდით ორმხრივი ცენტრალური კურსის ორივე მიმართულებით. სინამდვილეში ვალუტების მერყეობა დიდად არ გასცილებია თავდაპირველ ვიწრო საზღვრებს, რას იმას ნიშნავდა, რომ წინა წლისაგან განსხვავებით არც ერთ ვალუტას არ განუცდია სერიოზული ვარდნა – აწევა. მექანიზმმა განაგრძო მოქმედება, მაგრამ ამჯერად გაერთიანებული სამეფოს, იტალიისა და საბერძნეთის გარეშე. 1996 წლის ნოემბერში იტალია ხელახლა შევიდა ესს-ში, საბერძნეთი კი 1998 წლის მარტში. გაერთიანებული სამეფო და შვედეთი კი მის ფარგლებ გარეთ დარჩნენ. ესს-მ თავისი მნიშვნელობა თითქმის მთლიანად დაკარგა 1998 წლის 31 დეკემბერს, როდესაც 11 ქვეყნის ვალუტის კურსი ევროს მიმართ დაფიქსირდა. რხევის თავდაპირველ საზღვრებში დარჩა მხოლოდ ბერძნული დრამა და დანიური კრონა.

ეკიუ

ეკიუს (ევროპის სავალუტო ერთეულის) გარდა ევროგაერთიანების ეროვნული ვალუტების აღმრიცხველის როლისა, გააჩნია მრავალი სხვა ფუნქცია. მან შეცვალა ყოფილი ესე (ევროპის საანგარიშო ერთეული) – (უროპეან ნიტ ოფ ცცაუნტ), რომელიც წარმოადგენდა წმინდა საბუღალტრო საზომს ეგ-ის ანგარიშებზე შემავალი და გამავალი ანგარიშსწორების ფარდობითი ღირებულების გამოსათვლელად. რაც შეეხება ეკიუს, (რომელსაც გააჩნდა კეთილხმოვანების უპირატესობა და ფრანგული რევოლუციამდელი ცნობილი მონეტის სახელი, მას ზურგს უმაგრებდა დიდი სარეზერვო ფონდი – ევროპის სავალუტო თანამშრომლობის ფონდი (ესთფ), რომელშიც წევრ ქვეყნებს უნდა შეეტანათ მათი ოქროს მარაგის 20% და დოლარის მარაგის 20%.

შედეგად ეკიუმ მოიპოვა საერთაშორისო ნდობა. იგი გამოიყენებოდა მრავალ გარიგებაში, რომლებიც ევროკავშირის ფონდებთან არავითარ კავშირში არ იმყოფებოდნენ (1986 წლისათვის იგი გახდა მესამე ყველაზე გავრცელებული ვალუტა, რომელიც გამოიყენებოდა საერთაშორისო ფინანსურ გარიგებებში დოლარისა და გერმანული მარკის შემდეგ). კომპანიების და ფიზიკურ პირთა მზარდი რიცხვი იყენებდა ეკიუს საბანკო დეპოზიტების, სამოგზაურო ჩეკების, კომერციული ანგარიშფაქტურებისა და

ანგარიშსწორებისათვის. ეს მართლაც დიდი მიღწევა იყო ვალუტისათვის, რომელიც ფიზიკურად არ არსებობდა, რამდენადაც ბრუნვაში არ იყო გამოშვებული ეკიუს არც კუპიურები, არც მონეტები. კერძო და კომერციული ფინანსური გარიგებებისათვის მისი სარგებლიანობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ეკიუს ღირებულება ნებისმიერ კონკრეტულ ეროვნულ ვალუტაზე ნაკლებად მერყევი იყო.

ეკონომიკური და სავალუტო კავშირი (ესკ)

მართალია რამდენიმე წლის მანძილზე ეროვნულ ეკონომიკებს შორის სრული კონვერგენციის არავითარი მოახლოება (ან „შერწყმა" – როგორც ეს მოვლენა ევროჟარგონით მოიხსენიება) არ გამოიკვეთა, რაც განპირობებული იყო კავშირში ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მასობრივი ფინანსური ტრანსფერების არარსებობით, ესკ-ის დაფუძნება მაინც წარმოადგენს ამ მიმართულებით გადადგმულ ერთ ნაბიჯს. იგი უდავოდ გახდა უმნიშვნელოვანესი ძვრა შორს გამიზნული ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნისაკენ, რომელიც განხორციელდა 1988 წლის ივნისამდე, როდესაც ჰანოვერის სამიტზე გადაწყდა, რომ დადგა ამ მიმართულებით ახალი ბიძგის მიცემის დრო. მასზე განხილულ იქნა ესკ-ის რეალური ამოქმედების გზები ევროპის ცენტრალური ბანკების მეთაურთაგან და რამდენიმე დამოუკიდებელი სავალუტო ექსპერტისაგან შედგენილი კომიტეტის მიერ, რომელსაც სათავეში კომისიის პრეზიდენტი ჟაკ დელორი ედგა. 1989 წელს, აპრილში მოხსენება წარმოადგინა დელორის კომიტეტმა, რომელშიც აღწერილი იყო კავშირის შექმნის სამეტაპიანი პროცესი. თუმცა კონკრეტული განრიგი არ იყო მოცემული.

პირველი ეტაპი. უნდა გაუმჯობესებულიყო თანამშრომლობა და კოორდინაცია ეკონომიკისა და სავალუტო სფეროებში. ეს, გარდა სხვა შედეგებისა, განაპირობებდა ესკ-ის, ეკიუს როლისა და ცენტრალური ბანკის მმართველთა კომიტეტის უფლებამოსილების გაძლიერებას. მრავალმხრივი ინსპექტირების პროცედურის დანერგვა გზას გაუხსნიდა უფრო ეფექტიან თანამშრომლობასა და ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის და პრაქტიკის მჭიდრო კონვერგენციას.

მეორე ეტაპი. იგი ვერ დაიწყებოდა ახალი ხელშეკრულების დადებამდე, ან რომის ხელშეკრულებაში შესწორების შეტანამდე, რომლებიც დაადგენდნენ ესკ-სათვის აუცილებელ ძირითად ინსტიტუციონალურ და საოპერაციო წესებს. მეორე ეტაპს უნდა შეესრულებინა სასტარტო პერიოდის მსგავსი ეტაპის როლი ახალი პროცედურებისათვის. ამ გარდამავალ

პერიოდში უნდა დაწყებულიყო გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების თანდათანობითი გადანაცვლება ეროვნულიდან გაერთიანების დონეზე. მეორე ეტაპის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელი იყო (დაიგეგმა) ევროპის ცენტრალური ბანკების ფედერალური ტიპის სისტემის შექმნა (ეცბს ან ევროფონდი), რომელიც საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით თანდათანობით დამოუკიდებელი გახდებოდა სავალუტო პოლიტიკისა და სავალუტო ბირჟებზე ინტერვენციის პოლიტიკის თვალსაზრისით, თუმცა ეროვნული ცენტრალური ბანკები შეინარჩუნებენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

მესამე ეტაპი. დაიგეგმა ვალუტების გაცვლის უცვლელად ფიქსირებული კურსისკენ სვლა და ახალ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გადაცემა; საბოლოოდ ერთიანი ვალუტის შემოღება.

დელორის კომიტეტის ზოგადი მიდგომა მისაღები იყო 12 ქვეყნიდან 11-სთვის. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა მარგარეტ ტეტჩერის მეთაურობით ამ ინიციატივას ცუდად შეხვდა და ერთიანი ვალუტის კონცეფციისადმი განსაკუთრებულად მტრულად განეწყო. მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლევებმა ამ ნაბიჯით მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებლის მიღება იწინასწარმეტყველეს, რომელიც 1990 წლის 1 ივლისისათვის, წლიურად 15 მილიარდ ეკიუს შეადგენდა, გაერთიანებული სამეფო არ ცვლიდა თავის პოზიციას მეორე და მესამე ეტაპის მიმართ.

მიუხედავად მარგარეტ ტეტჩერის უარისა, ევროგაერთიანების მეთაურებმა 1989 წლის დეკემბერში გამართულ მთავრობათა სამიტზე ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს, რომ მოეწვიათ მთავრობათაშორისი კონფერენცია, რომელზედაც მიღებული იქნებოდა გადაწყვეტილება მეორე და მესამე ეტაპებისათვის საჭირო ხელშეკრულებებში შესატანი ცვლილებების შესახებ. შემდგომ მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ჩატარდებოდა ორი მთავრობათაშორისი კონფერენცია – ერთი ესკ-ის, ხოლო მეორე პოლიტიკური კავშირის შესახებ. ორივე მათგანი გაიხსნებოდა 1990 წლის დეკემბერში რომში და დაასრულებდა მუშაობას 1991 წლის დეკემბრისათვის დაგეგმილ მაასტრიხტის სამიტზე მოხსენების წარდგენამდე. მანამადე კი 1990 წლის ოქტომბერში ჩატარებულ რომის პირველ სამიტზე, მარგარეტ ტეტჩერის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, გადაწყდა, რომ ესკ-ის მეორე ეტაპი და ევროფედის შექმნა დაიწყებოდა 1994 წლის 1 იანვარს. სწორედ ტეტჩერის

ასეთმა მიდგომამ დაუდო სათავე მოვლენათა იმ ჯაჭვს, რომელმაც განაპირობა მისი გადადგომა ერთი თვის შემდეგ. გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ თანხმობა განაცხადა ორ მთავრობათაშორის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე და მისი დამოკიდებულება ტეტჩერის წასვლის შემდეგ უფრო შემრიგებული გახდა. მთავრობათაშორის კონფერენციაზე მან წამოაყენა მე-13 ვალუტის – „მყარი ეკიუს“ შექმნის გეგმა, რომელიც შეცვლიდა დელორის მოხსენებაში წარმოდგენილ ერთიან ვალუტას.

ევროკავშირის ხელშეკრულება

ფაქტობრივად ამის თაობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1991 წლის დეკემბერში გამართულ მაასტრიხტის სამიტზე, რომელზედაც ხელი მოეწერა ევროკავშირის ხელშეკრულებას. ხელშეკრულება მოიცავდა ესკ-ის შექმნასთან დაკავშირებულ ოთხ თავს: ეკონომიკური პოლიტიკა, სავალუტო პოლიტიკა, ინსტიტუციები და ტრანსეროვნული ასპექტები.

ეკონომიკური პოლიტიკისადმი მიძღვნილი თავი წევრი ქვეყნებისაგან მოითხოვს ეკონომიკური პოლიტიკის იმგვარად მართვას, რომ მიღწეულ იქნას ესკ-ის მიზნები და „ეთანხმებოდეს თავისუფალი კონკურენციისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს“. წევრი ქვეყნები მათ ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა მიუდგნენ, როგორც საერთო ინტერესის საგანს და მოვალენი არიან მოახდინონ მათი კოორდინირება ეკოფინის საბჭოს (ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხთა საბჭო) მეშვეობით. ეკონომიკური პოლიტიკის ზოგადი პრინციპები უნდა განისაზღვროს ევროსაბჭოს მიერ (ანუ ევროკავშირის სამიტებზე) და შემდეგ ეკოფინის საბჭოზე ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით.

შემოიღეს მრავალმხრივი ინსპექტირების პროცედურა, რომლის მეშვეობითაც ეკოფინის საბჭო, წევრი ქვეყნების ეკონომიკების მჭიდრო კოორდინაციისა და კონვერგენციის უზრუნველსაყოფად, ახდენს თითოეული წევრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მონიტორინგს კომისიის მიერ წარმოდგენილი მოხსენებების საფუძველზე. თუ იგი მიიჩნევს, რომ ეკონომიკური პოლიტიკა არ ეთანხმება მიღებულ ზოგად პრინციპებს, საბჭო უფლებამოსილია, ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით, პოლიტიკური რეკომენდაციები გაუწიოს წევრ ქვეყნებს. რეკომენდაციები სურვილისამებრ შეიძლება საჯაროდ გაკეთდეს. თუ წევრი ქვეყანა განაგრძობს ზოგად პრინციპებთან შეუსაბამო პოლიტიკას და ქვეყანაში კერძოდ კვლავაც დაფიქსირდება საბიუჯეტო დეფიციტი, მის წინააღმდეგ გატარდება

სერიოზული სანქციები, დამთავრებული ეგ-ის (ეკ-ის) ინსტიტუციებიდან სესხების გაყინვით, უპროცენტო საყრდენი დეპოზიტების მოთხოვნით და საბოლოოდ „სათანადო მოცულობის ჯარიმის დაწესებით“. ხელშეკრულებაში ნათლად არის ნაჩვენები, რომ ევროგაერთიანების მიზანს არ წარმოადგენს ფინანსურ სიძნელეებში მყოფი წევრი ქვეყნის დახსნა, თუმცა ქვეყანას შეიძლება გაეწიოს ფინანსური დახმარება სტიქიური უბედურების შემთხვევაში, ან სხვა სიძნელეების დროს, რომლებიც არ არის გამოწვეული წევრი ქვეყნის უყაირათობით.

სავალუტო პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა „ფასების სტაბილიზაციის უზრუნველყოფა“, ანუ ინფლაციის მინიმალური დონე. ამ მიზნით დაიგეგმა ეცბს - ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემის შექმნა, რომელიც ეროვნული მთავრობებისგან დამოუკიდებლად იმოქმედებდა და ესკ-ის მესამე ეტაპზე შეიქმნებოდა ეცბ (ევროპის ცენტრალური ბანკი).

მეორე ეტაპი დაიწყო 1994 წლის 1 იანვარს: კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებასთან ერთად დაიწყო ესკ-ისთვის მრავალწლიანი პროგრამები; განსაკუთრებით ფასების სტაბილიზაციასთან დაკავშირებით; დაარსდა ესი – ევროპის სავალუტო ინსტიტუტი (ეცბ-ის წინამორბედი). 1995 წლის მადრიდის სამიტზე გადაწყდა „ევრო“ ეწოდებინათ ერთიანი ვალუტისთვის, რომელიც ეკიუზე გადაიცვლებოდა ერთი-ერთთან;

მესამე ეტაპზე გადასასვლელად ქვეყნებს შემდეგი პირობები უნდა დაეკმაყოფილებინათ (ერთიან სავალუტო სისტემაში მისაღებად):

• ფასების სტაბილურობა: ინფლაციას 1,5%-ზე მეტად არ უნდა გადაეჭარბებინა სამი ყველაზე დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყნის საშუალო მაჩვენებლიდან;

• ვკმ-ის (ვალუტების კურსების მექანიზმის) ვიწრო საზღვრები; ანუ გაცვლითი კურსი უნდა ჰქონოდა ქვეყანას სტაბილური. ეროვნული ვალუტა არ უნდა ყოფილიყო დევალვირებული უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში და არ უნდა გადასცილლებოდა ევროპის მონეტარული სისტემით დადგენილ ცვალებადობის 2,25%-იან ზღვარს;

• საპროცენტო განაკვეთები: გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები 2 %-ზე მეტად არ უნდა გადახრილიყო ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის მქონე სამი სახელმწიფოს საშუალო საპროცენტო განაკვეთიდან;

• ეროვნული ბიუჯეტის დეფიციტი უნდა უახლოვდებოდეს ან ნაკლები იყოს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 3%-ზე;

• ვალი: სახელმწიფოს ვალმა შეიძლება გადააჭარბოს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 60%-ს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ ვალის დონის შემცირების საერთო ტენდენცია.

1999 წლის 1 იანვრისთვის 11 ქვეყანა მზად იყო მესამე ეტაპისთვის: ავსტრია, ბელგია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, პორტუგალია და ესპანეთი. გაერთიანებულმა სამეფომ და დანიამ დააკმაყოფილეს კრიტერიუმები, მაგრამ არ შეუერთდნენ მესამე ეტაპს, რისი უფლებაც ჰქონდათ. შვედეთმა დააკმაყოფილა ეკონომიკური კრიტერიუმები, მაგრამ არ მიიღო ზომები მისი ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, რაც ასევე წარმოადგენდა ეკონომიკური და სავალუტო კავშირის წევრობის აუცილებელ პირობას. საბერძნეთმა ვერ დააკმაყოფილა კრიტერიუმები.

1998 წლის 1-2 მაისს ბრიუსელში შემდგარ ევროსაბჭოს სპეციალურ სხდომაზე მიიღეს რეკომენდაციები და 1999 წლის 1 იანვარს 11-მა ქვეყანამ გაუშვა ევრო მიმოქცევაში. 2001 წლის 1 იანვარს საბერძნეთიც შეუერთდა ევროსისტემას. 2002 წლის დასაწყისამდე ევროსთან ერთად ეროვნული ვალუტები იყო მიმოქცევაში, ეს იყო ევროზე გადასვლის პროცესი. 2002 წლის 1 ივლისისთვის გაუქმდა სხვადასხვა ქვეყნის მონეტები და ბანკნოტები, როგორც კანონიერი ვალუტა.

მაასტრიხტის ხელშეკრულება. ევროსისტემის მუშაობის მექანიზმი

მაასტრიხტის ხელშეკრულება

მაასტრიხტის ხელშეკრულების გაფორმებით დასრულდა ის 30 წლიანი გზა, რომელიც ევროპის ქვეყნებმა გაიარეს მონეტარული კავშირის მისაღწევად. ეკონომიკური და მონეტარული კავშირის გაფორმებამ შეცვალა თვით ინტეგრაციის პროცესის ხასიათი, რადგან ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ერთად ყურადღების ცენტრში მოექცა პოლიტიკური პროცესებიც. ევროკავშირის თავდაპირველ ეკონომიკურ საყრდენს დაემატა კიდევ ორი _ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა და მართლმსაჯულება და შიდა უსაფრთხოება. გაძლიერდა ევროპარლამენტის ძალაუფლება და ზოგიერთ საკითხზე გადაწყვეტილებების მისაღებად კვალიფიციური უმრავლესობის ნაცვლად საჭირო გახდა ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღება.

დაახლოების კრიტერიუმები

როდესაც მაასტრიხტის ხელშეკრულება მზადდებოდა, ევროპის ქვეყნებში საკმაოდ განსხვავებული ეკონომიკური სიტუაცია არსებობდა. გერმანია მკაცრად იცავდა ფასების სტაბილურობის მოთხოვნას და უკმაყოფილო იყო იმით, რომ ზოგიერთი ქვეყანა ვერ ახერხებდა საკუთარი ეკონომიკური ცხოვრების წარმართვას დადგენილი წესების მიხედვით. ის მოითხოვდა, რომ ქვეყნის დაშვება მონეტარულ კავშირში შერჩევითი ყოფილიყო. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ხუთი კრიტერიუმი, რომლებიც ყველა შემდგომ კანდიდატ ქვეყანას შეეხებოდა.

ინფლაცია

პირველი კრიტერიუმი ინფლაციას უკავშირდება. მონეტარულ; კავშირში გასაწევრიანებლად საჭიროა, რომ ქვეყნის ინფლაციის დონე არ აღემატებოდეს ევროკავშირის სამი ყველაზე დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს 1,5%-ზე მეტად. ეს მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილა საბერძნეთმა, რის გამოც ის მონეტარულ კავშირს მოგვიანებით, 2001 წელს შეუერთდა.

გრძელვადიანი ნომინალური საპროცენტო განაკვეთები

ინფლაციისადმი მიდრეკილმა ქვეყანამ შეიძლება დროებით მოთოკოს ინფლაცია. მაგალითად რეგულირებადი ფასების (ელექტროენერგია, ტრანსპორტი), გაყინვით. მაგრამ მოგვიანებით კვლავ შეარბილოს ინფლაციის რეგულირების ღონისძიებები. იმისათვის, რომ ინფლაციის მოჩვენებითად დაბალი დონე, მეორე კრიტერიუმი მოითხოვს, რომ გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი არ აჭარბებდეს 2%-ზე მეტად სამი ყველაზე დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები, ჩვეულებრივ, ინფლაციის მიმართ ბაზრის მოლოდინს ასახავს. დაბალი გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი კი დაარწმუნებს ბუნებრივად სკეპტიკურტად განწყობილ ფინანსურ ბაზრებს, რომ ინფლაცია სამომავლოდაც დაბალ დონეზე იქნება.

მონაწილეობა ევროპის სავალუტო კურსის მექანიზმში

ეს კრიტერიუმი უზრუნველყოფს, რომ ქვეყანას შესწევდეს თავისი სავალუტო კურსის მომავალი პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან მიბმის უნარი. ქვეყანა უნდა მონაწილეობდეს ევროპის სავალუტო კურსის მექანიზმში ორი წლის მანძილზე მაინც, ისე რომ არ მოახდინოს საკუთარი ვალუტის დევალვაცია.

ბიუჯეტის დეფიციტი

თავისთავად ინფლაცია სასურველი არაა, მაგრამ ხშირად ინფლაცია დიდი საბიუჯეტო დეფიციტის შედეგია, რომელსაც მთავრობა ვერ აფინანსებს ფინანსურ ბაზრებზე სესხის აღებით და მიმართავს ფულის ემისიას. ამდენად, შეიძლება ბიუჯეტის დეფიციტი ფულის მასის ზრდის მიზეზი გახდეს და მაღალი ინფლაცია განაპირობოს. ამიტომ მეოთხე კრიტერიუმი დეფიციტის დასაშვებ ზღვარს აწესებს. ამ შემთხვევაშიც გამოყენებულ იქნა გერმანიის მაგალითი, რომელიც მოქმედებდა ე.წ. „ოქროს წესით“, რომ ბიუჯეტის დეფიციტი დასაშვებია, თუ ის შეესაბამება სახელმწიფო საინვესტიციო ხარჯებს (გზებზე, ტელეკომუნიკაციებზე, სხვა ინფრასტრუქტურაზე). მთავარი მოსაზრება ისაა, რომ სახელმწიფო ინვესტიციები წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის წყაროს, რაც საბოლოოდ ნასესხები თანხების დაბრუნების რესურსს ქმნის. გერმანული „ოქროს წესის“ მიხედვით დადგენილია, რომ სახელმწიფო ინვესტიციები, ჩვეულებრივ, მშპ-ს 3%-ს შეადგენს, შესაბამისად, ბიუჯეტის დეფიციტმაც მშპ-ს 3%-ს არ უნდა გადააჭარბოს.

სახელმწიფო ვალი

მაასტრიხტის ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების მიმდინარეობისას ქვეყნების ვალის საშუალო სიდიდე იყო მშპ-ს 60%, შესაბამისად, ზედა ზღვარად ეს სიდიდე იქნა დადგენილი. გარდა ამისა, მიჩნეულია, რომ მშპ-ს მიმართ საგარეო ვალის 60%-იანი სიდიდე შეესატყვისება ბიუჯეტის დეფიციტის ზედა ზღვარს 3%-ს. ვალი დეფიციტის არსებობის შედეგად ფორმირდება. თუ წლის ბოლოს მთლიანი ნომინალური ვალი არის Bt, წლის განმავლობაში მიზი ზრდა არის Bt-Bt-1, ხოლო ეს ტოლია წლიური დეფიციტის Dt, მაშინ

$$\mathrm{Bt} - \mathrm{Bt} - 1 = \mathrm{Dt}$$

დაახლოების კრიტერიუმი ეხება არა ვალისა და დეფიციტის აბსოლუტურ მნიშვნელობას, არამედ მათ შეფარდებას ნომინალურ მშპ-სთან, რასაც აღვნიშნავთ, bt და dt, შესაბამისად.

$$\frac{\mathrm{Bt}-\mathrm{Bt}-1}{Yt}=\frac{Dt}{Yt}$$

ანუ

$$bt - \frac{Bt-1}{Yt} = dt$$

$\frac{Bt-1}{Yt} = \frac{Bt-1}{Yt-1}\frac{Yt-1}{Yt} = \frac{bt-1}{1+gt}$ *სადაც* $gt = \frac{Yt-Yt-1}{Yt-1} - 1$ არის წლის მანძილზე მშპ-ს ზრდის ტემპი. შეგვიძლია ვალის ზრდის განტოლება ასე ჩავწეროთ:

bt – bt-1 = (1+gt)dt – gtbt

თუ ვალის შეფარდება მშპ-სთან მუდმივი იქნება, მაშინ bt=bt-1 და

dt = $\frac{1+gt}{gt} bt$

თუ dt იქნება 3%, მაშინ bt გაუტოლდება 60%-ს, თუ ეკონომიკა წლიურად 5%-ით იზრდება. ამდენად, თუ რეალური მშპ-ს ზრდა იქნება 3%, ინფლაცია 2% , ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი იქნება 5%.

ევროსისტემის მუშაობის მექანიზმი

ერთი ვალუტის არსებობის პირობებში, რასაკვირველია, იარსებებს ერთი სავალუტო კურსი და ერთიანი საპროცენტო განაკვეთი, შესაბამისად, ერთიანი მონეტარული პოლიტიკა.

ევროპის მონეტარული კავშირის მონეტარულ პოლიტიკას, წესით, ერთი ცენტრალური ბანკი უნდა წარმართავდეს, მაგრამ ეროვნული ცენტრალური ბანკები შენარჩუნებულია. მათთან თანაარსებობს ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც ფრანკფურტში დაფუძნდა. ევროპის ცენტრალური ბანკების სისტემა შედგება სწორედ ევროპის ცენტრალური ბანკისა და ეროვნული ცენტრალური ბანკებისგან, რაც **ევროსისტემის** სახელით მოიხსენიება. ევროსისტემა პასუხისმგებელია ევროს ზონის მონეტარული პოლიტიკის გატარებაზე. იგი ასევე, წარმართავს უცხოურ სავალუტო ოპერაციებს, წევრი ქვეყნების ფინანსთა მინისტრებთან შეთანხმებით. იგი ფლობს და განკარგავს ევროპის მონეტარული კავშირის წევრი ქვეყნების ოფიციალურ უცხოურ რეზერვებს და ახორციელებს საკრედიტო ინსტიტუტებისა და ფინანსური სისტემის ზედამხედველობას.

ევროპის ცენტრალურ ბანკს უძღვება ექვსი წევრისგან შემდგარი აღმასრულებელი საბჭო. მონეტარული პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა მმართველთა საბჭო რომელიც აღმასრულებელი საბჭოს ექვსი წევრისა და ეროვნული ცენტრალური ბანკების მმართველებისგან შედგება. აღამსრულებელი საბჭოს წევრები არცერთ ქვეყანას არ წარმოადგენენ და ისინი ინიშნებიან როგორც ინდივიდუალური პირები, მაგრამ ყველა დიდ ქვეყანას (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი) აქვს თავისი ადგილი საბჭოში.

ამადენად, ევროპის ცენტრალური ბანკი ფედერალური ინსტიტუტია (როგორც მაგალითად აშშ-ში, სადაც არსებობს ერთი ფედერალური ცენტრალური ბანკი და რეგიონული ბანკები), ხოლო ევროსისტემა ჰიბრიდულია, რადგან მოიცავს ფედერალურ (ევროპის ცენტრალურ ბანკს) და ეროვნული დონის ინსტიტუტებს (ეროვნული ცენტრალური ბანკები).

მაასტრიხტის ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ევროსისტემის მთავარი მიზანია ფასების სტაბილურობა. ფასების სტაბილურობის განმარტებას ხელშეკრულება არ იძლევა. ევროსისტემა მას ასეთ ინტერპრეტაციას აძლევს: „ფასების სტაბილურობა არის წლიდან წლამდე ევროს ზონის სამომხმარებლო ფასების ჰარმონიზებული ინდექსის ზრდა 2%-ზე ნაკლებად. ფასების სტაბილურობა უნდა შენარჩუნდეს საშუალოვადიან პერიოდში“. ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ფასების სტაბილურობა პირველი ამოცანაა. სხვა ამოცანები ითვალისწინებს ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს და დასაქმების მაღალ დონეს.

სხვა ცენტრალური ბანკების მსგავსად, ევროსისტემაც მონეტარული პოლიტიკის წარმართვის ინსტრუმენტად იყენებს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს. მოკლევადიანი

აქტივები (24 საათიანი ან უფრო ნაკლები ვადის მქონე) ახლოსაა ნაღდ ფულთან. რადგან ცენტრალური ბანკი ფლობს ნაღდი ფულის მიწოდების მონოპოლიას, მას შეუძლია გააკონტროლოს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთები. გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები ამსახველია მომავალ ინფლაციასთან დაკავშირებით ბაზრის მოლოდინისა, რომლის კონტროლი ცენტრალური ბანკების შესაძლებლობას აღემატება. პრობლემა სწორედ ისაა, რომ საოჯახო მეურნეობები და ფირმები შედარებით გრძელვადიან სესხს იღებენ, საფონდო ბაზრის ფასები და სავალუტო კურსები ასევე, გრძელვადიან მოლოდინებზეა დამოკიდებული. ამდენად, ცენტრალური ბანკები არაპირდაპირ ზემოქმედებენ ეკონომიკაზე, რადგან ისინი გავლენას ახდენენ მომავალ მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებსა და ინფლაციაზე.

ევროსისტემა კონცენტრირებულია ერთდღიან განაკვეთზე (EONIA – European Over Night Index Average), რომელიც წარმოადგენს ერთდღიანი სასესხო გარიგებების საპროცენტო განაკვეთს ევროს ზონის ბანკთაშორის ბაზარზე. მისი კონტროლი ორი გზით ხდება:

- ევროსისტემა აწესებს EONIA-ს ცვლილების ზედა და ქვედა ზღვარს ღია სასესხო და სადეპოზიტო საშუალებათა შენარჩუნებით წინასწარ გამოცხადებული საპროცენტო განაკვეთის დონეზე. ზღვრული სასესხო საშუალება ნიშნავს, რომ ბანკებს ყოველთვის შეუძლიათ პირდაპირ ისესხონ ევროპის ცენტრალური ბანკისგან (უფრო ზუსტად კი ნაციონალური ცენტრალური ბანკებისაგან) შესაბამისი საპროცენტო განაკვეთით. ისინი არასოდეს გადაიხდიან მეტს ერთდღიან ბაზარზე, ამდენად ზღვრული სასესხო განაკვეთი არის ზედა ზღვარი. ანალოგიურად, რადგან ბანკენს ყოველთვის შეუძლიათ დეპოზიტზე შეინახონ ფული ევროპის ცენტრალური ბანკის სადეპოზიტო განაკვეთით, ისინი არასოდეს გაასესხებენ უფრო დაბალი განაკვეთით და ის წარმოადგენს ქვედა ზღვარს. ამდენად, EONIA დადგენილ კორიდორში მოძრაობს.
- ევროსისტემა ჩვეულებრივ, კვირაში ერთხელ ატარებს აუქციონებს მის მიერ შერჩეული განაკვეთით. ამ აუქციონებს უწოდებენ რეფინანსირების მთავარ ოპერაციებს. ისინი საბანკო სისტემისათვის ლიკვიდურობის მთავარი წყაროა და სერჩეული საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს ზუსტ მეგზურს, იმისათვის, რომ EONIA დადგინდეს.

როგორ გადაედინება ლიკვიდურობა ევროსისტემიდან ევროს ზონის საბანკო სისტემის ყველა კუთხეში? როგორც აღვნიშნეთ, რეგულარულად იმართება აუქციონები. ყველა ეროვნული ცენტრალური ბანკი კომერციული ბანკებისაგან აგროვებს შეთავაზებულ ფასებს და

აწვდის ინფორმაციას ევროპის ცენტრალურ ბანკს. ევროპის ცენტრალური ბანკი წყვეტს შეთავაზებული ფასის რა პროპორციაა მისაღები და აცნობებს ეროვნულ ცენტრალურ ბანკებს. არა აქვს მნიშვნელობა თავდაპირველი ინიექცია ევროს ზონის რომელ ნაწილში მოხდება: რადგან მთელ მის სივრცეში ერთი საპროცენტო განაკვეთი მოქმედებს, ბანკთაშორისი ბაზარი უზრუნველყოფს იმას, რომ ფული იქ მიეწოდებოდეს, სადაც მისი საჭიროებაა.

ევროსისტემის სტრატეგია სამ მთავარ ელემენტს მოიცავს: ფასების სტაბილურობას და ორ მიმართულებას ფასების სტაბილურობის რისკების დასადგენად. პირველი მიმართულება არის **ეკონომიკური ანალიზი**. იგი გულისხმობს ეკონომიკური მდგომარეობის გაფართოებულ ანალიზს (ზრდა, დასაქმება, ფასები, სავალუტო კურსი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მდგომარეობა), როგორც მიმდინარეს, ასევე, პერსპექტიულს. მეორე მიმართულება კი არის **მონეტარული ანალიზი**, განსაკუთრებით კი M3 აგრეგატისა და კრედიტის ანალიზი, რომლებიც საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდში ზემოქმედებენ ინფლაციაზე. პრაქტიკულად ეს ამგვარად ხორციელდება: მმართველთა საბჭოს მთავარი ეკონომისტი წარუდგენს ანალიზს ინფლაციისა და ეკონომიკური ზრდის პროგნოზის ჩათვლით. მონეტარული ანალიზი გამნოიყენება იმისათვის, რომ დაზუსტდეს პროგნოზი და საბჭომ დაადგინოს რა იქნება ინფლაციის მაქსიმალური დონე. შემდეგ იწყება დებატები: როგორ შეცვალონ საპროცენტო განაკვეთი? გაიზარდოს თუ არა ის, თუ ინფლაცია დიდია? რა მნიშვნელობა მიენიჭოს სხვა მიზნებს, როგორებიცაა ზრდა და დასაქმება და ა შ. ბოლო ათწლეულში ევროპის ბევრი ქვეყანა მისდევდა ინფლაციის ტარგეტირების სტრატეგიას. იგი გულისხმობს მიზნობრივი დონის გამოცხადებას, ინფლაციის პროგნოზის მომზადებას და შემდეგ საპროცენტო განაკვეთის კორექტირებას იმდენად, რაც საჭიროა ინფლაციის მიზნობრივ დონესა და პროგნოზულ დონეს შორის სხვაობის გამოსასწორებლად. მაგალითად, თუ პროგნოზი აჭარბებს მიზნობრივ დონეს, რეკომენდაცია იქნება მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ანუ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდება. ევროსისტემა ამ მიდგომის წინააღმდეგია, რადგან ის ბუნდესბანკის გამოცდილებას ემხრობა, რომელიც არ მიმართავდა ინფლაციის ტარგეტირებას.

ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ გატარებულ პოლიტიკას შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებული შედეგი მოჰყვეს. მაგალითად, ქვეყნებში, სადაც ფირმები უფრო მეტად საფონდო ბაზრებზე სესხულობენ, ვიდრე ბანკებისგან, მონეტარულ პოლკიტიკას შეზღუდული ეფექტი ექნება, რადგან საფონდო ფასები ნაკლებად მისდევს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს,

ვიდრე საბანკო განაკვეთები. ეს წარმოადგენს წინააღმდეგობას ერთიანი მონეტარული პოლიტიკის გატარებისთვის.

ევროსისტემა **დამოუკიდებელი** ინსტიტუტია. როგორც ევროპის ცენტრალური ბანკი, ასევე, ეროვნული ბანკები თავისუფალი არიან პოლიტიკური ზეწოლისაგან. ევროკავშირის ხელშეკრულება პირდაპირ არაკანონიერად აცხადებს ევროსისტემის საქმიანობაში ეროვნული ან ევროპის ხელისუფლების ორგანოებისგან ნებისმიერ ჩარევას. მისი დამოუკიდებლობა ვრცელდება მონეტარული პოლიტიკის მიზნებისა და ინსტრუმენტების არჩევისას. მაასტრიხტის ხელშეკრულებაში მიზანი ნაწილობრივ ბუნდივნადაა მოცემული (განყოფილება 14.3.1), რათა ევროსისტემას ჰქონდეს საკმარისი თავისუფლება იმისათვის, რომ თვითონ დაადგინოს საით მიდის და რა ინსტრუმენტები გამოიყენოს მიზამდე მისასვლელად. ევროსისტემა, ასევე, დამოუკიდებელია ფინანსურად. მას აქვს თავისი ბიუჯეტი; მისი აუდიტი არ ხდება ევროპის აუდიტორთა საბჭოს მიერ.

რაც შეეხება ევროსისტემის პასუხისმგებლობას, მისი განხორციელების მექანიზმებია ანგარიშგება და გამჭვირვალობა. მისი წლიური ანგარიში ეგზავნება ევროპარლამენტს, ასევე, საბჭოს და კომისიას. გამჭვირვალობა საკუთარი გადაწყვეტილებების საჯაროობას გულისხმობს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს მმართველთა საბჭოს სხდომების დეტალური ჩანაწერების გამოქვეყნებას, მაგრამ ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი პრესკონფერენციების მეშვეობით აცნობს საზოგადოებას ევროსისტემის გადაწყვეტილებებს.

თემა 9

ევროპის რეგიონული პოლიტიკა და ფისკალური პოლიტიკა

შესავალი

გლობალური მასშტაბით, მაშინ როდესაც ევროკავშირი რჩება მნიშვნელოვანი კაპიტალისა და ეკონომიკური სიძლიერის ცენტრად, განვითარების სქემა საკმაოდ არათანაბარია, ეკონომიკური და სოციალური შეუსაბამობა კვლავაც შესამჩნევია და იმატა უკანასკნელი გაფართოებების შემდეგ. მაგალითად, 2004 წლამდე ყველაზე ღარიბი რეგიონის დონე იყო დაახლოებით ორი მესამედი (67%), ერთ სულ მოსახლეზე გათვლილი საშუალო მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით. ათი ახალი წევრი ქვეყნის შემოერთების შემდეგ, ყველაზე ღარიბი რეგიონის დონე იყო ერთ მესამედზე (28%) ნაკლები, ევროკავშირის საშუალო მონაცემთან შედარებით. ასევე, ევროკავშირის წარმოების 43% მოდის ევროკავშირის ტერიტორიის მხოლოდ 14%-ზე - გეოგრაფიული პენტაგონი, რომელიც უშვებს მაღალი ზედნადები ფასის მქონე პროდუქტს, იქმნება ლონდონის, ჰამბურგის, მიუნხენის, მილანისა და პარიზისაგან, რომლებიც ასევე წარმოადგენს საკუთარი მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედის საცხოვრებელ ადგილს. ლუქსემბურგი, ყველაზე მდიდარი წევრი ქვეყანა, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის სტატისტიკის მიხედვით, ახლა უკვე შვიდჯერ უფრო მდიდარია, ვიდრე ყველაზე ღარიბი რუმინეთი, ხოლო რეგიონალურ დონეზე განსხვავებები კიდევ უფრო დიდია. ჩინეთსა და ინდოეთზე დაკვირვების დაკვირვების შედეგად ვასკვნით, რომ ეს არც ისე დიდი განსხვავებაა. ამ ორივე ქვეყანაში არსებულ იმ რეგიონებს, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტის დონე (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მაღალია, სტატისტიკურად შვიდჯერ აღემატება ყველაზე ნაკლებად განვითარებულ რეგიონს. ჩინეთში 60%-ზე მეტი მშპ იწარმოება ტერიტორიის მხოლოდ 4%-ზე.

ევროპული რეგიონალური განვითარების პოლიტიკა დაფუძნებულია პილიტიკურ პრინციპზე, რომლის მიხედვითაც მდიდარმა ქვეყნებმა და რეგიონებმა უნდა შეინარჩუნონ სოლიდარობა შედარებით ღარიბ ქვეყნებთან და რეგიონებთან მიმართებაში. ამასთან, ღარიბ წევრ ქვეყნებსა და რეგიონებში წარმოების შედარებით

დაბალი მოცულობა და უმუშევრობის მაღალი დონე, მთლიანად კავშირისათვის პოტენციალისა და შესაძლებლობების დანაკარგს იწვევს. თანამედროვე ინფრასტრუქტურასა და ინოვაციურ საქმიანობაში ინვესტიციების ჩადება, უკეთესი განათლების მიცემა და ტრენინგების ჩატარება იმ ხალხისათვის, რომლებიც შედარებით სუსტ რეგიონებში ცხოვრობენ, მნიშვნელოვან ახალ ბაზარს უხსნის კარს და ყველა წევრი ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს აფართოებს. ამავე დროს, ინტეგრაციის პოლიტიკა გვეხმარება კავშირის მთავარი ისტორიული მიღწევების საფუძველშივე გაამყაროს შეთანხმება. აღსანიშნავია ერთიანი ბაზრის შექმნა და ერთიანი ვალუტის, ევროს შემოღება, რომელიც ახლა (2009 წელს) 16 წევრი ქვეყნის მიერ გამოიყენება.

რეგიონალური განვითარება ის პროცესია, რომელიც ხელს უწყობს ეფექტური და ქმედითი ინსტიტუტების დანერგვას, მოითხოვს ახლო თანამშრომლობას ნებისმიერ დონზე არსებულ სახელმწიფოს, ბიზნეს ორგანიზაციებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის. ევროპის რეგიონალური პოლიტიკის მიზანია პრობლემები მოხსნას და შესაძლებლობები გააჩინოს.

ზოგიერთი ძირითადი მიღწევა, ევროპაში რეგიონალური განვითარების მხრივ, შესაძლებელია დავინახოთ სატრანსპორტო ქსელის მოდერნიზაციასა და განვითარებაში. დღევანდელი სატრანსპორტო ქსელი ვითარდება, რათა გახდეს სტაბილური, ეფექტური და უსაფრთხო გადაადგილების საშუალება, რომელიც აფართოებს ქსელს ყველა რეგიონში მისაღწევად. ამ ინვესტიციების ჩადებით, ეკონომიკური განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით, უფრო ფართო მიღწევების კონტექსტში, ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა ცდილობს უზრუნველყოს, რომ ეს ქსელები რეგიონებს მისცემენ საშუალებას არამხოლოდ იმპორტით დაკავდნენ, არამედ ექსპორტიც აწარმოონ. ამიტომაც, ინტეგრაციის პოლიტიკის განვითარების პროგრამები ყოველთვის ინტეგრირებული პროგრამებია. სხვა ნოვატორული გადაწყვეტილებები გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ პროგრამებშია, სადაც ინოვაციური და ეფექტური ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც ეკონომიკური ზრდის წყარო, ისევე როგორც ბუნების დაცვა და შეუქცევადი ეკოლოგიური ზარალის პრევენცია.

კომისარმა ჰუბერმა და ბატონმა გედელ ვიეირა ლიმამ, ბრაზილიის ეროვნული ინტეგრაციის მინისტრმა, 2007 წლის 29 ნოემბერს ხელი მოაწერეს "ურთიერთგაგების მემორანდუმს", "ევროპის კომისიასა" და "ბრაზილია რეგიონალური პოლიტიკის თანამშრომლობისთვის" ორგანიზაციას შორის.

რეგიონალური განვითარების პრინციპები წლების განმავლობაში შემოწმებასა და ანალიზს გადიოდა და მუდმივ განახლებას განიცდიდა, რათა საბოლოოდ პოლიტიკის პრინციპების ფართო სპექტრი მიგვეღო, რომელიც მიმართული იქნებოდა ეკონომიკისა და სოციალურ გამოწვევებზე, ისევე როგორც გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ მიზნებს მიღწევაზე. ამ პოლიტიკის წარმატება დაფუძნებულია ევროკავშირის მასშტაბით პარტნიორულ ურთიერთობებზე, დაგეგმარებასა და რაციონალურ მართვაზე. როდესაც ეს პრინციპები ჩამოყალიბებულია, განვითარების პროგრამები შესაძლებელია დეცენტრალიზებული გზით ვმართოთ.

ეს არის ის გამოცდილება, რომელიც გვაწვდის საფუძველს დისკუსია ვაწარმოოთ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან ერთად, რომელთაც მსგავსი საკითხები გააჩნიათ.

ევროკავშირის რეგიონული განვითარების ისტორიული ფონი

ეროვნული საზღვრების ეკონომიკური მნიშვნელობის შემცირება, რეგიონებსა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობით.

ევროპული ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპზე, კონკრეტულად კი ყოველი მომდევნო გაფართოების შედეგად, წევრ ქვეყნებსა და რეგიონებს შორის დიდი შეუსაბამობები ჩნდებოდა. ევროპული რეგიონალური ინვესტირების ადრეული მოდელები რესურსებს ფართო სპექტრის ინფრასტრუქტურის პროექტებზე მიმართავდნენ, ისეთებზე, როგორიცაა ფართო სპექტრის სატრანსპორტო ქსელები და კომუნალური მომსახურეობა. ევროკავშირის დონეზე ისეთი პროექტების დაფინანსება, რომლებიც ცალკეული რეგიონების ფარგლებს სცილდებოდა, ევროკავშირის საფუძველის ჩაყრისათვის სოლიდარობის პრაქტიკული დემონსტრირება იყო.

ძირითადად, ასეთი პროექტებისათვის დაფინანსება მოდიოდა ეროვნულ ფარგლებში და ფართო ხედვა რეგიონალურ პრობლემებზე არ არსებობდა. შესაბამისად, საზოგადოებრივი რეგიონალური პოლიტიკა, როგორც ასეთი, არ არსებობდა.

აქედან გამომდინარე, უნდა გვეღიარებინა, რომ პოლიტიკა უფრო მრავლისმომცველი უნდა გამხდარიყო, რათა შედარებით სუსტ რეგიონებში ხელი შეწყობოდა დამოუკიდებელი ეკონომიკურ ზრდასა და სამუშაო ადგილების წარმოქმნას. ინფრასტრუქტურის საკითხი კვლავაც მნიშვნელოვანი რჩებოდა, მაგრამ ასევე იყო საჭიროება ინვესტიციები ჩადებულიყო კვლევაში, ინოვაციებში, ტრენინგებში, მარკეტინგულ განვითარებაში და სხვა. ბევრი ინოვაციური პროგრამა ამ წლების განმავლობაში წარმოიშვა. ასევე დადასტურებულია ევროკავშირის ვალდებულება ჩადოს ფინანსები ხალხის სწავლებაში და გაიაზროს შრომის ბაზარზე ცვალებადი მოთხოვნების არსებობა, ტექნოლოგიური განვითარების ჭრილში.

1990-იან წლებში იზრდებოდა ცნობიერება იმისა, რომ საჭიროა ყურადღება მიექცეს ეკონომიკური ზრდის ეკოლოგიურ შედეგებს საჭიროა ყურადღება მიექცეს. ინტეგრაციის პოლიტიკას ასევე უნდა დაეახლოვებინა დღევანდელი და მომავალი თაობა. რეგიონალურ პოლიტიკას უნდა უზრუნველეყო, რომ გამომუშავების მოცულობასა და სამუშაო ადგილთა რაოდენობის ზრდა შეესაბამებოდა

ეკოლოგიის დაცვას და რომ ბიზნესი და სხვა ეკონომიკურ სფეროში მოღვაწე ერთეულები უშუალო პასუხისმგებელნი იქნებოდნენ მიყენებული ზიანისათვის. ამგვარად, პრინციპი „დამბინძურებელი იხდის“ კანონმდებლობაშიც ჩაიდო, ისევე როგორც იმ პირობათა ჩამონათვალში, რომელიც ევროპული რეგიონალური პროგრამების ფარგლებში გაცემულ ფინანსურ მხარდასაჭერ გრანტებს მართავს.

1990-იანი წლები იყო ის ერა, როდესაც ეკონომიკური რესტრუქტურიზაციის გახანგრძლივებული პერიოდი ნიშნავდა, რომ სოციალური უთანაბრობა მოსახლეობის ჯგუფებს შორის უფრო ნათელი გახდებოდა და ამას კონკრეტულად მარგინალური

ჯგუფებისათვის ნეგატიური ეფექტი ექნებოდა. სოციალური გამოყოფა განხილული უნდა ყოფილიყო, თუ გაერთიანების მიზანი არ დაირღვეოდა.

შედეგად მივიღეთ რეგიონალური პოლიტიკის ზუსტი კორექტირება, იმ ფაქტის აღიარებით, რომ საშუალებების გამოყენების არათანაბარი შესაძლებლობა ზრდის პროცესს ძირს უთხრის. პოლიტიკის ევროპელმა შემქმნელებმა მიიღეს კანონი, რომელიც ცდილობდა გაემაგრებინა ეკონომიკური და სოციალური მცდელობები და ამით უზრუნველყო ფასისა და ხარისხის თანაფარდობა და გაფართოების შემდგომ დახმარებოდა ევროკავშირს მიეღწია ეკონომიკური და სოციალური გარემოს შესაბამისობისათვის. ინტეგრირებულმა პროგრამებმა ზრდა და ახალი უნარ ჩვევები ჩამოაყალიბა და, ამავე დროს, მიზნად დაისახა საზოგადოებასა და პროექტებში მონაწილეობა და ამით მათი საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება.

ევროკავშირის დღევანდელი მოდელი ინტეგრირებული რეგიონალური განვითარებისათვის

დიდი სურათი

დღესდღეობით, ევროპის რეგიონალურ პოლიტიკას სამი ძირითადი მიმართულება გააჩნია. პირველი ეხება ეკონომიკური კონვერგენციის ხელშეწყობას, რათა დავეხმაროთ ნალებად განვითარებულ რეგიონებს, რომლებიც ძირითადად ახალ წევრ ქვეყნებშია განლაგებული, ასევე იმისათვის რომ შემცირდეს განსხვავებაშედარებით წარმატებულ ქვეყნებთან მიმართებაში შემცირდეს განსხვავება. მეორე ეხება არსებულ ფართომასშტაბურ ღონისძიებებს, რომლებიც გამიზნულია რეგიონალური კონკურენტუნარიანობისა და დასაქმების ხელშესაწყობად. პოლიტიკის მესამე კატეგორია მიზნად ისახავს რეგიონებსა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობას შეუწყოს ხელი და ამ გზით ნაციონალური საზღვრების ეკონომიკური მნიშვნელობა შეამციროს.

ასევე არსებობს ფინანსების სამი ძირითადი წყარო, რომელიც ევროკავშირის ჩამოყალიბების პერიოდში, დროის სხვადასხვა მომენტში შეიქმნა. ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF) ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ისეთ ინიციატივებზე, რომლებიც ეკონომიკურ ზრდასთან, დასაქმებასა და

კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთანაა დაკავშირებული, მათ შორის, ინფრასტრუქტურის ინვესტირებაზე. ინტეგრაციის ფონდის ყურადღების ცენტრშია სატრანსპორტო და გარემოს დაცვის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ენერგიის აღდგენის წყაროები. მესამე საკითხი, ევროპული სოციალური ფონდის დაფინანსება, მიმართულია ინვესტიციებზე ადამიანური კაპიტალის გასავითარებლად საგანმანათლებლო და სასწავლო სფეროში.

დღევანდელი რეგიონალური პოლიტიკის ძირითადი მიზნები:

კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, დანარჩენი მსოფლიოსთვის მეტოქეობის გასაწევად

ბრძოლა ზრდისათვის, ლისაბონის სტრატეგიის მეშვეობით

ბრძოლა ზრდისათვის, ლისაბონის სტრატეგიის მეშვეობით ეგრეთ წოდებული ლისაბონის სტრატეგია, რომელიც 2000 წელს ჩამოყალიბდა, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების საკითხი ევროკავშირის პოლიტიკის დღის წესრიგში პირველ ადგილზე წამოწია. ევროკავშირის მინისტრებმა შეათანხმეს ეს სტრატეგია იმ გათვლით, რომ ევროკავშირის ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა, მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიური გამხდარიყო. ის მოიცავდა სხვადასხვა სექტორში პოლიტიკის მიმოხილვისა და აუდიტის სქემას, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო პროცესის უწყვეტი მიმდინარეობა, რათა 2010 წლისათვის ევროკავშირში მიღწეული ყოფილიყო დასაქმებულობის, ეკონომიკური ზრდისა და კვლევის ხარჯების კონკურენტუნარიანი დონე (სხვა საკითხებთან ერთად). 2005 წელს, ზრდასთან და დასაქმების პრიორიტეტებთან ერთად, აქცენტი ხელახლა გაკეთდა ინოვაციების ხელშეწყობაზე. ყოველივე ამან შედეგი გამოიღო - რეგიონალური პოლიტიკა მცდელობის ეპიცენტრი გახდა, რათა კავშირში კონკურენტუნარიანობის პოზიცია გაუმჯობესებულიყო. ინოვაციის დონის ამაღლება ძირითადი მომენტია ევროპული ბიზნესების დახმარების სფეროში და, ასევე, ევროპის მოსახლეობის წარმატებით დასაქმებაში.

ბრძოლა ზრდისათვის, ლისაბონის სტრატეგიის მეშვეობით

ინოვაციის დონის ამაღლება ძირითადი მომენტია ევროპული ბიზნესების დახმარების სფეროში და, ასევე, ევროპის მოსახლეობის წარმატებით დასაქმებაში.

რეგიონალურ პოლიტიკას აღარ უყურებენ, როგორც რეგიონების დახმარების საშუალებას კავშირის საშუალო სტატისტიკასთან გასათანაბრებლად. კონკურენცია სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს მსოფლიო ბაზარის რეგიონალურ მიმართულებებში, ხოლო წარმატებული რეგიონალური ეკონომიკა არის ის, რომელიც გლობალური წარმოების ქსელში ყველაზე რეალური მოთამაშე ხდება.

ევროკავშირის დღევანდელი რეგიონალური პოლიტიკა არის ის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს და მიზნად ისახავს მომავლის შესაძლებლობების განჭვრეტას გამოუყენებელი პოტენციის მობილიზებით და არა წარსული პრობლემების კომპენსაციით.

პოლიტიკისური პროცესის რეფორმა რეგიონებისათვის ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა განხილვისა და შეთანხმების მუდმივ პროცესში იმყოფება, იმისათვის რომ დღევანდელ ცვალებად სამყაროში მისი რელევანტურობის შენარჩუნება უზრუნველყოს. უკანასკნელი რეფორმა, რომელიც 2006 წელს გატარდა, ოთხ ძირითად საკითხს ეყრდნობოდა:

პოლიტიკისური პროცესის რეფორმა რეგიონებისათვის

ცოდნის ეკონომიკის განვითარება, მენეჯმენტისათვის მეტი პასუხიმგებლობის მინიჭება, ხოლო წევრი ქვეყნებისა და
მაშინ როდესაც კლიმატური ცვლილებები ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა, ეს ასევე ბიზნეს შესაძლებლობაცაა. წევრ ქვეყნებში ლანდშაფტებისა და კლიმატური თავისებურებების მრავალფეროვნებაა. მოსახლეობის 7% ცხოვრობს ისეთ რეგიონებში, რომლებიც წყალდიდობის მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფება, 9% კი ცხოვრობს ისეთ ადგილებში, სადაც გვალვა დიდ საშიშროებას წარმოადგენს.

რეგიონალური პროგრამები მიზნად ისახავენ ჩვენი ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში დაბალანსებული მიდგომის პოვნას, განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის ისეთი წყაროს გამოყენების საშუალებით, როგორიცაა ქარისა და მზის ენერგია და ბიომასა. ამასთან, უნდა განვითარდეს ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც საერთაშორისო კონკურენტებთან მიმართებაში, ევროპელ ბიზნესმენებს კომერციულად

კარგ საწყის პლატფორმას მისცემს. ეკოლოგიურად მდგრად ტექნოლოგიებში ჭკვიანური ინვესტიცია შესაძლებლობას მისცემს ევროპას მიაღწიოს მიზნებს დაბინძურების საკითხთან მიმართებაში და საკუთარი პროდუქტიულობის შესაძლებლობა განაახლოს. ზოგიერთ პროგრამაში ბოლოდროინდელმა განახლებებმა ეკოლოგიური აუდიტი გაიარა, რითაც შემოწმდა ნახშირბადის გამონაბოლქვის საბოლოო ზემოქმედების განეიტრალების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

რეგიონალური და ადგილობრივი წყაროებისა და შესაძლებლობების ათვისება

რეგიონალური და ადგილობრივი წყაროებისა და შესაძლებლობების ათვისება სიახლე ხშირად შედარებით მცირე ბიზნესიდან მოდის, რომელსაც ადგილობრივი მასშტაბით კარგი ცოდნა გააჩნია, მაგრამ გაცილებით მეტის მიღება შეიძლება უფრო ფართო თანამშრომლობითა და საქმიანი კონტაქტების დამყარებით. ინიციატივა „რეგიონები ეკონომიკური ცვლილებისათვის“ (RfEC) საჯარო და კერძო სექტორებში მხარს უჭერს ადგილობრივ და რეგიონალურ ქსელს, იმისათვის რომ გამოცდილებისა და პრაქტიკის გაცვლა მოხდეს და ამით ახალი რამ შეისწავლოს, დაინერგოს, შეიცვალოს. RfEC ევროპული კომისიის მიერ 2006 წელს ჩამოყალიბდა და მიიღწვის რეგიონთა შორის და

➔ წევრი ქვეყნები ყველა დონეზე ერთად მუშაობენ

ურბანულ ქსელში შემოიტანოს დინამიკა, იმისათვის რომ ახალი პოლიტიკის იდეები შემოწმდეს და შემდგომ რეგიონალური პოლიტიკის პროგრამებში მათი ინტეგრირება სწრაფად მოხდეს. ინტეგრაცია

წევრი ქვეყნები ყველა დონეზე ერთად მუშაობენ ევროპული ქვეყნების ერთმანეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დაახლოება ევროკავშირის წევრობის დედაარსია. მრავალფეროვნების აღიარებასთან ერთად, ევროკავშირი მიიღწვის ახალი შესაძლებლობები დაამუშაოს, საზოგადოებების ერთმანეთთან დაახლოების გზით. მრავალი გამოწვევა სტანდარტული ადმინისტრაციული ჩარჩოებით ვერ შეიზღუდება, არ აქვს მნიშვნელობა საკითხი ეროვნულ დონეზე დგას თუ რეგიონალურზე და, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე რეგიონისა თუ ქვეყნისაგან მოითხოვს კოორდინირებულ, ერთობლივ პასუხს, რითაც თანამშრომლობის ახალი ფორმების საჭიროებას გვიჩვენებს. 2008 წელს კომისიამ ტერიტორიული ინტეგრაციის საკითხზე ახალი სადისკუსიო დოკუმენტი გამოსცა, რომელშიც არგუმენტირებულად ჩამოაყალიბა, რომ ევროკავშირის

ტერიტორიული მრავალფეროვნება არის ძალა, რომელიც შესაძლებელია მივმართოთ სრულიად ევროკავშირის მუდმივი განვითარებისაკენ.

წევრი ქვეყნების დაახლოება სატრანსპორტო კომუნიკაციების გზით

წევრი ქვეყნების დაახლოება სატრანსპორტო კომუნიკაციების გზით ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკის რესურსების დაახლოებით 22% განსაზღვრულია სატრანსპორტო პროექტებში ინვესტირებისათვის, რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე, ეფექტური სატრანსპორტო და სადისტრიბუციო სფეროში ეს უზარმაზარი შენატანი

ინვესტირება სატრანსპორტო სფეროში ეკონომიკის გაძლიერების მიზნით

ეკონომიკური წარმატებისა და სოციალური განვითარების საფუძველს ქმნის. რეგიონალური პროგრამები შექმნილია იმისთვის, რომ ურთიერთ კავშირის ამბიციური მიზნები სატრანსპორტო ქსელის ყველა სფეროს მიაწვდინოს. ისინი გზის, რკინიგზის და საზღვაო მარშრუტების მშენებლობის სფეროში ახალ ინვესტიციებს გვაწვდის. მათი მიზანია ურბანულ უბნებში მდგრადი საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება, რომლის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობას უკეთესი დამაკავშირებელი საშუალებები გაუჩნდებათ. თუ ქვეყანა შემოსაზღვრულია მხოლოდ სახმელეთო ხაზით, ევროპულ რეგიონალურ პროგრამებს უნიკალური შესაძლებლობა გააჩნია, სიტუაციას ინდივიდუალურად, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით შეხედოს და ხელი შეუწყოს სატრანსპორტო ქსელში ინვესტირებას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით გონივრული გადაწყვეტილება იქნება.

საქალაქო და სასოფლო განვითარების დაბალანსება და ყველა რეგიონის მართვა, განურჩევლად გეოგრაფიული მდებარეობისა

საქალაქო და სასოფლო განვითარების დაბალანსება და ყველა რეგიონის მართვა, განურჩევლად გეოგრაფიული მდებარეობისა ევროპის რეგიონალური განვითარების პროგრამები სპეციფიკური გამოწვევის წინაშე დგანან, რომლებიც ეხება ქალაქებისა და სოფლებს და, ამასთან, ისინი განსხვავებულ, მაგრამ ამავე დროს დამატებით გადაწყვეტილებებს გვთავაზობს.

სპეციფიკური ევროპული პროგრამა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ურბანული საზოგადოების ინიციატივა“, 1990 იან წლებში დაინერგა და მან პოლიტიკის განახლების შესაძლებლობა წარმოშვა. ამ პროგრამებში ყურადღება მახვილდებოდა ურბანულ ადგილებში ძლიერ ადგილობრივ თანამშრომლობაზე, იზრდებოდა ადგილობრივი პასუხისმგებლობა და განიხილებოდა ისეთი გამოწვევები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა ქალაქური ცხოვრების დონეზე. ამას “URBACT“ პროგრამის ფარგლებში ქსელური

აქტივობები დაემატა. ყველაფერი მცირე მასშტაბიანი საცდელი ღონისძიებებით დაიწყო და მდგრადი ურბანული განვითარების ეს მეთოდოლოგია 2007 წლის შემდეგ ძირითადი პოლიტიკის ნაწილი გახდა.

„ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა არის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს და მიზნად ისახავს მომავალ შესაძლებლობებს, არა წარსულის პრობლემების კომპენსაციით, არამედ გამოუყენებელი პოტენციალის მობილიზებით“.
„ევროპის რეგიონალური პოლიტიკა სტაბილურ, უსაფრთხო, ფინანსირების მიზანმიმართულ წყაროს უზრუნველყოფს, რომელიც ეკონომიკური აღდგენის სტიმულირებისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული.“ სოფლებში საზოგადოდ მიღებული მიდგომა არსებობდა, რომელიც გულისხმობდა იმ ბიზნესებისა და საზოგადოებების მხარდაჭერას, რომლებშიც სამომავლო პერსპექტივების გარანტირება შეუძლებელი იყო მხოლოდ სოფლის მეურნეობის ხარჯზე.

პოლიტიკის ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც ცდილობს ტერიტორიული ინტეგრაცია გააუმჯობესოს, არის ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების არსებობის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა, იმ დონეებისა და მასშტაბების შესაბამისად, რომელზეც ეს გამოწვევები უნდა იყოს განხილული. შესაბამისი ტერიტორიული მასშტაბი შესაძლებელია ვარირებდეს ღატაკი ურბანული გარემოდან დედაქალაქის ზონამდე, მდინარის აუზიდან მოყოლებული მთიან რეგიონამდე. ზოგადი განხილვის სახით, არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული მოთხოვნა, რომ უფრო მეტი შესაბამისობა იყოს ევროპულ პოლიტიკებს შორის, ტერიტორიული თვალსაზრისით, რაც მოიცავს თვით რეგიონალური პოლიტიკასა და პოლიტიკას სატრანსპორტო, სასოფლო

მეურნეობის, ეკოლოგიური განვითარების, კონკურენტუნარიანობისა და კვლევის სფეროში. სოლიდარობის გამოჩენა ბუნებრივი კატასტროფების დროს 2002 წელს კომისიის მიერ გატარებული ინიციატივის საფუძველზე წარმოქმნილი ევროკავშირის სოლიდარობის ფონდი დახმარებას გამოყოფს წევრი და კანდიდატი ქვეყნებისათვის, ძლიერი ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების აღდგენის მიზნით. როგორც ასეთი, ეს არის სოლიდარობის ერთ-ერთი ყველაზე კონკრეტული დემონსტრირება წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე საჭირო

სოლიდარობის გამოჩენა ბუნებრივი კატასტროფების დროს

მომენტში. 2004 – 2009 წლებში ფონდი 34-ჯერ ამოქმედდა 18 წევრ ქვეყანაში და სასწრაფო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხები 700 მილიონი ევროს ოდენობით დაფიქსირდა.

➔ ახალი წევრი ქვეყნების ინტეგრაცია

ინტეგრაცია ფინანსური სოლიდარობის გზით

დღევანდელი რეგიონალური პოლიტიკის

ძირითადი მიზნები.

კონკურენტუნარიანობის გაძლიერება,

დანარჩენი მსოფლიოსთვის მეტოქეობის

გასაწევად

ბრძოლა ზრდისათვის, ლისაბონის სტრატეგიის მეშვეობით

ეგრეთ წოდებული ლისაბონის სტრატეგია, რომელიც 2000 წელს ჩამოყალიბდა, ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების საკითხი ევროკავშირის პოლიტიკის დღის წესრიგში პირველ ადგილზე წამოწია. ევროკავშირის მინისტრებმა შეათანხმეს ეს სტრატეგია იმ გათვლით, რომ ევროკავშირის ცოდნაზე

დაფუძნებული ეკონომიკა, მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე კონკურენტუნარიანი და დინამიური გამხდარიყო. ის მოიცავდა სხვადასხვა სექტორში პოლიტიკის მიმოხილვისა და აუდიტის სქემას, რომლითაც უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო პროცესის უწყვეტი მიმდინარეობა, რათა 2010 წლისათვის ევროკავშირში მიღწეული ყოფილიყო დასაქმებულობის, ეკონომიკური ზრდისა და კვლევის ხარჯების კონკურენტუნარიანი დონე (სხვა საკითხებთან ერთად).

2005 წელს, ზრდასთან და დასაქმების პრიორიტეტებთან ერთად, აქცენტი ხელახლა გაკეთდა ინოვაციების ხელშეწყობაზე. ყოველივე ამან შედეგი გამოიღო - რეგიონალური პოლიტიკა მცდელობის ეპიცენტრი გახდა, რათა კავშირში კონკურენტუნარიანობის პოზიცია გაუმჯობესებულიყო. ინოვაციის დონის ამაღლება ძირითადი მომენტია ევროპული ბიზნესების დახმარების სფეროში და, ასევე, ევროპის მოსახლეობის წარმატებით დასაქმებაში. რეგიონალურ პოლიტიკას აღარ უყურებენ, როგორც რეგიონების დახმარების საშუალებას კავშირის საშუალო სტატისტიკასთან გასათანაბრებლად. კონკურენცია სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს მსოფლიო ბაზარის რეგიონალურ მიმართულებებში, ხოლო წარმატებული რეგიონალური ეკონომიკა არის ის, რომელიც გლობალური წარმოების ქსელში ყველაზე რეალური მოთამაშე ხდება.

ევროკავშირის დღევანდელი რეგიონალური პოლიტიკა არის ის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს და მიზნად ისახავს მომავლის შესაძლებლობების განჭვრეტას გამოუყენებელი პოტენციის მობილიზებით და არა წარსული პრობლემების

კომპენსაციით.

პოლიტიკისური პროცესის რეფორმა რეგიონებისათვის

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა განხილვისა და შეთანხმების მუდმივ პროცესში იმყოფება, იმისათვის რომ დღევანდელ ცვალებად სამყაროში მისი რელევანტურობის შენარჩუნება უზრუნველყოს. უკანასკნელი რეფორმა, რომელიც 2006 წელს გატარდა, ოთხ ძირითად საკითხს ეყრდნობოდა: ცოდნის ეკონომიკის განვითარება; მენეჯმენტისათვის მეტი პასუხიმგებლობის მინიჭება, ხოლო წევრი ქვეყნებისა და რეგიონებისათვის ფინანსური კონტროლის დეცენტრალიზება; პროცედურების გამარტივება და დაჩქარება; ევროპის ყოველი რეგიონის პოტენციალის განვითარება და, ამავე დროს, რესურსების მიმართვა ყველაზე სუსტი წერტილებისაკენ.

კლიმატური ცვლილებებისა და მყარი განვითარების გამოწვევის მიღება

მუდმივი განვითარება, ანუ ეკონომიკის, სოციალური და გარემოს დაცვის პრიორიტეტებს შორის ბალანსის მიღწევა, დიდი ხანია ევროკავშირის რეგიონალური განვითარების პოლიტიკის წამყვანი პრინციპი და დამახასიათებელი თვისებაა. რეგიონალური პოლიტიკა, გარემოს დაცვის კურსს ოთხი ძირითადი გზით განიხილავს: გარემოს დაცვის ისეთ ინფრასტრუქტურაში პირდაპირი ინვესტირებით, მაგალითად, როგორიცაა წყლის გამფილტრავი ქარხნები; ეკოლოგიის სტრატეგიული ექსპერტიზის მიერ ყველა რელევანტური პროგრამის შემოწმების უზრუნველყოფა; ყველა ძირითადი პროექტის მომზადების დროს, ეკოლოგიური

ზემოქმედების შემოწმების ჩატარების უზრუნველყოფა; ეკოლოგიური დატვირთვის მქონე ჯგუფებისა და სააგენტოების წარმომადგენლების მონაწილეობის განსაკუთრებული წახალისება და პირდაპირი მხარდაჭერა პროგრამების მომზადებისა და თვალყურის დევნების საკითხში. ეკოლოგიური ინვესტიციების სფეროში ევროპის ტოტალური დახმარება (პირდაპირი და არაპირდაპირი) 2007-2013 წლებისათვის ითვლის 105 მილიარდ ევროს, ანუ ჯამური თანხის 30,4% ს.

მაშინ როდესაც კლიმატური ცვლილებები ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა, ეს ასევე ბიზნეს შესაძლებლობაცაა. წევრ ქვეყნებში ლანდშაფტებისა და კლიმატური თავისებურებების მრავალფეროვნებაა. მოსახლეობის 7% ცხოვრობს ისეთ რეგიონებში, რომლებიც წყალდიდობის მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფება, 9% კი ცხოვრობს ისეთ ადგილებში, სადაც გვალვა დიდ საშიშროებას წარმოადგენს.

რეგიონალური პროგრამები მიზნად ისახავენ ჩვენი ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში დაბალანსებული მიდგომის პოვნას, განახლებადი და ალტერნატიული ენერგიის ისეთი წყაროს გამოყენების საშუალებით, როგორიცაა ქარისა და მზის ენერგია და ბიომასა. ამასთან, უნდა განვითარდეს ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგიები, რაც საერთაშორისო კონკურენტებთან მიმართებაში, ევროპელ ბიზნესმენებს კომერციულად კარგ საწყის პლატფორმას მისცემს. ეკოლოგიურად მდგრად ტექნოლოგიებში ჭკვიანური

ინვესტიცია შესაძლებლობას მისცემს ევროპას მიაღწიოს მიზნებს დაბინძურების საკითხთან მიმართებაში და საკუთარი პროდუქტიულობის შესაძლებლობა განაახლოს. ზოგიერთ პროგრამაში ბოლოდროინდელმა განახლებებმა ეკოლოგიური აუდიტი გაიარა, რითაც შემოწმდა ნახშირბადის გამონაბოლქვის საბოლოო ზემოქმედების განეიტრალების უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

რეგიონალური და ადგილობრივი წყაროებისა და შესაძლებლობების ათვისება

სიახლე ხშირად შედარებით მცირე ბიზნესიდან მოდის, რომელსაც ადგილობრივი მასშტაბით კარგი ცოდნა გააჩნია, მაგრამ გაცილებით მეტის მიღება შეიძლება უფრო ფართო თანამშრომლობითა და საქმიანი კონტაქტების დამყარებით. ინიციატივა „რეგიონები ეკონომიკური ცვლილებისათვის“ (RfEC) საჯარო და კერძო სექტორებში მხარს უჭერს ადგილობრივ და რეგიონალურ ქსელს, იმისათვის რომ გამოცდილებისა და პრაქტიკის გაცვლა მოხდეს და ამით ახალი რამ შეისწავლოს, დაინერგოს, შეიცვალოს. RfEC ევროპული კომისიის მიერ 2006 წელს ჩამოყალიბდა და მიიღწვის რეგიონთა შორის და ურბანულ ქსელში შემოიტანოს დინამიკა, იმისათვის რომ ახალი პოლიტიკის იდეები შემოწმდეს და შემდგომ რეგიონალური პოლიტიკის პროგრამებში მათი ინტეგრირება სწრაფად მოხდეს.

ინტეგრაცია

წევრი ქვეყნები ყველა დონეზე ერთად მუშაობენ

ევროპული ქვეყნების ერთმანეთთან პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით დაახლოება ევროკავშირის

წევრობის დედაარსია. მრავალფეროვნების აღიარებასთან ერთად, ევროკავშირი მიიღწვის ახალი შესაძლებლობები დაამუშაოს, საზოგადოებების ერთმანეთთან დაახლოების გზით. მრავალი გამოწვევა სტანდარტული ადმინისტრაციული ჩარჩოებით ვერ შეიზღუდება, არ აქვს მნიშვნელობა საკითხი ეროვნულ დონეზე დგას თუ რეგიონალურზე და, ხშირ შემთხვევაში, რამდენიმე რეგიონისა თუ ქვეყნისაგან მოითხოვს კოორდინირებულ, ერთობლივ პასუხს, რითაც თანამშრომლობის ახალი ფორმების საჭიროებას გვიჩვენებს.
2008 წელს კომისიამ ტერიტორიული ინტეგრაციის საკითხზე ახალი სადისკუსიო დოკუმენტი გამოსცა, რომელშიც არგუმენტირებულად ჩამოაყალიბა, რომ ევროკავშირის ტერიტორიული მრავალფეროვნება არის ძალა, რომელიც შესაძლებელია მივმართოთ სრულიად ევროკავშირის მუდმივი განვითარებისაკენ.

წევრი ქვეყნების დაახლოება სატრანსპორტო კომუნიკაციების გზით

ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკის რესურსების დაახლოებით 22% განსაზღვრულია სატრანსპორტო პროექტებში ინვესტირებისათვის, რაც ნათლად გვიჩვენებს, რომ თანამედროვე, ეფექტური სატრანსპორტო და სადისტრიბუციო სფეროში ეს უზარმაზარი შენატანი__

ეკონომიკური წარმატებისა და სოციალური განვითარების საფუძველს ქმნის. რეგიონალური პროგრამები შექმნილია იმისთვის, რომ ურთიერთ კავშირის ამბიციური მიზნები სატრანსპორტო ქსელის ყველა სფეროს მიაწვდინოს.
ისინი გზის, რკინიგზის და საზღვაო მარშრუტების

მშენებლობის სფეროში ახალ ინვესტიციებს გვაწვდის. მათი მიზანია ურბანულ უბნებში მდგრადი საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება, რომლის შედეგადაც ადგილობრივი მოსახლეობას უკეთესი დამაკავშირებელი საშუალებები გაუჩნდებათ. თუ ქვეყანა შემოსაზღვრულია მხოლოდ სახმელეთო ხაზით, ევროპულ რეგიონალურ პროგრამებს უნიკალური შესაძლებლობა გააჩნია, სიტუაციას ინდივიდუალურად, ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით შეხედოს და ხელი შეუწყოს სატრანსპორტო ქსელში ინვესტირებას, რომელიც ეკონომიკური თვალსაზრისით გონივრული გადაწყვეტილება იქნება. საქალაქო და სასოფლო განვითარების დაბალანსება და ყველა რეგიონის მართვა, განურჩევლად გეოგრაფიული მდებარეობისა ევროპის რეგიონალური განვითარების პროგრამები სპეციფიკური გამოწვევის წინაშე დგანან, რომლებიც ეხება ქალაქებისა და სოფლებს და, ამასთან, ისინი განსხვავებულ, მაგრამ ამავე დროს დამატებით გადაწყვეტილებებს გვთავაზობს.

სპეციფიკური ევროპული პროგრამა, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ურბანული საზოგადოების ინიციატივა“, 1990 იან წლებში დაინერგა და მან პოლიტიკის განახლების შესაძლებლობა წარმოშვა. ამ პროგრამებში ყურადღება მახვილდებოდა ურბანულ ადგილებში ძლიერ ადგილობრივ თანამშრომლობაზე, იზრდებოდა ადგილობრივი პასუხისმგებლობა და განიხილებოდა ისეთი გამოწვევები, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა ქალაქური ცხოვრების დონეზე. ამას "URBACT" პროგრამის ფარგლებში ქსელური

აქტივობები დაემატა. ყველაფერი მცირე მასშტაბიანი საცდელი ღონისძიებებით დაიწყო და მდგრადი ურბანული განვითარების ეს მეთოდოლოგია 2007 წლის შემდეგ ძირითადი პოლიტიკის ნაწილი გახდა.

„ევროკავშირის რეგიონალური
პოლიტიკა არის პოლიტიკა,
რომელიც განსაზღვრავს და
მიზნად ისახავს მომავალ
შესაძლებლობებს, არა წარსულის
პრობლემების კომპენსაციით,
არამედ გამოუყენებელი
პოტენციალის მობილიზებით“.

ფინანსირების მიზანმიმართულ წყაროს უზრუნველყოფს, რომელიც ეკონომიკური აღდგენის სტიმულირებისათვის შეიძლება იქნას გამოყენებული.“

სოფლებში საზოგადოდ მიღებული მიდგომა არსებობდა, რომელიც გულისხმობდა იმ ბიზნესებისა და საზოგადოებების მხარდაჭერას, რომლებშიც სამომავლო პერსპექტივების გარანტირება შეუძლებელი იყო მხოლოდ სოფლის მეურნეობის ხარჯზე.

პოლიტიკის ერთ-ერთი გამოწვევა, რომელიც ცდილობს ტერიტორიული ინტეგრაცია გააუმჯობესოს, არის ადმინისტრაციული და ინსტიტუციონალური შესაძლებლობების არსებობის სათანადო დონეზე უზრუნველყოფა, იმ დონეებისა და მასშტაბების შესაბამისად, რომელზეც ეს გამოწვევები უნდა იყოს განხილული. შესაბამისი ტერიტორიული მასშტაბი შესაძლებელია ვარირებდეს ღატაკი

ურბანული გარემოდან დედაქალაქის ზონამდე, მდინარის აუზიდან მოყოლებული მთიან რეგიონამდე. ზოგადი განხილვის სახით, არსებობს ნათლად ჩამოყალიბებული მოთხოვნა, რომ უფრო მეტი შესაბამისობა იყოს ევროპულ პოლიტიკებს შორის, ტერიტორიული თვალსაზრისით, რაც მოიცავს თვით რეგიონალური პოლიტიკასა და პოლიტიკას სატრანსპორტო, სასოფლო მეურნეობის, ეკოლოგიური განვითარების, კონკურენტუნარიანობისა და კვლევის სფეროში. სოლიდარობის გამოჩენა ბუნებრივი კატასტროფების დროს 2002 წელს კომისიის მიერ გატარებული ინიციატივის საფუძველზე წარმოქმნილი ევროკავშირის სოლიდარობის ფონდი დახმარებას გამოყოფს წევრი და კანდიდატი ქვეყნებისათვის, ძლიერი ბუნებრივი კატასტროფის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების აღდგენის მიზნით. როგორც ასეთი, ეს არის სოლიდარობის ერთ-ერთი ყველაზე კონკრეტული დემონსტრირება წევრ ქვეყნებს შორის ყველაზე საჭირო მომენტში. 2004 – 2009 წლებში ფონდი 34-ჯერ ამოქმედდა 18 წევრ ქვეყანაში და სასწრაფო ღონისძიებებისათვის გამოყოფილი თანხები 700 მილიონი ევროს ოდენობით დაფიქსირდა.

ახალი წევრი ქვეყნების ინტეგრაცია

ინტეგრაცია ფინანსური სოლიდარობის გზით

იმ ქვეყნებმა, რომლებიც ევროკავშირის წევრობისაკენ მიმავალ მოლაპარაკების გზას ადგანან, შესაძლებელია წინამოსამზადებელი დახმარება მიიღონ, რომელიც დამოკიდებულია მათ ეკონომიკურ პირობებზე. მსგავსი დახმარება შეესატყვისება ევროკავშირის რეგიონალური

პოლიტიკის მოდელს, რომელიც მხარს უჭერს ეკონომიკურ განვითარებასა და ინფრასტრუქტურისა და ადმინისტრაციული დაწესებულებების გაუმჯობესებას. 2005 წლის დეკემბერში 160 მილიარდი ევრო განაწილდა 12 წევრ ქვეყანას შორის, 2007-2013 წლებში რეგიონალური განვითარების პროგრამებისთვის. წინა პერიოდთან შედარებით, ამან თითქმის სამჯერადი ზრდა გვაჩვენა, ხოლო ბიუჯეტში შენატანი მათი მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 3.2%-ს შეადგენდა. ახალმა წევრმა ქვეყნებმა ძალიან უნდა მოინდომონ, რომ თავიანთი შესაძლებლობები განავითარონ, რათა ეს რესურსები ეფექტურად დახარჯონ. ამ სამუშაოს სქემა უზარმაზარია, თუმცა საწყისი შედეგები იმედის მომცემია.

ძლიერი ადმინისტრაციის/ინსტიტუტების შექმნა

ეკონომიკური ზრდა არამხოლოდ ინვესტიციებზეა დამოკიდებული, არამედ აგრეთვე განვითარების პროგრამების ეფექტურ ადმინისტრირებაზეც და საჭიროებს საზოგადოებრივი რესურსების მტკიცე მენეჯმენტს. შედეგად, ეს ყველაფერი კომპეტენტურ და სანდო ადმინისტრაციულ სისტემასა და გამჭვირვალე ნორმატიულ ბაზას მოითხოვს. 2007-2013 წლების ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის გაცნობის ახალ სისტემა სპეციალური პროგრამების მხარდაჭერას მოიცავს და არ გააჩნია სხვა მიზანი, გარდა იმ პირობების შექმნისა, რომლებიც ადმინისტრაციული რეფორმებისთვისა და მენეჯმენტის თანამდროვე წარმოების საკითხში თანამდებობის პირების ტრენინგისათვისაა საჭირო.

ტექნიკურ დახმარებასთან კომბინირებული ფინანსები

(JASPERS)

ახალი წევრი ქვეყნების შემდგომი დახმარებისთვის არსებობს

საიმედო პროგრამების შესაქმნელი დამხმარე სისტემა,

რომელიც მათ დამტკიცებამდე გასავლელ ფინანსური და

ტექნიკური დეტალების გარკვევაში დაეხმარება. JASPERS

(ევროპის რეგიონში დამხმარე პროექტებისათვის ერთობლივი

მოქმედება) არის საშუალება, რომელიც ფონდების სახით

ევროპული კომისიისგან წამოსულ კონტრიბუციებს აერთიანებს,

რათა ექსპერტების დაქირავება განხორციელდეს და რომელიც

ევროპული საინვესტიციო ბანკისა (EIB) და რეკონსტრუქციისა

და განვითარების ევროპული ბანკის (EBRD) მიერ დანიშნული პერსონალის მხრიდან

გაწეულ დახმარებას აერთიანებს.

ინვესტირება ეკონომიკური აღდგენის სფეროში

ევროპის რეგიონალური პოლიტიკა,

ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე,

სასიცოცხლო ინვესტიციებს უზრუნველყოფს.

ეს განსაკუთრებით დროული იყო 2008

წელს დაწყებული რეცესიის ჭრილში.

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღირსებას

წარმოადგენს მისი მოქნილობა ცვალებად

პირობებზე მოსარგებად.

დღევანდელი გლობალური ეკონომიკური

რეცესიის პირობებში, ისე როგორც არასოდეს,

ნათელი გახდა ეკონომიკური განვითარების მდგრადობისა და ადაპტირებადი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკის საჭიროება. ევროპის რეგიონალური პოლიტიკა სტაბილურ, უსაფრთხო, ფინანსირების გამიზნულ წყაროს უზრუნველყოფს, რომლის გამოყენება შესაძლებელია ეკონომიკის აღდგენის სტიმულირებისათვის.

დაფინანსების მოქნილი და ინოვაციური ფორმების გამოყენება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად

ევროპაში რეგიონალური განვითარების პროგრამა სარგებელს იღებს დაფინანსების სხვადასხვა სახის ფართო სპექტრიდან. ფონდების მთავარ წყაროს ევროპული რეგიონალური განვითარების ფონდი, ინტეგრაციის ფონდი და ევროპის სოციალური ფონდი წარმოადგენს, მაგრამ არსებობს აგრეთვე კაპიტალის გაზრდისა და სხვადასხვა ტიპის დაფინანსების სხვა დამატებითი საშუალებები. პროექტები, განსაკუთრებით ისინი, რომელთაც შემოსავლის შექმნა შეუძლია, მუდმივად ფინანსდება გრანტებისა და კრედიტების, ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტების კომბინაციით, მაგალითად, როგორიცაა საქმიანი თანამონაწილეობა.

Jeremie (ევროპული რესურსების გაერთიანება მცირე და საშუალო ბიზნესებისათვის) არის საშუალება, რომელიც მმართველ უწყებებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპლექსური ფინანსური საკითხების გადაწყვეტაში. ცალკე საფინანსო დაწესებულებებისათვის ფინანსების გამოყოფით, როგორიცაა ევროპული საინვესტიციო ფონდი, მმართველ უწყებას შეუძლია რეგიონში შემოიტანოს ქვეყნის გარეთ მიღებული გამოცდილება ბიზნესის განვითარების დაფინანსებისათვის, როგორიცაა

სესხები, მათ შორის საწარმოო ან საწყისი კაპიტალი.

Jessica (ევროპის ერთობლივი მხარდაჭერა ქალაქებში მდგრადი ინვესტიციებისათვის) არის კიდევ ერთი ფინანსური საშუალება, რომელიც ურბანული განვითარების ინტეგრირებული პროგრამების სფეროში მუშაობს. ევროკავშირის მიერ

მხარდაჭერილი 2007-2013 წლებისათვის განკუთვნილი პროგრამების თითქმის ნახევარი JESSICA-ს ტიპის აქტივობებისათვის უზრუნველყოფის საშუალებებს მოიცავს.

Jessica პარტნიორობს ევროპულ საინვესტიციო ბანკთან (EIB) და ევროპული ბანკის საბჭოსთან. მმართველ ორგანოს საკუთარ რესურსებში წვლილი შეაქვს, მაგრამ შემდეგ დამატებითი სესხი ან სააქციო კაპიტალი შეუძლია სხვა საფინანსო დაწესებულებებისგან მოითხოვოს, რომლებიც JESSICA-ს სქემით მოქმედებენ და პარალელურად საკუთარი ექსპერტისაგან სარგებელს იღებენ.

Jasmine (ერთობლივი მოქმედება ევროპაში მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მხარდასაჭერად) წარმოიშვა განვითარებად ქვეყანაში, ბანგლადეშში, რათა მიეწოდებინა მცირე დაფინანსება იმ ხალხისათვის, რომელთაც განათლებისა თუ კლასობრივი დონის გამო კერძო საბანკო სისტემაზე ხელი არ მიუწვდებოდათ.

1. ეკონომიკური ჩარჩო პირობების მნიშვნელობა კრიტიკულია.

ევროპული გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ, ერთის მხრივ, კონკურენციის თანაბარი პირობები ბიზნესისათვის და სხვა ეკონომიკური სექტორებისათვის, რომელიც მოწოდებულია ევროპის დონეზე ერთიანი ბაზრის მიერ, არის ფუნდამენტალური პირობა ევროპული ეკონომიკის

წარმატებისათვის. მეორე დაკვირვება არის ის, რომ ზრდადი პოლიტიკის წარმატება ძლიერ არის დამოკიდებული მათ ურთიერთქმედებაზე რამდენიმე ნაციონალურ პოლიტიკასთან (სექტორული პოლიტიკა, გადასახადები, შრომითი ბაზრის პოლიტიკა). მტკიცე მაკროეკონომიკური პირობები და ხელსაყრელი მიკროეკონომიკური ჩარჩო (ნორმატიული ბაზა, ბიზნეს კლიმატი) ეფექტური პოლიტიკის წინაპირობას წარმოადგენს, რომელიც ჩამორჩენილი რეგიონებისადმი არის მიმართული. თუ ეროვნული პოლიტიკა მხარს დაუჭერს რეგიონებს შეინარჩუნონ სტაბილურობა, განვითარებისაკენ წინსვლა გაძლიერდება.

2. არსებობს საჭიროება ჩამოყალიბდეს მორგებული სტრატეგიები შესაბამისი პოლიტიკის შერევით.

ევროკავშირის მასშტაბით მიღებულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ რეგიონალური და ადგილობრივი ცოდნა მთავარია იმის გასააზრებლად, თუ როგორ შეიძლება მდგრად განვითარებას მივაღწიოთ. პროგრამები საგულდაგულოდ უნდა მოერგოს კონკრეტულ რეგიონს, მის საჭიროებებსა და მისწრაფებებზე დაფუძნებით. არსებობს პოტენციურ ქმედებათა მრავალფეროვანი არჩევანი, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ; შესაბამისად, მნიშვნელოვანია თავიდანვე სწორი კომბინაცია ვიპოვნოთ და გავაერთიანოთ.

სანამ პრესტიჟულ საინვესტიციო პროექტებს თავისი ადგილი გააჩნიათ და შესაძლებელია განიხილებოდეს, როგორც მნიშვნელოვანი საწყისი წერტილი, ან თუნდაც მომავალი მოგებების კატალიზატორი, ევროკავშირის გამოცდილება

მიმართულია მხარი დაუჭიროს თვალთახედვას, რომლის მიხედვით ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა არის მცირე და საშუალო ბიზნესში

ინვესტირება და სიახლეების დარეგვა.

3. სტაბილური ბიუჯეტისა და ინტეგრირებული პროგრამირების მნიშვნელობა

ევროკავშირის შვიდწლიანი საბიუჯეტო პერსპექტივის მნიშვნელობა რეგიონალურ პოლიტიკაში წარმატების მიღწევის საკითხში ძალზე დიდია, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე. ის გრძელვადიან პროექტებში ინვესტიციების ხელშემწყობ სტაბილურობას უზრუნველყოფს სტრატეგიული ხედვის შესაბამისად, რომელიც პოლიტიკური გარემოებების ცვლილებებთან მიმართებაში შედარებით მდგრადია.

4. საერთაშორისო თანამშრომლობის საჭიროება

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის ერთ-ერთი მახასიათებელი თავიდანვე საერთაშორისო, ერებსა და რეგიონებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა იყო, რამაც საგრძნობი მოგება მოიტანა. ერთის მხრივ, შესაძლებლობა მხარი დავუჭიროთ ევროკავშირის მოსაზღვრე რეგიონებს შორის კონსტრუქტიულ კონტაქტებს ბევრ კანდიდატ ქვეყანას დაეხმარა მომზადებულიყო ევროკავშირის წევრობის

პასუხისმგებლობისათვის და ასევე დაეხმარა მოსახლეობას დარწმუნებულიყო ევროკავშირის წევრობისგან მიღებულ კონკრეტულ სარგებელში. მეორეს მხრივ, ევროკავშირში შემავალ რეგიონებს შორის თანამშრომლობა უფრო გამყარდა, რომელთაგანაც ზოგიერთი შედარებით გამოყოფილ და იზოლირებულ საზოგადოებას წარმოადგენდა, ყველაზე კარგად გამოჩნდა ჩრდილოეთ ირლანდიის სამშვიდობო პროცესის შემთხვევაში. ასევე გაიზრდება საერთო პრობლემების მქონე სხვადასხვა ქვეყნების დაახლოვების შესაძლებლობა, რასაც ადგილი ჰქონდა, მაგალითად, ბალტიისპირეთის რეგიონებში

და რაც ხელს უწყობს პრაქტიკულ, კონსტრუქციულ მიდგომას საერთო ხედვის მხრივ.

ეფექტური სატრანსპორტო ქსელის უზრუნველყოფა არის პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი, სადაც ნაციონალიზმის აღმატებული ხედვა მნიშვნელოვანია და ეროვნულ საზღვრებს სცდება.

5. ეკონომიკის აგლომერაცია და ურბანიზაცია

ევროპაში, ისევე როგორც სხვაგან, ურბანული აგლომერაცია ან ფართო მეტროპოლიტური არეალი ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალას გულისხმობს. ევროპული გამოცდილება ეკონომიკური კონცენტრაციის შერეულ სივრცულ ზემოქმედებას გვიჩვენებს. ევროპა, თავისი შედარებით მჭიდრო დასახლების მაგალითითა

და მიწის მაღალი ფასებით, აწყდება ისეთ პრობლემებს, როგორიცაა დასახლების სიმჭიდროვე, დაბინძურება და მაღალი კრიმინალური დონე. განსაკუთრებით ზრდასრულ ეკონომიკაში, ურბანიზაციის ეკონომიკური სარგებელი მსგავსი პრობლემების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს.

6. მცირე და საშუალო ზომის ქალაქებისა და ადგილობრივი ცენტრების როლი

ევროპა მიხვდა, რომ ზრდის მამოძრავებელ ძალას ევროპაში მხოლოდ დიდი ქალაქები წარმოადგენენ. რეგიონალური პოლიტიკის გამოცდილება ესპანეთსა და სხვაგან მცირე და საშუალო ზომის ქალაქების კონტექსტში, კავშირის არსებობის მნიშვნელობას გვიჩვენებს (პოლიცენტრული განვითარება), ისევე როგორც ადგილობრივი ცენტრის როლი სოფლებისთვის. საშუალო ზომის ქალაქები ურბანული ცენტრების, მცირე ქალაქებისა და სასოფლო რეგიონების დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. მათ აგრეთვე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ინტეგრაციის, კავშირისა და ფართომასშტაბიანი ეკონომიის ხელშეწყობის საკითხში. ისინი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სოფლის დეპოპულაციის შესაჩერებლად.

7. ადგილობრივი დასაქმება და შესაძლებლობების შექმნის ინიციატივები

ადილობრივ განვითარებას მთავარი როლი აკისრია ჩამორჩენილ რეგიონებში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობაში. სიღარიბის შემცირება ძალზე მნიშვნელოვანია, რისთვისაც ყურადღების ცენტრში ექცევა დასაქმება, რაც სიღარიბის რისკს ამცირებს.

უფრო მეტიც, ევროპა, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ხასიათდება შედარებით დაბალი შრომითი მობილურობით. შესაბამისად, ჩვენ წავაწყდით სიტუაციას, სადაც ადილობრივი დასაქმების ხელშეწყობისა და პოტენციალის გაზრდის ინიციატივების საჭიროებაში შედარებით მტკიცე კონსენსუსს მივაღწიეთ, რათა მივცეთ ჩამორჩენილ რეგიონებს საშუალება შესაძლებლობები გამოიყენონ და ძირითად ეკონომიკაშიჩაერთონ.

8. ძლიერი ინსტიტუციონალური დახმარება

ევროპის გაფართოებისკენ გადადგმულ თითოეულ წარმატებულ ნაბიჯთან ერთად, ძლიერი ინსტიტუტების არსებობის საჭიროება გაცილებით შესამჩნევი გახდა. ეკონომიკური სიძლიერის, სოციალური ტენდენციებისა და კეთილდღეობის, გარემო ვითარების, კულტურული მემკვიდრეობის, ეთიკური წარსულის დიდი მრავალფეროვნება, გეოგრაფიული თვალსაზრისით, უნიკალურ მრავალფეროვან კავშირს ემატება.

ევროკავშირის რეგიონალურმა განვითარებამ ყველა დონეზე ძლიერი ინსტიტუციონალური ხელმძღვანელობის საჭიროება გამოააშკარავა, რომელიც საზოგადოების ყველა ნაწილში იწვევს პატივისცემას. ევროკავშირის დონეზე, აუცილებელია მტკიცე პოლიტიკური სამართალი, საღი ეკონომიკური ანალიზი და პოლიტიკის დაგეგმარება არსებობდეს, ისევე როგორც ტექნიკური ექსპერტიზა, პროექტის მენეჯერების „ტერიტორიაზე“ სამართავად. ეროვნულ დონეზე, ინსტიტუტები კარგად უნდა იყოს კოორდინირებული.

9. მრავალდონიანი მართვა

განვითარების წარმატებული სტრატეგიები ყველა დონეზე უნდა „იმართებოდეს“. ევროკავშირის რეგიონალურ პოლიტიკას აღებული აქვს ისეთი გეზი, რომელიც ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაციის გზების მაქსიმალურად გამოყენებას ეძებს. ვერტიკალური მხარდაჭერით სარგებლობს ევროპის, ნაციონალური, რეგიონალური და ადგილობრივი მართვის სხვადასხვა დონის ორგანოები, დაგეგმარებისა და პროგრამული სისტემების მეშვეობით, რაც იქმნებოდა წლების განმავლობაში კომუნიკაციის დამყარების მიზნითა და იმ მიმართულებით სამოძრაოდ, სადაც მიზნების მიღწევაა შესაძლებელი. ჰორიზონტალურ პროცესში აქტიურადაა ჩართული ბიზნესი, სოციალური ჯგუფები და სამოქალაქო ორგანიზაციები და ისინი მონაწილეობენ მმართველი ორგანოების სამუშაოებში. ეს ნიშნავს, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა საკუთარ სექტორებსა და არეალებში გავლენა მოახდინონ და განვითარების სტრატეგია ჩამოაყალიბონ.

არ არის მარტივი ევროპული გამოცდილების საფუძველზე ისეთი დასკვნის გამოტანა, რომლის პირდაპირ გამოყენება შესაძლებელი იქნება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში. თუმცა, ჩვენი გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი შესაძლებელია, რომ შთაგონების წყარო გახდეს. ზოგიერთ ახლადწარმოშობილ ეკონომიკაში უთანაბრობა გაცილებით დიდია, ვიდრე ეს ევროპაში აღინიშნება. ასევე, მსოფლიოს სხვა ნაწილების

განუვითარებელ რეგიონებთან შედარებით, ევროპის ჩამორჩენილი რეგიონები, ერთიანი ბაზრის წყალობით, უფრო ინტეგრირებულია გლობალურ ეკონომიკაში.

მიღებული გაკვეთილები

რეგიონალური პოლიტიკის სფეროში ევროკავშირის გამოცდილების მიღების ერთ-ერთი გზა არის შევეცადოთ ამ გამოცდილებიდან გამოვყოთ ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ბოლო 20 წლის განმავლობაში ეხებოდა პოლიტიკის მართვასა და კონცეფციას. ქვემოთ მოცემულია ათი ასეთი განსახილველი საკითხი:

პირველი: რეგიონალური პოლიტიკა მოითხოვს გრძელვადიან სტრატეგიულ ხედვას, თუ რისი მიღწევაა საჭირო. ეს შესაძლებელია იყოს ძირითადი სექტორების განვითარება, როგორიცაა ტრანსპორტი, ან გეოგრაფიული არეალის განვითარება, მაგალითად, ევროკავშირის პოლიტიკის სფეროში არსებული ნაკლებად განვითარებული არეალი, რომლებსაც პრიორიტეტი აქვთ მინიჭებული. ევროკავშირის პროგრამებში სექტორული, ასევე გეოგრაფიული მიზანი დევს. ტრანსპორტის შემთხვევაში, საჭიროა აღნიშნოს, რომ პრიორიტეტები მიენიჭა იმ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობს ტრანს-ევროპული ქსელების განხორციელებას, წევრი ქვეყნების მიერ განისაზღვრება სატრანსპორტო სტრატეგია კავშირის ტერიტორიების დასაკავშირებლად.

მეორე: უნდა არსებობდეს რესურსების მოძიებისა და გადანაწილების ობიექტური ან „არაპოლიტიკური“ მეთოდი. უნდა განისაზღვროს, თუ როგორ უნდა იქნას მოძიებული და განაწილებული თანხები პროგრამებსა და რეგიონებზე. ამ გამოცდილებას სტატისტიკური მაჩვენებლები უნდა ამყარებდეს და, შესაბამისად, რეგიონალური პოლიტიკის განხორციელება გულისხმობს მსგავსი სტატისტიკური მომსახურების არსებობასა და ამ დარგში ინვესტირებას. ევროპაში პოლიტიკის გარშემო დებატების ერთ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მივიღოთ თუ არა ექსკლუზიური ან ინკლუზიური მიდგომა ბენეფიციარების მიმართ. ევროკავშირის პოლიტიკა ამ მომენტისათვის იყენებს განსაკუთრებულ მიდგომას ბენეფიციარების მიმართ, ყველა იმ რეგიონების ჩათვლით, რომლებიც შეესაბამება დახმარების ზოგიერთ კრიტერიუმს. ამასთან, არსებობს ნაკლებად განვითარებულ რეგიონებზე რესურსების კონცენტრაციის ძალიან მაღალი პროცენტი.
მესამე: ჩვენ დავინახეთ რომ სისტემა, რომელიც აერთიანებს თანადაფინანსებასა და პარტნიორობას, აძლიერებს საკუთრების უფლებას. მმართველმა ორგანოებმა, რომლებიც თავს უყრიან ინტერესების ფართო სპექტრს, აგრეთვე უნდა მოიძიონ კონკრეტული პროექტების ხარჯების 15 50%, ადგილობრივი (საჯარო თუ კერძო) წყაროებიდან. არ აქვს მნიშვნელობა, რომელ პროექტებში ჩაიდება რესურსები მმართველი ორგანოების მიერ, მთავარია პროექტი რეალურად ეკუთვნოდეს საზოგადოებას, რათა მისგან სარგებელი მიიღოს.

მეოთხე: მნიშვნელოვანია, გამოიყოს ნორმატიული ბაზა, რომელიც ჩამოაყალიბებს ზოგად წესებს, რომლითაც იმართება პოლიტიკის იმპლემენტაციის პროცესი, ინდივიდუალური პროექტების გადაწყვეტილების საფუძველზე. ევროკავშირში ამ შედეგს ინსტიტუციონალური არქიტექტურიდან ვიღებთ, რითაც პოლიტიკური დონე, წევრი ქვეყნები და ევროპარლამენტი, დაამტკიცებს იურიდიულ საფუძველს, მაშინ როდესაც პროექტების ამორჩევა მმართველ ორგანოებს ნაციონალურ და რეგიონალურ დონეზე გადაეცემა, ევროპული ინსტიტუციონალური დონისაგან გამოყოფილად და განცალკევებულად.

მეხუთე: გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული, აირჩეს თუ არა ინტეგრირებული პროგრამების მხარდაჭერა (დახმარება გაეწიოს დამატებით სამუშაოებს ინფრასტრუქტურის, ადამიანური რესურსებისა და ბიზნეს განვითარების სფეროში), თუ ხელი შეეწყოს ინდივიდუალური პროექტებს. ევროკავშირი დღესდღეობით, სხვადასხვა ფონდების მეშვეობით, ორივეს ახორციელებს. შეიძლება ითქვას, რომ ინტეგრირებული პროგრამები უფრო მეტ საშუალებას მოითხოვს, ინსტიტუციონალური შესაძლებლობების მხრივ, რეგიონებში. შესაბამისად, თუ უკანასკნელი სუსტ რგოლად ჩაითვლება, შესაძლებელია გაიცეს რეკომენდაცია ყველაფერი დაიწყოს პროექტისადმი მიდგომით.

მეექვსე: არსებობს გრანტების გამოყენებასთან, ასევე გრანტების კომბინაციასა და დახმარების ანაზღაურებად ფორმებთან დაკავშირებული საკითხი. ევროკავშირის პოლიტიკა უფრო მეტად მოძრაობს დახმარების მეტი ანაზღაურებადი ფორმების ჩართვის მიმართულებით, იმისათვის რომ ხელმისაწვდომი რესურსების დონე გაიზარდოს და ამით პროდუქტიულობის მისაღწევად დამატებითი სტიმული შეიქმნას ბენეფიციარების მხრიდან და დამატებითი ექსპერტიზა შემოვიდეს, რომელიც საბანკო და საფინანსო მომსახურების სექტორიდან წამოვა.
მეშვიდე: დღეს ევროკავშირში აღიარებულია, რომ ადეკვატური ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციონალური შესაძლებლობების ქონა, პროგრამების წარმატებული მართვის სფეროში, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხია. ეს მოიცავს პოტენციალს ისეთ არეალში, როგორიცაა ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლი, ეკონომიკური განვითარების დაგეგმარება და, ასევე, შესაფერისი პარტნიორების იდენტიფიცირება და მოტივირება. ინსტიტუციონალური შესაძლებლობების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო პროგრამების წარმატებული იმპლემენტაციისათვის, რომელიც ისეთ ადმინისტრაციულ სტრუქტურებს გააერთიანებს, რომლებსაც ერთობლივი მოქმედების საკითხში შეზღუდული გამოცდილება გააჩნია.
მერვე: ქმედებათა მონიტორინგი და შეფასება აუცილებელია დამატებითი მოგების სადემონსტრაციოდ ბენეფიციარებისათვის, ისევე როგორც გადასახადის

გადამხდელთათვის. ეს მოითხოვს პროგრამების ადმინისტრაციაში ტექნიკური შესაძლებლობების ჩართვას, თუმცა ზოგიერთი სპეციალისტის ამოცანა, როგორიცაა, მაგალითად, მაკროეკონომიკური მოდელირება, შესაძლებელია კვლევით ინსტიტუტებსა თუ უნივერსიტეტებში მოიძიოს.

მეცხრე: პირობითობა, რომელიც დაკავშირებულია პროგრამებთან, ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანი საკითხია. ევროკავშირის დახმარების მისაღებად საჭირო ძირითადი პირობები მოიცავს: კავშირის მასშტაბით არსებული ღია ბაზრების წესების გათვალისწინებას (სახელმწიფო დახმარების საკონკურენციო წესები, ღია საზიუჯეტო შენაძენის წესები); ეკოლოგიური პოლიტიკისა და წესების დაცვის საჭიროებას; თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვას; პარტნიორულ და დემოკრატიულ მონაწილეობაზე დაფუძნებული მიდგომას. წესების დაუცველობა ევროკავშირში ხშირად ფინანსური ჯარიმების დაკისრებას იწვევს.

მეათე: პოლიტიკისა და პროგრამების იმპლემენტაციისას გამჭვირვალობა ოცდამეერთე საუკუნეში კარგი მმართველობის მნიშვნელოვან კომპონენტად ითვლება. შესაბამისად, ეფექტური საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემები პროგრამების მართვაში უნდა იყო გამოყენებული. მაგალითად, უნდა გამოჩნდეს ის პროექტები, რომლებსაც გაეწია მხარდაჭერა, ნაჩვენები უნდა იყოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები და უნდა აიხსნას, თუ როგორ უნდა მოიპოვონ საჯარო დახმარება

პერსპექტიულმა ბენეფიციარებმა.

ზოგადი გამოწვევები

მსოფლიოს რეგიონები იზიარებენ ბევრ საერთო გამოწვევას. იმისათვის, რომ გაერთიანდეს უკუკავშირი და გამოცდილება, ევროკავშირმა 2006 წელს გადაწყვიტა დაეფუძნებინა პარტნიორობა „ურთიერთგაგების მემორანდუმის" ფორმით, რომლებშიც შედის ევროკავშირს გარეთ არსებული რამდენიმე ქვეყანა. რეგიონალური პოლიტიკის თანამშრომლობის ოთხი ურთიერთგაგების მემორანდუმი შეიქმნა ჩინეთის, რუსეთის, ბრაზილიისა და, 2099 წლის ივლისიდან, უკრაინის მონაწილეობით. ეს მემორანდუმი დაფუძნებულია ევროპულ გამოცდილებაზე, რეგიონალური შეუსაბამობების შემცირების, მმართველობის გაუმჯობესებისა და დინამიური პოლიტიკის შექმნის საკითხში, რომელიც დაფუძნებულია ადგილობრივ საინფორმაციო ქსელებზე. იგივე მიმართულებით, ევროკავშირი ამ საკითხებზე აწარმოებს მუდმივ დიალოგს ევროკავშირს გარეთ არსებული ქვეყნების ჯგუფებთან, როგორიცაა, მაგალითად, ASEAN (სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია), ცენტრალური ამერიკის ქვეყნები ან დასავლეთ აფრიკის ეკონომიკისა და სავალუტო კავშირი (UEMOA ფრანგული აკრონიმით).

2009 წლის მაისში, რეგიონალური პოლიტიკის გენერალურმა დირექტორატმა ორგანიზება გაუწია კონფერენციას, რომელსაც რეგიონალური პოლიტიკის ყოფილი კომისარი დანუტა ჰუბნერი კურირებდა, რომელიც ბრიუსელში ჩატარდა და

სადაც ყურადღება ძირითადად გამახვილდა საკითხზე „რეგიონალური მმართველობა გლობალურ კონტექსტში“. მსგავსი ტიპის პირველმა ღონისძიებამ ამ კონფერენციამ ევროპული რეგიონების პრეზიდენტები და ევროპის გარეთ არსებული ქვეყნების წარმომადგენლების დიდი რაოდენობა შეახვედრა ერთმანეთს. კომისარმა ჰუბერმა განაცხადა: „მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნები აწყდებიან მსგავს გამოწვევებს, რომელშიც გლობალური ეკონომიკური კრიზისიც არ თამაშობს უკანასკნელ როლს. აგრეთვე გასათვალისწინებელია მოსახლეობის დაბერება, კლიმატური ცვლილებების რისკები, ენერგიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საზრუნავი. ევროკავშირში ჩვენ ვავითარებთ პარტნიორობას ევროკავშირის გარეთ მყოფ ქვეყნებთან, რაც სასარგებლოა ორივე მხარისათვის.“

დღევანდელი გამოწვევა ნიშნავს, რომ ჩვენ გლობალურად უნდა ვიაზროვნოთ და ადგილობრივად ვიმოქმედოთ. მნიშვნელოვანი საზრუნავი, რომელსაც მსოფლიოს რეგიონები აწყდებიან, არის ძლიერი „ტერიტორიული“ მნიშვნელობა, რაც ადგილობრივ და რეგიონალურ დონეზე ქმედებებს მოითხოვს. არასწორი იქნებოდა გვეფიქრა, რომ ევროკავშირს შეუძლია გადაწყვიტოს ეს საკითხი დამოუკიდებლად. ამიტომაც ვთვლით, რომ ჩვენი დიალოგი ევროკავშირს გარეთ არსებულ ქვეყნებთან ძალზე მნიშვნელოვანია და თითოეული ჩვენთაგანის ინტერესში შედის.__

ევროკავშირის ბიუჯეტი და რეგიონული პოლიტიკა

ფისკალური პოლიტიკა სავალუტო კავშირის ფარგლებში. ზრდისა და სტაბილურობის პაქტი

ქვეყანა მონეტარულ კავშირთან შეერთებით თავისი მაკროეკონომიკური ინსტრუმენტებიდან კარგავს მონეტარულ პოლიტიკას, თუმცა სრულ კონტროლს ინარჩუნებს ფისკალურ პოლიტიკაზე. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ფისკალურმა პოლიტიკამ ამ შემთხვევაში ორივე პოლიტიკის ფუნქცია უნდა იტვირთოს? მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა თავისუფლად შენაცვლებადია გამოშვებისა და დასაქმების სტაბილიზაციისთვის. მონეტარულ კავშირში ფისკალურ პოლიტიკას უფრო მნიშვნელოვანი როლი ეკისრება, რადგან ოპტიმალური სავალუტო ზონისთვის დამახასიათებელი შოკების პირობებში ფისკალური პოლიტიკა სტაბილიზაციის ერთადერთ მაკროეკონომიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. მაგრამ პრაქტიკაში მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეს ორი სახე ადვილად არ ენაცვლება ერთმანეთს. განსაკუთრებით რთულია ფისკალური პოლიტიკის ამოქმედება. ორივე აღნიშნული პოლიტიკის პრობლემა ისაა, რომ ისინი დანახარჯებზე გავლენას ახდენს მოლოდინებიდან გამომდინარე. მონეტარული პოლიტიკის მიზნებისათვის ცენტრალური ბანკი აკონტროლებს მოკლევადიან საპროცენტო განაკვეთებს, მაშინ როცა კერძო სეხსები გრძელვადიანი სახსრებით ფინანსდება. ფისკალური პოლიტიკის სფეროში კი ხარჯებისა და გადასახადების ცვლილება ბიუჯეტის დეფიციტზე ახდენს გავლენას, რამაც შეიძლება შექმნას სახელმწიფო ვალის დაფინანსების პრობლემა.

ფისკალური პოლიტიკა საკმაოდ ნელა მოქმედებს. ცენტრალურ ბანკს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია შეცვალოს საპროცენტო განაკვეთები, თანაც საკმაოდ მოკლე დროში, ხოლო ბიუჯეტის მიღება ხანგრძლივი და რთული პროცესია. შესაბამისად, ფისკალურ პოლიტიკას ნაკლებად მოქნილ ინსტრუმენტად მიიჩნევენ, რადგან მისი დაყოვნება დროში იმდენად დიდი შეიძლება იყოს, რომ პრობლემა, რომლის აღმოფხვრასაც ის ისახავდა მიზნად, უკვე გადაჭრილიც კი აღმოჩნდეს. მაკროეკონომიკური პოლიტიკა გამიზნულია ისე, რომ მან ეკონომიკური ციკლის საწინააღმდეგოდ იმოქმედოს. ზოგიერთ შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკა პროციკლურად მოქმედებეს: ექსპანსიური ღონისძიებები, რომლებმაც ეკონომიკური რეცესია უნდა დაძლიოს, მაშინ ასტიმულირებს ეკონომიკას, როცა მას თავად აქვს დაწყებული

გაჯანსაღება. თუ ეს ხდება, გამოდის, რომ ფისკალური პოლიტიკა აჩქარებს ეკონომიკას მაშინ, როცა მას შეზღუდვა ესაჭიროება.

კიდევ ერთი მხარე, საიდანა შეიძლება ფისკალური პოლიტიკა შევაფასოთ, არის სახელმწიფოს მიერ სესხის აღების პროცესი. სახელმწიფო სესხულობს საკუთარი მოქალაქეების სახელით. ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში სახელმწიფოს აქვს ბიუჯეტის სიჭარბე, რაც შესაძლებლობას აძლევს, დააბრუნოს აღებული ვალი. საბოლოოდ, სახელმწიფოს, რომელიც ახლა სესხულობს, აქვს შესაძლებლობა, გადასახადები შემაციროს მიმდინარე პერიოდში, ხოლო მომავალში გაზარდოს საგადასახადო განაკვეთები, რათა ვალის გასტუმრება შეძლოს. ფაქტობრივად, ის ასესხებს საკუთარ მოქალაქეებს ამჟამად, ხოლო მომავალში მათგან იბრუნებს ვალს. მოქალაქეებსა და კერძო პირებს შეუძლიათ ეს დამოუკიდებლადაც გააკეთონ _ ისესხონ ეკონომიკური დაცემის დროს და გადაიხადონ აღმავლობის პერიოდში, რასაც ფისკალური პოლიტიკის მსგავსი მასტაბილიზებელი ეფექტი უნდა ჰქონდეს. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეკონომიკური დაცემის პერიოდებში სესხება უფრო სარისკო ხდება, რის გამო ბევრი ინდივიდი და ფირმა ვერ აიღებს სესხს, ან აიღებს უფრო მაღალი განაკვეთებით. სახელმწიფოს კი, განსაკუთრებით კი ისეთ ქვეყნები, როგორებიცაა ევროპის ქვეყნები, ყოველთვის შეუძლია ისესხოს შედარებით დაბალი განაკვეთებით. ამიტომ, ფისკალური პოლიტიკა, რომელიც ანტიციკლურია, ეფექტური იქნება მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად.

გარდა ამისა, როცა ქვეყანას ემუქრება გარკვეული ეკონომიკური შოკი, მას შეუძლია იმ ქვეყნებისგან ისესხოს, სადაც ეს შოკი არ ვრცელდება. ამ შემთხვევაში ქვეყანა სესხს იღებს არა მონეტარული კავშირის სხვა წევრი ქვეყნიდან, ან კავშირის ბიუჯეტიდან, არამედ კერძო საერთაშორისო ბაზრიდან. ამდენად, ფისკალური პოლიტიკა იკავებს ფედერალური ტრანსფერის ადგილს და ამ შემთხვევაში ტრანსფერს აქვს დროთაშორისი და არა რეგიონთაშორისი ხასიათი.

ფისკალურ პოლიტიკას აქვს **ავტომატური სტაბილიზაციის** მექანიზმი. როცა ქვეყნის შემოსავლები ეცემა, მციდრება მოგება, დანახარჯები, შესაბამისად, მცირდება ამოღებული გადასახადებიც, ხოლო უმუშევართათვის გაწეულ;ი დახმარება და სხვა სუბსიდიები იზრდება. ამდენად, ბიუჯეტი უარესდება და ფისკალური პოლიტიკა ექსპანსიურ ხასიათს ავტომატურად იძენს. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გამოკვლევამ აჩვენა, რომ ევროპის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის 1%-ით შემცირება საშუალოდ ბიუჯეტის

დეფიციტს ზრდის მშპ-ს 0,5%-ით. ფისკალური პოლიტიკის განხორციელების კიდევ ერთი საშუალებაა **გადაწყვეტილება** გადასახდების ზრდისა და შემცირების შესახებ, რომელიც სახელმწიფოს ხელთაა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ეს გადაწყვეტილებები დროში საკმაოდ დიდი დაყოვნებით ხასიათდება.

ფისკალური პოლიტიკის გარე ეფექტები

ფისკალურ პოლიტიკას ახასიათებს სხვა ქვეყნებში გადადინების ეფექტები შემოსავლებისა და დანახარჯების, ინფლაციის და სხვა არხების გზით. მათ გარე ეფექტებს უწოდებენ და იგულისცმება, რომ ერთი ქვეყნის მიერ გატარებულ ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია სხვა ქვეყანას მოუტანოს დადებითი ან საზიანო ეფექტი. ამდენად, თუ ქვეყანა წყვეტს, რა სახის ფისკალურ ღონისძიებებს მიმართოს, ის მხედველობის მიღმა ვერ დატოვებს პარტიონრი ქვეყნების ინტერესებს, ამავდროულად, მან უნდა გაითვალისწინოს სხვაგან გატარებული ფისკალური პოლიტიკის შედეგებიც. ამდენად, ქვეყნებს შეუძლიათ ისარგებლონ ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციით. მართალია, ფისკალური პოლიტიკა ნაციონალური პრეროგატივაა, მაგრამ მონეტარული კავშირის ფარგლებში ლოგიკურად დგება მისი კოორდინირების საკითხი პერტნიორ ქვეყნებს შორის. ამავდროულად, კოორდინაცია სავალდებულო წესების არსებობას უნდა გულისხმობდეს, ვინ როდის რა უნდა გააკეთოს. ასეთი წესები კი თითოეული წევრის სუვერენიტეტს შეზღუდავს. ამდენად, მთავარი საკითხი აქ ისაა, ერთიანი ვალუტის შემოღება ქმნის თუ არა ისეთ გარე ეფექტებს, რომ საჭირო ხდება ცაკლეული ქვეყნის სუვერენიტეტის კიდევ უფრო მეტი შეზღუდვა მონეტარული კავშირის ფარგლებში?

ბიზნეს ციკლი ქვეყნიდან ქვეყანას ექსპორტ-იმპორტის საშუალებით გადაეცემა. მაგალითად, როცა გერმანიაში დგება აღმავლობის ეტაპი, იგი პარტნიორი ქვეყნებიდან მეტ იმპორტს შეიძენს. ამდენად, პარტნიორი ქვეყნები მეტ შემოსავალს იღებენ და აღმავლობის ციკლი სხვა ქვეყნებშიც ვრცელდება. გადადინების ამგვარი ეფექტები მით ძლიერია, რაც უფრო დიდია პარტნიორ ქვეყნებს შორის ვაჭრობა, და რაც უფრო დიდია ქვეყანა, სადაც ამ მოვლენას აქვს ადგილი. სწორედ ამიტომაა, რომ გერმანიის ფისკალურ პოლიტიკას ევროპის ყველა ქვბეყანაში ყურადღებით აკვირდებიან. რატომ? წარმოვიდგინოთ, რომ მონეტარული კავშირის ორ წევრ ქვეყანაში სინქორონულად ხდება ეკონომიკური რეცესია. ორივე ქვეყნის მთავრობას სურს გაატაროს ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა. მაგრამ რა ზომის უნდა იყოს ეს ექსპანსია?

თუ თითოეული მთავრობა მეორის ღონისძიებების იგნორირებას მოახდნს, მათი ქმედებები ერთობლიობაში შესაძლოა საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდეს და ეკონომიკამ დაძლიოს რეცესია, მაგრამ თუ თითოეული მთავრობა დაელოდება იმას, რომ მეორემ სამუშაოს უფრო დიდი ნაწილი იტვირთოს, შესაძლებელია სრულიად არაფერი გაკეთდეს.

ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როცა ციკლები არაა სინქრონული. იმ ქვეყნის ექპანსიური ფისკალური პოლიტიკა, სადაც დაქვეითებაა, ასტიმულირებს დანახარჯებს აღმავლობის ეტაპზე მყოფ ეკონომიკაში. და პირიქით, შემზღუდავი პოლიტიკა მზარდ ეტაპზე მყოფ ქვეყანაში აღრმავებს რეცესიას მეორე ქვეყანაში.

გარე ეფექტების არსებობა წარმოადგენს მნიშვნელოვან არგუმენტს ქვეყნებს შორის ფისკალური პოლიტიკის გატარების პასუხისმგებლობის გადანაწილებისთვის, თუმცა არსებობს, ასევე, კონტრარგუმენტებიც. მტავარი კითხვაა, როგორ განაწილდეს პასუხისმგებლობა რეგიონულ, ეროვნულ და მუნიციპალურ დონეებს შორის. არსებობს ორი არგუმენტი საერთო პასუხისმგებლობისთვის და ორი არგუმენტი ეროვნულ დონეებზე პასუხისმგებლობის შენარჩუნების სასარგებლოდ.

არგუმენტები საერთო პასუხისმგებლობისთვის: გარე ეფექტები და მასშტაბის ეკონომია ;

არგუმენტები სუვერენიტეტის შენარჩუნებისთვის - პრეფერენციების მრავალფეროვნება (მაგ: საოჯახო პოლიტიკა, სოციალური დაცვის პოლიტიკა, ტრადიციების განსხვავებები) და ასიმეტრიული ინფორმაცია (სად უნდა იყოს გზები, სად როგორი ინფრასტრუქტურაა საჭირო, ინფორმაცია ლოკალურ დონეზე უფრო ხემისაწვდომია, ვიდრე მონეტარული კავშირის დონეზე).

ევროკავშირის ხელშეკრულებაში აღიარებულია **სუბსიდიარობის პრინციპი**. ის გულისხმობს, რომ ისეთ სფეროებში, რაც კავშირის განსაკუთრებული კომპეტენციის ფარგლებში არ შედის, გადაწყვეტილებები მიიღება სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, კერძოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წევრი ქვეყნების მოქმედება ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას თავისი მასშტაბურობის ან ეფექტურობის თვალსაზრისით, შესაძლებელია გადაწყდეს ევროპის კავშირის დონეზე. ამით დებატები არ დასრულებულა და ის კვლავ გრძელდებოდა, მაგრამ ფისკალური პოლიტიკა დარჩა ნაციონალურ დონეზე გამოყენებულ ინსტრუმენტად, ხოლო ევროდონეზე მონეტარული პოლიტიკის გამოყენება აღიარეს სრულიად შესაძლებლად. მონეტარული კავშირის ქვეყნების

ურთიერთშორის ფიქსირებული კურსის სისტემის არსებობა მონეტარული პოლიტიკის ნაციონალური მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებას არაეფექტიანს ხდის. ევროს კურსი კი სხვა ვალუტების მიმართ მცურავია, ამდენად მონეტარული პოლიტიკა ევროდონეზე უნდა გატარდეს.

მაასტრიხტის ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ცნობილი დებულებაა, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების მსურველ ქვეყნებს უყენებს ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალის რაოდენობრივ ლიმიტებს. ევროკავშირის მიერ დადგენილი აღნიშნული ფისკალური შეზღუდვები 1970-1980-იანი წლების წარუმატებელი ფისკალური პოლიტიკის გამოძახილია, რომელსაც თავის დროზე თან ახლდა: მაღალი ბიუჯეტის დეფიციტი, მზარდი სახელმწიფო ვალი; პროციკლური პოლიტიკური ტენდენცია; მზარდი საგადასახადო ტვირთი, რომელიც კიდევ უფრო ართულებდა სამუშაო ადგილების შექმნას (Butti, 2001). მაასტრიხტის ხელშეკრულება მოითხოვს სტაბილურ ფისკალურ მდგრადობას მისი წევრი სახელმწიფოებისაგან, რათა მოხდეს მათი ეკონომიკურ და მონეტარულ კავშირში (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გაერთიანება, რომელთაც აქვთ საერთო ვალუტა – ევრო) გაწევრიანება. ამ მოთხოვნასთან შესაბამისობა ფასდება ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: ფასების სტაბილურობა, მთავრობის ფინანსური მდგრადობა, გაცვლითი კურსისა და გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის სიმყარე. ხელშეკრულება წევრ ქვეყნებს ავალდებულებს თავიდან აიცილონ ბიუჯეტის მაღალი დეფიციტები (Excess Budget Deficit). საბიუჯეტო პოლიტიკის შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში ორი კრიტერიუმით ფასდება: არის თუ არა დეფიციტი მშპ-ის 3%-ზე ნაკლები; შეადგენს თუ არა სახელმწიფო ვალი მშპ-ის 60% -ზე ნაკლებს.

იმ შემთხვევაში თუ ეს პირობები არ სრულდება, მათ უნდა ჰქონდეს კლების ტენდენცია მაინც. ამასთანავე, ხელშეკრულება გამორიცხავს მთავრობის მიერ ხარჯების დაფინანსებას მონეტარული ინსტრუმენტებით და კრედიტზე პრივილეგირებულ ხელმისაწვდომობას. შეფასებისას, ჭარბი დეფიციტის არსებობის შემთხვევაში, ევროკომისიამ, რომელსაც ბიუჯეტის ზედამხედველობა აკისრია, საბჭოსთან ერთად უნდა განიხილოს აღემატება თუ არა დეფიციტი სახელმწიფო ინვესტიციებს და ასევე, სხვა მასთან დაკავშირებული საკითხები. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ხდება ხელშეკრულებით დადგენილი გარკვეული პროცედურების გატარება, რათა წევრმა სახელმწიფოებმა დროულად მიიღონ გადამჭრელი ზომები. თუ

ზემოთაღნიშნული გაფრთხილება უგულებელყოფილ იქნა ან ვერ მოხერხდა პრობლემის მოგვარება განსაზღვრულ დროში, ქვეყანას შეიძლება დაეკისროს გარკვეული სანქციები.

ამასთან, რადგან ძლიერ მნიშვნელოვანი იყო მეტისმეტი დეფიციტის რეგულირების პრობლემა, შეიქმნა ლოგიკური საფუძვლები **სტაბილურობისა და ზრდის პაქტის** (Stability and Growth pact) მისაღებად. პაქტის მიზანია ერთიანი ვალუტის შემოღების შემდეგ წევრი სახელმწიფოების მიერ თავიანთი საბიუჯეტო დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა. აღნიშნული პაქტის შექმნის ინიციატივა 1995 წელს გერმანიის მთავრობამ გამოთქვა. რიგ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკებების შემდგომ, საბოლოო შეთანხმების საფუძველზე, 1997 წლის 12 ივნისს, ევროსაბჭომ მიიღო სტაბილურობისა და ზრდის პაქტი[8]. სტაბილურობისა და ზრდის პაქტი შედგება პრევენციული (preventive arm) და მაკორექტირებელი (dissuasive arm) რეგულაციებისაგან. პრევენციული რეგულაციები მიზნად ისახავს გააძლიეროს ზედამხედველობა საბიუჯეტო პროცესზე ან ფისკალურ დისციპლინაზე, ასევე თვალყური ადევნოს და კოორდინაცია გაუწიოს ეკონომიკურ პოლიტიკას. მაკორექტირებელი კი ცდილობს დააჩქაროს და გაამარტივოს გადაჭარბებული დეფიციტის დამარეგულირებელი პროცედურების გატარება (მაასტრიხტის ხელშეკრულება).

პაქტის მიხედვით, დეფიციტი არის მაღალი, როცა მისი სიდიდე აღემატება ქვეყნის მშპ-ის 3%-ს. იმისათვის, რომ ავტომატურმა სტაბილიზატორებმა თავისი როლი შეასრულონ, მონეტარული კავშირის წევრი ქვეყნები უნდა ინარჩუნებდნენ ბიუჯეტის სალდოს წონასწორულთან ახლოს ან მის სიჭარბეს საშუალოვადიან პერიოდში. საშუალოვადიან პერიოდად მიჩნეულ იქნა სამი წელი. პაქტში აღნიშნულია, რომ ღრმა რეცესია, რომელსაც მთავრობა ვერ აკონტროლებს, სწრაფად ზრდის ბიუჯეტის დეფიციტს. დეფიციტის შესამცირებლად ფისკალური შეზღუდვა არის აუცილებელი, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს რეცესიას და შესაძლებელია, დამანგრეველი შედეგები მოიტანოს. პაქტში მოტანილია გამონაკლისი გარემოებები, როცა მისი მუხლების მოქმედება ავტომატურად შეცერებულად ითვლება. დეფიციტი მშპ-ის 3%-ზე მეტი სიდიდით მიიჩნევა გამონაკლის შემთხვევად, თუ ქვეყნის ეკონომიკა განსახილველი წლის განმავლობაში 2%-ით ან მეტით შემცირდა. პაქტში ასევე განხილულია შუალედური შემთხვევა, როცა ეკონომიკური დაცემა ხდება 0,75%-2%-მდე

---

[8]გიორგი ჩაკვეტაძე, ფისკალური შეზღუდვები თეორიული ასპექტები და საერთაშორისო გამოცდილება https://sao.ge/files/kanonmdebloba/pubnication/Fiscal_Rules.pdf

სიდიდით. ამ შემთხვევაში ქვეყანამ უნდა აჩვენოს, რომ დაცემა მისი არასწორი პოლიტიკის შედეგი არაა. თუ გამოშვება 0,75%-ზე ნაკლებად ეცემა, მაშინ გამონაკლისი შემთხვევა არ განიხილება.

კომისია ანგარიშს წარუდგენს ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრების საბჭოს, რომელიც წყვეტს ქვეყანას აქვს თუ არა ჭარბი დეფიციტი. თუ ეს ასეა, იგი იძლევა რეკომენდაციებს და ვადას მათ შესასრულებლად. ქვეყნებმა, რომლებიც დეფიციტის დადგენილ ზღვარს სცდებიან, უნდა გაატარონ მაკორექტირებელი ღონისძიებები შეძლებისდაგვარად მოკლე დროში. კომისია ახორციელებს ამ პროცესის მონიტორინგს. დრო, რომელიც ამ ღონისძიებებს ესაჭიროება, 2 წელს მაინც მოიცავს, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანას შეიძლება 3%-ზე მეტი დეფიციტი ორი წლის მანძილზე ჰქონდეს რაიმე სანქციების გარეშე. სტაბილურობისა და ზრდის პაქტი საშუალებას აძლევს მინისტრების საბჭოს, დასაჯოს ნებისმიერი წევრი სახელმწიფო, რომელიც ვერ მიიღებს სათანადო ზომებს ჭარბი დეფიციტის აღმოსაფხვრელად. თავდაპირველად, წევრი სახელმწიფო ევროგაერთიანებას გადასცემს უპროცენტო დეპოზიტს, ხოლო თუ ჭარბი დეფიციტი არ დაიფარება ორწელიწადში, დეპოზიტი ჯარიმად გადაკეთდება. ჯარიმა იწყება მშპ-ის 0,2%-დან და მზარდია დეფიციტის სიდიდიდან გამომდინარე, მაგრამ ის არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ს 0,5%-ს. სტაბილურობისა და ზრდის პაქტმა ფისკალური პოლიტიკა ეროვნული მთავრობების კონტროლქვეშ დატოვა, მაგრამ მათ ეკისრებათ სრული პასუხისმგებლობა საკუთარ პოლიტიკაზე. მისი კრიტიკოსები სერიოზულ ნაკლად მიიჩნევენ იმას, რომ ყველა გადაწყვეტილება დეფიციტთან დაკავშირებით კომისიის ხელშია, რომელიც პოლიტიკურ ორგანოს წარმოადგენს და შეუძლია საკუთარი ინტერპრეტაცია მისცეს პაქტის ამა თუ იმ დებულებას. იმისათვის, რომ ქვეყნებმა თავიდან აიცილონ ის კრიტიკული ზღვარი, როცა საქმე სანქციებამდე მიდის, ევროკავშირის ხელშეკრულებასა და პაქტში მოცემულია დაწვრილებითი პროცედურები, რომლებსაც უწოდებენ „სტაბილიზაციის პროგრამებს“. ყველა ქვეყანა ვალდებულია ყოველწლიურად ინფორმაცია მომავალი სამი წლის მანძილზე საკუთარი საბიუჯეტო პოზიციის შესახებ წარუდგინოს საბჭოსა და კომისიას. მთავარი მიზანი არის არა მხოლოდ დეფიციტის 3%-იანი ზღვარის დაცვა, არამედ დაბალანსებული ან ჭარბი ბიუჯეტის შენარჩუნება, რაც შემდეგ უტოვებს ქვეყნებს სამოქმედო სივრცეს ზომიერი ეკონომიკური დაქვეითების პირობებში პოლიტიკის სათანადო ზომები გაატარონ.

სტაბილურობისა და ზრდის პაქტის სუსტ მხარედ მიიჩნევენ ჯარიმებს, რაც პოლიტიკურად არასახარბიელო ზომაა, მაგრამ, მეორე მხრივ, პაქტს არ ექნებოდა სავალდებულო იურიდიული ძალა და ნებისმიერ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი მისი დებულებების უგულებელყოფა. ამასთან, 3%-იანი ზღვარი საკმაოდ ხელოვნურად არის დაწესებული. რთულია დასაბუთება, რატომ უნდა იყოს დასაშვები 3% და არა მაგალითად, 3,5%? პაქტის ნაკლოვანებად თვლიან, ასევე, მის ასიმეტრიულ ხასიათს, რადგან ის აწესებს სავალდებულო ნორმებს ეკონომიკური დაცემის ეტაპებისთვის, მაგრამ არაფერს ამბობს აღმავლობაზე, როცა ადგილი აქვს ბიუჯეტის სიჭარბეს. ის არაფერს ამბობს შემთხვევებზე, როცა შეიძლება საჭირო იყოს ბიუჯეტის სიჭარბის შეზღუდვა, ან პირიქით, არსებულ დეფიციტთან შეგუება.

2011 წელს ევროკავშირმა მიიღო საკანონმდებლო დებულებების კომპლექტი (six-pack) სტაბილურობისა და ზრდის პაქტის რეფორმირებისათვის, რომელიც მიმართულია მაკროეკონომიკური და საბიუჯეტო დისბალანსის აღმოსაფხვრელად და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მაკროეკონომიკურ და საბიუჯეტო ზედამხედველობის გასაძლიერებლად. კომპლექტი შედგება ევროკავშირის ხუთი რეგულაციისა და ერთი დირექტივისაგან და მოიცავს: საბიუჯეტო მდგომარეობისა და ეკონომიკური პოლიტიკის ზედამხედველობის გაძლიერებასა და კოორდინირებას, გადაჭარბებული დეფიციტის მაკორექტირებელი პროცედურების დაჩქარება–განხორციელებას, მაკროეკონომიკული დისბალანსის თავიდან აცილებასა და გამოსწორებას და მითითებას, წევრი ქვეყნების საბიუჯეტო ჩარჩოების მოთხოვნების შესრულებაზე. აღნიშნული საკანონმდებლო დებულებების მიზანია, თავიდან იქნას აცილებული საბიუჯეტო დისბალანსი მათ წარმოქმნამდე ან გამოასწოროს ისინი მას შემდეგ, რაც წარმოიქმნება. 2011 წლის ნოემბერში ევროკომისიამ წარადგინა შემდგომი ორი დებულება (two-pack) ევროზონის წევრი ქვეყნების ფისკალური პოლიტიკის მმართველობისა და ზედამხედველობის შესახებ, შესაბამისი six-pack-ის დებულებების გასაძლიერებლად. აღნიშნული დებულებები გულისხმობს: ბიუჯეტის პროექტის მონიტორინგსა და შეფასებას და ზედმეტი დეფიციტის კორექტირების უზრუნველყოფას ევროზონის ქვეყნებში; ეკონომიკური და საბიუჯეტო ზედამხედველობის გაძლიერებას იმ წევრ ქვეყნებში, რომელთა ფინანსურ სტაბილურობასაც საფრთხე ემუქრება ან უკვე ხასიათდებიან ფინანსურ არასტაბილურობით. 2012 წლის ივნისში ევროსაბჭომ გადაწყვიტა შეევსო ეკონომიკური და ფისკალური მმართველობისა და ზედამხედველობის დებულებები ეკონომიკის სტიმულირების

დებულებებით. ამ მიზნით, მიღებული იქნა „შეთანხმება ეკონომიკურ ზრდასა და დასაქმებაზე" (Compact for Growth and Jobs), რომელიც მიზნად ისახავს უმუშევრობის დაძლევასა და ახალი ბაზრების განვითარებას[9].

ევროკავშირის ბიუჯეტი და სტრუქტურული პოლიტიკა

ევროკავშირის ბიუჯეტის ფუნქციონირებას საფუძვლად უდევს ხუთი ძირითადი პრინციპი:

1. ყოველწლიური ხასიათი _ საბიუჯეტი ხარჯების გათვლა ხდება 1 წლის ვადით.
2. წონასწორობა _ შემოსავლებმა უნდა დაფაროს ხარჯები. თუ აღმოჩნდება, რომ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, საჭირო ხდება დამატებითი რესურსების მოზიდვა მიმდინარე წლის შესწორებული ბიუჯეტის მიხედვით, ხოლო თუ შემოსავლები გადააჭარბებს ხარჯებს, წლის ბოლოს მიღებული სიჭარბე გაითვალისწინება როგორც მომავალი წლის შემოსავალი.
3. ერთიანობა – ყველა ხარჯი აისახება ერთ საბიუჯეტო დოკუმენტში;
4. უნივერსალურობა – ბიუჯეტში ასახული უნდა იყოს ევროკავშირის ყველა ხარჯი და შემოსავალი;
5. სპეციფიკურობა – ხარჯები გათვალისწინებულია სპეციფიკური მიზნებისათვის, თუმცა არსებობს ხარჯების კატეგორიებს შორის ტრანსფერების განხორციელების შესაძლებლობაც.

ბიუჯეტის შემუშავების პროცედურა დადგენილია 1971 წლის საბიუჯეტო ხელშეკრულებით, რომელმაც ევროპარლამენტს მიანიჭა ბიუჯეტის საბოლოოდ მოწონების უფლებამოსილება. მოგვიანებით, 1987 წ. ერთიანი ევროპული აქტით განმტკიცდა ევროპარლამენტის ეს უფლებამოსილება, ხოლო 1988 წ. დელორის გეგმით შემოღებულ იქნა ორი ახალი საბიუჯეტო პროცედურა –კერძოდ, **მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო-პირობები** და საბიუჯეტო პროცედურის შესახებ **ინსტიტუტებს შორის შეთანხმების** აუცილებლობა.

ბოლო მრავალწლიანი ფინანსური ჩარჩო მოიცავდა 2007–2013 წლებს. მასში შეტანილი იყო ხარჯების ფართო კატეგორიები დადგენილი ზედა ზღვრებით. ყოველ ფინანსურ ჩარჩოს ახლავს ინსტიტუტებს შორის შეთანხმება, რომლის მიხედვით, კომისია, საბჭო და პარლამენტი იღებენ

[9] გიორგი ჩაკვეტაძე, ფისკალური შეზღუდვები თეორიული ასპექტები და საერთაშორისო გამოცდილებაhttps://sao.ge/files/kanonmdebloba/pubnication/Fiscal_Rules.pdf

ვალდებულებას დაიცვან ხარჯების დადგენილი ზედა ზღვრები. თავდაპირველი ბიუჯეტის პროექტს ამზადებს კომისია, რომელსაც ამტკიცებს საბჭო, შემდეგ განიხილავს პარლამენტი პირველი მოსმენით, შემდეგ ხელმეორედ კითხულობს საბჭო, ხოლო შემდეგ პარლამენტი განიხილავს მეორე მოსმენით და ამტკიცებს.

ევროკავშირის ბიუჯეტის შემოსავლები

ევროკავშირის საგადასახადო სისტემა ეყრდნობა სამ ძირითად პრინციპს: სამართლიანობა, ეფექტურობა და გამჭვირვალობა.

სამართლიანობის ორი საზომი არსებობს – ჰორიზონტალური და ვერტიკალური. ჰორიზონტალური ნიშნავს, რომ საგადასახადო რეჟიმი ერთი და იგივე უნდა იყოს ერთიანირ თანამდებობებზე მომუშავე ადამიანების მიმართ, ე.ი. ერთი და იმავე შემოსავლის მქონე ადამიანებმა ერთი და იგივე ოდენობის გადასახადი უნდა გადაიხადონ. ვერტიკალური კი ნიშნავს, რომ განსხვავებულ გარემოებებში გამოყენებული იქნება შესაფერისი რეჟიმი, რაც უპირველესად, პროგრესულ დაბეგვრას გულისხმობს.

ეფექტურობა ნიშნავს, რომ დაბეგვრის სისტემამ უნდა შეამციროს საბაზრო დამახინჯებები, ხოლო **გამჭვირვალობა** ნიშნავს, რომ საგადასახადო სისტემა იყოს მარტივი და გასაგები, რათა გადამხდელს ესმოდეს რა სიდიდის საგადასახადო ვლდებულება ეკისრება და როგორია მისი განსაზღვრის წესი.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანება თავდაპირველად ფინანსდებოდა ქვეყნების მიერ გადახდილი თანხებით მათი ფიქსირებული წილის შესაბამისად, ისე, როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მაგრამ ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო საკუთარი რესურსების მობილიზაციის სისტემის განვითარების საჭიროება. მისი მიზანი იყო ევროგაერთიანების ფინანსური ავტონომიის მიღწევა წევრი ქვეყნებისგან დამოუკიდებლად ფინანასური რესურსების მოზიდვით. 1970 წელს მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ბიუჯეტი დაფინანსდებოდა სასოფლოსამეურნეო საიმპორტო ბაჟებითა და შაქრის წარმოების გადასახადებით, ასევე, ერთიანი ტარიფებით მიღებული შემოსავლებითა და ჰარმონიზებული ბაზიდან აკრეფილი დამატებული ღირებულების გადასახადის 1%–ით.

1988 წელს ამ შემოსავლებს დაემატა მეოთხე წყარო, რომელიც დაფუძნებული იყო მთლიან ეროვნულ შემოსავალზე. ის განისაზღვრება როგორც ევროკავშირის მთლიანი ეროვნული

შემოსავლის 1,24%. ამდენად, ახლა ევროკავშირის შემოსავლები ფორმირდება ოთხი საკუთარი წყაროსა და სხვა შემოსავლებისაგან:

1. სასოფლოსამეურნეო და შაქრის ბაჟები; სასოფლოსამეურნეო ბაჟები არის იმპორტიდან აკრეფილი სატარიფო შემოსავლები; შაქრის ბაჟები არის დადგენილი ლიმიტის ზემოთ შაქრის წარმოების გადასახადი;

2. საერთო საბაჟო ტარიფები – შემოსავლები არასასოფლოსამეურნეო საქონლის იმპორტის გადასახადებიდან;

3. დამატებული ღირებულების გადასახადი – ჰარმონიზებული ბაზიდან აკრეფილი დღგ-ს 0,3%; ჰარმონიზებული ბაზა არის ყველა იმ საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც ექვემდებარება დღგ-ს, გამოთვლილი ჰარმონიზებული წესით, ისე, რომ საბოლოო შედეგში არ იქნეს ასახული წევრი ქვეყნების განსხვავებები დღგ-ს მიხედვით. იმისათვის, რომ ევროკავშირის ბიუჯეტში წევრი ქვეყნების წვლილი შემოსავლის ამ ნაწილის მიხედვით უფრო სამართლიანი ყოფილიყო, 1992 წლიდან ჰარმონიზებულ ბაზა დაიყვანეს მთლიანი ეროვნული შემოსავლის (მეშ–ის) 50%-მდე.

4. მეშ–დან მიღებული რესურსები – წლიურ ბიუჯეტში არასასოფლოსამეურნეო იმპორტის ტარიფებიდან და დღგ–დან მიღებული შემოსავლები აკლდება ევროკავშირის მთლიან ხარჯებს და ეს სხვაობა განისაზღვრება პროცენტულად ევროკავშირის წევრი ქვეყნების მეშ–ის მიმართ, ხოლო თითოეული წევრი შეიტანს ამ პროცენტულ მაჩვენებელს საკუთარი მეშ–დან.

ევროკავშირის საბიუჯეტო ხარჯები

ევროკავშირის საბიუჯეტო ხარჯები მიჰყვება ევროკავშირის პოლიტიკის განვითარების მიმართულებებს. დიდი ხნის განმავლობაში საბიუჯეტო ხარჯებში ძირითადი ადგილი ეკავა სასოფლოსამეურნეო ხარჯებს, მაგრამ მოგვიანებით წარმოების კონტროლის ღონისძიებებითა (რძის კვოტები) და სასოფლოსამეურნეო ხარჯებზე ლიმიტის დაწესებით მათი წილი შემცირდა.

ევროკავშირის გაფართოებამ მოითხოვა დამატებითი გადანაწილებითი მექანიზმების ამოქმედება სტრუქტურული ოპერაციების დაფინანსების გაფართოებით. სასოფლოსამეურნეო ხარჯებიდან რესურსების გამოთავისუფლების შემდეგ შეიქმნა სტრუქტურული პოლიტიკის

დაფინანსების შესაძლებლობა. 2000–იან წლებში სასოფლოსამეურნეო და სტრუქტურული ხარჯები იკავებდა უდიდეს წილს ევროკავშირის საბიუჯეტო ხარჯებს შორის.

სტრუქტურული ხარჯები

სტრუქტურული ფონდები – ევროპის სოციალური ფონდი, ევროპის სასოფლოსამეურნეო ფონდი, გათანაბრების (ინტეგრირების) ფონდი და რეგიონული განვითარების ფონდი – შეიქმნა ევროკავშირის ფარგლებში მეტი სოლიდარობის მიღწევის მიზნით. სტრუქტურული ფონდები კონცენტრირებული იყო შედარებით ღარიბ რეგიონებზე და მათკენ შემოსავლების გადანაწილებას უზრუნველყოფდა.

ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდი (ERDF) ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ისეთ ინიციატივებზე, რომლებიც ეკონომიკურ ზრდასთან, დასაქმებასა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთანაა დაკავშირებული, მათ შორის, ინფრასტრუქტურის ინვესტირებაზე.

გათანაბრების ფონდის ყურადღების ცენტრშია სატრანსპორტო და გარემოს დაცვის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ენერგიის აღდგენის წყაროები.

ევროპული სოციალური ფონდის დაფინანსება, მიმართულია ინვესტიციებზე ადამიანურიკაპიტალის გასავითარებლად საგანმანათლებლო და სასწავლო სფეროში.

სტრუქტურული ხარჯების ყველაზე დიდი წილი მოდიოდა პორტუგალიაზე, საბერძნეთსა და ესპანეთზე. სხვა დანარჩენ ქვეყნებზე მოდოდა სტრუქტურული ხარჯების საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი.

შიდა პოლიტიკასთან დაკავშირებული ხარჯები

შიდა პოლიტიკის ხარჯების ყველაზე დიდი ელემენტი არის სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარება, რაც კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენაა მიმართული. ამავე დასათაურების ქვეშ ხვდება საგანმანათლებლო, პროფესიული სწავლებისა და ტრანსევროპული ქსელების მუშაობასთან დაკავშირებული ხარჯები. საგანამანათლებლო ხარჯები უმთავრესად აფინანსებს ევროკავშირის სხვა ქვეყნებში სწავლების გრანტებს, რისი სარგებელიც უნდა იყოს სამუშაო ძალის მეტი მობილურობის მიღწევა. ტრანსევროპული ქსელებისთვის გათვალისწინებული ხარჯები აფინანსებს საერთაშორისო გზებს, სარკინიგზო, ენერგეტიკულ, სატელეკომუნიკაციო პროექტებს. ევროკავშირის ჩართულობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს

პროექტები ჯერ ერთი, კვეთს ქვეყნების საზღვრებს, ხოლო მეორე მხირვ, მიმართულია საერთო ბაზრის ფუნქციონირების გაუმჯობესებისკენ.

საგარეო ღონისძიებები

ხარჯების ეს კატეგორია მიმართულია ქვეყნების სამ ჯგუფზე – აფრიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები, შუა აღმოსავლეთი და სამხრეთ ხმელთაშუაზღვრისპირეთი და დასავლეთ ბალკანეთი.

დახმარება კანდიდატი და პოტენციური კანდიდატი ქვეყნებისათვის ცალკე ხარჯების კატეგორიას წარმოადგენს. რუსეთისა და დსთ–ს ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიკური დაახლოება ამ პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.

შუა აღმოსავლეთი და სამხრეთ ხმელთაშუაზღვრისპირეთის დახმარება მიზნად ისახავს ევროკავშირთან ახლოსმყოფი რეგიონის სტაბილურობის ხელშეწყობას. ამ რეგიონის ეკონომიკურ განვითარება, ასევე, შეამცირებს მიგრაციას ევროკავშირში.

აფრიკის, კარიბისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნების დახმარება აიხსნება ვალდებულებებითა და კავშირებით ყოფილ კოლონიურ ქვეყნებთან.

ადმინისტრაცია

ხარჯების ეს კატეგორია ევროკავშირის ადმინისტრაციის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯებია.



ნახ. 1. ევროკავშირის საბიუჯეტო ხარჯები, 2005 წლის



ნახ. 2. ევროკავშირის ხარჯების სტრუქტურა, 2018

http://ec.europa.eu/budget/mff/headings/index_en.cfm

2014-20 წლების ხარჯები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

1. ჭკვიანი (სმარტ) და ინკლუზიური ზრდა

ა. კონკურენტუნარიანობა ზრდისა და სამუშაოებისთვის: მოიცავს კვლევასა და ინოვაციას; განათლებასა და ტრეინინგებს; ტრანსევროპულ ქსელებს ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში; სოციალურ პოლიტიკას; საწარმოების განვითარებას და ა.შ.

ბ. ეკონომიკური, სოციალური და ტერიტორიული ერთობა: მოიცავს რეგიონალურ პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს დახმარება გაუწიოს ნაკლებად განვითარებულ ევროკავშირის ქვეყნებსა და რეგიონებს, რათა დაეწიონ დანარჩენებს, გააძლიერიონ რეგიონების კონკურენტუნარიანობა და განავითრონ შიდა რეგიონული თანამშრომლობა.

2. მდგრადი ზრდა: ბუნებრივი რესურსები: მოიცავს საერთო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას, საერთო მეთევზეობას, სოფლის განვითარებას და გარემოსდაცვით ღონისძიებებს.

3. უსაფრთხოება და მოქალაქეობა: მოიცავს სასამართლო და შინაგან საქმეებს, სასაზღვრო დაცვის, საიმიგრაციო და თავშესაფრის პოლიტიკას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, კულტურის, ახალგაზრდობის, ინფორმაციასა და დიალოგის საკითხებს მოქალაქეებთან.

4. გლობალური ევროპა: მოიცავს ევროკავშირის ყველა საგარეო აქტივობას (საგარეო პოლიტიკას), როგორიცაა ევროპის განვითარების ფონდის განვითარების დახმარება ან

ჰუმანიტარული დახმარება, რომელიც უზრუნველყოფს აფრიკის, კარიბის და წყნარი ოკეანის ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარებისთვის დახმარებას, ისევე როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებისა და ტერიტორიების\თვის დახმარებას. რამდენადაც ეს არ ფინანსდება ევროკავშირის ბიუჯეტიდან არამედ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უშუალო შენატანებისგან, ევროპის განვითრების ფონდი არ ექვემდებარება MFF- ს.

5. ადმინისტრაცია: მოიცავს ყველა ევროპული ინსტიტუტის, პენსიებისა და ევროპული სკოლების ადმინისტრაციულ ხარჯებს.

6. კომპენსაციები: დროებითი გადასახადები, რომლებიც გამიზნულია იმისათვის, რომ ხორვატიამ, რომელიც ევროკავშირს 2013 წლის ივლისში შეუერთდა, ევროკავშირის ბიუჯეტში უფრო მეტი არ გადაიხადოს, ვიდრე მიიღო სარგებელი მისი მიღებიდან პირველი წლის განმავლობაში.

ყოველი წლის ბიუჯეტი არის ნაწილი შვიდწლიანი საბიუჯეტო ციკლისა, რომელიც ,,ფინანსური პერსპექტივის" სახელწოდებითაა ცნობილი. ყოველ ჯერზე ხდება მისი შემუშავება ევროკომისიის მიერ, შემდეგ წევრმა სახელმწიფოებმა ის ერთსულოვნად უნდა მიიღონ და, ამავე დროს, უნდა გაიმართოს მოლაპარაკება და მიღწეული იქნეს შეთანხმება ევროპარლამენტთან. 2014-2020 წლების ფინანსური პერსპექტივის საერთო ბიუჯეტი 2013 წელს იქნა დადგენილი. საერთო ხარჯვის ლიმიტი დაახლოებით 3%-ით შემცირდა წინა - 2007-2013 წლების - პერიოდთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ხარჯვის ეს გეგმა მიზნად ისახავს ევროპაში ეკონომიკური ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის, ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის განვითარების და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უფრო რაციონალური და საერთაშორისო მასშტაბით სამაგალითო ევროპის შექმნის ხელშეწყობას. დაფინანსება გაზრდილია ისეთი სფეროებისთვის, როგორებიც არის კვლევა და ინოვაცია, განათლება და ტრენინგი და საგარეო ურთიერთობები. კონკრეტული ფონდები გამოყენებული იქნება დანაშაულთან და ტერორიზმთან საბრძოლველად და მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკის დასაფინანსებლად. ნავარაუდევია, რომ ხარჯებმა კლიმატის ცვლილებასთან საბრძოლველად 2014-2020 წლებში ევროკავშირის საერთო ხარჯვის სულ მცირე 20% უნდა შეადგინოს[10].

---

[10] ფონტენი პ. ევროპის გაერთიანების ახალი იდეა. შუმანის დეკლარაცია - 1950-2000, თბ., 2001.

მონეტარული კავშირის ფარგლებში ბიუჯეტს ორი ძირითადი ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს: ფისკალური პოლიტიკის განხორციელება და რეგიონებს შორის ტრანსფერების უზრუნველყოფა. გამომდინარე დაბალანსების აუცილებლობის პრინციპიდან, ევროკავშირის ბიუჯეტში ვერ განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებში, ამდენად, ევროკავშირის ბიუჯეტის როლი ფისკალური პოლიტიკის გატარებაში შეზღუდულია. მონეტარული კავშირის ფარგლებში რეგიონებს აღარ შეუძლიათ დაეყრდნონ სავალუტო კურსს, როგორც სტაბილიზაციის მექანიზმს, როდესაც ხდება ასიმეტრიული ხასიათის რეგიონული მაკროეკონომიკური რყევები, ამიტომ საბიუჯეტო ტრანსფერები შეასრულებს რეგიონთაშორის ამგვარი რისკების გათანაბრების ფუნქციას.

რეგიონთაშორის ტრასნსფერებს შეიძლება შემდეგი ფუნქციები დაეკისროს: დროთაშორისი სტაბილიზაცია, რეგიონთაშორისი დაზღვევა და რეგიონთაშორისი გადანაწილება. პირველი ორი უკავშირდება რეგიონების შემოსავლების სტაბილიზაციას, ხოლო მესამე ამცირებს რეგიონებს სორის შემოსავლების მიხედვით არსებულ უთანაბრობას.

დროთაშორისი სტაბილიზაცია რეგიონების შემოსავლების დონეების რყევების გამოსწორებას გულისხმობს კეინსიანური სტაბილიზაციის ფუნქციის შესაბამისად.

რეგიონთაშორისი დაზღვევა ნიშნავს, რომ საგადასახადო შემოსავლების გადანაწილება მოხდება სწრაფად მზარდი რეგიონებიდან შედარებით ნელი ტემპით მზარდი რეგიონებისკენ, როცა ეკონომიკური ციკლები რეგიონებში სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება.

რეგიონთაშორისი გადანაწილება უკავშირდება მდიდარი რეგიონებიდან ღარიბი რეგიონებისკენ ტრანსფერების განხორციელებას, ამდენად, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შემოსავლების დონეები და არა ცვლილებები შემოსავლებში.

ევროკავშირის 2004 წლის გაფართოების შემდეგ მნიშვნელოვანი მოთხოვნები გაჩნდა ევროკავშირის ბიუჯეტის მიმართ, გამომდინარე იმ პრობლემებიდან, რომლის წინაშეც, იდგნენ ახლად გაწევრიანებული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. კერძოდ, დაბალი შემოსავლები, მთლიანი მოსახლეობის საკმაოდ დიდი რაოდენობა და სასოფლო-სამეურნეო სექტორის მნიშვნელობა. რადგან ქვეყნების წვლილი საერთო ბიუჯეტში დაკავშირებულია მათ მთლიან ეროვნულ შემოსავალთან, ამ ქვეყნებს ექნებოდათ მცირე წვლილი შემოსავლებში, მაგრამ საკმაოდ გაზრდიდნენ ბიუჯეტის ხარჯების ნაწილს.

დღის წესრიგი 2000-ით გაფართოებასთან დაკავშირებით ევროკომისიამ წარმოადგინა წინადადებები საბიუჯეტო რეფორმებისთვის, რაც ითვალისწინებდა ლიმიტის დაწესებას ბიუჯეტის ხარჯების ნაწილზე, კერძოდ, სასოფლოსამეურნეო სექტორის პირდაპირი დაფინანსების შეზღუდვას და სტრუქტურული ხარჯების შემცირებას. ხარჯები სხვა მიმართულებითაც უნდა გაკონტროლებულიყო, ისე, რომ მთლიანი ზრდა 1999 წლის ხარჯების დონესთან შედარებით არ ყოფილიყო 11,5%-ზე მეტი. 1999 წელს ბერლინის შეთანხმებით განისაზღვრა მომავალი შვიდწლიანი ფინანსური ჩარჩო 2000-2006 წლებისთვის, სადაც დაფიქსირდა ხარჯების დაბალი დონეები, რაც აკმაყოფილებდა ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნების მოთხოვნებს, რომლებიც ბიუჯეტში თავიანთი წმინდა შენატანების შემცირების მოთხოვნით გამოდიოდნენ. მაგრამ ვინაიდან დღის წესრიგში იყო წევრი ქვეყნების შემდგომი გაფართოება და ერთიანი სასოფლოსამეურნეო პოლიტიკის რეფორმა, ასევე, აქტუალურ საკითხად რჩებოდა საბიუჯეტო რეფორმა. 2002 წლის ბრიუსელის შეთანხმებით ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებული ფინანსური ღონისძიებები ჩამოყალიბდა ხუთ ძირითად პუნქტად:

1. გაფართოებასთან დაკავშირებით რაიმე დამატებითი ხარჯები არ შევიდოდა ბიუჯეტში;

2. პირდაპირი დაფინანსება ახალი წევრი ქვეყნებისთვის განისაზღვრა, შესაბამისად, 2004 წელს 25%-ით და 2013 წლამდე გაიზრდებოდა 100%-მდე;

3. ერთიანი სასოფლოსამეურნეო პოლიტიკის ფარგლებში ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, ისე, რომ 2007-2013 წელს ხარჯები ამ მიმართულებით არ გაზრდილიყო 2006 წლის რეალურ მაჩვენებელზე მეტად; მთლიანი ხარჯები 2007-13 წლებში შენარჩუნებული ყოფილიყო 2006 წლის დონეზე დაბლა, პლუს 1% ყოველწლიურად;

4. ერთიანი სასოფლოსამეურნეო პოლიტიკის რეფორმირება საერთაშორისო ვალდებულებებისა და დოჰას რაუნდის დრის წესრიგის შესაბამისად;

5. თუ ბიუჯეტის საპროგნოზო შემოსავალი ახალი წევრი ქვეყნისთვის იქნებოდა 2003 წლის მაჩვენებელზე დაბალი, მას შესთავაზებდნენ კომპენსაციას.

2007-2013 წლების ფინანსური ჩარჩო-პირობების შესაბამისად, საბიუჯეტო ხარჯების განსაზღვრა მოხდა მიზნების და არა პოლიტიკის მიმართულებების მიხედვით. ყველაზე მეტი პროცენტული ზრდა დაფიქსირდა ისეთ მიზნობრივ მიმართულებებზე, როგორებიცაა მოქალაქეობა, თავისუფლება, სამართლიანობა, უსაფრთხოება, ხოლო აბსოლუტური

გამოსახულებით ყველაზე დიდი ზრდა იყო მდგრად განვითარებაზე, კონკურენტუნარიანობაზე (უმთავრესად კვლევებსა განვითარებაზე), ასევე, მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა საგარეო ღონისძიებების მიმართულებით.

თემა 10

ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარების ისტორია

ევროპული საზოგადოების შექმნის და ჩამოყალიბების პროცესის დაწყებისთანავე იყო მცდელობები დაემყარებინათ პოლიტიკური ერთობა. საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის შემუშავების საკითხი არაერთხელ ყოფილა დადებული სამუშაო მაგიდაზე. ყველაზე გაბედული და წინ წაწეული მცდელობა რომ შეექმნათ საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა იყო მოწოდებული 1950 წელს საფრანგეთის პრემიერ- მინისტრის მიერ. **პლევენის გეგმით,** უნდა შექმნილიყო ინტეგრირებული ევროპული არმია გაერთიანებული სარდლობის ქვეშ. ეს გეგმა გახდა (ეუთკ) ჩშჩ-ის ფარგლებში წევრი ქვეყნებს შორის მოლაპარაკების და განხილვის საგანი 1950 წლიდან 1952 წლამდე რომლის შედეგადაც გაფორმდა ხელშეკრულება, რომელმაც ჩამოაყალიბა **ევროპის თავდაცვის გაერთიანება** (ჩ). ამ გაერთიანების შექმნის თანმდევი ეფექტი იყო ასევე პოლიტიკური პროექტი, რომელიც წარდგენილი იქნა 1953 წელს და ითვალისწინებდა ფედერაციის ან კონფედერაციის შექმნას. თავადცვის გაერთიანების მსგავსად უნდა შექ- მნილიყო პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ექნებოდა ძალიან ფართო უფლებები და მოვალეობები. ეს გეგმა ვერ განხორციელდა, რადგან იგი უარყო გოლისტების უმრავლესობამ საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში 1954 წლის 30 აგვისტოს.

ფუშეს კომიტეტი: 60-იან წლებში გაიმართა მოლაპარაკებები საფრანგეთში რომელ- საც საფუძვლად დაედო ფუშეს ორი გეგმა, რომელიც მოუწოდებდა ახლო პოლიტიკური თანამშრომლობისაკენ. ამ გეგმამაც კრახი განიცადა და 1962 წელს მოლაპარაკებები შეწყდა.

მიუხედავად კრახისა ევროპული ქვეყნის მთავრობის წარმომადგნელები ეძებდნენ გზებს რომლითაც მოხდებოდა უფრო მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობა და ჩატარდებოდა კვლევები ამ საკითხის ირგვლივ. 1970 წელს ლუქსემბურგის სამიტზე წარდგენილ იქნა **"დავინიონის მოხსენება"** ('ვიგნონ რეპორტ), რომელიც საფუძვლად დაედო ევროპის პოლიტიკურ თანამშრომლობას (უროპეან ოლიტიცალ ჩოოპერატიონ - ჩ), რომელიც შემდგომში ფორმალურად იქნა შეყვანილი საერთო ევროპულ აქტში 1987 წელს. დავინიონის მოხსენება წარმოადგენდა წლების მანძილზე ევროგაერთიანების ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითად დოკუმენტს. ეპთ-ს მთავარი მახასიათებელი იყო წევრ ქვეყნებს შორის კონსულტაციები საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე რომლებიც განიხილავდნენ

საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს და უნდა შეხვედროდნენ წელიწადში ორჯერ მაინც. გარდა საგარეო საქმეთა მინისტრებისა ყოველმა წევრმა სახელმწიფომ დანიშნა წამყვანი დიპლომატიური მოხელე - პოლიტიკური დირექტორი, რომლის პასუხისმგებლობაში შედიოდა პოლიტიკის სფეროში 15 წევრი სახელმწიფოს თანამშრომლობა.

სამი წლის შემდეგ კოპენჰაგენის სამიტმა გამოსცა მოხსენება ეპთ-ს საქმიანობის შესახებ. ამ პერიოდში გახშირდა შეხვედრები საგარეო საქმეთა მინისტრების და პოლიტიკური კომიტეტის დონეზე და ასევე შეიქმნა ევროპელი კორესპონდენტების ჯგუფი რომლებიც იყვნენ პოლიტიკური დირექტორების უმცროსი მოხელეები და მონიტორინგს უწევდნენ წევრ ქვეყნებში ეპს საქმიანობას და კომუნიკაციას. ეპს საქმიანობას ხელი შეუწყო ჩლ შექმნამ, რომელიც არის სპეციალური ტელექსის სისტემა და აკავშირებს წევრ სახელმწიფოებს.

1974 წელს ევროპული საბჭოს (ეუროპეან ჩოუნცილ) შექმნამ ჩ საქმიანობა უფრო კოორდინირებული გახადა, ვინაიდან ქვეყნის მეთაურებს მიეცათ უფრო გამოკვეთილი როლი, რომელიც ითვალისწინებდა კავშირისთვის საერთო მიმართულების მიცემას.

საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის დაპყრობამ და ირანში მომხდარმა ისლამურმა რევოლუციამ კიდევ ერთხელ დაანახა ევროპელებს საერთო პოზიციის არქონით განპირობებული სისუსტე საერთო საგარეო პოლიტიკის წარმოების საქმეში. ამან გამოიწვია ჩ როლის გაძლიერების მოთხოვნა **ლონდონის მოხსენებაში**, რომელიც მოითხოვდა წინასწარ კონსულტაციას წევრ ქვეყნებს და კომისიას შორის იმ საკითხებზე, რომლებსაც გავლენა შეიძლება ჰქონოდა ყველა წევრ სახელმწიფოზე.

1987 წლის საერთო ევროპულმა აქტმა ინსტიტუციური საფუძველი ჩაუყარა ჩ - ს არსებობას სამდივნოსა და ევროპული კორესპონდენტების სახით, რომლებიც მუშაობდნენ პრეზიდენტობის მეთვალყურეობის ქვეშ. ჩ – ს კომპეტენციაში ასევე შევიდა ყველა ის საგარეო საკითხი, რომელიც შედიოდა წევრი ქვეყნების ინტერესებში.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ჩ იყო ფორუმი, სადაც წევრ ქვეყნებს შეეძლოთ კონსულტაციები გაეწიათ საგარეო საქმეთა საკითხებზე და, შესაბამისად, დაეფიქსირებინათ საერთო პოზიცია, რის შედეგადაც გამოხატავდნენ საერთო პოზიციას საერთაშორისო ორგანიზაციებში. ჩ-ს ჰყავდა უამრავი კრიტიკოსი და მას სერიოზულ წამოწყებად არავინ განიხილავდა. ბევრისთვის ის მხოლოდ სალაპარაკო ფორუმი იყო, რომელსაც არანაირი რეალური შედეგი არ მოჰყვებოდა. საერთო პოლიტიკური ფორუმის არარსებობა მართლაც კარგად გამოჩნდა იუგოსლავიის დაშლისას, როდესაც ბევრ ევროპულ სახელმწიფოს განსხვავებული საგარეო პოზიცია ჰქონდა: მაგალითად, გერმანია მხარს უჭერდა ხორვატიის დამოუკიდებლობას, საფრანგეთი კი მხარს უჭერდა იუგოსლავიის ერთიანობას და ასე შემდეგ. ცოტა უფრო მოგვიანებით, კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა

ევროგაერთიანების არა მარტო საერთო საგარეო პოლიტიკის, არამედ საერთო სამხედრო პოლიტიკის წარმოების შეუძლებლობა. საქვეყნოდ ნანახმა სირცხვილმა ევროპელები აიძულა დაეწყოთ სამუშაოები საერთო სამხედრო და საგარეო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად და განსახორციელებლად.

მაასტრიხის ხელშეკრულება და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

ხელშეკრულებაში ცალკე თავად არის შესული ევროპის საერთო საგარეო და უშიშროების პოლიტიკა (ჩომმონ ორეიგნ ანდ შეცურიტყ ოლიცყ - ჩშ). ამასთანავე, ჩშ გახდა ევრო კავშირის ერთ-ერთი სვეტი. ის მუხლები რომლებიც ეხება ჩშ-ს ცნობილია როგორც "ჯეი მუხლები" (ჟ არტიცლეს), და სულ 11 მუხლისაგან შედგება.

მუხლი ჟ 1 შეეხება სსუპ-ს კომპეტენციის არეალს და ამოცანებს. მოიცავს თითქმის ყველა იმ საკითხს, რაც საგარეო პოლიტიკას შეეხება. მაგრამ, ცნობილია რომ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ეს მოვალეობათა ნუსხა არის ან ძალიან ბუნდოვანი, ან გაურკვეველი. მაგალითად, სსუპ-ს მიზანია "ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას," ან "გააძლიეროს წევრი ქვეყნების უშიშროება ყველა საშუალებით" და ა. შ. ასევე, სსუპ-ს განსახორციელებლად ხელშეკრულება მოუწოდებს წევრ ქვეყნებს დაარსონ სისტემური თანამშრომლობა ყველა იმ საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ საყოველთაო ინტერესს.

მუხლი ჟ 2 შეეხება **საერთო პოზიციებს**. წევრი ქვეყნები მოვალენი არიან მოახდინონ ერთმანეთის ინფორმირება და ერთმანეთთან კონსულტაცია მინისტრთა საბჭოს შიგნით საგარეო და უშიშროების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მინისტრთა საბჭო კი, საჭიროების შემთხვევაში, განსაზღვრავს საერთო პოზიციას. წევრი ქვეყნები მოვალენი არიან შეუთანხმონ თავიანთი ეროვნული პოლიტიკა საერთო პოზიციას და მოახდინონ თავიანთი ქმედებების კოორდინირება საერთაშორისო ორგანიზაციებში.

მუხლი ჟ 3 შეეხება **ერთობლივ ქმედებებს**. ამ მუხლის თანახმად, მინისტრთა საბჭოს ევალება "ერთობლივი ქმდებების" საერთო საფუძვლების განსაზღვრა და ასევე მასვე ევალება განსაზღვროს დაექვემდებაროს თუ არა რომელიმე სფერო თუ საკითხი ერთობლივ ქმედებას. განხორციელების დეტალურ გეგმას გადაწყვეტს ხმათა კვალიფიციური უმრავლესობა.

მუხლი ჟ 4 თანახმად, სსუპ უნდა მოიცავდეს ევროკავშირის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, მათ შორის, საერთო თავდაცვის პოლიტიკის საბოლოო ჩარჩოებს, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს **საერთო თავდაცვის** შემუშავებას.

გადაწყვეტილებები უსაფრთხოების შესახებ, რომელშიც ჩართული იქნება თავდაცვის ელემენტები, მიღებულ იქნება მოთხოვნისამებრ დასავლეთ ევროპის კავშირის მიერ.

მუხლი ჟ 5 შეეხება ევროკავშირის საერთო პოზიციის წარდგენას. მაასტრიხის ხელშეკრულების მიხედვით ეს მისია აკისრია საბჭოს პრეზიდენტობას. იგი გამოხატავს კავშირის პოზიციას საერთაშორისო ორგანიზაციებში და საერთაშორისო კონფერენციებზე. მიმდინარე პრეზიდენტს სსუპ-ს მართვაში და განხორციელებაში ეხმარება ბოლო და მომავალი პრეზიდენტიც ე.წ. **თროიკა** და კომისია, თუმცა მაასტრიხის ხელშეკრულებაში ძალიან ბუნდოვნად არის მოცემული კომისიის როლი სსეპ წარმოებაში.

ასევე პარლამენტი რუგლარულად უნდა იყოს ინფორმირებული სსუპ-ს ძირითად ასპექტებზე და არჩევნებზე და მისი შეხედულებები უნდა იქნეს გათავისებული. პარლამენტს აქვს უფლება დასვას კითხვები და მისცეს რეკომენდაციები. ასევე

პარლამენტმა უნდა მოაწყოს ყოველწლიური დებატები სსუპ საქმიანობის და პროგრესის შესახებ.

მინისტრთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს სსუპ ფარგლებში ევრო საბჭოს მიერ დაწესებული ძირითადი მიმართულებების მიხედვით. საბჭო მუშაობს კონსენსუსის პირობებში გარდა პროცედურული საკითხებისა და იმ საკითხებისა, რომლებიც ექვემდებარება მესამე მუხლს (ერთობლივი ქმედებები). ერთობლივი ქმედებების დადგენის და განხორციელებისას დეტალებს კენჭი ეყრება ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით. პოლიტიკურ კომიტეტს, ასევე ევალება სიტუაციის მონიტორინგი და ინფორმაციის მიწოდება საბჭოსათვის საკუთარი ინიციატივით ან მისი მოთხოვნის საფუძველძე. მათვე ევალებათ მიღებული გადაწყვეტილებების იმპლემენტაციის მონიტორინგი. (**მუხლი ჟ 8**).

რაც შეეხება დაფინანსებას, იგი ან ევროგაერთიანების ბიუჯეტიდან გამოიყოფა (ბიუჯეტიდან მხოლოდ მცირე ნაწილი ფინანსდება), ან წევრი სახელმწიფოების მიერ ხორციელდება.

აღსანიშნავია, რომ სსუპ სფეროში გადაწყვეტილებები მიიღება მთავრობათაშორის დონეზე და მასში მონაწილეობას არ ღებულობენ ევრო გაერთიანების სხვა ინსტიტუციები.

ამსტერდამის ხელშეკრულება და საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა

1996 წელს დაწყებული სამთავრობათაშორისო კონფერენციის ერთ-ერთი მიზანი, რომელიც წინ უძღოდა ამსტერდამის ხელსშეკრულების შემქნას იყო ის რომ გაეძ- ლიერებინა ჩშ და მიეცა კავშირისთვის საშუალება უკეთ შეესრულებინა თვისი როლი საერთაშორისო

პოლიტიკაში. ეს პრობლემა ძალიან მწვავედ დადგა იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, როცა ნათლად გამოჩნდა ერთიანი ევროპული ხმის და პოლიტიკის არარსებობა და შესაძლებლობა იმისა, რომ პოლიტიკა გამაგრებული ყოფილიყო შესაბამისი ქმედებებით. მაშასადამე, ამსტერდამის მიზანი გახდა ამოევსო ორმოები შესაძლებლობებსა და საშუალებებს შორის და დაეძლია წინააღმდეგობები რაც არსებობდა ჩშ-ს ამბიციურ პროგრამასა და იმ საშუალებებს შორის, რომელიც კავშირის ხელთ იყო, რათა ამ მიზნებისთვის მიეღწია.

ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩაიდო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება.

1.დაემატა კიდევ ერთი საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი - **საერთო სტრატეგია**. ანუ, საბჭოს აქვს უფლება განსაზღვროს, კონსენსუსით, საერთო სტრატეგია იმ სფე- როებში, რომლებიც წევრი ქვეყნების საერთო ინტერესს წარმოადგენენ. საბჭო არის პასუხისმგებელი საერთო სტრატეგიის იმპლემენტაციაზე საერთო ქმედებების და ერ- თიანი პოზიციის საშუალებით (რომლებიც მტკიცდება კვალიფიციური უმრავლესობით). იგი ასევე რეკომენდაციას უწევს ევროპულ საბჭოს საერთო სტრატეგიის შესახებ;

2.გადაწყვეტილების მიღების მხრივ საერთო პრინციპი მაინც ერთხმად გადაწ- ყვეტილების მიღება დარჩა, მაგრამ შემოიღეს ე.წ. **“კონსტრუქციული თავისშეკავება**,” ანუ, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ თავი შეიკავონ, რათა საკითხი გადაურჩეს დაბლოკვას. თუკი ეს ქვეყნები თავშეკავებას დაადასტურებენ ფორმალური დეკლარაციით, მაშინ მათ არ ევალებათ მიღებული გადაწყვეტილების გატარება, მაგრამ ისინი ვალდებული არიან შეეგუონ მიღებულ გადაწყვეტილებას სოლიდარობის მიზნით და არ ჩაიდინონ ისეთი ქმედებები, რაც კონფლიქტში იქნება ევროკავშირის ამ გადაქყვეტილების საფუძველზე განხორციელებულ ქმედებებთან. გადაწყვეტილება არ მიიღება თუკი ასეთნაირად თავი შეიკავა წევრი ქვეყნების 1/3;

3.ამსტერდამის მეორე დიდი მონაპოვარი არის სსუპ-ს უმაღლესი წარმომადგენლის პოსტის შემოღება. ეს პოსტი მიანიჭეს საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც 1999 წლიდან გახდა ხავიერ სოლანა. გენერალური მდივნის მოვალეობაში შედიოდა საბჭოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვა და მიმართულების მიცემა, მაგრამ ახალი ფუნქციების დამატების შემდეგ ეს ფუნქციები გადაეცა გენერალურუ მდივნის მოადგი- ლეს. თავად სოლანას ამჯერად ევალება სსუპ-ს სფეროში საბჭოსთვის დახმარების გაწევა, კერძოდ კი სსუპ-ის მიმართულებების ფორმულირება, მომზადება და გადაწყვე- ტილებების იმპლემენტაცია. პრეზიდენტობის მოთხოვნით, სოლანა ასევე ატარებს პოლიტიკურ დიალოგს მესამე სახელმწიფოებთან და პირებთან. სსუპ-ს უმაღლეს წარმომადგენელს ლოგისტიკურ დახმარებას უწევს ამსტერდამის ხელშეკრულებით შექმნილი პოლიტიკის დაგეგმარების და ადრეული გაფრთხილების დანაყოფი.

4.პოლიტიკის დაგეგმარების და ადრეული გაფრთხილების დანაყოფი შეიქმნა იმ

მიზნით, რომ შესაძლებელი გამხდარიყო კავშირის მიერ ერთიანი რეაგირების მოხდენა საერთაშორისო მოვლენებზე. საკითხების ერთობლივმა შესწავლამ და ინფორმაციის მოპოვებამ უნდა განაპირობოს კავშირის ეფექტური რეაქცია საერთაშორისო მოვლე- ნებზე. ეს დანაყოფი დაკომპლექტებულია სპეციალისტებით წევრი ქვეყნებიდან, გენერალური სამდივნოდან, კომისიიდან და დასავლეთ ევროპის კავშირიდან. ამ დანაყოფის მოვალეობაში შედის:

- სსუპ-ს სფეროში არსებული მოვლენების მონიტორინგი და ანალიზი, სსუპ-ს ინტერესთა სფეროს შეფასება და იმ სფეროების მოხაზვა, რომელზეც სსუპ-ის ფარგლებში მომავალში ყურადღების გამახვილება შეიძლება;

- დროული შეფასება და ადრეული გაფრთხილება პოტენციური პოლიტიკური კრიზისების და სიტუაციების შესახებ, რომლებაც შეიძლება გავლენა იქონიონ სსუპ-ზე;

- ასევე, საკუთარი ინციატივით ან საბჭოს მოთხოვნით სარეკომენდაციების და მოხსენებების მიწოდება საბჭოსთვის.

5.პეტერსბერგის ამოცანები, უშიშროება და დასავლეთ ევროპის კავშირი:. ამსტერდამის ხელშეკრულებით პეტერსბერგის ამოცანები შეყვანილ იქნა სსუპ-ს კომპეტენციაში. ეს იყო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, ვინაიდან ეს ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან ევრო კავშირმა თავის თავზე აიღო ისეთი კონფლიქტების მოგვარება, რომლებიც საჭიროებს სამშვიდობო ოპერაციებს, ჰუმანიტარულ დახმარებას და სამაშველო ოპერაციებს. ასევე, მე-17 მუხლში ნახსენები იყო რომ **დეკ** ნელ-ნელა უნდა შერწყმოდა კავშირს და რომ კავშირი დაეკითხებოდა დეკ-ს როგორც აღმასრულებელ ორგანოს უსაფრთხოების საკითხებში. მარტივად რომ ვთქვათ, დეკ გახდებოდა სსუპ-ს სამხედრო ორგანო.

ამგვარად, ამსტერდამის ხელშეკრულების მონაპოვარი იყო, უპირველეს ყოვლისა, სსუპ-ს უმაღლეს წარმომადგენლის პოსტის შემოღება. ახლა უკვე შესაძლებელი გახდა პასუხი გაეცათ კისინჯერის ცოტა არ იყოს ცინიკურ კითხვაზე, თუ ვის უნდა დაურეკო, როცა გინდა ესაუბრო ევროპას? მეორე მონაპოვარი იყო ის, რომ შეთანხმდნენ ზოგიერთი საკითხები ხმათა კვალიფიციური უმრავლესობით გადაეწყვიტათ, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ, სინამდვილეში, სსუპ-ს სფეროში ყველაფერი მაინც კონსენსუსით წყდება.

ევროპული საბჭოების როლი სსუპ-ის ინსტიტუციონალიზაციაში

სენტ მალოს ევროპული საბჭო: სენტ მალო ისტორიაში შესულია როგორც გადამწყვეტი მომენტი ევროკავშირის საერთო თავდაცვის აღორძინების საქმეში.

კატალიზატორად იმ პროცესისა, რომელიც დაიწყო სენტ მალოში და, რომელიც დღემდე გრძელდება, იყო იუგოსლავიის დაშლა და თანმდევი სისხლიანი ომები, რომლის

დარეგულირების და, თუნდაც თავიდან აცილების საკითხში, ევროპამ ძალიან სუსტი როლი ითამაშა. თვალნათელი გახდა, რომ ევროპა აბსოლუტურად არაქმედითუნარიანი იყო სამხედრო საკითხებში და, როგორც ცივი ომის პერიოდში, იგი ახლაც ამერიკის და ნატოს შემყურე უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ საქვეყნოდ გამოაშკარავებული უძლურობის გამო გადაწყვიტა ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრა ტონი ბლერმა რომ დრო იყო ევროპას განევითარებინა საკუთარი სამხედრო შესაძლებლობები, რათა საკადრისი სიტყვა ეთქვა საერთაშორისო არენაზე. ეს იყო ბრიტანეთის პოლიტიკის 180 გრადუსით შემობრუნება, ვინაიდან წარსულში დიდი ბრიტანეთი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ევროპის მიერ ავტონომიური სამხედრო მექანიზმების შექმნას.

სენტ მალოს სამიტი წარმოადგენდა 1998 წლის არაფორმალური შეხვედრა პრე-
ზიდენტ შირაკსა და ბლეარს შორის, რომლის შედეგადაც გამოიცა სენტ მალოს დეკლარაცია. ამ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ დროა ევროპამ შესაფერისი როლი შეას- რულოს საერთაშორისო არენაზე. მან უნდა "აამუშაოს ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჩადებული დებულებები სსუპ-ს სფეროში, თანდათანობით საერთო თავდაცვის პოლიტიკის ჩარჩოების განვითარების ჩათვლით". საბჭოს უნდა შეეძლოს იმ პრინციპების და მიზნების განხორციელება რაც მეხუთე თავშია მოცემული. ამისათვის "ევროკავშირს უნდა ჰქონდეს ავტონომიური მოქმედების უნარი, რომელსაც ზურგს გაუმაგრებს საიმედო სამხედრო ძალა, უნდა ჰქონდეს ამ ძალის ამოქმედების და გადაწყვეტილების მიღების საშუალება და მზადყოფნა, რათა უპასუხოს საერთაშორისო კრიზისებს".

დეკლარაცია ხაზს უსვამს ნატოს შეუცვლელ როლს ევროპის თავდაცვის სფეროში და
რომ ევროპამ უნდა თავისი წვლილი შეიტანოს ნატოს მოდერნიზაციის საქმეში. მაგრამ, ევროპას ასევე უნდა ჰქონდეს "მოქმედების საშუალება ისეთ სიტუაციებში სადაც ალიანსი არ არის ჩაბმული". ევროპას სჭირდება ძლიერი არმია, კონკურენტუნარიანი ევროპული თავდაცვის ინდუსტრია და ტექნოლოგია რათა უპასუხოს ახალ საფრთხეებს.

სენტ მალოშივე საფრანგეთმა და ბრიტანეთმა დააფიქსირა რომ ისინი გააერთიანებდნენ ძალისხმევას რათა მისცენ ევრო კავშირს ამ მიზნების განხორციელების კონკრეტული შესაძლებლობები.

სენტ მალოს შემდეგ მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა სსუპ სფეროში. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში განსაკუტრებით მნიშვნელოვანი იყო სამი ევროპული საბჭო.

კიოლნის ევროპული საბჭო (1999 წლის ივნისი): 1999 წლის ივნისის კიოლნის ევროპული საბჭოს დეკლარაციამ გაითავისა სენტ მალოს დეკლარაცია და თითქმის მთლიანად მიიღო იქ მიღწეული შეთანხმებები. ამჯერად ფორმალურად დადასტურდა ევროკავშირის წევრი ყველა ქვეყნის სურვილი, რომ განევითარებინათ საერთო თავდაცვა.

კიოლნის დეკლარაციაში ჩაიდო ის სამომავლო გეგმები, რაც საჭირო იყო ამ იდეის განსახორციელებლად, კერძოდ კი გადაწყვეტილების მიღების ინფრატრუქტურის შექმნა (სამხედრო პოლიტიკური კომიტეტები და ა.შ.) ისევე როგორც სამხედრო საშუალებები, ანუ სამხედრო შტაბბინის და სამხედრო ძალების შექმნა. შესაბამისად, მომავალ პრეზიდენტობას დაევალა სამუშაობის გაგრძელება ამ მიმართულებით.

ჰელსინიკის ევროპული საბჭო (1999 წლის დეკემბერი): ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მასზე დასახული იქნა ე.წ. "მთავარი ამოცანა", რომლის მიხედვით ქვეყნებს უნდა შეძლებოდათ 2003 წლისათვის თავი მოეყარათ (ნებაყოფლობით) 50,000 — 60,000 კაციანი სწრაფი რეაგირების ჯარისთვის, რომლის განლაგება შესაძლებელი იქნებოდა 60 დღეში, და შენახვა ერთი წლის მანძილზე. ამ ჯარის მოვალეობებში შევიდოდა პეტერსბერგის ამოცანების შესრულება.

სანტა მარია დე ფეირას ევროპული საბჭო (2000 წლის ივნისი): ამ შეხვედრაზე წევრი ქვეყნები შეთანხმდნენ სამოქალაქო "მთავარ ამოცანაზე," ანუ ესდპ-ს სამოქალაქო კომპონენტის განვითარებაზე. ისინი შეთანხმდენ, რომ 2003 წლისთვის კავშირის განკარგულებაში იქნებოდა 5000-მდე პოლიციელი კრიზისული სიტუაციების დასაძლევად.

მაშასადამე, სენტ მალომ და შემდგომმა ევროპულმა საბჭოებმა საფუძველი ჩაუყარა საერთო თავდაცვას, ანუ ევროპის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკას (ეუთპ), რომელიც ფორმალურად შეყვანილ იქნა ევროპის ინსტიტუტებში ნიცის ხელშეკრულების მიერ. ნიცის ხელშეკრულებამ ასევე შექმნა ეუთპ-ს სტრუქტურა, რადგან შეიქმნა სამი ახალი კომპონენტი: პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი (შჩ – ჩშ - პუკ), ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი (ესკ), ევროკავშირის სამხედრო შტაბი (ესშ).

საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის და ევროპის უსაფრთხოების და თავ- დაცვის პოლიტიკის სტრუქტურა: გადაწყვეტილების მიღების ინსტიტუტები და პროცედურა

ევროპული საბჭო: მაასტრიხტის ხელშეკრულების მე13 მუხლის მიხედვით საბჭო განსაზღვრავს სსუპ-ის პრინციპებს და მთავარ მიმართულებებს და აყალიბებს საერთო სტრატეგიებს. ვეროპული საბჭო მუშაობს გენერალურ საქმეთა საბჭოსთან (ჩ) ერთად და მისი მეშვეობით არის სსუპ-თვის მიმართულების მიმცემი.

1992 წლის ლისაბონის სამიტი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ საქმიანობს საბჭო სსუპ-ის სფეროში. იმის დასადგენად, არის თუ არა საერთო ინტერესი ამა თუ იმ საკითხის ან არეალის ირგვლივ, მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები: მოცემული ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და სიახლოვე ევროკავშირთან; ევროკავშირის დაინტერესება ამ

ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაში და საფრთხის არსებობა ევროპის უსაფრთხოების ინტერესების მიმართ. როგორც წესი, საბჭო ასევე გამოხატავს თავის შეხედულებებს საგარეო პოლიტიკის მიმდინარე პრობლემების შესახებ.

მინისტრთა საბჭო: საბჭო არის სსუპ წარმოების საკვანძო ორგანო. იგი ფუნქციონირებს შემდეგი ორგანოების საშუალებით:

გენერალური და საგარეო ურთიერთობების საბჭო: საგარეო საქმეთა მინისტრები და კომისარი ხვდებიან ერთმანეთს დაახლოებით თვეში ერთხელ, მაგრამ ასევე იმართება დამატებითი შეხვედრებიც. გსუს არის სსუპ-ს მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო: განსაზღვრავს საერთო პოზიციებს და საერთო ქმედებებს. უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია პრეზიდენტობას, რომელიც წარადგენს კავშირს სსუპ-ის სფეროში და მონიტორინგს უწევს ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას. ადრე პრეზიდენტ ქვეყანას ეხმარებოდა ტროიკა, მაგრამ ეს როლი ახლა გაითავისა სსუპ-ის უმაღლესმა წარმომადგენელმა და საგარეო ურთიერთობების კომისარმა.

მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (*ჩლღ)* წარმოადგენს ერთგვარ ფილტრს პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტს (რომლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მას არ შეუძლია, თუმცა შეუძლია მხოლოდ განხილვა) და გენერალურ საბჭოს შორის. აქ ხდება საკითხების და პოზიციების შეჯერება, ვიდრე საკითხი მიაღწევს საბჭომდე. კორეპერი განიხილავს საკითხების ბიუროკრატიულ, ინსტიტუციურ, ფინანსურ და სხვა ასპექტებს, თუმცა არ ეხება საკითხების შინაარსს. საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავს კორეპერ II.

პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი შედგება მაღალი რანგის ელჩებისა და ეროვნული ადმინისტრაციების წარმოადგენლებისაგან, ასევე საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატის მაღალი რანგის წარმომადგენლებისგან. მის მოვალეობაში შედის თვალი ადევნოს საერთაშორისო სიტუაციას სსუპ-ის საკითხებში, განსაზღვროს სსუპ-ს პოლიტიკა, გაუწიოს პოლიტიკური მიმართულება სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას და კრიზისული სიტუაციების გამკლავებას. შეხვედრების სიხშირე არის კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი განიხილავს ყველა საკითხს, სანამ ეს საკითხები გავა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოზე.

კორესპონდენტების ჯგუფი კოორდინაციას უწევს სსუპ-ს წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა სამინისტროებთან. ეს ჯგუფი ასევე ახდენს ყოველდღიურ კომუ-ნიკაციას საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის, რაც სხვა საქმეებთან ერთად, ასევე გულისხმობს ათასობით ტელგრამის გაგზავნას ტელექსის საშუალებით. ეს ჯგუფი ეწევა

ყველაზე რუტინულ, მაგრამ მნიშვნელოვან საქმიანობას. მათ აქვთ სპეციალური ტელექსის სისტემა, რომელიც აადვილებს ურთიერთობას წევრ-სახელმწიფოებს შორის.

სამუშაო ჯგუფები: საბჭოს სტრუქტურაში არსებობს დაახლოებით 30 სამუშაო ჯგუფი, ზოგი - მუდმივი, ზოგი კი - დროებითი. დაკომპლექტებულია დიპლომატებით და კომისიის წარმომადგენლით. ყველა ჯგუფი მუშაობს ცალკეულ საკითზე: რეგიონზე, ან სხვადასხვა თემაზე.

გენერალური სამდივნო: ეპთ-ს სსუპ-დ გარდაქმნამ გამოიწვია ის რომ ეპთ-ს ყოფილი გენერალური სამდივნო მიერთებულ იქნა საბჭოს სამდივნოსათვის. ამჯერად ამ ხალხის კომპეტენციაში შედის ადმინისტრაციული დახმარება გაუწიონ საბჭოს საქმიანობას სსუპ სფეროში. ეს კომპონტენტი გამყარდა მას შემდეგ რაც შეიქმნა უმაღლესი წარმო- მადგენლის პოზიცია. როგორც ცნობილია მას ევალება სსუპ-ს პოლიტიკის განსაზღვრის, ფორმულირების მომზადების და იმპლემენტაციის პროცესში მონაწილეობის მიღება და მესამე პირებთან დიალოგის წარმართვა.

პოლიტიკის დაგეგმვის განყოფილება: ამ დანაყოფის კომპეტენციები განხულულია ზემოთ.

ევროკომისია: ხელშეკრულების თანახმად კომისია სრულად ასოცირდება სსუპ-სთან, მაგრამ სსუპ-ს წარმოების მთავრობათაშორისი ბუნება და კომისიის სუპრაეროვნულმა ბუნებამ განაპირობა ის, რომ კომისიის როლი სსუპ-ში ჯერ კიდევ სუსტია. რომანო პროდის პრეზიდენტობის პერიოდში გაიყო საგარეო ურთიერთობების პორტფელი საგა- რეო ურთიერთობების და გაფართოების პორტფელებად, რომელთა დაქვემდებარებაში აღმოჩნდა, შესაბამისად, საგარეო ურთიერთობების გენერალური დირექტორატი და გაფართოების გენერალური დირექტორატი. ფუნქციების ამგვარმა დანაწილებამ, შეიძ- ლება ითქვას, გაზარდა ევროკომისიის როლი სსუპ-ში (ამის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს კრის პატენის და გუნტერ ვერჰოგენის პიროვნული თვისებები). მიუხედავად ამისა, კომისიის როლი განისაზღვრება იმით, თუ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის რო- მელ ასპექტთან გვაქვს საქმე. თუ სსუპ-ის ფარგლებში გამოიყენება ევროგაერთიანების ინსტრუმენტები (მაგალითად, ეკონომიკური სანქციები), მაშინ კომისიის როლი საკმაოდ დიდია, ხოლო თუ საქმე ეხება სამთავრობათაშორისო ინსტრუმენტებს, მაშინ კომისიის როლი შეზღუდულია.

ევროპარლამენტი: საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ევროპარლამენტის როლი მაქსიმალურად არის შეზღუდული. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს აქვს საგარეო ურთიერთობების კომიტეტი და კიდევ რამდენიმე კომიტეტი, რომელთა საქმიანობა უკავშირდება საგარეო პოლიტიკას (განვითარების პოლიტიკა, გაფართოება, საგარეო

დახმარება და სხვ.), საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში მისი როლი მინიმალურია. მაასტრიხტის ხელშეკრულების მიხედვით პარლამენტს აქვს უფლება იყოს "რეგულარულად ინფორმირებული" სსუპ-ში მიმდინარე საკითხებზე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში პარლამენტის მონაწილეობა გათვალისწინებული არ არის. ასევე არაა გათვალისწინებული პარლამენტისადმი სხვა ინსტიტუტების ანგარიშვალდებულების საკითხი, როდესაც საქმე ეხება საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკას.

საელჩოები და წარმომადგენლობები: ევროკომისიას ჰყავს დაახლოებით 130 დელეგაცია (და არა წარმომადგენლობა) მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში და 5 საერთაშორისო ორგანიზაციაში (ასევე აღსანიშნავია რომ დაახლოებით 160 ქვეყანას ჰყავს ოფიციალური წარმომადგენლობა ევროკავშირში). ევროკავშირის ხელშეკრულების მე-20 მუხლის მიხედვით, წევრი ქვეყნების მისიებმა და კომისიის დელეგაციებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთში, რათა უზრუნველყონ საბჭოს მიერ მიღებული საერთო პოზიციების და ერთობლივი ქმედებების შესაბამისობა და იმპლემენტაცია.

ეს პროცესი (კოორდინაციის და ურთიერთქმედების) დიდი ხანია არსებობს და კიდევ უფრო იხვეწება. მაგალითად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების გაეროში მივლენილი მუდმივი წარმომადგენლები კვირაში ერთხელ იკრიბებიან, რათა პოლიტიკის კოორდინირება მოახდინონ. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ერთნაირად აძლევენ ხმას გაეროს უშიშროების საბჭოში გატანილი საკითხების 75 %-ზე.

ტროიკა: ტროიკა არის ინსტიტუტი, რომელიც შემოღებულ იქნა 1980-იან წლებში იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო საგარეო პოლიტიკის საკითხებში პოლი- ტიკის მდგრადობა, განსაკუთრებით ყოველ ექვს თვეში ცვლადი პრეზიდენტობის გათვალისწინებით. თავდაპირველად ტროიკაში შედიოდა მიმდინარე, წინა და მომავალი პრეზიდენტი ქვეყნები. დაკომპლექტების ამგვარი წესით უზრუნველყოფილი იყო დღის წესრიგის შედგენის პროცესში და საერთაშორისო მოლაპარაკებების დროს ევრო- კავშირის პოზიციების და პოლიტიკების მდგრადობა და განგრძობადობა. დღეისათვის ტროიკის დაკომპლექტების წესი შეიცვალა. დღეს ტროიკას წარმოადგენენ პრეზიდენტი ქვეყანა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი და ევროკომისარი. ასევე შესაძლებელია, რომ ტროიკაში მონაწილეობა მიიღონ წინა ან მომავალმა პრეზიდენტმა ქვეყანამ.

თავდაცვის პოლიტიკის წარმოების პროცესში ჩართული ორგანოები

სამხედრო კომიტეტი: სამხედრო კომიტეტი შედგება თავდაცვის მინისტრებისგან, რომლებიც წარმოდგენილი არიან თავიანთი წარმომადგენლებით, გარდა იმ შემ-

თხვევებისა, როდესაც პირადად მინისტრების დასწრება არის აუცილებელი. ამ კომი- ტეტის კომპეტენციაა რჩევების მიცემა პოლიტიკური და სამხედრო კომიტეტისთვის და საგარეო საქმეთა მინისტრებისა და ევროპული საბჭოსთვის სამხედრო საკითხების შესახებ. სამხედრო კომიტეტი ასევე წარმოადგენს ფორუმს სამხედრო კონსულტაცი- ებისთვის კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და კრიზისების მოსაგვარებლად.

სამხედრო შტაბი: სამხედრო შტაბი შედგება წევრი სახელმწიფოებისგან წარ- გზავნილი სამხედრო მოხელეებისაგან. მოხელეების შტაბი ეკუთვნის საბჭოს სამდივნოს, მაგრამ უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე მათი შენობა არ მდებარეობს სამდივნოს შენობაში. შტაბი მუშაობს სამხედრო კომიტეტის მეთვალყურეობის ქვეშ და ემსახურება ეუთპ-ს სამხედრო ექსპერტიზით, მათ შორის ისეთ საკითხებზეც, როგორიცაა ადრეული გაფრთხილება, სიტუაციის შეფასება და სტრატეგიული დაგეგმვა.

ნატო და სსუპ/ეუთპ

ნატოს ევროპული განზომილება (შI): ცივი ომის დასრულებით ნატოს არსებობას საფრთხე შეექმნა, რაც თავიდან იქნა აცილებული ორგანიზაციული ცვლილებებით. ეს არის პროცესი, რომელიც ცნობილია როგორც ნატოს ტრანსფორმაცია, და რომელიც დღემდე გრძელდება. ეს ვრცელი თემაა, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ნატოს ტრანსფორმაციის ნაწილს წარმოადგენს ევროპისთვის "თვალის დევნება" და მისი საგარეო პოლიტიკის და, განსაკუთრებით, თავდაცვის ნატოს ფარგლებში განვითარება. ჯერ კიდევ 1990 წლის ნატოს ლონდონის სამიტზე აღნიშნულ იქნა, რომ უნდა დაბალანსდეს პასუხისმგებლობები მოკავშირეებს შორის. ამავე სამიტზე აშშ-მა მოუწოდა წევრ ქვეყნებს გაეზარდათ ევროპის ქვეყნების როლი და პასუხისმგებლობა ალიანსში. ალიანსის უძლიერესი პარტნიორის მოწოდების იდეა იყო ის, რომ ევროპას უნდა ეკისრა უფრო დიდი მოვალეობა ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების სფეროში, მაგრამ ეს უნდა

გაეკეთებინა ალიანსის ფარგლებს შიგნით.

ევროპას შედარებით განსხვავებული გეგმები ჰქონდა, რამაც გაიჟღერა კიდეც მაასტრიხტის ხელშეკრულების მომზადებისას. ევროკავშირს სურდა, რომ დასავლეთ ევროპის კავშირს შეესრულებინა ევროკავშირის სამხედრო საყრდენის ფუნქცია. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ 1991 წლის დეკ-ის მინისტერიალზე აშშ-მა გააზავნა ე.წ. ბართლომეს ტელეგრამა, რომელშიც ნათლად იყო დაფიქსირებული, რომ ევროპული თავდაცვა ნატოს გარეშე შეუძლებელი იყო, და რომ ევროპის თავდაცვის სვეტი

შესაძლებელია განვითარებულიყო ნატოს ფარგლებს შიგნით.

მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ დეკ-ს უნდა შეესრულებინა კავშირის თვდაცვის ორგანოს ფუნქცია, 1992 წელს გადაწყდა მისთვის კონკრეტული ფუნქციების მიცემა და ამოცანების დასახვა, რაც ცნობილია პეტერსბერგის ამოცანების სახელით. ამ ამოცანებში შედის ჰუმანიტარული და სამაშველო სამუშაოები, სამშვიდობო ოპერაციები, საბრძოლო ამოცანა კრიზისების მენეჯმენტის დროს, მშვიდობის კეთების ჩათვლით (ჰუმანიტარიან ანდ რესცუე ტასკს, პეაცეკეეპინგ ტასკს, [ანდ] ტასკს ოფ ცომბატ ფორცეს ინ ცრისის მანაგემენტ, ინცლუდინგ პეაცემაკინგ). ასეთი ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელი იყო გაეროს უშიშროების საბჭოს და ნატოს ნებართვა. მაშინ, კონცეპტუალურად, დეკ ნატოზე წინ იდგა, რადგან ნატო იმ დროისათვის მხოლოდ თავდაცვის ორგანიზაცია იყო და მის ფუნქციებში არ შედიოდა სამშვიდობო და ჰუმანიტარული ოპერაციების ჩატარება. იმისათვის, რომ ევროპის თავდაცვა განვითარებულიყო ნატოს შიგნით და არ მომხდარიყო ინსტრუმენტების და შტაბების დუბლიკაცია, 1994 წელს ბრუსელის სამიტზე მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ ნატო მზად იყო საკუთარი კოლექტიური ინსტრუმენტები მიეცა გამოსაყენებლად დეკ-ისთვის სუფთა ევროპული ოპერაციების განსახორციელებლად ჩრდილო ატლანტიკური საბჭოს (ორტჰ ტლანტიც ჩოუნცილ – ჩ) თანხმობის საფუძველზე. ამავე სამიტზე ფარდა აეხადა საერთო გაერთიანებული სამუშაო ძალების (ჩომმონ ჟოინტ თასკ ორცეს – ჩჟთ) კონცეფციას, რომლის პრინციპი იყო - “გაყოფადი, მაგრამ განუყოფელი.” ეს პრინციპი ნიშნავს, რომ ამერიკას ექნებოდა საშუალება არ მიეღო მონაწილეობა სამხედრო ოპერაციებში, თუ იგი საჭიროდ არ მიიჩნევდა, ხოლო ევროპას ექნებოდა საშუალება გამოეყენებინა ნატოს სამხედრო ინსტრუმენტები. ამით ამერიკა ორ კურდღელს იჭერდა: თავიდან იცილებდა არასა- სურველ ოპერაციებს და, ამავდროულად, აძლებდა ევროპას საშუალებას განევი- თარებინა საკუთარი თავდაცვის იდენტობა ინსტრუმენტების დუბლიკაციის თავიდან აცილების გზით.

1996 წელს უკვე ოფიციალურად შეესხა ფრთა დეკ-ს და ნატო-ს შორის თანა- მშრომლობას, როდესაც დამყარდა პირდაპირი კავშირი შ-ში (შუპრემე ეადქუარტერს ლლიედ ოწერს უროპე) ამერიკის მთავარსარდალს და ევროპის ჯარების ხელმძღვანელს (ეპუტყ ჩომმანდერ ოფ ლლიედ ორცეს ინ უროპე – შჩლ) შორის.

1997 წელს ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, რითაც ევროკავშირმა საკუთარ თავზე აიღო პეტერსბერგის ამოცანების შესრულება და მოახდინა დეკის საკუთარ სტრუქტურებში ინტეგრაცია. ამის საპასუხოდ, 1999 წლის **ვაშინგტონის საიუბილეო სამიტზე** მიღებულ იქნა საგანგებო ზომები, რომ ევროპის თავდაცვის იდენტობა გაღრმავებულიყო ნატოს შიგნით. დაისახა გეგმა, რომ განვითარებულიყო ეფექტური კონსულტაციის, თანამშრომლობის და გამჭვირვაალეობის უზრუნველმყოფი მექანიზმი ევროკავშირსა და ნატოს შორის. ამ გადაწყვეტილების მიხედვით ასევე უზრუნველყოფილი

იქნა ევროკავშირის მიერ ნატოს სამხედრო ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა. ეს ჩანაფიქრი პრაქტიკულად განხორციელდა 2002 წლის დეკემბერში და ამ შეთანხმებას ეწოდა **ბერლინი +** (ერლინ ლუს გრეემენტ), რადგან იგი ეყრდნობოდა იგივე პრინციპებს რაც 1992 წელს ნატოსა და დეკს შორის იქნა გაფორმებული. ბერლინი + დაეყრდნო 4 ძირითად პრინციპს:

1. ევროკავშირს აქვს გარანტირებული შეღწევის უფლება ნატოს ოპერაციული დაგეგმვის საშუალებებში;
2. ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს შესაძლებლობები (იარაღი, ძალები) და საერთო ქონება;
3. ევროკავშირისთვის ხელმისაწვდომია ნატოს სარდლობა;
4. ნატოს სამხედრო ძალების ადაპტაცია ხორციელდება ისე, რომ ევროპული ოპერაციებისთვის ძალების გამოყოფა გახდეს შესაძლებელი.

იმისათვის, რომ მოხდეს ოპერაციების შეუფერხებელი მომზადება ევროკავშირმა წარგზავნა სტრატეგიული მგეგმავების პატარა ჯგუფი შ-ში, რათა მათ უხელ-მძღვანელონ ოპერაციებს, რომელიც ჩატარდება ბერლინი + ფარგლებში (ასეთი ოპერაციის მაგალითია შღ-ის ჩანაცვლება ღ-ით 2004 წლის დეკემბერში).

2002 წლის 16 დეკემბერს გამოიცა ევროკავშირის და ნატოს ერთობლივი დეკლარაცია ეუთპ-ს შესახებ, რომელშიც გაჟღერებული იქნა რამდენიმე **პერმანენტული პრინციპი** - პარტნიორობა, გამჭვირვალეობა და შესაძლებლობების ურთიერთშეთანხმებულად განვითარება. ამავე დეკლარაციით ნატომ დაადასტურა ევროკავშირისთვის ნატოს დაგეგმარების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა, ხოლო ევროპამ პირობა დადო, რომ უზრუნველყოფდა ევროკავშირის არაწევრი ნატოს წევრი სახელმწიფოების მონა- წილეობას ეუთპ-ს ოპერაციებში.

ნატოს და ევროკავშირის ურთიერთობას ასევე ზურგს უმაგრებს 2001 წლიდან დაწყებული კონსულტაციები ევროკავშირის პოლიტიკურ და უსაფრთხოების კომიტეტს (შჩ) და ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს (ჩ) შორის. ასევე, 2003 წლის მაისში შეიქმნა ე.წ. ევრო კავშირი-ნატოს შესაძლებლობების ჯგუფი რომელმაც უნდა უზრუნველყოს ერთუერთმხარდაჭერა ჩჩ და ჩ შორის.

ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტი და სსუპ/ეუთპ

ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტს შემოაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილევა, რაც სრულიად შეცვლის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სახეს. კონსტიტუციას სხვადასხვა ცვლილებების გარდა შემოაქვს შემდეგი სიახლეები:

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი: ინსტიტუციური თვალსაზრისით ეს არის კონსტიტუციის ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე. კონსტიტუციის მიხედვით ერთიანდება საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პოსტი და საგარეო ურთიერთობების კომისრის პოსტი და წარმოიქმნება ახალი — საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა. საგარეო საქმეთა მინისტრი დარჩება წარმომადგენლად საგარეო უერთიერთობების სფეროში, მაგრამ ასევე ექნება ევროკომისრის ფუნქციები, ანუ იქნება ცალი ფეხით კომისიაში და მეორე ფეხით საბჭოში. მინისტრს ასევე ექნება საგარეო საქმეთა სამინისტრო, სადაც დასაქმებული იქნებიან ევროკავშირის დიპლომატები. ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა დაინიშნოს ევროპული საბჭოს მიერ კვალიფიცირებული უმრავლესობით და არჩევისთანავე გახდეს ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი და კომისართა კოლეგიის სრულუფლებიანი წევრი. მისი სხვა მოვალეობები, როგორიცაა ევროკავშირში უკვე არსებული პროგრამების და ინსტიტუტების კოორდინაცია, პოლიტიკის ინიცირება, კრიზისის მენეჯმენტის იმპლემენტაცია, საგარეო წარმომადგენლობა, საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს თავმჯდომარეობა და პოკოს თავმჯდომარეობა საგანგებო წარმომადგენლის მეშვეობით ისევე დარჩება ძალაში როგორც დღესაა.

პრეზიდენტობის კონცეფციის შეცვლა: კონსტიტუცია ასევე ცვლის ევროკავშირის

პრეზიდენტის არჩევის წესს. თუ დღეს პრეზიდენტობა ქვეყანას აქვს და ექვსთვიანი როტაციული ხასიათისაა, კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოხდება ამ პრინციპის შეცვლა. პირველ რიგში, მოხდება პრეზიდენტობის პრინციპის დაშორიშორება ევროპულ საბჭოსა და მინისტრთა საბჭოში. ევროპული საბჭოს პრეზიდენტი იქნება არა ქვეყანა, არამედ პიროვნება, რომელიც არჩეული იქნება 2.5 წლით. მინისტრთა საბჭოში შემოვა 18-თვიანი პრეზიდენტობის ვადა, თუმცა ერთი ქვეყნის ნაცვლად იქნება 3
თანაპრეზიდენტი ქვეყანა.

ურთიერთდაცვა და სოლიდარობა: კონსტიტუციამ წარადგინა ორი ახალი წინადადება რომლის მიზანია გაზარდოს შიდა სიმტკიცე და ხელი შეუწყოს შემდგომ ინტეგრაციას. ურთიერთთავდაცვის წინადადება გულისხმობს ძალისხმევების გაერთიანებას ისეთი სახელმწიფოს დასაცავად, რომელიც გახდება აგრესიის მსხვერპლი. ეს თანამშრომლობა ღიაა ყველა ქვეყნისთვის და მასში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. თანამშრომლობაში იგულისხმება დახმარების აღმოჩენა, იქნება ეს სამხედრო თუ სხვა ტიპის. ასეთი იდეის კონსტიტუციაში ასახვამ გამოიწვია უკმაყოფილება და შიში, რომ ეს გამოიწვევდა ევროპის ქვეყნების მიერ ამერიკის და სხვა არაევროკავშირელი ნატოს წევრების ევროპის თავდაცვის საკითხებისგან ჩამოშორებას და გაუცხოებას. ასეთი შიშის

არსებობის გამო ეს წინადადება ჩასწორდა და შემოტანილ იქნა დახმარების გაწევის ნებაყოფლობითობის იდეა. ასევე, კონკრეტულად განისაზღვრა ნატოს და ამერიკის ფუნქციები, რაც ასახული იქნა კონსტიტუციაში.

კონსტიტუციაში ჩაიდო წინადადება სოლიდარობის შესახებ, რომელიც ამოქმედდება, თუ რომელიმე ქვეყანა გახდება ტერორიზმის, ან ბუნებრივი, თუ ტექნოგენური

კატასტროფის მსხვერპლი.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუცია არ განმარტავს ამ წინადადებების შესრუ- ლებისთვის აუცილებელ ოპერაციულ და ინსტიტუციურ გზებს.

კონსტიტუცია ასევე საგრძნობლად ცვლის არსებულ ხელშეკრულებას ახალი მუხლით ":გაფართოებული თანამშრომლობის შესახებ" სსუპ და ეუთპ სფეროში მხოლოდ ყველა ქვეყნის თანხმობის საფუძველზე. ასეთი თანამშრომლობა ღიაა ყველასათვის, მაგრამ უნდა მოიცავდეს ქვეყნების 1/3-ს მაინც. ამ პრინციპით მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოა მხოლოდ მონაწილე ქვეყნებისთვის. თუ არამონაწილე ქვეყანა ჩათვლის საჭიროდ შეუერთდეს ამა თუ იმ ინიციატივას, არ უნდა არსებობდეს რამე დამატებითი ინსტიტუციური ბერკეტი ამისათვის. ეს ინიციატივა წარმოადგენს მოქნილ ინსტიტუციურ ბერკეტს მნიშვნელოვანი დაბლოკვების წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში გადაწყვეტილებების უმრავლესობა დღესაც კონსენსუსით მიიღება.

თემა 11

ევროკავშირის გაფართოების სტრატეგია და პოლიტიკა

გაფართოების სტრატეგიის ელემენტებია:

· ყველა ევროპულ ქვეყანას შეუძლია გამოთქვას გაწევრიანების სურვილი;

· კოპენჰაგენის კრიტერიუმები:

• სტაბილური ინსტიტუტები, დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და უმცირესობების პატივისცემა;

• ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა;

• ეკონომიკის უნარი გაუძლოს ევროკავშირის ფარგლებში წარმოქმნილ კონკურენციულ ზეწოლას და საბაზრო ძალების ზემოქმედებას;

• ქვენის უნარი იკისროს ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ამოცანების გატარების ვალდებულებები;

· 1995 წ. მადრიდის კონფერენციის გადაწვეტილების შესაბამისად, ევროკავშირის სამართლებრივი ბაზის გადმოტანისა და ეფექტური განხორციელების შესაძლებლობა.

1990-ანი წლებში ევროკავშირმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათ ქვეყანასთან ჲასოცირების შეთანხმებებიჴ გააფორმეს. ეს შეთანხმებები წარმოადგენდნენ იურიდიულ საფუძველს ორმხრივი ურთიერთობისათვის ევროკავშირსა და ამ ათ ქვეყანას შორის. მსგავსი შეთანხმებები ევროკავშირს უკვე გაფორმებული ჰქონდა თურქეთთან (1963), მალტასთან (1970) და კვიპროსთან (1972).

1993 წლის კოპენჰაგენის ევროპულ საბჭოზე, ევროკავშირმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა მის ისტორიაში უდიდესი გაფართოებისაკენ, მიიღო რა გადაწყვეტილება დაეკმაყოფილებინა წევრობის კანდიდატი ქვეყნების მოთხოვნები, მას შემდეგ რაც კანდიდატები, თავის მხრივ გაწევრიანებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებდნენ, რომელთაც შემდგომში ჲკოპენჰაგენის კრიტერიუმებიჴ ეწოდათ.

კოპენჰაგენის ევროპული საბჭო

1993 წლის ივნისში, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ევროპული საბჭოს მიერ კოპენჰაგენის სამიტზე შემუშავებული კრიტერიუმები განისაზღვრა, როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი წინაპირობები იმ პოტენციური წევრი ევროპული ქვეყნებისათვის, რომელნიც მიისწრაფვიან ევროკავშირში გაერთიანებისაკენ. ეს კრიტერიუმები, პირობითად შესაძლოა სამ კატეგორიად დაიყოს:

1. პოლიტიკური კრიტერიუმი: სტაბილური ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა და განსაკუთრებით უმცირესობათა უფლებების დაცვას.

2. ეკონომიკური კრიტერიუმი: გაწევრიანების მსურველი ქვეყნები უნდა ფლობდენ ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკას და უნდა შესწევდეთ უნარი, იყვნენ კონკურენტუნარიანნი ევროგაერთიანების შიდა ბაზარზე.

3. სამართლებრივი კრიტერიუმი: იგი გაწევრიანების მსურველი ევროპული ქვეყნების მიერ, ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზის, იგივე ìAcques Communautaireî-ს, შიდა სამართალში გადმოღებას გულისხმობს. ამ კრიტერიუმის თანახმად პოტენციური წევრი ქვეყნები მოვალენი ხდებიან, შესაბამისად გაითავისონ და შეასრულონ ევროგაერთიანების მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

კოპენჰაგენის კრიტერიუმებიî წარმოადგენს მხოლოდ ზოგად პრინციპებს ან ნორმებს, შემუშავებულს ზოგადად ინტეგრაციის პროცესისათვის. პრაქტიკაში კი თითოეულ განმცხადებელ ქვეყანასთან, მისი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მუშავდება შესაბამისი ქვეყნის ინტეგრაციისათვის აუცილებელ წინაპირობათა ერთობლიობა,

რომელიც დეტალურად განისაზღვრება სათანადო გეგმაში და ასახვას ჰპოვებს კონკრეტულქვეყანასთან გაფორმებულ ,,ევროპულ შეთანხმებაშიî. თუმცა, ცალკეული ქვეყნებისათვის განსაზღვრული კონკრეტულ წინაპირობათა ერთობლიობა, დგინდება ზემოთხსენებული კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისად და მის ფარგლებში.

პოლიტიკური კრიტერიუმი

პოლიტიკური კრიტერიუმი თავად შედგება გარკვეულ წინაპირობათა ერთობლიობისაგან, კერძოდ: დემოკრატიული წესრიგისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცებისაგან, ისევე როგორც, ადამიანის უფლებათა და განსაკუთრებით უმცირესობათა უფლებების დაცვის

უზრუნველყოფისაგან. როდესაც 50-იან წლებში, რომისა და პარიზის ხელშეკრულებები იდებოდა (რამაც სამი ევროპული ორგანიზაციის და შემდგომში ევროგაერთიანების შექმნას დაუდო საფუძველი), თავიდანვე დაგეგმილი იყო, ძირითადად, ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომელთაც შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური საკითხების ეფექტური გადაჭრისათვის უნდა შეეწყო ხელი, მაგრამ ეკონომიკურ ორგანიზაციად ჩაფიქრებულმა ევროგაერთიანებამ, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თანდათან პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა.

თანამედროვე ევროპაში დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა და კანონისუზენაესობის დაცვა-აღიარება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საერთო ევროპული ფასეულობებისადმი კონკრეტული ქვეყნის მისწრაფებების ერთგულებას. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, რომ ევროგაერთიანებაში სრული ინტეგრაციის ერთ-ერთ წინაპირობას დემოკრატია და კანონის უზენაესობა წარმოადგენს.

მართალია, დღესდღეობით ევროკავშირი მზარდი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, მაგრამ თავდაპირველად ევროგაერთიანება განიცდიდა თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში მომწესრიგებელი ნორმების არ არსებობას, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა. ეს უკმარისობა გაერთიანების პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდასთანერთად უფრო თვალშისაცემი ხდებოდა. ამიტომაც, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ევროპულმა საბჭომ მაასტრიხტის სამიტზე მიიღო გადაწყვეტილება მაასტრიხტის ხელშეკრულებაში (1992) შეეტანა ნორმა, რომელიც მეტ-ნაკლებად მოაწესრიგებდა ამ საკითხს. მაასტრიხტის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია: „კავშირი პატივს სცემს ძირითად უფლებებს იმდენად, რამდენადაც ისინი გარანტირებულნი არიან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის რომის ევროპულ კონვენციაში.“

ეკონომიკური კრიტერიუმი

ეკონომიკური კრიტერიუმი საკმაოდ მჭიდრო კავშირშია სამართლებრივ კრიტერიუმთან.ზოგადად, განმცხადებელი სახელმწიფოები ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკას უნდაფლობდენ, ხოლო იმისათვის, თუ კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები

უნდა გაატარონ ამ მიზნით და რა კონკრეტული საკითხების მოწესრიგებაა პრიორიტეტული, საჭიროა ძალზედ ინტენსიური თანამშრომლობა ევროგაერთიანების სათანადო ორგანოებთან და შესაბამის წარმომადგენლობებთან. ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზასთან ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანით, ავტომატურად დაინერგება ყველა ის ნორმა, რაც თავის მხრივ, ევროგაერთიანების ფარგლებში საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას უწყობს ხელს. საბაზრო ეკონომიკის პრინციპი ზოგადად გულისხმობს, პირველ რიგში საბაზრო პროცესებში სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ ჩარევას და მეორე მხრივ, მონოპოლიის აკრძალვისა და კონკურენციის შესახებ კანონების მკაცრ განსაზღვრას, რასაც, ასევე დიდი ადგილი ეთმობა ევროგაერთიანების სამართალში და დამფუძნებელ ხელშეკრულებაშიც საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი.

კონკურენციის თაობაზე არსებულ ნორმებს რომის ხელშეკრულების 81-ე და 89-ე მუხლები ეძღვნება და მიზნად ისახავს უზრუნველყოს თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული ევროპის ერთიანი ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება და ხუთ ძირითად პრინციპს ემყარება:

• წევრი სახელმწიფოების მიერ ნებისმიერი ფორმით გაღებული დახმარების ზედამხედველობა, როდესაც ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს კონკურენციას ერთი რომელიმე საწარმოს ან პროდუქციის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებით;

• დიდ საწარმოთა გაერთიანებების პრევენცია დაგეგმილი ალიანსების დაშვების ან აკრძალვის გზით;

• იმ სექტორების ლიბერალიზაცია, სადაც ესა თუ ის კერძო ან სახელმწიფო საწარმოები თანდათანობით იქცა მონოპოლიებად, მაგ. ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები;

• შეთანხმებული მოქმედებების, ასოციაციების აკრძალვა საწარმოთა შორის, თუ ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობას, ან შეზღუდოს კონკურენცია ევროპის საერთო ბაზარზე;

• საერთო ბაზარზე დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების აკრძალვა.

სამართლებრივი კრიტერიუმი

ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზა, რომელთანაც საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოთა მიერ აუცილებელია

იმისთვის, რათა დაკმაყოფილდეს კოპენჰაგენის სამიტის მიერ დადგენილი მესამე, ე.წ. სამართლებრივი კრიტერიუმი, წარმოადგენს მეტად ფართო ცნებას და მოიცავს ევროგაერთიანების ქმედების ყველა სფეროს ეკონომიკისათვის ახალი შესაძლებლობებისმიცემიდან დაწყებული, მომხმარებელთა და გარემოსდაცვითი საკითხების, პოლიტიკური უფლებებისა და სოციალური მზრუნველობის სფეროებით დამთავრებული. მასში იგულისხმება როგორც დამფუძნებელი და სხვა შემდგომ მიღებული ხელშეკრულებები, ასევე მათში ასახული მიზნები და პრინციპები (პირველადი კაანონმდებლობა), ხელშეკრულების საფუძველზე ევროგაერთიანების ორგანოების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები (მეორადი კანონმდებლობა). Acques communautaireñს გადმოღების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ, რომელიც მიისწრაფის ევროგაერთიანებაში ინტეგრაციისაკენ, გაითავისოს ევროგაერთიანების, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, და სავალუტო კავშირის მიზნები.

ევროგაერთიანების სამართლებრივი ნორმების სრულყოფილი გადმოღება და შიდა სამართალში დანერგვა, მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომლის მსვლელობაც ევროგაერთიანების მიერ შემუშავებულ და განმცხადებელ ქვეყანასთან შეთანხმებულ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რომელიც თავის მხრივ, ევროსამართალთან ჰარმონიზაციის ეტაპებს ცალკეულ სფეროთა პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განსაზღვრავს და მათი განხორციელების კონკრეტულ ვადებს ადგენს. Mმოლაპარაკებები ეფუძნება იმ ძირითად პრინციპს, რომ განმცხადებელმა ქვეყანამ ევროგაერთიანების ფარგლებში მოქმედი მთელი იურიდიული აქტებისა და ნორმების გადმოღება უნდა მოახდინოს. როგორც წესი, დაუშვებელია მოლაპარაკებების წარმოება Acques communautaire-ს მხოლოდ ნაწილის გადმოღებაზე. თუმცა

ამავე დროს დასაშვები და მისაღებია მთელი საკანონმდებლო ბაზის ეტაპობრივი ჰარმონიზაცია. აუცილებელია, რომ გაწევრიანებისას შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყველა ის ძირითადი სფერო და მიმართულება ევროგაერთიანების ფარგლებში არსებული კანონმდებლობისა, რომლებიც ცალკეულ სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიერ იქნება გათვალისწინებული. Acques communautaire-ს იმ ნაწილებთან დაკავშირებით, რომელთა სრულყოფილი გადმოღება განმცხადებელმა სახელმწიფომ გაწევრიანების პერიოდში ვერ შეძლო

და რომელთა მიმართაც ის გარდამავალი დებულებების ამოქმედებას ითხოვს, უნდა მიმდინარეობდეს ინტენსიური მოლაპარაკებები. ევროგაერთიანება კი საჭიროების

შემთხვევაში, როცა საუბარია ისეთი ტიპის საკითხებზე, რომელთა ევროსამართალთან ჰარმონიზებაგანსაკუთრებით ხანგრძლივ დროსა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს, ცალკეულ სახელმწიფოებთან მიმართებაში გარდამავალი დებულებების ამოქმედების შესაძლებლობას უშვებს.

კოპენჰაგენის მესამე ტიპის, სამართლებრივი კრიტერიუმის მოთხოვნათა დაკმაყოფილებასთან მიმართებაში, კანდიდატი სახელმწიფოს მიმართ არის მოლოდინი, რომ ის არა მარტო გადმოიღებს ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზას, არამედ გამოიყენებს და ყოველდღიურ ცხობრებაში რეალიზებადს გახდის ევროპულ სტანდარტებს და შესაბამის სამართლებრივ ნორმებს.

მადრიდის ევროპული საბჭო

1995 წლის დეკემბერში, მადრიდში შემდგარმა ევროპულმა საბჭომ, კიდევ ერთხელ დაადასტურა კოპენჰაგენის კრიტერიუმების მართებულობა და ამასთანავე ხაზი გაუსვა თანდათანობითი ინტეგრაციის პროცესისათვის განმცხადებელი ქვეყნების ადმინისტრაციული სტრუქტურების ადაპტირების აუცილებლობას. ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოღებაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ საკანონმდებლო ბაზის სათანადო ადმინისტრაციული და სამართლებრივი სტრუქტურების მეშვეობით დანერგვას. იმისათვის, რომ მოხდეს კანდიდატი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ პროგრესის სათანადოდ შეფასება, ევროკომისია რეგულარულად წარუდგენს მოხსენებებს ევროსაბჭოს. ამ მოხსენებებზე დაყრდნობით ევროსაბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას კანდიდატებთან მოლაპარაკებების დაწყების ან გაგრძელების თაობაზე.

ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანება) რამდენიმე მიზეზის გამოა განსაკუთრებული.

ა) ყველა ის ევროპული ქვეყანა, რომელიც 2004 წელს გაწევრიანდა, გამოვიდა კომუნისტური და ტოტალიტარული მმართველობიდან და გაიარა ტრანსფორმაციების რთული გზა.

ბ) ესაა შედარებით ღარიბი ქვენების ჯგუფი. მანამდე გაწევრიანებების დროს არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია ერთ სულზე შემოსავლის უფრო დაბალი მაჩვენებელი; ირლანდიის, საბერძნეთისა და პორტუგალიის შესაბამისი მაჩვენებელი გაწევრიანებისას საშუალო ევროპული

მაჩვენებლის 65%-ს შეადგენდა, ესპანეთისა _ 80%-ს, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვენებისა _ 56%.

გ)მიუხედავად იმისა, რომ კოპენჰაგენის სამიტზე აღინიშნა ყველა ქვეყნის წევრობის ინდივიდუალური დამსახურების მიხედვით განხილვის შესახებ, ეს ქვეყნები მაინც განიხილებოდა როგორც ჯგუფი.

1993 წელს, კოპენჰაგენის სამიტზე, ევროპის საბჭომ გამოაცხადა, რომ "ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ სურვილი გახდნენ ევროკავშირის წევრები, შესაძლოა გახდნენ კავშირის წევრები". გაფართოების ძირითადი ნაბიჯები დასახულ იქნა ევროპის საბჭოს შეხვედრებზე.

ქვეყნების მოცემული ჯგუფის ფინანსური დახმარება გაწევრიანებამდე დაიწყო. სხვა მნიშვნელოვანი სფერო მოლაპარაკებებისა ეხებოდა გაფართოებისათვის აუცილებელ ფინანსურ დახმარებას. 1999 წლის მარტში ბერლინში, ევროპის საბჭომ გამოყო 75 მილიარდი ევრო გაფართოების წინარე და გაფართოების პერიოდისათვის, რომელიც 2000-2006 წლების ფინანსურ პერსპექტივებს მოიცავდა. გაწევრიანების წინარე სტრატეგიისათვის წელიწადში 3.72 მილიარდი ევრო გამოიყო, რომელიც კონკრეტული საბიუჯეტო კომპენსაციებისა და გარდამავალი პერიოდის სარგებლისათვის უნდა დამატებოდა. 2002 წლის კოპენჰაგენის ევროპის საბჭომ მიიღო 40.9 მილიარდი ევროს დახმარების პორტფელი 10 კანდიდატი ქვეყნისათვის, რომელიც 2004-2006 წლების პერიოდს მოიცავდა. ხარჯების ვალდებულებები კანდიდატი ქვეყნების სასარგებლოდ შეადგენდა 37.5 მილიარდ ევროს, რომელიც პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკისათვის (9.8 მილიარდი ევრო) და შიდა პოლიტიკისათვის გამოიყო (4.2 მილიარდი ევრო).

ფინანსური გაფართოების პირდაპირი ხარჯი განსაზღვრული იყო ევროკავშირის შიგნით ბიუჯეტის ხარჯების ზედა ზღვრის ფარგლებში მთლიანი ეროვნული შემოსავლის 1.27 პროცენტით. **"The Phare" პროგრამა** (პოლონეთის, უნგრეთის დახმარება ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისათვის) თავდაპირველად 1989 წელს იქნა მიღებული და მისი მიზანი იყო პოლონეთისა და უნგრეთისათვის დახმარების აღმოჩენა, თუმცა, დროთა განმავლობაში ამ პროგრამაში სხვა კანდიდატი ქვეყნებიც ჩაერთნენ. 1993 წლის ევროპის საბჭოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების გზის მომზადების კვალდაკვალ, The Phare პროგრამას ორი პრიორიტეტი ჰქონდა. პირველი ეხებოდა ინსტიტუციების შექმნას: **ტვინინგის პროგრამა**

გულისხმობდა ევროკავშირის ექსპერტების მივლინებას ეროვნულ სამინისტროებში ერთი წლის განმავლობაში, მათი მუშაობის მიზანი იყო საჯარო ადმინისტრაციების გაძლიერება და ევროკავშირის კანონმდებლობის შემოღებისათვის მზადება. მეორე პრიორიტეტი იყო ეკონომიკური და სოციალური ერთობა, რომელიც უნდა მიღწეულიყო ყოვლისმომცველი ეროვნული განვითარების გეგმის მეშვეობით, რომელიც თითოეულ ქვეყანას თავად უნდა შეექმნა. კომისიის 2000 წლის დღის წესრიგის საფუძველზე, ბერლინის ევროპის საბჭომ 1999 წლის მარტში გადაწყვიტა გამოეყო გაწევრიანების წინა პერიოდის დახმარება და **ISPA (სტრუქტურული პოლიტიკის სტრუქტურა გაწევრიანების წინა პერიოდში)** შეექმნა. The Phare - თან შედარებით, მისი მიზანია ეკონომიკური და სოციალური ერთობის მიღწევა, მაგრამ ფოკუსი ექსკლუზიურად გარემოსდაცვასა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაზეა. **SAPARD** (გაწევრიანების სპეციალური პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის) ჩამოყალიბდა ISPA–ს კვალდაკვალ და გააძლიერა სტრუქტურული დაახლოება სოფლის მეურნეობის სექტორებსა და სოფლად.

ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ეფექტური და სტრუქტურული ფონდებია. 2007 წელს ევრიკავშირის წევრებისაგან ტრანსფერი ევროკავშირის 27 ქვეყნის მთლიანი საერთო პროდუქციის 0.8 პროცენტი იყო, რომლის 20% ახალი წევრი ქვეყნებისათვის იქნა გამოყოფილი. 2007-2013 ფინანსური წლებისათვის წილი 35%-მდე გაიზარდა, რაც ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქციის 7 პროცენტს შეადგენს. სტრუქტურული ფონდებიდან დახმარების ათვისების ყველაზე დიდი პროცენტი სლოვაკეთზე მოდიოდა (95%), შემდეგ უნგრეთსა და პოლონეთზე (94%) და ჩეხეთის რესპუბლიკაზე (91%). ახალი წევრი სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის გაიცა. აღნიშნული დახმარება ორიენტირებული იყო კონკურენტულუნარიანობისა და დაწევის პროცესის გაძლიერებისაკენ. ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარება მოდიოდა ინფრასტრუქტურის, გარემოს, სოფლის მეურნეობისა და დაახლოების პოლიტიკის სფეროში. 2004-2006 წლებში კოპენჰაგენის 2002 წლის დეკემბრის ევროპის საბჭომ გაიღო დახმარება 40.9 მილიარდი ევროს ოდენობით 10 გაწევრიანების კანდიდატ ქვეყნებზე.

ევროკავშირის გაფართოება გლობალიზაციის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. გაფართოებამ თან მოიტანა სამართლებრივი სიცხადე და ინსტიტუციონალური სტაბილურობა

და გააუქმა ევროკავშირის შიგნით არსებული სავაჭრო ბარიერები. შედეგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დიდი ოდენობით შედინებამ, ძირითადად ევროკავშირის ძველი წევრი სახელმწიფოებისაგან, მნიშვნელოვნად გაზარდა ტექნოლოგიური შემადგენელი და ახალი წევრი ქვეყნების ექსპორტის კალათის პროდუქციის ხარისხი. აღნიშნულმა შესაძლებლობა მისცა ახალ წევრ ქვეყნებს თითქმის გაეორმაგებინათ მათი გლობალური ექსპორტის ბაზრის წვლილი 1999 და 2007 წლებს შორის, მიუხედავად ერთი შეხედვით დიდი დანაკარგებისა ხარჯების კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით. რეალური მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ღიაობის კოეფიციენტები გვიჩვენებს პოზიტიურ დამოკიდებულებას.

საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის ინსტიტუციური ჩარჩოები

საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან გასული საუკუნის ადრეულ 90-იან წლებში დაიწყო. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან საქართველომ მტკიცედ აიღო განვითარების დასავლური კურსი. საგარეო პოლიტიკის ეს არჩევანი საქართველოს პოლიტიკური ელიტისათვის ახალი და მოულოდნელი არ ყოფილა. თუ საქართველოს ახალ და ძველ ისტორიას თვალს თუნდაც ზერელედ გადავავლებთ, ცხადი ხდება, რომ საქართველოსათვის დასავლური ფასეულობები და დასავლეთის ცივილიზაციებთან დაახლოების მცდელობა ყოველთვის ორგანული იყო. ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება საქართველოს მომავალი განვითარების ძირითადი მიზნებია.

1996 წელს საქართველომ ევროპასთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას (Partnership and Cooperation Agreement - PCA) მოაწერა ხელი, ხოლო 2006 წლიდან საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (Euroepan neighbouhood Policy ENP) ჩაერთო და სამოქმედო გეგმის (Euroepan neighbouhood Policy Action Plan – ENP AP) განხორციელებას შეუდგა, რომელიც 8 პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავდა. მოგვიანებით, 2009 წელს, საქართველო სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ევროპული განზომილების გაძლიერების მიზნით შვედეთისა და პოლონეთის ინიცირებით შექმნილი `აღმოსავლეთ პარტნიორობის~ ინიციატივაში (Eastern Partnership) ჩაერთო, რომელმაც ახალი მექანიზმებისა და ფორმატების საშუალებით მნიშვნელოვნად გააძლიერა საქართველოს პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირთან და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღმავების ახალი სტიმულები შექმნა.

2014 წლის 27 ივნისს საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას (Association Agreement - AA) მოეწერა ხელი. ამ მოვლენის წყალობით საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები თვისებრივად ახალ ფაზაში გადავიდა და საქართველოს პროდასავლური განვითარების ახალი ლეგიტიმური საფუძვლები შეიქმნა. ეს შეთანხმება მომავალი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავს.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება

P Partnership and Cooperation Agreement – PCA

1994 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დაიწყო მოლაპარაკებები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების თაობაზე (Partnership and Cooperation Agreement – PCA) მოლაპარაკებები 1996 წელს დასრულდა და 1997 წლიდან ძალაში შევიდა ამ შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები, რომელთა ძალით საქართველომ და ევროკავშირმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (მსო) თავსებადი სავაჭრო ურთიერთობები დაამყარეს, კერძოდ, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. სამწუხაროდ, შეთანხმებაში არ შევიდა დებულება თავისუფალი ვაჭრობის სივრცის თაობაზე კონსულტაციების წარმოების შესაძლებლობის შესახებ (თუმცა მოლდოვასთან და უკრაინასთან ასეთი დებულებები არსებობდა), რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ იმე პერიოდისათვის ევროკავშირი არ განიხილავდა საქართველოსთან ასოცირებული ურთიერთობების დამყარებას საშუალო და, შესაძლოა, გრძელვადიან მომავალშიც. სრულად პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ძალაში 1999 წელს შევიდა. PCA-ს დებულებები ავალდებულებდა ქვეყანას დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და განვითარებას, კარგი მმართველობის დამკვიდრებას, დარგობრივი პოლიტიკის დახვეწას. ამისთვის კი ევროკავშირი საქართველოს დახმარებას აღუთქვამდა პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა სექტორში.

PCA-ს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი 43-ე მუხლი იყო, რომლითაც საქართველო იღებდა „რბილ'' ვალდებულებას, რომ 13 სექტორში საქართველოს კანონმდებლობას დაუახლოვებდა ევროკავშირის კანონმდებლობას, მათ შორის ენერგოუსაფრთხოების, მეწარმეობის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ფინანსური მონიტორინგის, შრომის პირობების და სხვა სფეროებში. P PCA-მ უდიდესი როლი შეასრულა საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობების სტატუსის განსაზღვრაში და ამ ურთიერთობების უფრო მაღალ დონეზე აყვანაში.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა

2000-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირის მეხუთე გაფართოებამ ახალი გეოპოლიტიკური რეალობები შექმნა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ასევე სამხრეთი

ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები ბევრად უფრო ახლოს აღმოჩნდნენ გეოგრაფიულად ევროკავშირთან. შესაბამისად, გაიზარდა მათი ზეგავლენაც ევროკავშირის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. შეიძლება ითქვას, რომ სამეზობლო პოლიტიკის შემოღებით ევროკავშირმა უფრო ეფექტიანი ხედვები და ინსტრუმენტები წარმოადგინა. სამეზობლო პოლიტიკის განხორცილების ძირითადი მექანიზმები - როგორიცაა სამოქმედო გეგმა და პროგრესის შესახებ ანგარიში - პირდაპირ გადმოღებულია გაფართოების პროცესში დამკვიდრებული ინსტრუმენტებიდან, რითაც ევროკავშირის ფართო რეგიონული პოლიტიკა ტექნიკურად დაემსგავსა გაფართოების პროცესს. ამ პოლიტიკის მიზანი გახდა მეზობელი ქვეყნების ევროპეიზაცია, ტრანსფორმაცია ისეთი გზით, რომ მათი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო ევროკავშირთან თავსებადი გამხდარიყო.

საქართველოს მხრიდან ამ პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილი და ამბიცია თავიდანვე ძალზე მაღალი იყო. საქართველოს ინიციატივებმა და მცდელობებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის კონსოლიდაციასა და მობილიზებაში, რომლის შედეგადაც 2004 წელს საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, ასევე, შეიყვანეს სამეზობლო პოლიტიკაში.

2003-2008 წლებში ევროკავშირის პოლიტიკა ძირითადად სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდებოდა. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ერთიან ინსტრუმენტში - (European Neighbourhoos and Partnership Instrument-ENPI) გაერთიანდა ევროკავშირის თითქმის ყველა სახის დახმარების პროგრამა, რომლებიც ფარავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესა და სამხრეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონს. თუმცა მულტინაციონალური და გლობალური ხასიათის პროგრამები და პროექტები მის გარეთ დარჩა.

საქართველოს მიერ მიღებული სამეზობლო პოლიტიკის ხუთწლიანი (უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით7) სამოქმედო გეგმა რვა პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავდა და 2006-დან 2011 წლამდე მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებასა და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობდა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, მართლმსაჯულების, სტაბილურობის და კარგი მმართველობის დამკვიდრების, სიღარიბის დაძლევის, ეკონომიკური განვითარების, სოციალური პოლიტიკის დახვეწის, მიგრაციის, ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, კონფლიქტების მოგვარების, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის, კულტურის,

განათლებისა და მეცნიერების დარგებში. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა, PCA-სგან განსხვავებით, არ წამოადგენდა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს და, შესაბამისად, არც საერთაშორისო ვალდებულებებს შეიცავდა, მისი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის ძალზე კონკრეტული რეფორმების ნუსხისაგან შედგებოდა, რომელთა შესრულებასაც ევროკომისია ყოველწლიურად აფასებდა და, შესაბამისად, მისი განხორციელების ყოველწლიური სამთავრობო პროგრამაც ადაპტირებას განიცდიდა.

ამ მექანიზმმა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფინანსური დახმარების ინსტრუმენტის გამოყენებით და თვით ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) მოტივაციის შედეგად, მნიშვნელოვნად დააწინაურა საქართველოს ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო და დაუახლოვა ევროკავშირისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ PCA, როგორც ორი მხარის ურთიერთობის სამართლებრივი მექანიზმი, კვლავ ძალაში რჩებოდა, მისი დებულებები არაფერში ეწინააღმდეგებოდა სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ნაკისრ პოლიტიკურ ვალდებულებებს და ფორმალურად სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება ამ შეთანხმების განხორციელებადაც ითვლებოდა.

საქართველოს მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ხარისხით მოლდოვა და უკრაინა ბევრად დაწინაურებულები აღმოჩნდნენ. შესაბამისად, ევროკავშირმა უკრაინასთან და მოლდოვასთან რამდენიმე წლით ადრე დაიწყო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებები, მოლდოვასთან კი სავიზო დიალოგიც, რომლის საბოლოო შედეგი საქართველოზე სამი წლით ადრე მიღებული უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აღმოჩნდა.

სამეზობლო პოლიტიკის მიზნებში თავისთავად არ შედიოდა მონაწილე ქვეყნების ევროკავშირში გასაწევრიანებლად მომზადება, მაგრამ „დიფერენციაციის“, როგორც წამყვანი პრინციპის დამკვიდრება იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მთლიანობაში ევროკავშირის სამეზობლოში არსებულ ტენდენციებს არ შეეფერხებინა ცალკეული ქვეყნების ევროკავშირთან ფუნქციური ინტეგრაციის პროცესი.

აღმოსავლეთ პარტნიორობა - ორმხრივი და მრავალმხრივი მიმართულების გაძლიერება

აღმოსავლეთ პარტნიორობა 2009 წელს პრაღაში გამართული სამიტის გადაწყვეტილებების საფუძველზე ამოქმედდა. აღნიშნული სამიტი ჩატარდა შვედეთისა და პოლონეთის მთავრობების ინიციატივის შედეგად ევროკომისიის მიერ 2008 წელს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოსადმი წარდგენილი კომუნიკაციის საფუძველზე. შეთავაზებულმა ფორმატმა აღმოსავლეთ პარტნიორებს (ექვსი ქვეყანა) და ევროკავშირს შორის მრავალმხრივი პოლიტიკური დიალოგის ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი (სამიტები ორ წელიწადში ერთხელ, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა წელიწადში ერთხელ). ამ პროგრამამ პარტნიორ ქვეყნებს ასევე შესთავაზა ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობების ინსტიტუციური გაღრმავების პერსპექტივა ასოცირების შესახებ შეთანხმებების და სავიზო დიალოგის სახით, რომლის შედეგიც სულ ახლახანს საქართველოსა და უკრაინისთვის დაწესებული უვიზო მიმოსვლა გახდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი განზომილების ინსტრუმენტია თემატური პლატფორმა, რომელიც შექმნილია ოთხი ძირითადი მიმართულებით თანამშრომლობისთვის:

• დემოკრატია და სტაბილურობა, კარგი მმართველობა;

• ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან კონვერგენცია;

• ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა;

• მობილურობა და ადამიანებს შორის კონტაქტები.

აღნიშნული პროგრამის მრავალმხრივი განზომილების თანამშრომლობის ფორმებია, ასევე, თემატური პანელები და საფლაგმანო ინიციატივები. თემატური პლატფორმის ფარგლებში, როგორც წესი, მაღალი და საშუალო დონის თანამდებობის პირები ხვდებიან ერთმანეთს და განიხილავენ საკანონმდებლო დაახლოების, ინსტიტუციური განვითარების, ქვეყნებს შორის კავშირების გაღრმავების და ინფრასტრუქტურის განვითარებისა თუ ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტებს, ერთობლივ ინიციატივებს. პანელებზე თემატური პლატფორმის მიმართულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი თემების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება მიმდინარეობს. რაც შეეხება საფლაგმანო ინიციატივებს, მათი დანიშნულებაა თანამშრომლობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, მასშტაბური ხასიათის ერთობლივი ქმედებისთვის ძალისხმევის გაერთიანება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში შექმნილი თანამშრომლობის ინსტიტუტები:

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მოხდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამ- შრომლობის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით, 2009 წლის 17 ნოემბერს, ქ. ბრიუ- სელში სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (EaP Civil Society Forum - CSF) დაფუძნდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში ამჟამად ხუთი სამუშაო ჯგუფი მოქმედებს. მათგან 4 შინაარსობრივად აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის თემატური პლატფორმების ანალოგიურია, ხოლო მე-5 თემატური ჯგუფის (`სოციალური პარტნიორობა და სოლიდარობა˜) დაარსების შესახებ გადაწყვეტილება 2011 წლის 28-30 ნოემბერს პოლონეთში, ქ. პოზნანში, CSF-ის მესამე შეხვედრაზე მიიღეს.

CSF-ის მუშაობას 18 წევრისგან შემდგარი მმართველი კომიტეტი ხელ- მძღვანელობს. მისი წევრები არიან თითოეული სამუშაო ჯგუფის კოორდი- ნატორები, პარტნიორი ქვეყნებიდან ეროვნული კოორდინატორები (National Facilitators), ასევე, ევროკავშირისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანი- ზაციების წარმომადგენლები. მმართველი კომიტეტის სამდივნო ქ. ბრიუსელში ჩამოყალიბდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სხდომები ყოველწლიურად იმართება. ფორუმის სხდომებზე ხდება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. CSF-ის მუშაობის წარმართვის მიზნით, თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული პლატფორმები. ამ დროისათვის საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში 126 ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული.

დაარსებიდან ექვს წელიწადში, პლატფორმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრიდან გარდაიქმნა ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკის ფორუმად, რომელიც ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსიას, საქართველოს, მოლდავეთ- სა და უკრაინას) თავიანთი იდეებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მეშვეობით აერთიანებს და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროინტეგრაციის პროცესის გავრცელებას ისახავს მიზნად.

`ევრონესტი~

`აღმოსავლეთ პარტნიორობის~ ფარგლებში მოქმედებს `ევრონესტი~ (Euronest) _ თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც 2011 წლის 2-3 მაისს ბრიუსელში ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა. 2013 წლის 13-15 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა `ევრონესტის~ საპარლამენტო ასამ- ბლეის პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის კომიტეტის სხდომა.

ასამბლეა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის 6 ქვეყნის (საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდავეთის) 10-10 პარლამენტარსა და ევროპარლამენტის 60 დეპუტატს აერთიანებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობაც, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც მისი წინამორბედი ფორმატები, რეგიონული მიდგომის გამოვლინებაა. მიუხედავად ამისა, მას მძლავრი ორმხრივი განზომილებაც გააჩნია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ გარკვეული ჩარჩოების გათვალისწინებით პარტნიორმა ქვეყანამ საკუთარი ინდივიდუალური მისწრაფებების რეალიზება მოახდინოს. აღმოსავლეთ პარტნიორობამ, რომლის პარალელურად სამხრეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისთვის „ხმელთაშუა ზღვის კავშირი“19 შეიქმნა, ორ მნიშვნელოვან განვითარებას შეუწყო ხელი: პირველი, ის, რომ პრაქტიკულად შეუთავსებადი ორი დიდი რეგიონის მიმართ საკუთარი ამოცანები და მიდგომები განაცალკევა, რაც განსხვავებული ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის გამოყენებისთვის მეტი ლავირების საშუალებას იძლევა. აღმოსავლეთ ევროპის შედარებით მცირე რაოდენობის ქვეყნები ერთ კალათაში მოთავსდნენ მათი ისტორიული, რეგიონული, განვითარების ასე თუ ისე თანაბარი დონის, ტრანსფორმაციის შესაძლებლობებისა და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით.

მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ამ ფორმატის შემოღებამ იტვირთა - განსხვავებული ამბიციისა და პროგრესის მქონე ქვეყნებისთვის დიფერენცირებული მიდგომებისთვის შესაბამისი სივრცის გამოყოფაა. ამ სივრცეში ქვეყნებს შეეძლებათ, რეგიონის სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად, ევროკავშირთან ინდივიდუალური დღის წესრიგით იმუშაონ და ორმხრივი ურთიერთობები განავითარონ იმ მასშტაბითა და ხარისხით, რომელსაც ეს პოლიტიკა საზღვრავს. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ

პარტნიორობას შეზღუდვები გააჩნია. მისი საბოლოო მიზანია რეგიონის (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების) ეკონომიკური ინტეგრაცია და მათი პოლიტიკური ასოცირება, რაც საკმაოდ ფართო ცნებებია და ალბათ უკეთ განმარტებას საჭიროებს. ეკონომიკური ინტეგრაცია ამ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირსა და პარტნიორ სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის დამყარებას გულისხმობს. ეს სივრცე ამავე დროს ღრმა და ყოვლისმომცველია, რაც ყველა სახის (ყველა სახის საქონლითა და მომსახურებით) ვაჭრობისთვის სატარიფო და არასატარიფო ბარირების მოხსნას ემსახურება. მისი ამუშავების შედეგად პარტნიორი ქვეყანა მიიღებს ევროკავშირის შიდა ბაზარზე პრივილეგირებულ/თავისუფალ წვდომას. რაც შეეხება პოლიტიკურ ასოცირებას, აქ მრავალი რამ იგულისხმება, მაგრამ პირველ რიგში პარტნიორი ქვეყნისთვის ევროკავშირთან ფასეულობრივი განსხვავებების აღმოფხვრა, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ჩართვა, ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებზე წვდომა და მათი წევრობაც.

აღმოსავლეთ პარტნიორობამ, ასევე, გააძლიერა სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყნებში რეფორმების განხორციელებაზე ზეგავლენისა და მათი მხარდაჭერის საქმეში. კერძოდ, ამ პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, ევროკავშირისა და მისი აღმოსვლეთი პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (CSO) მონაწილეობით, რომლის დაარსებაც აღმოსავლეთ პარტნიორობის დამფუძნებელი სამიტის (2009 წლის 7 მაისი) პრაღის დეკლარაციიის საფუძველზე მოხდა. ფორუმი პრაქტიკულად აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოებრივ განზომილებად ჩამოყალიბდა, რომელსაც მიეცა საშუალება, რეკომენდაციები და მოთხოვნები პირდაპირ მინისტრების შეხვედრასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მონაწილეებს წარუდგინოს, მიიღოს მონაწილეობა თემატური პლატფორმებისა და პანელების შეხვედრებში. მომდევნო ეტაპზე, როცა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, სამოქალაქო საზოგადოების ორმხრივი პლატფორმების დაარსება (მუხლი 412) და მათი ხელშეწყობა მხარეების ინსტიტუციურ ვალდებულებად იქცა.

მიუხედავად აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში არსებული მძლავრი ორმხრივი ურთიერთობების ფორმატისა, აღნიშნული პროგრამა რეგიონული მიდგომის გამომხატველი პოლიტიკაა. ამ პოლიტიკის მოქმედების სიღრმე და მასშტაბი შეზღუდულია. შესაბამისად, მისი გამოყენებით ყველა ამბიციის დაკმაყოფილება, რომელიც რეგიონში ევროპული ინტეგრაციის

მისწრაფების მქონე ქვეყნებს (ამ ეტაპზე - საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას) გააჩნიათ შეუძლებელია, რადგანაც ამის პირობებს არ ქმნის ამავე ფრომატში ევროპეიზაციის კუთხით შედარებით ნაკლებად წარმატებული ქვეყნების (ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი) არსებობა. ამ კონტექსტში აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობა არ იძლევა იმაზე მეტის საშუალებას, რასაც დღეს ის ემსახურება, ხოლო ორმხრივი ურთიერთობების ფორმატი შემოფარგლულია, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკური ასოცირების მიზნებით.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიკვეთა აშკარა განსხვავებები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროპული მისწრაფებების, ამბიციის, ფასეულობებისა და პროგრესის, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი მიმართულებით. მაგალითად, თუ ბელარუსი თავიდანვე ნაკლებად უწევდა ანგარიშს ევროკავშირის მოთხოვნებს პოლიტიკური რეფორმების კუთხით, რის გამოც მასთან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატი პრაქტიკულად გაიყინა, აზერბაიჯანთან უფრო მოგვიანებით შეიცვალა დღის წესრიგი ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში არსებული გამოწვევების გამო. გარდა ამისა, ორმხრივი ეკონომიკური დაახლოებაც პრობლემური გახდა, რადგანაც აზერბაიჯანს არ სურს მსოფლი სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. შესაბამისად, გამოირიცხა მასთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმება.

სომხეთმა 2014 წელს უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე, რომელზეც ორწლიანი მოლაპარაკებები პრაქტიკულად საქართველოსთან ერთდროულად დაასრულა. სომხეთის მიერ ევრაზიის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებამ ასევე გამორიცხა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნა, როგორც შესაძლებლობა, და, შესაბამისად, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, რადგან ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები ამ შეთანხმების ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით სომხეთმა და აზერბაიჯანმაც დაიწყეს ევროკავშირთან ახალი შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები, აშკარაა, რომ დღეს არსებული რეალობებიდან გამომდინარე ევროკავშირის ახალი ინსტიტუციური ურთიერთობები მათთან ვერ გასცდება მჭიდრო პარტნიორობის ფარგლებს და ვერ გახსნის სივრცეს ევროკავშირთან მათი სრული ფუნქციური ინტეგრირებისთვის. მათგან განსხვავებით 2013 წელს უკრაინამ,

მისმა სამოქალაქო საზოგადოებამ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით არჩია, რომ სამოქალაქო პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის მიემართა, როდესაც მთავრობამ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე უარი განაცხადა, და მრავალი მათი მომხრის სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა მყარი ევროპული მისწრაფება და ორიენტაცია. მოლდოვაში ამჟამად მიმდინარე პროცესები საკმაოდ ზევრ კითხვის ნიშანს აჩენს ამ ქვეყნის მოსახლეობის არჩევანთან დაკავშირებით, მაგრამ მისი გეოგრაფიული სიახლოვე ევროკავშირთან და განსაკუთრებული ნათესაური კავშირი რუმინეთთან მაინც ქმნის საკმარის წინაპირობას იმისა, რომ ამ ქვეყნის მომავალი ევროკავშირის სტრუქტურებში მოვიაზროთ. საქართველომ თავისთავად ზევრი მსხვერპლი გაიღო თავისი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების და ორიენტაციის შესანარჩუნებლად და დღესაც მყარად დგას ამ კურსზე.

ევროკავშირის გაფართოების სტრატეგია და პოლიტიკა

გაფართოების სტრატეგიის ელემენტებია:

· ყველა ევროპულ ქვეყანას შეუძლია გამოთქვას გაწევრიანების სურვილი;

· კოპენჰაგენის კრიტერიუმები:

• სტაბილური ინსტიტუტები, დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და უმცირესობების პატივისცემა;

• ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა;

• ეკონომიკის უნარი გაუძლოს ევროკავშირის ფარგლებში წარმოქმნილ კონკურენციულ ზეწოლას და საბაზრო ძალების ზემოქმედებას;

• ქვენის უნარი იკისროს ევროკავშირის წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები, მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ამოცანების გატარების ვალდებულებები;

· 1995 წ. მადრიდის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, ევროკავშირის სამართლებრივი ბაზის გადმოტანისა და ეფექტური განხორციელების შესაძლებლობა.

1990-ანი წლებში ევროკავშირმა და მისმა წევრმა სახელმწიფოებმა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ათ ქვეყანასთან ìასოცირების შეთანხმებებიî გააფორმეს. ეს შეთანხმებები წარმოადგენდნენ იურიდიულ საფუძველს ორმხრივი ურთიერთობისათვის ევროკავშირსა და ამ

ათ ქვეყანას შორის. მსგავსი შეთანხმებები ევროკავშირს უკვე გაფორმებული ჰქონდა თურქეთთან (1963), მალტასთან (1970) და კვიპროსთან (1972).

1993 წლის კოპენჰაგენის ევროპულ საბჭოზე, ევროკავშირმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა მის ისტორიაში უდიდესი გაფართოებისაკენ, მიიღო რა გადაწყვეტილება დაეკმაყოფილებინა წევრობის კანდიდატი ქვეყნების მოთხოვნები, მას შემდეგ რაც კანდიდატები, თავის მხრივ გაწევრიანებისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებდნენ, რომელთაც შემდგომში ìკოპენჰაგენის კრიტერიუმებიî ეწოდათ.

კოპენჰაგენის ევროპული საბჭო

1993 წლის ივნისში, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ევროპული საბჭოს მიერ კოპენჰაგენის სამიტზე შემუშავებული კრიტერიუმები განისაზღვრა, როგორც სავალდებულოდ შესასრულებელი წინაპირობები იმ პოტენციური წევრი ევროპული ქვეყნებისათვის, რომელნიც მიისწრაფვიან ევროკავშირში გაერთიანებისაკენ. ეს კრიტერიუმები, პირობითად შესაძლოა სამ კატეგორიად დაიყოს:

1. პოლიტიკური კრიტერიუმი: სტაბილური ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებათა და განსაკუთრებით უმცირესობათა უფლებების დაცვას.

2. ეკონომიკური კრიტერიუმი: გაწევრიანების მსურველი ქვეყნები უნდა ფლობდენ ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკას და უნდა შესწევდეთ უნარი, იყვნენ კონკურენტუნარიანნი ევროგაერთიანების შიდა ბაზარზე.

3. სამართლებრივი კრიტერიუმი: იგი გაწევრიანების მსურველი ევროპული ქვეყნების მიერ, ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზის, იგივე ìAcques Communautaireî-ს, შიდა სამართალში გადმოღებას გულისხმობს. ამ კრიტერიუმის თანახმად პოტენციური წევრი ქვეყნები მოვალენი ხდებიან, შესაბამისად გაითავისონ და შეასრულონ ევროგაერთიანების მიერ ნაკისრი ვალდებულებები.

კოპენჰაგენის კრიტერიუმებიî წარმოადგენს მხოლოდ ზოგად პრინციპებს ან ნორმებს, შემუშავებულს ზოგადად ინტეგრაციის პროცესისათვის. პრაქტიკაში კი თითოეულ

განმცხადებელ ქვეყანასთან, მისი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, მუშავდება შესაბამისი ქვეყნის ინტეგრაციისათვის აუცილებელ წინაპირობათა ერთობლიობა,

რომელიც დეტალურად განისაზღვრება სათანადო გეგმაში და ასახვას ჰპოვებს კონკრეტულქვეყანასთან გაფორმებულ ,,ევროპულ შეთანხმებაშიî. თუმცა, ცალკეული ქვეყნებისათვის განსაზღვრული კონკრეტულ წინაპირობათა ერთობლიობა, დგინდება ზემოთხსენებული კოპენჰაგენის კრიტერიუმების შესაბამისად და მის ფარგლებში.

პოლიტიკური კრიტერიუმი

პოლიტიკური კრიტერიუმი თავად შედგება გარკვეულ წინაპირობათა ერთობლიობისაგან, კერძოდ: დემოკრატიული წესრიგისა და სამართლებრივი სახელმწიფოს განმტკიცებისაგან, ისევე როგორც, ადამიანის უფლებათა და განსაკუთრებით უმცირესობათა უფლებების დაცვის უზრუნველყოფისაგან. როდესაც 50-იან წლებში, რომისა და პარიზის ხელშეკრულებები იდებოდა (რამაც სამი ევროპული ორგანიზაციის და შემდგომში ევროგაერთიანების შექმნას დაუდო საფუძველი), თავიდანვე დაგეგმილი იყო, ძირითადად, ეკონომიკური პროფილის ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რომელთაც შესაბამისად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური საკითხების ეფექტური გადაჭრისათვის უნდა შეეწყო ხელი, მაგრამ ეკონომიკურ ორგანიზაციად ჩაფიქრებულმა ევროგაერთიანებამ, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თანდათან პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა.

თანამედროვე ევროპაში დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა და კანონისუზენაესობის დაცვა-აღიარება, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ მახასიათებელს წარმოადგენს, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საერთო ევროპული ფასეულობებისადმი კონკრეტული ქვეყნის მისწრაფებების ერთგულებას. სწორედ ამიტომ, ბუნებრივია, რომ ევროგაერთიანებაში სრული ინტეგრაციის ერთ-ერთ წინაპირობას დემოკრატია და კანონის უზენაესობა წარმოადგენს.

მართალია, დღესდღეობით ევროკავშირი მზარდი პოლიტიკურ-ეკონომიკური გაერთიანებაა, მაგრამ თავდაპირველად ევროგაერთიანება განიცდიდა თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან სფეროებში მომწესრიგებელი ნორმების არ არსებობას, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვა. ეს უკმარისობა გაერთიანების პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდასთანერთად უფრო თვალშისაცემი ხდებოდა. ამიტომაც, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა ევროპულმა საბჭომ მაასტრიხტის სამიტზე მიიღო გადაწყვეტილება მაასტრიხტის

ხელშეკრულებაში (1992) შეეტანა ნორმა, რომელიც მეტ-ნაკლებად მოაწესრიგებდა ამ საკითხს. მაასტრიხტის ხელშეკრულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტში ნათქვამია: „კავშირი პატივს სცემს ძირითად უფლებებს იმდენად, რამდენადაც ისინი გარანტირებულნი არიან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის 4 ნოემბრის რომის ევროპულ კონვენციაში.“

ეკონომიკური კრიტერიუმი

ეკონომიკური კრიტერიუმი საკმაოდ მჭიდრო კავშირშია სამართლებრივ კრიტერიუმთან.ზოგადად, განმცხადებელი სახელმწიფოები ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკას უნდაფლობდენ, ხოლო იმისათვის, თუ კონკრეტულად რა სახის ღონისძიებები უნდა გაატარონ ამ მიზნით და რა კონკრეტული საკითხების მოწესრიგებაა პრიორიტეტული, საჭიროა ძალზედ ინტენსიური თანამშრომლობა ევროგაერთიანების სათანადო ორგანოებთან და შესაბამის წარმომადგენლობებთან. ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზასთან ჩვენი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანით, ავტომატურად დაინერგება ყველა ის ნორმა, რაც თავის მხრივ, ევროგაერთიანების ფარგლებში საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას უწყობს ხელს. საბაზრო ეკონომიკის პრინციპი ზოგადად გულისხმობს, პირველ რიგში საბაზრო პროცესებში სახელმწიფოს მხრიდან მინიმალურ ჩარევას და მეორე მხრივ, მონოპოლიის აკრძალვისა და კონკურენციის შესახებ კანონების მკაცრ განსაზღვრას, რასაც, ასევე დიდი ადგილი ეთმობა ევროგაერთიანების სამართალში და დამფუძნებელ ხელშეკრულებაშიც საკმაოდ ვრცლად არის წარმოდგენილი.

კონკურენციის თაობაზე არსებულ ნორმებს რომის ხელშეკრულების 81-ე და 89-ე მუხლები ეძღვნება და მიზნად ისახავს უზრუნველყოს თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული ევროპის ერთიანი ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება და ხუთ ძირითად პრინციპს ემყარება:

· წევრი სახელმწიფოების მიერ ნებისმიერი ფორმით გაღებული დახმარების ზედამხედველობა, როდესაც ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს კონკურენციას ერთი რომელიმე საწარმოს ან პროდუქციის უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენებით;

· დიდ საწარმოთა გაერთიანებების პრევენცია დაგეგმილი ალიანსების დაშვების ან აკრძალვის გზით;

• იმ სექტორების ლიბერალიზაცია, სადაც ესა თუ ის კერძო ან სახელმწიფო საწარმოები თანდათანობით იქცა მონოპოლიებად, მაგ. ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები;

• შეთანხმებული მოქმედებების, ასოციაციების აკრძალვა საწარმოთა შორის, თუ ამან შესაძლოა ხელი შეუშალოს წევრ სახელმწიფოებს შორის ვაჭრობას, ან შეზღუდოს კონკურენცია ევროპის საერთო ბაზარზე;

• საერთო ბაზარზე დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენების აკრძალვა.

სამართლებრივი კრიტერიუმი

ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზა, რომელთანაც საკუთარი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა გაწევრიანების მსურველი სახელმწიფოთა მიერ აუცილებელია იმისთვის, რათა დაკმაყოფილდეს კოპენჰაგენის სამიტის მიერ დადგენილი მესამე, ე.წ. სამართლებრივი კრიტერიუმი, წარმოადგენს მეტად ფართო ცნებას და მოიცავს ევროგაერთიანების ქმედების ყველა სფეროს ეკონომიკისათვის ახალი შესაძლებლობებისმიცემიდან დაწყებული, მომხმარებელთა და გარემოსდაცვითი საკითხების, პოლიტიკური უფლებებისა და სოციალური მზრუნველობის სფეროებით დამთავრებული. მასში იგულისხმება როგორც დამფუძნებელი და სხვა შემდგომ მიღებული ხელშეკრულებები, ასევე მათში ასახული მიზნები და პრინციპები (პირველადი კაანონმდებლობა), ხელშეკრულების საფუძველზე ევროგაერთიანების ორგანოების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები (მეორადი კანონმდებლობა). Acques communautaireñს გადმოღების არსი მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ, რომელიც მიისწრაფის ევროგაერთიანებაში ინტეგრაციისაკენ, გაითავისოს ევროგაერთიანების, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, და სავალუტო კავშირის მიზნები.

ევროგაერთიანების სამართლებრივი ნორმების სრულყოფილი გადმოღება და შიდა სამართალში დანერგვა, მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომლის მსვლელობაც ევროგაერთიანების მიერ შემუშავებულ და განმცხადებელ ქვეყანასთან შეთანხმებულ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რომელიც თავის მხრივ, ევროსამართალთან ჰარმონიზაციის ეტაპებს ცალკეულ სფეროთა პრიორიტეტულობის გათვალისწინებით განსაზღვრავს და მათი განხორციელების კონკრეტულ ვადებს ადგენს. Mმოლაპარაკებები ეფუძნება იმ ძირითად პრინციპს, რომ განმცხადებელმა ქვეყანამ ევროგაერთიანების ფარგლებში მოქმედი მთელი

იურიდიული აქტებისა და ნორმების გადმოღება უნდა მოახდინოს. როგორც წესი, დაუშვებელია მოლაპარაკებების წარმოება Acques communautaire-ს მხოლოდ ნაწილის გადმოღებაზე. თუმცა

ამავე დროს დასაშვები და მისაღებია მთელი საკანონმდებლო ბაზის ეტაპობრივი ჰარმონიზაცია. აუცილებელია, რომ გაწევრიანებისას შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი ყველა ის ძირითადი სფერო და მიმართულება ევროგაერთიანების ფარგლებში არსებული კანონმდებლობისა, რომლებიც ცალკეულ სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიერ იქნება გათვალისწინებული. Acques communautaire-ს იმ ნაწილებთან დაკავშირებით, რომელთა სრულყოფილი გადმოღება განმცხადებელმა სახელმწიფომ გაწევრიანების პერიოდში ვერ შეძლო

და რომელთა მიმართაც ის გარდამავალი დებულებების ამოქმედებას ითხოვს, უნდა მიმდინარეობდეს ინტენსიური მოლაპარაკებები. ევროგაერთიანება კი საჭიროების შემთხვევაში, როცა საუბარია ისეთი ტიპის საკითხებზე, რომელთა ევროსამართალთან ჰარმონიზებაგანსაკუთრებით ხანგრძლივ დროსა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს, ცალკეულ სახელმწიფოებთან მიმართებაში გარდამავალი დებულებების ამოქმედების შესაძლებლობას უშვებს.

კოპენჰაგენის მესამე ტიპის, სამართლებრივი კრიტერიუმის მოთხოვნათა დაკმაყოფილებასთან მიმართებაში, კანდიდატი სახელმწიფოს მიმართ არის მოლოდინი, რომ ის არა მარტო გადმოიღებს ევროგაერთიანების საკანონმდებლო ბაზას, არამედ გამოიყენებს და ყოველდღიურ ცხოვრებაში რეალიზებადს გახდის ევროპულ სტანდარტებს და შესაბამის სამართლებრივ ნორმებს.

მადრიდის ევროპული საბჭო

1995 წლის დეკემბერში, მადრიდში შემდგარმა ევროპულმა საბჭომ, კიდევ ერთხელ დაადასტურა კოპენჰაგენის კრიტერიუმების მართებულობა და ამასთანავე ხაზი გაუსვა თანდათანობითი ინტეგრაციის პროცესისათვის განმცხადებელი ქვეყნების ადმინისტრაციული სტრუქტურების ადაპტირების აუცილებლობას. ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზის ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოღებაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ საკანონმდებლო ბაზის სათანადო ადმინისტრაციული და სამართლებრივი სტრუქტურების მეშვეობით დანერგვას. იმისათვის, რომ მოხდეს კანდიდატი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ პროგრესის სათანადოდ შეფასება, ევროკომისია რეგულარულად წარუდგენს

მოხსენებებს ევროსაბჭოს. ამ მოხსენებებზე დაყრდნობით ევროსაბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას კანდიდატებთან მოლაპარაკებების დაწყების ან გაგრძელების თაობაზე.

ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანება) რამდენიმე მიზეზის გამოა განსაკუთრებული.

ა) ყველა ის ევროპული ქვეყანა, რომელიც 2004 წელს გაწევრიანდა, გამოვიდა კომუნისტური და ტოტალიტარული მმართველობიდან და გაიარა ტრანსფორმაციების რთული გზა.

ბ) ესაა შედარებით ღარიბი ქვენების ჯგუფი. მანამდე გაწევრიანებების დროს არც ერთ ქვეყანას არ ჰქონია ერთ სულზე შემოსავლის უფრო დაბალი მაჩვენებელი; ირლანდიის, საბერძნეთისა და პორტუგალიის შესაბამისი მაჩვენებელი გაწევრიანებისას საშუალო ევროპული მაჩვენებლის 65%-ს შეადგენდა, ესპანეთისა _ 80%-ს, ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ქვენებისა _ 56%.

გ)მიუხედავად იმისა, რომ კოპენჰაგენის სამიტზე აღინიშნა ყველა ქვეყნის წევრობის ინდივიდუალური დამსახურების მიხედვით განხილვის შესახებ, ეს ქვეყნები მაინც განიხილებოდა როგორც ჯგუფი.

1993 წელს, კოპენჰაგენის სამიტზე, ევროპის საბჭომ გამოაცხადა, რომ “ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ სურვილი გახდნენ ევროკავშირის წევრები, შესაძლოა გახდნენ კავშირის წევრები”. გაფართოების ძირითადი ნაბიჯები დასახულ იქნა ევროპის საბჭოს შეხვედრებზე.

ქვეყნების მოცემული ჯგუფის ფინანსური დახმარება გაწევრიანებამდე დაიწყო. სხვა მნიშვნელოვანი სფერო მოლაპარაკებებისა ეხებოდა გაფართოებისათვის აუცილებელ ფინანსურ დახმარებას. 1999 წლის მარტში ბერლინში, ევროპის საბჭომ გამოყო 75 მილიარდი ევრო გაფართოების წინარე და გაფართოების პერიოდისათვის, რომელიც 2000-2006 წლების ფინანსურ პერსპექტივებს მოიცავდა. გაწევრიანების წინარე სტრატეგიისათვის წელიწადში 3.72 მილიარდი ევრო გამოიყო, რომელიც კონკრეტული საბიუჯეტო კომპენსაციებისა და გარდამავალი პერიოდის სარგებლისათვის უნდა დამატებოდა. 2002 წლის კოპენჰაგენის ევროპის საბჭომ მიიღო 40.9 მილიარდი ევროს დახმარების პორტფელი 10 კანდიდატი ქვეყნისათვის, რომელიც 2004-2006 წლების პერიოდს მოიცავდა. ხარჯების ვალდებულებები კანდიდატი ქვეყნების

სასარგებლოდ შეადგენდა 37.5 მილიარდ ევროს, რომელიც პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის საერთო პოლიტიკისათვის (9.8 მილიარდი ევრო) და შიდა პოლიტიკისათვის გამოიყო (4.2 მილიარდი ევრო).

ფინანსური გაფართოების პირდაპირი ხარჯი განსაზღვრული იყო ევროკავშირის შიგნით ბიუჯეტის ხარჯების ზედა ზღვრის ფარგლებში მთლიანი ეროვნული შემოსავლის 1.27 პროცენტით. **“The Phare” პროგრამა** (პოლონეთის, უნგრეთის დახმარება ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისათვის) თავდაპირველად 1989 წელს იქნა მიღებული და მისი მიზანი იყო პოლონეთისა და უნგრეთისათვის დახმარების აღმოჩენა, თუმცა, დროთა განმავლობაში ამ პროგრამაში სხვა კანდიდატი ქვეყნებიც ჩაერთნენ. 1993 წლის ევროპის საბჭოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების გზის მომზადების კვალდაკვალ, The Phare პროგრამას ორი პრიორიტეტი ჰქონდა. პირველი ეხებოდა ინსტიტუციების შექმნას: **ტვინინგის პროგრამა** გულისხმობდა ევროკავშირის ექსპერტების მივლინებას ეროვნულ სამინისტროებში ერთი წლის განმავლობაში, მათი მუშაობის მიზანი იყო საჯარო ადმინისტრაციების გაძლიერება და ევროკავშირის კანონმდებლობის შემოღებისათვის მზადება. მეორე პრიორიტეტი იყო ეკონომიკური და სოციალური ერთობა, რომელიც უნდა მიღწეულიყო ყოვლისმომცველი ეროვნული განვითარების გეგმის მეშვეობით, რომელიც თითოეულ ქვეყანას თავად უნდა შეექმნა. კომისიის 2000 წლის დღის წესრიგის საფუძველზე, ბერლინის ევროპის საბჭომ 1999 წლის მარტში გადაწყვიტა გამოეყო გაწევრიანების წინა პერიოდის დახმარება და **ISPA (სტრუქტურული პოლიტიკის სტრუქტურა გაწევრიანების წინა პერიოდში)** შეექმნა. The Phare - თან შედარებით, მისი მიზანია ეკონომიკური და სოციალური ერთობის მიღწევა, მაგრამ ფოკუსი ექსკლუზიურად გარემოსდაცვასა და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაზეა. **SAPARD** (გაწევრიანების სპეციალური პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის) ჩამოყალიბდა ISPA–ს კვალდაკვალ და გააძლიერა სტრუქტურული დაახლოება სოფლის მეურნეობის სექტორებსა და სოფლად.

ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნებისათვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ეფექტური და სტრუქტურული ფონდებია. 2007 წელს ევრიკავშირის წევრებისაგან ტრანსფერი ევროკავშირის 27 ქვეყნის მთლიანი საერთო პროდუქციის 0.8 პროცენტი იყო, რომლის 20% ახალი წევრი ქვეყნებისათვის იქნა გამოყოფილი. 2007-2013 ფინანსური წლებისათვის წილი 35%-მდე გაიზარდა, რაც ევროკავშირის 27 წევრი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქციის 7 პროცენტს

შეადგენს. სტრუქტურული ფონდებიდან დახმარების ათვისების ყველაზე დიდი პროცენტი სლოვაკეთზე მოდიოდა (95%), შემდეგ უნგრეთსა და პოლონეთზე (94%) და ჩეხეთის რესპუბლიკაზე (91%). ახალი წევრი სახელმწიფოებისათვის მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარება ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის გაიცა. აღნიშნული დახმარება ორიენტირებული იყო კონკურენტულუნარიანობისა და დაწევის პროცესის გაძლიერებისაკენ. ყველაზე მნიშვნელოვანი დახმარება მოდიოდა ინფრასტრუქტურის, გარემოს, სოფლის მეურნეობისა და დაახლოების პოლიტიკის სფეროში. 2004-2006 წლებში კოპენჰაგენის 2002 წლის დეკემბრის ევროპის საბჭომ გაიღო დახმარება 40.9 მილიარდი ევროს ოდენობით 10 გაწევრიანების კანდიდატ ქვეყნებზე.

ევროკავშირის გაფართოება გლობალიზაციის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. გაფართოებამ თან მოიტანა სამართლებრივი სიცხადე და ინსტიტუციონალური სტაბილურობა და გააუქმა ევროკავშირის შიგნით არსებული სავაჭრო ბარიერები. შედეგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დიდი ოდენობით შედინებამ, ძირითადად ევროკავშირის ძველი წევრი სახელმწიფოებისაგან, მნიშვნელოვნად გაზარდა ტექნოლოგიური შემადგენელი და ახალი წევრი ქვეყნების ექსპორტის კალათის პროდუქციის ხარისხი. აღნიშნულმა შესაძლებლობა მისცა ახალ წევრ ქვეყნებს თითქმის გაეორმაგებინათ მათი გლობალური ექსპორტის ბაზრის წვლილი 1999 და 2007 წლებს შორის, მიუხედავად ერთი შეხედვით დიდი დანაკარგებისა ხარჯების კონკურენტუნარიანობასთან დაკავშირებით. რეალური მთლიანი შიდა პროდუქციის ზრდა და ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის ღიაობის კოეფიციენტები გვიჩვენებს პოზიტიურ დამოკიდებულებას.

საქართველო-ევროკავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის ინსტიტუციური ჩარჩოები

საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან გასული საუკუნის ადრეულ 90-იან წლებში დაიწყო. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან საქართველომ მტკიცედ აიღო განვითარების დასავლური კურსი. საგარეო პოლიტიკის ეს არჩევანი საქართველოს პოლიტიკური ელიტისათვის ახალი და მოულოდნელი არ ყოფილა. თუ საქართველოს ახალ და ძველ ისტორიას თვალს თუნდაც ზერელედ გადავავლებთ, ცხადი ხდება, რომ საქართველოსათვის დასავლური ფასეულობები და დასავლეთის ცივილიზაციებთან დაახლოების მცდელობა ყოველთვის ორგანული იყო. ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება საქართველოს მომავალი განვითარების ძირითადი მიზნებია.

1996 წელს საქართველომ ევროპასთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას (Partnership and Cooperation Agreement - PCA) მოაწერა ხელი, ხოლო 2006 წლიდან საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (Euroepan neighbouhood Policy ENP) ჩაერთო და სამოქმედო გეგმის (Euroepan neighbouhood Policy Action Plan – ENP AP) განხორციელებას შეუდგა, რომელიც 8 პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავდა. მოგვიანებით, 2009 წელს, საქართველო სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ევროპული განზომილების გაძლიერების მიზნით შვედეთისა და პოლონეთის ინიცირებით შექმნილი `აღმოსავლეთ პარტნიორობის~ ინიციატივაში (Eastern Partnership) ჩაერთო, რომელმაც ახალი მექანიზმებისა და ფორმატების საშუალებით მნიშვნელოვნად გააძლიერა საქართველოს პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირთან და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღმავების ახალი სტიმულები შექმნა.

2014 წლის 27 ივნისს საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას (Association Agreement - AA) მოეწერა ხელი. ამ მოვლენის წყალობით საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები თვისებრივად ახალ ფაზაში გადავიდა და საქართველოს პროდასავლური განვითარების ახალი ლეგიტიმური საფუძვლები შეიქმნა. ეს შეთანხმება მომავალი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავს.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება

P Partnership and Cooperation Agreement – PCA

1994 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დაიწყო მოლაპარაკებები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების თაობაზე (Partnership and Cooperation Agreement – PCA) მოლაპარაკებები 1996 წელს დასრულდა და 1997 წლიდან ძალაში შევიდა ამ შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები, რომელთა ძალით საქართველომ და ევროკავშირმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (მსო) თავსებადი სავაჭრო ურთიერთობები დაამყარეს, კერძოდ, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. სამწუხაროდ, შეთანხმებაში არ შევიდა დებულება თავისუფალი ვაჭრობის სივრცის თაობაზე კონსულტაციების წარმოების შესაძლებლობის შესახებ (თუმცა მოლდოვასთან და უკრაინასთან ასეთი დებულებები არსებობდა), რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ იმე პერიოდისათვის ევროკავშირი არ განიხილავდა საქართველოსთან ასოცირებული ურთიერთობების დამყარებას საშუალო და, შესაძლოა, გრძელვადიან მომავალშიც. სრულად პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ძალაში 1999 წელს შევიდა. PCA-ს დებულებები ავალდებულებდა ქვეყანას დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და განვითარებას, კარგი მმართველობის დამკვიდრებას, დარგობრივი პოლიტიკის დახვეწას. ამისთვის კი ევროკავშირი საქართველოს დახმარებას აღუთქვამდა პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა სექტორში.

PCA-ს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი 43-ე მუხლი იყო, რომლითაც საქართველო იღებდა „რბილ'' ვალდებულებას, რომ 13 სექტორში საქართველოს კანონმდებლობას დაუახლოვებდა ევროკავშირის კანონმდებლობას, მათ შორის ენერგოუსაფრთხოების, მეწარმეობის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ფინანსური მონიტორინგის, შრომის პირობების და სხვა სფეროებში. P PCA-მ უდიდესი როლი შეასრულა საქართველო-ევროკავშირს შორის ურთიერთობების სტატუსის განსაზღვრაში და ამ ურთიერთობების უფრო მაღალ დონეზე აყვანაში.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა

2000-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირის მეხუთე გაფართოებამ ახალი გეოპოლიტიკური რეალობები შექმნა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ასევე სამხრეთი

ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები ბევრად უფრო ახლოს აღმოჩნდნენ გეოგრაფიულად ევროკავშირთან. შესაბამისად, გაიზარდა მათი ზეგავლენაც ევროკავშირის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. შეიძლება ითქვას, რომ სამეზობლო პოლიტიკის შემოღებით ევროკავშირმა უფრო ეფექტიანი ხედვები და ინსტრუმენტები წარმოადგინა. სამეზობლო პოლიტიკის განხორცილების ძირითადი მექანიზმები - როგორიცაა სამოქმედო გეგმა და პროგრესის შესახებ ანგარიში - პირდაპირ გადმოღებულია გაფართოების პროცესში დამკვიდრებული ინსტრუმენტებიდან, რითაც ევროკავშირის ფართო რეგიონული პოლიტიკა ტექნიკურად დაემსგავსა გაფართოების პროცესს. ამ პოლიტიკის მიზანი გახდა მეზობელი ქვეყნების ევროპეიზაცია, ტრანსფორმაცია ისეთი გზით, რომ მათი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო ევროკავშირთან თავსებადი გამხდარიყო.

საქართველოს მხრიდან ამ პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილი და ამბიცია თავიდანვე ძალზე მაღალი იყო. საქართველოს ინიციატივებმა და მცდელობებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის კონსოლიდაციასა და მობილიზებაში, რომლის შედეგადაც 2004 წელს საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, ასევე, შეიყვანეს სამეზობლო პოლიტიკაში.

2003-2008 წლებში ევროკავშირის პოლიტიკა ძირითადად სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდებოდა. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ერთიან ინსტრუმენტში - (European Neighbourhoos and Partnership Instrument-ENPI) გაერთიანდა ევროკავშირის თითქმის ყველა სახის დახმარების პროგრამა, რომლებიც ფარავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესა და სამხრეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონს. თუმცა მულტინაციონალური და გლობალური ხასიათის პროგრამები და პროექტები მის გარეთ დარჩა.

საქართველოს მიერ მიღებული სამეზობლო პოლიტიკის ხუთწლიანი (უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით7) სამოქმედო გეგმა რვა პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავდა და 2006-დან 2011 წლამდე მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებასა და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობდა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, მართლმსაჯულების, სტაბილურობის და კარგი მმართველობის დამკვიდრების, სიღარიბის დაძლევის, ეკონომიკური განვითარების, სოციალური პოლიტიკის დახვეწის, მიგრაციის, ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, კონფლიქტების მოგვარების, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის, კულტურის,

განათლებისა და მეცნიერების დარგებში. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა, PCA-სგან განსხვავებით, არ წამოადგენდა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს და, შესაბამისად, არც საერთაშორისო ვალდებულებებს შეიცავდა, მისი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის ძალზე კონკრეტული რეფორმების ნუსხისაგან შედგებოდა, რომელთა შესრულებასაც ევროკომისია ყოველწლიურად აფასებდა და, შესაბამისად, მისი განხორციელების ყოველწლიური სამთავრობო პროგრამაც ადაპტირებას განიცდიდა.

ამ მექანიზმმა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფინანსური დახმარების ინსტრუმენტის გამოყენებით და თვით ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) მოტივაციის შედეგად, მნიშვნელოვნად დააწინაურა საქართველოს ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო და დაუახლოვა ევროკავშირისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ PCA, როგორც ორი მხარის ურთიერთობის სამართლებრივი მექანიზმი, კვლავ ძალაში რჩებოდა, მისი დებულებები არაფერში ეწინააღმდეგებოდა სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ნაკისრ პოლიტიკურ ვალდებულებებს და ფორმალურად სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება ამ შეთანხმების განხორციელებადაც ითვლებოდა.

საქართველოს მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ხარისხით მოლდოვა და უკრაინა ბევრად დაწინაურებულები აღმოჩნდნენ. შესაბამისად, ევროკავშირმა უკრაინასთან და მოლდოვასთან რამდენიმე წლით ადრე დაიწყო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებები, მოლდოვასთან კი სავიზო დიალოგიც, რომლის საბოლოო შედეგი საქართველოზე სამი წლით ადრე მიღებული უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აღმოჩნდა.

სამეზობლო პოლიტიკის მიზნებში თავისთავად არ შედიოდა მონაწილე ქვეყნების ევროკავშირში გასაწევრიანებლად მომზადება, მაგრამ „დიფერენციაციის", როგორც წამყვანი პრინციპის დამკვიდრება იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მთლიანობაში ევროკავშირის სამეზობლოში არსებულ ტენდენციებს არ შეეფერხებინა ცალკეული ქვეყნების ევროკავშირთან ფუნქციური ინტეგრაციის პროცესი.

აღმოსავლეთ პარტნიორობა - ორმხრივი და მრავალმხრივი მიმართულების გაძლიერება

აღმოსავლეთ პარტნიორობა 2009 წელს პრაღაში გამართული სამიტის გადაწყვეტილებების საფუძველზე ამოქმედდა. აღნიშნული სამიტი ჩატარდა შვედეთისა და პოლონეთის მთავრობების ინიციატივის შედეგად ევროკომისიის მიერ 2008 წელს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოსადმი წარდგენილი კომუნიკაციის საფუძველზე. შეთავაზებულმა ფორმატმა აღმოსავლეთ პარტნიორებს (ექვსი ქვეყანა) და ევროკავშირს შორის მრავალმხრივი პოლიტიკური დიალოგის ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი (სამიტები ორ წელიწადში ერთხელ, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა წელიწადში ერთხელ). ამ პროგრამამ პარტნიორ ქვეყნებს ასევე შესთავაზა ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობების ინსტიტუციური გაღრმავების პერსპექტივა ასოცირების შესახებ შეთანხმებების და სავიზო დიალოგის სახით, რომლის შედეგიც სულ ახლახანს საქართველოსა და უკრაინისთვის დაწესებული უვიზო მიმოსვლა გახდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი განზომილების ინსტრუმენტია თემატური პლატფორმა, რომელიც შექმნილია ოთხი ძირითადი მიმართულებით თანამშრომლობისთვის:

- დემოკრატია და სტაბილურობა, კარგი მმართველობა;
- ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან კონვერგენცია;
- ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა;
- მობილურობა და ადამიანებს შორის კონტაქტები.

აღნიშნული პროგრამის მრავალმხრივი განზომილების თანამშრომლობის ფორმებია, ასევე, თემატური პანელები და საფლაგმანო ინიციატივები. თემატური პლატფორმის ფარგლებში, როგორც წესი, მაღალი და საშუალო დონის თანამდებობის პირები ხვდებიან ერთმანეთს და განიხილავენ საკანონმდებლო დაახლოების, ინსტიტუციური განვითარების, ქვეყნებს შორის კავშირების გაღრმავების და ინფრასტრუქტურის განვითარებისა თუ ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტებს, ერთობლივ ინიციატივებს. პანელებზე თემატური პლატფორმის მიმართულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი თემების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება მიმდინარეობს. რაც შეეხება საფლაგმანო ინიციატივებს, მათი დანიშნულებაა თანამშრომლობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, მასშტაბური ხასიათის ერთობლივი ქმედებისთვის ძალისხმევის გაერთიანება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში შექმნილი თანამშრომლობის ინსტიტუტები:

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მოხდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამ- შრომლობის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით, 2009 წლის 17 ნოემბერს, ქ. ბრიუ- სელში სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (EaP Civil Society Forum - CSF) დაფუძნდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში ამჟამად ხუთი სამუშაო ჯგუფი მოქმედებს. მათგან 4 შინაარსობრივად აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობის თემატური პლატფორმების ანალოგიურია, ხოლო მე-5 თემატური ჯგუფის (`სოციალური პარტნიორობა და სოლიდარობა~) დაარსების შესახებ გადაწყვეტილება 2011 წლის 28-30 ნოემბერს პოლონეთში, ქ. პოზნანში, CSF-ის მესამე შეხვედრაზე მიიღეს.

CSF-ის მუშაობას 18 წევრისგან შემდგარი მმართველი კომიტეტი ხელ- მძღვანელობს. მისი წევრები არიან თითოეული სამუშაო ჯგუფის კოორდი- ნატორები, პარტნიორი ქვეყნებიდან ეროვნული კოორდინატორები (National Facilitators), ასევე, ევროკავშირისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანი- ზაციების წარმომადგენლები. მმართველი კომიტეტის სამდივნო ქ. ბრიუსელში ჩამოყალიბდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სხდომები ყოველწლიურად იმართება. ფორუმის სხდომებზე ხდება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. CSF-ის მუშაობის წარმართვის მიზნით, თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული პლატფორმები. ამ დროისათვის საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში 126 ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული.

დაარსებიდან ექვს წელიწადში, პლატფორმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრიდან გარდაიქმნა ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკის ფორუმად, რომელიც ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსიას, საქართველოს, მოლდავეთ- სა და უკრაინას) თავიანთი იდეებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მეშვეობით აერთიანებს და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროინტეგრაციის პროცესის გავრცელებას ისახავს მიზნად.

`ევრონესტი~

`აღმოსავლეთ პარტნიორობის~ ფარგლებში მოქმედებს `ევრონესტი~ (Euronest) _ თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც 2011 წლის 2-3 მაისს ბრიუსელში ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა. 2013 წლის 13-15 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა `ევრონესტის~ საპარლამენტო ასამ- ბლეის პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის კომიტეტის სხდომა.

ასამბლეა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის 6 ქვეყნის (საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდავეთის) 10-10 პარლამენტარსა და ევროპარლამენტის 60 დეპუტატს აერთიანებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობაც, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც მისი წინამორბედი ფორმატები, რეგიონული მიდგომის გამოვლინებაა. მიუხედავად ამისა, მას მძლავრი ორმხრივი განზომილებაც გააჩნია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ გარკვეული ჩარჩოების გათვალისწინებით პარტნიორმა ქვეყანამ საკუთარი ინდივიდუალური მისწრაფებების რეალიზება მოახდინოს. აღმოსავლეთ პარტნიორობამ, რომლის პარალელურად სამხრეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისთვის „ხმელთაშუა ზღვის კავშირი“19 შეიქმნა, ორ მნიშვნელოვან განვითარებას შეუწყო ხელი: პირველი, ის, რომ პრაქტიკულად შეუთავსებადი ორი დიდი რეგიონის მიმართ საკუთარი ამოცანები და მიდგომები განაცალკევა, რაც განსხვავებული ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის გამოყენებისთვის მეტი ლავირების საშუალებას იძლევა. აღმოსავლეთ ევროპის შედარებით მცირე რაოდენობის ქვეყნები ერთ კალათაში მოთავსდნენ მათი ისტორიული, რეგიონული, განვითარების ასე თუ ისე თანაბარი დონის, ტრანსფორმაციის შესაძლებლობებისა და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით.

მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ამ ფორმატის შემოღებამ იტვირთა - განსხვავებული ამბიციისა და პროგრესის მქონე ქვეყნებისთვის დიფერენცირებული მიდგომებისთვის შესაბამისი სივრცის გამოყოფაა. ამ სივრცეში ქვეყნებს შეეძლებათ, რეგიონის სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად, ევროკავშირთან ინდივიდუალური დღის წესრიგით იმუშაონ და ორმხრივი ურთიერთობები განავითარონ იმ მასშტაბითა და ხარისხით, რომელსაც ეს პოლიტიკა საზღვრავს. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ

პარტნიორობას შეზღუდვები გააჩნია. მისი საბოლოო მიზანია რეგიონის (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების) ეკონომიკური ინტეგრაცია და მათი პოლიტიკური ასოცირება, რაც საკმაოდ ფართო ცნებებია და ალბათ უკეთ განმარტებას საჭიროებს. ეკონომიკური ინტეგრაცია ამ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირსა და პარტნიორ სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის დამყარებას გულისხმობს. ეს სივრცე ამავე დროს ღრმა და ყოვლისმომცველია, რაც ყველა სახის (ყველა სახის საქონლითა და მომსახურებით) ვაჭრობისთვის სატარიფო და არასატარიფო ბარირების მოხსნას ემსახურება. მისი ამუშავების შედეგად პარტნიორი ქვეყანა მიიღებს ევროკავშირის შიდა ბაზარზე პრივილეგირებულ/თავისუფალ წვდომას. რაც შეეხება პოლიტიკურ ასოცირებას, აქ მრავალი რამ იგულისხმება, მაგრამ პირველ რიგში პარტნიორი ქვეყნისთვის ევროკავშირთან ფასეულობრივი განსხვავებების აღმოფხვრა, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ჩართვა, ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებზე წვდომა და მათი წევრობაც.

აღმოსავლეთ პარტნიორობამ, ასევე, გააძლიერა სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყნებში რეფორმების განხორციელებაზე ზეგავლენისა და მათი მხარდაჭერის საქმეში. კერძოდ, ამ პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, ევროკავშირისა და მისი აღმოსვლეთი პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (CSO) მონაწილეობით, რომლის დაარსებაც აღმოსავლეთ პარტნიორობის დამფუძნებელი სამიტის (2009 წლის 7 მაისი) პრაღის დეკლარაციიის საფუძველზე მოხდა. ფორუმი პრაქტიკულად აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოებრივ განზომილებად ჩამოყალიბდა, რომელსაც მიეცა საშუალება, რეკომენდაციები და მოთხოვნები პირდაპირ მინისტრების შეხვედრასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მონაწილეებს წარუდგინოს, მიიღოს მონაწილეობა თემატური პლატფორმებისა და პანელების შეხვედრებში. მომდევნო ეტაპზე, როცა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, სამოქალაქო საზოგადოების ორმხრივი პლატფორმების დაარსება (მუხლი 412) და მათი ხელშეწყობა მხარეების ინსტიტუციურ ვალდებულებად იქცა.

მიუხედავად აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში არსებული მძლავრი ორმხრივი ურთიერთობების ფორმატისა, აღნიშნული პროგრამა რეგიონული მიდგომის გამომხატველი პოლიტიკაა. ამ პოლიტიკის მოქმედების სიღრმე და მასშტაბი შეზღუდულია. შესაბამისად, მისი გამოყენებით ყველა ამბიციის დაკმაყოფილება, რომელიც რეგიონში ევროპული ინტეგრაციის

მისწრაფების მქონე ქვეყნებს (ამ ეტაპზე - საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას) გააჩნიათ შეუძლებელია, რადგანაც ამის პირობებს არ ქმნის ამავე ფრომატში ევროპეიზაციის კუთხით შედარებით ნაკლებად წარმატებული ქვეყნების (ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი) არსებობა. ამ კონტექსტში აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობა არ იძლევა იმაზე მეტის საშუალებას, რასაც დღეს ის ემსახურება, ხოლო ორმხრივი ურთიერთობების ფორმატი შემოფარგლულია, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკური ასოცირების მიზნებით.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიკვეთა აშკარა განსხვავებები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროპული მისწრაფებების, ამბიციის, ფასეულობებისა და პროგრესის, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი მიმართულებით. მაგალითად, თუ ბელარუსი თავიდანვე ნაკლებად უწევდა ანგარიშს ევროკავშირის მოთხოვნებს პოლიტიკური რეფორმების კუთხით, რის გამოც მასთან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატი პრაქტიკულად გაიყინა, აზერბაიჯანთან უფრო მოგვიანებით შეიცვალა დღის წესრიგი ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში არსებული გამოწვევების გამო. გარდა ამისა, ორმხრივი ეკონომიკური დაახლოებაც პრობლემური გახდა, რადგანაც აზერბაიჯანს არ სურს მსოფლი სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. შესაბამისად, გამოირიცხა მასთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმება.

სომხეთმა 2014 წელს უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე, რომელზეც ორწლიანი მოლაპარაკებები პრაქტიკულად საქართველოსთან ერთდროულად დაასრულა. სომხეთის მიერ ევრაზიის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებამ ასევე გამორიცხა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნა, როგორც შესაძლებლობა, და, შესაბამისად, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, რადგან ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები ამ შეთანხმების ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით სომხეთმა და აზერბაიჯანმაც დაიწყეს ევროკავშირთან ახალი შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები, აშკარაა, რომ დღეს არსებული რეალობებიდან გამომდინარე ევროკავშირის ახალი ინსტიტუციური ურთიერთობები მათთან ვერ გასცდება მჭიდრო პარტნიორობის ფარგლებს და ვერ გახსნის სივრცეს ევროკავშირთან მათი სრული ფუნქციური ინტეგრირებისთვის. მათგან განსხვავებით 2013 წელს უკრაინამ,

მისმა სამოქალაქო საზოგადოებამ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით არჩია, რომ სამოქალაქო პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის მიემართა, როდესაც მთავრობამ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე უარი განაცხადა, და მრავალი მათი მომხრის სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა მყარი ევროპული მისწრაფება და ორიენტაცია. მოლდოვაში ამჟამად მიმდინარე პროცესები საკმაოდ ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს ამ ქვეყნის მოსახლეობის არჩევანთან დაკავშირებით, მაგრამ მისი გეოგრაფიული სიახლოვე ევროკავშირთან და განსაკუთრებული ნათესაური კავშირი რუმინეთთან მაინც ქმნის საკმარის წინაპირობას იმისა, რომ ამ ქვეყნის მომავალი ევროკავშირის სტრუქტურებში მოვიაზროთ. საქართველომ თავისთავად ბევრი მსხვერპლი გაიღო თავისი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების და ორიენტაციის შესანარჩუნებლად და დღესაც მყარად დგას ამ კურსზე.

შეეძლებათ, რეგიონის სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად, ევროკავშირთან ინდივიდუალური დღის წესრიგით იმუშაონ და ორმხრივი ურთიერთობები განავითარონ იმ მასშტაბითა და ხარისხით, რომელსაც ეს პოლიტიკა საზღვრავს. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ პარტნიორობას შეზღუდვები გააჩნია. მისი საბოლოო მიზანია რეგიონის (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების) ეკონომიკური ინტეგრაცია და მათი პოლიტიკური ასოცირება, რაც საკმაოდ ფართო ცნებებია და ალბათ უკეთ განმარტებას საჭიროებს. ეკონომიკური ინტეგრაცია ამ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირსა და პარტნიორ სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის დამყარებას გულისხმობს. ეს სივრცე ამავე დროს ღრმა და ყოვლისმომცველია, რაც ყველა სახის (ყველა სახის საქონლითა და მომსახურებით) ვაჭრობისთვის სატარიფო და არასატარიფო ბარირების მოხსნას ემსახურება. მისი ამუშავების შედეგად პარტნიორი ქვეყანა მიიღებს ევროკავშირის შიდა ბაზარზე პრივილეგირებულ/თავისუფალ წვდომას. რაც შეეხება პოლიტიკურ ასოცირებას, აქ მრავალი რამ იგულისხმება, მაგრამ პირველ რიგში პარტნიორი ქვეყნისთვის ევროკავშირთან ფასეულობრივი განსხვავებების აღმოფხვრა, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების

[19] L'Union de la Medditerranee

პოლიტიკაში ჩართვა, ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებზე წვდომა და მათი წევრობაც.

აღმოსავლეთ პარტნიორობამ ასევე გააძლიერა სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყნებში რეფორმების განხორციელებაზე ზეგავლენისა და მათი მხარდაჭერის საქმეში. კერძოდ, ამ პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, ევროკავშირისა და მისი აღმოსვლეთი პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (CSO) მონაწილეობით, რომლის დაარსებაც აღმოსავლეთ პარტნიორობის დამფუძნებელი სამიტის (2009 წლის 7 მაისი) პრაღის დეკლარაციიის საფუძველზე მოხდა.[20] ფორუმი პრაქტიკულად აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოებრივ განზომილებად ჩამოყალიბდა, რომელსაც მიეცა საშუალება, რეკომენდაციები და მოთხოვნები პირდაპირ მინისტრების შეხვედრასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მონაწილეებს წარუდგინოს, მიიღოს მონაწილეობა თემატური პლატფორმებისა და პანელების შეხვედრებში. მომდევნო ეტაპზე, როცა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, სამოქალაქო საზოგადოების ორმხრივი პლატფორმების დაარსება (მუხლი 412) და მათი ხელშეწყობა მხარეების ინსტიტუციურ ვალდებულებად იქცა.

მიუხედავად აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში არსებული მძლავრი ორმხრივი ურთიერთობების ფორმატისა, აღნიშნული პროგრამა რეგიონული მიდგომის გამომხატველი პოლიტიკაა. ამ პოლიტიკის მოქმედების სიღრმე და მასშტაბი შეზღუდულია. შესაბამისად, მისი გამოყენებით ყველა ამბიციის დაკმაყოფილება, რომელიც რეგიონში ევროპული ინტეგრაციის მისწრაფების მქონე ქვეყნებს (ამ ეტაპზე - საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას) გააჩნიათ შეუძლებელია, რადგანაც ამის პირობებს არ ქმნის ამავე ფრომატში ევროპეიზაციის კუთხით შედარებით ნაკლებად წარმატებული ქვეყნების (ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი) არსებობა. ამ კონტექსტში აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობა არ იძლევა იმაზე მეტის საშუალებას, რასაც დღეს ის ემსახურება, ხოლო ორმხრივი ურთიერთობების ფორმატი შემოფარგლულია, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკური ასოცირების მიზნებით.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიკვეთა აშკარა განსხვავებები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროპული მისწრაფებების, ამბიციის, ფასეულობებისა და პროგრესის, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი მიმართულებით. მაგალითად, თუ ბელარუსი თავიდანვე ნაკლებად უწევდა ანგარიშს ევროკავშირის მოთხოვნებს პოლიტიკური რეფორმების კუთხით, რის გამოც მასთან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატი პრაქტიკულად გაიყინა, აზერბაიჯანთან უფრო მოგვიანებით შეიცვალა დღის წესრიგი ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში არსებული გამოწვევების გამო[21]. გარდა ამისა, ორმხრივი ეკონომიკური დაახლოებაც პრობლემური გახდა, რადგანაც აზერბაიჯანს არ სურს მსოფლიო

[20] იხ. 'Joint Declaration of the Prague Eastern Partnership Summit' 8435/09 (Presse 78), Brussels, 7 May 2009, გვ.: 10, http://www.consilium.europa.eu/uedocs/cms_data/docs/pressdata/en/er/107589.pdf

[21] იხ.'Persecution of human rights defenders in Azerbaijan—European Parliament resolution of 18 September 2014 on the persecution of human rights defenders in Azerbaijan' (2014/2832(RSP)—2016/C 234/01), http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:52014IP0022&from=EN

სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. შესაბამისად, გამოირიცხა მასთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმება.

სომხეთმა 2014 წელს უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე, რომელზეც ორწლიანი მოლაპარაკებები პრაქტიკულად საქართველოსთან ერთდროულად დაასრულა. სომხეთის მიერ ევრაზიის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებამ ასევე გამორიცხა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნა, როგორც შესაძლებლობა, და, შესაბამისად, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, რადგან ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები ამ შეთანხმების ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით სომხეთმა და აზერბაიჯანმაც დაიწყეს ევროკავშირთან ახალი შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები, აშკარაა, რომ დღეს არსებული რეალობებიდან გამომდინარე ევროკავშირის ახალი ინსტიტუციური ურთიერთობები მათთან ვერ გასცდება მჭიდრო პარტნიორობის ფარგლებს და ვერ გახსნის სივრცეს ევროკავშირთან მათი სრული ფუნქციური ინტეგრირებისთვის. მათგან განსხვავებით 2013 წელს უკრაინამ, მისმა სამოქალაქო საზოგადოებამ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით არჩია, რომ სამოქალაქო პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის მიემართა, როდესაც მთავრობამ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე უარი განაცხადა, და მრავალი მათი მომხრის სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა მყარი ევროპული მისწრაფება და ორიენტაცია. მოლდოვაში ამჟამად მიმდინარე პროცესები საკმაოდ ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს ამ ქვეყნის მოსახლეობის არჩევანთან დაკავშირებით, მაგრამ მისი გეოგრაფიული სიახლოვე ევროკავშირთან და განსაკუთრებული ნათესაური კავშირი რუმინეთთან მაინც ქმნის საკმარის წინაპირობას იმისა, რომ ამ ქვეყნის მომავალი ევროკავშირის სტრუქტურებში მოვიაზროთ. საქართველომ თავისთავად ბევრი მსხვერპლი გაიღო თავისი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების და ორიენტაციის შესანარჩუნებლად და დღესაც მყარად დგას ამ კურსზე.

თემა 12

საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში: ასოცირების ხელშეკრულება და მისი ეკონომიკური პერსპექტივები

საქართველოს თანამშრომლობა ევროკავშირთან გასული საუკუნის ადრეულ 90-იან წლებში დაიწყო. დამოუკიდებლობის მოპოვების პირველივე დღეებიდან საქართველომ მტკიცედ აიღო განვითარების დასავლური კურსი. საგარეო პოლიტიკის ეს არჩევანი საქართველოს პოლიტიკური ელიტისათვის ახალი და მოულოდნელი არ ყოფილა. თუ საქართველოს ახალ და ძველ ისტორიას თვალს თუნდაც ზერელედ გადავავლებთ, ცხადი ხდება, რომ საქართველოსათვის დასავლური ფასეულობები და დასავლეთის ცივილიზაციებთან დაახლოების მცდელობა ყოველთვის ორგანული იყო. ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება საქართველოს მომავალი განვითარების ძირითადი მიზნებია.

1996 წელს საქართველომ ევროპასთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას (Partnership and Cooperation Agreement - PCA) მოაწერა ხელი, ხოლო 2006 წლიდან საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (Euroepan neighbouhood Policy ENP) ჩაერთო და სამოქმედო გეგმის (Euroepan neighbouhood Policy Action Plan – ENP AP) განხორციელებას შეუდგა, რომელიც 8 პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავდა. მოგვიანებით, 2009 წელს, საქართველო სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ ევროპული განზომილების გაძლიერების მიზნით შვედეთისა და პოლონეთის ინიცირებით შექმნილი „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივაში (Eastern Partnership) ჩაერთო, რომელმაც ახალი მექანიზმებისა და ფორმატების საშუალებით მნიშვნელოვნად გააძლიერა საქართველოს პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირთან და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღმავების ახალი სტიმულები შექმნა.

2014 წლის 27 ივნისს საქართველოს უახლეს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებას (Association Agreement - AA) მოეწერა ხელი. ამ მოვლენის წყალობით საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები თვისებრივად ახალ ფაზაში გადავიდა და საქართველოს პროდასავლური განვითარების ახალი ლეგიტიმური საფუძვლები შეიქმნა. ეს შეთანხმება მომავალი რამდენიმე ათწლეულის

მანძილზე საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავს.

პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება

Partnership and Cooperation Agreement – PCA

1994 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დაიწყო მოლაპარაკებები პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების თაობაზე (Partnership and Cooperation Agreement – PCA) მოლაპარაკებები 1996 წელს დასრულდა და 1997 წლიდან ძალაში შევიდა ამ შეთანხმების ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები, რომელთა ძალით საქართველომ და ევროკავშირმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (მსო) თავსებადი სავაჭრო ურთიერთობები დაამყარეს, კერძოდ, უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი. სამწუხაროდ, შეთანხმებაში არ შევიდა დებულება თავისუფალი ვაჭრობის სივრცის თაობაზე კონსულტაციების წარმოების შესაძლებლობის შესახებ (თუმცა მოლდოვასთან და უკრაინასთან ასეთი დებულებები არსებობდა), რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ იმე პერიოდისათვის ევროკავშირი არ განიხილავდა საქართველოსთან ასოცირებული ურთიერთობების დამყარებას საშუალო და, შესაძლოა, გრძელვადიან მომავალშიც. სრულად პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება ძალაში 1999 წელს შევიდა. PCA-ს დებულებები ავალდებულებდა ქვეყანას დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნასა და განვითარებას, კარგი მმართველობის დამკვიდრებას, დარგობრივი პოლიტიკის დახვეწას. ამისთვის კი ევროკავშირი საქართველოს დახმარებას აღუთქვამდა პრაქტიკულად ეკონომიკის ყველა სექტორში.

PCA-ს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი 43-ე მუხლი იყო, რომლითაც საქართველო იღებდა „რბილ" ვალდებულებას, რომ 13 სექტორში საქართველოს კანონმდებლობას დაუახლოვებდა ევროკავშირის კანონმდებლობას, მათ შორის ენერგოუსაფრთხოების, მეწარმეობის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის, ფინანსური მონიტორინგის, შრომის პირობების და სხვა სფეროებში. PCA-მ უდიდესი როლი შეასრულა საქართველო- ევროკავშირს შორის ურთიერთობების სტატუსის განსაზღვრაში და ამ ურთიერთობების უფრო მაღალ დონეზე აყვანაში.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა

2000-იანი წლების დასაწყისში ევროკავშირის მეხუთე გაფართოებამ ახალი გეოპოლიტიკური რეალობები შექმნა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, ასევე სამხრეთი

ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები ბევრად უფრო ახლოს აღმოჩნდნენ გეოგრაფიულად ევროკავშირთან. შესაბამისად, გაიზარდა მათი ზეგავლენაც ევროკავშირის სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. შეიძლება ითქვას, რომ სამეზობლო პოლიტიკის შემოღებით ევროკავშირმა უფრო ეფექტიანი ხედვები და ინსტრუმენტები წარმოადგინა. სამეზობლო პოლიტიკის განხორცილების ძირითადი მექანიზმები - როგორიცაა სამოქმედო გეგმა და პროგრესის შესახებ ანგარიში - პირდაპირ გადმოღებულია გაფართოების პროცესში დამკვიდრებული ინსტრუმენტებიდან, რითაც ევროკავშირის ფართო რეგიონული პოლიტიკა ტექნიკურად დაემსგავსა გაფართოების პროცესს. ამ პოლიტიკის მიზანი გახდა მეზობელი ქვეყნების ევროპეიზაცია, ტრანსფორმაცია ისეთი გზით, რომ მათი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემო ევროკავშირთან თავსებადი გამხდარიყო.

საქართველოს მხრიდან ამ პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილი და ამბიცია თავიდანვე ძალზე მაღალი იყო. საქართველოს ინიციატივებმა და მცდელობებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის კონსოლიდაციასა და მობილიზებაში, რომლის შედეგადაც 2004 წელს საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, ასევე, შეიყვანეს სამეზობლო პოლიტიკაში.

2003-2008 წლებში ევროკავშირის პოლიტიკა ძირითადად სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ხორციელდებოდა. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ერთიან ინსტრუმენტში - (European Neighbourhoos and Partnership Instrument-ENPI) გაერთიანდა ევროკავშირის თითქმის ყველა სახის დახმარების პროგრამა, რომლებიც ფარავდა ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცესა და სამხრეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონს. თუმცა მულტინაციონალური და გლობალური ხასიათის პროგრამები და პროექტები მის გარეთ დარჩა.

საქართველოს მიერ მიღებული სამეზობლო პოლიტიკის ხუთწლიანი (უკრაინისა და მოლდოვისგან განსხვავებით7) სამოქმედო გეგმა რვა პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავდა და 2006-დან 2011 წლამდე მნიშვნელოვანი რეფორმების გატარებასა და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობდა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, მართლმსაჯულების, სტაბილურობის და კარგი მმართველობის დამკვიდრების, სიღარიბის დაძლევის, ეკონომიკური განვითარების, სოციალური პოლიტიკის დახვეწის, მიგრაციის, ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან ბრძოლის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის, კონფლიქტების მოგვარების, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის, კულტურის, განათლებისა და მეცნიერების დარგებში. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა, PCA-სგან განსხვავებით, არ წამოადგენდა საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს და, შესაბამისად, არც საერთაშორისო ვალდებულებებს

შეიცავდა, მისი მნიშვნელობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის ძალზე კონკრეტული რეფორმების ნუსხისაგან შედგებოდა, რომელთა შესრულებასაც ევროკომისია ყოველწლიურად აფასებდა და, შესაბამისად, მისი განხორციელების ყოველწლიური სამთავრობო პროგრამაც ადაპტირებას განიცდიდა.

ამ მექანიზმმა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფინანსური დახმარების ინსტრუმენტის გამოყენებით და თვით ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) მოტივაციის შედეგად, მნიშვნელოვნად დააწინაურა საქართველოს ინსტიტუციური და საკანონმდებლო გარემო და დაუახლოვა ევროკავშირისას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ PCA, როგორც ორი მხარის ურთიერთობის სამართლებრივი მექანიზმი, კვლავ ძალაში რჩებოდა, მისი დებულებები არაფერში ეწინააღმდეგებოდა სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ნაკისრ პოლიტიკურ ვალდებულებებს და ფორმალურად სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელება ამ შეთანხმების განხორციელებადაც ითვლებოდა.

საქართველოს მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ხარისხით მოლდოვა და უკრაინა ბევრად დაწინაურებულები აღმოჩნდნენ. შესაბამისად, ევროკავშირმა უკრაინასთან და მოლდოვასთან რამდენიმე წლით ადრე დაიწყო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის თაობაზე მოლაპარაკებები, მოლდოვასთან კი სავიზო დიალოგიც, რომლის საბოლოო შედეგი საქართველოზე სამი წლით ადრე მიღებული უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აღმოჩნდა.

სამეზობლო პოლიტიკის მიზნებში თავისთავად არ შედიოდა მონაწილე ქვეყნების ევროკავშირში გასაწევრიანებლად მომზადება, მაგრამ „დიფერენციაციის", როგორც წამყვანი პრინციპის დამკვიდრება იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მთლიანობაში ევროკავშირის სამეზობლოში არსებულ ტენდენციებს არ შეეფერხებინა ცალკეული ქვეყნების ევროკავშირთან ფუნქციური ინტეგრაციის პროცესი.

აღმოსავლეთ პარტნიორობა - ორმხრივი და მრავალმხრივი მიმართულების გაძლიერება

აღმოსავლეთ პარტნიორობა 2009 წელს პრაღაში გამართული სამიტის გადაწყვეტილებების საფუძველზე ამოქმედდა. აღნიშნული სამიტი ჩატარდა შვედეთისა და პოლონეთის მთავრობების ინიციატივის შედეგად ევროკომისიის მიერ 2008 წელს ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოსადმი წარდგენილი კომუნიკაციის საფუძველზე. შეთავაზებულმა ფორმატმა აღმოსავლეთ პარტნიორებს (ექვსი ქვეყანა) და ევროკავშირს შორის მრავალმხრივი პოლიტიკური დიალოგის ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი

(სამიტები ორ წელიწადში ერთხელ, საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა წელიწადში ერთხელ). ამ პროგრამამ პარტნიორ ქვეყნებს ასევე შესთავაზა ევროკავშირთან ორმხრივი ურთიერთობების ინსტიტუციური გაღრმავების პერსპექტივა ასოცირების შესახებ შეთანხმებების და სავიზო დიალოგის სახით, რომლის შედეგიც სულ ახლახანს საქართველოსა და უკრაინისთვის დაწესებული უვიზო მიმოსვლა გახდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი განზომილების ინსტრუმენტია თემატური პლატფორმა, რომელიც შექმნილია ოთხი ძირითადი მიმართულებით თანამშრომლობისთვის:

• დემოკრატია და სტაბილურობა, კარგი მმართველობა;
• ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან კონვერგენცია;
• ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა;
• მობილურობა და ადამიანებს შორის კონტაქტები.

აღნიშნული პროგრამის მრავალმხრივი განზომილების თანამშრომლობის ფორმებია, ასევე, თემატური პანელები და საფლაგმანო ინიციატივები. თემატური პლატფორმის ფარგლებში, როგორც წესი, მაღალი და საშუალო დონის თანამდებობის პირები ხვდებიან ერთმანეთს და განიხილავენ საკანონმდებლო დაახლოების, ინსტიტუციური განვითარების, ქვეყნებს შორის კავშირების გაღრმავების და ინფრასტრუქტურის განვითარებისა თუ ეკონომიკური თანამშრომლობის პროექტებს, ერთობლივ ინიციატივებს. პანელებზე თემატური პლატფორმის მიმართულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი თემების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება მიმდინარეობს. რაც შეეხება საფლაგმანო ინიციატივებს, მათი დანიშნულებაა თანამშრომლობის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი, მასშტაბური ხასიათის ერთობლივი ქმედებისთვის ძალისხმევის გაერთიანება.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში შექმნილი თანამშრომლობის ინსტიტუტები:

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში მოხდა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზაცია ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამ- შრომლობის ხელშეწყობისათვის. ამ მიზნით, 2009 წლის 17 ნოემბერს, ქ. ბრიუ- სელში სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (EaP Civil Society Forum - CSF) დაფუძნდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში ამჟამად ხუთი სამუშაო ჯგუფი მოქმედებს. მათგან 4 შინაარსობრივად აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი

თანამშრომლობის თემატური პლატფორმების ანალოგიურია, ხოლო მე-5 თემატური ჯგუფის („სოციალური პარტნიორობა და სოლიდარობა“) დაარსების შესახებ გადაწყვეტილება 2011 წლის 28-30 ნოემბერს პოლონეთში, ქ. პოზნანში, CSF-ის მესამე შეხვედრაზე მიიღეს.

CSF-ის მუშაობას 18 წევრისგან შემდგარი მმართველი კომიტეტი ხელ- მძღვანელობს. მისი წევრები არიან თითოეული სამუშაო ჯგუფის კოორდი- ნატორები, პარტნიორი ქვეყნებიდან ეროვნული კოორდინატორები (National Facilitators), ასევე, ევროკავშირისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანი- ზაციების წარმომადგენლები. მმართველი კომიტეტის სამდივნო ქ. ბრიუსელში ჩამოყალიბდა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის სხდომები ყოველწლიურად იმართება. ფორუმის სხდომებზე ხდება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. CSF-ის მუშაობის წარმართვის მიზნით, თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში შექმნილია ეროვნული პლატფორმები. ამ დროისათვის საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში 126 ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა გაერთიანებული.

დაარსებიდან ექვს წელიწადში, პლატფორმა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეხვედრიდან გარდაიქმნა ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკის ფორუმად, რომელიც ევროკავშირსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსიას, საქართველოს, მოლდავეთ- სა და უკრაინას) თავიანთი იდეებისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების მეშვეობით აერთიანებს და ევროკავშირის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროინტეგრაციის პროცესის გავრცელებას ისახავს მიზნად.

„ევრონესტი“

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მოქმედებს „ევრონესტი“ (Euronest) – თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც 2011 წლის 2-3 მაისს ბრიუსელში ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა. 2013 წლის 13-15 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა „ევრონესტის“ საპარლამენტო ასამ- ბლეის პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის კომიტეტის სხდომა.

ასამბლეა ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის 6 ქვეყნის (საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელორუსიისა და მოლდავეთის) 10-10 პარლამენტარსა და ევროპარლამენტის 60 დეპუტატს აერთიანებს.

აღმოსავლეთ პარტნიორობაც, რა თქმა უნდა, ისევე, როგორც მისი წინამორბედი ფორმატები, რეგიონული მიდგომის გამოვლინებაა. მიუხედავად ამისა, მას მძლავრი

ორმხრივი განზომილებაც გააჩნია, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ გარკვეული ჩარჩოების გათვალისწინებით პარტნიორმა ქვეყანამ საკუთარი ინდივიდუალური მისწრაფებების რეალიზება მოახდინოს. აღმოსავლეთ პარტნიორობამ, რომლის პარალელურად სამხრეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებისთვის „ხმელთაშუა ზღვის კავშირი“19 შეიქმნა, ორ მნიშვნელოვან განვითარებას შეუწყო ხელი: პირველი, ის, რომ პრაქტიკულად შეუთავსებადი ორი დიდი რეგიონის მიმართ საკუთარი ამოცანები და მიდგომები განაცალკევა, რაც განსხვავებული ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის გამოყენებისთვის მეტი ლავირების საშუალებას იძლევა. აღმოსავლეთ ევროპის შედარებით მცირე რაოდენობის ქვეყნები ერთ კალათაში მოთავსდნენ მათი ისტორიული, რეგიონული, განვითარების ასე თუ ისე თანაბარი დონის, ტრანსფორმაციის შესაძლებლობებისა და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით.

მეორე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ამ ფორმატის შემოღებამ იტვირთა - განსხვავებული ამბიციისა და პროგრესის მქონე ქვეყნებისთვის დიფერენცირებული მიდგომებისთვის შესაბამისი სივრცის გამოყოფაა. ამ სივრცეში ქვეყნებს შეეძლებათ, რეგიონის სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად, ევროკავშირთან ინდივიდუალური დღის წესრიგით იმუშაონ და ორმხრივი ურთიერთობები განავითარონ იმ მასშტაბითა და ხარისხით, რომელსაც ეს პოლიტიკა საზღვრავს. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ პარტნიორობას შეზღუდვები გააჩნია. მისი საბოლოო მიზანია რეგიონის (აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების) ეკონომიკური ინტეგრაცია და მათი პოლიტიკური ასოცირება, რაც საკმაოდ ფართო ცნებებია და ალბათ უკეთ განმარტებას საჭიროებს. ეკონომიკური ინტეგრაცია ამ პოლიტიკის ფარგლებში ევროკავშირსა და პარტნიორ სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის სივრცის დამყარებას გულისხმობს. ეს სივრცე ამავე დროს ღრმა და ყოვლისმომცველია, რაც ყველა სახის (ყველა სახის საქონლითა და მომსახურებით) ვაჭრობისთვის სატარიფო და არასატარიფო ბარირების მოხსნას ემსახურება. მისი ამუშავების შედეგად პარტნიორი ქვეყანა მიიღებს ევროკავშირის შიდა ბაზარზე პრივილეგირებულ/თავისუფალ წვდომას. რაც შეეხება პოლიტიკურ ასოცირებას, აქ მრავალი რამ იგულისხმება, მაგრამ პირველ რიგში პარტნიორი ქვეყნისთვის ევროკავშირთან ფასეულობრივი განსხვავებების აღმოფხვრა, ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში ჩართვა, ევროკავშირის პროგრამებსა და სააგენტოებზე წვდომა და მათი წევრობაც.

აღმოსავლეთ პარტნიორობამ, ასევე, გააძლიერა სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყნებში რეფორმების განხორციელებაზე ზეგავლენისა და მათი მხარდაჭერის საქმეში. კერძოდ, ამ პოლიტიკის ფარგლებში შეიქმნა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი,

ევროკავშირისა და მისი აღმოსვლეთი პარტნიორი ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (CSO) მონაწილეობით, რომლის დაარსებაც აღმოსავლეთ პარტნიორობის დამფუძნებელი სამიტის (2009 წლის 7 მაისი) პრაღის დეკლარაციიის საფუძველზე მოხდა. ფორუმი პრაქტიკულად აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოებრივ განზომილებად ჩამოყალიბდა, რომელსაც მიეცა საშუალება, რეკომენდაციები და მოთხოვნები პირდაპირ მინისტრების შეხვედრასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის მონაწილეებს წარუდგინოს, მიიღოს მონაწილეობა თემატური პლატფორმებისა და პანელების შეხვედრებში. მომდევნო ეტაპზე, როცა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას, სამოქალაქო საზოგადოების ორმხრივი პლატფორმების დაარსება (მუხლი 412) და მათი ხელშეწყობა მხარეების ინსტიტუციურ ვალდებულებად იქცა.

მიუხედავად აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივაში არსებული მძლავრი ორმხრივი ურთიერთობების ფორმატისა, აღნიშნული პროგრამა რეგიონული მიდგომის გამომხატველი პოლიტიკაა. ამ პოლიტიკის მოქმედების სიღრმე და მასშტაბი შეზღუდულია. შესაბამისად, მისი გამოყენებით ყველა ამბიციის დაკმაყოფილება, რომელიც რეგიონში ევროპული ინტეგრაციის მისწრაფების მქონე ქვეყნებს (ამ ეტაპზე - საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას) გააჩნიათ შეუძლებელია, რადგანაც ამის პირობებს არ ქმნის ამავე ფრომატში ევროპეიზაციის კუთხით შედარებით ნაკლებად წარმატებული ქვეყნების (ბელარუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი) არსებობა. ამ კონტექსტში აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი თანამშრომლობა არ იძლევა იმაზე მეტის საშუალებას, რასაც დღეს ის ემსახურება, ხოლო ორმხრივი ურთიერთობების ფორმატი შემოფარგლულია, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ეკონომიკური ინტეგრაციისა და პოლიტიკური ასოცირების მიზნებით.

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიკვეთა აშკარა განსხვავებები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროპული მისწრაფებების, ამბიციის, ფასეულობებისა და პროგრესის, საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი მიმართულებით. მაგალითად, თუ ბელარუსი თავიდანვე ნაკლებად უწევდა ანგარიშს ევროკავშირის მოთხოვნებს პოლიტიკური რეფორმების კუთხით, რის გამოც მასთან ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატი პრაქტიკულად გაიყინა, აზერბაიჯანთან უფრო მოგვიანებით შეიცვალა დღის წესრიგი ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების სფეროში არსებული გამოწვევების გამო. გარდა ამისა, ორმხრივი ეკონომიკური დაახლოებაც პრობლემური გახდა, რადგანაც აზერბაიჯანს არ სურს მსოფლი

სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. შესაბამისად, გამოირიცხა მასთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმება.

სომხეთმა 2014 წელს უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერაზე, რომელზეც ორწლიანი მოლაპარაკებები პრაქტიკულად საქართველოსთან ერთდროულად დაასრულა. სომხეთის მიერ ევრაზიის ეკონომიკურ გაერთიანებაში გაწევრიანებამ ასევე გამორიცხა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნა, როგორც შესაძლებლობა, და, შესაბამისად, ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა, რადგან ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები ამ შეთანხმების ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით სომხეთმა და აზერბაიჯანმაც დაიწყეს ევროკავშირთან ახალი შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები, აშკარაა, რომ დღეს არსებული რეალობებიდან გამომდინარე ევროკავშირის ახალი ინსტიტუციური ურთიერთობები მათთან ვერ გასცდება მჭიდრო პარტნიორობის ფარგლებს და ვერ გახსნის სივრცეს ევროკავშირთან მათი სრული ფუნქციური ინტეგრირებისთვის. მათგან განსხვავებით 2013 წელს უკრაინამ, მისმა სამოქალაქო საზოგადოებამ, მოსახლეობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით არჩია, რომ სამოქალაქო პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის მიემართა, როდესაც მთავრობამ ასოცირების შეთანხმების ხელმოწერაზე უარი განაცხადა, და მრავალი მათი მომხრის სიცოცხლის ფასად შეინარჩუნა მყარი ევროპული მისწრაფება და ორიენტაცია. მოლდოვაში ამჟამად მიმდინარე პროცესები საკმაოდ ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს ამ ქვეყნის მოსახლეობის არჩევანთან დაკავშირებით, მაგრამ მისი გეოგრაფიული სიახლოვე ევროკავშირთან და განსაკუთრებული ნათესაური კავშირი რუმინეთთან მაინც ქმნის საკმარის წინაპირობას იმისა, რომ ამ ქვეყნის მომავალი ევროკავშირის სტრუქტურებში მოვიაზროთ. საქართველომ თავისთავად ბევრი მსხვერპლი გაიღო თავისი ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების და ორიენტაციის შესანარჩუნებლად და დღესაც მყარად დგას ამ კურსზე.

ასოცირების შეთანხმება

ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება საქართველოს მომავალი განვითარების ძირითადი მიზნებია, რომლის განხორციელების საფუძველი ასოცირების შეთანხმებაა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებიც მჭიდროდ უკავშირდება ამ შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. ამ შეთანხმების პარაფირებით, რომელსაც უახლოეს მომავალში ხელმოწერაც მოჰყვება, საქართველომ, ფაქტობრივად, განაცხადა, რომ მის მიერ გაცხადებული პროდასავლური კურსი მხოლოდ სიტყვები და ოფიციალურ პირთა განცხადებები კი არ არის, არამედ ქვეყნის

მიერ საერთაშორისო დონეზე აღებული სამართლებრივი ვალდებულებებია. ეს ნიშნავს, იმას რომ ქვეყანა გლობალური მსოფლიოს და ცივილური საზოგადოების სრულფასოვან წევრად გახდომას აპირებს და სურს საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში.

როგორც წესი, პატარა ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს, მათი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკურ პრიორიტეტებს რეგიონული და არა გლობალური განზომილება აქვთ. ბუნებრივია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის აქცენტი ევროკავშირის რეგიონზეა გადატანილი, რაც მსოფლიოში მიმდინარე თანამედროვე პროცესების ერთგვარ ასახვას წარმოადგენს. რეგიონული თანამშრომლობის დამყარება და გაღრმავება თანამედროვე მსოფლიოს განვითარების დამახასიათებელი ნიშანი გახდა. გლობალური მსოფლიოს პირობებში პატარა ქვეყნები რეგიონული ინტეგრაციის ხარჯზე ახერხებენ გლობალურ პროცესებში ჩართვას. ამ პროცესების განვითარებას ადგილი აქვს საქართველოშიც, რომელიც პოსტ-საბჭოთა პერიოდის დახურული სისტემიდან გამოსვლის შემდეგ ახლიდან შეუდგა საგარეო ურთიერთობების დივერსიფიკაცია, რათა ქვეყნის საშინაო მიზნების განხორციელება შეძლოს. ამიტომ ბუნებრივია, რომ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ჩართვა.

ევროკავშირი, 28 ქვეყნის ეს გაერთიანება, გლობალური მსოფლიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოთამაშე და უდიდესი ეკონომიკური გაერთიანებაა. ცივი ომის დასრულების შემდეგ, როცა მსოფლიო ბიპოლარული სისტემიდან მრავალპოლუსურ სისტემად განვითარდა, ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური წონა მნიშვენლოვნი გახდა და შემდგომ წლებში კიდევ უფრო გაიზარდა. დასავლეთთან, ამ შემთხვევაში კი ევროკავშირთან, დაახლოების უდავო პოლიტიკური მნიშვნელობა, პირველ რიგში, საქართველოს უსაფრთხოების პრობლემებს უკავშირდება. მშვიდობიან და სტაბილურ გარემოში განვითარება არა მარტო საქართველოს ეროვნული ინტერესია, არამედ მთელი ცივილური მსოფლიოს პრიორიტეტიცაა. ამ თვალსაზრისით საქართველოსა და დასავლური სამყაროს ინტერესების თანხვედრა აშკარაა.

ასევე მნიშვნელოვანი ასპექტია საქართველოსათვის ის ეკონომიკურ პერსპექტივები და პოტენციალი, რომელიც ევროკავშირთან ეკონომიკურ ურთიერთობებს უკავშირდება. ევროკავშირი ის ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მასთან დაახლოების მსურველ ქვეყნებს უზარმაზარ შესაძლებლობებს სთავაზობს.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას" ოფიციალურად ეწოდება „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს

შორის“. მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის ივლისში და დასრულდა 2013 წლის ივლისში. შეთანხმების პარაფირება მოხდა 2013 წლის 29 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ვილნიუსის სამიტის ფარგლებში (პარაფირება გულისხმობს მოლაპარაკებული ტექსტის დადასტურებას მხარეთა დელეგაციების ხელმძღვანელების მიერ, შეთანხმების თითოეულ გვერდზე ინიციალების დასმით. ტექსტის პარაფირებით, მხარეები ადასტურებენ, რომ მოლაპარაკებული ტექსტი მათთვის მისაღებია და აღარ უნდა განიცადოს შინაარსობრივი ცვლილება). მას ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს ბრიუსელში. ამ შეთანხმების გაფორმების პერსპექტივა გაიხსნა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივით და ჩაანაცვლა 1996 წელს ხელმოწერილი „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“.

ასოცირების შესახებ შეთანხმება არის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების სამოქმედო გეგმა, რომელიც ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ის, აგრეთვე, მოი- ცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ქვაკუთხედს. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს.

შეთანხმება ევროკავშირსა და მის კანონმდებლობასთან დაახლოების იმდენად მაღალ დონეს მოიცავს, რომ მისი ეფექტიანი განხორციელება, ფაქტობრივად, შეუქცევადს ხდის ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესს. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკურ ასოცირებასა და ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას. შეთანხმებაში აღიარებულია საქართველოს ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი, აღნიშნულია, რომ ის საერთო ღირებულებები, რომლებსაც ეფუძნება ევროკავშირი – დემოკრატია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და კანონის უზენაესობა ასევე წარმოადგენს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის

ქვაკუთხედს. ასოცირების შესახებ ხელშეკრულება აღიარებს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს.

შეთანხმებაში გამოხატულია სრული პატივისცემა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობის პრინციპების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონფლიქტის შემდგომი რეაბილიტაციისა და შერიგებისადმი მიმართული ძალისხმევის ერთობლივ ხელშეწყობას. კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება იქნება როგორც მხარეთა შორის, ასევე სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტორებთან, პოლიტიკური დიალოგის ერთ-ერთი მთავარი თემა (ასოცირების შესახებ შეთანხმების თავდაპირველი პროექტი არ ითვალისწინებდა ცალკე მუხლს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების თაობაზე და ეს მუხლი გაჩნდა საქართველოს მხრიდან მომლაპარაკებელი დელეგაციის ძალისხმევის შედეგად).

შეთანხმება ადგენს იმ კონკრეტულ სფეროებს, რომლებშიც საქართველომ ევროკავშირის ხელშეწყობით უნდა გაატაროს კონკრეტული რეფორმები:

- **საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა.** დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონ- ფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა;
- **საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა:** პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის – შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონული სტაბილურობა და სხვა;
- **მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება:** სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაზრდა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა და სამართლიანი სასამართლოს უფლების უზრუნველყოფა; მიგრაციის მართვა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა; ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა; უკანონო ნარკოტიკული საშუალებების ბრუნვის პრევენცია და მის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვის უზრუნველყოფა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია; საზ- ღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ტერორიზმის, პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა;

- **დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა:** თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორე- ბიცაა: ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონული განვითარება და სხვა.
- ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები: ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (Deep and Comprehensive Free Trade Area – DCFTA) ჩამოყალიბებას. ასოცირების შესახებ შეთანხმებაში ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების განხორციელება ქმნის ევროკავშირის შიდა ბაზარზე საქართველოს ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის რეალურ მექანიზმს.

როგორც ვხედავთ, ასოცირების შეთანხმება ევროკავშირთან თანამშრომლობის ყველა ასპექტს მოიცავს. შეთანხმება ოთხი ნაწილისაგან შედგება: პოლიტიკური დიალოგი და თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში; სამართლიანობა, თავისუფლება და უსაფრთხოება, სექტორული ნაწილი და ვაჭრობასთან დაკავშირებული ნაწილი. ეს უკანაკნელი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებას გულისხმობს. იგი ასოცირების შეთანხმების ერთ-ერთი, კერძოდ, მეოთხე თავია.

ასოცირების შეთანხმების სექტორალურ ნაწილში სულ 27 თავია. ისინი ქვეყნის ცხოვრების ყველა ასპექტს ეხება. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობა და ინსტიტუციური მოწყობა ევროკავშირში მოქმედი წესების და რეგულაციების შესაბამისად დარეგულირდება ისეთ სფეროებში როგორიცაა ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, ფინანსური მომსახურება, სოფლის მეურნეობა, საგადასახადო სისტემა, ტრანსპორტი, დასაქმება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური პოლიტიკა და სხვა.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ ასოცირების შეთანხმებაში 14 თავია წარმოდგენილი, რომელიც დაარეგულირებს ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, კი ტარიფებს, არასატარიფო ბარიერებს, საქონლის წარმოშობის წესებს, საბაჟო საკითხებს, მომსახურებით ვაჭრობას, სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომებს, კონკურენციას, დავების მოგვარების მექანიზმებს და ა.შ.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (Deep and Comprehensive Free Trade Area Deep and Comprehensive Free Trade Area) არის ასოცირების შესახებ შეთანხმების უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც საქართველოში წარმოებული

პროდუქციისა და მომსახურების სექტორისათვის ხსნის ევროკავშირის ბაზარს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება ჩვეულებრივი სავაჭრო ხელშეკრულებებისაგან რამდენიმე ნიშნით განსხვავდება. ის გულისხმობს ვაჭრობის ლიბერალიზაციას როგორც საქონლით, ასევე, მომსახურებით ვაჭრობის შემთხვევაში. ის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისგან (Free Trade Agreement) განსხვავებით, რომელსაც თან ახლავს ისეთი შეზღუდვების მოხსნა როგორიცაა საბაჟო ტარიფები და ქვოტები, ის პრაქტიკულად, ხსნის არასატარიფო ბარიერებს, რაც დაკავშირებულია სანიტარულ, ფიტოსანიტარულ და ტექნიკურ ბარიერებთან. და არეგულირებს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ., სურსათის უვნებლობა, პროდუქციის უსაფრთხოება, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, საბაჟო საკითხები, სახელმწიფო შესყიდვები და სხვა). DCFTA გულისხმობს ვაჭრობის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და ინსტიტუტების ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის შესაბამის რეგულაციებსა და ადმინისტრირების მექანიზმებთან, რის შედეგადაც ვაჭრობის თითქმის ყველა ბარიერი აღმოიფხვრება.

DCFTA 2014 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. ამით საქართველოში წარ- მოებულ საქონელს გაეხსნა მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, რომელიც ამ ეტაპზე 28 ქვეყანას და 508 მილიონზე მეტ მომხმარებელს აერთიანებს. ევროკავშირის ბაზარი ასევე ნიშნავს: სტაბილურ ბაზარს, ღია თამაშის წესებს, დისტრიბუციის გამართულ ქსელს, მზარდ ფასებს სურსათზე, მზარდ მოთხოვნას ნატურალურ პროდუქტებზე.

DCFTA არეგულირებს შემდეგ სფეროებს:

• საქონლით ვაჭრობა (ტარიფები);

• საქონლის წარმოშობის წესები;

• საბაჟო საკითხები და ვაჭრობის ხელშეწყობა;

• მომსახურებით ვაჭრობა;

• სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები;

• ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში;

• ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვა.

საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას; გამჭვირვალე, სტა- ბილური ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას; საქართველოს საინვესტიციო მიმზიდ- ველობისა და, შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას; ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად

გამოყენებას; ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას; ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას; ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას; ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯის შემ- ცირებას; ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას; ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას; სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას, ევროპული საუკეთესო პრაქ- ტიკის შესაბამისად; ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომებისა და ვაჭრობაში ტექნიკუ- რი ბარიერების მხრივ განხორციელებული რეფორმების შედეგად ხელი შეეწყობა ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ განთავსებას ევროკავშირის ბაზარზე და ამასთანავე, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას. მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნივრის გარდა, რომელზეც იმოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვა), გათავისუფლდება საბაჟო ტარიფისგან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი თავადაც სურსათის დიდი მწარმოე- ბელია, მისი იმპორტის მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია. 2013 წელს მხოლოდ ხილის იმპორტმა ევროკავშირში 12.6 მლრდ ევრო შეადგინა (13.1 მლნ ტონა), საიდანაც 11.7 მლრდ ევრო განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა. რაც შეეხება ახალ ბოსტნეულს, მისმა იმპორტმა იმავე წელს 2.6 მლრდ ევრო შეადგინა (დაახლოებით, 2.6 მლნ ტონა).

საგულისხმოა, რომ ევროკავშირის ბაზარი, ასევე, გამოირჩევა სურსათზე დანახარჯის მაღალი მაჩვენებლით. აშშ-ის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის 2014 წლის სტატისტიკის მიხედვით, თუ საქართველოში სურსათზე დანახარჯი ერთ სულ მოსახლეზე 894 აშშ დოლარს უდრიდა, რუსეთში ის 2 245 აშშ დოლარია, უკრაინაში 1 142 აშშ დოლარს, ხოლო ბელარუსში $1 432-ის ტოლი იყო. იგივე მაჩვენებლები გაცილებით მაღალია ევროპის ქვეყნებში: შვედეთი – 3 385 აშშ დოლარი, ფინეთი – 3 200 აშშ დოლარი, ნორვეგია – 4 973 აშშ დოლარი, საფრანგეთი – 3 258 აშშ დოლარი და ა.შ.

საქონლით თავისუფალი (უტარიფო და ტექნიკური შეზღუდვებისგან თავისუფალი) ვაჭრობა ხელს შეუწყობს საქართველოში წარმოებული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ზრდას ევროკავშირის ქვეყნებში და, შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას საქართველოში. მსგავსი პროგნოზის საშუალებას იძლევა ევროკავშირსა და საქართველოს

შორის არსებული სავაჭრო ურთიერთობის დინამიკაც, რომლის მიხედვით, საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტი ყოველწლიურად იზრდება.

ასოცირების შეთანხმების განხორციელება

ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, შეიქმნა ასოცირების საბჭო (მინისტრების დონეზე), ასოცირების კომიტეტი (მინისტრის მოადგილეების დონეზე), რომელიც ასოცირების საბჭოს ეხმარება მოვალეობებისა და ფუნქციების შესრულებაში. ასოცირების კომიტეტს ეხმარებიან სპეციალურად შექმნილი თემატური ქვეკომიტეტები. ქვეკომიტეტები იკრიბებიან საჯარო მოხელეების დონეზე და განიხილავენ კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრები შექმნიან საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეეძლება, ასოცირების საბჭოსგან მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი (Association Agenda) წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას. ამ გეგმით ხდება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისთვის მომზადება და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა.

ასოცირების შეთანხმების განხორციელება საქართველოს სრულ მოდერნიზებას გამოიწვევს, რასაც თავის დადებითი პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები ექნება. ასოცირების შეთანხმების განხორციელება ეტაპობრივად მოხდება. ეს ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან თანმიმდევრულ დაახლოების უწყვეტი პროცესი იქნება, რომელიც მნიშვნელოვან დანარჯებს მოითხოვს როგორც დროის, ისე რესურსების თვალსაზრისით. ეს დანარჯები შეეხება როგორც სახელმწიფოს, ასევე ბიზნესს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივის კუთხით, მისი სარგებელი ეჭვს არ იწვევს.

ასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების პრაქტიკაში რეალიზება ხელს შეუწყობს მიმზიდველი სამართლებრივი და ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებას ქვეყანაში, გაიზრდება მისი როგორც საერთაშორისო პარტნიორის სანდოობა საერთაშორისო დონეზე. ეს შეთანხმება საქართველოსთვის ხსნის ყველა სატარიფო და არასატარიფო ბარიერს ევროპის ბაზრებზე შესვლის თვალსაზრისით. იგი, ასევე, ხელს შეუწყობს კაპიტალის ნაკადების თავისუფალს მოძრაობას. მნიშვნელოვანია, მხედველობაში მივიღოთ, რომ

ევროკავშირთან ვაჭრობასთან დაკავშირებულ რეგულაციის სტანდარტებს მსოფლიოს ბევრი ქვეყანა იყენებს. ამრიგად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობა საქართველოსათვის სხვა მნიშვნელოვან პარტნიორებთან ვაჭრობასაც შეუწყობს ხელს. ახალი საბაჟო ტარიფები და მარეგულირებელი ბარიერები მომხმარებელთათვის პროდუქტებისა და მომსახურების მრავალფეროვნებასა და ხარისხს გაზრდის. ბაზრის ლიბერალიზაციის შედეგად წარმოქმნილი კონკურენცია ხელს შეუწყობს სპეციალიზაციას, ფასების შემცირებას და ინოვაციების დანერგვას.

ასოცირების შეთანხმების ამოქმედების შემდეგ ქართველ მწარმოებლებსა და ექსპორტიორებს ექმნებათ თავისუფალი წვდომა ევროკავშირის ბაზარზე, რომელიც 28 ქვეყნის 500 მილიონიანი მოსახლეობით, მსყიდველობითუნარიანობისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, მსოფლიოს უდიდესი ბაზარია. ეს გარემოება მნიშვნელოვანი სტიმული იქნება საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციებისა და ახალი ტექნოლოგიების მოზიდვისათვის, რაც, თავის მხრივ, საგრძნობლად დააჩქარებს საქართველოს ეკონომიკურ ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას და კეთილდღეობის საერთო დონის გაუმჯობესებას.

ასოცირების შეთანხმება ჩაანაცვლებს ევროკავშირთან თანამშრომლობისა და პარტნიორობის შეთანხმებას (Partnership and Cooperation Agreement - PCA), რომლითაც, პრაქტიკულად საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობის სამართლებრივ საფუძვლებს 1996 წელს. აღნიშნული შეთანხმება 1999 წელს შევიდა ძალაში. დღემდე საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები ამ შეთანხმებით რეგულირდება.

ზემოაღნიშნული შეთანხმების საფუძველზე საქართველო ევროკავშირის ღირებულებებსა და სტანდარტებთან დაახლოების, და შესაბამისად, ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის უწყვეტ პროცესს შეუდგა, რომელიც დღეს კიდევ უფრო ინტენსიურად გრძელდება სხვადასხვა ფორმატების ფარგლებში. ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები მიზნად ისახავს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასა და გაძლიერებას, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების სისტემის შექმნასა და განვითარებას, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებასა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას.

მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა ეკონომიკის სფეროში. განხორცილებულმა რეფორმებმა ეკონომიკის ლიბერალიზაციას, გონივრული მონეტარული პოლიტიკის და ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის დანერგვას შეუწყო ხელი, რაც, პირველ რიგში, მოსახლეობის სოციალური საჭიროებების საპასუხოდ არის მიმართული. განხორციელდა საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია და მოდერნიზირება,

გაუმჯობესდა ინფრასტრუტურა, უფრო მეტად დივერსიფიცირებული გახდა ენერგეტიკული რესურსების მიწოდება და მათი წარმოება. ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვდა საქართველოს სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტები და რეგულაციები. მნიშვნელოვნად შემცირდა ბიუროკრატიული ბარიერები ბიზნესის საწარმოებლად, რასაც მოწმობს მსოფლიო ბანკის „2014 წლის ბიზნესის კეთების" წლიური ანგარიში. ამ ანგარიშის რეიტინგებში საქართველო 185 ადგილიდან მე-8 ადგილზე გადავიდა. მნიშვნელოვანი მოდერნიზება განხორციელდა ფინანსური მომსახურების სფეროში. რეფორმები შეეხო კონკურენციას, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას, სტატისტიკას, სახელმწიფო შესყიდვებსა და სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის განახორციელებას. ცვლილებები განხორციელდა გარემოს დაცვის პოლიტიკაში, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დიალოგის და ა.შ. სფეროებში.

ყურადსაღებია ის გარემოება, რომ რეფორმირების მთელი პროცესის განმავლობაში ევროკავშირი საქართველოს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევდა. 1992-2006 წწ. ევროკავშირმა ცალკეული პროგრამების ქოლგის ქვეშ საქართველოს 505.9 მლნ ევრო გამოუყო. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის 2007-2013 წწ. ევროკავშირის მიერ საქართველოსათვის გამოყოფილმა ფინანსური დახმარების მოცულობამ 300 მლნ. ევროს მიაღწია. 2014-2020 წლებისათვის ევროკავშირი დახმარების კიდევ უფრო გაზრდას გეგმავს, რომელიც, ძირითადად, ასოცირების შეთანხმების განხორცილებას, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, მართლმსაჯულებისა და საჯარო სამსახურის შემდგომ რეფორმირებას მოხმარდება.

ენერგეტიკულ თანამეგობრობაში, რაც ასევე აუცილებელი პირობაა კანდიდატი სახელმწიფოსთვის. ასოცირების შეთანხმება, ისევე, როგორც ევროკავშირთან 2014 წელს გაფორმებული ოქმი, უფლებას აძლევს ქვეყანას, გაერთიანდეს ევროკავშირის პროგრამებში და მიიღოს დაშვება მის სააგენტოებში. თუმცა ასეთი უფლება თეორიულად სამეზობლო პოლიტიკის სხვა სუბიექტებსაც აქვთ, მაგრამ ფართომასშტაბიანი დაშვება მხოლოდ გაფორმებული შეთანხმების საფუძველზეა შესაძლებელი.

დამატებით შეიძლება აღვნიშნოთ საქართველოს მიერ ევროკავშირთან ხელმოწერილი

„ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმება", „გეოგრაფიული ინდიკატორების ურთიერთცნობის შესახებ შეთანხმება", „ჩარჩო შეთანხმება საქართველოს შეიარაღებული ძალების ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილეობის შესახებ" და სხვ. რაც ნათლად მიუთითებს რომ საქართველოს გააჩნია საკმაოდ მძლავრი სახელშეკრულებო ბაზა ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობისა და დაახლოებისათვის.

უვიზო მიმოსვლა ევროკავშირთან

ასოცირების შესახებ შეთანხმების მუხლი 16.2 ქვეყნებს ავალდებულებს, რომ აქტიურად იმუშაონ მოქალაქეთა გადაადგილების გამარტივებაზე და კერძოდ უვიზო რეჟიმის თანდათანობით შემოღებაზე. ეს უკვე ინსტიტუციური ვალდებულებაა, უნდა აღინიშნოს, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში დამოუკიდებელი პროცესია და საქართველო-ევროკავშირის სავიზო დიალოგის ფორმატში მწარიმართა.

უვიზო მიმოსვლისათვის წინაპირობების შექმნის მიზნით ჯერ კიდევ 2011 წელს საქართველოსა და ევროკავშირს შორის დაიდო ხელშეკრულებები ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმიის შესახებ რომელიც 2011 წლის აპრილიდან ძალაშია. აღნიშნული ხელშეკრულებების წარმატებით განხორციელების შედეგად, 2012 წლის 4 ივნისს ევროკავშირმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შესახებ დიალოგი დაიწყო. 2013 წლის 25 თებერვალს კი ევროკომისარმა სესილია მალსტრომმა საქართველოს ოფიციალურად გადმოსცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა (Visa Liberalization Action Plan - VLAP), რომელიც ოთხი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა.

- დოკუმენტების უსაფრთხოება, ბიომეტრიის ჩათვლით;
- საზღვრის ინტეგრირებული მართვა, მიგრაციის მართვა, თავშესაფარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;
- საგარეო ურთიერთობები და ძირითადი უფლებები.

გეგმის განხორციელება ორ ეტაპად წარიმართა. პირველ ეტაპზე მოხდა საკანონმდებლო ცვლილებები, რაც სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომობით ხორციელდებოდა. ხოლო მეორე ეტაპზე მოხდა მისი პრაქტიკული განხორციელება.

აღნიშნული პროცესების დაწყებას ხელი შეუწყო, აგრეთვე, სამართლიანობის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროებში საქართველოს მიერ განხორცილებულმა რეფორმებმა. კერძოდ, ეს გულისხმობს ეფექტიან ბრძოლას ტერორიზმის, ფულის გათეთრების, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების, კორუფციის, არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ, ასევე ბიომეტრული პასპორტების დანერგვას, საზღვრის ინტეგრირებულ მართვასა და მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს. ასევე ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს ევროკავშირის ინიციატივის „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ფარგლებში განვითარებული თანამშრომლობა. მისი მიზანი იყო საქართველოს ხელშეწყობა სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის ხელშეკრულებების ეფექტიანად განხორციელებაში, ასევე, თანამშრომლობა მიგრაციასთან

დაკავშირებულ ისეთ საკითხებში, როგორიცაა მიგრაციის მონიტორინგი, შრომითი მიგრაცია, რეადმისია, რეინტეგრაცია, დიასპორა, დოკუმენტების უსაფრთხოება, მიგრაციის ერთიანი საინფორმაციო ბაზა და პროფესიული კვალიფიკაციის აღიარების საკითხები და ა. შ.

ვიზალიბერალიზაციის გეგმის სრული და ეფექტიანი განხორციელება შესაბამის სფეროებში საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ რეფორმებს მოითხოვდა, ევროკომისია კი ამ რეფორმების მონიტორინგს ანახორციელებდა. დაახლოებით სამი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ გაატარა ყველა საჭირო რეფორმა. ჯამში მიღებული იქნა 60-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილება და 70-მდე კანონქვემდებარე აქტი, ინსტრუქცია, რეგულაცია, 9 ეროვნული სტრატეგია და მოხდა 7 საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება.

2017 წლის მარტის ბოლოდან, ყველა საჭირო პროცედურის დასრულების შემდგომ, ქვეყნის მოქალაქეებს მიეცათ ევროკავშირის შენგენის შეთანხმების მონაწილე ქვეყნებში (რომლებსაც უერთდებიან EFTA-ს წევრი ქვეყნები და შვეიცარია) მოკლევადიანი ვიზიტების განხორციელების საშუალება უვიზოდ. ეს შესაძლოა აღქმულ იქნეს, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებისა და სამომავლო ინტეგრაციის გზაზე.

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა

ევროკავშირის დახმარების პროგრამებმა და პროექტებმა უდიდესი როლი შეასრულეს საქართველოს, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს, ჩამოყალიბებაში, ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის განვითარებისა და დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობაში.

1999 წლიდან 2004 წლამდე ევროკავშირის დახმარების სამი ძირითადი მიმართულება არსებობდა - ჰუმანიტარული, ფინანსური და ტექნიკური. ამ პერიოდში ევროკავშირმა საქართველოზე მიახლოებითი მონაცემებით მილიარდ ევროზე მეტი ფინანსური სახსრები გახარჯა. 2004 წლის შემდგომ ქვეყნის ეკონომიკური და, შესამაბისად, სოციალური მდგომარეობა შესამჩნევად დასტაბილურდა და ჰუმანიტარულმა დახმარებამ, რომელიც მოწყვლადი ჯგუფებისთვის საკვები პროდუქტების, სამკურნალო საშუალებების და პირველადი აუცილებლობის საგნების მიწოდებას ისახავდა მიზნად, თავისი ფუნქცია ამოწურა.

შემდგომ ეტაპზე და დღემდე ევროკავშირი აგრძელებს ფინანსური და ტექნიკური დახმარების ორმხრივი და მრავალმხრივი პროექტების დაფინანსებას ევროგაერთიანების ფონდებიდან, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებში (გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაციები, მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, სხვა) გაწეული

კონტრიბუციებისა და ევროკავშირის მიერ დაარსებული საფინანსო ორგანიზაციებიდან გაცემული კრედიტებისა და გრანტების სახით.

დღეს ევროკავშირის საერთაშორისო დახმარება, მათ შორის საქართველოსთვის ოთხი ძირითადი ინსტრუმენტის მეშვეობით ხორციელდება:

• გეოგრაფიული პროგრამები, რომლებიც ცალკეული რეგიონების ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი. ამ ჯგუფის ინსტრუმენტებიდან საქართველო კონკრეტულად ბენეფიციარია I - სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტისა, რომელიც ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე ყველა ქვეყნის დახმარებას ემსახურება. ევროკავშირის მხრიდან ქვეყნებითვის ორმხრივი დახმარების ერთ-ერთი შინგლე შუპპორტ რამეწოკ, რომლის ფარგლებში იგეგმება დახმარების სამწლიანი ციკლები, დაფინანსების პრიორიტეტული მიმართულებებით. ამ ეტაპზე ასეთი დახმარებიდან საქართველო ყოველ სამ წელიწადში დაახლოებით

330-400 მლნ. ევროს ოდენობის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას იღებს. აღმოსავლეთ პარტნიორობის მიერ „მეტი-მეტისთვის" პრინციპის შემოღებით სავარაუდოთ დახმარების მოცულობები მომავალ წლებში საქართველოსთვის კიდევ უფრო გაიზრდება;

• თემატური პროგრამები, რომლებიც განვითარების კონკრეტული თემების დაფინანსებას უზრუნველყოფენ. ასეთი სახის პროგრამებს შორის საქართველო აქტიურად იღებს დახმარებას ევროკავშირის დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ინსტრუმენტიდან (European Instrument for Democracy and Human Rights – EIDHR)და

სტაბილურობისა და მშვიდობის მხარდაჭერის ინსტრუმენტიდან ((Instrument contributing to Stability and Peace – ICSP(Instrument contributing to Stability and Peace – ICSP);

•ევროკავშირის საფინანსო ინსტიტუტების (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითრების ბანკი - EBRD, ევროპის საინვესტიციო ბანკი - EIB) მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტები და გრანტები;

• ევროკავშირის პროგრამები (Erasmus+5, Horisont 2020) და სააგენტოები.

ორმხრივი დახმარების პროგრამები:

• ჰუმანიტარული დახმარების სახით ევროკავშირმა საქართველოს ECO-ს ხაზით 96 მილიონი ეკიუს (ეკიუ 1979 წლიდან ევროგაერთიანების შიდა ანგარიშსწორების ერთეული იყო, რომელიც 1999 წელს ევრომ შეცვალა ღირებულებითი თანაფარდობით: 1 ევრო =1 ეკიუ.) მხარდაჭერა აღმოუჩინა (განსაკუთრებით ინტენსიურად 1992- 1994 წლებში), ხოლო

სასურსათო დახმარების პროგრამის ფარგლებში 1995-1996 წლებში მისმა მხარდაჭერამ 64 მილიონი ეკიუ შეადგინა;

• 1993 წელს ევროკავშირმა საქართველოს 70 მილიონი ეკიუს ოდენობის კრედიტი გამოუყო საგადამხდელო ბალანსის პრობლემების მოსაგვარებლად. 1997 წლისთვის ამ თანხამ გადაუხდელობის გამო 120 მლნ. ეკიუ შეადგინა. ამ დავალიანების დასაფარად ევროკავშირმა კვლავ გამოუყო საქართველოს გრძელვადიანი (15 წლიანი) კრედიტი, რომელიც 55 მლნ. ეკიუს გრანტის ელემენტს შეიცავდა.

• ევროკავშირის ტექნიკურმა დახმარებამ, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქვეყანაში ინსტიტუციური რეფორმების გატარებაში, ჯერ კიდევ 1993-1995 წლებში 23 მლნ. ევრო შეადგინა. მთლიანად 2004 წლამდე დახმარების მოცულობა დაახლოებით 300 მლნ. ევრო იყო. ტექნიკური დახმარება ძირითადად ხორციელდებოდა პროგრამა TACIS-ის ფარგლებში, რომელიც მოიცავდა მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეს და მონღოლეთს. ეროვნული პროგრამით დახმარების პრიორიტეტები განისაზღვრებოდა ოთხ წელიწადში ერთხელ ინდიკატიური გეგმით, ხოლო ეს გეგმა შემდეგ ორწლიან სამოქმედო გეგმებად იყოფოდა. პრიორიტეტული მიმართულებები მთავრობასთან შეთანხმებით დგინდებოდა.

• 1996 წლიდან ყოფილი სასურსათო დახმარების პროგრამა შეიცვალა ახალი სასურსათო უსაფრთხოების პროგრამით (Food Security) ამ პროგრამის მიზანი იყო ქვეყანაში მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელიც შეძლებდა მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას. აღნიშნული პროგრამის ხაზით საქართველომ 120 მლნ. ევრო მიიღო.

• მნიშვნელოვანი დახმარება იქნა გაწეული პროგრამით „კონფლიქტებით დაზარალებული ტერიტორიების რეაბილიტაცია“ (27 მლნ. ევრო), რომელიც 1997 წლიდან მოქმედებდა, და მის ფარგლებში მოხდა ენგურჰესის აგრეგატებისა და დამცავი ფარის რეაბილიტაცია, გორი-ცხინვალის რკინიგზის აღდგენა, დანგრეული სკოლების, საავადმყოფოების თავიდან აშენება, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასაქმება.

„გადაუდებელი დახმარება“ განხორციელდა 1998 წელს. საქართველომ ევროკომისიისგან 10 მლნ. ევრო მიიღო გალის რაიონში მაშინ მომხდარი მოვლენების შედეგების აღმოსაფხვრელად. ასეთივე სახის დახმარება იქნა გამოყოფილი იმავე წელს რუსული რუბლის დევალვაციის შედეგად ქართული ეკონომიკისთვის მიყენებული ზარალის შერბილების მიზნით (საგადასახდელო ბალანსის მხარდაჭერა).

2004 წლიდან არსებული დახმარების პაკეტები გაერთიანდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ინსტრუმენტში (European Neighbourhood Policy Instrument – ENPI), რომელიც სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილე 16 ქვეყნისთვის დღემდე მოქმედებს, თუმცა მოგვიანებით (2014) მას ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტი (ENI) ეწოდა. ეს ინსტრუმენტი რეალურად ამოქმედდა 2017 წლიდან, როდესაც ქვეყნების უმეტესობაში სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმების განხორციელება დაიწყო. 2007-2013 წლებში ევროკავშირმა ENI-ის ხაზით ორმხრივი დახმარების პაკეტით საქართველოს 452 მილიონი ევრო გამოუყო, რომელიც შემდეგი მიმართულებების მხარდაჭერაზე დაიხარჯა:

- სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმა;
- დემოკრატიული განვითარება;
- ეკონომიკური განვითარება და საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის მხარდაჭერა;
- სიღარიბის დაძლევა
- კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება;
- რეგიონული განვითარება;
- სისხლის სამართლის რეფორმა;
- პროფესიული განათლება;
- სოფლის მეურნეობა.

2014-2107 წლებში კი ახლად შემოტანილი ერთიანი მხარდაჭერის ჩარჩოს ფარგლებში დაგეგმილი 335-დან 410 მილიონამდე ევროს ოდენობის დახმარება სამ პრიორიტეტულ სექტორზე გადანაწილდა:

- სახელმწიფო მართვის რეფორმა
- სოფლის მეურნეობის და სოფლის რეგიონების განვითარება
- მართლმსაჯულების სექტორის რეფორმა

აღნიშნულ სექტორებში დახმარება უკავშირდება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების განხორციელებას. დამატებით პრიორიტეტს წარმოადგენს საჯარო ინსტიტუტების მოდერნიზაცია და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხარდაჭერა.

მულტინაციონალური დახმარების საშუალებები:

• 1994 წლიდან ევროკავშირის მულტინაციონალური პროექტი TRACECA ახორციელებს ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის მხარდაჭერას. ამ პროექტის ხელშეწყობით აღნიშნულ მარშრუტზე მოხდა საბაჟო პროცედურების ჰარმონიზაცია, ტრანზიტის გამარტივება და სავაჭრო და ეკონომიკური კანონმდებლობის ჰარმონიზაცია,

რამაც ხელი უნდა შეუწყოს კერძო ბიზნესის მოზიდვას. 70-ზე მეტი პროექტიდან, რომლებიც ამ ხნის განმავლობში განხორციელდა, ნახევარზე მეტში საქართველოც მონაწილეობდა. TRACECA-ს პროექტების განხორციელებამ შავი და კასპიის ზღვის რეგიონში უამრავი კერძო და საერთაშორისო ფონდის ინვესტიციები მოიზიდა. მარტო მსოფლიო ბანკის ხაზით 5 მლრდ. აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, მათ შორის საქართველოს გზებისა და მაგისტრალების განვითარებაში 369 მლნ. აშშ დოლარი ჩაიდო.

• 1996 წელს ინიცირებული იქნა INOGATE, ევროპა-აზიის ენერგოდერეფნის განვითარების ხელშემწყობი მულტინაციონალური (11 პარტნიორი ქვეყანა) პროექტი. ამ პროექტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხრეთი კავკასიის დერეფნის განვითარებასა და საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური როლის განმტკიცებაში. მრავალწლიანი პროექტის ფარგლებში ევროკავშირმა 2017 წლის ჩათვლით 140 მლნ. ევრო დახარჯა სულ 70 პროექტის რეალიზაციისთვის. ამ პროექტების დაახლოებით ნახევარში საქართველოც მონაწილეობდა.

• საქართველოს მოსახლეობისთვის ასევე ხელმისაწვდომი იყო ისეთ საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა, როგორიცაა TEMPUS და Erazmus Mundus. ამ პროგრამების დახმარებით 1995 წლიდან 1000-ზე მეტმა სტუდენტმა და დოქტორანტმა ისწავლა ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში. განხორციელდა უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის 100-მდე პროექტი.

•TWINNING ინსტიტუციური თანამშრომლობის ინსტრუმენტი, ასევე ინტენსიურად გამოიყენება საქართველოსთვის განკუთვნილი პროექტების დასაფინანსებლად. ეს ინსტრუმენტი გამოიყენებოდა ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი სახელმწიფოების მიმართაც. მისი მეშვეობით ხდება სახელმწიფო ინსტიტუტების გამოცდილების გაზიარება, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისთვის სათანადო ცოდნის გადაცემა.

• TAIEX და SIGMA გამოიყენება ევროკავშირის კანონმდებლობასთან და ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან დაახლოებისთვის.

• „დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ევროპული ინსტრუმენტი“, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 10 პროექტი ფინანსდება სამოქალაქო საზოგადოების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ეს ინსტრუმენტი 1994 წლიდან მოქმედებს. 2000-2006 წლებში მისი დაფინანსება 750 მლნ. ევროს აღწევდა, 2014-2020 წლების ბიუჯეტი კი 1.332 მილიონ ევროდ განისაზღვრა. ინსტრუმენტის ბენეფიციარი 140 ქვეყანაა, ამიტომ საქართველოს პროექტების დაფინანსება ამ ინსტრუმენტით ყოველწლიურად 1 მლნ. ევროდან 2 მლნ. ევრომდე მერყეობს.

• საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამა

- საერთო საზღვრის გასწვრივ მდებარე რეგიონებში თანამშრომლობა ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის;

- ერთობლივი ძალისხმევა გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში;

- თანამშრომლობა საზღვრის ეფექტიანად დაცვის დარგში;

- ადამიანებს შორის კონტაქტების ხელშეწყობა.

აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენება მეზობელ სახელმწიფოებთან მოსაზღვრე ევროკავშირის რეგიონებსა და აღმოსავლეთ ევროპის, ხმელთაშუაზღვის და შავი ზღვის რეგიონების სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის განსავითარებლად. 2007-2013 წლებში სულ ასეთი სახის პროექტებზე დაიხარჯა 583 მილიონი ევრო. 2014-17 წლების ინდიკატიური დაფინანსება განისაზღვრა 306 მილიონი ევროთი. შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს (რომლებშიც საქართველოც მოიაზრება) შორის განხორციელებული პროექტებისთვის 2014-2020 წლებში საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში 39 მილიონი ევროს დახმარებაა ნავარაუდები.

სამეზობლო საინვესტიციო ინსტრუმენტი (Neighbourhood Investment Facility) მოქმედებს 2008 წლიდან. ამ დროიდან 2014 წლამდე აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მილიარდზე მეტი ევრო იქნა ათვისებული რეგიონულითანამშრომლობის და გავითარების 95 პროექტისთვის, რომლებიც ევროკავშირის ორ სამეზობლო გეოგრაფიულ არეალში განხორციელდა - სამხრეთ ხმელთაშუაზღვისპირეთსა და აღმოსავლეთ სამეზობლოში (საქართველოს ჩათვლით). დამატებით აღნიშნულმა ინსტრუმენტმა ევროკავშირის ფინანსური ინსტიტუტებიდან - EIB-დან, EBRD-დან და სხვა საინვესტიციო და საფინანსო ფონდებიდან 12 მილიონი ევრო მოიზიდა. ინსტრუმენტის 2014-2020 წლების სტრატეგია მოიცავს ისეთი სფეროების განვითარების პროექტების დაფინანსებას, როგორიცაა ენერგეტიკული დერეფნები, კლიმატის ცვლილება, რეგიონული სატრანსპორტო დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის გზით. ამ წლებში ინსტრუმენტის დაფინანსება კიდევ გაიზრდება.